ალფრედ ნავიგატორი
გურამი სიხარულიძე

ერთხელ ბრაიტონზე

თბილისი
2016

„ჩვენი ცხოვრება ხილვაა ვით მწვანე სარბენი მოლი
და ოცნებების მიღმაა მუდმივი მარათონი“.

თამაზი ჭყონია

ამ ნაწარმოების ყველა მოქმედი გმირი გამოგონილია.
ნებისმიერი მსგავსება ნემისმიერ პიროვნებასთან,
ცოცხალთან ან მკვდართან არის დამთხვევა.

ალფრედ ნავიგატორისა და
გურამი სიხარულიძის სხვა წიგნებია:
Eurasia 2050
Are We Living in the End Time?
Armenian Odyssey
Dragon has Wakened Up
Eurasia 2066
Origin and Mission of Satan
The Reformer Man with the Tie from Caucasus
The Burj of Great Armenia
ერთხელ ბრაიტონზე

ციტატები სახარებიდან მოყვანილია გამოცემებიდან:
ENGLISH STANDARD VERSION. WHEATON, ILLINOIS
2011 და WATCH TOWER BIBLE AND TRACT SOSIETY OF
BROOKLYN, NEW YORK, INK. 2006
(თარგმანი ავტორის, თავისუფალი)

დაკაბადონება ნიკა ხვედელიძე

Published by SAUNJE, LTD
P.O. box 32/34 Tbilisi, Georgia

© ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-0-8934-3

Printed in Georgia

სარჩევი

მეზღაპრე და ყარიბი 5
სამი გასროლა 20
ლოდინი კარგია 33
ერთხელ ბრაიტონზე 42
ხეტიალის დასაწყისი 56
სთივენის მისია 72
ანანიას ამბავი 92
სვიმონის დაღუპვა 99
იესოს დაკარგული წლები 105
პირველი პრეტენდენტი 130
საყვარელი ქალაქი 144
წარსული 154
შეხვედრა 171
ფრთხილად ვიქნები დედი! 176
როგორ გახდი ალფრედი? 184
გამარჯობა სამშობლო! 205
დილემა 211
დაკეტილი ნავთსადგური 218
გამოფხიზლება 230
ნოხი 237
ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან 244

ეს წიგნი ეძღვნება დედაჩემის
თამარ გოდერძიშვილის ნათელ ხსოვნას

მეზღაპრე და ყარიბი

„რაც იყო ახალიც არის და
რაც იქნება უკვე იყო. და ჩვენ
კვლავ მოვუხმობთ წარსულს“.

წარწერა ახლო აღმოსავლეთისდან

მზის მწველი სხივებისაგან გამომშრალ ხრიოკ მოედანზე ათასი ჯურისა და მრწამსის ხალხს მოეყარა თავი. ეს ადგილი ჯვაროსნების დროინდელი ციხე-სიმაგრიდან დარჩენილი გალავნებით ოთხივე მხრიდან ისე საფუძვლიანად იყო შემოზღუდული, რომ მეზობელ უბნებთან კავშირი კედლებში დატანებული ალაყაფგასასვლელებით ჰქონდა დარჩენილი. არაბული ქუჩა-ბანდებისათვის დამახასიათებელი ჭრიჭინი და ქოთქოთი მოედნის კედლებთან წყდებოდა მის უცხო რითმს ვერ ერწყმოდა.

ეს კორტი-იარდი მოედანი განსაკუთრებული სხივის ადგილი იყო. ამ მხარეში მრავლად მოხეტიალე უსაქმურების, დერვიშების, ფაკირების, ბერების, მოლებისა და გამობრძმედილი ნარკომანების თავშესაფარი იყო ეს კუთხე. ისინი ყველა ერთად, უპრეტენზიოდ და მშვიდად ცხოვრობდნენ ღია ცის ქვეშ.

კორტი-იარდის ერთ კუთხეში რომის იმპერიის დროინდელი თეთრი მარმარილოსგან უმტკიცესად ნაგები ტუალეტ-დასაჯდომების გრძელი რიგი იდგა, რომლის საერთო ღარში მოედნის მეორე კუთხეში მდებარე ასევე რომაელების დროინდელი შადრევნებიდან გადმომდინარი წყალი მიედინებოდა და სიბინძურეს რეცხდა.

მოედნის შუაგულში მზის სხივებისაგან გამთბარი სიპებით შემოზღუდულ სცენაზე ჩამომხმარ ბერიკაცებსა და ნაადრევად დაბერებულ ბერბიჭებს ფეხები მოერთხათ და ჩუმად გარინდულნი, შინაგანი თვალით სამყაროს უსასრულობას სჭვრეტდნენ. სიბერე და ნაღველი მორეოდათ აქ შეყრილებს.

მათი მოძრაობა შენელებულ კადრებს ჰგავდა. ეროვნული და რელიგიური შუღლიც არ შეიმჩნეოდა მათში, თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან დამახასიაებელი იყო ამ მხრისათვის.

მანამდე ერთ კერძო კლუბში „ბაასის“ მიმდევრების პოლიტიკური ლექცია მოვისმინე. იგი დაახლოებით ასე იწყებოდა:

„რამ გააცოფა ისრაელთა ძენი? რამ აღაშფოთა ისინი არსებული მდგომარეობის საწინააღმდეგოდ? რატომ უნდათ რომ ჩვენ არაბებს სოცია.ლურად სამართლიანი საზოგადოების შექმნის პერსპექტივა მოგვისპონ“ და ა. შ.

მოგვიანებით მახლობლად მდებარე „მუსლიმ ძმათა რესტორანში“ თავისუფალი რადიკალების სხდომას დავესწარი: საუბრის ქვა-კუთხედი იყო მოწოდება შეუპოვარი ბრძოლისა რეაქციული ისლამის სასარგებლოდ, დიდი არაბისტანის შესაქმნელად, ისრაელის საპირისპიროდ და ჭკუის სასწავლებლად.

მე არც სიონისტი ვარ და არც ანტისემიტი, მაგრამ როდესაც სხდომის თავმჯდომარეს შევეკითხე, რა მოხდა, ამდენმა არაბმა სამი მილიონი პალესტინელი როგორ ვერ უნდა შეიხიზნოთ-მეთქი, შევატყე რომ ჩემი სიცოცხლე საფრთეში იყო. თეთრწვერებიანი მანამდე ფრიად დარბაისელი ორატორი გამომწვევად შემეკითხა ებრაელი ხომ არ ხარო. იშმაელის სხვა შვილებმაც ეჭვისა და წყრომის თვალით გადმომხედეს.

არის ხოლმე წუთები, როდესაც ბედისწერა უდიდეს განსაცდელს გიმზადებს. ენა გონებას არ ემორჩილება, რეალური სინამდვილე კი სურვილს. რა მექაჩებოდა ენაზე არ ვიცი, სიმართლე ვუთხარი, 54 თაობის ებრაელი ვარ-მეთქი.

შემდეგ ამ მხარისათვის ჩვეულებრივი აურზაური ატყდა. რამდენიმე ხანჯლიანმა არაბმა ჩემზე გამოიწია. იძულებული შევიქმენი სხდომის მონაწილე ღირსეული ადამიანების სამ-სამ რიგს თავზე გადავხტომოდი. მხოლოდ მყესებმაგარი ფეხების სისხარტემ გადამარჩინა.

აქ კი ამ მრავლისმნახველ კორტ იარდ-მოედანზე ისეთი ხალხი შეკრებულიყო, რომელთათვის უცხო იყო რელიგიური შუღლი. მათ ჭეშმარიტ ასკეტებად განვლეს ცხოვრება და სარჩოსაბადებელს მოკლებულნი, დაძენძილ საბან-გობანში გახვეულნი ყოველ დღეს უკანასკნელად ხვდებოდნენ მზის ამოსვლას.

მათთან ერთად თავის ცამეტსაუკუნოვანი ისტორიის დასასრულს ელოდა მოედნის კუთხეში მყუდროდ მიყუჟული,

ერთ დროს რუდუნებით კოხტად წამომართული, ახლა კი ყოველმხრივ დაგლახებული ქართული ეკლესია.

უფლის ამ საყდარმა თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მე მისი დაარსების მომსწრე ვიყავი. იგი სხვა ტაძრის საფუძველზე დაშენდა, ხოლო ის ტაძარი კი უფრო ადრე, უხსოვარ დროში ქალაქის გალავნის სათვალთვალო კოშკის ბალავარი იყო. ეს ამბავი კარგად მახსოვდა, ახლა კი როდესაც ქართული ეკლესიას ვუმზერდი გამახსენდა თუ რამდენი მორწმუნე წარმართისა და ქრისტიანის ფიქრი და ოცნება ჩაახვიეს თავისთავში მისმა აწ უკვე საფუძვლიანად მორღვეულმა გუმბათებმა. წვიმას ოდნავ რომ გაეშვა მალევე მოარღვევდა სახურავს და ყველაფერი ქვემოთ დაემხობოდა და ჩქარავე ნაეკლესიარი გახდებოდა, როგორიც ოდესღაც იყო, ბაალის ტაძრის საფუძველი. ჯერჯერობით კი მისი გუმბათი უძლებდა და ურჯულოთა ზღვაში ამოზრდილი ეს კუნძული ღმერთის, წმინდა სამების, ყველგან მყოფი სულის, ფიზიკურ ძალთა, უსაზღვრო სამყაროს, რწმენისა და წმინდა მამათა ცხოვრების ჯერ კიდევ დაუვიწყარი ფურცელი იყო. მაგრამ მის შესასვლელში უკვე მალიმალ გაიელვებდა ჩადრებითა და გალიბანდებით დაფარული ბინძური და ფეხშიშველა სხეულები. რამდენიმე კეთრიანი უკვე შევიდა, და ეკლესიის გრილ კუთხეებში მოკალათდა.

მოედანზე გაშოტილ გლახაკებს შორის მოსიარულე ეკლესიაში შესვლას ვერიდებოდი, რადგან სიბილწისა და სიმყრალის ბუდედ ქცეულიყო, ერთ დროს კოხტა, სამნავიანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

ერთ საღამოს ნაქირავებ აქლემებს შემომჯდარმა ისევ მივაშურე ჩემს ნაცნობ მოედანს. ჩემს გამოჩენას აქაურები დიდი კმაყოფილებით ხვდებოდნენ, რადგან წვრილ ფულს მათთვის არასოდეს ვიშურებდი. დღეს კი განსაკუთრებით ხელგაშლილი ვიყავი. თითქოს მიძინების ლიტანიას ვასრულებდი, საყდარს დიდი გულისყურით შემოვუარე, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად გლახაკ მორწმუნეთა ჩამოძენძილი ბრბოს მაგივრად, ორი დაფერთხილი ალაჰის მსახური მეზღაპრე მომყვებოდა. მათ ჯერ მრავლისმნახველი მოედნის ერთი ადგილი მაჩვენეს სადაც ადრე როგორც მითხრეს ქვებით ჩასაქოლი ადგილი იყო. ბევრი ადამიანი გაუბედურდა აქ. სწორედ აქ, როგორც მეზღაპრეებმა მითხრეს და მეც გაგებული მქონდა, იდგა უდრეკი დიაკვანი

სტეფანე, რომელიც მხნედ აგინებდა ებრაელთა სარწმუნოებას. მის მახლობლად იმყოფებოდა იუდაიზმის ერთგული მწყემსი საული, რომელიც სტეფანის, პირველი ქრისტიანი მოწამის, ჩაქოლვის აქტიური მონაწილე იყო. მოგვიანებით საული თავის რჯულს განუდგება და ქრისტიანული რელიგიის დამფუძნებელ პავლედ იქცევა, ხოლო ასევე მრავალი საუკუნის შემდეგ ქართულ ეკლესიასაც სან-სტეფანის სახელი მიენიჭება.

მეზღაპრესთან ერთად ტაძრის შიგნით შევედი, კანკელის წინ შემაღლებულ ამბიონზე შევდექი და კედლების თვალიერება დავიწყე.

საყდარი ერთ-ერთი საშუალებაა ღმერთსა და ადამიანს შორის სულიერი კონტაქტის დასამყარებლად. თუ ადამიანს რაიმე ღვთიური ანუ განსაკუთრებული აქვს, საყდარში ყოფნის დროს ხდება მისი აკუმულაცია-გენერაცია. ამავე დროს ტაძარში შესაძლებელია წარსული სურათების წარმოდგენა. იგი გასულ დღეთა საცავია. ბევრი მოვლენა აქ სივრცის საიდუმლო განაკვეთებში შემალულია და მას მხოლოდ გამოღება და დანახვა უნდა. ამ საყდარში კი ეს საშუალება უკვე აღარ მოქმედებდა.

სულიერი კავშირის გარდა საყდარი არქიტექტურული ძეგლიც არის და სამწუხაროდ ამ თვალსაზრისითაც ბევრი საინტერესო ვერ ვნახე. დახავსებულ-ჩაშავებული კედლები ათასგვარი წარწერებითა და სიბრიყვით იყო გადაჭრელებული. გუმბათს ფრესკები ჩამოფხეკილიყო და მჭვარტლსაც გაემურა ისე რომ მისი აღდგენა-შემოწმება თითქმის წარმოუდგენელი იყო.

ტაძარში ათი წუთის აქეთ-იქით სიარულის შემდეგ ის-ის იყო გარეთ გასვლას ვაპირებდი, როდესაც ერთ-ერთმა მეზღაპრემ ტაძრის უკანა ნაწილში სტოას კედელზე ჭამთა სვლისაგან ჩაშავებული, ქვაში ნაკვეთი ასოები მაჩვენა. გრძელი არამეული წარწერა იყო. ქალაქი ლარსა იყო მოხსენიებული. მაშინვე მივხვდი, რომ აქ წარსულის სურათი გაიხსნებოდა. აქ მისი ერთ-ერთი საიდუმლო საცავი იყო. ამ ფიქრებში ვიყავი გართული როდესაც მეზღაპრემ განაცხადა.

„ეს საფუძვლის ქვა არის და უფრო ძველი ისტორიის მატარებელია“.

„რამდენად ძველია?“ ჩავეკითხე მე და მოხუც მეზღაპრეს მღვრიე წყლისფერ თვალებში ჩავაცქერდი.

„თქვენც მომითხრობთ ეფენდი და ბევრი აწ გარდაცვლილი ჯენტლმენისათვის მითარგმნია ის რაც ამ კედელზე წერია. გაინტერესებთ? მაშ მისმინეთ:

„მაგრამ ალყაშემორტყმულებში აღმოჩნდა ერთი ბრძენი ყარიბი, რომელმაც გადაარჩინა ქალაქი ლარსა და შემდეგ კი აღარავის გახსენებია მისი სახელი“, მეზღაპრე დადუმდა. ინგლისურის მარაგი ამოეწურა.

„სხვას კიდევ რას მეტყვი?“ მოხუცს კვლავ სახეში ჩავაცქერდი, მზერას არ იკარებდა. ერთი ვერცხლი გავუწოდე.

„არაბული კარგად იცით ეფენდი?“ თქვა მოხუცმა და ჩემს სქელლანჩიან დამტვერიანებულ ფეხსაცმელებს დააკვირდა.

„მიდი-მეთქი“, მივუგე და ტაძრიდან გამოვედი აქლემი რომაელების შადრევნებთან მარდად დავაბი და სმენად ვიქეცი.

მეზღაპრეს თავპატიჟი არ დაუწყია. იქვე ქვაფენილზე ჩაიმუხლა და შადრევნის ოვალურ აუზს მიებჯინა, ქვეშ იქვე სვეტის ძირში მიგდებული ნალი ამოიდო, ფეხები მოირთხა, ლაშებზე ორი თითი ჩამოისვა და დაიწყო:

„უხსოვარი, ათაბაბას დროის ერთ ღამეზე მინდა მოგითხროთ ეფენდი. თქვენც ცოტა არ გინახავთ, მაგრამ მაინც წარმოიდგინეთ ქალაქი და უვარსკვლავო ღამე, კუნაპეტი ღამე, სწორედ ისეთი რომელზეც იტყვიან ხოლმე თვალთან თითს ვერ მიიტანო. ყველაფერს შავი ფარდა აქვს გადაფარებული. შავი ფერი ხომ სიკვდილის ფერია, ამავე დროს იგი კოსმოსის ფერია. თუმცა, არა შავი ფარდა ხანდახან შეირხევა ხოლმე და მის მიღმა წარმოჩინდება მაშხალების ჯოჯოხეთური ფერხული. მაგრამ მაშხალების ფერი ვარსკვლავების ფერია, თეთრი ფერია, სიცოცხლის ფერია. მაშხალები და ჩირაღდნები ხელთ უპყრიათ მრავლისმნახველი და უფრო მეტი ხალხის მპყრობელ ასურეთის არმიის მეომრებს. ეს მეფე სინაჰერიბის ლაშქარია.

ისინი იმ ციხე-ქალაქს უტევენ რომელიც შორიდან აუღებელი სჩანს. მართალია ქალაქი ლარსა პატარაა, მაგრამ ძლიერად არის გამაგრებული. ზეცაში აჭრილან მისი კოჟრიანი სიმაგრეები. ყოჩაღად დგანან ციხიონის ლომგული დამცველები. ასურელთა პირველი და მრავალი შემდეგი შემოტევა მოგერიებულია. წყება-წყება ტერასულ ქონგურეებთან ასურელთა მხედრიონი ახლოს ვერ მივიდა.

უშედეგო იერიშების შემდეგ ასურელები ისრის საყორცნ

მანძილზე დაბანაკდნენ, რადგან დარწმუნდნენ რომ ქალაქი-ციხის ერთი დარტყმით აღება შეუძლებელია.

თუმცა მომხვდურნი ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი არიან, მაინც იძულებულ შეიქმნენ ალყისათვის დიდი სამზადისი ჩაეტარებინათ. ათობით მოძრავი კოშკი და ურნალის ლოდსატყორცნი მანქანები სიმაგრის გასწვრივ განალაგეს.

სინაჰერიბი შეუპოვარი, ამაყი და თავის სიძლიერეში ღრმად დარწმუნებული მეფე-სარდალია.

ამ საბედისწერო ღამეს ციხე-ქალაქის უხუცეთა საბჭომ დაადგინა:

„დაარსების დღიდან უკვე მრავალი საუკუნე გავიდა და ჩვენი ქალაქი-რესპუბლიკა, არავის დანებებია. მას დიდი მისია აკისრია, როდისმე ყველას ჩვენნაირი მმართველობა ექნება, და ეს კი უფლის ნება-სურვილია. რადგან ჩვენი ქალაქი, რომელიც მთის უმაღლეს მწვერვალზე დამაგრებული თავისუფლების ჩირაღდანია, ქედმოხრილი არავის უნახავს, გადაწყვეტილია იბრძოლონ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ულტიმატუმის ყოველგვარი წინადადება უარყოფილ იქნას. მოღალატეები დაუყონებლივ იქნებიან ლიკვიდირებულნი, ხოლო მერყევ მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის უფლება შეუნარჩუნდეს.

ყველაფერს თავისი დრო აქვს ამქვეყნად: შობასაც და სიკვდილსაც, განკურნებასაც და კვლასაც, შენებასაც და ნგრევასაც, შენახვასაც და ფლანგვასაც, ბრძოლასაც და მშვიდობასაც, დასაწყისსაც და დასასრულსაც. აღმატებული მტრის წინაშე ქალაქი არ დაიჩოქებს, მისი ბედი ზენაარის ხელში და მზის ქვეშეთში მისი ადგილიც მან განსაზღვროს“.

საბჭოს გადაწყვეტილება იმავ ღამით საზეიმოდ იქნა წაკითხული გზა-ჯვარედინზევე და ციხე-სიმაგრის ქონგურებზე. ყველანი ღრმად ჩაფიქრდნენ მოსალოდნელი წირვის წინ.

მოსახლეობის ნაწილმა ქალაქის დატოვების უფლება მოითხოვა და მიიღო კიდევაც. კაპიტულანტების წარმომადგენელმა უხუცესთა საბჭოს ასეთი განცხადებით მიმართა:

„ჩვენ, ლარსას მოსახლეობის 70 პროცენტის სახელი გიცხადებთ, რომ წინააღმდეგი ვართ დემოკრატიული წყობილებისათვის სიცოცხლე შევწიროთ და თანახმა ვართ ტირანიის ქვეშ ვიცხოვროთ მაგრამ ცოცხლები ვიყოთ, ხოლო თუ გაიმარჯვებთ უკან დავბრუნდებით და ჩვენი დანგრეული

ქალაქის აღდგენაში დაგეხმარებით, რადგან მაინც დემოკრატიაში ცხოვრება გვირჩევნია, ვიდრე დიქტატურის ქვეშ“, რაზედაც უხუცესთა საბჭოსგან დასტური მიიღეს.

„მტერს გალავნის გეგმის და ჩვენი ჯარების შიდა განლაგების შესახებ არაფერი უთხრათ და გახსოვდეთ, რომ ქალაქიდან გაქცევის მიუხედავათ ჩვენი მოქალაქეები ხართ“, დააყოლეს უკან.

და დაიწყო ქალაქის კაპიტულანტური მოსახლეობის გახიზვნა. გალავნის სამ ჭიშკართან გრძელი რიგები დადგა. ჩქარობდნენ. ქალაქი განთიადამდე უნდა დაეტოვებინათ.

დარჩენილებში კი დიდი მობილიზაცია ჩატარდა. ითვლებოდა, რომ ისინი თითქმის განწირულები იყვნენ. თვითოეული მებრძოლი ფიცს სდებდა, საკუთარ თავთან, არსებობის სულიერ მამასთან, შეაკვდეს მტერს და გადაარჩინოს ქალაქი, საკუთარი სინდისი.

ჯარისკაცთა ღრმა გულწრფელობასა და კეთილშობილური რწმენის მიუხედავად, სხვის სულში ჩამხედვარე თვალი მათი მუხლების ცახცახსაც შეატყობდა. ეს იმ ორასამდე მებრძოლის მუხლებსაც ეხებოდა, რომლებიც მოწადინებულები იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ფასად ცხელი ფისის ცეცხლოვანი ყუმბარები მოწინააღმდეგისაკენ მიემართათ. მათ შორის ჩვეულებრივი ბრძოლის წინა შიშთან ჭიდილის მძიმე პროცესი მიდიოდა. თითქოს სასოწარკვეთილებისა და იმედით სავსე აზარფეშა გადაჰკრესო, ყველა დამრჩენი გრძნობს რომ ბედისწერის შავ ტაბაზე მოსახრაკად დიდი ალბათობით არიან განწირულნი. მართლაც, განსაცდელი დიდი და დაუდნობელია.

აბანოზის ფერი ღამე კი თავის სრბოლას აგრძელებს. მებრძოლების მწკრივები გალავნიდან გალავანში მოძრაობენ, გუშაგები ერთმანეთს ცვლიან, იარაღი გადააქვთ და გადმოაქვთ. გველივით იზმორება და განთიადის ბრძოლისთვის ემზადება თავისუფალი ქალაქი ლარსა. წინასწარმეტუველები და მკითხავები კი ვარსკვლავ-ჰოროსკოპებში საბედისწერო დასასრულის დასაწყისს ხედავენ.

სიმაგრის ჩრდილოეთ-დასავლეთის ვიწრო და ბნელ შუკებში ერთი დაგვიანებული მოქალაქე მიიკვლევს გზას. იგი უხუცესთა საბჭოს ბაღის მომვლელი. იყო. მან ეს-ეს არის მიატოვა თავისი რუდუნებით გამოზრდილი ნაირ-ნაირი ვარდები და ორქიდეები

ჩირაღდნების შუქზე სხვადასხვაფერებად რომ ლაპლაპებდნენ, ჩაუარა სხვადასხვა მცენარეებით შებურულ ხეივნებს, უკანასკნელად გადაავლო საბჭოს უხუცესებს, ტალავრების ქვეშ უხმოდ რომ ჩაფიქრებულიყვნენ, გამოაღო ალაყაფის კარი, გამოეთხოვა ქანდაკებებივით გაშეშებულ ქეშიკებს და სიბნელეში გაუჩინარდა. მიმავალს კარგა ხანსა ესმოდა სიმაგრეებიდან წამოსული ბრძოლისათვის მზადების ჟღარუნა ხმა.

მებაღე ახალგაზრდა უკვე აღარ იყო, მაგრამ მოხუცობის ქარით ოდნავ მოღუნული მაინც ცდილობდა ფართო ბეჭები მალი-მალ მხნედ შეერხია და ყმაწვილკაცური იერი შეენარჩუნებინა. მის ამობურთულ შუბლქვეშ მშვიდად მომზირალ თვალებში ზოგჯერ მოუსვენარი ნაპერწკალი იელვებდა ხოლმე. დაძარღვულ ხელში მხრჩოლავი ჩირაღდანი ეჭირა, მეორე ხელით კი გრძელი თეთრი მოსასხამის ბოლო ისე ამოეკრიბა, რომ თასმაშემოხვეული ფეხის ტერფებს გზა ადვილად გაეგნოთ უხეში ფილებით მოჭედილ ვიწრო ქუჩებში.

ხანდახან მიწას გასწორებული ფანჯრების ხვრელებიდან შუქი გამოკრთოდა, საიდანაც სოდომურ-გომორული სიბილწე იღვრებოდა. ქალაქის მოსახლეობის ეს კატეგორია ყველას მსახური იყო, განურჩევლად იმის თუ ვინ იყო კლიენტი, ადგილობრივი თუ დაპყრობი. ახლა ქალების ეს უძველესი პროფესია თავისი მეომრების უფასო სამსახურში იყო რომლებიც მალე შეიძლება უკანასკნელად შეხვედროდნენ განთიადს.

მოხუცი მებაღე ხანდახან შესდგებოდა ხოლმე და ჩირაღდანს ფანჯარაში შეანათებდა, ყურადღებით აკვირდებოდა ასტარტის, ამონისა და მოლოხის თაყვანისმცემელთა თრიაქნასვამ გარყვნილ სიფათებს, რომლებიც რამდენიმე საათის შემდეგ შეიძლება მეომრების სახეებად ქცეულიყვნენ და ისევ აგრძელებდა გზას.

ერთმანეთში ჩახვეული, ჩაჟამებული შენობების რიგი გალავნის ჩრდილო-დასავლეთის ალაყაფის კარებისაკენ მიეშურებოდა. სწორედ იქითკენ მიისწრაფოდა იმედის აფრას მიშველებული ხანდაზმული მებაღეც.

ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭეს არ იცავდნენ, რადგან მის იქით გაუვალი ლელიანი ჭაობები იყო, რომლის შემდეგაც გვიმრიანი ტაფობი იწყებოდა. ამ ადგილას გალავნის ქვემოთ მოთავსებული გამაერთიანებელი კოლექტორიდან

ქალაქის სიბინძურე გამოედინებოდა და ტაფობში გროვდებოდა, მერე კი მიწაში იკარგებოდა. ადრე, ტირანიის დროს ეს ადგილი სიკვდილმისჯილთა ადგილიც იყო, მერე კი უფრო ფაუნისა და მოჩვენებების გარემოდ იქცა.

როდესაც გაუქმებული სათვალთვალო კოშკზე ფეხი შესდგა ინათა კიდევაც. თვალისათვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ბნელი ღამის შემდეგ მზის ხილვის მოლოდინი. ამოიზიდა ვარდისფერი ცისკარი და მოხუციც გულდაგულ ჩაუჯდა სათვალთვალო კოშკზე დამაგრებულ სარკეებიან მოწყობილობას.

მოხუც მებაღეს ჰადესი ერქვა, ამბობდნენ ზოგჯერ აგასფერსაც ეძახდნენო. არავინ იცოდა მისი წარმოშობისა და ასაკის შესახებ. იგი მრავლის მნახველი და მრავლის მცოდნე გაურკვეველი ასაკის არსება იყო. უცნობი იყო თუ რა უნდოდა და რა იყო მოხუცი ჰადესის მიზანი და ამოცანა. ასევე ძე ხორციელმა გუმანითაც არ იცოდა სარკეებიანი მანქანის არსებობის შესახებ. იგი იყო ჰადესის მშობელიც და ნათესავიც, მეუღლეცა და შვილიც, მეუფეც და იმედიც. ორმოცი წელი შესწირა მის შექმნას. ეს იყო ტანჯვით წვალებისა და ჭრაქის შუქზე ღამის ტეხვის უწყვეტი კრიალოსანი. და აჰა! ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას საბედისწერო ჟამს მანქანა მზად არის. აგერ უკვე თითქმის ერთი თვეა რაც მებაღეს სარკეებიანი დანადგარი ნაწილ-ნაწილ გადმოაქვს თავისი საიდუმლო სახელოსნოდან მიტოვებულ კოშკში. მან ადრევე იცოდა სინაჰერიბის მოსალოდნელი შემოტევის შესახებ და დროულად დაიჭირა თადარიგი.

სარკეებიანი დანადგარი უძლიერესი იარაღი იყო მართალი კაცის ხელში, ამავე დროს, ჰადესმე ისიც იცის, რომ ქვეყნად არ არის ისეთი კაცი, რომელიც მხოლოდ სიკეთეს სჩადიოდეს და არ სცოდავდეს.

მიტოვებული სათვალთვალო კოშკზე ეულად მდგარი ჰადესი ყურადღებით ათვალიერებდა მიდამოს. დილის სუსტი და გრილი სიო ჰქროდა, რომელიც სახესა და გულმკერდს ელამუნებოდა. აქედან ყველაფერი ხელისგულივით სჩანდა. მარჯვნივ მწვანედ აბიბინებული ცვარ შეუშრობი იალაღებია, წინ და მარცხნივ ასურელთა საბრძოლოდ გამზადებული პოზიციებია. ისინი საკმაოდ არიან. მათს რიგებში გადაადგილებებია, აი მცოცავმა

კოშკებმა მოძრაობა დაიწყეს და განთიადის პირველ სხივებთან ერთად ბუკმაც იქუხა, მერე კი მედოლეებმა საბრძოლო „თიგლათფილასარული“ შემოჰკრეს. სისხლი აჩქეფდა, სული აქოჩრდა და დაიწყო საყოველთაო მოსამზადებელი, მერე კი პირდაპირი იერიშების ვაკჰანალია.

ასურელთა თავხოტორა, შეაბჯრული მეომრები შეუპოვრად ეკვეთნენ აუღებელ ლარსას. მოფრინავენ მრავალტონიანი ლოდები, ცეცხლოვანი ისრები, ზეთით სავსე ყუმბარები. ზღუდეების მტვრევის ჭექა-ქუხილში და დაფდაფების გრიალში სამუდამოდ იძირება მებრძოლთა საიერიშო თუ სასიკვდილოდ განწირული შეძახილები.

ჰადესი ყოყმანობს. თითქოს რაღაცას ელის. თვალები გაშეშებია. იგი გატაცებით შეჰყურებს თუ როგორ იქმნება სიკვდილის რატხქვეშ გასრესილი, ნახტომშეშლილი ადამიანებისა და ციხე სიმაგრის დაცემის საბედისწერო სურათები.

იღუპება პატარა ქალაქი ლარსა!
იღუპება გმირი ქალაქი ლარსა!

„გამარჯვება ან სიკვ...“ ვერ დაასრულა პატრიოტული შემოძახილი ნორჩმა მედროშემ. იგი გადაყირავებული კედლის ქუნგურებთან ერთად ჩაიკარგა ძირს.

ეცემა ლარსა! აუღებელი ზღუდეები ირღვევა. ასურელები თითქმის შეიჭრნენ ქალაქში. ორი ვეფხისტყაოსანი მეომარი ჩახტა კიდევაც ლარსას პირველ ქუჩაზე და მოქალაქეთა სხეპვა დაიწყეს, მაგრამ ისინი მალევე განგმირეს. ყველგან გაისმის სიკვდილის ქარიშხლის შემზარავი ხმა. ლარსა თითქმის წელში გადატყდა, მის მოქალაქეებს ბედისწერის ბნელი ბურუსი ჩამოაწვათ. ქალაქი მუქ ლურჯ შხამიან ღრუბლებში გაეხვია, ეს იყო უეჭველი ნიშანი სიკვდილის სუდარის სწრაფი დაშვებისა.

მოხუცმა მებაღემ გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ბოლომდე ვერ განსაზღვრა უფლის ნებას ასრულებდა თუ საკუთარს.

უმწეობის ყველაზე უფრო უკიდურეს ჟამს, როდესაც აშკარა გახდა რომ დამარცხების წინა წამსაც კი არც ერთი ლარსელი მეომარი არ გაიქცა, არ დათმო მშობლიური მიწის ერთი გოჯიც კი, ჩრდილო-დასავლეთის კოშკიდან. მოულოდნელი შიშინა სხივი გამოსხლტა. იგი თავისი სიკაშკაშით ათი

ათას მზეს სჭარბობდა. დაბრმავებული მტერი უკუიქცა და მორჩილად განერთხო მიწაზე. სხივი კი ასრიალდ-გასრიალდა და ასურელ მხედართმთავართა კარვებთან შეფერხდა, მიბუგ-მობუგა იქაურობა და შემდეგ კი მოჰყვა გიჟურ საბრძოლო როკვას. დილის კრიალა ჰაერი დამწვარი ხორცისა და ტრუსის სუნით გაჯერდა. რამდენიმე წამში მოწინააღმდეგე ლაშქრის საბძროლო აღჭურვილობა და მეომართა დიდი ნაწილი ფერ-ფლად იქცა. დამარცხებულთა გადარჩენილი ჯგუფები დასტა-დასტა გარბოდნენ ჰორიზონტის ოთხივე მხარეს.

ეს იყო მტრის ზარდამცემი განადგურება.

სიკეთისა და სიბოროტის გადაღმა მხარეს იყურებოდა „დიდი მოხეტიალე“, მოხუცი ჰადესი. უცნობი სევდის ოკეანე აზვირთდა მის სულში. ჰადესის გული საბუდარს მოსწყდა და სხეულში ისე გაცურდა, თითქოს დიდი გამარჯვების შემდეგ ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა და ჩემს გულისცემასაც აზრი არ აქვსო. ჩვენთვის ჯერ კიდევ აუხსნელი მიზეზის გამო ჰადესმა ეს-ეს არის თავისი პირმშო, აზრისა და მონების საუნ-ჯე, იარაღი რომელმაც დრო გაჭრა და მსოფლიოს დაპყრობის საშუალებად იქცა, ახლა უკვე როგორც სიკვდილის სიმბოლო ქონგურებიდან ძირს გადაუშვა.

ჰადესისათვის ქვეყანა თითქოს დაპატარავდა, აზრი დაკარგა, აღარც სიძულვილი სჩანს და აღარც სიყვარული, იგი ბუნებაში გაითქვიფა და ათი ათასობით გვამის გადავლით სადღაც შორს, უსასრულობაში მიისწრაფვის. ჰადესს აღარ სურს ლარსაში დარჩენა, აქ მისი მისია დასრულდა, მისი გონება უცნობი ველებისაკენ ისწრაფვის. იგი მსოფლიოა. უსინდისო, სასტიკი, მშვენიერი და კეთილი. ჰადესი ძლიერიცაა, რადგან მისი სიძლიერე მისი მოვალეობაა, მისი უღელი და ამავე დროს, იგი უაღრესად სუსტიც არის, რადგან არასოდეს უწერია სიმშვიდე, და არ იცის რა არის დასვენება.

და იდგა მიტოვებული, სათვალთვალო კოშკის ვიწრო ბაქანზე მოხუცი ჰადესი და ლელიანის ტაფობს ჩაჰყურებს. მასთან უკვე თანდათან აღწევს გამარჯვებით გაოგნებული ქალაქის გამოფხიზლების პირველი ხმები. ქალაქი მალე, აზრზე მოვა. მისი ჭკვიანი მოქალაქეები ამბის ანალიზს დაიწყებენ. ლარსა მაფიქრებელ მოქალაქეთა ქალაქია. მას კარგი უხუცესთა საბჭო ჰყავს. მოხუცი ფიქრობს, რომ აუღებელი ლარსა

შეიძლება ყოველთვის აუღებელი დარჩეს. შესაძლებელია, რომ მისი დემოკრატია და ეკონომიკა, ისევე როგორც მისი სამხედრო მანქანა მსოფლიოში უძლიერესი შეიქმნას. არ არის გამორიცხული, რომ პატარა ლარსამ საზღვრები გააფართოვოს და თავისი მსგავსი შვილობილი ქალაქები დაარსოს, რომელთა შორისაც მოკირწლული შარაგზები დააგოს. შესაძლებელია ლარსა ყველაზე განათლებული იმპერია გახდეს. სწორედ ასე იწყებენ აღმასვლას პატარა ქალაქები. მერე კი ისინი მსოფლიოს მპყრობელები ხდებიან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლარსა ყოველთვის უძლიერესი და დაუმარცხებელი იქნება. შესაძლებელია ლარსა სულიერად გაუტეხელი რწმენის გახდეს, რაც ჭეშმარიტი ძლიერებაა, მაგრამ მოხუცი ჰადესი მაინც სხვაგან ჰქრის, მას სხვა რამე აწუხებს.

ჰადესს არ შეუძლია გამარჯვების ზეიმი, და საცოდავ, არარა მოქალაქეებში გარევა, თუმცა მათ თავისუფლება და ზებუნებრივი გამარჯვება მოუტანა. მებაღე განუსაზღვრელ თავისუფლებას მოითხოვს, ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მოხუცი ხალხისგან გარიდებას ამჯობინებს. არის საკითხები, რომელთა ახსნა საჭირო არ არის, თუნდაც ამის რომელიც ახლა ლელიანის ჭანჭრობში იძირება. სიკვდილის სხივის ავტომატიკას ვერავინ გაიგებს, მისი შეცნობა სცილდება ლარსელთა გაგებას. საოცრებამდე უსასრულოა უფლის თვალსაწიერი, არც მის მოწყალებას და ზრუნვას აქვს სამზღვარი, მაგრამ მაინც საშიშია ჯოჯოხეთის მანქანის მათ ხელში ჩაგდება, რადგან თუ მოხდა სასწაული და ამოიხსნა დაფარული საიდუმლო, არავინ უწყის თუ როგორ გამოყენებას ჰპოვებს იგი.

„ეფენდი! თუ ასეთი რამ მოხდებოდა“, აქ ალაჰის მსახურმა მეზღაპრემ თვალები რომლებიც აქამდის საყდრის ადრე ნახსენები წარწერებიანი ლოდის გარე ზურგისათვის მიეშტერებინა ახლა მე შემომანათა, „შესაძლებელი იყო აუღებელი ლარსა მსოფლიოს მპყრობელი გამხდარიყო, შემდეგ კი ვინ იცის საკუთარი დიდების ქვეშ დაღუპულიყო, რაც არა ერთხელ მომხდარა ბუნებაში, რამეთუ არავინ ყოფილა და არც იქნება ყველაფრის მფლობელი სამუდამოდ: „მრუდე არ შეიძლება სწორედ იქცეს ან ის რაც არ არსებობს ჩაითვალოს არსებულად. აღარ არსებობს სიკვდილის ცეცხლოვანი სხივი და არც არავის სცოდნია მისი არსებობა!“.

გავიდა ხანი. ლარსას უხუცესთა საბჭომ გაითვალისწინა ადრე არსებული ხარვეზები და შვიდი წლის განმავლობაში ქალაქს ზღუდეები კიდევ უფრო გაამაგრა, ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციები დაამატა. ასურელ მეომართა გვამებს და აღჭურვილობებს, კოშკებსა და ურნალის სატყორცნ მანქანებს ასევე შვიდი წლის განმავლობაში წვავდნენ. ამ დროის განმავლობაში ლარსას მოსახლეობას შეშისათვის ტყეში წასვლა აღარ სჭირდებოდათ. ამის გამო ლარსას ტყეები გახშირდა, აივსო ნადირ-ფრინველით, წყლის დონემაც აიწია.

ბევრს უნდოდა ლარსას მოქალაქეთ გახდომა და ამიტომ ხალხის რაოდენობას ზრდის გამოისობით უხუცესთა საბჭომ დაადგინა კრიტერიუმები თუ ვის შეეძლო ლარსას მოქალაქედ გახდომა და აქ მთვარი იყო პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობები.

ამავე დროს დაიწყო და შემდეგ კი ტრადიციად იქცა ლარსას ცნობილი ღამისეული კარნავლები, რომლის შესახებაც არა-ერთი და ორი აღფრთოვანებული სტროფი უძღვნეს ქალაქის მემატიანეებმა. ეს იყო სიხარულისა და ნეტარების, მეძავთა უსირცხვილობისა და ღვინის ზღვების, ანთებული მაშხალების ფერხულისა და ორგიული უსაზღვროების მუდმივი ღამეები.

ლარსამ დათესა უძლეველობა და ახლა მოსავალს იმკიდა. ერთ დროს ღირსეულმა ქალაქმა დაივიწყა თავისი მხსნელი. ყველაფერი ზეციდან მოვლენილად ჩათვალა და მიწაზე ხსნას აღარ დაუწყო ძიება. დიდი ხსნისა და გამარჯვების უკვდავ-საყოფად ქალაქის მესვეურებმა ცენტრში აღმართეს ღვთივ-დაცული ლარსას დიდების ტაძარი, რომელიც დღემდე დგას და ახლა იესო ქრისტეს მიმდევრებს ემსახურება.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უხუცესთა საბჭოს ბაღის ყოფილი მებაღე და უკვე ლეგენდად ქცეული მოხუცი ჰადესი კვლავ ესტუმრა ერთ დროს მის მიერ გადარჩენილ ლარსას და მის დიდების ტაძარს. შემდეგ საბიჯგველს დაყრდნო-ბილმა, წელში ათასგზის მოკაკვულმა ჰადესმა ჩამოუარა უკვე სრულიად გადაკეთებული ლარსას ქუჩებს და მოედან-გზაჯვარედინებს, ბაზრებსა და ქალაქის აბანოებს. ესტუმრა ერთ დროს უხუცესთა საბჭოს და მის ცნობილ ბაღს, რომე-ლიც უკვე ბოტანიკურ ბაღად გადაეკეთათ და ერთი ლარსელი შეძლებული კაცი ფლობდა. რა თქმა უნდა, უხუცესთა საბჭოს

არც ერთი წევრი ცოცხალი აღარ იყო. მათი ადგილი ახალმა უხუცესებმა დაიკავეს. ერთ-ერთი მათგანი, როდესაც იგი ბავშვი იყო, ჰადესთან მებაღეობას სწავლობდა, ჰადესმა მას ხეხილის გასხლვა, დამყნობა და ახალი ჯიშების გამოყვანა ასწავლა. ახლა იგი უხუცესთა საბჭოს უფროსი იყო, და ბოტანიკურ ბაღსაც დიდ ყურადღებას უთმობდა. ჰადესი თავის ყოფილ მოწაფეს დიდხანს ესაუბრა და გაარკვია, რომ ამჟამად იგი და უხუცესთა საბჭოს ყველა წევრი ხელფასს იმ მდიდარი ლარსელი მოქალაქისგან იღებდნენ, რომელცი ბოტანიკურ ბაღსა და ლარსას მრავალ სხვა შენობასაც ფლობდა. ერთ დროს დემოკრატიის ბურჯი ლარსა თანდათან მისი ერთი მდიდარი მოქალაქის მფლობელობაში გადავიდა, რაც უკვე დემოკრატია აღარ იყო.

ჰადესისათვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. მან უფრო ღრმად იწამა ადამიანთა უმეცრება და ღვთივ დაცული ლარსას დიდების ტაძარს უყურებდა როგორც პაროდიის აპოთეოზს, მარამ ნამოქმედარის შეფასებაზე უარს ამბობდა რამეთუ ყოველგვარ საქმეს უფალი განსჯის, ცუდია იგი თუ კარგი.

„და მომითხრო ეს ამბავი აღმოსავლეთის ერთმა ბრძენმა მოხეტიალემ, სხვადასხვა ქვეყნებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ აღსასრულის მოლოდინში, ამ ეკლესიის მზიან კიბეებზე რომ იყო გაშოტილი და გიამბე შენც, ეფენდი! ცნობისმოყვარეობით აღსავსე უსაქმოთ მოყიალეს, ერთი ვერცხლის საფასურად“, თქვა ალაჰის მსახურმა მეზღაპრემ და თავისი თხრობით კმაყოფილი დადუმდა.

„სად მიიცვალა აღმოსავლეთელი მოგზაური?“ ვიკითხე მე.

„წინა ღამით რომ მიიძინა, როდესაც დილით გავიღვიძე იქ აღარ დამხვდა, სადღაც გაქრა. აი იქ იყო“, თქვა მეზღაპრემ, და გალავნის ჩრდილო-დასავლეთის ალაყაფის კარებისკენ მიმითითა.

„კარგი ამბავია, ანალიზიც ზუსტია, მხოლოდ ერთს გეტყვი მეგობარო“, ვთქვი მე და აქლემი შადრევნების აუზის გვერდით ჩატანებული გისოსიდან ავხსენი.

„და მაინც ეს ქალაქი მსოფლიოს მპყრობელი შეიქმნება“, დავამატე შემდეგ და აქლემზევე შემოვჯექი, რომელმაც წამოყლაყვა დაიწყო.

„რადგან ამას თქვენ ამბობთ ეფენდი, ალბათ ასეც იქნება“,

თქვა მეზღაპრემ და კვლავ ჩემს დამტვერილ ბიზონის ტყავის სქელ ლანჩიან ფეხსაცმელს დააკვირდა.

„თუ რამეს ხვდები, ჩუმათ იყავი. მეტჯერ აღარ მოვალ, მაგრამ შიში ნუ გექნება“, ვთქვი მე და მეზღაპრეს თვალი-თვალში გავუყარე, აქლემს სახრე ოდნავ შემოვკარი და გალავნის ჩრდილო-დასავლეთის ალაყაფის კარებისაკენ ტაატით გავემართე.

სამი გასროლა

საღამო პირი იყო, თუმცა ჯერთ კიდევ დღეობდა. მთის მწვერვალებში დაისის სხივები ალისფრად აელვარდნენ. ელვათამაში თანდათან ჩაცხრა და მალევე ჩამობნელდა. მთაში სიბნელემ უეცრად იცის შემოსხლტომა. ცამრგვალზე ჯერ კიდევ ნათელია და მასზე გაფენილი ნისლის გამჭვირვალე ფარდა განსაზღვრულ დროს შეირხევა, ატალღდება და მაშინვე ბნელ ფონად იქცევა, რომელზედაც ვარსკვლავები აციმციმდებიან. ხდის ხეობის ბოლოდან მარწყვის ჭალისაკენ გრილმა ნიავმა წამოუბერა და უფრო ნათლად გამოკვეთა მთებში ჩავარდნილი მდინარის ხრიალი.

კლდის ქიმთან, პატარა ვაკე ადგილას, ორ ნაბადწამოსხმულ მონადირეს კოცონი გაეჩაღებინა, რომელიც უკვე მინავლებული იყო. მომავალი ღამის ბინდ-ბუნდში ძლივს მოჩანდა მათი ყაბალახ-ჩამობურვილი ქარდაკრული სახეები. ვახშამი მოეთავებინათ და გვერდულად წამოწოლილები ჩიბუხს გემრიელად აბოლებდნენ. მალიმალ იპურჭყებოდნენ და ისევ აბოლებდნენ. კარგა ხანია ჩუმათ გარინდულან საკუთარ ნირვანაში ჩაღრმავებულები.

ერთს რუმბივით გასიებული, დაჟეჟილ-დამტვრეული ფეხი უხერხულად განზე გაედგა.

„რაღა ეხლა ვიღრძე ეს ოხერი“, დაარღვია სიჩუმე ფეხგასიებულმა.

„თავიდანვე ვგრძნობდი უკეთურს. ორი დღეა დავბორიალობთ კლდე-ღრეში და აბა რა ხეირი ვნახეთ. ახლა ეს ფეხიც ზედ დაემატა. ხელცარიელი როგორ დავბრუნდეთ. ხალხი რას იტყვის?“

„ხალხი რას იტყვის?“ გადაეკითხა მეორე.

„გეტყვი რასაც იტყვის, ნადირობის ქალღმერთმა დალიმ

დასაჯაო, იტყვიან. ბოლო დროს ბევრი მონადირე დახეიბრდა, ზოგს ხელ-ფეხი გაუხმა, ზოგიც კლდე-ღრეში ჩაიკარგა. აღარ ვართ პატივსაცემი ადამიანები. ხალხი საქონელს ამრავლებს და ნადირობას ივიწყებენ, თუმცა არა უშავს, გულს ნუ გაიტეხ. ხომ იცი ჯიხვებზე ზოგჯერ ერთი კვირა ნადირობენ. ცოტას შევისვენებ და მარტო წავალ“, თქვა მეორემ, მერე გვერდი იცვალა, ჩიბუხი გააბოლა და ფეხგასიებული დაამშვიდა,

„განთიადისას ჯიხვეთში ავალ, აუცილებლად დავთოფავ. ოღონდ მთვარემ იმძლავროს, მის შუქზე სიარული არ მიჭირს, პირველად ხომ არ ვარ ამ მხარეში“, დაამატა შემდეგ.

„ვიცი რომ პირველად არ ხარ, არც ჯაბანი გეთქმის“, დაემოწმა ფეხგაციებული, „მარტოც შესძლებ ნადირობას, მაგრამ გული ცუდს მეუბნება, ნაღდად დანავსულები ვართ“.

„კარგი. გეყოფა. მაგაზე აღარ ილაპარაკო. რაღაცას შეგიჯდა და ვერ ჩერდები. გუნებას მიფუჭებ. აღარ თქვა რომ დანავსულებიო ვართ. აბა გაიხსენე შარშანის წინ ათენგენობამდე ზუსტად ერთი კვირა როგორ დავხეტიალებდით ქვა-ღორღში. მაშინ დანა კბილს ვერ გიხსნიდა. კარგა ხანი კრინტი არ დაგიძრავს. მაგრამ ას ორმოც კილოგრამიანი ჯიხვი დავაგორეთ. ჯიხვების ხელმწიფე იყო. ძლივს ჩავიტანეთ შინ. მისი რქები ახლაც ჰკიდია წყაროს თავზე“.

ვინც ამას ამბობდა, მეორესთან შედარებით უფრო დაძარღვული, ხმელი და კოჭდაბალა ჩანდა. ეტყობოდა, რომ ნათქვამის მაინც და მაინც არ სჯეროდა.

ისევ გაყუჩდნენ. ისეთმა სიმყუდროვემ დაისადგურა ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე. საკუთარი გულის ფეთქვასაც გაიგონებდი. მერე კი ფეხგასიებულმა ჩაფიქრებულად ჩაილაპარაკა:

„ძალიან ივაჟკაცე, უბედურად მოვწყდი, ვალში ვარ“.

„ყველანი ღვთის შვილები ვართ“, მიუგო მეორემ და ჩაბნელებულ ჭიუხებს ახედა. სისუფთავისა და აღტაცების სამეფო იყო.

ფეხგასიებულმა არაფერი უპასუხა. ჩიბუხის მოწევას განაგრძობდა. გვიან ღამე კი მეორე წასასვლელად მოემზადა, ნაბადი და ყაბალახი გვერდზე გადადო, პაჭიჭებს თასმები შემოუჭირა, თოფი და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

„ხვალ შუადღისთვის მელოდე“, თქვა მონადირემ და სიბნელეში გადააბიჯა.

მცირე ხნის შემდეგ მონადირე მონდომებით მიუყვებოდა გზას. ძნელი სავალი იყო. განსაკუთრებით ღამე. თუმცა, თითქმის სრული მთვარე საკმაოდ ანათებდა და უცნაური ჩრდილებით ავსებდა მიდამოს. გზა ჯერ ხევხუვის პირებს მიყვებოდა, რამდენჯერმე მთის მარდად მორბენალ მდინარესთან ჩაივაკა, გადაახტა წყალს იქით-აქეთ გადებული მორების საშუალებით. მერე თანდათან შედარებით სწორი ადგილები დამთავრდა და ბილიკი ჯიხვეთის სახელმწიფოსაკენ მიმავალი ციცაბო-კალთებიან ბასრი ქვებით დაფარულ აღმართებსა და ნაპრალებს გაჰყვა. გზა ხან მცურავივით მაღლა მიიკლაკნებოდა, მერე დიდ ტინს რომ შემოუვლიდა და გადალახავდა უეცრად სიბნელეში მოწყვეტით იკარგებოდა. მერე კი კვლავ აღმართს შეუდგებოდა მონდომებით. სახიფათო ადგილებში მონადირემ რამდენჯერმე ხელებიც მოიშველია. ზოგჯერ ხოხვითა და ხელის ცეცებით მიიწევდა წინ. რამდენჯერმე შეჩერდა. კარგად აკვირდებოდა გასავლელ ბილიკს, ხავსიან შვერილზე შეიძლება ფეხი მოსხლტომოდა. სწორედ ხავსიან კიდეზე დაუცდა გუშინ ფეხი მის მეგობარს, უზარმაზარ უფსკრულში გადაიჩეხა, მაგრამ მხსნელი ანგელოზი არ თვლემდა. ათიოდ მეტრის შეუკავებელი ვარდნის შემდეგ კლდის პატარა შვერილზე დაეცა, გონება არ დაკარგა და თავი შეიკავა. რომ არა მისი მონდომება მეგობარი ფეხებ და ნეკნებ დამტვრეული დაცემის ადგილიდან ბილიკზე დამოუკიდებლად ვერ ამოვიდოდა და ყვავ-ყორნების საჯიჯგნად სამუდამოდ უფსკრულში ჩარჩებოდა.

ბოლოს ბილიკმა ისეთი უფსკრულების თავზე დაიწყო გადავლა, თუ ფრენა არ იცოდი გული შეგიქანდებოდა. აქ უკვე ჯიხვების ქვეყანაში შესასვლელი იწყებოდა. მონადირე ბევრჯერ მარტო ხელის თითებზეღა იყო დაკიდებული. იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელსაც ორი თითით შეეძლო თავი უფსკრულის ქიმზე შეეკავებინა და არათუ შეეკავებინა, ტანი აეზიდა კიდევაც. აქ გადაჩეხილი კი უფსკრულის ძირამდე სულს ვერ ჩაატანდა.

ჯიხვებზე მონადირენი განსაკუთრებული და ფრიად შეუპოვარი ხალხია. ჭიუხებში მავალ მონადირეებს არაფერი აშინებთ. მათ მიერ გავლილი გზა მართლაც რომ საოცარია. ტყუილად კი არ უთქვამთ ძველებს:

„ჯარჯი ნუ მისდევ ჯიხვებსა...
ჯიხვების განავალი კლდე რო ნახო გაგიკვირდება,
მათგან განავალ გზაზედა თოვლი არ მეეკიდება
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცს, რა კარგი წაეკიდება“.

მონადირემ კლდეები აათავა და ზეცაში თამარის კოშკივით აღმართული წითელი ხავსით დაფარულ დაუწყო მთას შემოვლა. ტინის რამდენიმე უზარმაზარი თაღის ქვეშ გაიარა და ოდნავ ქვევით, ქარისაგან დაცულ ადგილზე დაეშვა. აქ ქრისტიანი ქისტების მიერ ქვანაშალისგან მტკიცედ აგებული დაბალი სალოცავი იდგა. მის სასთუმალთან ქვის უზარმაზარი ჯვარი იდგა. ამ ადგილას უკვე რამდენიმე საუკუნეა ქრისტიანობა და წარმართობა მშვიდათ თანაარსებობდნენ. აქ მხოლოდ რჩეული ხალხი მოდიოდა, გარშემო ჯიხვების რქები, ნეკნები და ფრინველების ექსკრამენტები ეყარა. აქ თითქოს დრო გაჩერებული იყო. მონადირეც მცირე ხნით შეჩერდა. სალოცავს ძალა განთიადის პირველი სხივების დროს ჰქონდა და ეს დროც მალე დადგებოდა. მონადირე კი უფრო ზევით მდგომ ოდნავ განათებული მთის ახალი კოშკისაკენ მიმავალ მაღალ აღმართს შეუდგა. იქ საჯიხვეთის დედაქალაქი იყო.

ქვიშიან ფერდზე მიდიოდა. ფეხები ფხვიერში ეფლობოდა, და სწრაფად უნდა მოენაცვლებინა თორემ სადაც რამდენიმე წამის წინ იდგა ისევ იქ ჩამოცურდებოდა და ნაბიჯი წინ და ნაბიჯი უკან გამოვიდოდა. მონადირე დაიღალა. მგლის მუხლი მოეღალა. გულიც გამალებით უცემდა. არ ჩერდებოდა. აუცილებელი იყო მიზნისათვის განთიადამდე მიეღწია, სხვაგვარად ჯიხვს ხელთ ვერ მოიგდებდა. როგორც იქნა აათავა ქვიშნარი აღმართი და გათენდა კიდევაც. ერთ სწორ ადგილას ჩაიმუხლა, დაასვენა სული და გული. თოფი გაამზადა და ლოდინად იქცა.

* * *

ქვემოთ უკვე ჩაფერფლილ კოცონთან ფეხგასიებულიც ლოდინად იყო ქცეული. წყაროზე ხელ-პირი უკვე დაებანა და ახლა სიპზე წამოწოლილიყო, თავი მელოტ გუდაზე ჩამოედო და უკვე განათებულ მიდამოს ზვერავდა. დაძარღვული ჭიუხებს გრანიტის ფართო მოსასხამი შემოეხვიათ, მიუვალ ზეცაში აჭრილიყვნენ და უტყვად დაჰყურებდნენ ზვიად სამყაროს,

რომლისკენაც თითქოს შარდავენო ბროლისფერ წყალს ხან ჩანჩქერებათ და ხანაც ნაკადულებად აგზავნიდა.

კაცს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, თითქოს რაღაცას ელოდა, გონებით მთის იმ გრეხილსა და უღელტეხილს გადაწვდა საითკენაც მეგობარი დოსტი წავიდა. მერე ფიქრით უკან დაბრუნდა, ბოლოს იმ ქალზე დაიწყო ფიქრი, რომელიც თავის დროზე სხვას დაუთმო, ჩაიცინა და ახლა გამარჯვება-დამარცხების მარადიული საკითხისა და დროთა ბრუნვის გამეორებების სავარაუდო შესაძლებლობების ანალიზის საიდუმლო ლაბირინთებს გაჰყვა.

* * *

ზევით უღელტეხილზე გარიჟრაჟის სხივებმა გამჭვირვალე ბურუსი გაჰფანტა და ოქროსფრად შეღება კავკასიონის სწორუპოვარი მწვერვალები. გარშემო მხოლოდ მყინვარები, მუდმივი თოვლი და წაურყვნელი ჰაერი იყო. ნისლისფერი ცა და კლდეების რუხი მასა უცხო ქვეყნის გაშეშებულ სურათს ჰქმნიდა.

მონადირემ სამალავი მიატოვა და უღელტეხილის დასაზვერად ოდნავ წინ გადაინაცვლა, მერე უფსკრულის პირზე გადახოხდა და მომცრო ტაფობს გადაიხედა. აქ სათვალთვალოდ უფრო მოხერხებული ადგილი შეარჩია. თოვლმა თვალები აატკივა. დილის ცვარ-ნამში მზის სხივები ცისარტყელასავით აბრჭყვიალდნენ. სამიზნე გამართა თუ არა მარჯვნივ ქვიან ფერდობზე ჯიხვების რამდენიმე ოჯახი შეამჩნია. ამათი უფროსი, უშიშარი და გულადი ხარ-ჯიხვი ქვემოდან მიუყვებოდა ფარას. ცოტათი წინ ახალგაზრდა ცოლ-ჯიხვები და მაღალი ერკემლები მიდიოდნენ. ისინი ფარის თვალები და მცველები იყვნენ. წინ ოჯახის პატარა წევრები მიკუნტრუშობდნენ. გზა-დაგზა ერთმანეთს რქებს ურქენდნენ, კლდის ქიმზე შეხტებოდნენ და მიდამოდ ყოჩაღად გადმოჰყურებდნენ. ზოგჯერ უფსკრულის პირის უკიდურეს ქიმზე ჯიხვი უკანა ფეხებით დგებოდა და რქებით ბილიკისაკენ მიტრიალდებოდა ხოლმე. ელოდა მეორე ჯიხვის მთელი ძალით დაჯახებას. მათი ჯახის ხმა მთელს ხეობაში გაისმოდა ხოლმე. ასეთი ჭიდილი ზოგჯერ ორივე ჯიხვის დაღუპვით მთავრდებოდა, მაგრამ მეტწილად კლდის ქიმზე თავისთავში მეტისმეტად დაჯერებული ჯიხვი დგებოდა. განსაკუთრებით მარჯვენი მშობლებს რქებიან

თავებზე ახტებოდნენ. ჯიხვების არნახული სიმარჯვე სწორედ ბავშვობაში ასეთი ლაღი თამაშობებისაგან იწყებოდა. ვერავინ, გუმანითაც კი ვერ გრძნობდა საფრთხის მოახლოვებას.

მონადირესა და ჯიხვების ფარას შორის მდებარე პატარა ხევში მყინვარის ენა ჩაწოლილიყო. კაცს ტანში შურ-სისხლიანმა ჟრუანტელმა დაუარა, ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმოსადგენ ხარ-ჯიხვს დაუმიზნა. ქარი მისკენ ჰქროდა, ამიტომ მონადირე კიდე ათიოდ მეტრზე გახოხდა, მოხერხებულ სიპზე გაიჭიმა, საგულდაგულოდ დაუმიზნა და ისროლა. შეხტა ბუნების მშვენება, მაგრამ ალბათ უფრო შიშით, ვიდრე ტკივილით. ტყვიამ მხოლოდ მუხლთან გაკენწლა მსუბუქად.

„ჰაიტ შე სამგლევ შენა“, დაიღრიალა მონადირემ.

ტყვია ჯერ კიდევ ჰაერში იყო როდესაც მან უკვე იცოდა, მიზანს დააცილა, მისი ღრიალი თოფის გრიალს გადაეხვია და მთებმა რამდენჯერმე გაახმიანეს. ქუხილმა სელგისა და მალა-ჩოჩქორის ხეობებს შემოუარეს, მერე უფრო შესუსტებული უკან დაბრუნდა. ყუროდან ბანი აიღო და ხევის პატარძლისაკენ ეჰოდ ჩაიკარგა.

სროლის ხმაზე ჯიხვები ახტნენ-დახტნენ და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. პატარა ციკნები და ვაცები არ შეშინდნენ, თამაში თითქოს გააგრძელეს და მშობლებსა და სხვა დარბაისელ ჯიხვებს ჩამოცილდნენ. ერთი კოხტა ვაცუკელა მონადირეს ძალიან მიუახლოვდა. მაღლიდან ცერად დაიჭირა და მიდამოდ ყინჩად გადმოხედა. სიპის უკან გაწოლილ-გაშოტილ მონადირეს ცნობისმოყვარეობით დააცქერდა და თან თოფის ლულას თვალს თამამად უსწორებდა. რამდენიმე წამს ბუნების ორი შვილი ერთმანეთს უყურებდა. ვაცუკელა თითქოს კაცს ეუბნებოდა:

„რა გაწუხებს, რამ გაგამწარა. აგერ თავისუფლების ქვეყანაში ვართ. დაივიწყე საიდანაც მოხვედი. განთავისუფლდი. გავეთამაშოთ ერთმანეთს. მე თავზე გადაგახტები, შენ კი მე გადამახტი და ნახავ რა კარგი იქნება“.

მერე ვაცუკელამ თავქვე მიმავალ ციკნებისაკენ ჩაირბინა. ჯიხვების ერთი ჯგუფი მონადირის წინ მყინვარის გადაღმა მდებარე ხეობის ვიწრო ფერდს გაუყვა. ახლა მათთვის გზა თავისუფალი და უხიფათო იყო. არ გასულა დიდი ხანი და გარშემო ჯიხვების ჭაჭანება კი არ იყო.

მონადირე ბოლმისაგან კინაღამ გასკდა. გული უსივდებოდა. იგი მესაქონლე არ იყო და პატარებს არას ერჩოდა. ამ მხარის სწორუპოვარი ჩუბინი თავს მხოლოდ ნადირობით ირჩენდა. ახლა კი ხელმოცარული დარჩენა დიდ პრობლემებს უქმნიდა.

მონადირე საკმაო ხანს დახეტიალობდა ნაპრალებსა და უფსკრულებს შორის. არც ზვავსაშიშ ადგილებს ერიდებოდა. ეს ისეთი ადგილებია, რომლებიც კაცმა მკვირცხლად ხტომა-ხტომით უნდა გაიაროს, რადგან ოდნავ შეხებამ შეიძლება ქვიშა დააცუროს და ზემოთ მდებარე კენჭს საფუძველი გამოაცალოს. საფუძველ გამოცლილი კენჭი კი დაცურდეს და თავის მხრივ შეიძლება ქვა დააცუროს, ქვამ კი შესაძლებელია ლოდს ძირი მოურყიოს, ხოლო ლოდმა კი ტინს, შედეგად დიდი ქვა-ღორღის მასა დაიძვრება და ყველაფერი გრიალით უფსკრულში გაქანდება. შემდეგ ბუნება დაწყნარდება და ქვიშა-კენჭის ახალ დაძვრას დაელოდება. ასეა მუდამჟამს და ასე იცვლის ბუნება და გარემო იერს. რამდენიმე ხანში ხევების ადგილი სწორი ხდება ან პირიქით. დიდი კანიონი კი გამუდმებით სიღრმეში მიიწევს.

დახეტიალობდა მონადირე ამ გარემოში და როდესაც დაიღლებოდა იჯდა და გადაჰყურებდა პიტალო კლდეებს, არ იცოდა რა მოემოქმედა. მეწყვილე დოსტის გარეშე დარჩენილი უიმედო მდგომარეობაში იყო. დრო და დრო ზეცას ახედავდა. მახვილთვალა ძერები დასტრიალებდნენ. მონადირე ერთს ლაზათიანად შეიკურთხებდა და უაზრო ხეტიალს აგრძელებდა. უხალისოდ წაიხემსა. მათარიდან კარგა ბლომად ჟიპიტაური მოსვა და კვლავ ჯიხვების ძებნა განაგრძო.

ბოლოს ბედ-იღბალს დამორჩილებული, დაღლილ-დაქანცული, კლდის ძირას ცივ ხავსგადაკრულ ლოდებზე წინა ღამით უძილო თვალის მოსატყუებლად მიწვა. კარგა ხანს იწვა. ცდილობდა აფორიაქებული სულის დაშოშმინებას. ბოლოს ჩასთვლიმა კიდევაც.

შემდეგ კი საშინელმა და მისი ცხოვრების ისტორიაში ყველაზე უცნაურმა სიზმარმა გამოაღვიძა. დიდხანს ვერ გამოფხიზლდა, ნასიზმრალსა და ცხადს ვეღარ ანსხვავებდა. ესიზმრა:

„ყრუ ღამეში შორეული გუგუნი ახლოვდებოდა. სინათლით აჭახჭახებულ გარემოში ფეხქვეშა საფუძველი ტოკავდა,

იბრიცებოდა. სინათლის მიღმა შავ ფარდაში წყლის მთები მოხაზულობებს იცვლიდნენ. შორეული ვარსკვლავები კი სანთლებივით იღვენთებოდნენ გაპრიალებულ სიცივეში. ის და ფეხგასიებული ჯერ სინათლეში ირყეოდნენ, მერე კი შავი ფარდის მიღმა წყლის მთებში გადავარდნენ. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა, დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. როდესაც გონს მოვიდნენ და წყლის ზედაპირზე ამოყვინთეს, გემი რომელზედაც იყვნენ ნისლისფერი სიზმარივით გამქრალიყო.

კარგა ხანს იყვნენ ყინულივით ცივ წყალში. თავს ძლივს იკავებდნენ. ქვევით იძირებოდნენ და მერე კი ზევით ამოდიოდნენ. წყლის ზედაპირზე ამოტივტივებულებს ზევიდან ჩანჩქერის შხეფები ესხმოდათ. მერე ფრთების საზარელი ტყლაშუნით თეთრადმანათობელი უზარმაზარი ფრინველი მოფრინდა. იგი წყლის მთების გადაღმიდან გამოსხლტა და ზეციურ სხივს ირეკლავდა. ფრინველმა ფეხგასიებულს ნისკარტით კეფა ჩაუმტვრია და ზღვის სტომაქში უკრა თავი. თეთრმა ურჩხულმა ახლა მისკენ გამოიწია, შემართა უშველებელი კოჟრიანი ნისკარტი და კვერცხისხელა თვალით გადმოხედა. ზარდაცემულმა დაიღრიალა და... გამოეღვიძა“.

ეწვიმა, მაგრამ წვიმით გალუმპული მაინც ოფლად იღვრებოდა. დიდხანს იწვა და იმტვრევდა თავს თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. სოფელსა და მთებს არასოდეს გასცილებია. წერა-კითხვაზე და წიგნებზე ყოველთვის მწყრალად იყო. მისი და წინა თაობის ხალხის ცხოვრება ზოგჯერ ერთი სოფლის სანახებით იფარგლებოდა. მეზობელ სოფელში სტუმრობა დიდ მოვლენად ითვლებოდა. ზღვა და გემი ხომ არც მას და არც ფეხგასიებულს არასოდეს ენახათ. ცურვა არ იციან. მხოლოდ წიპანრების გადმოცემით გაეგოთ, რომ სადღაც შორს, ცხრა მთას იქით უშველებელი, ერთმანეთში გადახვეული უამრავი მდინარეა, რომლებსაც ზღვას უწოდებენ ზღვაში ადამის ძის გაკეთებული დიდი კიდობნები დაცურავენ. ჰაერში ფასკუნჯები დაფრინავენ, წყალში კი გველეშაპები ბინადრობენ.

მონადირეს სული აუფორიაქდა. ასეთ რამეებზე არ ფიქრობდა ხოლმე. უცხო ზმანების სურათები იშვიათად ესტუმრებოდნენ და რეალობაში არასოდეს გადმოდიოდნენ. გულში სიმძიმე ჩაეღვარა. სულმა სახლისკენ გაუწია, სასაფლაოსა და პარაკლისის განწყობა დაეუფლა. მერე სოფელი გაახსენდა, გრძელი

ხეობის თავზე გაშენებული ბანიანი სახლებითა და მწირი სათიბებით. სახლში ცოლ-შვილი და მოხუცი მშობლები გულის ფანცქალით ელიან. ელიან მეზობლებიც, მისი წარმატებული ნადირობით განებივრებულები. ელის მამა, ბებერი შერმადინი და პაპა, სოფლის პატრიარქი ვაჩეგანი. ისინი ხომ ყოველი ნადირობნის წინ დალოცავდნენ ხოლმე ძველი ადათებითა დღევანდლამდე მათი ლოცვა ყოველთვის ჭრიდა, მაგრამ ახლა საქმე შეიცვალა. რაღაც შეუცნობელი ხდება. უხილავი ხელი გააქტიურდა. საჯიხვეთის ქვემოთ ფეხგასიებულია. მის გარეშე უკან ვერ დაბრუნდება. მოუთმენლად ელის მის დაბრუნებას. უჭირს ძველ მეგობარს. მარცხი შეემთხვა. ბედმა უმუხთლა და გუშინ სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ის რომ არა ყველაფერი დასრულდებოდა, ახლა რა უშავს, როგორმე მიაღწევენ სოფელს, აუცილებლად მიაღწევენ, გაიჭირვებენ და შესძლებენ, რათა მერე კვლავ ერთად წავიდნენ სანადიროდ. ძმობაში სხვა არჩევანი არ არის. ნეტავი რაიმე ხომ არ შეემთხვა ქვემოთ? რატომ მიგუმანებს გული ცუდს? ეჰეი ძმაო! ცოტათი შეიცადე, ახლავე ჩამოვალ და ერთად გავწევთ შინისაკენ. მომჯობინდები და ისევ ერთად გავუტევთ საჯიხვეთისაკენ მიმავალ ბილიკებს.

მზე უკვე შუბის ტარს გადასცდა, როდესაც მონადირემ მთავარი ხეობის ძარღვს მიაღწია. მზის თაკარა სხივებით გაბრუებული მთვარეულივით მიეშურებოდა წინ. ახლა ამ გრძელ ბექობს შემოუვლის და ფეხგასიებულსაც მალევე შეხვდება.

უეცრად ქვემოთ, მარწყვის ჭალას თავზე მოძრავ წერტილს მოჰკრა თვალი. წერტილი თანდათან გაიზარდა და, მერე ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

ჰორიზონტის კუთხიდან ამოიმართა ჰაერში მოლივლივე თეთრი სხეული, რომელიც ხეობის გასწვრივ სწრაფად მოფრინავდა. ძერას ან არწივს არ ჰგავდა. მათზე ბევრიად დიდი იყო. ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობდა ფრინველის ძლიერი ფრენა-რწევა, ფრთების ოდნავ შესამჩნევი დაქნევით რომ იცვლიდა უკიდეგანო მოსარკულ სივრცეში მიმართულებას.

მონადირე კარგად დააკვირდა და იგრძნო თუ როგორ აიტაცა ნადირობის ჟინმა ანუ მკვლელობის ინსტინქტმა. თოფი შემართა და თითქმის დაუმიზნებლად ესროლა. ძალიან შორი ნასროლი იყო. აქედან მიზანში მოხვედრება წარმოუდგენლად ძნელი ჩანდა და, მონადირეს მით უფრო ეამა, როდესაც დაინახა

რომ ფრინველი, რომელშიც უკვე აშკარად შეიცნო სიზმარში ზმანებაში ნახული თეთრი ურჩხული, შეტოკდა, მიმართულება მძიმედ შეიცვალა და დაკოდილი მიწისაკენ ცერად დაეშვა. ფრინველი-ფასკუნჯი მძიმედ დაეჯახა მარწყვის ჭალის ერთ-ერთი ტინის შვერილს. ახლტა და ხეობის ძირში ქვებზე გადაგორდა.

* * *

ალბატროსი სამხრეთის ნახევარსფეროდან მოფრინავდა. სამი დღის წინ მან სტარტი პრინც ედვარდის კუნძულზე აიღო. გადაუფრინა იოჰანესბურგს და რამდენიმე საათით შეყოვნდა კილიმანჯაროს თოვლიან მთაზე, სადაც უფლის სათათბიროს ბრძანება მიიღო კავკასიიის ხდის ხეობაში სპეციალური მისიის შესრულების შესახებ. საათში 80 მილის სისწრაფით მფრინავმა ალბატროსმა თითქმის მიაღწია მიზანს და განსაზღვრა კიდევაც ობიექტის ადგილმდებარეობა, მაგრამ იმ კაცის გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა, რომლის დაცვასაც აპირებდა.

* * *

ორი დღის შემდეგ მთამსვლელთა პატარა ჯგუფი წააწყდება მის უკვე ძლიერად დაკორტნილ გვამს. უცხო ქვეყნიდან იყვნენ, შორეული ალბინოსიდან. ადრე მათ მსოფლიოს უამრავი მთიანი ქვეყანა მოევლოთ და ახლა კი კავკასიონისა და ალბინოსის ქვეყნების ნათესაურ კავშირებს იკვლევდნენ. მთამსვლელთა ჯგუფში ორი მეცნიერიც იყო. ერთს შაპირო ერქვა და მეორეს კი ალფრედ ნავიგატორი. ისინი ფრინველის სულგაცლილ სხეულს ყურადღებით დააკვირდნენ.

„ამ მთების შვილი არ არის ეს სულდგმული“, გაოცებულმა აღნიშნა შაპირომ.

„სამხრეთ ატლანტიკის ოკეანის ბინადარს აქ რა უნდა?“ კვერი დაუკრა ალფრედ ნავიგატორმა.

ბევრი იმსჯელეს, მაგრამ პასუხი ვერ მოძებნეს. ერთი კი ცხადი იყო. ფრინველი, რომელიც თავისი თანამოძმეებისაგან განუსაზღვრელად გამოირჩეოდა სიდიდით, რომელიღაც მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზნისაკენ მიემართებოდა. მას ალბათ არაერთი ათასი მილისათვის გადმოეხედა ღრუბლებიდან, ვიდრე კავკასიონის მრავლისმნახველ ქედებს მოაშურებდა. აქ

კი ბედის უკუღმართობით მის ხანგრძლივ, განწირულ ფრენას დაუნდობელი ტყვიით დასასრული ეწერა.

მალე მთამსვლელები შორიდან მოფრენილი უზარმაზარი თეთრი ალბატროსის გარდა მეორე სხეულსაც ნახავენ... ამაზე რა ეფიქრათ აღარ იცოდნენ. შაპიროსა და ალფრედის აზრით ადგილობრივ ანგარიშსწორებას ჰგავდა ყველაფერი.

* * *

მონადირეს ჯიხვზე უიღბლო სროლით გამოწვეული უკმარისობის გრძნობა ხელად გაუქრა. კვლავ ირწმუნა რომ უპირველესი ჩუბინია.

„ეს ყოველთვის ასე იყო და ასეც იქნება. ცოტა მოითმინე მეგობარო. ჩვენ ხელცარიელი მაინც არ მივალთ სოფელში, უცხო სულდგმული დაგვიმშვენებს მხარს“, ხმამაღლა წამოიძახა მონადირემ და დაცემული ფრინველისაკენ მარდად გასწია.

ფიქრობდა ფრინველი თუ სიზმრის ორეულია და ბოროტების მაშხალაა, ხომ არ აჯობებდა მისი სხეულისაგან სათაყვანებელი კერპი – ფიტული შეექმნა, რომელსაც პერიოდულად მოინახულებდა, მის წინ აშენებულ საკურთხეველზე საკლავს შესწირავდა და დახმარებას სთხოვდა, მონადირეობას თავს დაანებებდა და მესაქონლე გახდებოდა.

ჩქარი სიარულისაგან მოსწყურდა, მათარაში წყალი ეცოტავა და შესავსებად ხეობის ქვემოთ მოსრიალე მდინარისკენ დაეშვა. მთებიდან ჩამოგორებულ უზარმაზარ ლოდებს გვერდი აუარა და პატარა ბექობზე ჩაივაკა. თოფი და ჩანთა ნაპირზე დააწყო და მდინარისაკენ დაიხარა.

ეამა სიარულისაგან გაცხელებულს წყლის სიგრილე, გულიც დაუწყნარდა. წყლიანი ხელი ოფლიან უბეში შეაცურა, ბალნიან მკერდს აუსვ-დაუსვა. ის იყო წამოდგომას აპირებდა, რომ სროლის ხმა შემოესმა. ნაცნობი თოფი იყო. მერე არაფერი გაუგია. მხოლოდ შეიგრძნო, რომ მკერდზე მიდებული თითები გაცხელდნენ. შემდეგ კი ყველაფერი დავიწყების წყვდიადში ჩაიძირა.

* * *

კაცმა თოფის ლულა წყლისაკენ დახრილ ზურგს გაუპირისპირა. ერთხანს შეიცადა. მზერა თითქოს ტყვიის მიმართულე-

ბას გააყოლა. წარმოიდგინა: დენთი და უკუდარტყმა, მანძილი თოფის ლულიდან კაცის ზურგამდე. შემდეგ ფილტვები და გაგლეჯილი გული, გაფლეთილი მკერდი და ჩქერში თავ-ჩამხობილი უმწეო სხეული.

შემდეგ კი თითმა ჩახმახი დასწია.

* * *

საღამოს ჟამსღა მიუახლოვდა სოფელს მონადირეზე მონადირე. დიდი ხნის წინ აკვიატებული აზრი უკვე წარსულს ჩაბარდა. მოსახდენი მოხდა. ძროხების ნავალ ორღობეს კოჭლობით გაუყვა. მონდომებით უვლიდა გზაზე გატყეპნილ ყვითელ სიბინძურეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ხვდებოდა. არავის ამჩნევდა მხოლოდ წყაროსთან თავშეყრილებს მიესალმა თავშეკავებით. თოფი ისევ იმ ლოდს მიაყუდა, რომელზეც ნადი-რობიდან დაბრუნებული მიაყუდებდა ხოლმე. მერე ქვა-სკამზე ჩამოჯდა. იგი პაპამისმა ჩამოაცოცა სოფლის გადაღმიდან, კლდის ძირიდან. ფეხები გაჭიმა, თოფჩიდან ჩიბუხი ამოაცოცა, გაწმინდა, მშვიდად დატენა და გააბოლა. კარგა ხანს წყაროს თავზე დაკიდულ რქებს შეჰყურებდა. აგერ ის პაპამისმა დაკიდა იქ, ესენი კი მან და მისმა მეგობარმა. ფიქრობდა: უცოდვილ-თან ერთად ცოდვილობა თუ გადავა მარადისობაშიო, ჩაითვ-ლება თუ არა ჭიანჭველასა ან ტკიპას გასრესა გამოუსწორე-ბელ ცოდვად. რა საზომით შეიცნობა ცოდვის კაცი?

მეორე მხრიდან რუხ ჩოხებსა და ნაბდის ქუდებში გამოწყობილი სოფლელები შეჰყურებდნენ. საღამოს პირზე იკრიბებოდნენ ხოლმე ერთად საფიხვნოდ. მათ თვალებში სიცივე და ცნობისმოყვარეობა იგრძნობოდა, მის მზერას კი ერიდებოდნენ. მონადირეს დღეს ყველანი განსაკუთრებულად დამონებულ დაბეჩავებულები ეჩვენა. საფიხვნოზე დრო თითქოს ერთ სიბრტყეზე იყო მოქცეული. მხოლოდ დღევანდელი დღითა და წარსულით ცხოვრობდნენ. საზამთრო მარაგი რომ გამოელეოდათ, თბილი დროება დგებოდა, რომლის განმავლობაში ისევ ზამთრის მარაგი უნდა შეევსოთ. არავის აინტერესებდა რა მოხდებოდა რამდენიმე წლის შემდეგ.

იჯდა თავისთვის ძმობისა და ადათის წესების დამრღვევი, ხმა არავისთან გაუღია. ბოლოს ჩიბუხი დაბერტყა, ზურგს უკან მოისროლა, თითქოს წარსულში ზედმეტად ჩატოპაო და მძიმე,

მტკივნეული ნაბიჯებით იმ სახლისკენ გაემართა, სადაც ავად თუ კარგად, ადრე თუ გვიან უნდა მისულიყო.

სოფლის განაპირას, ერთ ბანიან სახლს მიუახლოვდა, და ვიწრო კიბეს მაღლა აუყვა. მისი ბანი მეორე სახლის ეზო იყო, ხოლო მისი ეზო წინა სახლის ბანი. ერთგან ეზო-ბანზე გაიარა და მუხის ხისგან უხეშად გამოჩორნილ აივანს მიადგა. დაბალთაღიანი მძიმე კარი შეაღო. ზღურბლზე შეჩერდა, ოთახის ბინდს თვალს აჩვევდა. სოხანეზე შუა ცეცხლი ენთო, ბოლო კი ჩაშავებული გვირგვინიდან გადიოდა, რომელიც ზედა სახლის ეზოში კონუსივით იდგა. სახლეულები კედლის გასწვრივ გრძელ ტახტზე ფეხმორთხვით იჯდნენ, ხელში შეჭამანდით სავსე ხის ჯამები და გამხმარი ლავაშები ეჭირათ. ისიც იქ იყო. კუთხეში მიმჯდარიყო და თვალებით ზომავდა. გვერდით მოხუცი და თვალისინათლე დაკარგული შერმადინი ეჯდა. კუთხეში კი დამბლადაცემული პაპა ვაჩეგანი იწვა.

მერე ქალი წამოდგა, კერძით სავსე თასი პატარა ბიჭს გადასცა, ჯალაბს გვერდი აუარა და მომხდურის წინ შეჩერდა. მკერდამდე ძლივს უსწორდებოდა.

„სად არის, რა იქნა?“ იკითხა ქალმა.

„ეს ქალი გაშმაგებით მიყვარს და ჩემსავით ბედუკუღმართი და დაწყევლილი მიჯნური ჯერაც არ დაბადებულა“, სიტყვა ყელში ჰქონდა გაჩხერილი.

„ახლა რაღა ვქნათ, საით წავა ჩვენი გზები?“ ხმა გაიღო ბოლოს ფეხგასიებულმა.

„უკუნით-უკუნისამდე...“ წამოიწყო ისევ ქალმა, მაგრამ ვეღარ დაასრულა.

„ვიცი ქალის წყევლას დიდი ძალა აქვს, მაგრამ ეხლა ამას არაფერი ეშველება“, თქვა კაცმა.

გაყუჩებულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. ორივე თავის ფიქრის მორევს გაჰყვა. თითქოს ფერი იცვალა გარემომ, გამუქდა, დამძიმდა, გადასხვაფერდა ყველაფერი, ინტერესი დაიკარგა. კაცმა ნერწყვი გადაყლაპა, შეტრიალდა, გარეთ გამოვიდა და მწირსა და ყინულოვან მთას ახედა. მშვილდივით მოზიდულ სიჩუმეში კვლავ ყურში უწიოდა სამი საბედისწერო გასროლის ხმა.

ლოდინი კარგია

დილიდან მოღრუბლული ცა იყო, მერე კი ჟუჟუნა წვიმა და მზე ერთად მოვიდნენ, დახურული, ოდნავ შემძიმებული გარემო ერთბაშად გახსნეს და სასიამოვნოდ ააგრილეს. წვიმამ მალევე გადაიღო, მზემ კი აეროდრომის ბილიკები ყვითლად ააბრჭყვიალა. აეროვაგზლის შუშებით მოსარკული შენობა თეთრი გემივით თითქოს მყუდრო ნავსადგურიაო ფართო მოედანზე შემოცურებულიყო. მოედნის შორეული კიდეები ნაძვნარის მწვანე ზოლით იყო შემოზღუდული, რომლის იქით დიდი ქალაქის კომუნიკაციები იწყებოდა. ერთ მხარეს რკინიგზის აღმოსავლეთის ტერმინალი იდგა, რომლის წინ უზარმაზარი ზარის მონუმენტი წამომართულიყო. იგი ახალი ეპოქის სიმბოლოდ ითვლებოდა. ზარსა და ბილეთების სალაროებს შორის შადრევნების ოაზისში ორნი საუბრობდნენ, აქედან ყოველი მხარე კარგად მოიხედებოდა.

„არა მგონია თვითმფრინავით გაბედოს ჩამოფრენა. ეს ხომ ფაქტიურად თავის ხაფანგში გაყოფას ნიშნავს. სავარაუდოა, რომ უფრო ქალაქის მხრიდან მოვა“.

„მაგისას ვერაფერს გაიგებ. ათასნაირი ხრიკებით შეიძლება გაგვაცუროს“, მაღალი მოჭუტული თვალით მზეს გაჰყურებდა.

„შეიძლება, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. როდესაც ყველაფერი მთავრდება“.

ვინც ამას ამბობდა სკამზე იჯდა და მეორეს ქვემოდან შეჰყურებდა. თხელი კაცი იყო. კაფანდარა, აი ისეთი როგორ არ უნდა დაბერდეს ყოველთვის რომ ცანცარა დარჩება. ახლა კი მფრინავის ფორმაში სათამაშო კაცუნას ჩამოგავდა.

„მორჩი სენტიმენტალობას. მთავარია არ დავიბნეთ. თუ ყველაფერი ჩვენს სექტორში მოხდება, აუღელვებლად უნდა ვიმოქმედოთ“.

მაღალმა ყბებში საღეჭი რეზინა მოიგდო. ზანტად, უდარდელად იცოხნებოდა, ისიც მფრინავის ფორმაში იყო. მოსული, ბრგე ვაჟკაცი ჰაერნაოსნობის სიმბოლოს განასახიერებდა.

„ვიცი, პირველად ხომ არ ვარ“.

კაფანდარა ხვანჯმოყრილ ქვიშას საგულდაგულოდ ჩააშტერდა, მერე შადრევნების სუსტ შხეფებს სახე მიუშვირა და თითქოს მეორის ერიდებაო, ნელა დაამატა.

„რაც გინდა ის იფიქრე, მაგრამ უნდა გითხრა შიში მაქვს გულში“.

„არა უშავს, ცოტა შიში სასარგებლოც არის. უფრო ფხიზელს გაგხდის და პარტიულ დავალებასაც უკეთესად შეასრულებ“.

დამრიგებული ტონით მიუგო მაღალმა, იგი მზის ჭვრეტას მოეშვა და სალაროებისაკენ გაიხედა.

„ქალი ისევ იქ დგას?“

„უკვე მეოთხე საათია არ დამჯდარა“, კაფანდარამ კისერი მიღრიცა. მოტვლეპილი თავის კიდეებიდან თხელი თმები მაღლა აფშეკოდა.

„იმ ქალაქიდან შვიდი რეისია, ნომერი კი არ იცის. ამიტომ მეტი გზა არ აქვს უნდა იდგეს და ელოდოს. ამასთან შესაძლებელია სხვა მხრიდანაც მოვიდეს“.

„სანდო ცნობაა? ასე მგონია ტყუილად ვირჯებით“.

„პირველი კლასის დამსმენმა დაღაჭა“, მაღალმა საღეჭი რეზინი ბუჩქებში გადააპურჭყა და მფრინავის ქუდი ზემოთ კინკრიხოზე ააგდო.

ღაჟღაჟა, პირბრტყელი კაცი მოუახლოვდათ.

„ცნობა მოვიდა, რომ ბორტზეა, ნახევარ საათში დაეშვება“, თქვა პირბრტყელმა და ფეხარეული სხვებისკენ გაემართა.

„ჩვენ ყოველთვის მზად ვართ“, დინჯად მიაძახა მაღალმა.

მოედანზე ხალხისა და ტაქსების რაოდენობამ იმატა. გამოცოცხლდა იქაურობა.

„როგორ ფიქრობ ხვდება რომ მახეშია?“ კაფანდარამ თვალები აახამხამა, მერე თითქოს მოიბუზა და საქმის ცოდნით დაამატა:

„ხომ იცი საფრთხის დროს დედაკაცებს როგორი ინტუიცია აქვთ“.

„არა მგონია რაიმეს გრძნობდეს, შევატყობდით, მაგრამ რომც მიხვდეს, მაინც ვერაფერს იზამს“, იყო უდარდელი პასუხი.

„ეტყობა ძალიან უყვარს, რომ ასეთ ხაფანგში იგდებს თავს“.

„რომელი? ის თუ ქალი?“

„ორივე, უფრო კი ის“, კაფანდარამ მელოტი თავი მოიქექა.

„იმასაც ამბობენ, ცალთვალა არისო, ხალხი კი ცრურწმენის მიხედვით ორ თვალს ანიჭებს უპირატესობას“, წაიფილოსოფოსა მაღალმა.

„ერთი თვალი შუშის აქვს, ასე გამიგია“, დაემოწმა კაფანდარა.

„ამბობენ რამდენიმე კაცი ჰყავს მოკლულიო“, დაამატა მერე.

„დაზუსტებით მაგის თქმა ძნელია, ისე კი დიდი მხეცი ვინმეა“.

„ეს კი ურიგო ქალი არ არის, როგორც სჩანს უყვარს“.

„მეეჭვება რომ ასეთს სიყვარული შეეძლოს, თუმცა რას გაიგებ ამ ქვეყნისას“.

„მართალი ხარ. ჩვენც გავაბით რაღა. რაში გვეკითხება მათი სიყვარული“, კაფანდარამ სიგარეტის მოკიოდება სცადა. ძლივს მოჩხრიკა ასანთის ღერი ყუთში, მაგრამ აკანკალებული თითებიდან ანთებული ღერი გაუვარდა. არც შეეცადა მეორედ მოკიდებას. ერთხანს გაირინდა, ტუჩების კუთხეებით მოუკიდებელ სიგარეტს ნელა ათამაშებდა.

„მართალი გითხრა კვირა დღეს სახლში მერჩივნა ყოფნა“, წამოიწყო ისევ, „ცოლშვილი ორი დღე-ღამეა არ მინახავს, ასეა აჯობებდა“, ჩაილაპარაკა თავისთვის.

„შიში გერევა ამხანაგო“, მაღალი დაკვირვებით ჩააცქერდა მეორეს, „იცი რას ვიზამ? თუ გინდა უფროსს ვთხოვ და შეგცვლის, ხალხი ვართ, ბოლოს და ბოლოს“, მაღალმა ხელი წელს უკან, რადიოსაკენ წაიღო.

„არ მინდა, პარტორგანიზაციის მდივანთან არ ვარ კარგად, პრემიას ჩამომაჭრის. დავძლევ, შენთან რა მაქვს დასამალი, ამიტომაც გითხარი, თითქოს მზემაც გამაბრუა“.

„ჩემი აზრით ავტობუსში ჯობია ჩაჯდე, ჩვენი ბიჭებია. იქ უფრო უხიფათოა“.

„არ ღირს. შაშხანიდან ცუდად ვისვრი. გარშემო კი უამრავი ხალხია. არ მინდა ვინმე დავაზიანო და შარში გავეხვიო“.

კაფანდარამ ნერწყვი გადაყლაპა. ტუჩებიდან სიგარეტი გაუსხლტა. მოკლე ფეხები გააქანა. ფეხსაცმელი ძლივს წვდებოდა მიწას.

„ჯობია ბარში ახვიდე და ყავა დალიო“, არ ეშვებოდა მაღალი, „გამოგაცოცხლებს, ცოტა კონიაკიც გადაჰკარი, რაღა ეხლა მოვა. კიდევ ოცი წუთი დასჭირდება. ოქმშიც რა თქმა უნდა არაფერს შევიტან“.

„კარგი! იქნებ ასე სჯობდეს“.

კაფანდარა სკამიდან ჩამოხტა და მოჩვენებითი ზოზინა ნაბიჯებით აეროსადგურის შენობისაკენ გაეშურა, მაღალი კი კვლავ მზის ჭვრეტას განაგრძობდა.

შორს, დასაფრენი ბილიკების მიღმა სინათლეები მოჩანდნენ და მათი ყვითელი ათინათი ზეცას წვდებოდა.

* * *

სამი ათასი მილის იქით კი შუა დღის მოღრუბლულ დღეს, უზარმაზარ თეთრ ლაინერში მგზავრების ჩასხდომა დასრულდა. თითქოს ქერათმიანი გამცილებლის ჩაღრმავებულ ხვრელში გაუჩინარებას ელოდაო, დაგვიანებული მგზავრიც გამოჩნდა. უბარგოდ და ხალვათად იყო ჩაცმული. მან რბილი, უხმაურო ნაბიჯებით მისადგმელი კიბეები აირბინა და მარცხენა სალონში ფრთხილად შეიხედა. გამცილებელი ზურგით იდგა. კაცი ფარდას ამოეფარა, მუშტში მომუჭული ბილეთი ჯიბეში ჩაიტენა და გაისუსა. გული ძალუმად უცემდა. ფარდის ჭრილიდან კარგად ხედავდა გამცილებლის ლამაზ პროფილს და სადად ჩამოშლილ თმებს. ქალმა თავისუფალი ადგილების თვლა დაიწყო. ერთ მომენტში მათი მზერა თითქოს ერთმანეთს შეხვდნენ, მხოლოდ ერთი წამით, ისე გაელვებით. ფარდას ამოფარებული უსიამოვნოდ შეიშმუშნა. საბედნიეროდ ქალმა ვერ შენიშნა, ერთი ფუტის დაცილებით გვერდზე ჩაუარა და მეორე სალონში გავიდა. დაგვიანებულმა სამალავი მიატოვა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა და თავისუფალ სავარძელში ჩაეშვა. ცოტაც და რიგებს შორის ლაინერის ეკიპაჟმაც ჩაიარა.

სასტარტო ზოლზე თვითმფრინავი რამდენიმე წუთით შეყოვნდა. ახალგაზრდა დისპეტჩერი სამი ათასი მილის იქით კოლეგას საიდუმლო ბრძანებას უგზავნიდა. მერე ტურბინების ხმაურმაც იმატა, კაცი წამებს ითვლიდა, და როდესაც ჰაერში აიჭრნენ კმაყოფილმა გაიფიქრა:

„ესეც ასე, ხომ მოვახერხეთ რეგისტრაციის გარეშე გაფრენა“.

ახლა მთავარია დასვენება. საკმაოდ დაიღალა, თავი უშიშრად იგრძნო, მოითენთა, თვალები მილულა, ხოლო თვით-მფრინავმა სიმაღლე აიღო თუ არა ჩაეძინა კიდევაც.

მოგვიანებით ქალის შეხებამ გამოაფხიზლა, გამყოლი იყო. მგზავრი შეკრთა, თავის გასამართლებლად მოემზადა, მაგრამ გამყოლი ატმისფერი ღიმილით მხოლოდ მინერალურ წყალს სთავაზობდა.

მგზავრს კეთილად ჩაეცინა. გარშემო მიმოიხედა. სალონში დიდი ხნის უნახავ სამხრეთის ჭრელ საზოგადოებას მოეყარა თავი.

ზურგს უკან ორნი საუბრობდნენ. ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, შემდეგ კი მგზავრს უფრო გამოკვეთილად ჩაესმა. ერთი შეხედ-ვით უკან მსხდომნი უცნაურ საკითხზე მსჯელობდნენ.

„მე სხვა რამ მქონდა მხედველობაში“, მოლაპარაკეს სასიამოვნო ბარიტონი შეწყდა, თითქოს ნათქვამის გააზრებს ცდილობსო. შემდეგ კი ბარიტონმა გააგრძელა:

„აი აქ ქვემოთ მამისონის მთის გრეხილებში მოვკალი პირველად და უკანასკნელად კაცი. დღემდე ვერ დამივიწყე-ბია. მას მერე ჭიანჭველასაც გვერდს ვუვლი. ვეგეტარიანი გავხდი. საოცარი გრძნობაა თითქოს ყოველ ჩემს ნაბიჯს ვიღაც უხილავი და ზებუნებრივი აკონტროლებს. ვფიქრობ, რომ მას ვერასოდეს დავძლევ. დავიშალე კაცი. ბევრმა მითხრა, კიდევ რომ მოგეკლა გულზე მოგეშვებოდაო, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვარ.

„ომში აბა რა უნდა გექნა. ის ხომ მტერი იყო, ალბათ ჩვენიანების სისხლში გასვრილი“, მოსაუბრეს სუსტი, წრიპინა ხმა ჰქონდა.

„აი რა მნიშვნელობა აქვს ხმის ტემბრს, ბარიტონი კაცია, ხოლო წრიპინა კი თესლი“, გაიფიქრა მგზავრმა.

„ცხადია. ომი კი იყო, მაგრამ მეომარიც არის და მეომარიც“, ბარიტონი წამით ისევ ჩაფიქრდა და მერე დინჯად გააგრძელა.

„მაშინ მათ ნარჩევ დივიზიას „ედელვაისს“ ვებრძოდით, აქ რომ გადავიფრენ ხოლმე თითქოს გუშინ იყოო, ისე ჩამესმის საბრძოლო ყიჟინა. მძიმე დრო იყო. ახალი გადმოსროლილი ვიყავი ალპურ-სამხედრო ბანაკიდან. პირველმა შეტაკებამ ღამით მომიწია. ფოსფორწასმულ ტყვიებს ვისროდი, რომ-ლის განათებულ კვალს კარგად ვხედავდი. თავდაპირველად

ავტომატის ჯერი მათი რიგების თავზე გადადიოდა. შემდეგ ოდნავ ქვემოთ დავწიე და გარკვევით დავინახე, რომ მათი მოწინავე მებრძოლი დაეცა. ღამე იყო, მაგრამ მაინც კარგად შევნიშნე ძალიან ახალგაზრდა ჯარისკაცი იყო. გონს ბანაკში მოვედი. ორგანულად შევიგრძენი რომ კაცი მოვკალი, მართალია მტერი იყო, მაგრამ მაინც ძალიან განვიცადე. მერე მალევე მძიმედ დამჭრეს და ბრძოლებში უკვე მონაწილეობა აღარ მიმიღია“.

მეორემ თანაგრძნობის ნიშნად რაღაც ჩაიდუდუნა.

„შენ რაღაც ვერ გამიგე“, ბარიტონმა ხმას დაუწია.

მგზავრი კვლავ სავარძელში იყო გადაწოლილი. მოსაუბრეებიც დროებით ჩაწყნარდნენ. დრო მოწყალებასავით ნელა მიიზლაზნებოდა. ყურში მხოლოდ ტურბინების მონოტონური შხუილი ესმოდა. ლაინერი გიგანტური ნახტომებით ყლაპავდა მანძილს და თითქოს უსასრულობისაკენ მიეშურებაო.

უეცრად თვითმფრინავი მკვეთრად დაქანდა. მგზავრი თითქოს შემსუბუქდა, გული გაეხსნა, მხრებში გაიშალა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს ასეთი შვება არასოდეს განეცადა.

შვება წამის მეათედი ნაწილი თუ გაგრძელდა.

თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო.

კაცმა გულში გაიფიქრა: „აჰა ვეშვებით, ყველანი ვეშვებით, როდისღაც ნებისმიერი აღმაფრენა დაშვებით მთავრდება“. შემდეგ კი თითქოს უაზროდ ხმადაბლა დაამატა „ყველანი დავეშვებით და მერე მიწაზე გავივლით ერთად“.

ლაინერი დასაფრენ ზოლს მძიმედ დაეჯახა. კაცს ეს ცუდად ენიშნა. მგზავრები შეხტნენ, შეშფოთდნენ, ერთმანეთს გადახედეს. ისეთი შეგრძნება ჰქონდათ თითქოს ქლიბზე გაცურდნენო და მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როდესაც თვითმფრინავმა სისწრაფე საგრძნობლად შეანელა.

კაცს არაფერი გაუგია. იგი გამუდმებით იმ შეხვედრაზე ფიქრობდა, ცოტა ხნის შემდეგ რომ მოელოდა.

* * *

„ვიცი უკანასკნელად გესაუბრები“, თქვა კაცმა.

„რატომ იქნებ ყველაფერს ეშველოს“.

„არა მგონია, ძალიან დავიღალე“.

„ჩემთან ხომ უკეთ გრძნობ თავს“.

„კი ამიტომაც მოვედი შენთან“, ქალს ლოყაზე ხელი მოუთა-თუნა და თაფლისფერ თვალებში ჩააცქერდა“, დამშვიდობება-სავით გამომდის“, დაამატა მერე.

„იქნებ რაიმე მოგვარდეს, უცნობ ადგილას წავიდეთ, სადაც ვერავინ გვნახავს“.

„არაფერი მეშველება, ყველგან დევნილი ნადირივით ვიქნები“.

სალაროების წინ იდგნენ და გამვლელ-გამომვლელები ხელს უშლიდნენ. ცოტათი გვერდით, გამჭვირვალე მინის კედელთან მიდგნენ, უეცრად ქალმა მაჯაში ხელი სტაცა და მკერდზე აეკრა.

„ის ორი საეჭვოდ გვითვალთვალებს“, ჩასჩურჩულა ყურში.

„ვიცი, რომ ჩამოვედი, მაშინვე მივხვდი“.

„მერე რას ფიქრობ“, ჩვეულებრივად გააგრძელა ქალმა.

„არაფერს, დაველოდები“.

„ხომ იცი რა გელის“.

„წინააღმდეგობას არ გაუწევ, რაც იქნება, იქნება“.

„დახვრეტა არ აგცდება“.

„იქნებ ეგრე სჯობს. მომბეზრდა“.

„მეც მოგბეზრდი?“

„არასოდეს, ჩემთვის ყოველთვის ნათელი ფერია იყავი!“

„ალბათ გამაწვალებენ“.

„ნუ დარდობ ჩემო კარგო, როდესაც აღარ ვიქნები თავს დაგანებებ“.

„დაბალი აღარ ჩანს“.

„დავინახე, სალაროებს გვერდს უვლის“.

„სადაც არის იქ გაჩნდება“.

„არა უშავს, რაც მოსახდენია მოხდეს“.

„ავტობუსიც აქეთ მოდის“.

„ვხედავ, შიგნით შეიარაღებული ხალხია“.

„იქნებ როგორმე თავი დაგეძვრინა. მჯერა რომ შესძლებ“.

„რაღა საჭიროა. მე ხომ კარგად ვიცოდი რაც მოხდებოდა“.

„ძალიან საწყენია რომ ასე ხდება“.

„რას იზამ, ახლა მთავარია მშვიდად ვიყოთ. ისინიც ნერვი-ულობენ“.

„მაღალი ავტობუსს ეფარება“.

„ზურგიდან შემოვლას ცდილობს“.

„ბავშვს რა ვუყო?“

„დედასთან წაიყვანე, მერე როდესაც ყველაფერი დასრულდება ერთად იცხოვრებთ“.

„თავისთავად ეგრე იქნება, მაგრამ რა ვუთხრა?“

„ჯერ დაუმალე, მერე კი ალბათ ყევლაფერს შეიტყობს. შეეცადე ნაკლებად შემიზიზღოს“.

„ძალიან უყვარხარ. ყოველთვის გახსენებს ხოლმე“.

„უკანასკნელი შეხვედრიდან ძალიან გაიზარდა?“

„საკმაოდ. თითქმის ათი სანტიმეტრი. თანდათან ძალიან ჩამოგგავს“.

„რაღაც მინდა გითხრა, მაგრამ ვერ ვახერხებ“, თქვა კაცმა ყრუდ.

„დალოცე ჩვენი შვილი და ბედნიერი ცხოვრება უსურვე“.

„ვერ ვახერხებ. შენ დალოცე ჩემს მაგივრად და თავზე ხელიც გადაუსვი. სად არის ახლა?“

„შენობაშია დედასთან. აქ მოყვანა ვერ გავბედე“.

„სწორედ მოქცეულხარ. ბედნიერად გამიზარდე“.

ქალმა თავი დახარა და ფეხსაცმლის ჭვინტით ქვაფენილის კიდეს დაუწყო წვალება, თითქოს ამ წუთას ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი იყო. სინამდვილეში იყო შეხვედრა და არც იყო. ეს უფრო დამშვიდობება იყო, შეხვედრაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. უფრო ძვირფასი. ქალმა კაცს ახედა. იგი ტაქსის გაჩერებასთან შეჩერებულ ორ მამაკაცს უყურებდა. ეს ის ხალხი იყო თვითმფრინავში მის ზურგს უკან რომ იჯდნენ.

ბარიტონი სათვალიანი თმაჭაღარა აღმოჩნდა. ახალგაზრდამ კი ჩემოდნები მანქანის საბარგულში ჩატვირთა და მისკენ გამოიხედა. მძღოლი მანქანიდან არ გადმოსულა. მალე ტაქსი მის წინ შეჩერდა. თმაჭაღარა ბარიტონმა გვერდითა მინა ჩამოწია და მოულოდნელად თქვა:

„თუ გინდა ქალაქში გაგიყვანთ, მე და ჩემი მოწაფე ვართ. მძღოლიც ჩემიანია და ძალიან მარჯვეა, თავისუფლად მოვთავსდებით“.

კაცმა ერთხანს შეიცადა. ახლოდან თმაჭაღარას წვერმოშვებული სათვალიანი სახე უფრო ახლობლად მოეჩვენა. შემდეგ კი თითქოს მარცვლავსო, ამოღერღა:

„მადლობთ, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. წარმატებებს გისურვებ“.

„თავს მოვალედ ვგრძნობ, აქ ვიყო. შეიძლება აზრი შეიცვალო

და ჩვენთან ერთად წამოხვიდე. გული მეუბნება, რომ სიმართლეს გეუბნები“, ბარიტონი თავისას არ იშლიდა.

„არა. სჯობს აქ დავრჩები, მაგრამ რა გქვია?“

„ალფრედ ნავიგატორი ვარ“.

„მადლობ ალფრედ, მაგრამ მაინც აქ დავრჩები“.

„კარგი, ნება თქვენია, მაგრამ იცოდე რომ თუ გადაიფიქრებ მოედნის ბოლოს მიწისქვეშა გადასასვლელის წინ ვიდგებით და ეს იქნება მანამდე სანამ საჭირო იქნება“, თქვა ალფრედმა და მძღოლს ანიშნა დაძრულიყო. მანქანამ დიდი აჩქარებით მოედნის ბოლოს, ნაძვნარის პირას გადაინაცვლა.

კაცმა ავტოს კარგა ხანს უცქირა. მერე კი ქალს მიუბრუნდა.

„ახლა ძვირფასო მთავარია არ დაიბნე. ჩემთან მოვლენ“.

„ხომ შეიძლება პირდაპირ გესროლონ?“

„მოსალოდნელია, მაგრამ გული მიგრძნობს თუ წყნარად ვიდგებით ყველაფერი რიგზე იქნება“.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა, ხახა გაუშრა. სხეულის ყოველი კუნთი გრძნობდა გარე სამყაროს. მთავარია ღია თვალებით შეხვდეს განსაცდელს.

„თუ არ შეწუხდები წყალი მომაწოდე“, სიგარეტიანი ხელით წყლის ჩამოსასხმელ ბალონზე მიანიშნა, „მე რომ წავიდე შეიძლება გასულელდნენ და მესროლონ. წყნარად მოიტანე, აი ასე... დიდი მადლობა. ახლა უკეთ ვარ“. კაცი ზომიერი ყლუპებით სვამდა.

„რასაც გაბრალებენ ვითომ ყველაფერი ეგრეა? ვერაფრით ვერ ვიჯერებ“, ქალი თვალებში შეჰყურებდა.

„ძალიან ძველი ამბავია. ახლა რაღა აზრი აქვს მაგ კითხვას ან ჩემს პასუხს. იმედი მაქვს ყველაფერი მალე დასრულდება“, მამაკაცმა ქალის ოქროსფერ თმებში შეაცურა თითები და თავით მკერდზე მიიკრა, „სანადიროდ გასულები ნადირს არასოდეს ეკითხებიან მან სხვა მხეცები სად დაგლიჯა“.

„რატომ ხარ ასეთი ცივი? ფერიც რატომ გეცვლება? როდისმე კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? იცოდე ყოველთვის შენს მოლოდინში ვიქნები“.

„მელოდე... ლოდინი კარგია“, თქვა კაცმა და ზეცას ახედა.

ქალს ტუჩები უკრთოდა, შეჰყურებდა მამაკაცის ენერგიულ ნიკაპს, სევდიან, დაწრეტილ თვალებს, და ვერაფრითვერ გაეგო თუ რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი უკულმართობა ამ ქვეყანაზე.

ერთხელ ბრაიტონზე

მაშინ 21-ე საუკუნეს ორიოდ წელი შეუსრულდა. ყველანი ჯერ კიდევ არაჩვეულებრიობის მოლოდინში იყვნენ. მეც რა თქმა უნდა, იმედი მქონდა, რომ ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობები ავად თუ კარგად დასრულდებოდა, ყოველი გასული დღის ჩრდილი ჩემს საფლავს დაეცემოდა და ოდესმე საპატიო გვამთა ხსოვნაში გადავიდოდი.

ნაბუშრების თავშესაფრის ძიებაში შესასვენებლად ბრაიტონის ბულვარზე ჯერ კიდევ მზიან, მაგრამ არც თუ ისე ცხელ საღამოს შეჩვეულ სკვერში სკამზე ჩამოვჯექი. იქვე გაზეთი „უოლ სთრით ჯორნელი“ ეგდო, გავშალე და კითხვას შევუდექი. გვერდით სკამზე კი თმა-ჭაღარა შუახნის დარბაისელი ინტელიგენტი მეჯდა. გაზეთის კითხვაში გავერთე. „ბოინგ 747“ დაიღუპა. ნიუ-იორკის კენედიდან ქაიროში მიფრინავდა. ატლანტიკის ოკეანეში ჩავარდა. ორ კვირიანი ძებნის შემდეგ „წითელი ყუთები“ მონახეს. არაბი პილოტის უკანასკნელი სიტყვები იყო „ალაჰი დიდია!“ სამასამდე მგზავრი დაიღუპა. მეტწილად ამერიკელები იყვნენ. საშინელი ამბავი იყო.

კითხვამ ისე გამიტაცა, რომ ვერც კი შევამჩნიე თუ როგორ მიუახლოვდა თმა-ჭაღარა ინტელიგენტს ახალგაზრდა კაცი. როდესაც უცნობი ხალხი შეიყრება სადმე ან ქუჩაში შეხვდება ხოლმე ერთმანეთს, ისინი ვალდებულები არიან პატარა შეკრებულება ამბების თხრობით ასიამოვნონ. მათი საუბრის დასაწყისი გამომრჩა, მაგრამ შემდეგ მათმა ლაპარაკმა ჩემი ყურადღება მიიპყრო მალე ისე დამაინტერესა, რომ გაზეთი გვერდზე გადავდე და მოსმენა დავიწყე. მაშინვე დამავიწყდა ის უბედურება, რომელიც ატლანტიკის ოკეანის ზეცაში და მის ტალღებში დატრიალდა.

„დედა და მამა მუშაობენ. ამხანაგებიც დაკავებულები არიან. ვეძებ სამუშაოს. ამჟამად კი უსაქმურობისაგან და მარტოობისაგან ისე მოწყენილი ვარ რომ მანჰეტენზე გასეირნებაც კი მეზარება“, თქვა გაქათქატებულ-გაპრიალებულმა კოხტა ბიჭმა.

„გოგონა?“ იკითხა თმაჭაღარამ.

„გოგონა არ მყავს“, ბიჭმა გაიცინა, „ყოველ შემთხვევაში, აქ, ნიუ-იორკში“.

„მაშინ ძალიან არ გავრისკავთ თუ ჩემს კომპანიას შემოგთავაზებ. წამოხვალ ჩემთან ერთად ეკლესიაში?“

„მე ეკლესიაში?“ ბიჭი გაშტერდა, ახალმოდურად წამოკოსებულ ბეისბოლის ქუდს ხელი აჰკრა და ცას ახედა.

„ნუ გეშინია. მე ხომ მართლმადიდებლური ან კათოლიკური ეკლესიების მგზნებარე ფარსზე არ გეპატიჟები. ეს მესიანური შეკრებაა“.

„რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, ქართველი ებრაელები ეკლესიაში არ დავდივართ“.

„რატომ?“ წამოიწყო პედაგოგიურ-დამაწყნარებელ ტონში თმაჭაღარამ, „მესიანური ებრაელები დარწმუნებულები არიან, რომ იეშუა ჰამაშიაში, რომელიც ბერძნულად იესო ქრისტედ ანუ იესო მესიად ითარგმნება პირველ რიგში არის ისრაელის მესია ანუ მხსნელი. უფლის დაპირებები, რომლებიც გაჟღერდა ებრაელი წინასწარმეტყველებების გზით იესო ქრისტეში ანუ იეშუა ჰამაშიაში შესრულდა. სიცოცხლის საფასურად მან ჩვენი ცოდვები გამოისყიდა, რათა მომავალი ღვთის სამსჯავროზე გადავრჩეთ. მან ჩვენი უფალთან შერიგება მოახერხა. ამჟამად ყველას გვაქვს შანსი რომ გადავრჩეთ და თავიდან ავირიდოთ უფლის რისხვა. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ახლა ჩვენს ყოფიერებას ჩვენი ნებისყოფა განსაზღვრავს. აი, მაგალითად, შენ გადარჩენილი ხარ?“

„გადარჩენილი ვარ? რას ნიშნავს გადარჩენილი ვარ? ტერორისტებს მე არ მოვუტაცებივარ, არავინ არ მემუქრება“, გაიცინა ბიჭმა.

„მე მხედველობაში მაქვს გადარჩენილია თუ არა შენი სული?“ დააზუსტა კითხვა თმაჭაღარა ინტელიგენტმა.

„სული?“ ბიჭმა ისევ გაიცინა. „არავითარი სული არ არსებობს. ეს ძველებური გაგებაა. გადმონაშთია. მე თქვენით

გაკვირვებული ვარ. გაგებული მაქვს, რომ ჭკვიანი კაცი ხართ, ასეთ რამეებზე კი ლაპარაკობთ. თავად მართლა გჯერათ რომ სული გაქვთ? თუ ასე მაშ მიჩვენეთ იგი“.

„არ შემიძლია“.

„აი, ხედავთ!“ კმაყოფილებით შესძახა ბიჭმა და გააგრძელა:

„თქვენ სულზე ლაპარაკობთ და არ შეგიძლიათ მისი ჩვენება, ამავე დროს გინდათ დამაჯეროთ ისეთ რამეში რისი დანახვაც არ შემიძლია. ეს კი ნიშნავს, რომ არ შემიძლია დავამტკიცო მისი არსებობა. თქვენთვის რომ მეთქვა, აი შეხედეთ, მე მაქვს დოლარის ბანკნოტი, მე შემიძლია მისი ჩვენება, რაც დაამტკიცებდა მის არსებობას. როგორ? თვალებით, შეგრძნებებით და მსყიდველობითი უნარით, როდესაც იგი სხვა ფასეულობებში განვითარდებოდა, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ მაკონვერტირდებოდა“, თქვა ბიჭმა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. იგი დარწმუნებული ჩანდა, რომ ისეთი რამე თქვა, რომელსაც წყალი არ გაუვიდოდა.

„მოდი ნუ ვიკამათებთ“, თქვა თმაჭაღარამ, „უკეთესია თუ შენს თავზე მომიყვები, მე ვიცი, რომ ახლა შენ ბოსტონში სწავლობ, ჭკვიანი და პერსპექტიული ბიჭი ხარ. ალბათ სასწავლებლად პრესტიჟული კოლეჯი აირჩიე. ხომ ასეა? გინდა, რომ კარგი პროფესია შეიძინო?“

„კი. მე ამბიციები მაქვს“, თქვა ახალგაზრდამ, „ვცდილობ, ნებისყოფას არ ვუჩივი. ჯერჯერობით ჩემით კმაყოფილი ვარ, ტოლს არავის ვუდებ“.

„ძალიან კარგი. შეგიძლია მაჩვენო შენი ამბიციები და თუნდაც ნებისყოფა?“

„როგორ შეიძლება ამბიცია და ნებისყოფა გიჩვენოთ. ეს შეუძლებელია. იგი მხოლოდ ცხოვრების პროცესში ხდება“, თქვა ახალგაზრდამ.

„მაშინ ეს თაღლითობაა. შენ არ შეგიძლია მაჩვენო ის, რაზედაც ლაპარაკობ. რამდენიმე წუთის წინ შენ თქვი, რომ არ გჯერა იმისა, რასაც ვერ დაინახავ“, თქვა თმაჭაღარა ინტელიგენტმა.

„სიტყვაზე მეტად ოსტატურად დამიჭირეთ. ამაზე არავის უთქვამს ჩემთვის“, თქვა ბიჭმა.

„აი, ხომ ხედავ. მე თუ გთხოვ მაჩვენო შენი მეხსიერება, ცხოვრებისეული გეგმები, შენი ინდივიდუალობა, თავგანწირვის

უნარი, სიყვარული, თვითგანკვეთა, სიძულვილი, შენ ხომ ვერ შესძლებ მათი ჯიბიდან ამოღებას და როგორც დოლარის ჩვენებას?“

„რაც მართალია, მართალია. საიდან მოიტანეთ ეს კითხვები? მე მათზე არასოდეს მიფიქრია“.

„აი კიდევ ასეთი რამ. დავუშვათ ბრაიტონზე ტერორისტების თავდასსმა ხდება. იწყება სროლები და ჩვენ დავიღუპეთ“.

„ღმერთმა ნუ ქნას!“ თქვა შეშფოთებით ახალგაზრდამ.

„დავუშვათ, აი ვწევართ ქუჩაში, მკვდრები. როგორ ფიქრობ შეინახება ჩვენი სურვილები, ჩემი ინდივიდუალობა, შენში კი შენი ჭკუა და ამბიციურობა? როდისმე გინახავს ამბიციურობით სავსე გვამი?“ თმაჭაღარამ გაიცინა.

„არა არ მინახია“.

„მაშინ, ამ შემთხვევაში რა მოუვიდა შენს მეხსიერებას, შენს გრძნობებს? სად წავიდნენ ისინი? ისინი სათითაოდ გაქრებიან თუ ერთად?“

„ვფიქრობ, რომ ერთად“, თქვა ახალგაზრდამ.

„ადამიანის სხეულში არის 208 ძვალი, სხვადასხვა ორგანოები. მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ დავიღალე, ჩვენ არ ვგულისხმობთ რომ დაიღალა ჩვენი ღვიძლი და რომ ჩემს მარცხენა თვალს დაძინება სურს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს სხეულს აღვიქვამთ როგორც ერთიან ორგანიზმს. ამიტომ ჩვენი ორგანოების, ძვლებისა და კუნთების ერთობლიობას ვუწოდებთ „სხეულს“. ეს არის ის რისი დანახვაც შეგვიძლია. ახლა განვიხილოთ ჩვენი უხილავი თვისებების ერთობლიობა: ნებისყოფა, ამბიციურობა, გონება, გრძნობები. ისინი ურთიერთ-თანხმობაში მოქმედებენ. შეიძლება ისინი ერთი სიტყვით გამოვხატოთ?

„რისი თქმა გინდათ? თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე სული მაქვს და ეს თვისებები სულისთვის არის დამახასიათებელი?“

„მისმინე! შენ თანამედროვე ყაიდის ბიჭი ხარ და უკვე მითხარი, რომ სული არ არსებობს. მე ვარ ძველი გაგების ადამიანი. ამის შესახებ შენ თავად მითხარი. მაინც რას მივაწეროთ ჩვენი უხილავი თვისებების ერთობლიობა?“

„გეთანხმები, რომ ყველაზე უკეთ ამ თვისებებს ესადაგება სიტყვა „სული“. მას უნდა მივაწეროთ ჩვენი უხილავი თვისებების ერთობლიობა. ვაღიარებ, რომ ამის შესახებ ადრე

არასოდეს მიფიქრია და არ მესმოდა ეს ფენომენი. უცნაურია მე მაქვს სული, მაგრამ ამას არც კი ვეჭვობდი. მაშასადამე მე შევდგები ორი ნაწილისაგან: სხეულისაგან და სულისაგან.

„შენ თავად თქვი ეს რაც ძალიან კარგია, მაგრამ ახლა მითხარი ასეთი რამ“, წამოიწყო ახალი შეტევა ჭაღარამ,

„ადამიანში სული უფრო მნიშვნელოვანია თუ სხეული? რას ფიქრობ ამის შესახებ?“

„მე ვფიქრობ, რომ სხეული არის დედამიწაზე არსებული ნაწილაკების განსაკუთრებული წესით დალაგებული ერთობლიობა, გვამი. მას კუბოში ჩააწვენენ და დაჭედავენ. ჩემი სული კი არის ჩემი მეობა“. ჩემი „ეგო“, „მე“. მე არ შემიძლია ჩემი „მე“ მკვდარი წარმოვიდგინო. ასე, რომ სული უფრო მთავარია“.

„ძალიან სწრაფად წინაურდები. მართლაც სული პიროვნების ნაწილია, რომელიც დაბადებამდე ცხოვრობდა მამაზეციერთან. მიწიერი ცხოვრების დროს სული ერთიანდება ფიზიკურ სხეულთან. სიკვდილის შემდეგ კი სული აგრძელებს სიცოცხლეს“, აღნიშნა თმაჭაღარამ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრაიტონის ბულვარზე, სადაც ვიჯექით ხალხი მიდი-მოდიოდა, სეირნობდნენ ძაღლებით. ჭაღარამ ერთ-ერთ პატარა, ლამაზად გაკრეჭილ, თმაქოჩორა პატარა ძაღლუკაზე მიუთითა და თქვა:

„ძაღლებს აქვთ სული?“

„ვფიქრობ, რომ აქვთ. ერთხელ ძაღლმა მიკბინა. მათ, როგორც ადამიანებს აქვთ თავიანთი ხასიათი“, თქვა ბიჭმა.

„მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ასევე ვიცი, ადამიანები რაღაცით განვსხვავდებით ძაღლებისაგან და მაიმუნებისაგან“.

„მართალია, თქვენ არ ყეფთ და ხიდან ხეზე არ დახტიხართ“, თქვა ახალგაზრდამ და გაიღიმა.

„არა, საქმე ამაში არ არის. მაუგლიმ და ტარზანმა შესაბამისი აღზრდის შემდეგ შესძლეს ხიდან ხეზე ხტომა. ზოგი ახალგაზრდა ისე გაიწაფა რომ ცათამბჯენებზე დამცავი თოკის გარეშე ცოცდება და ნიაგარის ჩანჩქერის თავზე გაბმულ თოკზე მიდი-მოდის. საქმე სხვა რამეშია, მარტო ადამიანს შეუძლია ლაპარაკი, გააკეთოს აღმოჩენები, რაიმე იდეას შესწიროს თავისი სიცოცხლე, აბსტრაქტულად იაზროვნოს, იხუმროს და მრავალი სხვა. როგორ ფიქრობ, ამ თვისებების ერთობლიობას, რომლებიც ჩვენ ადამიანებად გვხდის და

გვანსხვავებს ცხოველური სამყაროდან, შეიძლება ვუწოდოთ სულიერობა?“ თქვა ჭაღარამ.

„აი ეს კარგია!“ შესძახა ახალგაზრდამ და გააგრძელა, „ესე იგი ჩვენ შევდგებით არა ორი როგორც წელან ვახსენეთ, არამედ სამი შემადგენლობისაგან, რომელიც ახლახან გავიფიქრეთ. ერთია სხეული, რომელიც არის დროებით გამოყენებაში. იგი დროთა განმავლობაში ცვდება და შემდეგ კი ქრება. მეორეა სული, რომელიც კონკრეტული ადამიანის თვალისათვის უხილავი თვისებების ერთობლიობას გამოხატავს და მესამეა სულიერობა, რომელიც ადამიანს უფლის მსგავსს ხდის და, არის ადამიანებსა და ცხოველებს შორის მთავარი განმასხვავებელი თვისება“.

„დიახ, სწორედ ასეა. სწორედ ამ გრძნობებისა და ელემენტების ერთობლიობა გვანიჭებს უზენაეს ნეტარებას და ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ ეს არის მათი ჭეშმარიტი არსი და საკუთარი „მეობა“. თორაში სწერია, რომ „სულიერობა“ ჩვენში ღმერთმა ჩადო, რომლის გამოც ჩვენ მას ვგევართ, ამავე დროს ჩვენ გვაქვს „თავისუფალი არჩევის“ ანუ განვითარების უფლება. ეს არის ღმერთისაგან ნაბოძები ძღვენი, რათა ავირჩიოთ კეთილს და ბოროტს, ასევე სწორსა და არასწორს შორის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სულიერი ელემენტების ერთობლიობა შეიძლება შეიცვალოს. ნეტარების შეგრძნება შეიძლება გაიზარდოს ან საერთოდ მიგვატოვოს. ამას ჩვენ ვგრძნობთ. მაშასადამე, სულიერი ელემენტების ერთობლიობა ჯერ კიდევ არ არის ჭეშმარიტი „მე“ (ეგო). მის უკან არის რაღაც, რომელიც განასხვავებს სულის აზრს და სხეულის სხვადასხვა მდგომარეობას. სწორედ ის რაც „ეგოს“ მიღმა დგას არის ერთადერთი სუბიექტი, რომლისთვისაც ადამიანის ყველა ელემენტი არის ობიექტი. ჩვენი, როგორც ადამიანის, როგორც „მოაზროვნე ცხოველის“ ამოცანაა ვისწრაფოდეთ „ეგოს“ მიღმა მდგომი სუბიექტისაკენ. მოთმინებითი ვარჯიშით და უფალთან ახლო კონტაქტის მცდელობისას შესაძლებელია ყველა ამ ფაქტორის განხორციელება. ამისათვის კი საჭიროა უფლის უზენაესობის აღიარება. შენ ღმერთის გწამს?“

„არ ვიცი. გამოცდილება არ მყოფნის რომ ასეთ რთულ კითხვებზე პასუხი გაგცეთ, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, არის რაღაც უხილავი ძალა. სიმართლე რომ გითხრათ, არასოდეს მჯეროდა, რომ ევოლუცია მოხდა. ეს სისულელეა, ხომ უნდა

იყოს, ის რომელმაც ბუნების ყველა კანონი შესაბამისობაში მოიყვანა, მოაწესრიგა ყველაფერი“.

„ლოგიკურია“, დაეთანხმა თმაჭაღარა და ბრაიტონის ბულვარს გახედა, „ახლა შევხედოთ აი ამას, დგას ელექტრო გაყვანილობის ჩვეულებრივი გაფისული ხის ბოძი. ასეთი გაფისული ხის ბოძები მილიონობით დგას ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებსა და შარა გზებზე. გვერდით კი მშვენიერი ხეები ხარობენ. ისინი მსგავსები არიან, მაგრამ რა ანსხვავებთ მათ? ერთში სიცოცხლე სჩქეფს და მეორეში კი სიცოცხლე არასოდეს იქნება. რა არის ეს სიცოცხლე? საიდან არის იგი? რა არის სიკვდილი? თუ ტერორისტები გაგვანადგურებენ, როგორ ფიქრობ სად წავა შენი სული და სად წავა ჩემი?

„თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩემი სული წავა ჯოჯოხეთში, ხოლო თქვენი კი სამოთხეში?“ იკითხა ახალგაზრდამ მწუხარე ხმით.

„მე მინდა? არა ჩემო ძვირფასო, ეს მე არ მინდა, მაგრამ თუ არის ღმერთი და მისი სამეფო, რა თქმა უნდა, არის ჯოჯოხეთი. ამიტომ იბადება კითხვა, როგორ შეგიძლია შენ მოხვდე უფალთან?“

„მე არ ვიცნობ ღმერთს და არ ვიცი საშუალება, რომ მოვხვდე მასთან“, თქვა იმედმოწყურებულმა ახალგაზრდა სტუდენტმა.

„ახლა შენ გესმის ჩემი კითხვის შინაარსი: „გადარჩენილი ხარ შენ თუ არა? ვის შეუძლია სიკვდილ-სიცოცხლის გარანტია მოგცეს? სად წავა შენი სული საბოლოოდ? აი ეს არის შენი არჩევანი. შემდეგ შენ უკვე ფერაფერს შეცვლი“, განაცხადა კმაყოფილი ხმით თმაჭაღარამ.

„ნამდვილად ეს ასეა. მე უკვე 22 წლის გავხდი და სიკვდილის შესახებ ჯერ არ ჩავფიქრებულვარ, თუმცა კარგად ვათვითცნობიერებ, რომ იგი ჩვენს გვერდით არის. სიკვდილი თითქმის ჩვენი ოჯახის წევრია. მე ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა, ვსწავლობდი, ვცდილობდი ისე მოვქცეულიყავი, რომ მშობლებს ჩემით ეამაყათ. მე ვოცნებობდი მყოლოდა მანქანა, სახლი, ოჯახი, ფული, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ მთავარი გამომრჩა. მეტი უნდა ვიფიქრო.

„მიხარია შენს მაგივრად, და ჩემი მოწვევა მესიანურ ეკლესიაში სტუმრობის შესახებ ძალაში რჩება“, იმედიანად განაცხადა თმაჭაღარა ინტელიგენტმა.

„არა, არა. თქვენი მოწვევა მიუღებელია ჩემთვის. მე თუ ოდესმე უფლის ძიებას დავიწყებ ამას მხოლოდ ებრაული რელიგიიდან გავაკეთებ, ამავე დროს დარწმუნებული ვარ, რომ მე უკვე გადარჩენილი ვარ და უფალთან შეხვედრა აუცილებლად მექნება თუნდაც იმიტომ, რომ ებრაელი ვარ, თუნდაც ქართველი ებრაელი, ხოლო ებრაელები კი როგორც თორა და ბიბლია აღნიშნავს, უფლის რჩეული ხალხია.

„მაშ ასეა? აბა მითხარი რომელ ტომს ეკუთვნი?“ პედაგოგიური ნიშნის მიგებითი ტონით იკითხა თმაჭაღარა შუახნის ასაკის ინტელიგენტმა.

„არ ვიცი“ გულახდილად განაცხადა სტუდენტმა.

„ებრაელები შესდგებიან 12 ტომისაგან. მაგალითად, ლევიტები, იუდეველები, დანელები, ეფრემაიტელები და სხვა. ყოველი ებრაელი ეკუთვნის ერთ-ერთ მათგანს, რომელს ეკუთვნის შენი ოჯახი? თუ არ იცი მაშინ ძალიან ძნელია დაამტკიცო რომ ებრაელი ხარ.

ბიჭი თითქოს განერვიულდა კიდევაც. მერე თავისი თავი ხელში აიყვანა და თმაჭაღარას ზრდილობიანად შეეკითხა:

„თავად თქვენ რომელი ტომიდან ხართ?“

„მე იუდას ტომიდან ვარ!“

„არ მჯერა. ახლა არავინ არ იცის თუ რომელი ებრაული ტომის ჩამომავალია“.

„კარგი. ახლა ასეთ რამეს გეტყვი. მამაშენს ბენჯამენს კარგად ვიცნობ. და ვიცი, რომ სოხუმიდან ჩამოხვედით. ახლა ვინ ხართ?“

„ამერიკელები!“

„როგორ მოხდა ეს?“

„ჩვენ ჩავაბარეთ გამოცდები მოქალაქეობაზე, დავდეთ ფიცი შეერთებული შტატების ერთგულების შესახებ, ამერიკის ხელისუფლებას მივეცით პირობა, რომ დავიცავთ მის კონსტიტუციას და კანონებს, ეს არის სულ“, თქვა ახალგაზრდამ.

„მართალია, მეც სწორედ ასე მივეცი ფიცი იუდეას მეფეს, და ამის შემდეგ მივიღე უფლება და ნატურალიზებული ვიყავი ღვთის სამეფოში. საერო სამეფოზე კი უარი ვთქვი. ჩემს მეუფეს შევპირდი, რომ დავიცავდი მის კანონებს“.

„ებრაელებს მეფე არ ყავთ“, თქვა ახალგაზრდამ.

„ცდები“, მიუგო ჭაღარამ და განმარტა:

„ებრაელებს ყოველთვის ყავდათ მეფე, დავითის დროიდან. ასე შეპირდა მათ უფალი, ღმერთი ადამიანი არ არის, რომ მოიტყუილოს.

„ვინ არის ებრაელთა მეფე დღეს?“ იკითხა ახალგაზრდამ.

„მისი სახელია იესო, იეშუა“, დამარცვლით განაცხადა თმაჭაღარამ.

„მე გაგებული მაქვს მისი სახელი და ვიცი, რომ იგი იყო თვითმარქვია და ერეტიკოსი... მან დიდი არეულობა მოაწყო იერუსალიმში, აცხადებდა სოლომონის ტაძარი, მამაჩემის სახლი არისო, რომელიც სამ დღეში დაინგრევაო... ამის გამო იგი ჯვარს აცვეს. იგი 2000 წლის წინათ გარდაიცვალა და როგორ შეიძლება რომ დღეს იგი ებრაელთა მეფე იყოს?“

„იგი მესია არის, ებრაელთა მხსნელი. ეს ნიშნავს, რომ იგი ზეთით ნაკურთხი, მირონცხებული ნამდვილი მეფეა. დაბადებითა და თავისი ადამიანური ბუნებით იგი ებრაელია, აბრაჰამის შთამომავალი, იუდას ტომიდან. იგი მამამისმა, ჩვენმა უფალმა, რომლის სახელია იეჰოვა ამ ქვეყანაზე გამოაგზავნა რათა გადაგვარჩინოს და გვიხსნას ეშმას ხრიკებისაგან, ცოდვის ბატონობისაგან. სიკვდილს მასზე ძალა არ ჰქონდა. იგი აღსდგა და გამეფდა როგორც უფლის ძე. მე მჯერა ამის, ვემზადები ამისათვის იმიტომ, რომ მეც ებრაელი ვარ, იუდას ტომიდან და ვიცი, რომ ვნახავ ჩემს საყვარელ ღვთიურ მამას ზეციურ ახალ იერუსალიმში, სადაც მრავლად არის ადგილი ყველა ღირსეული ადამიანისათვის“. თქვა აღფრთოვანებით თმაჭაღარამ.

„აუცილებლად ვიფიქრებ ამის შესახებ, მაგრამ მე როგორც მეცნიერების მიმდევარი შევეცდები, რომ ნაკლებად ფანატიკოსი, უფრო სწორედ ნაკლებად ეგზალტირებული ვიყო“, თქვა სტუდენტმა.

„როგორც გინდა ისეთი იყავი, მაგრამ გატაცებული კი უნდა იყო, რომ გაიგო თუ სად არის ცა და სად არის ჯოჯოხეთი. უფალი ჩვენი, იეჰოვა შუქია, ცოდნაა, წინსვლაა. ასევეა მისი შვილი იეშუა, ჩვენი ჰამაშიაშია, ჩვენი მხსნელი და იმედია. ამიტომ თუ არ არის შუქი, სიბნელე და უმეცრება ბატონობს. ღმერთი არის სიყვარული, ამიტომ თუ არ არის სიყვარული წინა პლანზე სიძულვილი გამოდის. ღმერთი ჭეშმარიტებაა, ამიტომ არ არის ჭეშმარიტების ბატონობა და ზეიმი, მაშინ ტყუილებით ივსება ქვეყნიერება. ღმერთი არის სიცოცხლე,

ამიტომ, თუ არ არის სიცოცხლე, ეს არის სიკვდილი. იფიქრე ამის შესახებ“, დაასრულა დამაზუსტებელიო საუბარი შუახნის თმაჭაღარა ინტელიგენტმა.

„მე ვიფიქრებ ამის შესახებ“, თქვა ახალგაზრდამ და მალევე წავიდა. კარგი ბიჭი სჩანდა, მაღალი, თხელი, წაბლისფერთმიანი, დახვეწილი ნაკვთებითა და მანერებით. ჩაფიქრებული მიდიოდა და მალევე ოუშენ პარქვეისა და შიფჰედბეის კუთხეში გაუჩინარდა. ჭაღარას გავხედე. კმაყოფილი იჯდა. გულითა და სულით ლაპარაკობდა, და ახლა ძალას იკრებდა.

„როგორ ფიქრობ შენი ლაპარაკი გაჭრის?“ გავძახე ჭაღარას ჩემი სკამიდან.

გაკვირვებულმა შემომხედა. ბლანჟეზე ორი თითი ჩამოისვა.

„შემთხვევით მოვისმინე თქვენი საუბარი“ დავამატე მერე.

„არ ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებ. მე ჩემი გავაკეთე. იმედი მაქვს რომ გადარჩება. ახლა მან იცის: არა ფული, არა განათლება, არა რომელიმე კულტურასთან შეკედლება, არა ეროვნულობა, არავის არაფერი არ გადაარჩენს. ეს უფლის შვილისადმი რწმენაა, იყო ღმერთის შვილი იესო-იეშუასთან გვერდით“.

„მაშასადამე თუ მავანი და მავანი იეშუა ჰამაშიას მხარეს იქნება იგი გადარჩება?“ ვკითხე ჭაღარას ხაზგასმით.

„ხომ მისმენდით, როგორც თავად სთქვით და თავიდან რატომ მეკითხებით?“

„იმიტომ, რომ მინდა დავაზუსტო: იესო რომ მესია არ აღმოჩნდეს გადავრჩებოდით?“ ჩავეკითხე ჭაღარას.

„არა, ვერავინ ვერ გადარჩებოდა, რადგან ხსნა მხოლოდ იესო ქრისტედან მოდის და იგი ნამდვილი მესიაა“, კეთილად მომიგო ჭაღარამ.

„მაშ მისმინე“, ვთქვი მე, ფეხი ფეხზე გადავდე და წვეტიანი ალპენშტოკის მსგავსი ხელჯოხი მიწაში ღრმად ჩავარჭე.

„დამეთანხმები თუ ვიტყვი, რომ მეფე დავითის პირდა-პირი ჩამომავლის, იესოს პირველი გამოჩენა იერუსალიმში ტრიუმფალური იყო?“ ჭაღარას სახეში ვუყურებდი.

„კი გეთანხმები“, თქვა ჭაღარამ და გაიღიმა.

„დამეთანხმები თუ ვიტყვი, რომ როდესაც იესო იერუსალიმში შევიდა ბზობის ზეიმი იყო. ქალაქში მილიონზე მეტი მლოცველი იყო თავმოყრილი რაც ქადაგების დასაწყისად ყველაზე დიდი აუდიტორია იყო ალბათ მსოფლიო ისტორიაში“.

„კი, გეთანხმები“, კვლავ დამეთანხმა თმაჭაღარა.

„მეთანხმები რომ დასაწყისში ებრაელი ხალხი ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ იესო ღმერთის მიერ გამოგზავნილი მესია იყო და მისცეს კიდევაც მას შესანიშნავი ტიტული „იუდეას მეფე“. იესოს ტიტული არ უარყვია. თვით სანჰედრინის წევრები და რომის ადმინისტრაციის ავტორიტეტებიც კი ფიქრობდნენ, რომ იესო შესაძლებელია მესია იყო და შეეკითხნენ კიდევაც: შენ მესია ხომ არ ხარ? რაზედაც იესომ ეშმაკურად უპასუხა, ამას თქვენ ამბობთ, მე კი არა“.

„კი გეთანხმები“, თქვა ისევ ჭაღარამ.

„მაშინ კიდევ ერთ რამეს გეტყვი“, ვთქვი მე და მთელი ტანით ჭაღარისკენ შევბრუნდი.

ჭაღარამ ჩემს სქელლანჩიან ყავისფერ ფეხსაცმელებზე შეაჩერა მზერა, მერე დამტვერილ შარვალს აუყვა და ბოლოს ჩემს ხელჯოხს დააკვირდა, რომელზედაც მარჯვენა ხელის მაჯა მქონდა ჩამოდებული.

„მეთანხმები რომ ქრისტიანულ და ებრაულ მესიანურ გაგებებში დიდი განსხვავება არის“, ვთქვი მე.

„მაინც რაში?“ იკითხა თმაჭაღარამ.

„ტერმინი „მესია“, ანუ როგორც ებრაელები ამბობენ, „ჰამაშიაშ“, ნიშნავს მირონცხებულს და ეფუძნება ებრაულ ტრადიციებს მეფისათვის ტახტზე საზეიმოდ ასვლის წინ ზეთის ცხებას! ეს მეფე უძლეველი სარდალი უნდა იყოს, რომელიც ებრაელების მხსნელი და თავისუფლების მიმნიჭებელი იქნება. ხოლო გაგება უდანაშაულო, ნახევრად ღვთიური ან მთლიანად ღვთიური არსების, რომელიც ჯვარცმული იქნება რათა გადაარჩინოს კაცობრიობა მისი მზარდი ცოდვების გამო არის მთლიანად ქრისტიანული რელიგიის კონცეფცია. მაშასადამე არის მესიის ორი გაგება და ორივე ებრაული ტრადიციიდან გამომდინარეობს. ერთია ტრიუმფალური, მეფური, ფიზიკურად შესაგრძნობი, რეალური, ხოლო მეორეა თავმდაბლური, საწყალი, მხოლოდ ლოცვებზე და მონანიებებზე აგებული. ერთი იუდაიზმის საფუძველია, ხოლო მეორე კი ყოფილმა ებრაულმა სექტამ, შემდეგ კი დამოუკიდებელ რელიგიად ჩამოყალიბებულმა ქრისტიანობამ აიღო, როგორც მისი ერთ-ერთი საპროგრამო სახელმძღვანელო“, შევაჯერე ნათქვამი.

„კი გეთანხმები, ამის შესახებ რამდენიმე წინასწარმეტყველი

ისაია, ზაჰარია, ეზეკიელი და სხვები საუბრობენ“, განაცხადა თმა-ჭაღარა ინტელიგენტმა, რომელიც ჩემს ხელჯოხსა და ფეხსაცმელებს თვალს არ აცილებდა.

„მეთანხმები, რომ ებრაული ტრადიციით „ჰამაშიაშს“ აქვს მკაცრი კრიტერიუმები. თუ „ჰამაშიაში“ არ ჯდება ამ კრიტერიუმებში, იგი „ჰამაშიაში“ ანუ მესია არ არის. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონცეფცია „ჰამაშიაში“ ებრაელებმა შექმნეს და მას უპირატესობა აქვს მესიის ქრისტიანულ კონცეფციასთან შედარებით, რადგან ქრისტიანობა და ყველა მისი კონცეფცია ებრაული მსოფლმხედველობიდან გამოდის.

„რა კრიტერიუმები განსაზღვრავს „მესიის“ ებრაულ გაგებას?“ იკითხა თმაჭაღარამ.

„კრიტერიუმები ანუ მოთხოვნები ბევრია და ისინი საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა. ებრაელი ხალხი ყოველთვის ელოდა მესიას ანუ ხსნას, რადგან საშიშროება ყოველი მხრიდან არნახული ძალით ემუქრებოდა და ეს გაგება იუდაიზმის მთავარი საყრდენია“, ვთქვი მე.

„რაღაც შორიდან იწყებ“, თქვა ჭაღარამ და ჩაიცინა.

„ნუ ატყუებ ხალხს. განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. თუ შენ გჯერა ეს არ ნიშნავს რომ სხვასაც სჯერა. თუ ეგრე გააგრძელებ, ნუ იოცნებებ რომ ხსნა მოგევლინება“, გავბრაზდი მე.

„სულ ეგ არის?“ ჩაიცინა ისევ ჭაღარამ.

„ებრაული გაგებით“ მესია ანუ ჰამაშიაში“ უნდა იყოს დიდი პოლიტიკური ლიდერი, როგორც იერემია თავის ნაწარნმოების 83 თავის მე-15 პარაგრაფში აღნიშნავს, იგი მამის ხაზით მეფე დავითის ჩამომავალი უნდა იყოს. ხშირად კომენტატორები მესიას დავითის შვილს ანუ „ჰამაშიაშ ბენ დავიდს“ უწოდებენ. იგი უნდა იყოს მოსეს კანონმდებელობის კარგი მცოდნე და როგორც ისაია აღნიშნავს თავის ნაწარმოებში (ისაია 11:2-3) უნდა ემორჩილებოდეს ათ მცნებას. იგი უნდა იყოს მგზნებარე ლიდერი და თავისი მაგალითით აღაფრთოვანოს თავისი მიმდევრები. ებრაელთა მესია უნდა იყოს უდიდესი სამხედრო სარდალი, რომელიც ისრაელის სასარგებლოდ მოიგებს ყველა საპრობლემო ბრძოლას, უცხოელთა ბატონობისაგან გაანთავისუფლებს ებრაელებს, დაამარცხებს ისრაელის ყველა მტერს და შექმნის თორას საფუძველზევე დაფუძნებულ ისრაელის სამეფოს. იმავდროულად როგორც ამას იერემია

აღნიშნავს იგი უნდა იყოს შესანიშნავი მოსამართლე, რომელიც ყოველთვის უჩვეულო, მაგრამ სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებს. უჩვეულო იმიტომ, რომ მესია ღვთიურ გადაწყვეტილებებს მიიღებს და როგორც ბიბლია აღნიშნავს ის რაც ხალხისთვის თითქოსდა სამართლიანია, იგი ღვთისათვის მიუღებელია და პირიქით. და ახლა მთავარი მოისმინე“, ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი, ხელჯოხი მიწიდან ამოვაძრე და თმაჭაღარა შუახნის ინტელიგენტს ნელა მივუახლოვდი. მაღალი ვიყავი. შეშინებულმა ჭაღარამ ქვემოდან ამომხედა, წამოდგომა სცადა, მაგრამ დავიხარე, მხარზე მარჯვენა ხელი დავადე და, სკამს მივეჯაჭვე.

„ამავე დროს, მესია უნდა იყოს ჩვეულებრივი, ადამიანური არსება, არა ღმერთი, ნახევრად ღმერთი, ან ზებუნებრივი ქმნილება. იგი შეიძლება იყოს სტუდენტი“, ამ სიტყვებზე კიდევ უფრო დავიხარე და ჭაღარას ყურში ყრუ ხმით ჩავძახე:

„დიახ, სტუდენტი, შეიძლება ის, რომელსაც ახლახან ელაპარაკებოდი, ან სამხედრო ოფიცერი, სახელმწიფო კლერკი ან ბიზნესმენი. იგი შეიძლება ჩვენს გვერდით ცხოვრობს, არ სჩანს, მეტწილად ბიბლიოთეკაში ზის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას დაიწყებს და ყველა დაინახავს მის მესიანურ, ზებუნებრივ შესაძლებლობებს, რომლებიც არა ღვთიურ, არამედ ადამიანურ შესაძლებლობებზე იქნება დაფუძნებული“.

ჭაღარა გაურკვეველ-გაოგნებული იჯდა, არ იცოდა, რა ეთქვა. ადგომას ცდილობდა. მე ვაგრძელებდი მის მხარზე ზეწოლას და, ადგომის საშუალებას არ ვაძლევდი.

„ყოველ თაობაში იბადება მესიის პოტენციის მქონე რამდენიმე პირი, მაგრამ მათი პოტენციალის გახსნა მოხდება მხოლოდ შესაბამის დროს და ის იქნება ერთი. როგორც მოშე მაიმონიდი აღნიშნავს „მე მოველი მის მოსვლას ყოველ დღე“.

„როდის იქნება ეს დღე?“ დავსვი კითხვა და გავაგრძელე:

„ეს იქნება დღე, როდესაც ყველა ებრაელი ერთი და იგივე დღეს მოინანიებს, ან როდესაც მთელი ისრაელი მგზნებარედ აღნიშნავს შაბათ დღეს. ან როდესაც მთელი ისრაელი ზედიზედ ორჯერ წარმატებით ჩაატარებს შაბათ დღეს, ან როდესაც მთელი თაობა იქნება მთლიანად უდანაშაულო, ან მთლიანად ცოდვილი, ან როდესაც მთელი თაობა დაკარგავს იმედს ან

როდესაც ბავშვები მასიურად მიაყენებენ შეურაცხყოფას მშობლებს ან პირიქით, როდესაც ყველა ებრაელი მშობელი მასიურად დაიწყებს თავისი შვილების ხასიათის დათრგუნვას. კიდევ სხვა მრავალი შემთხვევა უნდა მოხდეს, რომ მესიის მოსვლის კრიტერიუმები ერთმანეთს დაემთხვეს“, ვთქვი მე.

„ახლა რაც შეეხება იესო ნაზარეველს“, თმაჭაღარას გვერდით მივუჯექი და მხარზე ხელი გადავხვიე.

„რატომ ხარ ასეთი ცივი?“ მკითხა ჭაღარამ სასოწარკვეთილი ხმით და გაოგნებულმა გვერდით გაწევა სცადა.

„იმიტომ, რომ სიცხეში სუნი არ მქონდეს“, ავუხსენი მე.

„ა, ა, ა“ წამოიყვირა ჭაღარა ინტელიგენტმა.

„ნუ ყვირი! ეგ არ გიშველის, იჯექი და ისმინე“.

ჭაღარას მხრებიდან ხელი ავიღე და ხელჯოხი მისი მუხლების წინ მიწაში ჩავარჭე.

„მოსე მაიმონიდი ამბობს, რომ იეშუა ნაზარეველი უბრალოდ ვერ აკმაყოფილებს მესიის აუცილებელ მოთხოვნილებებს. იესომ „მესიის“ ვერც ერთი ამოცანა ვერ შეასრულა და არც სურვილი ჰქონდა მისი შესრულებისა. იესოს ისრაელი რომის ბატონობისაგან არ გაუნთავისუფლებია, პირიქით ხელი შეუწყო მის განადგურებას. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანები ანუ იესოს მიმდევრები დაუღალვად ხოცავდნენ ებრაელებს. არავის ებრაელი ხალხის ისტორიაში ებრაელებისთვის ისეთი ზიანი არავის მიუყენებია, როგორც ქრისტეს და ქრისტიანებს. გაიხსენე ესპანური ინკვიზიცია, მარტინ ლუთერი, ჰიტლერი და სტალინი. ასე რომ მესია რომელიც საკუთარ ხალხს ანადაგურებს მისი მესია არ იქნება. იგი ანტიმესია იქნება, ასე რომ ნუ აძლევ ახალგაზრდებს ცრუ ცოდნას და ნუ გადაგყავს ისინი ანტიქრისტეს მხარეზე“.

წამოვდექი, ოკეანეს გავხედე, მზე უკვე ჩასულიყო. ბრაიტონს რუხი მოსასხამი მოესხა. მიწიდან ჯოხი ამოვაძრე და საკუთარი წლებით დამძიმებული ნელა დავუყევი ბრაიტონ ბიჩის ბულვარს ბეი პარკვეის მიმართულებით. ცოტათი რომ დავცილდი ჭაღარამ სუსტი ხმით მომაძახა:

„ვინ ხარ?“

„მე ათასწლოვანი მოხეტიალე ურია ვარ“, ვუპასუხე მე და შიფჰედბეის ქუჩის კუთხეში გავუჩინარდი.

ნიუ-იორკი, 2002 წ.

ხეტიალის დასაწყისი

ერთხელ ნახევრად ღია ფანჩატურში მიმოვდიოდი და იმ შეხვედრაზე ვფიქრობდი, რომელიც აქ ან ამ არემარეში უნდა მომხდარიყო.

ჯერ ივლისის თვის სასტიკი სიცხეები იდგა. შემდეგ ამინდი გამოკეთდა, მაგრამ ბოლოს მაინც აურია და ახლა დღეში რამდენჯერმე მოდიოდა წვიმა. თუმცა მზე ღრუბლებში გასასვლელს იპოვიდა თუ არა ათიოდ წუთში ყველაფერი შრებოდა. ამ დროს კმაყოფილი დამსვენებლები ფლორიდის შტატის კურორტის ქლინ ვოთერის ქუჩებსა და ტყე-პარკებს მიაშურებდნენ ხოლმე.

„პრეზიდენტ-ჰოტელი“ სადაც შევჩერდი უზარმაზარი თეთრი ხომალდივით კლდოვანი კონცხის კიდეზე იდგა და ამინდის ცვალებადობას მისი მაცხოვრებლები ყველაზე ადრე გრძნობდნენ. დილა-საღამოს ამ ადგილას სასიამოვნო სიო ჰქროდა. იქვე მიშენებულ პატარა პარკში, რომელიც კონცხის კიდეებისაკენ ტერასებად ეშვებოდა ამერიკის საზოგადოების სხვადასხვა ფენის უაღრესად ჭრელი საზოგადოება იკრიბებოდა. ვის არ ნახავდა აქ კაცი: გადამდგარ გენერლებს და ადმირალებს, მსახიობებსა და სახელმწიფო მოხელეებს, ბიზნესმენებსა და კულტის მსახურებს, მრავალშვილიან მანდილოსნებსა და კოხტად გამოწკეპილ ქალაქელ დენდებს, პროვინციელ გაგრიებსა თუ ევროპულ მოგზაურებს. ისინი წყვილ-წყვილად ან ჯგუფებად დასეირნობდნენ პარკის აღმა-დაღმა ბილიკებზე და ამ წუთისოფლის საჭირბოროტო საკითხებზე გაცხადებით მსჯელობდნენ. საღამოებით კი სხვადასხვა წვეულებებსა და ქეიფებს აწყობდნენ... თუ ვინიცობაა და ქარი დაუბერავდა და ქარიშხალში გადაიზრდებოდა აქ გაჩერება არ ღირდა, რადგან ტალღების გრუხუნი არემარეს რამდენიმე მილზე აყრუებდა.

სასტუმროს თავზე შუქურა იდგა და მისი სრული სახელიც „პრეზიდენტ-ჰოთელ ლაითჰაუზი“ იყო. კონცხის კარგი გეოგრა-ფიული მდებარეობის გამო, შუქურის მიერ გამოტყორცნილი სხივები ხალხის ღამის საყვარელ გართობას წარმოადგენდა. ისინი დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ ბნელ ჰორიზონტზე გასრიალებული სხივების თამაშს. როდესაც გვიან ღამე დამსვენე-ბელთა უმრავლესობა ლოგინირებს მიაშურებდა, მე მაშინვე ოკეანის ნაპირს მივდიოდი ხოლმე და ტალღებიდან ორიოდ ფუტის მოშორებით გრილ ქვიშაზე გულაღმა გაშოტილი სავსე მთვარეს ავყურებდი და მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობდი.

ჩემს აქ ყოფნის დროს ჩვენმა მუდმივმა თანამგზავრმა რამდენ-ჯერმე შეიცვალა მოხაზულობა. მეჩვენებოდა, რომ ზოგჯერ ადამიანის სახის ფორმას იღებდა. ვიღაცას ვამსგავსებდი, მაგრამ იმ სახეს ვერ ვიხსენებდი. ბოლოს მთვარის დისკო გაივსო, მეწამური ფერის გახდა და საიდუმლო პლანეტის იერი მიიღო. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიგრძნობოდა, როდესაც სასტუმროს თავზე მოთავსებული შუქურის სიმეტრიულად მოტრიალე სხივები მთვარეს ქვეშ გაუვლიდნენ და ჰორიზონტს მიღმა გაუჩინარდებოდნენ.

„პრეზიდენტ-ჰოტელ ლაითჰაუზი“ სამასი ფუტით იყო ზღვიდან დაცილებული და ტალღების ტყლაშუნი აქ კარგად ისმოდა. ახლა ღელვა ხუთ ბალს აღწევდა და ასეთ დროს თავზეხელაღებულის გარდა არავინ ბანაობს. ჯერ წვრილი და ხშირი წვიმა სცრიდა, მერე კი უფრო წამოუშინა. მართალია წვიმდა, მაგრამ საკმაოდ ნათელი დღე იყო. შეიძლება მზესაც გამოეხედა. ზღვაზე და მთაში ხომ ამინდი ძალიან სწრაფად იცვლება.

როგორც ადრე ავღნიშნე სასტუმროს წინ ფანჩატურის დახურულ მხარეს ჩაფიქრებული ვსეირნობდი. უცებ ურთხელის ბუჩქებს მიღმა, ხვეული კიბის დასაწყისში, რომელიც სასტუმროს შენობას გარედან დაგრეხილი ლიანასავით მიჰყვებოდა და ხანძრისა ან სხვა საავარიო ვითარების შემთხვევაში მაშველ კიბედ ითვლებოდა მერცხლის ბარტყი შევამჩნიე. მივუახლოვდი და კარგად შევათვალიერე. პაწია გაქცევის სურვილს არ ამჟღავნებდა. ჩემის აზრით, ზრდადასრულებულ მერცხალს სიდიდით საკმაოდ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ფრენას მალე დაიწყებდა. ვიფიქრე ამ წვიმაში, ცივ კიბეზე

რომ ჩამომჯდარა და წასვლას არ აპირებს ავად ხომ არ არის-მეთქი. ბარტყს ყურადღებით დავყურებდი. იგი თვალებს ლულავდა და აშკარად სჩანდა, რომ უცხო გარემოში გრძნობდა თავს. ეჭვსგარეშეა, რომ დედის მზრუნველ კალთას მოცილება მისთვის ნაადრევი იყო. ბარტყი სიცივისაგან ძაგძაგებდა და ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

საქმე როდესაც უმწეო ბარტყებს და საერთოდ პატარებს ეხება გულთან ახლოს მიმაქვს. ფრთხილად ავიყვანე და სანამ ჰოლვეი-ში ლიფტს ველოდი ვგრძნობდი თუ როგორ მიფართხალებდა ხელში. ლოგინის თავი გადავწიე, სასთუმალი გავანთავისუფლე და ბალიშის პირისაგან ჩიტს მყუდრო მოსასვენებელი გავუკეთე და თბილად შევახვიე. ამასობაში ლანჩის დრო მოვიდა და რესტო-რანში დავეშვი, საიდანაც რამდენიმე ფუნთუშის ნამცეცი წამო-ვიღე, მაგრამ ბარტყი არაფერს მიეკარა. მერცხლების არაფერი გამეგებოდა და ვიფიქრე იქნებ ჯერ არ შია და მერე შეჭამს-მეთქი. ძალიან საყვარელი არსება იყო. თითით ნისკარტზე წავეთამაშე, მან კი თავი ფრთებში ჩამალა და გაისუსა. დავასკვენი, შეიძლება ეძინება და ოკეანეზე საბანაოდ წავედი.

ისევ წვიმდა, მაგრამ ტალღებზე გართობას ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს. პირიქით, კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა ჩემს 8-10 ფუტიან ტალღებთან თამაშს. ჩემს საყურებ-ლად უამრავი დამსვენებელი შეგროვდა. უფასო სანახაობა იყო. ჯერ ახალგაზრდა ცოლქმარი მოვიდა და ყურადღებით დამიწყეს ყურება, შემდეგ სხვებმაც მიბაძეს, მშრალი ადგილები მიატოვეს, ქოლგები და საწვიმარები გაშალეს და სანაპირო ზოლზე გამწკრივდნენ.

კონცხის წვერში ღელვა უფრო ძლიერი იყო. სუსტ დინებას ოდნავ მარჯვნივ მივყავდი, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. ხშირ-ხშირად შევდიოდი წყალში და გამოვდიოდი. ამიტომ ფაქტიურად ერთ ადგილზე ვიყავი.

საერთოდ ტალღები დიდი ვერაგი რამეა. თუ მასში ცურვა არ იცი, სჯობს არ შეხვიდე, რადგან ადვილად შეიძლება თავი გაწირო. ეს რამდენიმე წამის საქმეა. ერთ რამესაც ვიტყვი. ტალღებში დახრჩობა სრულიადაც არ არის ძნელი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ასე მაგალითად, მოზრდილი ტალღა ამოგაყირავებს, ცხვირს და ყურებს მარილიანი წყლით აგივსებს, თან უდიდესი ძალით ნაპირისკენ

გაგტყორცნის. ამ დროს თავს ვეღარ აკონტროლებ. მთლიანად სტიქიის გავლენაში ხარ. სადღაც სასიამოვნო გრძნობაც არის, რადგან შენ და ბუნება გაერთიანებულები ხართ.

ამ დროს გამოუცდეკი კაცი ტყუილ-უბრალოდ დიდ ენერგიას ხარჯავს, სტიქიონს წინააღმდეგობას უწევს. ეს კი შეცდომაა. ამას აზრი არ აქვს. ბუნება განუზომლად ძლიერია, ვიდრე შენ. დაღლილ-დაქანცული აქაფებული წყლიდან რომ ამოყვინთავ მხოლოდ ერთი წამით აღმოჩნდები ნაპირთან ახლოს, შემდეგ უკუქცეული ნაკადი ისევ სიღრმეში გაგაქანებს. უცბათ დაინახავ, რომ მეორე, უფრო მოზრდილი ტალღა თავს გემხობა, თუ ჰაერის შესუნთქვა მოასწარი ხომ კარგი, თუ არა და ძალიან გაგიჭირდება. ასე განმეორდება რამდენჯერმე და უკვე თავგანწირული ყოველგვარი ტაქტიკისა და გეგმის გარეშე ცდილობ ნაპირზე გასვლას და საბოლოოს უძლურდები. გიჩნდება უდიდესი სურვილი ნაპირზე გასვლისა. ხმელეთზე მოსიარულეთ ისე უყურებ, როგორც უდიდეს ბედნიერერბას, რომელსაც ხედავ რომ საბოლოოდ ხელიდან გეცლება, მაგრამ ვერ მიწვდომიხარ კი. ამ დროს ყველაფერზე თანახმა ხარ, ოღონდ კი გადარჩე. მაგრამ არავინ შეთავაზებას არ გიკეთებს. ასეთ დროს სჯობს ნაპირს მოსცილდე და სიღრმეში წახვიდე. იქ შედარებით სიწყნარეა, შეიძლება დაისვენო და მაშველს დაელოდო. თუ არა და ნაპირთან სახიფათო ყირამალობაში ადვილი შესაძლებელია მუშტის ხელა, ტალღის მიერ ზღვის ფსკერიდან ათრეული ქვა თავში ძლიერად მოგხვდეს და ხუთიოდე წამით გაგაბრუოს. ეს ყველაზე კრიტიკული მომენტია. გაბრუება მეტად სასიამოვნო გრძნობაა, ტკივილს არ გრძნობ, დაღლილ-დაქანცული უცებ მოდუნდები, მოეშვები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა უდიდესი გმირობის ტოლფასია. მისგან მოცილება მთვრალი კაცის ბოდვის ლოგიკურ მსჯელოპბაზე გადასვლას უდრის. სულ თავისუფლად ეს ხუთი წამი შეიძლება მარადისობად იქცეს. „სიკვდილი არის არაფრის სტატუსი“, ამბობს ბიბლია და ეს ასეა. ტალღების წინააღმდეგ ბრძოლის დრო საოცრად ნელა მიიზლაზნება და იგი ძალიან იოლად შეიძლება სამარადჟამოდ გაიზლაზნოს.

ყველაფერი შედარებით იოლად ხდება თუ აღელვებული ზღვის მძლავრ დინებას წინააღმდეგობას არ გაუწევ და მთლიანად დაბენდები მას. მხოლოდ საჭიროა დრო იხელთო და

მაღალ ტალღას ქეჩოზე მოაჯდე. რაც უფრო დიდი ტალღა იქნება მით უფრო იოლად გაგიყვანს ნაპირზე. რა თქმა უნდა, ცუნამი და სხვა საშინელებები აქ არ იგულისხმება. ნაპირთან ახლოს მისულ მოსურავეს შეუძლია რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგას და იგი უკვე ხმელეთზე იქნება, თუკი არ დაიბნევა და თავბრუ არ დაეხვევა უამრავი გადატრიალება-გადმოტრიალების დროს და გამაყრუებელი გრუხუნის გამო.

ხალხი დიდის გულისყურით მიყურებდა და მეც ეშხში შევედი. ვატყობდი, ბევრს სურდა ჩემს სტიქიაში შემოსვლა, მაგრამ ვერ ბედავდნენ. აი ერთმა უკვე საბანაო ტანსაცმელში გამოწყობილმა, რამდენჯერმე მოსინჯა წყალში შემოსვლა, მაგრამ ვერ გაბედა და მიყურებდა, ალბათ ანგარიშობდა ტალღებზე მოძრაობის ტრაექტორიებს. ასეთები ბოლოს და ბოლოს შემოდიან მღელვარე ზღვაში და თუ არ იხრჩობიან ბედნიერები და ამაყები ხდებიან.

საერთოდ პატივისცემისაკენ მიმავალი ასეთი გზა მეტად საშიშია. ზოგჯერ მაღალ ტალღაზე მომჯდარი მაყურებლებს ზემოდან ისე დავხედავდი, თითქოს კათედრაზე ვიდექი და ქადაგებას ვკითხულობდი. აი, ეს არის სიცოცხლე, ვფიქრობდი მე და თითქმის მთელი საათი ვაგრძელებდი წყალში კოტრიალს. კარგად ვისიამოვნე, თუმცა ბოლოს მაინც წამშხამდა. ბედნიერებისაკენ მიმავალ ბილიკებზე ზოგჯერ ვერაგი მახე აქვს დაგებული.

უეცრად ერთი მეხანძრისსაწვიმარიანი ქარდაკრული, უშნო სახის აყლაყუდა გამოჩნდა, ნაპირზე ჩემს პირდაპირ დადგა ენერგიული ხელის ქნევით თავისკენ მიმიხმო. ნაპირზე გასვლას ისედაც ვაპირებდი. მალევე მის წინ აღმოვჩნდი.

„რა გნებავს?“, ვკითხე და წინ გამოვეჭიმე.

„არ იცი, რომ ასეთ ღელვაში ოკეანეში ბანაობა აკრძალულია? ნიშანს ხომ ხედავ, „საშტორმო გაფრთხილებაა, რატომ ჩადიხარ წყალში?“ მწივანა ხმით დამტუქსა მეხანძრისსაწვიმარიანმა და ზედ ღვარძლიანად დააგინა.

კარგად ავათვალ-ჩავათვალიერე მისი ნაყვავილარი სახე. ამერიკელები ასე არ იგინებიან. მოქალაქეს შეურაცხყოფას არ აყენებენ. ამავე დროს ნაცნობი აქცენტი შევატყვე.

„დარდი ნუ გაქვს მეგობარო“, ვუთხარი მე და მხარზე ხელი მოვუთათუნე, „ტალღები ვერაფერს მიზამენ, რადგან წყალში

მაშველთა საზოგადოების წევრი ვარ, ამავე დროს გაფრთხილებაში სწერია, რომ მობანავე თავისი რისკის საფასურად შედის წყალში“, დავამატე შემდეგ.

მეხანძრისსაწვიმარიანი კი სიბრიყვეს არ იშლიდა, ბალაკლავა თავიდან გადაიძრო და უტიფრად დაახალა:

„მაშველი ხარ თუ ვიღაც ჯანდაბა, აქედან დაიკარგე“.

„რა მოგივიდა, რამ გაგამწარა, ხომ ხედავ უკვე წყლიდან გამოვედი და შენს წინაშე ვდგევარ, მაგრამ დრო არის ენას კბილი დააჭირო, რუსი ხომ არ ხარ“, ვკითხე მე.

მეხანძრისსაწვიმარიანმა კვლავ ბარბაროსული შეიგინა და ჩემსკენ წამოიწია. აქ სხვა რამეში იყო საქმე. ვერაფერი გავიგე.

„აქაც არ იშლი ჩემი ჭკუის სწავლებას?“ შევძახე მე და გაკვირვებული ვუყურებდი, თუმცა მალევე მოვეგე გონს.

ახლოს რომ მომიახლოვდა მზის წნულში მუშტი გამჭოლად ვთხლიშე. თუმცა სქელი ლაბადა ეცვა, მაგრამ კარგად გავატანე. იგი ტკივილისგან დაიღრიჭა, სუნთქვა შეეკრა და წყალში მოიხარა, შემდეგ წიხლი მივაყოლე და ქვიშაზე გავშოტე.

ოდნავ შემაღლებულ ადგილზე ვიდექით. იგი ოკეანეს მხარეს გადავარდა, მერე კი ტალღის გრძერლმა ენამ დაფარა. სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა.

„აბა ახლაც გააგრძელე ჭკუის სწავლება შე განავლის კასრო“, ვთქვი მე და ფეხებში ხელი ვტაცე, უკან შემაღლებულზე ამოვათრიე.

წვიმა ისევ ცრიდა. მკერდი გავუღელე და მოსულიერება დავუწყე, სველი ცივი ბრტყელი ქვა გულის ქვეშ ამოვუდე. თვალი გაახილა თუ არა დაინტერესებულ მაყურებლებს შევატოვე და ჩასაცმელად გავემართე. წუთი-წუთზე შესაძლოა პოლიცია მოსულიყო და დიდ შარზე გავეხვეოდი.

პირდაპირ ფრანთ-დესკს მივაჭერი და სასტუმროდან ჩექაუთი გავაკეთე. მერე ოთახში ავედი და ჩემი მცირედი ნივთები დიდ ჩანთაში მოვათავსე და მხოლოდ ამის შემდეგ მივუბრუნდი ჩემს სტუმარს.

მერცხლის ბარტყი იგივე მდგომარეობაში დამხვდა როგორც დავტოვე. თავი ბალიშისპირის თბილ ნაკეცში ჩაედო და ნახევრად თვლემდა. აბა ძილისგუდავ გაიღვიძე-მეთქი და ნისკარტი ძალით გავუღე. პურს არაფრით მიეკარა. ვიცოდი, რომ პატარებს ხშირად უნდათ ჭამა, ჩემი ბარტყი კი ალბათ უკვე

მეხუთე საათი იყო მშიერი. ნისკარტში ფუნთუშის ნამცეცები ჩავუყარე. ყველაფერი უკან ამოყარა. რამდენიმე წვეთი წყალიც ჩავუსხი ნისკარტში. ამაზეც უარი განაცხადა.

რამდენიმე წუთს ოთახში ბოლთას ვცემდი, მერე აივანზე გავედი და სანაპირო ზოლს გავხედე. ხალხი დაშლილი იყო. არც პოლიციელები სჩანდნენ. ჩქარა გამოიდარა, მზეც გამოვიდა და დაათბო არე-მარე. სწორედ რომ კარგი სასეირნო ამინდი დადგა. ისევ ბარტყთან მივედი და ფრთხილად ავიყვანე. ცოცხალი არსების ბედი მეპყრო ხელთ. თუმცა პატარა ბარტყისა, მაგრამ ჩვენებრ სულდგმულისა. ადამიანები და ჩიტები რამ გაყო, ნუთუ მხოლოდ იმან, რომ სხვადასხვა ფორმები აქვთ და ერთმანეთის ენა არ ესმით, სამაგიეროდ საერთო ხომ უამრავი აქვთ, თუნდაც ის, რომ ერთ პლანეტაზე ცხოვრობენ და ერთი ჰაერით სუნთქავენ, მიწისგან შექმნილი პროდუქტისგან სულდგმულები. მე ეს სრულიადაც არ მიმაჩნია ცოტად.

„უსუსურო არსებავ“, ვუთხარი ბარტყს.

„რა გიყო? რითი დაგეხმარო? მინდა რომ იცოცხლო, შენ ხომ ბუნების მშვენიერება ხარ, აბა ახლა შეეცადე რომ გამახარო“, ვთქვი მე და მერე მართალი რომ ვთქვათ ბარტყს წვალება დავუწყე.

ვცდილობდი შემემეწმებინა ფრენა რამდენად იცის-მეთქი. სიმაღლიდან ჩამოვარდნილი პატარა მერცხალი რამდენჯერმე შეიფრთხიალებდა ხოლმე ჰაერში და ლოგინზე რბილად ეშვებოდა. ეს კარგ ნიშნად ჩავთვალე და უფრო მაღლა შევისროლე. პატარამ ფრთები ენერგიულად დაიქნია, ჯერთ თავი შეიმაგრა ჰაერში, შემდეგ კი აივნის გამოღებულ კარგში ლამაზად გასრიალდა და თვალს მიეფარა. გავშტერდი. ამას არაფრით არ მოველოდი. გავბრაზდი რომ კარი ღიად მქონდა დატოვებული. ეს თავისებური ეგოიზმი იყო, მაგრამ კარგი გეგმებიც მქონდა. ვგრძნობდი, რომ პატარა სულდგმულმა თავისი ცხოვრებისა და არსებობის ნაწილი მე გადმომცა. ბარტყს ისე დავუახლოვდი, რომ უკვე ჩემი მეგონა. ვფიქრობდი ეს რამდენიმე ხანი, რაც აქ უნდა ვიყო ერთად ვიცხოვრებთ-მეთქი. ჩემის ჭკუით ფრენას ვასწავლიდი, გაფრინდება-მოფრინდებოდა, მეგობრებს მონახავდა, ხანდახან ჩემთანაც მოფრინდებოდა, გულს გამიხარებდა. მერე კი დრო როდესაც

მოვიდოდა მეგობრულად დავცილდებოდით. ამის მაგივრად კი აი რა მოხდა. ბარტყმა იშვირა ფეხი და გაფრინდა, თვალს მიეფარა. გაქრა როგორც წარსული სიზმარი. თითქოს მოტყუებულად ვგრძნობდი თავს.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახის დატოვება გადავწყვიტე, ჩანთას დავავლე ხელი და წამოსვლის წინ რატომღაც აივნიდან ქვევით გადავიხედე. ბარტყს დანახვას ნამდვილად არ ველოდი. და მით უფრო გამიხარდა, როდესაც ბეტონის ბილიკის კიდეზე დაფრენილი დავინახე. უსუსურ ბარტყს თურმე რა შესძლებია. შეიძლება სულაც პირველად გაფრინდა ამ სიშორეზე. ჯერ კიდევ სუსტად იყო, ფრენის თავი აღარ ჰქონდა და დაქანცული ბილიკიდან ბალახებში შემალვას ცდილობდა.

ნეტავი ისე გაფრენილიყო რომ არ დამენახა, გამქრალიყო სიზმარივით და თავი მოტყუებული მეგრძნო. ახლა თუმცა გამიხარდა მისი დანახვა, მაგრამ შველა რომ არ შემეძლო. ჩანთას ხელი დავავლე, ლიფტს არ დაველოდე და საგანგებო დანიშნულების კიბით თავქუდმოგლეჯილი ქვევით დავეშვი.

კარგა ხნის ძებნის შემდეგ ბალახებში მიყუჟული ვიპოვე. საცოდავ დღეში იყო. რამდენიმე ჭიანჭველაც უკვე დასეოდა. რა თქმა უნდა, ცოტა ხანში მწერები და ქვემძრომები ბოლოს მოუღებდნენ.

ტყე-ტყე მოშორებით მდგარ სასტუმრო „ჰოლიდეი ინნისკენ“ გავემართე, ახლა იქ ვაპირებდი დაბინავებას. გზად ტყის ბილიკზე ერთი ნაცნობი შემხვდა. ლანკასტერიდან იყო. ტიანშან სვანიძე, შუახნის ჭაღარაშერეული, დარბაისელი მესხი ქართველი, ემიგრანტი ფერგანის ველიდან. იგი უკვე დიდი ხანია ამერიკაში იყო ემიგრირებული. შვილი, ჰიმალაი სვანიძე ფოლკლენდის კრიზისის დროს დაეღუპა. მისი სხეული ვერ იპოვეს. ჰიმალაი ხომალდ „შეფილდის“ ოფიცერი იყო, რომელიც არგენტინელებმა ჩაძირეს. ტიანშანიც ყოფილი სამხედრო იყო, პოლკოვნიკი, ვიეტნამის ომის ვეტერანი, მფრინავი. ომის დროს მუხლში იყო დაჭრილი და ჯერაც კოჭლობდა, თუმცა ეს ხარვეზი სრულიადაც არ უშლიდა ხელს თავისი საოცარი სპორტული უნარი გამოემჟღვნებინა ჩოგბურთის თამაშის დროს. ურიგოდ არ ცურავდა. მორიგეობით ვეპატიჟებოდით ხოლმე ერთმანეთს სადილზე და შეიძლება ითქვას, საკმაოდ დავახლოვდით. როგორც

ავღნიშნე ლანკასტერიდან იყო და მალევე უკან აპირებდა წასვლას.

ტიანშანს ჩემი გასაჭირი ვუთხარი და ბარტყი ვაჩვენე.

„სადაც პირველად ნახე, იქ დასვი“, მირჩია ტიანშანმა.

„მერცხლები მონახავენ და წაიყვანენ“, დააზუსტა მერე.

„რომ ვერ მონახონ?“ ეჭვი გამოვთქვი მე.

„მაშინ დაიღუპება, რადგან მშობლების გარეშე ფრენას მარტო ვერ ისწავლის“.

„ამასთანავე“, „მერცხლები პურს არ ჭამენ, მარტო ჭიაღუებით და ბუზებით იკვებებიან, ამიტომ შენთან შიმშილით სიკვდილი არ ასცდება“. აღნიშნა ლანკასტერელმა მესხმა კაცმა.

ამის მერე ტიანშანი ბარტყს საგულდაგულოდ დააკვირდა და აღნიშნა:

„უკვე ძალიან მძიმე დღეშია, შენს ხელში ყოფნა ნამდვილად არ უხდება“.

მართლაც მერცხალი ნისკარტს მალი-მალ აღებდა და შესამჩნევად ცახცახებდა.

„შეიძლება დედამისი გამწარებული დაეძებს, ჩვენ კი აქ ტყუილ-უბრალოდ ვდგევართ“, ვარაუდი გამოვთქვი მე.

„ადვილი შესაძლებელია“, დამიდასტურა ტიანშან სვანიძემ.

დავფიქრდი და როდესაც ახალ სასტუმროში დავბინავდი მოსაუბრეს დავუჯერე და ბარტყი ისევ იმ ადგილას დავსვი, სადაც პირველად ვიპოვე ანუ ნახევრად ღია ფანჩატურის მახლობლად, ურთხელის ბუჩქების მიღმა მდებარე კიბის დასაწყისში. ამჯერად ადგილმდებარეობა კარგად შევათვალიერე. მოშორებით დავდექი და ყურადღებით ვიყავი, იქნებ მერცხლები გამოჩნდნენ-მეთქი. თან კატისაც მეშინოდა. რამდენჯერმე უკვე შევნიშნე სასტუმროს მახლობლად ზანტად მობორიალე ზოლებიანი ბებერი კატა.

სასტუმროს მინაშენის გასწვრივ მდებარე ღია აუზის ერთ-ერთ ლავგარდანის კუთხეში ბუდე დავინახე. კარგა ხანს ველოდე მის მობინადრეებს და ბოლოს შიგნით ბელურები შეფრინდნენ. მოგვიანებით მერცხლის ბუდეც ვნახე, მაგრამ იგი ბარტყებით იყო გამოჭედილი. ბარტყებს ბუდის კუთხეებიდან თავები ამოეყოთ და მოუთმენლად ელოდნენ მშობლების დაბრუნებას. ჩემი მერცხალი აშკარად ამ ბუდიდან არ იყო. მაინც შიგნით

ჩასმა მოვინდომე, ბოლოს და ბოლოს თავის თვისტომებს როგორ არ შეიკედლებენ-მეთქი. ხის გრძელი კიბეც მოვათრიე და საქმეს შევუდექი. ის-ის იყო ბარტყი ბუდეში უნდა ჩამესვა, რომ ერთმა შავკანიანმა მანდილოსანმა შემაჩერა.

„დედა მერცხალი სხვის ბარტყს აუცილებლად გარეთ გადმოაგდებს, და გაბრაზებულმა შეიძლება საკუთარი ბარტყებიც ზედ მიაყოლოს“, მითხრა ქალმა.

„ამას ვერაფრით დავიჯერებ“, ვთქვი დაეჭვებულმა.

„თუ არ გჯერათ, მაშინ დაელოდეთ და ყველაფერს საკუთარი თვალით დაინახავთ“, დასძინა შავკანიანმა ქალბატონმა დამაჯერებლად.

დაღონებული ჩამოვედი კიბიდან.

ორიოდ საათი კიდევ ვიდექი ჩემს სადარაჯოზე, საქმეს კი სასიკეთო პირი არ უჩანდა. მერცხლის ბარტყს არავინ აკითხავდა. იგი თითქოს უკანასკნელ დღეში იყო.

ისევ ჩემს ახალ ნომერში წავიყვანე და ახალ ლოგინში ჩავაწვინე, მერე კი ბუზებზე სანადიროდ წავედი. სამწუხაროდ, ამერიკაში ბუზს ვერ ნახავ. ეს არ არის ბუზების ქვეყანა. ბუზები უფრო მექსიკის სოფლებში მიფრინავენ. ხოლო ვინც კი ამერიკაში ცხოვრობდა წვიმიანობის დროს საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ.

ქალაქის ბოლოში ნაცნობ ნიუ-იორკელ ოჯახს მივაკითხე. ისინი ყოველდღე ხილს ყიდულობდნენ. ოთახი სავსე ჰქონდათ საზამთროებით, ნესვებით და ყურძნებით, რომლებმაც შეიძლება ბუზები მოიზიდოს-მეთქი, მაგრამ არ გამიმართლდა. ამასობაში სადილის დრო მოვიდა, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადამდიოდა. ზოგიერთებმა აღნიშნეს კიდევაც უგუნებოდ ხარო.

რესტორნიდან ამჯერად ვერაფერი წამოვიღე. ბარტყი ძალიან გასავათებული დამხვდა. მალი-მალ აღებდა პაწაწინა ნისკარტს. გულში სევდა მეპარებოდა. თითქოს ჩემი ესმისო ისე ვუთხარი:

„ახლა ჩემო ძვირფასო, უკანასკნელი შანსი მაქვს. თუ შენი გვარის მიერ დაწუნებულ პურს არ შეჭამ, ვერაფერი გადაგარჩენს. ნუ იქნები ასეთი ჯიუტი. რადგან შემთხვევითობამ ერთმანეთს შეგვახვედრა მოდი სიკვდილით ნუ დავამთავრებთ ამას. ვიცოცხლოთ ერთად. შენ ბუნება გაახარე, მე კი შენ შეგხედავ და გავიხარებ“.

ამის მერე ბევრი ვეჯახირე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მერცხალი თავისი პრინციპების ერთგული დარჩა. ერთი კი გავიფიქრე: მოდი სანამ ჯერ კიდევ ცოტა ძალა აქვს, აივნიდან ჰაერში შევისვრი, რათა ერთხელ კიდევ შეიგრძნოს, შეიფრთხიალოს საკუთარ სტიქიაში და საკუთარი ბედის კამათელს მივანდოთ მისი ბედი-მეთქი. ჩემი ასეთი საქციელი გარკვეულად სიმბოლურად მეჩვენებოდა. შეიძლება ამით დავაჩქარებდი მის დაღუპვას, მაგრამ ფრენისა და ჰაერში ყოფნის მომენტი მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა. თუმცა კარგად რომ ჩავუკვირდი საკითხს ვერაფერს სიმბოლო ვერ დავინახე. ბარტყი ალბათ ქვასავით შეენარცხებოდა დეკორატიულად მოფენილ ქვაფენილზე და მაშინვე დაიღუპებოდა.

ოთახში უთავბოლო ხეტიალი მომბეზრდა და შეჩვეული სანაპიროსკენ გავწიე. ლანკასტარელი კაცი თავის საყვარელ ადგილას ბოღაზის კიდეზე იდგა და ოკეანეს გაჰყურებდა. ალბათ შვილზე ფიქრობდა. მივესალმე.

„რა ჰქენი?“ შემეკითხა.

უაზროდ მხრები ავიჩეჩე.

„ისევ ოთახში გყავს?“ ჩამეკითხა კვლავ.

თავი დავუქნიე. გაელიმა. ეტყობა უკვირდა ჩემი საქციელი. მალევე მოვცილდი და იქვე „ვენდისში“ შევედი. ხალხი ტელევიზორს უყურებდა. მაიამი ჩიკაგოს ეთამაშებოდა. ლებრონ ჯეიმსი ფანტასიკას აკეთებდა. თამაშმა დამაინტერესა და ათიოდ წუთი ვუყურე. მერე კი უკან, სასტუმროში დავბრუნდი.

ბარტყი გარდაცვლილი დამხვდა. თუმცა ამას ველოდი, მაგრამ მაინც გულწრფელად მეწყინა. იგი წყნარად ჩახვეულიყო ჩემს მიერ გაკეთებულ ლოგინში, რომელიც ახლა საბოლო სარეცელის მოვალეობას ასრულებდა და მშვიდად გადაბარგებულიყო იმ ქვეყანას. კარგა ხანს მის გვერდით ჩამომჯდარი შევყურებდი მერცხალს და ვფიქრობდი, თუ როგორ დამესაფლავებინა. ეს ისევე მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა, როგორც მისი სიცოცხლისათვის ბრძოლა. ჩვენმა პაწია მერცხალმა მართალია დიდი ვერაფერი საგმირო საქმეები ჩაიდინა, არ შეუძრავს ქვეყანა, არც ტანად იყო დიდი. იგი ბუნების ერთი პატარა სიცოცხლე, მისი ნაპერწკალი იყო, მაგრამ მით უფრო წმინდა, სათუთია ასეთი სიცოცხლე, რადგან მან ცუდის გაკეთება ვერ მოასწრო. ამასთანავე ყველაფერი ჩემთან მოხდა და მისი ჭირისუფალიც

მე ვიყავი. ცხადია, ვერც თვისტომებს გამოვუძახებდი, რათა გამომშვიდობებოდნენ, მაგრამ მაინც მინდოდა სანიმუშოდ დამესაფლავებინა. ბოლოს გადავწყვიტე: მერცხლებს ჭირის დღესავით ეზარებათ ტყვეობა, გალიაში ყურყუტი, ისინი ჰაერისა და თავისუფლების შვილებია. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა მერცხლის ნეშტი ზღვის ტალღებისათვის გადამეცა.

ბარტყი ფრთხილად ჩავისვი უბეში, ქურთუკი გადავიცვი და სანაპიროსკენ დავეშვი. წვიმას კი გადაეღო, მაგრამ ღელვას მოემატა. უკვე ცივი ქარი ჰქროდა. საყელო ავიწიე და შესაფერისი ადგილის ძებნაში კარგა ხანს მივუყვებოდი პალმების ხეივანს. ქალაქის საკურორტო ნაწილს რომ გავცდი, ნავსადგურისაკენ ჩავუხვიე. ოციოდ წუთში ბეტონის ჯებირს მივადექი, რომელიც ზღვაში საკმადო შორს იყო შეჭრილი და ნავსადგურის გემებისათვის ტალღადამცველ ხაზს წარმოადგენდა. ავცოცხდი და წინ გავწიე. ჯებირი ამ ორმოციოდე წლის წინათ აეშენებინათ და საკმაოდ საფუძვლიანადაც, მაგრამ დროთა ვითარებაში მარილიან წყალს ისე გამოეხრა, რომ ზოგან ერთ მეტრამდე და უფრო მეტზეც ვიწროვდებოდა. თავის დროზე კი ზედ სატვირთო ავტომობილი თავისუფლად გაივლიდა. გასასვლელი საკმაოდ ოღრო-ჩოღრო იყო. ზოგან კი ორმოებში წყალი ჩაგუბებულიყო. საჭირო იყო მათ გარშემო შემოვლა. ხშირად ბეტონზე ტალღა გადაასხამდა, ამ დროს ფეხს ავუჩქარებდი და ისე მივიწევდი წინ. ზოგჯერ უკანაც გამოვრბოდი. ეს მაშინ როდესაც გასასვლელ გზაზე მუხლებამდე სიმაღლის წყლის ნაკადი გადაევლებოდა. ერთი-ორჯერ უკან დაბრუნებაც გადავწყვიტე. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეგონა თითქოს შუა ზღვაში ვიდექი, რადგან არც წინ და არც უკან ჯებირი, აღარ ჩანდა. თითქოს რაღაც მიბიძგებდა მაინც მონდომებით წინ მივიწევდი. ჯებირის ბოლო რკალივი უხვევდა და მის კიდეში ბეტონის ფილებისაგან გაკეთებულ საფუძველზე სასიგნალო ჯიხური აღემართათ. სწორედ მისკენ მივეშურებოდი. ჯიხურთან ნავსადგურში შესასვლელი ვიწრო ყელი იწყებოდა. აქ ტალღები განსაკუთრებით აზვირთებულები მომეჩვენა. ირგვლივ ყურისწამღები გრუხუნი და შხეფების კორიანტელი იყო. საოცარი იყო, აქამდე ისე მოვაღწიე, რომ ფეხსაცმელიც კი არ დამსველებია. საღამოვდებოდა. სანაპიროს კონტურებს ბინდი ემოსათ. რუხი ზეცა და აგორებული ზღვა

თითქოს გაერთიანებულანო და ერთ სივრცეს ჰქმნიდნენ, რომელსაც წითლად გაჰკვესავდა ხოლმე სასიგნალო ჯიხურის თავიდან გამოტყორცნილი სხივები.

ჩემგან ძალიან ახლოს დიდის ვაი-ვაგლახით ზღვას მძიმე საბუქსირო კარჭაპი მოარღვევდა. ცხვირი და კიჩო ყოველ წამს ტალღებში ჰქონდა ჩამალული. იგი ნავსადგურის წყნარ ტალღებში შემოსვლას ლამობდა. ეკიპაჟმა კარგად უმარჯვა და კარჭაპმა ვიწრო გასასვლელი მშვიდობიანად გაიარა. გემზე ეტყობა მხიარული ხალხი იყო. რეპროდუქტორი კეით რიჩარდსის „სეთისფექშენს“ უკრავდა. სწორედ რომ ამაღელვებლად მომეჩვენა ამ კაცის სიმღერა აბობოქრებულ ზღვაში.

ბარტყი უბიდან ამოვიყვანე და ხელისგულზე დავასვენე. აქ მხოლოდ ბარტყი, მე და აღელვებული ზღვა ვიყავით. რთული და გაუგებარი ცხოვრება სადღაც შორს ნაპირზე დარჩა. ცხადი იყო, რომ ამ სიცოცხლეს, რომელიც ყველაზე დიდი საიდუმლოებაა ამ ქვეყანაზე არ დასცალდა არსებობა, თავის ლაღ სტიქიაში ნავარდი, რადგან ასე ეწერა მის ბედის წიგნში. მეც ვერ ვივარგე, ვერაფრით ვუშველე. მაპატიოს პატარამ. ახლა როდესაც ჩემს ხელისგულზეა დასვენებული, როგორც შემიძლია ჩემს საბოლოო ვალს მოვიხდი. ვიქნები მისი მღვდელიც და მესაფლავეც.

ამიტომ ესღა ვთქვი:

„ჩემო კარგო, სადაც იქნები ღმერთი იყოს შენი შემწე. გაუჩინარდი უსასრულო ტალღებში, შენი დიადი სული კი ზეცაში აიჭრას. საბუქსირო კატარღიდან ჩვენამდე მოღწეული „როლინგ სთოუნის“ ეს მელოდიები კი შენი დასაფლავების სამგლოვიარო მარში იყოს“.

ამის შემდეგ ბარტყს კისერზე ნაპირიდან წამოღებული პარკში ჩადებული ორი გაპრიალებული კენჭი შევაბი და რაც შემეძლო ოკეანის მიმართულებით შორს, მაგრამ შეძლებისდაგვარად ფრთხილად გადავისროლე. ერთი წამით თვალი მოვკარი თუ როგორ დაეშვა იგი გულაღმა ტალღის შავ ფერდზე და შემდეგ კი გაუჩინარდა.

ცოტა ხნით იმ მხარეს ვიყურებოდი მოვალეობას პირნათლად ვიხდიდი, მერე კი იქვე სასიგნალო ჯიხურის შემაღლებულ სველ კიბეზე ჩამოვჯექი. აქამდეც ზღვის ტალღები ჯერაც ვერ

აღწევდნენ. ვგრძნობდი, რომ ჩემთვის მეტად საჭირო საქმე გავაკეთე.

ამასობაში კი საკმაოდ ჩამობნელდა. სათვალთვალო კოშკი კუნძულად იქცა და წითლად ალაპლაპდა. ოკეანის ღელვამ იმძლავრა. ტალღების დამცველი ჯებირის ზოლზე ენერგიულად შეჯახებულ, მოგრუხუნე ზვირთებს და ცაში აჭრილ აქაფებულ თეთრ კედელს რომ, გავყურებდი ნაპირზე მშრალად გასვლაზე კი არა, მშვიდობით გაღწევაზე ვოცნებობდი.

უეცრად ზვირთცემის ამ გრიალში სიჩუმე შემოსრიალდა. თითქოს ბუნების მოძრაობაც შეჩერდა.

„იქ ზიხარ სადაც უნდა მჯდარიყავი“. მომესმა თავზე წამომდგარი მკაფიო ხმა.

ამ ხმას დიდი ხანია ველოდი. მაშინვე მივხვდი თუ ვისი ხმა იყო.

ფეხზე წამოვხტი და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მოვემზადე. მომეჩვნა, რომ ზეცაში აჭრილი ტალღები ქვემოთ აღარ ეშვებოდნენ, მაგრამ ახლა მე უკვე აღარაფერი მაშინებდა. ის რასაც მრავალი წელია ველოდი, მოხდა. ახლა ტალღების შხეფებისგან თავიდან ბოლომდე გალუმპული მის წინაშე ვიდექი.

„შიში შორს იყოს ალფრედ შენგან. მე შენთან სამეგობროდ მოვედი და არა სამტროდ“.

ამ დაბურულ და მეწამურ გარემოში ვინც ამას ამბობდა, ენით აუხსნელი სილამაზისა და სიმაღლის არსება იყო. ოქროსფერი თმები მეზღვაურს ბრეზენტის მოსასხამზე მხრებამდე ჩამოშლოდა. მოსასხამის ფართე ბალაკლავა ზურგს უკან ჰქონდა გადაგდებული და არაამქვეყნიურად სრულყოფილი სახით მე შემომყურებდა.

„თქვენო უძლიერესობავ! აქ თქვენთვის ვარ მოსული და თქვენს ბრძანებას კარგა ხანია მოუთმენლად ველოდები“.

გრძელი ნარნარი სიჩუმე მცირედად შენელდა და ოდნავ შეტოკდა გარემო.

წყლიდან კარხაროდონის უზარმაზარი კონუსის ფორმის რუხი მასა დელფინივით წრიულად ამოიმართა, ჰაერში რკალი შეკრა და კვლავ წყალში ჩაეშვა ნელა. მის თეფშისხელა თვალებში ჩვენი ანარეკლი შევნიშნე. ეს ლუციფერის ზურგს უკან რამდენიმე ფუტის მოცილებით მოხდა.

„კონგრესის ბიბლიოთეკის ჭერზე ჩვენი შეხვედრაა გამოხატული. იცოდი?“ თქვა ლუციფერმა და დამაკვირდა.

საიდან უნდა მცოდნოდა. თავი დავხარე თავმდაბლად.

„კონგრესის ჭერი ამ ორასიოდე წლის წინათ სთივენ უოქერმა მოხატა. მაშინ იგი დამწყები მხატვარი იყო. იმ სურათზე ჩვენ, ზვიგენი და წყლის მჭრელი ჯეგირის სასიგნალო შუქურა ერთად ვართ. დაახლოებით ისე როგორც ახლახან დაინახე“.

თანდათან ყველაფერს ვხვდებოდი. ერთი თაობის ლიმიტირებულ სიცოცხლეს ვტოვებდი.

„მძიმეა სულით ძლიერის ხვედრი ამ სამყაროში. უფალი ბევრს არ დაეძებს. სულით ძლიერს დაეძებს მხოლოდ და როდესაც ნახავს მაშინვე მძიმე დავალებას აძლევს, რადგან იცის, რომ სუსტი არაფრის გამკეთებელი არ არის და იგი ძლიერის ხარჯზე არსებობს“.

ბნელი წითელი ფერით ივსებოდა ცადაწვდილი ტალღები. ზათქმა სათვალთვალო კოშკებზეც დაიწყო შემოჭრა. სრულად აგრუხუნდა გარემო. აბორგდა ოკეანე.

ლუციფერმა ბიჯი ჩემსკენ გადმოდგა და გააგრძელა:

„მძიმე ტვირთი გარგუნა უფალმა. მე ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი. მართლაც ასე სჯობს. აგასფერს ხეტიალის ვადა გასდის. მან ფაქტიურად ორი მილენიუმი იხეტიალა უკვე. იგი შენ უნდა შესცვალო. ასეთია უფლის ვერდიქტი. მაგრამ შენი ხეტიალი დიდხანს არ გასტანს. ჩქარა ყველაფერი დასრულდება და აი, რატომ, ეს ყველაფერი იესოზეა დამოკიდებული“. ვარაუდი გამოთქვა ლუციფერმა, „ჩვენ კი ჩვენი მოვალეობა უნდა შევასრულოთ“, დაამატა შემდეგ.

„დიახ, თქვენო უძლიერესობავ“, მტკიცედ ვთქვი მე და წელში გავსწორდი.

წყლისმჭრელი ჯეგირის სასიგნალო ჯიხურის მეწამური ციმციმის მიღმა მკვეთრი შავი ფერის ფარდა იყო ჩამოფარებული. აქ წითელი და შავი ფერები ერთმანეთს ავსებდნენ. ლუციფერის სახეზე ორივეს ფერი მონაცვლეობით ირეკლებოდა, მაგრამ მისი სახე მაინც ნათელი იყო.

„მერცხლის ბარტყში არქანგელოზ რაზიელის სული იყო მოთავსებული. ეს არმაგედონის ტაძრის მესვეურების შენთვის შერჩეული ტესტი იყო. იგი ძალიან წარმატებით გაიარე. ყოჩაღ, ალფრედ!“. ლუციფერი დამაცქერდა და შემდეგ რბილად დასძინა:

„სამ-ოთხ ნაბიჯზე მეტს ნუ ჩამომრჩები. წყლისმჭრელი ჯებირი უკვე მთლიანად ოკეანეშია ჩაძირული“.

„გისმენთ თქვენო უძლიერესობავ“, შევძახე მე და მომეტებული გრძნობებით აღტაცებულმა თავი მხნედ ავწიე.

„მაშ უკან მომყევი, ნაპირზე გავიდეთ და ჩვენს საქმეს შევუდგეთ“, თქვა ლუციფერმა და სიბნელისკენ შეტრიალდა. წყლისმჭრელი ჯებირის თავზე შეგუბებული ბნელწითელი სიბნელე სინათლის მეწამურმა ისრებმა გადასერა.

მივყვებოდი უფროსის სწრაფ ნაბიჯებს, ვხტოდი ლოდიდან ლოდზე და თავს ვიმაგრევბდი ხავსით გადაგლესილ სისველეზე. გარშემო სამი ჩემს სიმაღლე წყლის აქაფებული კედლები იყო, რომლებიც რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ გამაყრუებელი ზღართანით ერთმანეთს ასკდებოდნენ, მაგრამ მე უკვე იქ არ ვიყავი.

ნაპირზე გავედით და დიდი პორტის მიმართულებით უკაცრიელ სანაპიროს შევუყევით. გზად ლანკასტერელი მესხი ქართველი ტიანშან სვანიძე შემოგვხვდა. მივესალმე, მაგრამ ვერ დაგვინახა. იგი ბოღაზის კიდეზე იდგა და ოკეანეს გაჰყურებდა. ალბათ იქ ჩაკარგულ შვილს ჰიმალაის მისტიროდა.

31 ივლისი, 1982 წელი.

სთივენის მისია

„ბევრს ხეტიალობ და ვახშმის შემდეგ რაიმე საინტერესო ამბავი მოგვიყევი, რომელშიც ჩვენი ხალხის საქმიანობა გამოჩნდება“, უთხრა სატანამ ალფერდ ნავიგატორს, როდესაც მოციქულების შუაღამის ვახშამი დასასრულს მიუახლოვდა.

ეს ამბავი მესამე მსოფლიო ომის წინ მოხდა. ევროპაში რელიგიურ-ეთნიკური შეტაკებები ჯერ დაწყებული არ იყო და პლანეტაზე მეტ-ნაკლებად სიმშვიდე იყო. მსოფლიოს ბოლო ე. წ. წითელი იმერია ჯერ კიდევ არსებობდა. ბარელი ნავთობის ფასი 17 დოლარი იყო. ჩინგის ხანის სულის გაღვიძებამდე რამდენიმე ათეული წელი იყო დარჩენილი.

მოციქულებმა კარგად მოილხინეს. უამრავი ჩქერულას კალმახი მიირთვეს და წითელი ღვინო შესვეს. მრგვალი მაგიდის გარშემო თავად დედამიწის უცვლელი გუბერნატორი, არქანგელოზი სატანა იჯდა და ჭამა-სმაში ყველას მაგალითს აძლევდა.

ბუხარში ნელი ცეცხლი გიზგიზებდა. კავკასიონის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ-სითიში შემოდგომა იწურებოდა და სიცივით ავსებდა ხეობას. მალე ალფრედ ნავიგატორს საგვარეულო სახლში მოციქულების შუაღამის ვახშამი დასრულდა და მასპინძელმა შეჩვეულ სავარძელში გადაინაცვლა.

„ამ ღამით მინდა სთივენ უოქერის ამბავი მოგითხროთ რომლის არსებობის შესახებ პირველად გაკვრით მისი ზეძლიერი უძლიერესობის ქლინ ვოთერში ტალღებდამცავ ჯებირზე ჩვენი ხანმოკლე შეხვედრის დროს გავიგე. ჩემი ხანგრძლივი ხეტიალის დროს მრავალ ადამიანს შევხვდი და კიდევ შევხვდები, მაგრამ სთივენის სახით ეჭვი მაქვს, რომ ერთ-ერთ ჩვენიანთან მქონდა საქმე“, თქვა ალფრედმა, მიყვა რა სატანას მითითებას, ვახშმის შემდეგ რაიმე საინტერესო ამბის მოყოლის თაობაზე.

„მაშინ სამსახურებრივ-სახეტიალო საქმიანობის გამო ხშირად მიხდებოდა სამხრეთ ნახევარსფეროში მოგზაურობა. ერთხელ ავსტრალიის სამხრეთში მდებარე პატარას სანაპირო ქალაქში შევჩერდი, არ აქვს მნიშვნელობა თუ რა ერქვა იმ ქალაქს. იგი დღესაც არაფრით გამოირჩევა მისი სხვა თანამოძმე ქალაქებისაგან. პატარა ქალაქი კი იყო მაგრამ რამდენიმე „ჰილტონი“ და „კემპინსკი“-ს სასტუმროები კი ჰქონდა.

დავბინავდი თუ არა შევეცადე ის ხალხი მენახა ვისთანაც საქმე მქონდა. ვერავინ ვნახე. მითხრეს, რომ სხვაგან არიან წასულები და ორი დღის შემდეგ ჩამოვლენო. იმ დროს არალეგალ ემიგრანტებთან ვმუშაობდი და ამ ხალხის პირადი ნახვა იყო საჭირო. უსაქმოდ დავრჩი და არ ვიცოდი, თუ რა მექნა. ბუნებით ენერგიული კაცი ვარ და ამიტომ ვარ ალბათ ამ საქმეზე დანიშნული. მიყვარს სიზუსტე, პუნქტუალობა. ეს ჩემი მოვალეობაა. ნახევარ პლანეტას გადავიფრენ, დათქმულ დროს კი არ ვუღალატებ. ამიტომ რამდენადაც მე ზუსტი ვარ, იმდენად უუნარო ვხდები, რომ მოპირდაპირე მხარე დამაღალატიანებს. ჩვეულებრივი რითმიდან ვარდები და ნაპირზე გამოსული თევზივით უსუსური ვხდები.

ქუჩებში უმისამართო ხეტიალს რომ მოვრჩი, პარკებზე და სკვერებზე გადავინაცვლე. მახსოვს, ზაფხულის ცხელი შუადღე იყო და ამიტომ მალე ზღვისაკენ გავწიე. წყლის ლაჟვარდისფერ ზედაპირს რომ გადავხედე გავიფიქრე, მოდი ერთი ლაზათიანად ვიბანავებ და მერე რაიმეს მოვიფიქრებ-მეთქი. ან წავალ და რა საქმეზეც ჩამოვსულვარ მერე მივხედავ ან არადა ერთი-ორი დღე სიმყუდროვეში დავისვენებ-მეთქი.

ამასობაში წყლის უკიდეგანო ზოლს მივადექი. დიდი და ამოუცნობი გრძნობაა ოკეანის ნაპირთან დგომა. თუმცა დედამიწაზე ხეტიალისთვის ვიყავი მოწოდებული, ზღვაზე ცურვაც მიყვარდა. დაუწყებ ოკეანეს ყურებას და ყველაფერი გავიწყდება. იქ სადაც ზღვის მარილიანი ტალღა ნაპირს დაჰკრავს ან სადაც ოკეანის თმააშლილი ქარები მიმოქრიან სხვა განზომილებები მოქმედებენ. აქ თავისუფლების იალქანაშვებული შმაგი ტალღების სამეფოა. გუნება დამეწმინდა, გამომიკეთდა. სადღაც უკან, შორს დარჩა ინდუსტრიული ჩრდილოეთის ეკონომიკური მაჯისცემა. პალმებით დახუნძლული სანაპირო ბულვარზე გავედი და მეფორნეს ხელი დავუქნიე. უმალ წინ

მომიგორდა საქორწინო კაბრიოლეტი და რბილ, ტყავგადაკრულ სავარძელზე მოვთავსდი. მეფორნეს ვუთხარი ნელა იარე და სანაპირო ზოლი დამათვალიერებინე მეთქი. ათიოდე წუთის შემდეგ პატარა ბოღაზს მივადექით, სადაც წასასვლელად გამზადებული სასეირნო ორჩხომელა იდგა. ვიკითხე საით მიდის-მეთქი, განკიცხულთა კუნძულზეო, მომიგეს. მეფორნე გავისტუმრე და ყვავილებით მოხატულ გემზე ავედი. ორჩხომელას გამჭვირვალე ფსკერი ჰქონდა. ეს ზღვის ფსკერის დათვალიერების საშუალებას იძლეოდა. პირველად რომ ჩავიხედე, შევკრთი, თავბრუ დამეხვა, დავბარბაცდი და ჭოკს ჩავეჭიდე. მგზავრებმა გაიცინეს, თან დამამშვიდეს, პირველად ყველას ასე ემართებაო. ზურმუხტისფერ წყალში ოკეანის ფსკერი ისე გაკრვევით მოჩანდა, რომ გეგონებვოდა ჰაერში მიცურავო. ზღვის შესანიშნავ ფაუნას თვალი კარგა ხანს ვერ მოვაცილე, შემდეგ კი დახვეული კიბეებით ორჩხომელას ჩარდახის სახურავზე ავედი და მოახლოებულ კუნძულს გავხედე. კუნძული ქალაქს დაახლოებით თერთმეტი მილით იყო დაცილებული და საუცხოო ადგილს წარმოადგენდა. ადრე ამ კუნძულზე კეთრით დაავადებულები მიჰყავდათ და განკიცხულთა კუნძულიც ამიტომ ეწოდა. ახლა, როგორც იცით კეთროვნები ცეილონზე მიჰყავთ, სადაც მათთვის საერთაშორისო ბანაკია გახსნილი, აქ კი დასასვენებელი ადგილები მოაწყეს.

განკიცხულთა კუნძული საშუალო სიდიდის მარჯნის კუნძული იყო ცისფერ ოკეანეში. იგი მსუყე, ტროპიკული მცენარეებით იყო დაფარული, და რომ იტყვიან რძისა და თაფლის არომატს აფრქვევდა. ნაპირზე რომ ფეხი დავდგი, დრო თითქმის შეჩერდა, ცხოვრებისეული პრობლემები წყვდიადში ჩაიძირა. მომეჩვენა, რომ რეალობას გავექეცი და ოცნების დღეებს დავუბრუნდი. თუ ვინმე გაბედავს და შემეკითხება თუ როგორ წარმომიდგენია სამოთხე, მაშინვე განკიცხულთა კუნძული გამახსენდება. ჩემი გაგებით ეს არის ადგილი, სადაც მზე წელიწადის ყოველ დრო გათბობს, ხალხი კი შეხვედტრის დროს მხოლოდ იღიმება. საჭმელი საუცხოოა, სასმელი კიდევ უფრო უკეთესი, სადაც იღებ და გთავაზობენ მხოლოდ საუკეთესო ნივთებს. ადგილი, რომელიც თავისებური კომბინაციაა სამხრეთის ზღვების სულიერი ცხოვრებისა და რაფინირებული ჩრდილოეთის სერვისის სტანდარტებისა. თუ

აქტიური ცხოვრება გინდა ვინ გიშლის. იცურავე, ისეირნე წყლის თხილამურებზე, მოაწყე მიმდებარე წყლებში კარგი საფარი, მოუსვი ნიჩბებიანი ნავი, დატკბი მარჯნის სამეფოს წყალქვეშა ხედებით. კეთროვანთა კუნძულის გახსენება ყოველთვის აღაგზნებს ჩემს წარმოსახვას. შთაბეჭდილებებით მოჭარბებული კუნძულზე გავისეირნე და სამხრეთის ცას ავხედე.

ვხედავ კუნძულზე ხალხი მატულობს. შევატყვე, რომ გარშემო ზომაზე მეტი ჩოჩქოლია. არ შეეფერებოდა კუნძულის ცხოვრების რიტმს. წესით ხალხს აქ ნელა უნდა ესეირნათ და წყნარად ებაასათ, ან არა და სადმე შადრევნებიან ფანჩატურში გაზეთი ეკითხათ. ესენი კი ყველა ერთიანად აცუნდრუკებულიყვნენ. ადგილობრივებც და სტუმრებიც, განურჩევლად ასაკისა და საქმიანობისა სადღაც ენერგიულად გარბოდნენ. დავინტერესდი და გავიკითხე. თურმე ყველა ეგრეთ წოდებულ „გართობის ცენტრის“ სცურაო აუზში მიეშურებოდნენ, სადაც უნდა შემდგარიყო ფართოდ რეკლამირებული უჩვეულო ასპარეზობა – ადამიანისა და ზვიგენის ორთაბრძოლა.

მანამდე ამ ამბის შესახებ ყოველ ფეხის ნაბიჯზე აფიშებსა და ტრანსპარატნტებს ვხედავდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი.

ამჯერად ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და აუზს მივადექი, რომელიც კუნძულის კიდეზე, კლდოვანი ნაპირის თავზე მოეთავსებინათ. მისი სახელდახელოდ აგებული ყავისფერი კონსტრუქციის დასაშლელი ტრიბუნები თხუთმეტ ათასამდე მაყურებელს იტევდა. მითხრეს შვედებს ვთხოვეთ და ერთ თვეში აგვიშენესო. თან შვედები ისე ახსენეს თითქოს მეზობლები ყოფილიყვნენ და არა ცხრა მთას იქითა ზღვის ხალხი. ეს შვედები აბრეშუმის ჭიასავით მუყაითად შრომობენ, ბევრსაც არ ითხოვენ, იაპონელებს კი არ გვანან, მითხრა ერთმა დარბაისელმა წვეროსანმა ზანგმა. ბუნებითაც მომლხენი ხალხია, დღე და ღამე ბარებში ზიან და ლუდს მიირთმევენ, იაპონელები კი სულ ნახაზებში და კომპიუტერულ მანქანებში ჩაკირკიტებული ითხრიან თვალებს, დაასრულა წვეროსანმა. ამ ამბავმა გარკვეულად ჩამაფიქრა. ვიფიქრე ჩვენი სკანდინავიელი ძმები ძალიან გააქტიურებულან, თუკი ამ სიშორეზე საქმეებს აკეთებენ, და მათ მიერ გაკეთებულ სალაროს მივადექი. რა

თქმა უნდა, ბილეთების ნასახიც არ იყო, მაგრამ „ცენტრის“ ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ჩემი დიპლომატიური პასპორტი და დიდის ამბით ტრიბუნალზე საპატიო ადგილი დამითმო, გვერდით კი თანამშრომელი მომისვა, თუ ვინიცობაა რაიმე დამჭირდებოდა.

„გვიბრძანეთ მისტერ ალფრედ! თუ რამე დაგჭირდეთ ან დაგაინტერესებთ გვთხოვეთ, გვითხარით, ჩვენ ყველა სურვილს შეგისრულებთ“, მითხრეს მე.

დიდი მადლობა მოვახსენე და ბრძოლის საყურებლად მოვემზადე. ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ სთივ უოქერი, ე. ი. ის კაცი, რომელიც ზვიგენს უნდა შებმოდა ამგვარ საქმეში მონაწილეობას პირველად იღებდა. ახალი ზელანდიიდან იყო, ყოფილი მეზღვაური და კარგი ბიჭიც ჩანდა. გადავშალე ფერადი, ილუსტრირებული პროსპექტი, საიდანაც გავიგე, რომ ზვიგენთან მებრძოლი კაცს სიმაღლე გიგანტური ჰქონდა, შვიდი ფუტი, წინა 240 ფუნტი. 100 იარდს 48 წამში ცურავდა, 1500-ს კი 13.5 წუთში, შეეძლო წყალში ორი საათის განმავლობაში საყრდენის გარეშე გაეჩერებინა 80 ფუტიანი ტვირთი. შთამბეჭდავი მონაცემები იყო.

ახლა ზვიგენის მონაცემებს გადავხედე. იგი იყო ე. წ. „რუხი“ ზვიგენების გრძელფარფლიანი წარმომადგენელი. ნამდვილი თვითმფრინავის იერი ჰქონდა. სიგრძით 8 ფუტი იყო და 250 ფუნტს იწონიდა. თუმცა იგი არ იყო თავისი გვარის ყველაზე დიდი ეგზემპლარი. აღმოჩნდა, რომ იგი ღია ოკეანის თევზია და სანაპირო ზოლს თავს არიდებს. ხშირად ხომალდებს მიყვება ჰამბუზის პროდუქტების მოლოდინში.

პროსპექტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ გრძელფარფლიანი ზვიგენი საოცრად სიცოცხლის უნარიანები არიან. დაჭერილი, გამოფატრული და შემდეგ კვლავ წყალში გადაგდებული ზვიგენები თითქოს არაფერი მოხდაო, ცურვას აგრძელებენ. საკბილოს თუ გადაუგდებ მაშინვე პირს სტაცებენ, მუცლიდან რომ გამოუვარდება ისევ თავიდან გადაყლაპავს და ასე დაუსრულებლივ. მოკლედ, კუდზე ეჟვანშებმულ სულელ ფინიას ემსგავსება, იმ განსხვავებით, რომ ადამიანებისათვის ისინი რა თქმა უნდა, საშიშნი არიან, მაგრამ შუა ზღვაში ცხადია, არავინ ბანაობს, ხოლო დაღუპული ხომალდის მგზავრთა ამბავი, ხომ ყოველთვის საიდუმლოებით არის მოცული. ამბის

მთხრობელი კი არავინ არისო, ეწერა პროსპექტში. იქვე იყო ტოტალიზატორის, სანაძლეოს და სხვა საკითხების ამსახველი მასალები, როდესაც აუზში მოჯლიგინე რვაფუტიან ურჩხულს გადავხედე გავიფიქრე:

„აფსუს რა ვაჟკაცი უნდა დაიღუპოს მეთქი?“ გვერდით რომ კაცი მომისვეს იმან მითხრა, გამარჯვების შემთხვევაში 50 ათას დოლარს აიღებსო. როდესაც კარგად ჩავუფიქრდი, რისკი უფრო დიდი მეჩვენა. მერე მოსაუბრემ ამიხსნა, რომ წარმატების შემთხვევაში საქმეში ტელევიზია და რეკლამაც ჩაებმება და ჰონორარიც უფრო დიდი იქნებაო. დავინტერესდი, მაინც რამდენი-მეთქი. დაახლოებით ხუთჯერ მეტიო, მომიგო მან, თუმცა თანხის ნაწილს ჯარიმაში გადაიხდისო, დაამატა მერე. ეგ როგორ გავიგოთ-მეთქი, შევეკითხე ისევ. პირდაპირი მნიშვნელობითო, მომიგო მოსაუბრემ და პირველ რიგში, თითქმის აუზის კიდესთან მჯდარი თეთრჩალმიანი სახეგარუჯული ანგლოსაქსი დამანახა. იგი ფოტო და კინოაპარატებით შეიარაღებულ მრავალრიცხოვან ამალას საფუძვლიან რჩევა-დარიგებას აძლევა. ყველანი ჭრელა-ჭრულა შარვალ-ხალათებში იყვნენ გამოწყობილნი და შავტუხა მაყურებლებს ყინჩად უყურებდნენ. შევამჩნიე, რომ ფოტო-ტექნიკა ტრიბუნებზე არავის ჰქონდა, სურათების გადაღება აკრძალული იყო.

ანგლოსაქსის ამალას კი ფოტო-ტექნიკა უხვად ჰქონდა. მაყურებლებს მხოლოდ ფერადშუშიანი თეატრალური დურბინ-დები ეჭირათ. ეგენი, მითხრა მოსაუბრემ, ზღვის ფაუნის დაცვის მსოფლიო ასოციაციის წარმომადგენლები არიანო. აღმოჩნ-და, რომ თუ ზვიგენს ოკეანეში გამოასალმებ წუთისოფელს, არაფერი მოხდება, არც არავინ დაგაჯარიმებს და შესაძლოა მოგიწონონ კიდევაც. ავსტრალიაში, აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნებისმიერ მაშველ საზოგადოებაში რამდენ ზვიგენის კუდსაც წარადგენ, იმდენ 300 დოლარს გამოიმუშავებ. აუზში კი სხვა საქმეა. მაყურებელთა და ტელეობიექტივის წინ იგივე საქმის ჩადენა, ზღვის მტაცებელი ცხოველების უფლება-მოვალეობის ხელყოფაა და კანონის დარღვევას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში ფოტოფაქტებით შეიარაღებული ასოციაციის წარმომადგენლე-ბი დამრღვევის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს წარადგე-ნენ და ატყდება ერთი ამბავი, რაც მეტიწილად საკმაო რაოდე-ნობის ჯარიმით მთავრდება ხოლმე.

ასე თუ ისე, სთივ უოქერს ჯარიმის გადახდის შემდეგაც თანხა მაინც საკმაოდ დარჩებოდა და ყველანი, მათ შორის მეც, მოუთმენლად ველოდით ახალზელანდიელი თავზეხელაღებულის წყალში ჩახტომას. ის კი ვითომ არაფერიაო, ხავერდის წითელ ხალათში გამოხვეული, აუზის კიდეზე დადგმულ სკამ-საქანელაზე ჩამომჯდარიყო, ფეხი-ფეხზე გადაედო და ნელი რწევით ასისტენტებს ესაუბრებოდა.

დაიწყო საზეიმო წარმოდგენები. დაუკრეს სამხრეთული კოლორიტით შეკაზმული, გულისგამაწვრილებელი ტუში, რომელიც შემდეგნაირად შეგვეძლო გაგვეგო: „მე არავისი მეშინია, ჩემი ყველას ეშინია“.

ცისფერ კომბინიზონებში გამოწყობილმა რამდენიმე ახალგაზრდამ აუზში, ზვიგენის გასახელებლად გასისხლიანებული ხორცის ნაჭრები ისროლეს. მანამდე შედარებით წყნარად მოცურავე მხეცი გაშმაგდა, ახტა-დახტა და საჭმელს ეძგერა. ყველანი გავისუსეთ. პროსპექტიდან შევიტყე, რომ საჭმლის ძიებაში ზვიგენს დიდ დახმარებას უწევს ყნოსვა და გვერდებით წყლის ვიბრაციის არაჩვეულებრივი შეგრძნება. ასეთი სეისოსენსორული სისტემის მეშვეობით იგი დაბრმავებულიც კი შესანიშნავად აგნებს მოფართხალე ან მოძრავი ობიექტის ადგილმდებარეობას. ზვიგენს განსაკუთრებით აშმაგებს სისხლი. ოთხმოცი ფუტის რადიუსში ერთი წვეთიც კი საკმარისია რომ გახელდეს. ასე რომ ზღვაში მოცურავევ, იცოდე და გაფრთხილდი. თუ ახლოს ზვიგენი იყნოსე, გაშეშდი და გაისუსე. იქნებ ვერ შეგამჩნიოს, გვერდით გაცუროს და გადარჩე.

სანახაობამ ამაღელვა. ცოტათი გავნერვიულდი და ჩემს სქელლანჩიან ბიზონის ტყავის მაღალყელიან ფეხსაცმელებს ზონრები მოვუშვი. ოფლიანმა ფეხებმა ცოტათი დაისვენოს-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო და მაჯაზე თასმაშეკრული ერთი ფუტის სიგრძის ხანჯლით შეიარაღებულმა ჩვენმა მეზღვაურმა აუზში ისკუპა. ღმერთივით ცურავდა. ზვიგენს მგონი არაფრით ჩამოუვარდებოდა. სხეული უმტკიცესი ქსოვილით ჰქონდა დაფარული, რომელიც მოძრაობაში აბსოლუტურად ხელს არ უშლიდა, კანს კი იცავდა.

მეგონა მტაცებელი მოცურავეს დაინახავს თუ არა პირდაპირ ეძგერება-მეთქი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მხეცმა წრეების

მოხაზვა ანუ, როგორც დიქტორმა განაცხადა „მანევრები“ დაიწყო. საერთოდ, კონფერანსიე ყოველმხრივ ცდილობდა, მოვლენებს არ ჩამორჩენოდა. აუზის კიდეზე მიმოდიოდა და ზოგჯერ ძალიან ახლოს უახლოვდებოდა მტაცებელს, ცდილობდა დაწვრილებით აეხსნა ბრძოლის ესა თუ ის ეპიზოდი.

ზვიგენი სპირალისებური მოძრაობებით ეტანებოდა ცენტრს, სადაც ხანჯალმოღერებული კაცი ტრიალებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ღორმუცელობისა და ცუდი ზნის მიუხედავად ზვიგენივით ლამაზი და სრულ-ყოფილი სულდგმული დედამიწის ზურგზე არ ცხოვრობს. იგი ეჭვგარეშეა უფლის ფავორიტი არსებაა და ეს ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ. ღმერთმა და ასე ვთქვათ, ბუნებამ მის სხეულს არც რამე დააკლო და არც მიუმატა. ცისფერ, გამჭვირვალე აუზში უცხო პლანეტიდან ჩამოსულ სტუმარს ჰგავდა. თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ დედამიწის უძველესი ბინადარია და შესაძლოა შემოქმედისაგან სწორედ მან მიიღო ერთ-ერთმა პირველმა არსებობის პასპორტი. უნდა ავღნიშნო, რომ ზვიგენების ინტელექტზე ლაპარაკი, ნამდვილი წყლის ნაყვაა. ეს არის კარგად მომართული გამანადგურებელი მანქანა. ჩვენი პლანეტების უძველესი ბინადრები თავს დღესაც შესანიშნავად გრძნობენ. ისინი ზღვებისა და ოკეანეების ნამდვილი ბატონ-პატრონნი არიან. მათზე არც ბუნებრივი და არც ხელოვნური ფაქტორები, მათ შორის კაცობრიობის რისხვა, რადიაციაც არ მოქმედებენ. ოკეანეში მოწინააღმდეგე არ ჰყავს, თვითონ კი ყველას შიშის ზარს სცემენ. მათ იმდენად დიდი ნათესაური წრე აქვთ და იმდენად მრავალრიცხოვნები არიან, რომ ზოგჯერ კაცმა ისიც კი შეიძლება იფიქროს, ეს პლანეტა, მათი საკუთრება ხომ არ არისო.

ზვიგენი თავზეხელაღებული მსუნაგია, მაგრამ არც სიფრთხილე ღალატობს და მსხვერპლს ძალიან ფრთხილად უახლოვდება. ახლაც, დაახლოებით ხუთი წუთის სადაზვერვო ტრიალის შემდეგ შეუტია კაცს. ახლო მანძილიდან კუდი შემოჰკრა და პირით მიეტანა. იმისდამიხედვით თუ რამდენად მცირდებოდა წრიოს რადიუსი, მტაცებლის ცურვა მით უფრო სწრაფი ხდებოდა. შესაბამისად, მატყულობდა თანმხლები მუსიკის ტემპი და დიქტორის ხრინწიანი შეძახილები. კუდი შემოჰკრა თუ არა, კვლავ დასცხეს ტუში და ყველას

გაგვაძაგძაგა. რაც მართალია, მართალია, ძველი რომაელების შემდეგ ასეთ სანახაობას ჩვენ, ტრიბუნებზე შეკრებილები, პირველები ვუყურებდით და რა გასაკვირია, რომ თმები ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით ყველას ყალყზე დაგვიდგა. მოვისვი კიდებვაც თმებზე ხელი და ვიგრძენი, რომ ცხვრის მატყლივით მქონდა გამაგრებული. ბევრს გული შეუწუხდა, წივილ-კივილს ხომ ვინ მოთვლის. არ დავმალავ და მეც კი ძველი მონადირე და მოხეტიალე, რომელსაც რა არ მინახავს ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც ტახის პირდაპირ შეტევაზეც კი თვალი არ დამიხამხამებია, ცოცხალ-მკვდარი ვიჯექი. ცივი ოფლი კისრიდან შარვლის ქამარში ჩამედინა და განძრევას ვერ ვბედავდი. სთივს მრავალი საკითხი უნდა გადაეწყვიტა. დაეცვა მტაცებლის მიმართ სწორი ორიენტირი, ყურადღება მიექცია საკუთარი ფიზიკური კონდიციისათვის, განუწყვეტელი ყვინთვითა და ადგილის შენაცვლებით არ არეოდა სუნთქვა, უნდა არიდებოდა ზვიგენის სამკუთხა კბილებიან ხახას, კუდს, რომელიც კამეჩსაც ძირს დასცემდა, აცდენოდა სამართებელივით ბასრ ფარფლებს და ქლიბივით ხორკლიან კანს.

სთივმა კარგად უგანა, ყბის ქვეშ ფარფლებიანი ფეხი შემოჰკრა, გვერდზე გაცურდა და მტაცებელი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ზვიგენი ახალ წრეზე წავიდა. საშინელი სანახაობა იყო. ძარღვებში სისხლი მეყინებოდა. ზვიგენის ყველა შემოტევას მეზღვაური მარჯვედ უხვდებოდა და უფრო მეტიც გასაღიზიანებლად უყვიროდა კიდეც. გამიგია, რომ წყალბურთელებს თამაშის დროს ძალიან დიდი დატვირთვა აქვთო. თამაშის შემდეგ ქანცგაწყვეტილები ძლივს ამოდიანო აუზიდანო. ჩვენს გმირს კი ამის მსგავსი არაფერი ეტყობოდა. თხუთმეტი წუთი ისე მიილია, რომ დაღლის ნატამალი ვერ შევნიშნეთ. ციბრუტივით ტრიალებდა, ყვინთავდა, უსწრაფესად ინაცვლებდა ადგილებს, თავდაცვიდან შეტევებზე გადადიოდა.

მალე წყალი აიმღვრა, გასისხლიანდა, ორიენტირება გაჭირდა. საშრობ ქაღალდზე დასხმული წითელი მელანივით იტყაპნებიდა სისხლიანი მასა. მიუხედავად ამისა კაცმა შეტევები გააორკეცა და რამდენჯერმე გაოცებულებმა შევშნიშნეთ, რომ ზვიგენი შეტაკებას აერიდა. აი რა შეუძლია შეუპოვრობას და გამძლეობას. ერთ მომენტში სთივ უოქერის დაკუნთული

მხრები წყალში გაუჩინარდა და ზვიგენს ქვემოდან შეუტია. აუზი ღელავდა, წყალი ნაპირებიდან გადმოდიოდა. სთივმა ურჩხულს რეზინის ხელთათმანიანი ძალუმი მარცხენა ლაყუჩებში ჩაავლო, ხოლო მარჯვენათი კი გამეტებით სცემდა ხანჯალს ლაყუჩებს უკან. დიქტორმა განაცხადა და პროსპექტშიც ნათლად ეწერა, რომ მუცელში ან სხვა ნაწილში ჭრილობის მიყენებას არავითარი აზრი არ აქვსო. მხოლოდ ლაყუჩებს უკან აქვს ერთადერთი სუსტი ადგილი და სთივმაც იქ თხუთმეტჯერ თუ ოცჯერ ჩასცა ხანჯალი. ზვიგენი იკლაკნებოდა, თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. კაცის ხანჯალს თავს ვერ აღწევდა.

ასე დასრულდა ეს ორთაბრძოლა. აუზის კიდეზე ამოსულ სთივ უოქერს ყველა ყურადღებით დააცქერდა. კაცმა გამარჯვება ისე მოიპოვა, რომ განაფხაჭნიც არ მიუღია. იგი მხნედ მიესალმა მაყურებელს და გასახდელს მიაშურა.

მაყურებელი საღამომდე არ იშლებოდა. ბჭობდნენ, კამათობდნენ, აღელვებით შეჰყურებდნენ სისხლიან აუზს, საიდანაც კაუჭებით ზვიგენის ლეშს ექაჩებოდნენ.

ეს იყო სთივის პირველი გამარჯვება. იგი იობის ლევიათანთან ორთაბრძოლას მაგონებდა. ძალიან მინდოდა ამ კაცთან შეხვედრა, გასაუბრება, მაგრამ იმხანად ეს ვერ მოხერხდა. ჩემმა სახეტიალო საქმეებმა სხვა ქალაქებში და ქვეყნებში გადამისროლეს. ნანახ-განცდილი კი დიდხანს არ მავიწყდებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ცნობილ საკურორტო ადგილას ვისვენებდი. უფრო კონკრეტულად ანტიბსა და კანს შორის ერთ ოჯახში სტუმრად ვიყავი. დასვენების სეზონი იწურებოდა, ხალხიც შეთხელდა, ჩემს მასპინძელს იახტა დაუზიანდა და ძალაუნებურად ყურადღება მომაკლო. ამასობაში მოულოდნელად სხვა ქვეყანაში მომიხდა წასვლა. წამოსვლის დღეს ბევრი ვისეირნე. მოგვიანებით პატარა, სარდაფის ტიპის ბარში ჩავედი. დროის გაყვანა მინდოდა. ქვეყნის სიღრმეში მიმავალი მატარებელი გვიან ღამე გადიოდა. ბარის კუთხეში მოვკალათდი და წასახალისებლად ვისკი შევუკვეთე. მერე კიდევ ერთი. ცოტა ხალხი იყო. ზანტი ტანგოს ჰანგები სულს ვერ მოფირიაქებდა. წინ ზანგის ქალი მეჯდა და თვალს მიკრავდა, საცეკვაოდ მეპატიჟებოდა. ის-ის იყო უნდა შემეთავაზებინა ჩემთან გადმოდი-მეთქი,

როდესაც კარებზე ჩამოფარებული ბამბუკის ფარდა შეირხა და ზღურბლზე ახოვანი ფიგურა გამოჩნდა. მაშინვე ვიცანი სთივ უოქერი იყო. თეთრ შარვალ ხალათში გამოწყობილს თითქოს ტროპიკული მზეც თან შემოყვა. ბრინჯაოსფერი ჯანმრთელი სახე დარბაზს მოავლო და მტკიცე ნაბიჯით დახლისკენ გაემართა. მოქნილი, ფოცხვერისებული ნაბიჯი ჰქონდა. ოდნავ რწევა-რწევით დადიოდა, ეტყობოდა, რომ ძველი მეზღვაური იყო. ოქროსფერთმიანი წარმოსადგები ვაჟკაცი ყველას ყურადღებას იპყრობდა. მაშინვე მასთან გადავბარგდი, წარმოვედგინე და განვუცხადე, ამა და ამ კუნძულზე თქვენს პირველ ორთაბრძოლას დავესწარი-მეთქი. ძალიან ეამა და საუბარიც ხელად აეწყო.

შევეკითხე:

„სთივენ, როგორ მოხდა რომ ასეთ საშიშ საქმეს მოჰკიდე ხელი“, მერე თითებით ვაჩვენე. „ეს ხომ ბეწვის ხიდზე სიარულია“, დავამატე შემდეგ.

სთივენი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, ჩაიცინა და გულახდილად მითხრა:

„ასეთი კითხვა ბევრჯერ მოუციათ ჩემთვის და ყოველთვის ერთნაირად ვპასუხობ, მე სულით მე-20 საუკუნის გლადიატორი ვარ. თან ადამიანებს ვაჩვენებ, რომ ჩვენს შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს“.

„მშვენიერი პასუხია, თან სრული ჭეშმარიტებაა“, მივუგე მე.

„მხოლოდ იმ განსხვავებით“, გააგრძელა სთივენმა, „რომ ძველ დროში გლადიატორებს ფულს არ აძლევდნენ, თან იძულებით აბრძოლებდნენ, მე კი უკვე რამდენიც მსურს იმდენ თანხას მოვითხოვ, ამასთანავე შემიძლია ბრძოლაზე უარიც განვაცხადო, არჩევანი ჩემზეა“.

დავეთანხმე და ვუთხარი, კარგია რომ საქმე ასე შესანიშნავად დაგიყენებიათ-მეთქი.

ამასობაში სთივი ჩემსკენ გადმოიხარა და ნდობით განმიცხადა:

„მიუხედავად ჩემი ნათქვამისა, რომის გლადიატორებთან ბევრი საერთო მაქვს“.

„ეს ხომ ცხადზე უცხადესია, მაგრამ მე მაინტერესებს საერთოში რას გულისხობთ?“ ჩავეკითხე ისევ.

„ძველ რომშიც და ეხლაც გლადიატორი რომ მხეცს ებრძვის ეს არის საერთო“, მომიგო სთივენმა.

„უფრო ვრცლად თუ განმიმარტავ“, ვთხოვე ისევ სთივენს.

„კარგი, რადგან გაინტერესებს გეტყვი, დამეთანხმა სთივენი.

ზოგი ფიქრობს, თითქოს პროფესიული სპორტის, უფრო სწორედ ზოოსპორტის ახალ სახეობას ჩავუყარე საფუძველი. ტყუილია, ეს ასე არ არის. ძველ წიგნებში წერია, რომ ადამიანისა და ცხოველის ორთაბრძოლების ისტორიას საუკუნეების სიღრმეში მივყევართ“.

სთივი აშკარად იმ ბეჯით კაცს დაემსგავსა, რომელიც კათედრიდან წარმატებული ლექციის შემდეგ დასმულ კითხვებზე სხაპა-სხუპით პასუხობს, იგრძნობოდა, რომ მას პედაგოგიური მუშაობისადმი მიდრეკილება ჰქონდა. მერე სასმისი მოსვა და გააგრძელა:

„მსგავსი შეჯიბრებები ხშირად იმართებოდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. როგორც დაინტერესებულმა პირმა გადავწყვიყე, ამ საკითხს ღრმად ჩავკვირდებოდი. ასურეთის მეფეები ტყვეებს მხეცებს მიუგდებდნენ ხოლმე. ზოგჯერ გასართობად იარაღსაც აძლევდნენ. ასეთი შეტაკებებისათვის ნინევიაში სპეციალური, გისოსებიანი დარბაზი ააშენეს. თუკი ტყვე მხეცს აჯობებდა, მას ანთავისუფლებდნენ და ცოლის შერთვის ნებასაც აძლევდნენ. ზოგიერთმა ასეთმა ბედნიერმა ტყვემ ასურეთის სამეფო კარზე დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მაგალითად, წარმოშობით ელამელმა, შემდეგ კი ასურეთში ტყვედ ჩამოყვანილმა ველიხანლიმ ისე გამოიჩინა თავი, რომ მეფე თრიგლათ-ფილასარ მესამის დროს ასურეთის სამეფო ჯარების მთავარსარდალი გახდა. მაგრამ ეს მაინც ერთეული შემთხვევები იყო.

თანდათან ზუსტდებოდა ორთაბრძოლის წესები. განსაკუთრებულ სრულყოფას მათ ძველ რომში მიაღწიეს. რომის იმპერიის დაცემასთან ერთად თანდათან ქრება გლადიატორთა ორთაბრძოლები, კერძოდ, მხეცებთან ბრძოლის ტრადიციები. ამ სანახაობათა შორეულ გამოძახილად უნდა ჩაითვალოს კორიდები ესპანეთსა და ზოგიერთ ესპანურენოვან ქვეყნებში. მე და მატადორები კოლეგები ვართ, ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ. ისინი ძალიან ხშირად თავიანთ კონგრესებზეც მიწვევენ ხოლმე. ასე რომ მე ახალი სპორტი, ანუ როგორც ბოლო დროს ამბობენ „ზოოსპორტი“ არ გამომიგონებია“, დაასრულა მონათხრობი სთივმა.

„თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, როგორც აღნიშნეთ“, ჩავერთე მე.

სთივენმა კი კვლავ გააგრძელა:

„ერთი რამეც უნდა ავღნიშნო, ჩვენ ანგლოსაქსები ესპანელებზე უარესი რით ვართ. ხუმრობა იქით იყოს და ხშირად ჩემს მოღვაწეობას ბრიტანულ ტიტლიბაზობად მიაჩნიათ და მეტი არაფრად. აბა ამ ხალხს, განსაკუთრებით მოუმწიფებელ ჟურნალისტებს რა უნდა ელაპარაკო“, აღშფოთებით დასძინა სთივენმა, „ავიწყდებათ, რომ მაცუსიტო ოიამამ შიშველი ხელებით ორასამდე ხარი მოკლა, მერე მურა დათვზე გასვლასაც აპირებდა, მაგრამ ხელი შეუშალეს. ახლახან მეორე იაპონელმა, კარატეს სპეციალისტმა, გვარი არ მახსოვს, ვეფხვი მწყობრიდან გამოიყვანა, არა არ მოუკლავს, მხოლოდ გათიშა. იმათი საქციელი კარგ ტონათ ითვლება, ჩემი კი ბრიტანულ ტიტლიბაზობად“, სთივენი გაბუტულ ბავშვს დაემსგავსა.

„ენას ძვალი არა აქვს“, დავამშვიდე მოსაუბრე. თან შევახსენე, რომ ჩემს პირველ კითხვაზე, თუ რატომ დაიწყო, თავისი ძნელი საქმიანობა პასუხი არ გაუცია.

სთივენი დამეთანხმა და ფილოსოფიური სიდინჯით აღნიშნა:

„უმიზეზოდ ამ ქვეყნად არაფერი არ ხდება. რა თქმა უნდა, აუზში ჩემს ბრძოლებს აქვს მიზეზი, თანაც სერიოზული“.

„სწორედ ეგ მიზეზები მაინტერესებს და თუ პირადი საიდუმლოება არ არის, გთხოვთ მოკლედ მომითხროთ“, ვთხოვე კვლავ სთივენს.

იგი კარგა ხანს ყოყმანობდა, არ ვიცი ეძნელებოდა თუ ეზარებოდა მოყოლა, ცხადი იყო, რომ ბარში დაღამებას არ აპირებდა. თან დარბაზში ხალხმა მოიმატა, ჩვენ კი ყურადღების ცენტრში ვექცეოდით. ბევრი სთივენს უკვე სცნობდა და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

ბოლოს სთივენმა განაცხადა:

„მიზეზი საიდუმლო არ არის, მაგრამ იგი არავისთვის მომიყოლია, თქვენ კი შეიძლება მოგიყვეთ, მხოლოდ ერთი პირობით, ჩემს სიცოცხლეში არავის მოუყვებით, არ მინდა ჟურნალების საჭორაო ობიექტად ვიქცე, ისედაც მეყოფა მაგათგან ყურადღება“. სთივენი ყურადღებით შემომცქეროდა. ოდნავ გვერდულად იჯდა და პლაფონის შუქზე ნათლად

ვამჩნევდი ყურის უკნიდან დაწყებულ საშინელ ჭრილობას, რომელიც ხალათის საყელოში უჩინარდებოდა.

სთივენს სიტყვის საიდუმლო შენახვის პირობა მივეცი და მანაც განაგრძო:

„ეს კარგა ხნის ამბავია, მაშინ ახალი ზელანდიის სავაჭრო ფლოტში ვმსახურობდი. ჩემი ძმაც იქვე მუშაობდა ბოცმანად. საერთოდ უდედმამოდ გავიზარდეთ და ცხოვრების ყველა მონაკვეთზე ძმები ყოველთვის ერთად ვიყავით. ძალიან ვგავდით ერთმანეთს. ხშირად ერთმანეთისაგან ვერც გვანსხვავებდნენ. ერთხელ ავსტრალიის ნაპირებთან საკაბოტაჟო ცურვის შემდეგ ქალაქ ადელაიდას ვესტუმრეთ. სწორედ იმ ქალაქში, სადაც თქვენ მნახეთ ჩემი ზვიგენთან პირველი საჩვენებელი ბრძოლის დროს. საქონელი კარგად გავყიდეთ და მეზღვაურთა სამიკიტნოებს დავუარეთ. ბოლოს ქალაქგარეთ ერთ საროსკიპოში კარგად რომ გამოვთვერით, გასაგრილებლად ზღვაში გადავეშვით.

იმ წელიწადს დასავლეთის მთელი სანაპირო, განსაკუთრებით ავსტრალიის დიდი ყურე ზვიგენებით იყო სავსე. ამის შესახებ საბანაო ადგილებზე შესაბამისი აღნიშვნები იყო გაკეთებული, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღება არ მივაქციეთ. მახსოვს უკვე ბნელდებოდა, ჩამავალი მზის სხივებიდან წყლის ზედაპირი სარკესავით გლუვი იყო და ბრჭყვიალებდა. მე და ჩემი ძმა ყველაზე უფრო მარჯვე მოცურავეებად ვითვლებოდით და ამიტომ საკმაოდ შურს გავედით. ზურგზე გადავტრიალდი და ცას ავხედე. ძმა უფრო მარჯვნივ, კონცხის მხარეს იმყოფებოდა. კონცხზე ძველი საფორტო ნაგებობები იყო, რომელიც შემდეგ სასტუმროებად და რესტორნებად გადააკეთეს. აივნებზე წყვილები ცეკვავდნენ და ჰაერში პიკარდებს უშვებდნენ. ჩვენამდე გარკვევით აღწევდა მხიარული მელოდიების ხმა. ძმას შევძახე ურიგო არ იქნება თუ მხიარულ კამპანიას შევუერთდებით-მეთქი. უცებ ზღვის მხრიდან ვხედავ ზვიგენი მოეშურება. გრძელი მოღუნული ფარფლი წყალს კარაქივით ჭრიდა და შხეფებს ორივე მხარეს ისე ისროდა, გეგონებოდა ვერცხლისფერი თოლია გაკრულაო წყლის ზედაპირზე. მაშინვე ძმას გასაფრთხილებლად შევძახე და რაც ძალი და ღონე მქონდა ნაპირისკენ მოვუსვი. უკვე ბნელოდა და ორიენტირად კონცხის გაჩახჩახებული ფანჯრები ავიღე. მივცურავთ, მაგრამ ზვიგენს

რას გამოასწრებ. ჩემი ძმა უკეთ ცურავდა და დაწინაურდა. მერე შეჩერდა და დამელოდა. ვიგრძენი რომ მხეცი მეწევა. ცურვას თავი გავანებე და სიკვდილს პირისპირ შევეგებე. კუჭში მძმარავდა. ვისკი ბოყინით ამომდიოდა ცხვირში. საოცრად დავიბენი. ზვიგენი მცურავი ტორპედოსავით მიახლოვდებოდა. ერთხელ კიდევ გამაძაგძაგა შიშისაგან, იმედი გადამეწურა, ვახსენე ღმერთი და დავიღრიალე. ღრიალის ხმა თითქოს ორგანიზმის ყველა უჯრედიდან გამოიჭრა გარეთ. მოხდა საოცრება, ღრიალ-ხრიალის შემდეგ მაშინვე დავწყნარდი. წყალს თითქოს უფრო მტკიცედ მოვეჭიდე, დაბინდული თვალები დამეწმინდა, მაჯისცემა დამიწყნარდა. თითქოს გავ-შეშდი, შეკუმშული ზამბარასავით დავიმუხტე. ზვიგენი კბილის გასაკვრელად რომ შეტრიალდა, შემობრუნებით ფეხი ვკარი, ადგილზე დავტრიალდი და გვერდზე გავუსხლტი. ამჯერად მტაცებელმა მეორე მხრიდან შემომიტია. ბედად თუ უფრო საუბედუროდ ჩვენს შორის ძმა აღმოჩნდა. ნათლად დავინახე, რომ იგი ურჩხულმა შუაზე გატკვირა. ამასობაში შუქმაც იელვა და დამაბრმავა. მერე არაფერი მახსოვს. რაღაცნაირად მოვახერხე ნაპირზე გასვლა, ძმა კი სამუდამოდ ოკეანეში დარჩა, ნარჩენებიც კი ვერ იპოვეს.

ამ სცენას ნაპირიდანაც უყურებდნენ და მათი მონათხრობით წყალში ტრაგედია შემდეგნაირად განვითარდა. მისი მოწმე სანა-პირო დაცვის მორიგე მაშველი იყო. იგი უკვე სათვალთვალო კოშკიდან ჩამოსვლას და სახლში წასვლას აპირებდა, როდე-საც ოკეანეში ვეფხისებური ზვიგენის ადამიანზე თავდასხმას შეესწრო. მაშინვე შემთხვევის ადგილს მძლავრი პროჟექტორი მიანათა. ცნობილია, რომ ზვიგენთა უმრავლესობა ცუდი მხედველია, ისინი ფერებს ვერ არჩევენ და სამყაროს შავ-თეთრ ტონში აღიქვამენ. როგორც შემდგომ გამოირკვა პროჟექტორის შუქმა ზვიგენი ოდნავ შეაფერხა და ჩემზე თავდასხმა დააგვიანა. ამასობაში მაშველმა თოფს სტაცა ხელი, სათვალთვალო კოშკის ბაქნიდან პირდაპირ ქვიშაში ჩამოხტა, ფეხის იღრძო, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია. ნაპირისკენ გაქანდა და მხეცს, რომელიც მისგან 100 ფუტზე იმყოფებოდა ესროლა. ამასო-ბაში მე ნაპირზე გამოვცოცდი. ამის შემდეგ საოცარი ამბავი მომხდარა. დაჭრილმა ზვიგენმა მძლავრი ბიძგით ოკეანეას მიაშურა, ამოიგლიჯა ისარი, განთავისუფლდა, შემობრუნდა და

მსროლელისაკენ, რომელიც ნაპირზე იდგა გავარდა. ამოსხლტა წყლიდან და შეეცადა მის მიწვდომას მშრალ ნაპირზე.

თავზარდაცემული მაშველი უკან გადახტა და თოფში ახალი ისრის ჩადება დაიწყო, ზვიგენი კი ფართხალითა და ხტომა-ხტომით თავის სტიქიას დაუბრუნდა, რომლის დროსაც მე, ნაპირზე თავჩამხობილს ძალიან ახლოს მომიახლოვდა, მაგრამ აქაც გადავრჩი, მან ან ყურადღება არ მომაქცია, ან ვერ დამინახა. მოგვიანებით ამ შემთხვევამ მეცნიერთა წრეში დიდი აურზაური გამოიწვია და ეჭვის ქვეშ დააყენა ვეფხვისებური ზვიგენის სუსტი მხედველობის ამბავი, რადგან ფაქტი იყო, რომ იგი საჭიროების შემთხვევაში მშვენივრად იყურებოდა.

საერთოდ როდესაც ზვიგენებზე ვლაპარაკობთ დანამდვილებით ვერასოდეს ვერ ვიტყვით, რა შეუძლია მათ, როგორ მოიქცევიან ისინი, ამა თუ იმ შემთხვევაში, ჭკვიანები არიან თუ სულელები. მათზე საუბარი ყოველთვის მიახლოებითია. მაგალითად, 1955 წლამდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ მომცრო ტანის ლეოპარდისეული ზვიგენი, რომლის მაქსიმალური სიგრძე სამი ფუტია, ადამიანისთვის საშიში არ იყო, მაგრამ იმ წელს კალიფორნიის წყლებში იგი თავს დაესხა წყალქვეშა მყვინთავს, რომელმაც მართალია მოიგერია მისი შეტევა, სამაგიეროდ დიდი შიში ჭამა.

ანდა სხვა მაგალითი ავიღოთ. ყველაზე მძლავრი და დაუნდობელი ზვიგენია კარხაროდონი, რომელსაც ავსტრალიაში „თეთრ სიკვდილს“ უწოდებენ. ეს ცოტა არასწორი აზრია, რადგან კარხაროდონის ზურგზე და გვერდებზე რუხი, ყავისფერი და შავი ფერები სჭარბობს, ხოლო ფაშვი ჭუჭყიანი თეთრი ფერისაა. ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ოცდაათ ფუტამდე სიგრძისა და ექვსი ათასი ფუტის წონის გიგანტის ძალა საშინელი იყო, მაგრამ ის რაც 1971 წელს ავსტრალიის დიდ ყურეში დაფიქსირდა ჩვენს ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. იმ წელს გაზეთ „მელბურნ ინკუაიერის“ რედაქციამ თევზსაჭერ სეინერზე თავისი კორესპონდენტი მიავლინა, რათა მას მებადურთა ცხოვრებიდან რამდენიმე სიუჟეტი მოემზადებინა. მალევე სამოცი ფუტის სიგრძის სეინერიდან ოცდაშვიდი ფუტის სიგრძის თეთრი ზვიგენი ანუ კარხაროდონი დაბარჯეს. მხეცი არ დანებდა და სიღრმეს მიაშურა. ბაგირი დაიჭიმა და გემმაც

დაჭრილი ზვიგენის კურსი აიღო. რა თქმა უნდა, სეინერზე შეეძლოთ ბაგირის მოჭიმვა, ზღვის ზედაპირზე გამოჩენილი კარხადორონის მეორედ დაბარჯვა და ბოლოს მოღება, მაგრამ კორესპონდენტის ენერგიული თხოვნის შემდეგ გადაწყვიტეს დალოდებოდნენ, რამდენ ხანს იბრძოლებდა დაჭრილი ზღვის მხეცი. ბრძოლამ თერთმეტ საათს გასტანა. კარხაროდონი განუწყვეტლივ ცვლიდა მიმართულებას და მრავალტონიან სეინერს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიათრევდა. ბოლოს მან მაჯის სისქე ბაგირი გაწყვიტა და განთავისუფლდა, როგორც „მელბურნ ინკუაიერი“ აღნიშნავდა კარხაროდონმა ამ ძნელ ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

ნაპირზე გამოსული დიდხანს ვეგდე ქვიშაში თავჩამხობილი. მთელი საროსკიპო, სტუმარ-მასპინძლიანად ნუგეშს მცემდა, მაგრამ რას მიშველიდა. კოჭლობით ძლივს ავედი ჩემს გემზე და მაშინვე ანგარიში გავასწორე. ძმის ჯამაგირი კი ბიჭებს დავუტოვე, რომ დაელიათ და სულისმოსახსენებელი პარაკლისი გადაეხადათ. სავაჭრო ფლოტს თავი დავანებე და ზვიგენების დამჭერ კარჭაპზე დავიწყე მუშაობა. დაფიცებული მქონდა, რომ მათზე შური მეძია. ასეთ ხალხს ავსტრალიაში „შარქმენები“ ანუ „ზვიგენკაცები“ ჰქვიათ. ბევრს ვხოცავდი, განთქმული „შარქმენი“ გავხდი, მაგრამ სულს რაღაც აკლდა. შემდეგ ორი წელიწადი სპეციალურად ვვარჯიშობდი. გამოვიმუშავე დიდი სისწრაფე და გამძლეობა, დავხვეწე ილეთები და როგორც ნახეთ ახლა მათ საკუთარ სტიქიაშივე ვუღებ ბოლოს. ფული? რა თქმა უნდა, ჯამაგირზე ჯერ არ ვფიქრობდი, ეს გაგება მერე მოვიდა. უკვე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დამიგროვდა. ამავე დროს თანხის უდიდეს ნაწილს წყალში მაშველ საზოგადოებას გადავცემ. სკოლაც გავხსენი, სადაც ოთხმოცამდე მსმენელი თუ მოსწავლე, როგორც გსურდეთ ისე დაარქვით ზვიგენთან ორთაბრძოლის წესებს სწავლობს. ამ მიმართულებით დიდ წარმატებას მივაღწიე.

ზვიგენებთან განუწყვეტელმა კონტაქტმა მაფიქრებინა ის ვარაუდი, რომ მათზე ჰიპნოზითაც შეიძლება ზემოქმედება. დარწმუნებული ვარ, რომ პირველყოფილი ადამიანები ფლობდნენ ცხოველთა ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე ზემოქმედების მეთოდებს. სხვანაირად ისინი ვერ გაძლებდნენ

და ვერც გამრავლდებოდნენ. თუკი გველი აგიპნოზებს თავის მსხვერპლს, განა ადამიანს უფრო მაღალ განვითარებულს არ შეეძლო იგივე გაეკეთებინა? რა თქმა უნდა, შეეძლო და იყენებდა კიდევაც ამ მეთოდს. იმ დროისათვის ჰიპნოზი უძლიერესი იარაღი იყო. ცხოვრების ნირის შეცვლამ კი ჰიპნოზის გაქრობა გამოიწვია. მომავალში შესაძლებელია, ჩემმა ჯგუფმა შესძლოს ზვიგენთა მასობრივი დაგიპნოზება და ამით ადამიანის მიერ ზღვის სიმდიდრის ათვისების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანოს.

ჩემს სკოლაში ხშირად მოდიან სპარსეთის ყურისა და მალაბარის სანაპიროს მარგალიტის მომპოვებელი საზოგადოების წარმომადგენლები. ჩემი მეთოდებით დიდად არიან დაინტერესებულები შეერთებული შტატების სამხედრო-სადესანტო თუ საზღვაო-ფეხოსანთა ნაწილების ინსტრუქტორები. გაგიგიათ ალბათ, რომ მსოფლიო ომის დროს ჩაძირული გემების მეზღვაურთა დიდი ნაწილი კი არ დაიხრჩო, არამედ ზვიგენებმა შეჭამეს. ასე რომ როგორც ხედავთ უქმად არ ვარ. შიში? ო, ეს უფრო რთული საკითხია. რა თქმა უნდა, მეშინია, ზოგჯერ ძალიანაც, მაგრამ რას იზამ; ზვიგენების ხოცვა ჩემი მოვალეობაა. რაც შეეხება ტრავმებს, თითქმის მთლიანად დაკემსილი ვარ, მაგრამ ექიმები ყოველთვის ფეხზე მაყენებდნენ“.

სთივი ვისკიზე დავპატიჟე. უარი განაცხადა. თურმე ნაკლებად სვამდა. რაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა გრამი ალკოჰოლი არ მიუღია. თამბაქოსაც თავი დაანება და სპეციალური რეჟიმით იკვებებოდა. მერე გამოსამშვიდობებლად წამოიმართა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. მალე მეც წამოვედი. ზანგის ქალმა თვალი გამომაყოლა, მაგრამ მისი თავი ნამდვილად მქონდა. ნელა დავუყევი საღამოს ნიავით გაგრილებულ ქუჩას. ისე ვიყავი ჩაფიქრებული, რომ ვერც კი შევამჩნიე სადგურის მხრიდან როგორ გადმოჭრა მოედანი და მომიახლოვდა პატარა არაბი ბიჭუნა. ხელში რაღაც წიგნს მაჩვენებდა. სათაურს დავხედე: „ჩემი ბროლა“ ეწერა ყდაზე, საიდანაც კარხაროდონის ხერხისკბილებიანი ხახა შემომყურებდა სახის სიღრმეში ცეცხლისფერი უფრო სწორი იქნება სისხლისფერი ასოებით სთივენ უოქერის გვარი ეწერა. სატიტულო გვერდს დიაგონალზე კი ასეთი წარწერა ამშვენებდა: „ღმერთი იყოს ჩემი უცნობი მეგობრების მფარველი. სთივენი“.

მას მერე საკმაო დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, ახლაც კარგად მახსოვს, თითქოს ყურებში ზარი რეკსო სთივის ბოლო სიტყვები, როდესაც იგი აღწერდა თავის განწყობილებას ორთაბრძოლის დაწყების წინ:

„მეო“, თქვა მაშინ სთივენმა, „ვიდრე ტრიბუნების წინ გავალ შიშისაგან შარდად ვარ ქცეული. მაყურებელთა გამამხნევებელი ოვაცია ჯადოსნურად მოქმედებს ჩემზე. მათ სისხლი უნდათ და მეც სისხლს ვაჩვენებ. ვგრძნობ მთელი ორგანიზმის პულსაციას და ვიაზრებ მომავალი ორთაბრძოლის სავარაუდო პოზიციებს. ჭრილობებზე არ ვფიქრობ. თუ გაიფიქრე და ვერ დაივიწყე ცუდად იქნება საქმე. აუცილებლად დაიფლითები. თანდათან გარემოს შეგრძნება მისუსტდება, ვხედავ მხოლოდ ცისფერ აუზს, რომელიც შიგნიდან განათებულია და უსაზიზღრეს ზვიგენს, რომელიც როგორც წესი და რიგი მოითხოვს შეტაკების წინ სისხლით უნდა გახელდეს. მე თავდაპირველად მისდამი ზიზღს არ ვგრძნობ, ვცდილობ მის გამოწვევას, რადგან ბრძოლა ზიზღისა და გაშმაგების გარეშე შეუძლებელია. იგი სიკვდილს უდრის. შემდეგ ზვიგენისადმი ზიზღი ქრება და მასში მხოლოდ კოლეგას ვხედავ, რომელთანაც მთელი ფსიქოლოგიური დრამატრაგედია უნდა ვითამაშო. შემდეგ კი ბრძოლაა. აქ მთავარია მდგომარეობის სადავეების ხელში ჩაგდება. ვცდილობ ზვიგენმა არ მომატყუოს, არ გამასულელოს. აი უკვე მოდის მხეცი, რომელიც სრულ კონტროლში უნდა გყავდეს, რომ სადმე არ გაგეპაროს, მხედველობიდან არ დაკარგო, ზოგი კუდს ხმარობს, ზოგი არა, ეს უნდა გამოიცნო და ისე მიუდგე, სჯობს ცხვირის კიდეს უყურო ორთაბრძოლის ბოლომდე. მის თვალებში მზერას უნდა ერიდო. იგი ახლომხედველია და თუ თვალი თვალში გაგიყარა შეიძლება დაგაგიპნოზოს, აზრი დაგანახოს, ნებას დაგიმორჩილოს. ეს რთული თამაშია, რომელიც განუწყვეტლივ იმპროვიზაციას მოითხოვს. ჩემი ხანმოკლე კარიერის მანძილზე, პირისპირ ბრძოლაში 327 ზვიგენი გავისტუმრე იმ ქვეყნად და ამჟამად ვოცნებობ შევება თეთრ სიკვდილს, კარხაროდონს, რომელიც სიმძვინვარით, ჭკუით და სიძლიერით ალბათ ზღვის ყველა სულდგმულს აღემატება“.

ალფრედმა საუბარი დაასრულა, ტკბილეულობის მაგიდიდან ტორტის მოზრდილი ნაჭერი გადაიღო, ზედ ლიქიორის მოზრდილი სირჩა დააყოლა, მერე კი დაამატა:

„ახლახან შევიტყვე, რომ სთივ უოქერი თეთრ ზვიგენთან შეტაკების დროს დაიღუპა. ეს მოხდა ტამპაში, ფლორიდის შტატში. ეს იყო თეთრ ზვიგენთან მისი პირველი ორთაბრძოლა“.

ამბის მთხრობელი დადუმდა. დუმდნენ მოციქულებიც. სატანას აზრის გამოხატვას ელოდნენ, იგი კი ჩუმად იჯდა და დაკიდულ ჭაღს უყურებდა. ბოლოს გვარამ ჩოფიკამ აღნიშნა:

„რა თქმა უნდა, სთივენი ერთ-ერთი რჩეული კაცია და ასეთი პიროვნება რამდენიმე თუ შეგხვდებოდა შენი ხანგრძლივი ხეტიალის დროს“.

„სთივენში რომელიღაც არქანგელოზის სული იყო დროებით ინკარნირებული“, გამოთქვა ვარაუდი ონდრე ქონანმა, ერთი შეხედვით უკვე მიძინებულმა მოციქულმა.

„ერთი კაცის საქმიანობა არ განსაზღვრავს ამბავთა მიმდინარეობას, არამედ საოცრებამდე უსაზღვროა უფლის ადმინისტრაციის საქმიანობა“, ხაზი გაუსვა ბარინგტონ რიჩარდსმა.

ლუციფერი შეიშმუშნა და მაგიდას თვალი მოავლო. შემდეგ ალფრედს გადახედა:

„ჩვენი დიდი უფალი და მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესება ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილი არს და ტვირთი ჩემი სუბუქი არს“ (მათე 11:30). სთივენი ადამიანი არ იყო. იგი რამდენიმე თაობის განმავლობაში შემოდიოდა ხოლმე ცხოვრებაში და მოთელვას გადიოდა. იგი დიდი საქმისთვის ემზადება. საბოლოოდ მისი როლი მესამე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდება. იგი გახდება მსოფლიო სახელმწიფოს პროპაგანდის მინისტრი, რომელსაც ქრისტიანი ექსპერტები „ყალბ წინასწარმეტყველს“ დაარქმევენ. იგი გახდება ჩემი შვილის, გაეროს მომავალი გენერალური მდივნისა და მსოფლიო სახელმწიფოს უფროსის ანტიქრისტეს მარჯვენა ხელი და უდიდეს როლს შეასრულებს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ და მის განმავლობაში. მისი შეხვედრები ალფრედთან ჩემი ინიციატივით მოხდა“, აღნიშნა ლუციფერმა და სუფრიდან წამოდგა.

მოციქულები მაგიდიდან აიშალნენ. მალე მამალმაც მესამედ იყივლა და ის ღამე ვარსკვლავეთ-სითიში ასე გასრულდა.

ანანიას ამბავი

დედამიწის გუბერნატორ სატანას მრავალი პროფესია და მოვალეობა ჰქონდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი მოვალეობა იყო ზეცაში მიმდინარე ყველა მოვალეობის აღწერა და სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზირება. ისინი თავმოყრილი იყვნენ ე. წ. „სატანას ციურ ქრონიკებში". ამ ქრონიკების შინაარსი მეტწილად უცნობია ფართო მკითხველისთვის. წინამდებარე ისტორია ფრაგმენტია ამ ქრონიკებიდან, რომელიც „ალფრედ ნავიგატორის ჟურნალში" გამოქვეყნდა.

სატანა წერს:

„იესოს ბევრი საიდუმლოებით მოცული უნარი აქვს, მის დიდებულ თვისებებს შორის ხალხის დაჯერების უნარი ყველას აღემატება. მას ხალხი უჯერებს, მათთან იგი კარგად მუშაობს. ისინი მიყვებიან მას და მისი დიდი ოჯახის წევრები ხდებიან. შესაძლოა მან ჩვენი მამაც დააჯერა და თავის მხარეზე გადაიყვანა, ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ. აი, რა უთხრა ხალხს იესომ:

„ნამდვილად გეტყვით თქვენ, ვისაც ჩემი სჯერა იგი შესძლებს იმის გაკეთებას, რასაც მე ვაკეთებ; შესაძლებელია ჩემმა რომელიმე მიმდევარმა ჩემზე მეტი შესძლოს, რადგან მე მამასთან მივდივარ". (მარკოზი 16:17-18)

ეს ნათქვამი დაფიქსირებული აქვთ იოანეს, მარკოზს და რამდენიმე სხვას. ძალიან ძლიერი განცხადებაა, ხოლო ფრაზა: „...იგი შესძლებს იმის გაკეთებას, რასაც მე ვაკეთებ..." მრავლისმთქმელია. ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს, რომ ეს არ არის იმედის მიცემა, არამედ არის მტკიცება რომ იესოს ჭეშმარიტი მიმდევარი, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო შესძლებს შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

1. განდევნოს ეშმაკი ან ბოროტი სული, რომელიც ადამიანის სხეულს დაეუფლება.

2. ილაპარაკოს მრავალ ენაზე, მათ შორის უკვე არ არსებულზე.

3. მოათვინიეროს გველი და ეზიაროს მის სიბრძნეს.

4. დაზიანების გარეშე დასცალოს საწამლავით სავსე თასი.

5. შეხებით განკურნოს სასიკვდილოდ დაავადებული ადამიანი.

6. ცოტაოდენი რაოდენობის პურისა და თევზისგან, ბევრი რაოდენობის პური და თევზი გააკეთოს.

7. აღავლინოს თავი მისი დედამიწის ზედაპირიდან ჰაერში.

8. ფეხის დაუსველებლად გაიაროს წყლის ზედაპირზე.

9 გაიაროს ქვის კედელში, მოახდინოს სხეულის ტელე-დეპორტაცია, გააცოცხლოს მიცვალებული, გაატაროს იგი ქუჩაში და ხალხთან გონივრულ თემებზე ალაპარაკოს, გადასცეს დისტანციაზე აზრები და მრავალი სხვა.

ე. ი. იესოს ზოგიერთმა მიმდევარმა უნდა შეასრულოს ზემოთ აღწერილი ქმედებები თუ ამისათვის სათანადო რწმენა ექნება. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვინახია მის მიმდევარ ქრისტიანებში თუნდაც ერთი ინდივიდი, ვინც ამას თაღლითობასა და ე. წ. „ილუზიური ეფექტის“ გარეშე გააკეთებს. უკვე ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვეულებრივ ქრისტიანს ასეთი ქმედების გაკეთება არ შეუძლია. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ პიროვნებას შეუძლია ძალიან ბევრ ენაზე ლაპარაკი ან შიშველი ხელებით ურთულესი ოპერაციის გაკეთება და ადამიანების განკურნვა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და ისინი მეტწილად მგზნებარე ქრისტიანები არ არიან ან საერთოდ წარმართებად ითვლებიან.

ამავე დროს, იესოს ზოგიერთმა მოწაფემ, მათ შორის ყველაზე ცნობილმაც აუხსნელი საქციელით გაგვაოგნა.

მაგალითად, სახელმწიფოს ყოფილი ჩინოვნიკი და იესოს მგზნებარე მიმდევარი, ბაჟების ყოფილი ამკრეფი სვიმონი-პეტრე მის უახლოეს წრეს ეკუთვნოდა. იგი მოგვიანებით მისი მახარობელი შეიქმნა და ქრისტიანობის ერთ-ერთ ბურჯად იქცა. მის ერთ-ერთ საიდუმლოებით მოცულ ისტორიას ბიბლია შემდეგნაირად აღწერს:

„ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელსაც ანანია ერქვა. მან თავის ოჯახობასთან, საფირასთან ერთად მამულის ნაწილი გაყიდა. ანანიამ და საფირამ მემკვიდრეობაში მიღებული ფულის ნაწილი მახარობელ პეტრესთან მიიტანა, სიყვარულით შესწირა მის საქმიანობას, თან დასძინეს, რომ ეს იყო სრული

თანხა, რაც მათ თავისი მამულის გაყიდვაში მიიღეს. მეუღლე დაეთანხმა და დაემოწმა ანანიას.

ეს არ იყო სიმართლე, რადგან მათ მამული მართლია სრულად გაყიდეს მაგრამ მახარობელ პეტრეს მხოლოდ მიღებული ფულის ნაწილი შესწირეს. მახარობელმა პეტრემ ტყუილი შენიშნა, აღშფოთდა და განაცხადა:

„ანანია! რატომ შევიდა შენს გულში ეშმაკი?“ (ე. ი. მე).

ამ ამბის თაობაზე მოგვიანებით იესომ ასეთი განმარტება გააკეთა:

„მინდა ყველას შევახსენო, რომ ეს ამბავი ქრისტიანობის გარიჟრაჟზე მოხდა და ყველა მოვლენები მაშინ დიდი გამოცდების წინაშე იდგა. მაშინ პეტრე და იოანე პატრიმრობიდან ახალი გამოსულები იყვნენ. მათ წარმატებით ისაუბრეს იერუსალიმის ტაძრის უფროსებთან, მათ შორის იოსებ კაიაფასთან და სულიერად მეტად აღმატებულები იყვნენ. მათ დაინახეს ჩემი გზის სიმართლე. ეს იყო დრო, როდესაც ჩემი ყველა მიმდევარი და პირველ რიგში კი ჩემი უახლოესი წრე, მათ შორის პეტრე, მოკლედ მთელი ჩემი კონგრემაცია დარწმუნებული იყო, რომ მამას, შვილსა და სულიწმინდას ეკუთვნოდნენ ისინი ყველანი.

ქრისტიანული მოძრაობა ღარიბების მოძრაობა იყო. იგი ღარიბებზე იყო დაფუძნებული. ვინც ქრისტიანულ წრეში შევიდოდა მას არ უნდა ჰქონოდა ფული, ეკლესიის სალაროს გარდა. მორწმუნენი მამულს ყიდდნენ და მას ფულად აქცევდნენ. ფული კი ეკლესიის სალაროში შეჰქონდათ. ისინი ემსახურებოდნენ ეკლესიას თავიანთი სრული უნარით და იღებდნენ ეკლესიიდან თავიანთი მოთხოვნილებების მიხედვით. ეს იყო ქრისტიანული კომუნიზმი, რომელიც რელიგიაზე იყო დაფუძნებული.

ეკლესიის კონგრეგაციაში მკაცრი წესრიგი იყო. ვინც გაბედავდა და დამალავდა თავის შემოსავალს რომელიც უკვე ქრისტიანულ საძმოს ეკუთვნოდა, მას სიკვდილით სჯიდნენ. ასეთი იყო პირველი ქრისტიანების წესი.

მაშასადამე არა მარტო იესოს მიმდევრების სხეული და სული, არამედ მატერიალური დოვლათიც ქრისტიანულ საძმოს ეკუთვნოდა, ამიტომ ისინი დარწმუნდნენ, რომ აღარ იყო საჭირო სახლები და კერძო საკუთრება, და პირველყოფილ თემურ კომუნიზმზე გადასვლა დაიწყეს. მათ დაიწყეს სახლ-კარის გაყიდვა და ამოღებული თანხის ერთმანეთში გადანაწილება.

მათ₂ შორის სამაგალითო იყო კვიპროსზე დაბადებული ბარნაბა, რომელმაც დემონსტრაციულად გაყიდა თავისი კარ-მიდამო, ფული პეტრეს ფეხბთან დადო და მოხეტიალე-განმანათლებელი მოღვაწეობა დაიწყო“, განაცხადა იესომ.

ასეთი იყო იესოს პოზიცია ამ ამბავზე.

„მაშასადამე ბარნაბა, ლუმპენ-პროლეტართა რიგებში შევიდა. ამავე დროს დაიწყო კონგრემაციის მიერ ხალხის ფულების მიტაცება, რაც ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა იმ დროს.

„ზემოთ აღწერილ ჩემს მონათხრობს რომ დავუბრუნდეთ შემახსენეთ, რომ პეტრემ გააგრძელა ანანიას გაკიცხვა, და უთხრა:

„რატომ ატყუებ წმინდა სულს? რატომ მიითვისე შენთვის ფულის ნაწილი. მამული შენია, გინდა გაყიდი და გინდა არა. ეს შენს სურვილზეა დამოკიდებული. გაყიდვის შემდეგ კი ფული ისევ შენია, როგორც გინდა ისე გამოიყენებ. გინდა ვინმეს გაუნაწილებ და გინდა არა. მაგრამ, რატომ იტყუები? რატომ გააკეთე ეს? შენ ჩვენ კი არ მოგვატყუე, არამედ ჩვენი მამა და უფალი!“

პეტრე ადრე ხარკის ამკრეფი იყო. მან იცოდა თუ როგორ ეთქვა კლიენტისათვის ფულის გადახდის აუცილებლობის პროცესიალური წესი. ანანიამ როგორც კი მოისმინა პეტრეს უკმაყოფილო სიტყვები ძალიან შეშინდა, დაეცა იატაკზე და გარდაიცვალა. დიახ, გარდაიცვალა.

„იყო კაცი ცოცხალი, იდგა პეტრეს წინაშე, ისმენდა მის მონოლოგს, შეშინდა, დაეცა და მოკვდა“.

ამის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა ანანია რაღაც ნაჭერში გაახვიეს, გაიტანეს ეკლესიიდან და იქვე ეკლესიის ეზოში დამარხეს. ისმის კითხვა, ვინ იყო ეს ახალგაზრდა ხალხი, რომლებმაც ანანია, ღირსეული ოჯახიშვილი, რომელსაც საკმარისი ფული ჰქონდა ჯიბეში, ყოველგვარი განბანვის და ბალზამირების გარეშე დამარხეს ეკლესიის წმინდა ეზოში? ის ბიჭები პეტრეს მიმდევარი მორწმუნეები იყვნენ და მთელი კონგრემაცია მოწმე იყო ამ მკვლელობისა, რომელმაც პეტრეს რეპუტაცია ძალიან ასწია. პეტრემ გააგრძელა მორწმუნეებთან საუბარი და აღნიშნა, რომ ანანია იმიტომ კი არ დაიღუპა, რომ კონგრემაციას სახლიდან მიღებული ფული სრულიად არ გადასცა, არამედ იმიტომ, რომ თქვა ეს მთელი ფულია, სინამდვილეში კი ეს ფულის ნაწილი იყო. მან ღმერთი მოატყუა და ამიტომაც მოკვდა.

პეტრე ღონიერი, ჩაფსკქნილი, ახოვანი კაცი იყო. ბაჟის ამკრეფები ყოველთვის გამორჩეული ხალხი იყო. მათ შეეძლოთ ხალხთან საუბარი და თუ საჭირო იყო ბაჟის ძალით აღება. ისინი კარგად ატყობდნენ თუ ვინ იძლეოდა სრულად ფულს და ვინ იტყუებოდა, მალავდა გადასახადის რაოდენობას, თავს ისაწყლებდა. პეტრემ შეატყო, რომ ანანია იტყუებოდა. ეკლესიას მთელი ფული კი არა ნაწილი შესწირა. ეს პეტრემ კარგად შეამჩნია.

როდესაც ანანიას შესახებ პეტრე მაღალ სკამზე იჯდა და მორწმუნეებს ესაუბრებოდა, ამ დროს ერთი ახალგაზრდა მიუახლოვდა და უთხრა:

„უფროსო! ანანიას ქამარზე ეს ქისა ვნახეთ და ინებეთ“.

ანანიას ფულის ნაწილი უკვე გადაცემული ჰქონდა პეტრესთვის, ეს ქისა კი სახლის მთლიანი საფასური იყო.

„ქვრივ-ობლებს დაურიგეთ“, თქვა პეტრემ და კონგრემაციასთან საუბარი გააგრძელა.

სამი საათის შემდეგ კონგრემაციაში ანანიას მეუღლე საფირა მივიდა, რომელმაც არაფერი არ იცოდა თუ რა მოხდა მის არყოფნაში. იგი ანანიასთან ერთად ყოველთვის დადიოდა ეკლესიაში, ისმენდა პეტრეს ქადაგებებს. მისი ოჯახი ფულსაც უხვად სწირავდა ეკლესიას. ახლაც როდესაც გაყიდული სახლის ფულის ნაწილი ეკლესიას შესწირა, იგი სახლში გაემართა რათა მეუღლისათვის სადილი გაემზადებინა.

ანანიასა და საფირას ერთადერთი შვილი ვაჭარი იყო. იგი ორიოდ დღის წინ სავაჭრო მოგზაურობიდან იყო დაბრუნებული. მის ქარავანს ყაჩაღები დაესხნენ თავს და მთელი საქონელი გაიტაცეს. ანანიასა და საფირას ვაჟიშვილმა ძლივს დააღწია თავი ხიფაის და ცოცხალ-მკვდარი სახლში დაბრუნდა.

ოჯახმა ეს ტრაგედია დიდად განიცადა. საოჯახო თათბირზე გადაწყვიტეს, რომ სახლი და მინდვრები გაეყიდათ რათა აღებული ფულით მათი ვაჟიშვილი ახალ სავაჭრო ექსპედიციაში წასულიყო. თუ შემდეგი ექსპედიცია წარმატებით დასრულდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძინათ ახალი სახლ-კარი. ასეც მოიქცნენ. სახლი გაყიდეს და შვილმა თავის ნათესავებს შეაფარა თავი, ელოდებოდა როდის მიუტანდა მამა გაყიდული სახლის ფულს.

როდესაც საფირა ეკლესიაში შევიდა და ანანიას ძებნა დაიწყეს, რომ ვერ ნახა იკითხა სად არისო.

„პეტრე გეტყვის“, მიუგეს თანამლოცველებმა.

საფირა პეტრეს მიუახლოვდა, რომელიც კვლავ მაღალ სკამ-ჯირკზე იჯდა.

„რა გინდა?“ იკითხა პეტრემ.

„ანანიას ვეძებ“, მიუგო საფირამ.

„შენმა ქმარმა რომ ფული გადმომცა თქვენს მიერ გაყიდული სახლისა და მინდვრების სრული საფასური იყო?“

„დიახ!“ დაადასტურა საფირამ, „ეს იყო სრული თანხა“.

„რატომ მოილაპარაკერთ რომ იეჰოვას სული გამოგეცადათ? აი, ამ კარს მოადგნენ შენი ქმრის დამმარხველები და შენც გაგიტანენ“, თქვა პეტრემ.

იმ წამსვე საფირა მოწყვეტით დაეცა მიწაზე და უხმოდ მიიცვალა. პეტრემ იქვე მდგომ ერთ-ერთ ქრისტეს მიმდევარს ანიშნა კარს მიღმა მყოფ ახალგაზრდას დაუძახეო. ახალგაზრდა, რომელიც უკვე მესაფლავის მოვალეობას ასრულებდა და ფრიად დახელოვნებული იყო ამ საქმეში მაშინვე ეკლესიაში შემოვიდა და პეტრეს ეახლა.

„მკვდარია?“ იკითხა ახალგაზრდა მესაფლავემ და იატაკზე დაწოლილ ქალს წვეტიანი ჯოხი გულზე დააბჯინა. და როდესაც მიხვდა, რომ ქალი გარდაცვლილი იყო, უხმოდ გაიტანა გვამი ეკლესიის ეზოში და თავისი ქმრის გვერდით დამარხა.

მახარობელმა პეტრემ უფლის სადიდებელი ლოცვა აღავლინა და დიდმა შიშმა დაისადგურა მთელს მრევლში და ყველა იმათგანში, ვინც გაიგო და ნახა ეს საშინელი ამბავი (საქმეები 5:1-11).

„ამრიგად, პირდაპირ უნდა ვთქვათ: როგორ მოგწონთ ბაჟის ყოფილი ამკრეფის პეტრეს საქციელი? ხომ არ გადაამეტა მან თავის უფლებებს? რატომ დაღუპა მან ანანიას მთელი ოჯახი? რა ასწავლა იესომ ისეთი, რომ პეტრემ ასე ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული ძალაუფლება?

ამას გარდა, იმის კითხვა თუ რატომ დამალა ანანიამ ფულის ნაწილი? ხომ არ ნიშნავს ეს შიშზე აგებულ ფულის გამოძალვას? როგორ გავიგოთ მახარობელ პეტრეს განცხადება: „...სწორედ ამ კარს მიღმა იმყოფება ახალგაზრდა, რომელმაც შენი ქმარი დამარხა და შენც მალე მის გზას გაუყვები!“ არის თუ არა პეტრეს ეს განცხადება წმინდა წყლის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტერორიზმი?

ცოლ-ქმრის დახოცვის შემდეგ რაში გამოიყენა პეტრემ გამოძალული ფული? რატომ აიღო ფულის ის ნაწილიც, რომელიც ანანიას წელზე ჰქონდა შემოკრული და არ ჰქონდა მიზნად ეკლესიისათვის შეეწირა, არამედ მიეცა თავისი ვაჟიშვილისათვის, რომელიც ახალი ქარავნის დაქირავებას აპირებდა. რატომ მიითვისა პეტრემ ეს ფული და არ გადასცა იგი ახალგაზრდა ვაჭარს და გაქურდა იგი?

ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენს პლანეტაზე ადამიანები ერთმანეთს ფულს ძალავდნენ და ამ საკითხში იესოს სახელს იშველიებდნენ. ქვრივ-ობლების დახმარების მიზნით ხალხი სახლებს არ უნდა ყიდდეს და ქუჩაში უსახლკაროდ არ უნდა რჩებოდეს. ეს არ არის ერთეული შემთხვევა. ჩვენ გვინდა. რომ ქვრივ-ობლები საერთოდ არ იყოს და ყველა შეძლებულად ცხოვრობდეს“, აღნიშნულია „სატანას ციურ ქრონიკებში“, რომლის ერთი ნაწილი ერთხელ „ალფრედ ნავიგატორის ჟურნალში“ გამოქვეყნდა.

2004 წელი
ვესტ ლონგ ბრენჩი. ნიუ ჯერსი

სვიმონის დაღუპვა

„როგორ ფიქრობ, ალფრედ, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია, მკვლელობა ფიზიკური ზემოქმედებით თუ სიტყვიერი ზემოქმედებით ჩადენილი მკვლელობა“, იკითხა ლუციფერმა.

„თქვენო უძლიერესობავ! ჩემი აზრით სიტყვიერი ზეგავლენით ჩადენილი მკვლელობა უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ხანჯლით, ბომბით ან საწამლავით ჩადენილი მკვლელობა“, მიუგო ალფრედმა.

„მეც ასე ვფიქრობ. ხომ ვერ მოიყვან რომელიმე მაგალითს, რომელიც უფრო ნათელს მოჰფენს ამ საკითხს?“ ისევ იკითხა ლუციფერმა.

ამ დროს ალფრედი ლუცისფერის კავაკსიის რეზიდენცია „პანამირანიუმში“ იმყოფებოდა. ეს იყო კაცობრიობისათვის მეტად დაძაბული პერიოდი. მიმდინარეობდა მესამე მსოფლიო ომი და პლანეტა ცეცხლის ალში იყო გახვეული. მიუხედავად ამისა, უკვე შეინიშნებოდა ამ ომის დასრულების ნიშნები და ძალიან შორს ჰორიზონტზე უკვე იკვეთებოდა საბოლოო, არმაგედონის ომის კონტურებიც.

„ეს საკითხი გარკვეულად მაგიასთან არის დაკავშირებული“, თითქოს ორჭოფულად თქვა ალფრედმა.

„შეიძლება მკვლელობა მთლიანად მაგიური აქტია“, ღიმილი შეაგება ლუციფერმა.

„რა თქმა უნდა, თქვენო უძლიერესობავ! მკვლელობა ნებისმიერ შემთხვევაში მაგიური აქტია“, დაეთანხმა ალფრედი.

„როდესაც ადამიანს მოკლავ, და სპეციალურ რიტუალს ჩაატარებ მაშინ მოკლული არსების ფიზიკური და გონებრივი ენერგია მკვლელში გადმოვა. ეს ბარბაროსული აქტი არის მკვლელობის ქვაკუთხედი“, განმარტა ლუციფერმა.

„მაშინაც როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს თავს ესმის?“ ჩაეკითხა ალფრედი.

„დიახ, მაშინაც როდესაც ერთი სახელმწიფო ცდილობს მოკლას მეორე სახელმწიფო და მისი სასიცოცხლო ენერგია ანუ მისი სასარგებლო წიაღისეული გააკონტროლოს“. თქვა არქანგელოზმა და გააგრძელა:

„სამწუხაროდ, ცოდნის შეძენის გზაზე მაგიური საწყისი გაფერმკრთალდა. მაგიური ხელოვნება როგორც ერთ-ერთი ღირსეული და შეკრული დისციპლინა ინტელექტუალურ და გამჭრიახული მეცნიერების სასარგებლოდ დაქვეითდა. იგი დარჩა როგორც სანახაობრივი, მასობრივი ეშმაკობის ნაწილი, მაგრამ როგორც რწმენის სისტემის ნაწილი იგი გახუნდა“, თქვა ლუციფერმა.

„მახსენდება პარასელსუსის სიტყვები“, თქვა ალფრედმა.

„აბა გაიხსენე და თქვი“, გაამხნევა ლუციფერმა.

„მაგია არის უკვე მრავალგზის შემოწმებული ძალა შეიგრძნოს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მოვლენები, რომლებიც მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის. იგი არის ფრიად საიდუმლო ცოდნა, რომელიც მისი არსის შეუცნობელობის მიუხედავად ხალხის დიდი სიხარულისა და აღტაცების მიზეზია“, თქვა ალფრედმა.

„ეს მართალია, მაგრამ ისევ ჩვენს თემას, სიტყვიერი და ფიზიკური მკვლელობის მაგიურობის საკითხს დავუბრუნდეთ“, სურვილი გამოთქვა ლუციფერმა.

„სანამ რენესანსულ ევროპაში სქოლასტიკურ-მაგიური ძალები აღზევდებოდნენ, განსაკუთრებული უნარითა და ზებუნებრივი ძალებით დაჯილდოებული ადამიანების მოღვაწეობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მიწებზე მყარი ტრადიციები გააჩნდათ. ხშირად ამ ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი მოსდიოდათ ახლად აღმოცენებულ, განვითარებული დინამიკის მქონე რელიგიურ რწმენებთან. ეს იყო ჩვეულებრივი, მაგრამ სასტიკი ბრძოლა ადამიანის სულებზე ბატონობის მოსაპოვებლად.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში სამარეთის მცხოვრებლების გაოცებას იწვევდა კაცი, რომელსაც სვიმონი ერქვა, იგი მაგიური უნარისა და ძალების შთამბეჭდავ დემონსტრირებას ახდენდა. სვიმონი თავის თავს მაგიური ხელოვნების ყველაზე დიდ ოსტატს უწოდებდა და ამ აზრს ყველა ეთანხმებოდა. სამარელები აღნიშნავდნენ, რომ სვიმონს

ღმერთის ძლიერება ჰქონდა. ამიტომაც მას სვიმონ დიდი უწოდეს. ეს ამბები მოთხრობილია ახალი აღქმის მახარობლების აქტებში“, თქვა ალფრედმა და გააგრძელა:

„სვიმონს შეეძლო თავისი თავი უხილავად ექცია, მიეღო სხვა ადამიანის ან ცხოველის ფორმა, გასულიყო ქვის მასიურ კედელში, დაუზიანებლად გაევლო ცეცხლში, ეფრინა ჰაერში“, თქვა ალფრედმა.

„მე ძალიან კარგად ვიცნობდი სვიმონს. მის შესახებ მრავალი მოთხრობა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი აგვიწერს თუ როგორ მიუსაჯა იმპერატორმა ნერონმა მას სიკვდილი თავის მოკვეთით, როგორ დააღწია სვიმონმა თავი ამ უბედურებას და გახდა იმპერატორის ამალის წარჩინებული ასტროლოგი, მაგრამ ალფრედ გააგრძელე შენი მონათხრობი“, შენიშნა ლუციფერმა.

„აბსოლუტურად ნათლად ბრძანებთ თქვენო უძლიერესობავ! ეს ადამიანი მეტად მოხერხებული და მიმზიდველი ბუნების იყო. შესაძლებელია სვიმონის შესახებ არსებულ ამბებს შორის ყველაზე შთამბეჭდავია მოთხრობა მისი საბოლოო მარცხის შესახებ.

სვიმონსა და მახარობელ პეტრეს შორის დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა. ორივე მეტად პოპულარული იყო ხალხში. ისინი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ და მოსახლეობას თავიანთ უნარსა და შესაძლებლობებს უჩვენებდნენ. ორივე მეტად კარგი მჭერმეტყველი და საიდუმლო ცოდნის მატარებლები იყვნენ. ბოლოს ისინი სამარეთის ერთ ქალაქში შეხვდნენ ერთმანეთს და სვიმონმა მახარობელ პეტრეს პირისპირ შეხვედრა შესთავაზა, რათა ხალხს თავად გადაეწყვიტა თუ ვინ იყო მათ შორის უძლიერესი.

სვიმონი სამარეთის ერთ-ერთი ქალაქის ცენტრში მდებარე ყველაზე მაღალი კოშკის ფანჯრიდან მოედანზე შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის თვალწინ გამოფრინდა, მახარობელი პეტრე მუხლებზე დაეშვა და ლოცვანი აღავლინა, რამაც გადაწყვიტა სვიმონის ბედი“, თქვა ალფრედმა და „პანამირაუმის“ ყინულის დარბაზში გაიარ-გამოიარა, მერე კი უფროსს მიუახლოვდა, რომელიც უზარმაზარი ფანჯარასთან იდგა და ჭოგრიტით „მყინვარის“ წვერს უყურებდა.

„მე მგონი ერთი კომეტა მყინვარის წვერს დაატყამს, იგი ჩვენი საყვარელი უფლისა და ცის მტარვალის მთავარსადლის,

იესო ქრისტეს მიერ არის გამოსროლილი, და თუ ეს მოხდება, რასაც რამდენიმე წუთში გავიგებთ, მაშინ ჩვენი კანიონი და მიმდინარე რაიონები გამდნარი თოვლის ზვავით აივსება რაც აქ მყოფი ასი ათასი ადამიანის დაღუპვას გამოიწვევს. ხოლო რაც შეეხება შენს ნათქვამს მხოლოდ დავამატებდი, რომ ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს სასწაულმოქმედი სვიმონის ანუ როგორც მას უწოდებდნენ სვიმონ მაგნუსის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი მას სიმონ აგნოსტიკოსთან აიგივებს რომელიც პირველ საუკუნეებში არსებული ერეტიკოსი ქრისტიანების ერთ-ერთი სექტის ხელმძღვანელი იყო. ეს სექტა ამტკიცებდა, რომ ადამიანის სულის ხსნა გადის საიდუმლო და მაგიური ცოდნის შეცნობის გზაზე.

სიმონ აგნოსტიკოსმა, ისევე როგორც იესომ სპარსეთში, ინდოეთში, ტიბეტში და აღმოსავლეთის სხვა რამდენიმე ქვეყანაში იმოგზაურა. მან დიდი ცოდნა და გამოცდილება მიიღო რამდენიმე სასწაულმოქმედების საგანში. კერძოდ იგი ძალიან ძლიერი იყო ჰაერში ფრენაში, ტელედეპორტაციაში და მკვდარი ხალხის ზომბირებაში. მან შექმნა მთელი პროგრამა თუ როგორ გაეცოცხლებინა მკვდრები და ფაქტიურად იგი იდგა ბიოლოგიური რობოტებისა და ხელოვნური ინტელექტის შექმნის სათავეებთან.

იმის გამო, რომ ადრიანი ქრისტიანი მამები ძალიან მავნებ-ლები იყვნენ, მათ გაანადგურეს და ყოველგვარი კვალი წაშალეს ერეტიკოსი ქრისტიანების ტექსტებისა. ამის გამო სიმართლეს სვიმონ სასწაულმოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ასევე მისი და სიმონ აგნოსტიკოსის იდენტურობას შესახებ დარწმუნებით ველარ ვიტყვით“, თქვა ლუციფერმა და დარბაზისკენ შემობრუნდა.

„ბოლოს ვიტყოდი, რომ სვიმონ მაგნუსი დამარცხებულ იქნა. მახარობელმა პეტრემ ლოცვებით დაძლია სვიმონის ბოროტი ძალები, რომლებითაც იგი შეპყრობილი იყო და შეწყვიტა მისი ლევიტაცია, რის შედეგადაც სასწაულმოქმედი მიწას დაენარცხა, დაიმტვრია ორივე ფეხი და ჩაიწყვიტა შიგნეულო-ბები რის შედეგადაც დაიღუპა“, თქვა ალფრედმა.

მაშასადამე, სვიმონმა პეტრეს სიტყვიერი ზემოქმედების შედეგად ფრენა შეწყვიტა, დედამიწას დაენარცხა და დაიღუპა“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„დიახ ასეა“, კვერი დაუკრა ალფრედმა.

„რატომ არ დაეხმარა სვიმონს სასწაულმოქმედი ძალები. იგი ხომ ფლობდა ტელედეპორტაციის ხელოვნებას?“ იკითხა ლუციფერმა.

„პეტრემ შესძლო მის გონების რამდენიმე წამით დაბინდვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი დასამარებისათვის“, თქვა ალფრედმა.

„უკვე ის ფაქტი, რომ ადამიანს ფრენაში ხელს შეუშლი, დაბორკავ და მიწაზე დაანარცხებ არის საზიზღარი ფაქტი. მაგრამ როდესაც ამ ფაქტს ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებად გამოაცხებ ორმაგად საზიზღარი ფაქტია“, განაცხადა ლუციფერმა და ფანჯრიდან კვლავ ცის ჭვრეტა განაგრძო.

„მართალს ბრძანებთ. ეს პროგრესის შეწყვეტაა. წინსვლის შეჩერებაა“, რწმენა გამოთქვა ალფრედმა.

„ფრენა არის ცოცხალი არსების ერთ-ერთი უმაღლესი სიამოვნება და შთაგონების წყარო. სიზმარში ადამიანები ხშირად დაფრინავენ. ეს დაძაბული გრძნობაა. ზოგჯერ მათ გაოფლიანებულებს ეღვიძებათ, რადგან დახარჯეს ის ენერგია რაც საფრენად არის საჭირო. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები გენეტიკურად მზად არიან იფრინონ, ჯერთ საფრენი აპარატით და შემდეგ უიმისოდ. ნახეთ რამდენი ახალგაზრდა ხდება „რუფერი“, ზოგიერთი იღუპება, მაგრამ მათ შორის ადრე თუ გვიან გამოჩნდება ის ვინც ხელსაწყოების გარეშე შესძლებს ფრენას“. თქვა ლუციფერმა და ალფრედს ანიშნა გააგრძელეო საუბარი, თვითონ კი კვლავ ფანჯარას მიუბრუნდა.

„მახარობელმა პეტრემ სვიმონის ფრენა ვერაგულად შეაწყვეტინა. მის წინააღმდეგ ბოროტი მაგია გამოიყენა და, გაანადგურა, ანუ მოკლა და ამას გამართლება არა აქვს. მას რომ სვიმონი მიწაზე უშუალო შეტაკებაში ხანჯლით მოეკლა, ეს იქნებოდა ერთი დანაშაული, რადგან დადგენილია, რომ კაცმა თავისმაგვარი არ უნდა მოკლას. მაგრამ როდესაც მან სვიმონი მოკლა ჰაერში, სადაც იგი ფიზიკური საყრდენის გარეშე, მხოლოდ ნებისყოფის ძალით იმყოფებოდა და გამოაცალა ეს ნებისყოფა ვერაგულად, მოულოდნელად, ასე ვთქვათ „ბოზურად“ არის ორმაგი მკვლელობა და, როდესაც მკვლელობა ჩადენილია ადამიანის სულიერი მისწრაფების წინააღმდეგ იფრინოს ჰაერში არის სამმაგი მკვლელობა და

ბოლოს, როდესაც ამ სამმაგ მკვლელობას ქრისტიანობის გამარჯვებით გამოაცხადებ და იმოქმედებ იმ კაცის სახელით, რომელიც თავად იყო შესანიშნავი მფრინავი, კომენტარს არ ექვემდებარება და ამ საშინელი ბოროტების შესახებ კაცობრიობამ უნდა იცოდეს“, თქვა ალფრედმა.

ლუციფერმა კი დასძინა:

„ამჯერად იესო გონს მოეგო. კომეტას უკანასკნელ მომენტში მიმართულება შეუცვალა და იგი როსტოვს დაარტყა. ჩვენი ხეობა კი გადარჩა, მაგრამ ის საცოდავი ქალაქი დაიღუპა. ყველაფერი არმაგედონის ომისაკენ მიდის. შევძლებთ მის თავიდან აცილებას? ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ რომ გადავრჩეთ“, შესძახა ლუციფერმა და ფანჯრიდან „მყინვარის“ ჭვრეტას შეეშვა.

„თქვენო უძლიერესობავ! თქვენი სიტყვები იმედით აღმავსებს“, მიუგო ალფრედმა და მალევე დატოვა ლუციფერის ყინულის ცისფერი სასახლე.

ნიუ-ჯერსი. ვესტ ლონგბრენჩი
2005

იესოს დაკარგული წლები

იმ ზამთარს ვარსკვლავეთ-სითიში დიდი სიცივეები დაიჭირა. ყინვამ ხეობის კომუნიკაციები ძლიერ დააზიანა. წყლისა და აირის სადინარები ბევრ ადგილას გასკდა. ელექტროგადამცემი ხაზები კი ჩამოიშალა. თოვლის სიმაღლემ ათ ფუტს მიაღწია და სახლებსა და ქუჩა-მოედნებს საბნად გადაეფარა. მოსახლეობა ერთმანეთს თოვლში გაჭრილი გვირაბებით უკავშირდებოდა. თოვლის საფარის ზემოთ კი გაუკაცრიელებულ გარემოში თითქმის არავინ იყო. მხოლოდ თავზე თოვლის სქელ კულაჯდაფარული მაღალი სახლები და სათვალთვალო კოშკები ამოჭრილიყვნენ. მთის გარინდულ სიჩუმეში ზოგჯერ ნაბადმოსხმული უცნობები ნაბიჯა თხილამურებით ჭხიპინა ხმით ჩაივლიდნენ ხოლმე.

ვარსკალვეთი სითი ხეობაში გამავალ მდინარე ჩქერულასა და ჭიუხებს შორის მდებარე შეფერდებაზე იყო განგალებული. შეფერდების ბოლოს რამდენიმე სასტუმრო, ციხე-სიმაგრე „ჯუთა“ და სასაფლაო იყო განლაგებული. შემდეგ კი ჭიუხების ძირი იწყებოდა.

ალფრედ ნავიგატორის სახლი ვარსკვლავეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო შემაღლებულ ადგილას, თითქმის სასაფლაოს მისადგომებთან მდებარეობდა. სახლი წესრიგში იყო. გათბობა და განათება კარგად მუშაობდა. ძველი სახლი იყო, მე-19 საუკუნის, სქელი კედლებვითა და პატარა ფანჯრებით. იგი ფაქტიურად სანახევროდ თოვლში იყო ჩაფლული, ამიტომ მეორე სართულის აივანი შესასვლელად იყო ქცეული.

მომცრო ეზოში რამდენიმე თოვლმავალი იდგა, მთავარ დარბაზში კი ბუხარი გემრიელად გიზგიზებდა. კედელზე წინაპრების სურათები ეკიდა. ბუხრის მოშორებით მრგვალ მაგიდას თორმეტი მოციქული ეჯდა და შუაღამის ვახშამს შეექცეოდნენ.

მაგიდაზე წითელი ღვინით სავსე დოქები, შოთის პურები, ცხვრის მოხარშული ნეკნები მუხრანის მოხარშული დედლები, ჩქერულას კალმახები და სანელებლები ელაგა. მეზობელ მომცრო მაგიდაზე ეჩმიაძინის ტოლმით სავსე ქვაბი, ტკბილეულობა, მცხეთის ღვეზელი და ლიქიორის ბოთლები ელაგა. მაგიდასთან მჯდომ ზოგიერთ მოწმე-მოციქულს სახეზე თეთრი საბურავი ჩამოეფარათ. ისინი გაუცოცხლებელი მკვდრები, მაგრამ მოაზროვნე ზომბი-მოციქულები იყვნენ.

სტუმრები უმთავრესად ღამ-ღამობით იკრიბებოდნენ. ზოგიერთები შორეული ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ. ზოგიც ადგილობრივები იყვნენ. ღამის საუბრებს რომ მორჩებოდნენ, მერე განთიადს ხვდებოდნენ. დილის სხივები მყინვარის წვერზე რომ ასხლტებოდა, ტრადიციულად ბეთლემის გამოქვაბულში მიდიოდნენ, შემდეგ კი ზოგიერთი მოციქული თუ უფროსის დავალება ჰქონდა, უფრო მაღლა ყინულებში „პანამირანიუმის“ რეზიდენციაში მიდიოდნენ, სხვები კი ობსერვატორია „ირაყლიონს“ სტუმრობდნენ და სამყაროს სივრცეებს სჭვრეტდნენ ან თრუსოს ხეობას გაუყვებოდნენ. მოციქულების უფროსი სატანა იყო თავად.

იგი ახლაც მათთან იყო. ვახშმობის შემდეგ სატანა ბუხრის წინ მდებარე უზარმაზარ ჯირკვ-სკამზე ჩამოჯდა, მეორე ჯირკ-სკამზე კი მათი დღევანდელი სტუმარი სახელგანთქმული იესო ეჯდა.

ეს იყო დედამიწის მოსახლეობისათვის მეტად მძიმე დრო. დიდი დანიელის მიერ გამოთვლილი „დიდი უბედურებების“ შვიდწლიანი პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა. დედამიწა ცეცხლის ალში იყო გახვეული. ბევრი ქვეყანა და ერი საერთოდ გაქრა. დედამიწის ნახევარზე მეტი უკვე დაიღუპა. კოსმოსიდან წამოსული ცეცხლოვანი კომეტები განუწყვეტლივ ბომბავდნენ მიწას. ახლოვდებოდა კაცობრიობის კულმინაცია, არმაგედონის ომი და სხვადასხვა მიზეზების გამო დიდი იესო რამდენჯერმე ეწვია ვარსკვლავეთს, ხევს, რომელიც განგების ნებით უვნებლად იდგა. აქ არც ერთი კომეტა და ცეცხლოვანი მეტეორი არ დაცემულა.

ვარსკვლავეთში ალფრედ ნავიგატორის სახლში, უფლის ნების მთავარი შემსრულებელი, მისი ერთადერთი ძე იესო და უფლის მიერ დედამიწაზე გუბერნატორად დანიშნული სატანა

რამდენჯერმე შეხვედნენ ერთმანეთს. მათ ბევრ საკითხზე ისაუბრეს. მათი ბოლო შეხვედრა კი უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობდა.

„ჩვენი საუბარი ისტორიულია. იგი წერილობით ფიქსირდება. შესაძლებელია რომ იგი ყველასათვის ცნობილი გახდეს. ასეთი დროც მოვა.

ჩვენ ბევრი ისეთი რამ ვიცით, რაც ხალხმა არ იცის. არმაგედონის ომის წინ კი საჭიროა რომ ყველა დაფარული ინფორმაცია ცნობილი გახდეს. ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღება. ეს ფრიად სამართლიანი იქნება, რადგან ამ დროების მთავარი მოქმედი პირებია: ჩვენი დიდი უფალი იეჰოვა, შენ, მე და ხალხი. საჭიროა რომ ყველანი თანაბარ პირობებში ვიყოთ და საპირისპირო მხარეს არ ვიდგეთ“, თქვა გუბერნატორმა სატანამ.

„მიდი, გარეკე! თქვი რისი თქმაც გსურს! ის რომ აქ ვარ ნიშნავს რომ მე ყველა წესს ვიცავ და მინდა რომ ყველასათვის ყველაფერი ცხადი იყოს. უფლის გეგმა საიდუმლო არ არის. იგი ღიაა, მას ყველა ვერ გაიგებს. მაგრამ ვისაც მისი გაგება სურს გაიგებს. გისმენ!“ მიუგო შავტუხა, მოწნულთმიანმა, თხელმა იესომ,

„უფალს სურს თავისი გეგმის რეალიზაცია კაცობრიობის მიმართ. შენ ამ გეგმის მთავარი შემსრულებელი ხარ. მომავალი ომის შესახებ მხოლოდ უფლისა და შენი ვერსიაა ცნობილი. არავინ იცის ჩემი შეხედულებები და ჩემი როლი ამ საქმეში. ამაზე ტაბუ არის დადებული. დღეს ამაზე ვისაუბრებთ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში შენი ბევრი ცხოვრებისეული ისტორიაც უცნობია, მთელი ათწლეულებიც კი, ხალხი კი დაბნეული და გაუბედურებულია. ჩვენი საუბრის დროს გვინდა რომ პერიოდულად დაგვიდასტურო მართალს ვამბობთ თუ არა, ხოლო სიმართლეს თუ ავცდები შენიშვნა მოგვცე რომ სწორ გზაზე დროულად დავბრუნდეთ“, განაცხადა სატანამ.

„არ არის ძნელი საქმე“, იყო იესოს პასუხი.

„ამ მხარეში უკვე რამდენჯერმე ხარ ნამყოფი. ეს ჩემი ვარაუდია, ხომ ასეა?“ იკითხა სატანამ.

„კი ზუსტი ხარ! ხევში ნამყოფი არ ვარ, მაგრამ რეგიონი შემოვლილი მაქვს. პირველად აქ მრავალი საუკუნის წინ მოვედი. ძალიან ტყიანი მხარე იყო, რომელიც ნადირით იყო სავსე.

იყო გაუვალი ხევები და წყალუხვი მდინარეები. აქ გადიოდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ერთ-ერთი დამაკავშირებელი სანაოსნო გზა. ეს ხდებოდა მტკვარ-რიონის შემაერთებელი სამდინარო გზით. ამ გზის გარეშე ვერ მოხვდებოდი კასპიის ზღვიდან და იბერიიდან კოლხეთში.

ადრე ამ მხარეში მზის კულტის ღვთაება მთავარი რელიგია იყო. ნეკრესის ტაძარი და გრაკალის ბორცვებზე მდებარე სალოცავები ქვეყნის მთავარი რელიგიური ადგილები იყო. დიდი ტაძრები ჰქონდათ. თავიდან ტაძრებში მსხვერპლ-შეწირვის დროს ადამიანებს სწირავდნენ, რომლებსაც შემდეგ საზეიმოდ ჭამდნენ. მიცვალებულის დაკრძალვაზეც ხალხს მიირთმევდნენ. კაცის ნეკნების ხაშლამა ძალიან მოსწონდათ. ჩემამდე იმ მხარეში ზოროასტრმა იმოგზაურა, და სცადა კანიბალიზმის აკრძალვა, მაგრამ ვერ შესძლო. აქ ამ ხეობაში კი კანიბალიზმი არ იყო. ამ რაიონში ლომისის, გუდანის, ათენგენისა და ხევის ხატები დომინირებდნენ. ასეა დღესაც.

ქვეყანაში ხალხი კარგად ცხოვრობდა. ისინი მეთევზეები, მევენახეები, მონადირეები და მეომრები იყვნენ. ძალიან კარგი ღვინო ჰქონდათ და ბევრსაც სვამდნენ. ღონიერი ხალხი იყო. სამწუხაროდ, ხასიათით ფიცხები იყვნენ და ერთმანეთს ძალიან მტრობდნენ, მერე კი მოკლულ მოწინააღმდეგეს ჭამდნენ. მე ვუთხარი, რომ ეს ძალიან ცუდი ჩვეულება იყო, რომ ცხოველე-ბიც კი არ ჭამენ-მეთქი ერთმანეთის მსგავსს. ვერაფერს გავხდი. თუმცა იმ დროს სხვა ქვეყნებშიც იგივე მდგომარეობა იყო. ჩემს მიმდევრებს შორისაც კი მრავლად იყვნენ კანიბალები. ადრე აქ ერთი კაცი აზო მოვიდა. ძლიერი და მოწინავე აზრის მატარებელი კაცი იყო. მან იბერიაში თითქმის ამოაშთო კანიბალიზმი, მაგრა, მისი გამოძახილი ჩემი მოგზაურობის დროსაც შეიმჩნეოდა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც მტკვარი-რიონის შემაერთებელი სანაპირო გზით გადა-ვედი. სხვანაირად კოლხეთში ვერ მოხვდებოდით, რადგან ქვეყანა უსიერი და გიგანტური ხეებით იყო დაფარული. ტყეში საშინელი ხალხი და ნადირი ცხოვრობდა.

კოლხეთში ადამიანი რომ გარდაიცვლებოდა 40 დღე მგლოვიარენი არათუ ადამიანის ხორცს, არამედ საერთოდ ხორცს არ ეკარებოდნენ. ძალიან ბევრი ამის მერე ხორცს ერთი

წელი არ ჭამდა. ეს ძალიან კარგი წესი იყო როგორც სხეულის და სულისთვის, ისე ეკონომიკისათვის, ამიტომ კოლხეთი იმ დროის მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა იყო“, განმარტა იესომ.

„შენი პასუხი ნათელს ჰფენს ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოებას ძველ ისტორიაში. შენს სავარაუდო მოგზაურობის შესახებ აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში“, თქვა სატანამ.

„აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ნამდვილად ვიმოგზაურე, მაგრამ ამის შესახებ ნაკლებად არის ცნობილი. საქმე იმაშია, რომ ბავშვობიდან ვგრძნობდი ცოდნის შეძენის აუცილებლობას და ამას შინაგანი ხმა მეუბნებოდა, არ მასვენებდა.

იმის თქმა რომ მე სულიწმინდამ მომცა განათლება, სათქმელად იოლია, მაგრამ საფუძველს არის მოკლებული. მე აქ ადამიანად მოვედი და მისი განვითარების ყველა სტადია გავიარე. სხვანაირად ანგელოზად დავრჩებოდი.

მე ძალიან ადრე ვისწავლე წერა-კითხვა. ეს ამბავი კარგად აქვს აღწერილი შენს მიმდევარს ალფრედ ნავიგატორს თავის ცნობილ წიგნში „იესოს ბავშვობა და ყრმობა“. მე ბევრს ვკითხულობდი, ცოდნას ვიძენდი, მაგრამ მეტი მინდოდა. ჩვენი ოჯახი სოფელ ნაზარეთში ცხოვრობდა. შეიძლება ითქვას რომ გალილეელები ყველაზე გაუნათლებელი ხალხი იყო პალესტინაში. ეს განსაკუთრებით ჩემს სოფელზე ითქმოდა. აქ ხალხი მათ შორის ჩემი მშობლები სასწაულებისა და ჰალუცინაციების ტყვეობაში იყვნენ. მამასაც და დედასაც რამდენჯერმე მოეჩვენათ რომ მათ ანგელოზები ესტუმრათ. განათლების მიღება იქ შეუძლებელი იყო.

იერუსალიმი კი განათლების დიდი კერა იყო, მაგრამ ისიც არ მაკმაყოფილებდა. მე მეტი ცოდნა მინდოდა და ეს ცოდნა კი მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინდოეთში, ტიბეტში და ჩინეთში იყო. მისი შეძენის შემდეგ კი ვფიქრობდი აბსოლუტური ცოდნის შეძენას, რასაც ყველას ვურჩევ“, თქვა იესომ და გააგრძელა:

„მაგრამ იყო გარემოებები, რომლებიც დასაძლევი იყო. კერძოდ რომ მეთქვა ცოდნა აღმოსავლეთის ქვეყნებში შევიძინე-მეთქი, ბევრი ჩემი მიმდევარი ამას სწორედ ვერ გაიგებდა. ამიტომ ყოველთვის ხაზს ვუსვამდი რომ ჩემი განათლება

უფლისაგან მოდიოდა. ამავე დროს იყო ხალხი რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში უკვე ნამყოფები იყვნენ და სიბრძნე უკვე შეძენილი ჰქონდათ. ისინი გამოცდილ ვაჭრებად და ბრძენ ხალხად ითვლებოდნენ. კარგი ვაჭარი, ბრძენი კაცი იყო. ვინც არ ივაჭრებდა აღმოსავლეთის ქვეყნებში ვერ გაემგზავრებოდა, რადგან მე ღარიბი ხუროს ოჯახის წევრი ვიყავი სამოგზაუროდ ფული არ მქონდა, ვერც ვივაჭრებდი უფულოდ, ამიტომ მოვახერხე და იერუსალიმში დაბანაკებულ ერთ აღმოსავლეთის სავაჭრო ქარავანშ დავუახლოვდი შემდეგ კი ერთ-ერთ ქარავანს აღმოსავლეთში გავყევი, როგორც აქლემების მომვლელი და ხელზე მოსამსახურე. მერე კი, დროთა განმავლობაში ვაჭარი გავხდი. რომ გამეგრძელებინა ეს მოღვაწეობა აუცილებლად სოვდაგარი გავხდებოდი. მაგრამ მე არ მინდოდა ცნობილი გამხდარიყო, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ვიმოგზაურე.

როდესაც უკან სამშობლოში ჩამოვედი, ძალიან გამოცდილი და მრავლის მნახველი კაცი ვიყავი. მე იმდენად კარგი ცოდნა და ოსტატობა მქონდა, რომ თავისუფლად შემეძლო მეთქვა უფლის მესია ვარ-მეთქი.

იცით, რომ ებრაელები დღემდე ელოდებიან მესიას. ეს მათი მსოფლმხედველობის, იუდაიზმის არსია. მათ ოცი თუ ოცდაათი მესიის კანდიდატი ჰყავდათ, მაგრამ არც ერთმა არ გაამართლა. ამავე დროს მესია ანუ ჰამაშიაშ ებრაელი ხალხის მხსნელი უნდა ყოფილიყო. მეც მამის მხრიდან იგივე გეგმის განხორციელება მქონდა დავალებული, ებრაელი ხალხის ხსნა, მაგრამ არა ფიზიკური ბრძოლით, არამედ სულიერი შთაგონებით. ამავე დროს ებრაელი ხალხის მხსნელი აუცილებლად ჩვეულებრივი ადამიანი უნდა ყოფილიყო.

ღმერთის შვილი, მესია ვერ იქნებოდა. იცით ასევე რომ ებრაელებმა დღემდე არც ერთი მესია არ აღიარეს. მე მოკვდავის სტატუსს გავცდი და ძალიან ბევრჯერ განვაცხადე, რომ უფლის შვილი ვარ მეთქი. ამავე დროს ჩემმა მოწაფეებმა დაადასტურეს, რომ მამის მხრიდან მე მეფე დავითის ჩამომავალი ვიყავი. ეს ახალი სიტყვა იყო და ამან ძალიან დააბნია ფარისევლები. ასე რომ ცოდნა აღმოსავლეთში შევიძინე და მესიის კანდიდატი გავხდი მეთქი არ მაწყობდა.

იყო კიდევ სხვა გარემოება, რამაც მაიძულა არ მეთქვა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ვიმოგზაურე.

იცით და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ შინაურ მღვდელს შენდობა და დანდობა არ აქვს. ამიტომ როდესაც სამშობლოში დავბრუნდი, დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ოჯახის წევრები არ მენახა. დიდ მიზანს დიდი მსხვერპლი სჭირდება. მე რამდენიმე და და ძმა მყავდა. დედა კი ოფიციალურად ღვთისმშობლისა და უფლის ქალიშვილის სტატუსის მატარებელი იყო. მამა, ხურო იოსები ფაქტიურად მამინაცვალი კი იყო ჩემთვის, მაგრამ მეფე დავითის ჩამომავლად ითვლებოდა. ჩემი ჩამოსვლის დროს მამა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ამბობენ, რომ ჩემი დაკარგვით გამოწვეულ დარდს ღვინის სმაში იქარვებდა და სმას გადაყვაო.

მაშასადამე, თანდათან განმტკიცდა აზრი რომ დედაჩემი უფლის ქალიშვილი იყო, მამა კი მეფე დავითის პირდაპირი ჩამომავალი, ხოლო უფალი კი ჩემი ნამდვილი მამა იყო.

ჩემი ოჯახის წევრები პირველად ქალაქ კანაში ვნახე, სადაც ჩემს მოწაფეებთან ერთად ქორწილში ვიყავი დაპატიჟებული. ქორწილის დროს ღვინო შემოაკლდათ და იძულებული შევიქმენი ქეიფი რომ არ ჩაშლილიყო წყალი ღვინოდ მექცია. ამ დროს დედა მომიახლოვდა, მან მიცნო თუ ვინ ვიყავი მე. ასევე ჩემი ოჯახის სხვა წევრებიც მომიახლოვდნენ. მოგვიანებით ნაზარეთის სინაგოგაში ლექციის დროს ზოგიერთებმა შესძახეს კიდევაც, ეს ხომ იოსების შვილი არისო, მშვენივრად კი ლაპარაკობს, მაგრამ მამას ასე ანერვიულებდაო. მოკლედ მე უარი განვაცხადე ოჯახზე და ვთქვი, რომ ყველა ებრაელი არის ჩემი და და ძმა, თავად მე კი უფლის შვილი ვარ მეთქი, ხოლო მოწაფეებს კი ვუთხარი, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს-მეთქი (იოანე 2:4; მარკოზი 6:2-6)“, თქვა იესომ და ბუხრის ცეცხლს ჩააშტერდა, რომელიც თანდათან მინელებას იწყებდა.

მთელი დარბაზი ჭაღის შუქით იყო განათებული, მაგრამ ბუხრის მხარე თანდათან ბნელდებოდა. რაც უფრო მეტხანს უყურებდა იესო ბუხრის ცეცხლს, მით უფრო მისი გიზგიზი სუსტდებოდა და სუსტდებოდა.

ალფრედმა ერთი კი გაიფიქრა, მოდი ავდგები და ბუხრის მინელებულ ცეცხლს ფიჩხს დავამატებ, მაგრამ ყოყმანობდა. ზებუნებრივ არსებებთან მიახლოება არ იყო უბრალო საქმე. ამავე დროს იგი ხომ იესოს მოწინააღმდეგედ და სატანას

მომხრედ ითვლებოდა. უეცრად ალფრედს იესოს მელოდიური ხმა შემოესმა:

„სიმართლეს გეტყვი მე შენ ალფრედ! გააკეთე რის გაკეთებასაც აპირებ. არავინ შეგიშლის ხელს“.

ალფრედს გულზე მოეშვა. სატანას გამამხნევებელ მზერას მოჰკრა თვალი და ბუხარში ფიჩხი ელვის უსწრაფესად დაამატა. ეს იმდენად სწრაფად გააკეთა, რომ ერთი პირობა გაიფიქრა, ადგილიდან არც კი ავმდგარვარო.

„რაც მოვისმინეთ, კარგია. იგი ავსებს ცნობებს შენს შესახებ. ახლა მივყვეთ თანამიმდევრულად ამ ამბებს და გავიხსენოთ თუ როგორ მომწიფდა შენში აზრი აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ“, თქვა სატანამ და დასძინა:

„ჩვენ ვიცით, რომ როდესაც შენ თორმეტი წლის გახდი მიცვას ღონისძიებებს დაესწარი და უკვე კაცად ჩაითვალე. ამის გამო მშობლებმა, უფლის ქალიშვილმა მარიამმა და ჩვეულებრივმა ხურომ იოსებმა, რომელიც მე-40 მუხლით მეფე დავითის ჩამომავლად ითვლებოდა იერუსალიმში ებრაელთა ყოველდღიურ რელიგიურ ზეიმზე წაგიყვანეს, აი იმაზე რომელიც ეგვიპტის ტყვეობიდან თავის დაღწევას რომ ზეიმობს. მაშინ ერთ მილიონამდე ადამიანს მოეყარა თავი იერუსალიმში. ხალხი ერთმანეთში ირეოდა. უკვე მაშინ შენ ინსტინქტურად დაინტერესდი შენი ზეციური მამის შენდამი განსაკუთრებული გეგმის შესახებ და მშობლებს ფარულად ჩამოსცილდი, რათა შემდეგ მალულად სოლომონის ტაძარში წასულიყავი.

მარიამი და იოსები ზარდაცემულები სამი დღე-ღამის განმავლობაში გეძებდნენ. მათ შეამოწმეს ყველა სასტუმრო და საროსკოპე, ღარიბთა თავშესაფრები და საავადმყოფოები, გაიკითხეს ვაჭრებში და კრიმინალებში შენი ადგილსამყოფელის შესახებ. შეაწუხეს რომის ადმინისტრაციაც. ბოლოს როდესაც იმედი ფაქტიურად დაკარგეს სოლომონის ტაძარში მოგაგნეს მღვდლებთან დინჯად მოსაუბრე.

შენი საიდუმლოებით მოცული დაბადების გამო მშობლებს ძალიან უყვარდით: დედამ ფაქტიურად სიცოცხლე შემოგწირა, ბევრ ცილისწამებას გაუძლო. მამამ შენს გამო დიდი და სარისკო ტვირთი აიღო. თუ რატომ აღარ ვიტყვი. ბოლოს ძალიან გაიხარეს, როდესაც სოლომონის ტაძარში გნახეს, სადაც როგორც მოციქული ლუკა აღნიშნავს, მღვდლებთან საუბრის

დროს „მზარდი სიბრძნისეული ცოდნა“ გამოამჟღავნე. ეს ასე იყო?“ იკითხა სატანამ და იესოს შეხედა.

„იმ დროს მე უკვე ძალიან ბევრი რამე ვიცოდი. 12 წლის ბიჭი ფაქტიურად უკვე ჩამოყალიბებული კაცია“, მიუგო იოსემ.

„რაც მართალია, მართალია, მიცვას ზეიმის შემდეგ ბავშვი უკვე კაცი ხდება. მაგრამ მშობლებისათვის ბავშვი ყოველ ასაკში ბავშვია, როდესაც სოლომონის ტაძარში მოგაგნეს სიხარულით ატირდნენ. დედამ მოალერსება გადაწყვიტა, მაგრამ შენ განზე გადექი და ალერსი არ მიიღე, ამაყად განაცხადე: „რატომ მოდიხარ ქალო ჩემთან?“ მამამ მამა-შვილურად დაგტუქსა და ყური აგიწია. შენ კი ეს ძალიან იუცხოვე და ღირსეულად შესაძლოა განაცხადე: „არასოდეს, ამიწიო ყური, იცოდეთ, რომ მე თქვენი კი არა ღმერთის შვილი ვარ და მხოლოდ მას, ჩემს დიად მამას ვემორჩილები!“ (ლუკა 2:49).

„რატომ უთხარი შენს მშობლებს ასეთი რამე? რა უნდა ეფიქრათ მათ შენს ასეთ განცხადებაზე? ჩაგთვლიდნენ შენ ნორმალურად?“ ჩაეძია სატანა.

„საერთოდ ყველა ბავშვს არ უნდა აუწიო ყური. მე ტოლი-ტოლზე საუბარი მქონდა სოლომონის ტაძრის განათლებულ პირებთან და ფარისევლებთან. იოსებმა ყური რომ ამიწია ამით მან საზოგადოების თვალში ჩემი უკვე ჩემს მიერ შექმნილი რეპუტაცია შელახა. მე ტაძარში ორი დღის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ვუნდერკინდ ბავშვად მთვლიდნენ. მაჭმევდნენ და მასმევდნენ. ყველა გაკვირვებული იყო ჩემი ცოდნით, ფანტაზიითა და ჭკუა-მახვილობით. ჩემს სხარტ ფიქრებს კი საზღვარი არ ჰქონდა და ერთ მომენტში ვთქვი: „უფლის შვილი ვარ-მეთქი“. უკვე იმ აზრზე იყვნენ რომ დაეჯერათ და იერუსალიმის ტაძარში საცხოვრებლად და სამეცადინოდ დამპატიჟეს. იმ დროის სოლომონის ტაძარში სასწავლებლად დაპატიჟება უდრიდა პეკინის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ოქსფორდის, კემბრიჯის უნივერსიტეტებში და ვესთფოინთის აკადემიაში სწავლას ერთად აღებულს. მე დავთანხმდი. თან განვაცხადე, ობოლი ვარ მეთქი, უფლის შვილი. ნაზარეთში ლოთი მამის ყურებასა და სოფლად ცხოვრებას რა თქმა უნდა სოლომონის ტაძარში ცხოვრება მერჩია. მაგრამ მშობლების მიერ იერუსალიმის სოლომონის ტაძარში ჩემმა დატუქსვამ ჩემი რეპუტაცია და თავისუფლება შელახა. მე უკვე აღარ

შემეძლო მეთქვა „უფლის შვილი ვარ-მეთქი“, რადგან ნამდვილი მშობლები თავზე დამადგნენ და სახლში წამათრიეს. იერუსალიმის ცოდნის ტაძარი ჩემთვის სამუდამოდ დაიხურა, რადგან სტატუსი, რომლისკენაც ვისწრაფოდი სიზმარივით გაქრა. ამიტომ ამის მერე მშობლებს პატივს აღარ ვცემდი და მთელი არსებით ჩემი ზეციური მამის იეჰოვა საბათის განკარგულებაში გადავედი“, მგზნებარედ განმარტა იესომ.

„კარგი ახსნაა. ნამდვილად ზეციური საქციელია. მსხვერპლის გარეშე წარმატებას ვერ მოიპოვებ. თუ არ შესწირე თავი, რაღაც განსაკუთრებული, ზეადამიანური შენთან არ მოვა. შენ იმ დროს უკვე აირჩიე შენი ეკალ-ბარდით დაფარული გზა და შენს განწირულ სულისკვეთებას დიდი შედეგები მოჰყვა. ამიტომ გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ შენ დაახლოებით ამ დროს გაქრი იუდეადან და უკან უკვე 30 წლის ჩამოყალიბებული ვაჟკაცი დაბრუნდი. სამშობლოში შენი პირველი გამოჩენა მოხდა მდინარე იორდანის ნაპირებზე, სადაც შენმა ბიძაშვილმა იოანე ნათლისმცემელმა მოგნათლა. იოანეც ძალიან უცნაურად იყო დაბადებული. დედამისი ეკატერინე დედაშენის და იყო. იოანემ რა თქმა უნდა, გიცნო, მიგიწვია წყალში და მოგნათლა. იოანე ნათლისმცემელს დიდი რეპუტაცია ჰქონდა. შენ მის ახლო მეგობრების წრეში ჩაეწერე. იოანეს უდაბნოში ცხოვრებისა და ეკალ-ბარდებში ხეტიალის, ველური ფუტკრების თაფლის და თევზის ჭამის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამავე დროს იგი იყო იერუსალიმის ტაძრის მღვდლის ზაქარიას შვილი და დიდი თეოლოგიური ცოდნაც ჰქონდა. მან გირჩია რამდენიმე შემდეგი მოქმედება. კერძოდ დიდი საქმიანობის დაწყების წინ უდაბნოში გასვლა და ორმოცი დღე მარხვის შენახვა. როდესაც იოანემ მოგნათლა და მდინარე იორდანეში ჩამაყურყუმელავა, სწორედ ამ დროს განაცხადა უფალმა შენს შესახებ: „ეგ ჩემი შვილია“.

„კი! უფალმა ნამდვილად ასე თქვა“, დაადასტურა იესომ და დასძინა:

„ეს მოხდა მაშინ როდესაც ჩემმა ბიძაშვილმა, უფრო სწორედ დეიდაშვილმა მომნათლა, ცა გაიხსნა და უფლის წმინდა სული მტრედის სახით გვეახლა და მხარზე დამაჯდა,. ხოლო უფლის ხმამ კი ზეციდან გვამცნო:

„შენ ხარ ჩემი სიყვარელი ძე, მე მოგიწონე“ (მარკოზი 1:11)

„იესო! როდესაც იოანე ნათლისმცემელმა იორანიის ნაპირებზე მოგნათლა, შენ უკვე ბრილიანტურად განათლებული და მრავალი ტალანტით შემკული, ცხოვრებაში დაბრძენებული ადამიანი იყავი, ნახევრად ღმერთი და ნახევრად ადამიანი. შენ ერთ-ერთი მოციქული იოანე სწერს შენს დიდ განათლებაზე და ამის შესახებ მრალი გადმოცემა, ლეგენდა და მემუარული ლიტერატურა არსებობს.

შენ კი ამ დროს ფლობდი, ორატორულ ხელოვნებას, ახლო და შორ მანძილზე პიროვნების დაჰიპნოზება-მონუსხვის სპეციალობას, გქონდა უდიდესი ლევიტაციის უნარი, აზრების შორ მანძილზე გადაცემის ხელოვნება, ტელედეპორტაციის ოსტატობა, რენდგენის სხივის პოტენციის გამჭოლი მხედველობა. იყავი შესანიშნავი ექიმი, ექიმბაში, ვეტერინარი, გქონდა ფოტოგრაფიული მხედველობა, ფლობდი მრავალ ენას. ყველგან სადაც კი გამოჩნდებოდი ქალების უდიდესი ჯგუფი უკან დაგყვებოდა, რადგან მესია და სექსუალური გიგანტი იყავი.

ჩვენ გვაინტერესებს თუ სად მიიღო ახალგაზრდა იესომ ასეთი სრულყოფილი განათლება. ცხადია, რომ მისი უნარი ყოფილიყო დურგალი ან ხურო მიღებული იქნებოდა ნაზარეთში, მაგრამ დანარჩენი ცოდნა-განათლებას იესო სოფელ ნაზარეში ვერ მიიღებდა“. ივარაუდა სატანამ.

„მართალია. ჩემი ძირითადი განათლება ნაზარეთში არ იყო მიღებული“, დაემოწმა იესო.

„ბევრი მკვლევარი ფიქრობს და არსებობს უეჭველი გაქტები რომ დაახლოებით 12-13 წლის იესო, მშობლებისა და ნათესავების თანხმობის გარეშე ნებაყოფლობით შეუერთდა ვაჭრების დაჯგუფებას, ან მოიტაცეს. ასეა თუ ისეა შენ შეურთდი იერუსალიმში მყოფ ვაჭრების ქარავანს, რომელმაც აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემართა ჩინეთის დიდი აბრეშუმის გზის გავლით. რომ ასეა შენ თავად ახლახან დაადასტურე“, თქვა სატანამ.

„აბსოლუტური ჭეშმარიტებაა!“ კვლავ დაემოწმა იესო.

„მინდა მოციქულ მოწმეებს შევახსენო, რომ ჩინეთის დიდი აბრეშუმის გზა იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პოპულარული და გამძლე გზა. მე როგორც დედამიწის გუბერნატორმა თავიდან ბოლომდე ბევრჯერ გავიარე ეს გზა. იგი დაარსდა ძველი წელთაღრიცხვის, ანუ შენს დაბადებამდე 139 წელს და არსებობდა 1700 წელიწადს. ეს იყო დედამიწის

ძარღვი. ვინც ამ გზას არ გაივლიდა, უმაღლეს ჭეშმარიტებას ვერ მიიღებდა. ყველა ის ადამიანი ვინც ამ გზაზე მიდი-მოდიოდა გამოჩენილი პიროვნება გახდა. ისინი დიდ საქმეს აკეთებდნენ. ადამიანებს და კულტურებს აახლოებდნენ. ჩინეთის აბრეშუმის გზამ ერთმანეთს დაუკავშირა ორი უზარმაზარი, ჩემთვის საყვარელი ცივილიზაციები: რომის იმპერიისა და ინდური-ჩინური ცივილიზაციები...

სწორედ ამ გზით წავიდა პატარა ბიჭი აღმოსავლეთში. მან მიატოვა ყველაფერი. ოჯახის სითბო, ტოლ-ამხანაგები, სამშობლო და წავიდა უცნობ და საშიშ გარემოში, ცოდნისა და ჭეშმარიტების შესაცნობად. ახალი სიმაღლეების ასაღე-ბად, რათა უკან დაბრუნებულს სამშობლოსათვის სარგებელი მოეტანა“, თქვა სატანამ.

„ეს მამაჩემის გადაწყვეტილება იყო და მე დავემორჩილე მას. მისი ბრძანება ჩემთვის ყველაფერია“, მოკრძალებულად შენიშნა იესომ.

„დიახ, მამის, რომელიც ჩვენი უფალია, ჩვენი შემქმნელია. მაშასადამე, შენ იყავი მამის მხრიდან უფლის შვილი, ხოლო დედის მხრიდან ადამიანი. 50 პროცენტი უფალი და 50 პროცენტი ადამიანი. შენ გქონდა უფლისა და ადამიანური ცხოვრების ყველა ნიშანი. კერძოდ, შეგეძლო სიცოცხლის შექმნა, მოსპობა, ამავე დროს, სადილის მიღება და მეორადი პროდუქტებისაგან განთავისუფლება. შენ აირჩიე გზა, რათა შემეცნო მტკივნეული ჭეშმარიტება, გაგერკვია თუ რას ნიშნავს იყო უფლის ერთადერთი და ღირსეული შვილი. ეს იყო 17-18 წლიანი შეუწყვეტელი მოგზაურობა ერთი ადგილიდან მეორეში. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოგზაურობების დროს დაოჯახება ვერ მოახერხე. ეს მოხდა მერე, როდესაც სამშობლოში დაბრუნდი და ოქროსფერთმიანი მარია გაიცანი“.

„ვინ იცის, ვინ იცის“, თავი აარიდა იესომ პირდაპირ პასუხს.

„არის მრავალი ვერსია შენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დიდ ბრიტანეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში, საფრანგეთში. ჩვენ დღეს მხოლოდ ახლო და შორეული აღმოსავლეთით ვიფარგლებით. მრავალი დოკუმენტი, ლეგენდა და ტრადიცი-ული თქმულება არსებობს თუ როგორ მიმდინარეობდა შენი მოგზაურობები აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში. დედამი-წის ამ რაიონში შენ ისსას სახელით ხარ ცნობილი. ლეგენდებისა

და მითების მიღმა ხშირად დაფარული ჭეშმარიტება იმალება. ჩვენი უფლებაა დავიჯერებთ მას თუ არა“, თქვა სატანამ.

„რა დოკუმენტები გაქვთ?“ იკითხა იესომ.

„ბევრი მასალა არის შენს შესახებ, მაგრამ მათგან ძალიან ცოტაა ცნობილი. მოგვიანებით შენი მიმდევრები მათ შეგნებულად მალავდნენ ან თვალებს ხუჭავდნენ. ერთ-ერთი ძლიერი მასალაა ბუდისტური ხელნაწერი, „წმინდა ისსას ცხოვრება“, რომელიც 2000 წლის წინათ არის შექმნილი და ნახულ იქნა მხოლოდ მე-19 საუკუნეში.

1894 წელს მდიდარმა ებრაელმა ჟურნალისტმა ნიკოლაე ნოტოვიჩმა, რომელიც რუსეთის იმპერიის კარზე დიპლომატად მუშაობდა გამოსცა წიგნი „წმინდა ისსას ცხოვრება“, რომელიც ნახა ტიბეტს და ინდოეთს შორის მდებარე დასახლება ლეჩის მახლობლად მდებარე ლამაის მონასტერში, რომელიც დღესაც არსებობს.

ხელნაწერში აღწერილია თუ როგორ იმოგზაურა წმინდა ისსამ ბექტრიაში, არიელთა მიწაზე, პენჯაბში, კაპალავასთუში, ლჰასაში და სხვა ადგილებში.

როგორც ჩემი მეგობარი ოსკარ უაილდი იტყოდა ხოლმე:

„ყველა წმინდანს აქვს წარსული და ყველა ცოდვილს კი მომავალი“.

შენ როგორც წმინდანს გაქვს წარსული და იგი წმინდა ისსასთან მიდის. ცხადია, რომ ისსა და შენ ერთი და იგივე პიროვნებები ხართ.

არის სერიოზული ვარაუდები რომ შენ ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა სანკრისტს, რომელიც არის ინდოეთის უძველესი მოსახლეობის, არიელების ენა. და მათ წმინდა წიგნებს „ვედებს“, გაეცანი იქ არსებულ ენციკლოპედიურ ცოდნას. სწორედ „ვედებიდან“ აიღე ის დიდი სიბრძნე, რომელიც ასე დიდებულად გამოჩნდა შენს ბრძნულ სიტყვა-პასუხებში როდესაც უკან, სამშობლოში დაბრუნდი და საუბრობდი რომის ადმინისტრაციასთან და ებრაელ სამღვდელოებასთან.

ამავე დროს შენ დიდი ინტერესი გამოიჩინე ინდოეთში არსებული კასტური სისტემებისადმი. ეს სისტემები დღესაც არსებობს და შენი ქვეყანაში ჩასვლის დროს უკვე ფრიად დახვეწილი იყო.

უმაღლესი კასტა იყო ბრაჰმანები, ისინი იყვნენ სულიერი ლიდერები, ფილოსოფოსები, მასწავლებლები.

შემდეგი კასტა იყო ქშატრიები. ესენი იყვნენ მებრძოლები, მთავარსარდლები, რაჯები, პოლიტიკოსები, პოლიციელები.

მათ მოყვებოდა ვიშნუს მრავალრიცხოვანი კასტა, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ხელოსნები, ოქრომჭედლები, მესაათეები, მოქანდაკეები, ვაჭრები, მსახიობები და ფერმერები.

საბოლოო კასტა იყო შუდრა. ესენი იყვნენ გლეხები, რომლებიც ლუკმა-პურს მძიმე შრომით შოულობდნენ.

როდესაც ჩვენმა მოყვარულმა მამამ, ჩვენმა უფალმა ადამი და ევა ედემის ბაღიდან განდევნა მათ მიენიჭა შუდრას პოზიცია, რაც მძიმე შრომით ლუკმა-პურის მოპოვებას გულისხმობდა. გაუქმდა მათი „უკვდავობის“ სტატუსიც.

მაშასადამე საზოგადოების უმდაბლოესი, ყველაზე უფრო განუვითარებელი კასტები, მათ შორის „შუდრა“-ას კასტა არის ჩვენი საყვარელი უფლისა და შენს განკარგულებაში.

ისმის კითხვა:

„დანარჩენი კასტები ვის განკარგულებაშია?“ იკითხა სატანამ და თავადვე უპასუხა:

„ყველა უმაღლესი კასტა ჩემს მიერ არის შექმნილი და ჩემს განკარგულებაში არიან, მე ვზრუნავ მათზე. ისინი გაცილებით ნაკლები არიან ვიდრე უმდაბლესი კასტები“.

სატანამ აღნიშნა:

„მე მხოლოდ შეგახსენებთ რომ, როდესაც არიელები ინდოეთში მოვიდნენ მათ შექმნეს პირველი სამი კასტა: ბრაჰმანები, ქშატრიები და ვიშნუ. ისინი ორჯერ და მეტჯერ იბადებოდნენ, ე. ი. მათ ფაქტიურად „უკვდავის“ პოზიცია ჰქონდათ და მათზე ვრცელდებოდა ე.წ. „გარდახორციელების“ წესი. მე-4 კასტა „შუდრა“ მსახურებას ნიშნავდა. ისინი არიელები არ იყვნენ. მათზე „მეორედ დაბადებისა“ და „გარდახორციელების“ წესი არ ვრცელდებოდა. შუდრა „მოკვდავი“ იყო.

იესო! შენ უკვე გამოცდილი მქადაგებელი იყავი, მაგრამ ბრაჰმანებთან, ქშატრიებთან და ვიშნუსთან ხელი არ მიგიწვდებოდა. შენი აუდიტორია შუდრა იყო. მაშასადამე, მსოფლმხედველობა რომელიც შენ ჩამოაყალიბე უმაღლეს სამ კასტაში არ მუშაობდა და არც დღეს მუშაობს. იგი მუშაობს მხოლოდ გლეხებისა და გლახაკების კასტაში და ასეა მთელს მსოფლიოში.

რატომ? რატომ ვერ მოიპოვე წარმატება უმაღლეს სამ კასტაში?

იმიტომ, რომ შენი ქადაგების მთავარი თეზისი იყო:

„შემოქმედი არ ანაწილებს თავის ძალაუფლებას სხვადასხვა კასტებზე. მისი ძალაუფლება ყველაზე ვრცელდება“.

ეს აზრი შუდრას, გლეხებს და გლახაკებს მოსწონდათ, ხოლო ვიშნუ-ფერმერებსა და ვაჭრებს, რომლებიც აკონტროლებდნენ შუდრას არ მოსწონდათ. მათ არ უნდოდათ რომ მათთან თანაბარ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ. ხოლო ბრაჰმანები და ქშატრიები კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. ისინი დაბალ კასტასთან ვერაფერ გაყოფდნენ, ვერც ბედს და ვერც ღმერთს. ინდოეთი ხომ მრავალი ღმერთის სამშობლო იყო.

აქ კიდევ ერთ გარემოებაზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ინდოეთში არის კიდევ ერთი, მე-5 კასტა „მიუკარებელთა კასტა“. ეს ისეთი კასტაა, რომლის წარმომადგენელთან ხელის ჩამორთმევა კი არა რომ დაინახო, მაშინვე სპეციალური განმწმენდიო საშუალებები უნდა ჩაატარო, რომ ჩირქი ჩამოირეცხო. თვითონ შენ იესო – ისსა არ მაკარებიხარ, „მიუკარებლებს“. მათთან რომ მისულიყავი მაშინვე შენს სოციალურ ბაზას შუდრა-გლეხებს დაკარგავდა. ხოლო მარტო „მიუკარებლებში“ რომ შემოზღუდულიყავი შენი ქადაგებები იგი გინდ ყოფილიყო და გინდა არა. ასე რომ შენმა მთავარმა თეზისმა რომ:

„შემოქმედი არ ანაწილებს თავის ძალაუფლებას სხვადასხვა კასტებზე. მისი ძალაუფლება ყველაზე ვრცელდება“, ბზარი განიცადა.

ერთის მხრივ, ეს ისეთი ნათქვამი იყო, რაც ისედაც ცხადი იყო, მაგრამ „მიუკარებლობის“ შემთხვევაში კი იგი არ მუშაობდა.

ამავე დროს იესო-ისსა ფიქრობდა მსოფლიოს ორ დიდ კასტაზე. ერთი იყო ებრაელების კასტა, ხოლო მეორე კი ჯენ-თაიელები ანუ ჯენთრი, იგივე „გოიმების“ კასტა.

შენ იხრებოდი იმ აზრისაკენ, რომ ებრაელები როგორც ღვთის რჩეული ერი უმაღლესი კასტაა. თავად შენც ამ კასტის წარმომადგენელი იყავი. მეორე კასტა იყო ჯენთაიელები, ანუ ჯენთრი, იგივე ყველა არაებრაელი. მათ ხშირად „გოიმებსაც“ უწოდებდნენ. მაშასადამე მსოფლიო დაყოფილი იყო ორ დიდ

კასტად ებრაელებად და „გოიმებად“. ინდოელები თავიანთ ყველა კასტებთან ერთად „გოიმების“ კასტაში შედიოდა. ამავე დროს შენ ამტკიცებდი, რომ:

„შემოქმედი არ ანაწილებს თავის ძალაუფლებას ყველა კასტაზე თანაბრად“ და ეს წესი ვრცელდება „მიუკარებლებზეც“.

„უფალს ერთნაირად უყვარს როგორც „მიუკარებლები“ ისე ბრაჰმანები და ქშატრიები. ამავე დროს ინდური კასტები მაინც „გოიმების“ კასტაში იყო გაერთიანებული.

ეს აზრები ინდოეთში მცხოვრებ რამდენიმე ებრაელ ვაჭართან განაცხადე, რომლებსაც შენი განცხადება ებრაელი ერის უმაღლესობის შესახებ, ძალიან მოეწონათ.

ებრაელი ვაჭრები შენი დასაყრდენი იყვნენ ინდოეთში და თქვენ ერთად დაიწყეთ აბრამის ღმერთის იაჰვე საბათის დიდება, რომ იგი უფრო ძლიერია, ვიდრე ინდური ღმერთები, ბუდა, ვიშნუ, რამა და მრავალი სხვა.

შენი ეს აზრები ცნობილი გახდა ინდოეთის უმაღლესი კასტური ელიტისათვის და მათ გადაწყვიტეს შენი თავიდან მოცილება. შენ მათთვის ვერაგი მქადაგებელი შეიქმენი რომელ-მაც ისარგებლა რა ინდური სტუმართმოყვარეობით, შეიძინა მათგან ცოდნა, გახდა ცნობილი მჭერმეტყველი და მერე კი ეს ცოდნა ინდური ელიტის წინააღმდეგ გამოიყენა.

შენი მკვლელობის გეგმა ერთ-ერთი ებრაელი ვაჭრისთვის გახდა ცნობილი. მან დროულად გაგაფრთხილა და შენ შესძე-ლი მკვლელობის თავიდან არიდება. წახვედი ტიბეტში. იესო! სწორედ ვფიქრობთ შენს შესახებ?“ შეწყვიტა თხრობა და იკითხა სატანამ.

„კი, დაახლოებით ისე ყვები, როგორც სინამდვილეში მოხდა, ნიუანსები მეორე ხარისხოვანია“, განმარტა იესომ.

„თუ ასეა მაშინ გავაგრძეოთ“, თქვა ლუციფერმა და განმარტა:

„იყო ერთი განთქმული რუსი დიპლომატი, მხატვარი და მეცნიერი. მას რერიხი ერქვა. იგი დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში, ტიბეტში და მისი შემოქმედებითი მემკვიდრე-ობა ნათელს ჰფენს შენს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე აღმოსავლეთის ქვეყნებში“, დაიწყო აზრის გამოთქმა სატანამ და როდესაც დაინახა, რომ იესო ჯირკზე ჩამოჯდა და მოსას-მენად მოემზადა.

„ნოტოვოჩი და რერიხი ის ხალხი გახდა, რომლებმაც შეავსეს შენი ბიოგრაფია, რომელიც მილიონობით ადამიანებისათვის უცნობი იყო და ახლა, როდესაც არმაგედონი გვიახლოვდება, საჭიროა რომ ყველამ იცოდეს, რათა სწორი გადაწყვეტილება მიიღონ.

შენ გახდი სიბრძნის დიდი ოსტატი და იოგა. შესანიშნავად შეისწავლე, გარდაცვლილი ადამიანების ფეხზე დაყენება, მათი სიარული, ლაპარაკიც კი. ეს დიდი მიღწევა იყო. შენ შესძელი უიმედოდ დაავადებული ადამიანების განკურნება, მათ შორის კეთრისა და სიფილისისა, რომლისგანაც ძალიან იტანჯებოდნენ ძველი სამყაროს მოსახლეობა. შენ ასევე დიდი ხელოვნებით ახერხებდი სხეულიდან მავნე სულების განდევნას. ამაში დიდი ოსტატი გახდი. შენ დიდ წარმატებებს მიაღწიე ილუზიურ ხელოვნებაში, ე. წ. ფოკუზებში, ჰიპნოზში. განსაკუთრებით მასიური ჰიპნოზის ხელოვნებაში. მაგრამ განსაკუთრებულ დიდებას შენ მიაღწიე ლევიტაციაში, დედამიწის მიზიდულობის დაძლევის ოსტატობაში. შენი დედამიწიდან ამაღლების ტექნიკა ფანტასტიკურია. შენ ახვედი 600 ფუტიან სიმაღლეზე, რაც დღემდე განუმეორებელი შედეგია და შესძელი სხეულის განათება. ამაღლება და სხეულის განათება, განსაკუთრებით ღამით, მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მოდით გავიხსენოთ ელექტრონული ქალი კანადიდან, რომელსაც შეეძლო ჩვეულებრივი ნათურა ხელში დაეჭირა და გაენათებინა. შენს დროს ნათურა არ იყო და შენ შეგეძლო თავად განათებულიყავი, როგორც ნათურა. ეს მნახველებზე დიდ გავლენას ახდენდა, განსაკუთრებით ღამით, როდესაც ზეცაში გასხივოსნებული აიჭრებოდი ხოლმე. აბა გაიხსენე რა მოუვიდა პავლეს, როდესაც დამასკოს გზაზე მიმავალს განათებული გამოეცხადე და საუბარი დაიწყე? რა დღეში ჩააგდე იგი. სამი დღე თვალს ვერ ახელდა.

შენ არაჩვეულებრივი მიღწევები გქონდა სხეულის მოქმედების გამორთვა-ჩართვის საქმეში. შეგეძლო ხელის შეხებით დამბლის, გაშეშების და გულის მოქმედების შეჩერება ან ამუშავება. შენ შეისწავლე მრავალი აღმოსავლური ენა და შენი საუბარი – ქადაგებები ფრიად პოპულარული გახდა; და ყველაფერი ეს შენ აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობების დროს შეიძინე“.

შენ მერე ამბობდი:

„მე მოვედი, რომ წარმოვაჩინო ადამიანის შესაძლებლობები, რასაც მე ვაკეთებ ყველას შეუძლია გააკეთოს, როგორიც მე ვარ ყველა ასეთი უნდა იყოს“ (მარკოზი 16:17-18).

უნდა ითქვას, რომ იესო-ისსას დონის კიდევ რამდენიმე პიროვნება იყო, რომლებსაც ანალოგიური წარმოდგენების გაკეთება შეეძლო, მაგრამ ისსას უპირატესობა ის იყო, რომ მას გლობალური მასშტაბი ჰქონდა.

შენ იყავი შავგვრემანი, მუქი კანის კაცი, მაგრამ უფრო თეთრი იყავი, ვიდრე „მიუკარებლები“ და შუდრები. შენ უფრო პირველი სამი კასტის წარმომადგენლებს ჰგავდი და აზროვნების მიხედვით ხდებოდი მასწავლებელი ანუ ბრამანების კასტის ნიშნები გქონდა, თუმცა ეკონომიკური მდგომარეობა ხელს არ გიწყობდა.

ასევე მნიშვნელოვანი გარემოება იყო შენი ჩამომავლობა. შენ უკვე გრძნობდი, რომ უფლის შვილი იყავი, მაგრამ ამის საჯაროდ გამოცხადება ინდოეთში არ შეგეძლო, რადგან ხალხი ვერ გაგიგებდა. შენ იყავი თეთრკანიანი უცხოელი, რომელიც უცხოეთიდან მოვიდა და ისევ უცხოეთში უნდა წასულიყო. შენ არ შემოიფარგლებოდი მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებით. იესო-ისსა იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის შვილი და ეს იყო შენი უპირატესობა. ინდოეთში შენ იმ ტრამპლინზე შესდექი, რომელმაც საუკუნეები გაჭრა და კოსმოსში აიჭრა. სწორი ვარ იესო?“ იკითხა სატანამ და მრგვალი მაგიდისკენ გაემართა. დოქიდან წითელი ღვინო თასში დაასხა და სულმოუთქმელად დასცალა.

„ბევრი რამ გამოგრჩა, მაგრამ არსში სწორი ხარ!“ დაეთანხმა იესო.

„შეიძლება გკითხოთ რა გამომრჩა ყველაზე მთავარი?“ ჩაეძია სატანა, რომელმაც ხელის ზურგით ტუჩები მოიწმინდა.

„კეთილი. გეტყვი ერთ რამეს. ტიბეტში არის ერთი მთა, რომელშიც რამდენიმე გამოქვაბულია. ეს გამოქვაბული რჩეულებისათვის არის. ვინც იმ გამოქვაბულში სულს დალევს სხვა განზომილებაში გადავა და მას არ დასჭირდება უფლის სამსჯავროზე წარდგენა და აღდგომის იმედზე ყოფნა“, თქვა იესომ და თავადაც უზარმაზარი თადიდან ღვინო მოსვა, შემდეგ შოთის პურს ბოლო წაატეხა და ღვინოს დააყოლა.

„არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ჩემი სისხლია და ტიბეტის იმ გამოქვაბულში სიკვდილის წინ ხმიდა უნდა შეჭამოთ და წითელი ღვინო მიირთვათ. უსათუოდ დაგეხმარებით“, დააზუსტა იესომ.

„ძალიან კარგი!“ თქვა სატანამ და გააგრძელა:

„არანაკლებ საინტერესოა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შენი უკან დაბრუნება. იმ წყვეტილი ცნობებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია ირკვევა რომ უკან სულ ქადაგებ-ქადაგებით მოდიოდი. გადადიოდი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში. ხან ვირით მოდიოდი, ხან ფეხით. ყველგან კარგი შეხვედრები გქონდა. უფრო შუდრაში მოღვაწეობდი. გზაში შენ უკვე ჩამოყალიბდი, როგორც ბრძენი ორატორი, დიდებული მოგვი-ილუზიონისტი, ფანტასტიკური წარმოდგენების შემქმნელი. გადმოცემით, უკან გზაზე უკვე სპარსეთის სამეფოს ტერიტორიაზე შენ რამდენიმე წუთით გაუჩინარებაც კი შესძელი. მოგვიანებით ეს შედეგი ერთ საათამდე აიყვანე. ამის შემდეგ საკუთარი სხეულის ტელედეპორტაცია შესძელი, რასაც თითქმის სრულყოფილად აკეთებდი. შენ უკვე მზად იყავი სამშობლოში, იუდეაში დასაბრუნებლად, რათა ჩვენი ზეციური მამის გეგმა შეგესრულებინა.

სპარსეთში შენ პატარა წარუმატებლობაც შეგხვდა. იგი ერთმა აღმოსავლეთის ვაჭარმა აღწერა პატარა წიგნში „შეხლა-შემოხლა ჰაიდარაბადში“, სადაც თავის მრავალ ამბავთან ერთად შენს ამბავსაც ძალიან თბილად იგონებს. სამწუხაროდ, ვაჭრის სახელი დაიკარგა და არის მხოლოდ ვარაუდი, რომ იგი წარჩინებული სომეხი სოვდაგარი იყო. იგი წერს, რომ შენ წარმატებით ქადაგებდი შენი და ჩვენი მამის იეჰოვა საბათაიას სასარგებლოდ, ამბობდი, რომ იგი არის მთავარი ღმერთი, მამა, მთელი სამყაროს შემქმნელი.

„არ სცეთ თაყვანი მზეს და მთვარეს, რადგან ისინი სამყაროს ნაწილები არიან. თაყვანი ეცით მთელ სამყაროს და მის შემქმნელს, იეჰოვა საბათს, ჩვენს მამასა და მარჩენალს“, მგზნებარედ აცხადებდი შენ,

ეს დაახლოებით იგივე აგიტაცია იყო, რასაც ახალგაზრდა აბრამი, მრავალი საუკუნის წინ ბაბილონის იმპერიაში, მეფე ნომროდის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ეწეოდა. ეს იყო იდეოლოგიური ბრძოლა ერთი, უნივერსალური ღმერთისა, მრავალღმერთიანობის წინააღმდეგ.

მაგრამ სპარსეთში საქმე ცოტა სხვანაირად იყო. აქ ერთი ღმერთის, აჰურა მაზდას თაყვანისცემა იყო, რომელიც აბრაჰამივით ჭკვიანმა კაცმა ზოროასტრმა აღმოაჩინა. მის ღმერთს, აჰურა მაზდას სამყაროს სტრუქტურაში ისეთივე ადგილი ეჭირა, როგორიც აბრამისა და იესოს „მამა ღმერთს“.

ასე რომ ზოროასტერისა და მისი ღვთაების აჰურა მაზდას თაყვანისმცემლებსა და პროპაგანდისტ მღვდლებს ახალი კონკურენტის გამოჩენა არ მოეწონათ. მათ იესო-ისსას თითქმის ყველა ქალაქიდან და სოფლიდან განდევნა დაუწყეს. რამდენჯერმე ღამე ტყეში გაათიე. ეს ძალიან საშიში იყო, რადგან სპარსეთის ტყეები ნადირით იყო სავსე. აქ მცხოვრებ ვეფხვებს, ლომებს, აფთრებს, მგლებს, ჰიენებს და მცურავებს ვერ გადაურჩებოდი ერთი გარემოება რომ არა. შენ უკვე იცოდი მათს წინააღმდეგ ბრძოლა, ფლობდი „ჯადოსნური რკალის ხელოვნებას“. შენს მიერ შემოხაზულ და მოჯადოებულ რკალს მიღმა ცხოველები ვერ გადააბიჯებდნენ. რკალს მიღმა კი შეგეძლო უხიფათოთ გამოძინება. ეს ილეთი შემდეგ წარმატებით გამოიყენე უკვე ცნობილ 40 დღიანი მარხვის დროს იორდანიის უდაბნოებში.

ასე რომ სპარსეთს თავი დააღწიე, მაგრამ მთავარ გზას კი გადაუხვიე. გეზი ჩრდილოეთისაკენ, თებრიზის მიმართულებით აიღე, სადაც ნაკლები ყაჩაღები და უხიფათო გარემო იყო.

სპარსეთიდან ჩინეთის ცნობილი აბრეშუმის გზა სამ შედარებით მომცრო საქარავნო გზად იყოფოდა. ყველანი ისინი ხმელთაშუა ზღვისაკენ და სამხრეთ ევროპისაკენ მიემართებოდნენ. ერთი გზა კავკასიაში შედიოდა, რომელიც მერე ორად იყოფოდა. ერთი ალბანელების ქვეყანაში მიემართებოდა და დერბენტის ციხე-სიმაგრის გავლით კავკასიას ჩრდილოეთიდან უვლიდა და ხმელეთით ბალკანეთში და საბერძნეთში მიემართებოდა. მეორე გზა უფრო მოკლე იყო. არის დამაჯერებელი ცნობები, რომ შენ სამშობლოში დასაბრუნებულად სწორედ იბერიის სამეფოს გზა გამოიყენე. ეს სამეფო ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას ევროპისა და აზიის მთავარ გამყოფ გზაზე მდებარეობდა.

საქართველოში დღემდე შემორჩენილია ლეგენდა და გადმოცემები რომ იესო-ისსა იბერიის დედაქალაქ მცხეთასთან, სოფელ ძეგვთან ახლოს მდებარე გამოქვაბულში მცირე ხნით

ცხოვრობდა. ამ გამოქვაბულს დღესაც „ისსას გამოქვაბული“ ეწოდება, რომელიც საკმაოდ მაღალ კლდეშია გამოკვეთილი. მასთან მისასვლელი კიბეები უკვე ჩამოშლილია, მაგრამ განსაკუთრებით მარჯვე ადამიანს შეუძლია იქ შეღწევა და, რა თქმა უნდა, მას შენი მადლიც მიეწევა.

შენ შეხვდი მცხეთისა და ურბნისის ებრაულ მოსახლეობას, შეეცადე მათში მომავალი მოწაფეები და მომხრეები შეგერჩია, მაგრამ იმ დროის იბერიის ებრაულმა მოსახლეობამ ამაზე თავი შეიკავა, რადგან იბერიის სამეფოში მზის კულტი და მაზდეანობა იყო გაბატონებული და შენს შეხედულებებს ერთი ღმერთის თაობაზე, შეიძლება პრობლემები შეექმან ებრაელებისათვის ადგილობრივ იბერიელ მოსახლეობასთან, რომლებიც საკმაოდ კერპები და ჯიუტები იყვნენ.

როგორც სჩანს შენ იბერიით კმაყოფილი დარჩი, რომელიც ინდოეთივით გაუვალი ჯუნგლებით და ტყეებით იყო დაფარული, განსხვავებით მოშიშვლებული სპარსეთისა და პალესტინისა.

შენი სპარსეთში და იბერიაში მოგზაურობა იყო „გენერალური მოთელვა“ პალესტინაში მთავარი რელიგიური დებატებისა და საბედისწერო დასასრულის წინ. სწორედ შენი და შენი მიმდევრების რეკომენდაციებით პირველ საუკუნეში საქართველოს ერთ-ერთ სამეფოში, კოლხეთში იმოგზაურეს და ქრისტიანული სათემოები დაარსეს სვიმონ ქანაანელმა და ანდრია პირველწოდებულმა“.

„რასაც ამბობ სწორია, მაგრამ რამდენად საჭიროა ჩემი ისტორიის ცოდნა ხალხისთვის, რომელიც უკვე თავის გზას დაადგა, კერძოდ შავ ანაფორაში გამოწყობილ ხალხს გაყვა?“ ჩაურთო მოსაზრება იესომ რომელსაც როგორც ყოველთვის თეთრი ანაფორა ეცვა.

„ახლა ისეთი დრო დგება, რომ ყველას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება. თუ ირლანდიელებმა გამოიყენეს თავიანთი შანსი და წმინდა პატრიკის დახმარებით, რომელიც ირლანდიის აპოსტოლი და პატრონი იყო სწორ გზას დაადგნენ ქართველებმა რატომ არ უნდა გამოიყენონ ეს შანსი? არმაგედონის ომის წინ შესაძლებელია რომელიმე ერმა მოახერხოს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ბოლოს და ბოლოს იბერიელებშიც და კოლხებშიც წერა-კითხვა საკმაოდ განვითარებული და გავრცელებული იყო. მათ საკუთარი დამწერლობაც კი ჰქონდათ“, განაცხადა სატანამ.

„მართალია, იბერიაში ერთი კაცი იყო სახელად აზო და იმან გაავრცელა წერა-კითხვა, რომელიც შემდეგ მეფე ფარნავაზმა დიდად განავრცო, თუმცა აზო კი დაასამარა“, შენიშნა იესომ.

„კარგი. დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს. მცხეთიდან შენ ნავით გაუყევი გზას და მტკვარი-რიონის სანაოსნო ხაზით ფაზისში ჩახვედი. აქ კოლხ მეზღვაურებში გაარკვიე თუ როგორ შესძლებდი საბერძნეთში გადასვლას. შენ არა მარტო მქადაგებელი, არამედ ვაჭარიც იყავი. სხვანაირად ამდენი წლის განმავლობაში ვერ იარსებებდი. ვაჭრები საპატიო ხალხი იყო და ბრძენი ვაჭრები მით უმეტეს. შენ ბრძენი ვაჭარი იყავი. არ იყავი დახამებული ფულზე. სპარსეთიდან წამოღებული საქონელი მცხეთაში მშვენივრად გაყიდე, ნაწილი გადაცვალე ახალ საქონელში და ნავით ფაზისში გადაიტანე. ასევე მოიქეცი ფაზისში, სადაც ახალი საქონელი შეიძინე. გაგიმართლდა და მონახე ბერძნული ხომალდი, რომელიც ათენში მიდიოდა. იქ გადატვირთე კოლხური საქონელი: მედიკამენტები, ღვინო, მშრალი ხილი, ხე-ტყე, ოქრო, რამდენიმე ათეული კოლხი ქალ-ვაჟი, რომლებიც მონებად იყვნენ გასაყიდები“.

„აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი“, შენიშნა იესო ქრისტემ და საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, თითქოს ამით საკითხის მნიშვნელობას ხაზს უსვამსო.

„კოლხეთის მოსახლეობა კარგი საექსპორტო მასალა იყო და აი რატომ“, გააგრძელა იესომ, „მაშინდელი მსოფლიოს დასახლებულ რეგიონებში: ხმელთაშუა ზღვის აუზში, მესოპოტამიაში, სპარსეთში და ინდოეთში, აფრიკაზე რომ არაფერი ვთქვათ ყავისფერი და მუქი კანისფერი ხალხი ცხოვრობდა. კოლხეთში კი როგორც ედემის ბაღისა და თეთრი რასის აკვანში მოსახლეობა თეთრი ფერის იყო. თეთრ მოსახლეობაზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო მთელს მსოფლიოში. მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისა და ჩინეთის აბრეშუმის გზაზე მდებარე საროსკიპოები სავსე იყო კოლხური წარმოსობის ქალ-ვაჟებით. ჩვენი საყვარელი მამის გეგმითაც უფლის რჩეული ხალხი თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო, ამიტომ როგორც ყველასათვის ცნობილია კოლხეთიდან საუკუნეების განმავლობაში ათეულ მილიონობით თეთრი ფერის მოსახლეობა გაიზიდა მონებად ახლო აღმოსავლეთში და ხმელტაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში

თეთრი რასის ჯიშის გასაუმჯობესებლად“, მოკრძალებულად დაასრულა თავისი შენიშვნა შავგვრემანმა იესო ქრისტემ.

„დიახ! ეს ნამდვილად ასე იყო და ეს ბოლო დრომდე გრძელდებოდა. კოლხეთის და ქართველების მონებად გაყიდვა ძალიან სარფიანი ბიზნესი იყო. ისინი კარგი მეომრები და გენეტიკური მასალა იყო. მათ საკმაოდ გაათეთრეს მაშინდელი ცივილიზებული სამყარო და ამის გამოა რომ დღესაც ევროპაში და შეერთეულ შტატებში თეთრი რასის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „კავკასიელი – ქოქეიჟენ“. მაგრამ მოდით კვლავ შენს განთქმულ და საიდუმლოებით მოცულ მოგზაურობას დავუბრუნდეთ, თან ვიჩქაროთ რადგან დილა ლამაზად გვეპარება,“ თქვა სატანამ და ტკბილეულობის მაგიდიდან მოხეური ნაზუქის დიდი ნაჭერი გადაიღო.

„მართალია შენ უკვე გამოცდილი ვაჭარი იყავი, მაგრამ, გზის ხარჯის ასანაზღაურებლად და მეზღვაურის პროფესიის შესაძენად მთელი გზა მეზღვაურად იმუშავე. უსვამდი ნიჩბებს, თევზაობდი, ამზადებდი საჭმელს, აბანავებდი ეკიპაჟის წევრებს. ასე ჩახვედი საბერძნეთში, სადაც ახალ ხომალდში გადაჯექი და ეგვიპტეში გაემგზავრე. შენ უკვრ 25 წლის ვაჟკაცი, გამოცდილი ვაჭარი, მოგზაური, მეზღვაური და მქადაგებელი იყავი. გაემართე ალექსანდრიაში, სადაც ბავშვობაში ცხოვრობდი, ნახე იმ სახლის ბანი, რომელზედაც მამაშენი იოსები, როდესაც ჩვილი ბავშვი იყავი გასეირნებდა, აჰყურებდი ეგვიპტის ზეცას და ისმენდი შენი დაბადების ისტორიას.

რამდენიმე თვე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში წაიმუშავე, რომელშიც შემდეგ შენმა მიმდევრებმა გადაწვეს და გაეშურე ეგვიპტის სამეცნიერო დედაქალაქ ჰელიოპოლისში (მზის ქალაქში), სადაც ადრე აბრაჰამი შუამდინარეთის სიბრძნის შესახებ ლექციებს კითხულობდა. შენც იგივე გააკეთე. ჰელიოპოლისში ყველა კმაყოფილი დარჩა შენი დიდი ცოდნით, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში დააგროვე. შეხვდი ეგვიპტის შვიდ ბრძენ ადამიანს. შეხვედი დიდ პირამიდაში და თეთრი საძმოს წინაშე ფიცი დადე. ამ დროს შენთვის ცნობილი გახდა თუ რა გეგმა ჰქონდა მამას შენს მისამართით... გაიგე თუ ვინ იყავი და რა ამოცანა გეკისრებოდა.

სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ შენ ყოველთვის უმაღლესი ხარისხის თეთრი სამოსი გეცვა, ვირიც თეთრი გყავდა და

ყველას მოუწოდებდი რომ თეთრი სამოსი ჩაეცვათ. შენი მომხრეებიც დარწმუნებულები არიან, რომ მეორედ თუ მოხვალ თეთრ ცხენზე იქნები ამხედრებული და შენი მხლებლებიც თეთრ სამოსში იქნებიან გამოწყობილნი. ყველა შავსამოსელში გამოწყობილი კულტის მსახური კი განკითხვის დღეს გეენას ცეცხლში დაიწვებიან.

ჰელიოპოლისში შეისწავლე და ხარისხი მიიღე შემდეგ დისციპლინებში: ერთგულებაში, სამართლიანობაში, რწმენაში, ფილანტროპიაში, გმირობაში, ზეციურ კანონმდებლობაში, ეგვიპტის საიდუმლოებებში, სიკვდილ-სიცოცხლის შეხედულებებზე, და მზის მიღმა სამყაროზე.

ამის მერე შენ უკვე იყავი სრულყოფილად მომზადებული მამის დავალების შესასრულებლად და დედამიწის გასაბედნიერებლად.

ასე გახდი შენ იეშუა ბენ ჯოზეფიდან (იოსებიდან) იეშუა ჰამაშიაშად ანუ იესო ქრისტედ (მესიად).

საერთოდ, ძალიან ბევრი წიგნია შენს შესახებ დაწერილ-გამოცემული და ჩვენი ვალია ყოველთვის ვიფიქროთ იმ გარემოებაზე, რომელმაც რადიკალურად შესცვალა კაცობრიობის ისტორია. ასევე დრო არის, რომ ჩემს შესახებაც საჭირო ინფორმაცია მივაწოდოთ მოსახლეობას“, გულისხმიერად დაასკვნა სატანამ.

ბუხარში ცეცხლი მინელდა. ალფრედმა ფიჩხი კვლავ დაამატა. დარბაზი განათდა, სატანა წამოიმართა. მისი თავი თითქმის ჭაღს წვდებოდა. წამოდგა იესოც, რომელიც შედარებით ტანმორჩილი, მუქი და თხელი იყო.

„ახლა თითქმის დილა არის. დროა დავიშალოთ. ზოგი ბეთლემში წავიდეს, ზოგმა დევორაკის მყინვარი შეამოწმეთ. მე და იესო კი ვარსკვლავეთის გადაღმა გავისეირნებთ და ძაუს დავლევთ. შემდეგ კი სნოსა და აჩხოტის გავლით ჩემს რეზიდენციაში, „პანამირანიუმში“ წავალთ. ვისაც გინდათ შემოგვიერთდით, მაგრამ საღამოს ისევ აქ იყავით ყველა“, თქვა სატანამ და იესოს უკუღმა გადატრიალებულ ხელისგულს ორჯერ ჩამოჰკრა ხელისგული“.

„საჭიროა შენი დაკარგული წლები დავაბრუნოთ და ჩემიც არ დავივიწყოთ“, მიმართა სატანამ იესოს.

„შეიძლება ასეც უნდა იყოს“, მიუგო იესომ.

მამალმა უკვე მესამედ იყივლა, როდესაც მოწმე-მოციქულები და მათი უფროსობა დილის ბინდ-ბუნდში გაუჩინარდნენ. ალფრედის სახლში მხოლოდ მკვდარი მოციქულები დარჩნენ. მათ დღე სიარულის უფლება არ ჰქონდათ.

2015. თბილისი

პირველი პრეტენდენტი

„შორი გზიდან მოიარე და შინ მშვიდობით მიდი“, ამ სიტყვებით მიესალმა არქანგელოზი სატანა დამსწრე საზოგადოებას, როდესაც ცივი ნოემბრის შუა ღამეს ალფრედ ნავიგატორის სახლის სადარბაზო კარი შეაღო ვარსკვლავეთ-სითიში.

მონაცრო, მოწითალო ფერის დარბაზში მოციქულები მიმოდიოდნენ, ორ-ორი, მარტო, ზოგი ბუხრის წინ იჯდა ან კედლის გასწვრივ მდებარე სპარსულ ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე იყვნენ წამოწოლილები. მათ ხელში მომცრო, ჩანაწერებით სავსე ფურცლები ეჭირათ და საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებდნენ. სულ თორმეტი მოციოქული უნდა ყოფილიყო.

დარბაზში გვიანი ვახშმის სამზადისი იყო. სუფრა ფაქტიურად მზად იყო. მრგვალ მაგიდაზე ტრადიციულად ელაგა წითელი ღვინით სავსე ხელადები, შოთი პურები, საწებლით სავსე მომცრო ქოთნები, მჟავეულობა, კალმახით სავსე ლანგრები, მუხრანის ხოხბის ჩახოხბილი, ცხვრის ოხშივარავარდნილი ნეკნები, და ეჩმიაძინის საშემოდგომო ტოლმით სავსე ქვაბი. მეზობლად მდგარ უფრო პატარა მაგიდაზე კი ხილი ტკბილეულობა და მცხეთის ღვეზელები ელაგა.

ოჯახის უფროსი ოვალური ფანჯრის გვერდით მდებარე შავ საწერ მაგიდას უჯდა და გამალებით სწერდა. როდესაც სატანამ დარბაზში შემოაბიჯა ალფრედ ნავიგატორი, ყოფილი სტუდენტი და ჟურნალისტი, მრავალი პროფესიის მქონე, ახლა კი ყველაზე ცნობილი ფეხით მოსიარულე მოგზაური და სატანას მოციქული ფეხზე წამოხტა და დედამიწის გუბერნატორს მიეგება.

საკმაოდ მაღალი და ხმელი კაცი იყო ალფრედი, მაგრამ ახოვან ლუციფერს მხრებამდეც კი ვერ სწვდებოდა. ახლად შემოსული სულ თეთრად გიზგიზებდა, მასთან ერთად

დარბაზში თითქმის მთელი პლანეტის თავისუფლების ქარებიც შემოიჭრნენ. სატანა იყო ამ სახლში პერიოდულად მიმდინარე შეკრებების მუდმივი მონაწილე და ხელმძღვანელი.

მძიმე დრო დაუდგა კაცობრიობას. მართალია ზეძლიერ სახელმწიფოებს შორის ცივი ომი დასრულდა, მაგრამ ევროპაში და აფრიკაში რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით არაბები ბორგავდნენ. დიდი იმპერიის შექმნას ლამობდნენ. საფრანგეთი კეკლუცობდა. ვერც ერთი მოკონფლიქტე მხარის ინტერესებს ვერ იცავდა. არც ევროპასთან იყო და არც არაბებთან, ამიტომ ყველაზე მეტად ზარალდებოდა. გერმანელი ხალხი ცდილობდა „რომის საღვთო იმპერიის“ აღორძინებას. ვარსკვლავეთ-სითის ჩრდილოეთით მდებარე მაგოგლენდის უფროსი გოგი კი მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას გეგმავდა.

26 საუკუნის წინ, წინასწარმეტყველ დანიელის მიერ განსჭვრეტილი ევროპის დაცუქმაცებულობა სახეზე იყო. ამავე დროს დედამიწაზე დიდი კლიმატური დამახინჯებებიც ხდებოდა. ზამთარი თბებოდა, ზაფხული გრილდებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობამ საგრძნობლად დაიწია. იმატა ეკოლოგიური და ტექნოკრატიული კატასტროფების რიცხვმა, ზვავებმა, წყალდიდობებმა, მეწყერებმა, მიწისძვრებმა და ვულკანურმა ამოფრქვევებმა. უკვე ყველა ნიშანი არსებობდა იესო ქრისტეს მე-2 მოსვლისა და სამყაროს დასასრულისა.

ასეთ ვითარებაში არქანგელოზ სატანას ციური დეპარტამენტის მუშაკები ძალიან ენერგიულად მუშაობდნენ. ასევე მუხლმოუდრეკლად შრომობდა სატანას დედამიწის შტაბიც. ამ შტაბში შემავალი მოციქულების ერთი ჯგუფი ალფრედ ნავიგატორთან იკრიბებოდნენ, რომელიც კავკასიის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთში მდებარეობდა.

„მშვიდობა აქაურობას!“ თქვა ისევ სატანამ და ალფრედს ხელი ენერგიულად ჩამოართვა.

„ყველანი მოხვედით?“ იკითხა მერე და დარბაზს თვალი მოავლო.

„დიახ, თქვენო უძლიერესობავ! ყველანი აქ ვართ მოციქულ გვარამ ჩოფიკას გარდა, რომელიც წუთი წუთზე შემოგვიერთდება. იგი ჩემს ძმას ელაპარაკება ობსერვატორია „ირაყლიონში“, მიუგო ალფრედმა.

„ეხლახან დავინახე შენი ძმა, ირაყლიონ ირაყლიძე, ღობეს

ამოფარებული იჭყიტებოდა ეზოში, ჩემი ყველგანმავალი რომ დაინახა ვირთხასავით გაქრა“.

„ასეა თქვენო უდიდებულესობავ. ბევრი ცუდი გამიკეთა და ახლა თავგზა აქვს დაკარგული“.

„ადამიანმა რომ არ იცის ავისა და კარგის გარჩევა, კიდევ უარესად დაიბნევა. საერთოდ არ უნდა ჭამო ძ----ი და ყველაფერი კარგად იქნება“, გამოთქვა ვარაუდი სატანამ.

„რა თქმა უნდა ეს ასეა თქვენო უდიდებულესობავ“, კვერი დაუკრა ალფრედმა.

„როგორ ფიქრობ ალფრედ, დღეს რაზე ვისაუბროთ?“ იკითხა ისევ სატანამ.

„თქვენი ზეძლიერო უძლიერესობავ! რთული დრო დადგა. დედამიწის ყველა წერტილში რყევაა. ამიტომ კარგი იქნება თუ ყველა მოციქული თავისი რეგიონის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს და გამოთქვამს ვარაუდს ვითარების გაუმჯობესების შესახებ“, თქვა ალფრედმა.

„შენ სად იყავი?“ ჩაეძია სატანა.

„სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ტუნისამდე მთელი აფრიკის კონტინენტი ფეხით გადმოვიარე“, უპასუხა ალფრედმა.

„რა დრო დაგჭირდა კონტინენტის გადმოსალახავად?“ დაინტერესდა სატანა.

„დაახლოებით ხუთი თვე დამჭირდა, თუმცა აქეთ-იქითაც საკმაოდ ვუხვევდი“.

„როგორი ვითარებაა კონტინენტზე?“

„დიდი ეთნიკურ-რელიგიური რყევაა“.

„რა პრობლემები სჭარბობს?“

„ასეულ-ათასობით მუსლიმანი და ქრისტიანი არის დახოცილი, განსაკუთრებით რთული ვითარებაა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რუანდაში, უგანდაში და ნიგერიაში. იქ ადამიანებს არც კი ასაფლავებენ“.

„სანიტარული ბრიგადები როგორ მუშაობენ?“

„ისინი ორთოდოქსი მუსლიმანებისა და ქრისტიანების მუდმივი დევნის საგანი არიან“.

„ეპიდემია დაიწყო?“

„სადაც არის პანდემიაში გადაიზრდება“, განაცხადა ალფრედმა.

„საჭიროა თვითმფრინავებით განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები. ზოგიერთი რაიონი დაიწვას კიდეც.

განხორციელდეს მოსახლეობის ევაკუაცია, შეიძლება მსხვერპლიც იყოს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. მთელი ქვეყნიერების სასიკეთოდ მცირედ მსხვერპლს ითხოვს უფალი“, თქვა სატანამ და თავის მოხელეს მიმდინარე ბრძანება გადასცა.

„ავსა და კარგს თქვენ უკეთ განსჯით“, დაეთანხმა ალფრედი.

„ვითარება მართლაც მეტად რთულია. ანალოგიური მდგომარეობაა დედამიწის სხვა რაიონებშიც. ამიტომ მოდით ამ ღამით მიმდინარე მოხსენება-რაპორტების საქმე დროებით გვერდზე გადავდოთ და ვისაუბროთ ჩვენი დიდი უფლის, მისი შვილის და საერთოდ, მათ შესახებ ვისთანაც საქმე გვაქვს ამ დიდი უბედურებების ჟამს“, წამოაყენა წინადადება სატანამ.

„რა თქმა უნდა თქვენო უდიდებულესობავ, როგორც თქვენ განსაზღვრავთ ისე იქნება“, თქვა ალფრედმა და სატანა გაშლილ მაგიდასთან მიიპატიჟა.

„კეთილი. მაშასადამე, სანამ საქმეს შევუდგები დავნაყრდეთ“, თქვა სატანამ და მსახურის მიერ მიწოდებული წითელი ღვინით სავსე ჯიხვის რქა დაცალა.

„კარგია!“ თქვა სატანამ.

„პაპაჩემ სვიმონის არის, ერთი გალონი ღვინო ჩადის“, განმარტა ალფრედმა.

„ძალიან კარგი“, თქვა ისევ სატანამ და მრგვალ მაგიდასთან მოკალათდა.

„ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. მალე გვარამ ჩოფიკაც შემუერთდათ.

„რა გადაწყვიტეთ?“ ჰკითხა ლუციფერმა გვარამს და რამდენიმე მოზრდილი კალმახი გადაიღო ლანგრიდან.

„ძალიან ნერვიულობს. ახლა კი დანგობერთების დედაქალაქში გაემგზავრა“, თქვა გვარამმა.

„დიდხანს ნუ გაჩერდება იქ, რადგან „დევდორაკის მყინვარი“ ძალიან სახიფათოთ ჰკიდია, შეიძლება მოწყდეს და მაგ ქალაქს დაჰკრას“, თქვა სატანამ.

„ხვალვე შევატყობინებ“, თქვა გვარამმა და თავი დახარა.

ყველა გემრიელად ვახშმობდნენ, მცირე ხნის შემდეგ სატანა ფეხზე წამოდგა, ღვინით სავსე ვერცხლის თასი აღმართა და თქვა:

„ჩვენი დიდი მეუფის იეჰოვას სადღეგრძელო იყოს. მის ხელში ვართ ყველანი. მოდით, დღეს მის შესახებ ვისაუბროთ

და შემდეგ კი შეძლებისდაგვარად დედამიწის მოსახლეობასაც მივაწოდოთ ის რასაც გეტყვით“.

სატანამ თასი დაცალა, ჩანგლით ეჩმიაძინის ტოლმას დაწვდა და დაჯდა. ყველამ მას მიბაძა. დრო ნელა გაიწელა, სითბო და სიმყუდროვე დაგუბდა დარბაზში. მსახურები ფეხაკრეფით მიმოდიოდნენ, საინებს ცვლიდნენ, ღვინის თასებს ავსებდნენ.

ბოლოს სატანამ მოგიზგიზე ბუხრის წინ ჯირკზე გადაინაცვლა და საუბარი დაიწყო:

„დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა მორწმუნეა და ღმერთის სწამთ, ძალიან ცოტაა ხალხი ვისაც სასწაულების არ სჯერა, მაგრამ თუ ვინ არის ღმერთი და როგორ გამოიყურება იგი არ აქვთ გათვითცნობიერებული. უფრო მეტიც, მათ თითქოს არც კი უნდათ გაიგონ სიმართლე და ამაში ქრისტიანი მკვლევარები ყველაფერში მე მადანაშაულებენ. გამოდის, რომ ყველა ერები, რომლებიც გამოცხადებაში არიან აღნიშნულები ჩემს მიერ მოტყუებულები არიან: ბიბლიაში წერია:

„გადმოგდებულ იქნა! დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო“ (გამოცხადება 12:9).

დავიწყოთ იქიდან, რომ მე არავინ არ მომიტყუებია, როდესაც უფალმა ადამი და ევა შექმნა, მათ თავისი სახე, თავისი ანარეკლი მისცა (გამოცხადება 1:27). მერე განდევნა ისინი ბაღიდან, მაგრამ უფალს ადამიანებთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. თაობიდან თაობაში უფლის ურთიერთობა ადამიანებთან გრძელდებოდა და გრძელდება.

აბელს უფალი იესოს პირით უწოდებს „მართალი აბელი“.

ენოქს უფალთან სიარულის უფლება აქვს, შემდეგ კი მეგატრონი გახდა.

უფალი საუბრობს ნოესთან და მისცა კიდევაც მას კიდობნის მშენებლობის პროექტი.

მეფე ნომროდმა უფლის გამოწვევაც კი სცადა. უნდოდა მასთან საუბარი.

უნდა ითქვას, რომ პირველ ხალხს ღმერთი პირდაპირ ელაპარაკებოდა ერთი-ერთზე, ადამს, ევას, აბრამს, მოსეს და სხვებს.

უფალი წინასწარმეტყველებების საშუალებით აძლევს ხალხს ინფორმაციას, აქვს მათთან კონტაქტი.

მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც ძალიან ბუნდოვანი წარმო-

დგენა ჰქონდა უფალზე, ვერ წარმოედგინა იგი ფიზიკურად. უფრო მის შემოქმედებას უყურებდა, ვიდრე შემოქმედს. „პატივს მიაგებდა და წმინდა მსახურებას უსრულებდა ქმნილებას, შემოქმედის ნაცვლად“ (რომაელებს 1:25).

დღეს, ამ კრიტიკულ დროსაც კი, როდესაც მილიონობით ადამიანი რელიგიურ-ეთნიკური შეტაკებების მსხვერპლია და შველას მხოლოდ უფალში ხედავენ და თუ შეეკითხები, რომელიმე გაუბედურებულს:

„ღმერთის გწამს?“ იგი გიპასუხებს:

„დიახ მწამს, რომ ღმერთი არის პირველი მიზეზი ყველაფრისა“.

მაგრამ ვერავინ იტყვის თუ როგორ გამოიყურება იგი. ღმერთი არ არის მათთვის რეალური ქმნილება“, თქვა ლუციფერმა, ჯირკიდან წამოდგა, მომცრო მაგიდას მიუახლოვდა და რამდენიმე დიდი დოუნათი და „მცხეთის ღვეზელი“ აიღო.

„გემრიელი დოუნათია, სად გამოაცხვეთ?“ იკითხა ლუციფერმა.

„რესტორან „კავკასიის თვალის“ საცხობიდან ამოვიტანეთ“, მიუგო გახარებულმა ბარი რიჩარდსმა.

„კარგი არჩევანია“, შეაქო ბარი ლუციფერმა და გააგრძელა თხრობა:

„ის, რომ ადამიანებს უფალი ჯეროვნად ვერ წამოედგინათ, ეს მათი ბრალი არ არის. ეს უფლის შეცნობის პროცესია. ეს ხალხის მასწავლებლების მოვალეობაა. ისინი უნდა იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე და თავისი საქმის მოყვარულები. თუ მასწავლებელი არასწორ ინფორმაციას აძლევს ადამიანებს, უფლის შეცნობის საკითხი განუსაზღვრელი ვადით იდება ხოლმე და ამიტომ ვიღებთ პარადოქსალურ სიტუაციას. ხალხმა დღემდე წესიერად არ იცის, ვინ არის და რისგან შესდგება ჩვენი შემოქმედი. მისი სახით როგორ ფენომენთან აქვს საქმე.

ქრისტიანები ამტკიცებენ, რომ ღმერთი და იესო ერთი და იგივეა, რომ კაცობრიობა შეიქმნა 6000 ათასი წლის წინათ. მიუხედავად ამისა, 4000 წლის შემდეგ მხოლოდ 120 ადამიანს სჯეროდა, რასაც იესო უფალზე ამბობდა. აბა, გავიხსენოთ:

„იმ დროს წამოდგა პეტრე ძმებს შორის (იქნებოდა სულ 120-მდე კაცი) და თქვა... (მოციქულთა საქმეები 1:15).

შემდეგ 120 კაციდან ქრისტეს მიმდევრებნი 2 მილიარდამდე გაიზარდნენ, მაგრამ მაინც არ იცოდნენ თუ როგორ გამოიყურებოდა უფალი.

იეჰოვა ღმერთმა შექმნა ყველაფერი, სამყარო, ვარსკვლავები, გალაქტიკები, კოსმოსი, მიწა, ადამიანი, ყველაფერი დედამიწაზე. ღმერთი შემოქმედია, იგი არქიტექტორია, დიზაინერია, მოქანდაკეა. მან შექმნა სიცოცხლე. იგი გამცემია და არა მიმღები.

მაგრამ თავად როგორ გამოიყურება იგი? ვინ არის იგი? ჰყავს მშობლები? ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის, ან თუ იციან აქვთ მწირი ცოდნა.

ზოგი ფიქრობს, რომ უფალი არის ე. წ. კეთილი საწყისი, რომელშიც მოთავსებულია ყველა ინდივიდუმი დედამიწაზე.

ზოგი ფიქრობს, რომ ღმერთი არის კერპი, რომელიც შექმნილია ოქროსგან, ვერცხლისგან, მოჩუქურთმებული წითელი ხისგან ან რაიმე იშვიათი სხვა მასალისგან.

ებრაელები სანამ მათი ლიდერი მოსე უფალს ესაუბრებოდა, ფიქრობდნენ, რომ უფალი ჰგავს ოქროს ხბოს და დაამზადეს კიდევაც მისი გამოსახულება, რამაც მოსეს რისხვა გამოიწვია.

ზოგი ფიქრობს, რომ უფალი არის უმაღლესი ინდივიდი.

ზოგი ფიქრობს, რომ იგი არის სული.

ქრისტიანული მსოფლმხედველობა ამტკიცებს ღმერთის გაგებას სამებაში. ანუ სამი ინდივიდის ერთობლიობაში. მამა, შვილი და სული წმინდა ერთად არიან გაერთიანებულები და ეს არის ჩვენი უფალი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიაში სამება მოხსენიებული არ არის. ასევე ბიბლია არ ასწავლის სამების დოქტრინას, მაგრამ ამის შესახებ კიდევ ვიტყვი მოგვიანებით“, თქვა ლუციფერმა და ოქროსფერი თმები მხრებს უკან გადაიყარა.

„მაგრამ მოდით ახლა წავიდეთ ყველაზე ადრეულ დროში და ვნახოთ წყარო, სადაც ღმერთი პირველად არს მოხსენიებული. ზოგი ექსპერტი იტყვის, რომ ეს არის დაბადება 1:1, მაგრამ როგორც სჩანს უფრო ადრე ეს იოანემ გამოხატა შემდეგნაირად:

„დასაწყისში იყო „სიტყვა“. სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის (სიტყვა) დასაწყისში ღმერთთან იყო. ყველაფერი მისი მონაწილეობით მოხდა. მის გარეშე არაფერი გაჩენილა. მისი მონაწილეობით გაჩნდა სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა სინათლე“ (იოანე 1:1-4).

მალე სიტყვა ხორცად იქცევა.

„...ამრიგად, სიტყვა ხორცი გახდა...“ (იოანე 1:14).

„ღმერთი სულია“ (იოანე 4:24), სული კი უხილავია.

მაშასადამე, იოანეს მიხედვით ჯერ იყო სიტყვა, სიტყვა ჯერ არ იყო ღმერთი. სიტყვა მერე გახდა ღმერთი. აიღო ხორცი, გახდა სული. გახდა პიროვნება.

რატომ არ არის უფალი რეალური არსება მრავალი ადამიანი-სათვის?

იმიტომ, რომ ღმერთი სულია (იოანე 4:24).

...იგი (იესო) უხილავი ღვთის ანარეკლია. (კოლოსელები 1:15) ე. ი. ღმერთი უხილავია.

მიუხედავად ამისა, რომ ღმერთი უხილავია და სულია, მას აქვს ფორმა და გამოსახულება.

როგორია უფლის ფორმა და გამოსახულება?

დაბადების პირველი თვის 26 პარაგრაფში ითქვა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი ჩვენს ანარეკლად, ჩვენს მსგავსად“ (დაბადება 1:26).

ჩვენ ვიცით ადამიანის ფორმა და გამოსახულება. მსგავსი გამოსახულება უნდა ჰქონდეს უფალსაც.

„ახლა კიდევ ერთ რამეს გეტყვით“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ბიბლიის მრავალ ადგილას ჩვენ ვკითხულობთ ინფორმა-ციას, საიდანაც ირკვევა, რომ უფალს აქვს სახე, თვალები, ცხვირი, პირი, ყურები. მას აქვს თმა და აქვს თავი, ასევე აღმოჩნდა, რომ ღმერთს აქვს ხელები და ფეხები. აქვს მკლავები და თითები!

არც ერთ ცხოველს, ფრინველს, ჩიტს, მწერს არ აქვს ხელის მტევნები ადამიანის მსგავსად. თუ რომელიმე არსებას ექნება ადამიანის მსგავსი გონება, ხელებისა და თითებიოს გარეშე თავის ჩანაფიქრს ხორცს ვერ შეასხამს.

ღმერთს აქვს თავი, ფეხები და ტანი. ღმერთს აქვს გონება. ცხოველებს აქვთ ტვინი, მაგრამ არა ისეთი ძლიერი, როგორც ადამიანებს აქვთ.

რაც შეეხება სექსს. აქვს თუ არა უფალს სექსუალური ორგანოები, ეს საკითხი ძალიან ღრმა არის. ერთი ხელის მოსმით ვერ იტყვი. რადგან უფალი ყველაფრის საწყისია და მათ შორის სექსისაც.

ასე რომ თუ შენ იცი, როგორ გამოიყურება ადამიანი, იცი თუ როგორ გამოიყურება ღმერთი. იესოს ერთ-ერთი მოწაფის

შეკითხვაზე, თუ როგორ გამოიყურება მამა-ღმერთი, იესომ უპასუხა:

„ფილიპე, ამდენი ხანია თქვენთან ვარ და აქამდე ვერ გამიცანი? ვინც მე მიხილა, მამაც იხილა“ (იოანე 14:9).

იესო ჰგავდა მამას. იესო იყო უფლის შვილი, მის საყვარელი შვილი.

როგორ გამოიყურებოდა თავად იესო?

იესო იყო ერთ-ერთი ადამიანის მაგვარი. იგი იმდენად ჰგავდა ებრაელს, რომ სინჰედრონის თავკაცებს ქრთამის მიცემა დასჭირდათ იუდეისათვის, რათა მას ეჩვენებინა სადამსჯელო რაზმისთვის, რომელი იყო იესო მრავალ ებრაელ მოქალაქეს შორის.

ახლა პატარა შეჯამებასავით გავაკეთოთ და ვთქვათ რომ ჩვენი უფალი არის ფენომენი რომელიც თვითონ აწარმოებს თავისთავს, თავად მრავლდება თუმცა უამრავი ცოლიც ყავს, თვითონ ეძებს თავისთავს თუმცა უამრავი გამომძიებელი ანგელოზი ჰყავს, თავად პოულობს თავისთავს, თავად არის თავისი თავის მამა, დედა, ძმა, და, ქმარი, შვილი. ამ უკიდეგანო ფენომენის წიაღში ყველაფერი მუდმივი ძალის არის და ყველაფერი არეკლილია ადამიანის გონებაში. ადამიანს შეუძლია უფლის შეცნობა შემეცნებით, გამოხატოს იგი ენით და მეცნიერულად დაასაბუთოს,“ განაცხადა ლუციფერმა.

ამრიგად, ჩვენ უკვე ვიცით, რომ უფალს აქვს ადამიანის ზოგიერთი ფორმა და მოხაზულობა, ამავე დროს მას აქვს მსგავსება იესოსთან, ჩემთან და სხვა ანგელოზებთან“, თქვა ლუციფერმა.

„ახლა ორიოდ სიტყვა ანგელოზებზე ვთქვათ,“ შენიშნა ლუციფერმა და გააგრძელა:

„მინდა ყველამ იცოდეს, რომ უფალმა პირველად ანგელოზები შექმნა. ისინი თავის ანარეკლად და მსგავსად შეიქმნა და ეს მნიშვნელოვანია.

შემდეგ შექმნა მან დედამიწა, ვარსკვლავები, გალაქტიკები და ყველა დანარჩენი. ღმერთი თავად აღნიშნავს, რომ როდესაც მან დედამიწა შექმნა, ყველა ანგელოზს ფრიად გაუხარდათ (იობი 38:7).

მაშასადამე, უფალმა ჯერ ანგელოზები შექმნა, და შემდეგ კი ყოველგვარი სახის შენაერთები, მაგრამ მოდით ისევ ჩვენს

შემოქმედს დავუბრუნდეთ. ჩვენ გავარკვიეთ, რომ უფალს ადამიანისა და ანგელოზის ფორმა და მოხაზულობა აქვს. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ იგი შესდგება სულისაგან და ისეთი ნივთიერებებისაგან, რომლისგანაც ადამიანი შესდგება. ამავე დროს უფლის სული უხილავია მანამ სანამ იგი სპეციალურად ხილულად არ გამოეცხადება ადამიანს.

რა შეგვიძლია ვთქვათ ღმერთის ხასიათზე? ესეც ძალიან მნიშველოვანი გარემოებაა და იგი ერთი სიტყვით შეგვიძლია გამოვხატოთ, უფალი „აბსოლუტური სრულყოფილებაა“, იგი ლიდერია სიყვარულშიც და სიძულვილშიც. ეს მისი მოვალეობაა.

ასე გამოიყურება და ასეთი ხასიათისაა ჩვენი დიდი უფალი და ეს ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ „დიდი უბედურებების“ პერიოდში, რომელიც დამღუპველია როგორც კაცობრიობისათვის ისე საანგელოზოსათვის.

„ახლა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ“, თქვა სატანამ და ბუხრიდან ისევ მრგვალ მაგიდაზე გადაინაცვლა.

„ვისაც ვახშმობის სურვილი გაქვთ და პროდუქტების მიღება შეგიძლიათ ივახშმეთ, მე ნუ მიყურებთ. მე შემიძლია ვჭამო და არც ვჭამო, ისე მოვიქცე, როგორც ვითარება მოითხოვს, მაგრამ ასეთ კალმახებზე უარის თქმა არ შეიძლება“, თქვა ლუციფერმა და რამდენიმე მთის კალმახი გადაიღო და ვერცხლის თასი კი წითელი ღვინით შეივსო.

რამდენიმე მოციქული არ ჭამდა. ისინი ცოცხლები არ იყვნენ, მათ საჭმელი არ სჭირდებოდათ, რადგან ეთერით საზრდოობდნენ, მაგრამ სხვები მაგიდას მიუსხდნენ, ცხვრის ნეკნები, ახლად შემოტანილი ჩაქაფული და „ჯიმლა“ პიცა გასინჯეს.

„ბევრი ბიბლიის მკვლევარი და მეცნიერი საუბრობს და ასევე ბევრს ძალიან აინტერესებს თუ რა ურთიერთობა მაქვს მე ლუციფერს იესოსთან. რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს ჩვენ ერთმანეთისაგან“, თქვა ლუციფერმა.

„ამის შესახებ ვისაც არ ეზარება ყველა საუბრობს, ჩემს გარდა“, გაიღიმა ლუციფერმა და გააგრძელა:

„მოვიდა დრო, რომ ჩემს თავზე მე ვილაპარაკო. აბა ვინ იტყვის ჩემს თავზე ჩემზე უკეთესად? რაც დრო გავა სპეკულაცია ამ თემაზე მოიმატებს, რაც ფრიად ბუნებრივია, რადგან ჩვენ მე და იოსე ყველაზე გავლენიანი ფიგურები ვართ დედამიწაზე.

ზოგიერთი ქრისტეს მომხრე მკვლევარი ისე შორს წავიდა, რომ განაცხადა, თითქოს მე საერთოდ არავითარი ურთიერთობა არ მაქვს უფალთან, მამაჩემთან, რომ მე არ ვარ მისი შვილი ან მისი ქმნილება. მათ დაავიწყდათ თუ რა თქვა ღმერთმა ისაიას პირით:

„მე ვქმენი სინათლეს და სიბნელეს
მომაქვს მშვიდობა და უბედურება
მე იეჰოვა ვაკეთებ ყოველივე ამას“ (ესაია 45:7)

ამის გამო მე იძულებული ვარ ზოგიერთი საკითხი განვმარტო:

„ღმერთი არის მუდმივი არსება, რომელიც არსებობდა ყოველვის. უფალს ჰყავდა მრავალი ცოლი. მათ მისცეს სიცოცხლე ანგელოზთა მთელ თაობებს. თქვენ იცით თუ რა კონტაქტები აქვთ ანგელოზებს დედამიწასთან, რაც ასე დაწვრილებით არის აღწერილი „ალფრედ ნავიგატორის ჟურნალში“. მე ლუციფერი საზეიომოდ ვაცხადებ, რომ სანამ უფალი შექმნიდა მიწას და სხვა ციურ სხეულებს, ე. ი. „დიდი დარტყმის“ წინ, იგი უფალი თავის ჰარემთან, ცოლებთან და თავის სპირიტულ ბავშვებთან და ანგელოზებთან ერთად ცხოვრობდა ზეცაში. ციური ზეცა არ არის ერთი. იგი 7-9 ზეცისგან შესდგება და ამის შესახებ თუ ვინ ცხოვრობს ამ ზეცაში დაწვრილებით საუბრობს ალფრედ ნავიგატორი თავის სხვა წიგნში „სატანას წარმოშობა და მისია“.

მე და იესო ვართ სულიერი ძმები. უფალს ყავდა და ყავს ორი გამორჩეული შვილი. ერთი მე ვარ, დედამიწის გუბერნატორი და მეორეა იესო, რომელმაც მოგვიანებით მესიის (ქრისტეს) ტიტული აიღო.

ციური დეკრეტით, პერსპექტივისა და პოტენციის მიხედ-ვით უფლის ყველა შვილს შეუძლია გაიაროს ტესტი და გახდეს ღმერთი. ზეციურ დეკრეტში, რომელიც მოკვდავებისათვის მიუწვდომელია წერია:

„უფლის ყველა შვილს შეუძლია გაიაროს ზეციური ტესტი, გახდეს პრეტენდენტი ღმერთის ტახტისა და საბოლოოდ გახდეს ღმერთი“.

უფალი არ არის შესაცვლელადი. ამავე დროს უფლის შვილი არ არის შეუცვლელი. ისინი უკვდავები არიან.

„იმ შემთხვევაში თუ უფლის რომელიმე შვილი წარმატებით გაივლის ტესტს-გამოცდას და გახდება უფლის ტახტის პრეტენ-

დენტი ამ შემთხვევაში სად მიდის მამა ღმერთი?“ დასვა კითხვა ლუციფერმა.

„იგი არსად არ მიდის. იგი არ კვდება. ტახტის პრეტენდენტი შვილი ერწყმის მამა ღმერთს და მამა-შვილი ხდებიან ერთი მთლიანი. სწორედ ეს არის ქრისტიანობის საბაზისო რწმენა. მხოლოდ მათ ლიმიტირება გაუკეთეს ასოცირებულ წევრებს სამამდე: ერთი ღმერთი, ერთი შვილი და ერთი წმინდა სული. სამი სუბსტანცია ერთში. ეს არის ქრისტიანობის ქვაკუთხედი და ეს შეხედულება ძალიან მოსახერხებელია მათთვის“.

„მაშასადამე, შვილი იჭრება მამა ღმერთში“, კვლავ ხაზი გაუსვა ლუციფერმა და იქმნება ერთიანი კავშირი ახალი, უფრო სრულყოფილი და უფრო ახალგაზრდა ღმერთისა, ახალი იეჰოვასი. ამის შემდეგ აღიზრდება ღმერთის ახალი პრეტენ-დენტი შვილი. თუ მანაც წარმატებით გაიარა ციური გამოცდა, მაშინ ისიც ერწყმის მამა ღმერთს. ეს ღვთიური პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ. ამავე დროს გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ღმერთი ყოველთვის ახალგაზრდა უნდა იყოს. ღმერთს ერთი ჭაღარა რომ გამოერიოს, იგი მაშინვე შეიცვლება. ასე რომ ქრისტიანობის მიერ გამოსახული თეთრწვცერა მოხუცი ღმერთი ფიქციაა. მოხუცებს სამყარის მართვა არ შეუძლიათ. სამყაროს მართავდა და მართავს ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა ღმერთი.

თითქმის იგივე ცვლილებების პროცესი ხორციელდება უფლის მრავალრიცხოვან ცოლებს შორის. ისინი ძალიან დაკა-ვებულები და საქმიანები არიან. ამავე დროს მათი მოვალეობაა ყოველთვის ახალგაზრდები და ლამაზები იყვნენ. მათ ყოველ-თვის უნდა გაიახალგაზრდავონ თავი. ქალიშვილი პრეტენდენტი ანგელოზების თვითშერწყმის გზით.

ზოგჯერ სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უფლის ქალი-შვილებს და ვაჟიშვილებს სქესი არ აქვთ. ეს ნაწილობრივ მართალია. ანგელოზები ორსქესიანები ანუ ანდრონინესები არიან, მაგრამ როგორც უფალი გადაწყვეტს მათ შეუძლიათ იყვნენ როგორც ქალები, ისე კაცები.

უფლის ყველა შვილი როდი გადის ტექსტს და ერწყმება უფალს. ვინც ტესტს ვერ გადის რჩება ანგელოზად. ტესტ-გამოცდას მხოლოდ რჩეული შვილი გადის.

მაშასადამე, ზეციური გამოცდა ყველასათვის სავალდებულოა.

ეს უფლის ბრძანებით ხდება და მოითხოვს სრულ განწმენდას და ნეგატიური პროდუქტებისაგან განთავისუფლებას.

მე უფროსი ვარ. ჩემი დედა არის შეკინაჰი, უფლის ყველაზე წარჩინებული და მაღლა მდგომი ცოლი, ქალღმერთის ტიტულის მატარებელი ზეციური არსება. მამაჩემი არის უფალი. მე ღმერთის შვილი ვარ. მე ვარ ყველაზე უმაღლესი არსება, რომელიც ოდესმე ყოფილა უფლის ახლო წრეში და უფლის ზეციურ სათათბიროში.

იესოს მამა არის უფალი, ისეთივე როგორც დედა არ არის უფლის ცოლი. იგი არის უფლის ქალიშვილი მარიამი, იგი ადამიანია და მოკვდავია. მაგრამ იესოს ორი მამა ჰყავს: ზეციური და მიწიერი, ამიტომ იესო პირველია ადამიანებს შორის.

იგი პირველდაბადებული და პირველი ნაყოფია ზეციური ქმნილებების შემდეგ. იგი არის მხოლოდ უფლის ერთადერთი „უსაყვარლესი შვილი“ მოკვდავი მეუღლისაგან.

მაშასადამე, იესო არის პროდუქტი, უფლის ზეციური ძალებისა დ ქალწული მარიამისა, რომელიც ადამიანი იყო.

იესო არის ზეციური მამის შვილი სხეულით და სულით, იგი არის 50 პროცენტი ღმერთი და 50 პროცენტი ადამიანი“.

„მე ვარ“, კვლავ ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ასი პროცენტი ღმერთის შვილი, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან და ამავე დროს შემიძლია ვიყო ანდროიდი. შემიძლია ვიყო ას პროცენტიანი ადამიანიც, როგორც ქალი, ისე კაცი, როგორც ეს ანგელოზების ბუნებას შეეფერება. ამავე დროს შემიძლია ვიყო ასი პროცენტი ღმერთი თუ უფლის ტესტს გავივლი.

მე უფროსი ვარ, მე უფლის პირველი დაბადებული შვილი ვარ. ამრიგად, თუ იესო დედა მარიამი არის, უფლის ქალიშვილი და ცოლი, ეს ნიშნავს იმას, რომ იესო დედის მხრიდან არის ადამიანი და ამიტომაც დაიბადა დედის მუცლიდან და მე-8 დღეს როგორც ჭეშმარიტ ებრაელ ბავშვს შეეფერება ჩაუტარდა საზეიმო წინდაცვეთა, როგორც კაცს. ე. ი. როგორც ადამიანი იესო იყო კაცი და ჰქონდა სქესი. ხოლო ღვთიურ არსებებს სქესი არა აქვს.

მამის მხრიდან იესო იყო ღმერთი და იყო ორსქესიანი. სანამ დედამიწაზე თავის ცნობილ მისიას ასრულებდა, იესო იყო მამაკაცი და მრავალი ქალის, მათ შორის მარიამ მაგდალინე-

ლის დაინტერესებას იწვევდა, როდესაც იგი ზეცაში აღავლინა იგი უსქესო ან ორსქესიანი გახდა.

მე მამის მხრიდან ვარ „უფლისწული“. დედაჩემი ქალღმერთი შეკინაჰი არის უფლის პირველი ციური ცოლი. როგორც სარა იყო აბრამის პირველი ცოლი, ისე იყო დედაჩემი შეკინაჰი უფლის პირველი ცოლი. დედაჩემი შეკინაჰი უკვდავია. ეს იმას ნიშნავს, რომ მე როგორც დედის, ისევე როგორც მამის მხრიდან 100 პროცენტიანი უფლის უკვდავი ჩამომავალი ვარ. ჩემი მოკვლა შეუძლებელია და თუ წარმატებით გავივლი „ზეციურ ტესტს“ მე შემიძლია გავხდე უფლის ზეციური ტახტის პირველი პრეტენდენტი.

იესოს არ აქვს უფლება გაიაროს „ზეციური ტესტი“, რადგან იგი ნახევრად მოკვდავია. მაგრამ მან შეიძლება მიიღოს ეს უფლება, რადგან ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით თუ რა შედეგებით დასრულდება მისი მე-2 მოსვლა დედამიწაზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იგი უფლის ტახტის №1 პრეტენდენტი ვერ გახდება.

ასე რომ დღეს ჩემს წინ არავინ არ არის. არავის ისე არ დაუმსახურებია გახდეს ღმერთი, როგორც მე და სწორედ ამიტომ ვთქვი უკვდავი სიტყვები:

„...ავალ ღვთის ვარსკვლავების ზემოთ, დავიდგამ ტახტს, დავჯდები შეხვედრის მთაზე, შორეულ ჩრდილოეთში... უზენაესს დავემსგავსები“ (ესაია 14:13-14).

იმ ღამეს კიდევ დიდხანს საუბრობდა ლუციფერი უფალზე, იესოზე, თავის თავზე და სამყაროს ამ სამი ყველაზე გამოჩენილი ქმნილების ურთიერთობაზე. ეს იყო ალფრედ ნავიგატორის სახლში მოწყობილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი შეხვედრა. ბევრი რამ ნათელი გახდა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან დიდი განსაცდელი ახლოვდებოდა და ამ დროს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედტრა მოხდა კავკასიონის მთის გრეხილებში, ლუციფერის საზაფხულო რეზიდენცია „პანამირანიუმის“ მახლობლად, კავკასიის მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ-სითიში, რომელსაც ახლა სან-სტეფანო ჰქვია.

საყვარელი ქალაქი

„რომელია თქვენი საყვარელი ქალაქი?“ ჰკითხა ერთხელ ალფრედ ნავიგატორმა სატანას.

„საინტერესო კითხვაა ალფრედ, მაგრამ ჯერ შენ მითხარი თუ რას აკეთებდი იქ?“ თავის მხრივ შეუბრუნა კითხვა სატანამ, როდესაც გაიგო, რომ ალფრედი ახლახან დაბრუნდა სინგაპურიდან.

„კეთილი! სინგაპურში ვსწავლობდი გამოცდილებას თუ როგორ დაასამარო შედარებით ბევრი ადამიანი, შედარებით მცირე ადგილზე“, უპასუხა ალფრედმა.

„კარგი და ფრიად აქტუალური საკითხია“, წამოიძახა კმაყოფილმა სატანამ.

„სინგაპურელებმა სასაფლაოების მაგივრად უკვე გამოიგონეს მრავალსართულიანი დეპოზიტორი, ორმელსაც „კოლანბარიუმი“ ჰქვია. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ფრიად მაღალია“, აღნიშნა ალფრედმა.

„სინგაპურის ჩინური მოსახლეობა ძალიან ნიჭიერი ხალხია. მათი გამოცდილება ძალიან გამოგვადგება დღეს, ე. წ. „დიდი უბედურებების“ შვიდწლიანი პერიოდის დროს, როდესაც ჩვენი უძლეველი და სათნო უფლის ინიციატივით ყოველ დღე მილიონობით ადამიანი გველუპება. გარდაცვლილთა გვამების ეფექტური და ამავე დროს ჰუმანური უტილიზაციის სინგაპურულ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოდი დავუბრუნდეთ შენს კითხვას, თუ რომელია ჩემი საყვარელი ქალაქი. მე შენ სწორად გაგიგე, ალფრედ?“

„დიახ, ჩვენო უძლეველობავ!“ იყო პასუხი.

„ყოველ ცნობისმოყვარე ადამიანს, რომელსაც აინტერესებს ჩვენი პლანეტის წარსული, სურს იცოდეს თუ რომელია ჩემი საყვარელი ქალაქები. დღეს მე მოგიყვები ამ საკითხის შესახებ.

როდესაც დედამიწის გუბერნატორი გავხდი თავდაპირველად ვცხოვრობდფი სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქებში, ერიდუში და ქიშში. იმ დროს მე კოორდინაციას ვუწევდი ექსტრატერესტრიული ცივილიზაციების წარმომადგენლების საქმიანობას დედამიწაზე. ამ ქალაქებში განლაგებული იყო დედამიწის ციური ადმინისტრაციები. ეს იყო დიდი ტრანსფორმაციების დრო და მე და ჩემი დამხმარეები ძალიან მაგრად ვმუშაობდით. ერიდუ და ქიშში იყო ჩემი პირველი საყვარელი ქალაქები.

ე. წ. „ყბადაღებული წარღვნის“ შემდეგ ყველანი დიდ გაჭირვებაში ჩავვარდით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში „ჰომო საფიენსები“ აღმოჩნდნენ, მაგრამ არც ჩვენ ანგელოზები და უცხოპლანეტელები ნაკლებ გაჭირვებაში არ აღმოვჩნდით. დიდი ფიქრის შემდეგ მე აღმოსავლეთით წავედი და დავსახლდი მდინარე ინდუს ველზე, რომლიც ხუთი მილიონი „ჰომო საფიენსის“ სამშობლო იყო. მათთან დიდხანს ვცხოვრობდი. იმ დროის თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ, რომ ინდუს ველის მაცხოვრებლებს მაღალი ცოდნა ჰქონიათ მათემატიკაში და ფლობდნენ წონებისა და ზომების რთულ სისტემებს. მათ განავითარეს დამწერლობის წესები და სტრუქტურები, რომლებიც შესაძლებელია უფრო ძველია, ვიდრე შუმერული დამწერლობა. არქეოლოგებმა ნახეს მუსიკალური ინსტრუმენტების, ბავშვების სათამაშოების, ჭკუამახვილი თამაშობებისა და მექოთნეობის ნიმუშების ექპოტანები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქირურგიული ინსტრუმენტების კომპლექტში. ამ საქმეებში ჩემი წილი ძალიან დიდი იყო.

მე მიყვარდა ინდუს ველი. იქ ძალიან ნიჭიერი ჰუმანოიდები ცხოვრობდნენ. საცხოვრებლად ავირჩიე ქალაქი მოჰენჯო დარო (მკვდრების გორა), სადაც 40.000 ადამიანი ცხოვრობდა, თითქმის მუდმივად იქ ვიყავი. ქალაქის ტერიტორია დაახლოებით 300 ჰექტარზე იყო გადაჭიმული და ინდოეთის ცივილიზაციის ყველაზე დიდ ქალაქად ითვლებოდა.

ცხოვრების პირობები აქ ფრიად კომფორტაბელური იყო. ქალაქს ჰქონდა დიდი სახალხო აბანო, ცენტრალური სავაჭრო მოედანი და დიდი ფუნდამენტური ჭა. ბევრი სახლი ორსართულიანი იყო, ჰქონდა საკუთარი ცხელი აბანო და ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ეს არ იყო სულ. ზოგიერთ სახლს

ჰქონდა საკუთარი ტუალეტი, რომელიც მსოფლიოში პირველ საკანალიზაციო სისტემას უკავშირდებოდა. მოჰენჯო დარო იყო ადგილი, სადაც პირველად მოხდა ქათმების მოშინაურება და ცნობილი ინდაურების წარმოშობა. სწორედ აქ ჩაისახა ბევრ ქვეყანაში ცნობილი მამლების ბრძოლის ტრადიცია.

სარწყავი არხების კარგად განვითარებული სისტემები ხორბლისა და ქერის უხვ მოსავალსაც იძლეოდა, მაგრამ ეს გარემოება სამწუხაროდ ამბოხების მიზეზიც ხდებოდა. ეს ჰუმანოიდების თვისებაა. მაინც ეს კარგი დრო იყო და მე ინდუს ველის მოსახლეობის ერთ დიდ ჯგუფს, არიელებს განსაკუთრებით ვუჭერდი მხარს. მათ შორის ბევრი ჰიბრიდი იყო. მე მათ მართალ ცხოვრებას ვასწავლიდი. ჩემი საქმიანობით კმაყოფილი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ ეს კარგი დრო კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა და მოჰენჯო დარო იქნებოდა მაგალითი როგორც მსოფლიოს ყველაზე უფრო წარმატებული ქალაქისა, რომ ყველა ადამიანი დედამიწაზე ისე იცხოვრებდა, როგორც ამ აყვავებულ ქალაქში, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი კი იცინოდაო. საუბედუროდ მე საერთო ენა ვერ გამოვძებნე ჩვენს დიდი ბატონთან, ჩვენს სათნო და მიმტევებელ უფალთან, რომელმაც გადაწყვიტა ჩაეკლა სიცოცხლე მოჰენჯო დაროში და ამის გამო მე დავტოვე ეს მხარე და მესოპოტამიაში გადავედი“, თქვა სატანამ.

მოჰენჯო დაროს შემდეგ ჩემი საყვარელი საცხოვრებელი ქალაქი გახდა ბაბილონი. მალე ეს ქალაქი მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ქალაქად იქცა, რადგან მისი მოქალაქეები ყველაზე მდიდრები იყვნენ. მათ ღრმა შეიგნეს, რომ ფული არის ის რითაც ცხოვრებისეული წარმატება იზომება. მათ შეისწავლეს საიდუმლოებები და მეთოდები თუ როგორ იქნეს ფული მოპოვებული, როგორ იქნეს ფული დაცული და როგორ გაკეთდეს ფულისგან ფული.

ბაბილონში ცხოვრობდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფინანსისტები, თვით ნეფილიმებიც კი, რომლებიც დედამიწაზე პლანეტა ნიბირუდან გადმოსახლდნენ და ხელმძღვანელობდნენ ადამიანთა რასას, რომლებიც თავადვე შექმნეს, ვალი ჰქონდათ, ბაბილონელი ფინანსისტებისა. ბაბილონში შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. მმართველ კლასს, ნეფილიმებს ჰქონდათ პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ იმავე დროს ზოგიერთ

ჰუმანოიდ მოქალაქე ფინანსისტს ზეგავლენა ჰქონდათ ხელ-მძღვანელ კლასზე. სწორედ ეს იყო დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

ბაბილონი იყო მსოფლიოში ყველაზე უფრო განათლებული ქალაქი. იგი ასპროცენტიანი წერა-კითხვის მცოდნე ხალხით იყო დასახლებული. ბაბილონის მოქალაქე ვერ გახდებოდი, თუ წერა-კითხვასა და ფინანსური ცოდნის ტესტს ვერ ჩააბარებდი. ეს წესი ჩემი მოთხოვნით იქნა შემოღებული.

მე აქ ავაშენე მსოფლიოს პირველი აკვარიუმი, პლანეტა-რიუმი და უნივერსიტეტი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „ცოდნისა და სიბრძნის ტაძარი“. მის ფართე აუდიტორიებში სიბრძნე წარმოჩინდებოდა ვოლუნტარი მასწავლებლებისა და პროფესორების მიერ. ტაძარში დიდ დაინტერესებას იწვევდა ე.წ. ღია ფორუმზე მიმდინარე დისკუსიები და დებატები. ამ ადგილას ყველა ადამიანი თანაბარი იყო.

მუშაობით დაღლილი, მაგრამ კარგად განბანილი თავ-მდაბალი მონა უმაღლესი მატერიის საკითხებზე საუბრობდა და კამათობდა სამეფო სახლის პრინცებთან. აქ ისეთი გარემო იყო შექმნილი, რომ უმეცარი და ყოყოჩა ადამიანი ფეხს ვერ მოიკიდებდა. იგი თავად დატოვებდა ფორუმს.

ბაბილონში მე შევქმენი საზოგადოება, სადაც ყოველ ნიჭიერ მონას ჰქონდა შესაძლებლობა სავაჭრო გარიგება დაედო საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენლებთან, გამოესყიდა საკუთარი თავისუფლება და გამხდარიყო პატივცემული ვაჭარი.

პატივისცემის მთავარი კრიტერიუმი ბაბილონში იყო ფული, ცოდნა და არა რასიული წარმოშობა. სწორედ ბაბილონში დავაარსე მსოფლიოში პირველი ფინანსური სკოლა და საბანკო სისტემა, რომელსაც ასირიული წარმოშობის მოქალაქე ტიკილ-ტუნინურტა ხელმძღვანელობდა. ისევე როგორც დოქტორი ლოლა ხელმძღვანელობდა ჩემს მიერ დაარსებულ მსოფლიო-ში პირველ ჰოსპიტალს. თვით ნეფილიმები-გიგანტები ესწრე-ბოდნენ ჩემს ლექციებს ტაძრის უნივერსიტეტში და საფინანსო სკოლებში.

თავად მე ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი მარდუქის ტაძარში, სადაც აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი რჩეული კლასისა და ხალხის ქალდეელების განვითარება-განათლებაში. მე მოვამზადე და გავწვრთენი ბევრი განმანათლებელი. მათ

შორის დიდი მეფე ნაბუქოდონოსორი, მისი მამა, ნაბუპალასარი. ებრაული წარმოშობის ბაბილონელი წინასწარმეტყველებები ეზეკიელი, დანიელი, ეზრა და ბევრი სხვა“, თქვა სატანამ და მერე კი მწუხარე ხმით დასძინა:

„ყველასთვის სამწუხაროდ, ჩვენს უძლეველ და ყველაფრის შემნდობ უფალს სხვანაირი გეგმა ჰქონდა და მან მთლიანად გაანადგურა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და განათლებული ქალაქი“.

„უფლის შემოჭრის შემდგომ მე ასურეთს დედაქალაქ ნინევიაში გადავსახლდი, სადაც აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში დროის გარკვეული, პერიოდში, როგორც ბიბლიოთეკის ასისტენტი-დამხმარე ვმუშაობდი, შემდეგ კი მუშაობა დავიწყე დასავლეთ ირანში მდებარე გუნდიშაპურის აკადემიაში. ეს აკადემია დაარსდა სასანიდების იმპერიის დროს და იცავდა 400.000 ხელნაწერს.

ამის შემდეგ ცხოვრება და მოღვაწეობა გავაგრძელე ხეთების იმპერიის დედაქალაქ ჰატუსაში. ამ მაღალ მთებში მოთავსებულ კარგად დაცულ ქალაქში ძალიან მოწინავე არქივი იყო, სადაც ხეთების ყველა ტექსტი იყო შენახული. ამ ხალხს კარგი პერსპექტივა ჰქონდათ, რათა განათლების მაღალი დონისთვის მიეღწიათ. მაგრამ ხეთების იმპერიაში სომეხთა ძალიან ძლიერი ასიმილებური შეჭრა მოხდა. და ისინი მალევე გაქრნენ, თუმცა მათი სახელი შემორჩენილია ამ მხრეში: კოლხეთი, კახეთი, ჯავახეთი, ჯოჯოხეთი. დაბოლოება „ხეთი“ ან „ეთი“ ხეთებისგან მოდის.

რამდენიმე ხანს მე სომხებს ვიკვლევდი. ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მოვიდნენ და ებრაელების მსგავსად მეზობელი ხალხების კარგი ასიმილატორები იყვნენ. მათ ჰქონდათ ცოდნისადმი ღვთიური მიდრეკილება, რასაც თავის სასარგებლოდ მშვენივრად იყენებდნენ, ამავე დროს ღრმად აანალიზებდნენ მათ. სომხებმა უამრავი ზედაპირული ცოდნა მოაგროვეს. ამაში ისინი დიდად მონდომებულები იყვნენ, ახარისხებდნენ ცოდნას და მომავალი საუკუნეებისთვის იყენებდნენ. ამ ხალხს პრაქტიკული განსჭვრეტის დიდი უნარი ჰქონდათ. მე ვფიქრობდი, რომ სომხებს მომავალი ჰქონდა, თან ვურჩევდი უფრო დიდსულოვნები და მეზობელი ერებისთვის უფრო მეტად ყოფილიყვნენ სასარგებლონი. შეენელებინათ

ასიმილური მიდრეკილებები, რაც როდისმე კატასტროფით დასრულდებოდა. მათ სომხეთის დიდი იმპერიის შექმნაც კი მოახერხეს, რომელიც რამდენიმე საუკუნეს მსოფლიოს აზანზარებდა. ისინი პართიელებთან და რომაელებთან ქედმაღლურად რომ არ მოქცეულიყვნენ ყველაფერი კარგად იქნებოდა". მოულოდნელად სატანას სახე შეეცვალა, მცირე ხნით იგი ფიქრობდა, მერე კი მძიმედ დასძინა:

„მაგრამ იქ არაფერი საინტერესო არ მოხდა და გადავწყვიტე ადგილის გამოცვლა და საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ ჰერგამონში გადავედი".

„ხმელთაშუაღვის ეს ქალაქი იოანეს „გამოცხადების წიგნშია" მოხსენიებული და მთელი რიგი პარამეტრებით მნიშვნელოვანი ქალაქია. ბევრი მკვლევარი და საქმეში ჩახედული პირი ფიქრობს, რომ ეს 200.000 ბერძნების მიერ კლდოვან ადგილებში აშენებული ქალაქი ყველაზე ლამაზი და კომფორტაბელურია, მათ მიერ აშენებულ ქალაქებს შორის. შეიძლება ეს ასეა". თქვა სატანამ და გააგრძელა.

„პერგამონი იყო აკადემიური და ცოდნის მოყვარულთა ქალაქი. აქ უამრავი პროფესორი და სტუდენტი ცხოვრობდა. აქ დომინირებდა ცოდნისა და თავისუფალი ნების კულტი.

პერგამონის ყველა მოქალაქეს საკუთარი შეხედულებისა და სიტყვის უფლება ჰქონდა. მაგალითად, ბევრმა პერგამონელმა კარგად იცოდა, თუ რა როლს თამაშობდა ჰუმანოიდების ცხოვრებაში ნეფილიმები. ზოგიერთი მოქალაქე მათი წინააღმდეგი იყო, სხვები კი თავიანთ შეხედულებებში უფრო ზომიერები იყვნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკეთებდა მკაცრ განცხადებებს. ორივე მხარე ტოლერანტობას ინარჩუნებდა.

როგორც ყოველთვის სიტუაცია ქრისტიანებმა გააფუჭეს. პირველი ქრისტიანები ნიფილიმების კატეგიული მოწინააღმდეგენი იყვნენ. მათ განაცხადეს:

„ჩვენ არ ვიბრძვით სხეულისა და სისხლის წინააღმდეგ, მაგრამ კბილებითა და ფრჩხილებით ვეწინააღმდეგებით დიდგვაროვნებს, ძალაუფლებას, სიბნელის მმართველებს და სულიერ ბოროტებას, მაღალ ადგილებში" (ეფესელები 6:12).

„ჰერგამონში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქრისტიანთა ფრიად ზომიერი ჯგუფი. ამის გამო მახარებელი იოანე მკაცრად აკრიტიკებდა ადგილობრივ ქრისტიანებს ბოროტების

წინააღმდეგ არასაკმარისი ბრძოლისათვის. ერთ საღამოს იოანეს გაფრთხილება მივეცი, ვუთხარი ქალაქის დალაგებულ ცხოვრებას ნუ აბუნტებ-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მისთვის იესო, როგორც ახალგაზრდა ლიდერი უფრო ავტორიტეტული იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ვინმე და ამიტომ მე იგი მარტო დავტოვე“, თქვა სატანამ და გააგრძელა:

„ამავე დროს პერგამონი ჩემი ქალაქიც იყო. მე იქ ვცხოვ-რობდი. მქონდა საკურთხეველი და ტაძარი, სადაც კულტურა და განათლებაა იქ არის ჩემი ადგილი. პერგამონში დავაარსე განთქმული სამედიცინო ინსტიტუტი და ჰოსპიტალი, სადაც სიმბოლოდ დახველი გველი იყო. იგი დღესაც ჯანმრთელობის ღმერთის პოპულარული სიმბოლოა“, თქვა სატანამ აღტაცებით.

„პერგამონს ჰქონდა განთქმული ბიბლიოთეკა, რომელშიც პლუტარქეს ცნობით 200.000 ხელნაწერი ტექსტი ინახებოდა, მე ეს ზუსტად ვიცი, რადგან ყველა მათგანს ჩემს კაბინეტში გავეცანი, რომელიც ასევე ბიბლიოთეკაში იმყოფებოდა. პერგამონის ბიბლიოთეკას ძალიან კომფორტაბელური შენობა ჰქონდა. აქ ბევრი სამუშაო ოთახი იყო. ჰქონდა უამრავი თაროები და სივრცეები ჰაერის სამოძრაოდ. აქ ხელნაწერები კარგად იყვნენ დაცულები სინესტიდან.

თბილი კლიმატიდან და სინესტისაგან დასაცავად პერგამონში უძველესი დროიდან ცდილობდნენ ხელნაწერების დაცვას. ჰერგამონი იყო ადგილი, სადაც გამოიგონეს განთქმული პერჩმენტი, შესანიშნავი საწერი მასალა, რომელიც მზადდებოდა ცხვრის ტყავისაგან და არა პაპირუსისაგან. ტექსტი, რომელიც პერგამენტზე იწერებოდა იხვეოდა, და თაროზე ინახებოდა. ბიბლიოთეკის მთავარ სამკითხველო დარბაზში ათენას ქანდაკება იდგა, რომელიც სიბრძნისა და კეთილშობილების ქალღმერთი იყო. ბოლოს ეს შესანიშნავი ბიბლიოთეკა ადამიანების ვნებების მსხვერპლი შეიქმნა.

მარკუს ანტონიუსმა, ბრძენმა კაცმა, პოლიტიკოსმა და მეომარმა 200.000 ხელნაწერი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად ეგვიპტის დედოფალს კლეოპატრას აჩუქა. თითქოს დიდი არაფერი მომხდარა, ერთი დიადი ბერძნული ქალაქიდან ხელნაწრები გადაიტანეს მეორე დიად ბერძნულ ქალაქში. მაგრამ ეს იყო ანტონიუსის საქორწინო საჩუქარი პატარძლისათვის. ამავე დროს პატარძალი ჰიბრიდი იყო,

ნახევრად ბერძენი და ნახევრად ნეფილიმელი ანუ უცხო პლანეტური წარმოშობის. ამან დაასამარა პერგამონის ბიბლიოთეკა და დაასრულა მისი როგორც განათლების ცენტრის საქმიანობა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ამ პროცესში ჩართვა და პერგამონის ბიბლიოთეკის გადარჩენა, მაგრამ ასეთი აქტი წინააღმდეგობაში მოვიდოდა უფლის მიერ დადგენილ ადამიანის „თავისუფალი ნებისა და არჩევანის“ უფლების მიმართ. ასე რომ პერგამონის ბევრი პროფესორი და სტუდენტი, ასევე ყველა განათლების უბრალო მოყვარული სიბრძნის წყაროს გარეშე დარჩნენ. მათ შორის ვიყავი მეც და ეს იყო ძალიან მტკივნეული მომენტი ჩემს ბიოგრაფიაში“, აღნიშნა სატანამ.

„მოგვიანებით უფალმა თავისი მოსაზრების თანახმად მხარი დაუჭირა ოტომან თურქებს და მათ ლიდერს მეჰმედ მეორეს, რომელმაც დაიპყრო პერგამონი და კონსტანტინოპოლი. მეჰმედს კარგად ესმოდა თუ რა ტრადიციებს სტაცა ხელი. მან პერგამონის ბიბლიოთეკიდან ორი დიდი ალებასტრის ქოთანი სტამბოლის აია სოფიას ტაძარში წაიღო და იქ მოათავსა როგორც სიბრძნის ქვაკუთხედი. მაგრამ მანამდე მე უკვე დავტოვე პერგამონი.

იმის გამო, რომ ჩვენმა დიდმა, უძლეველმა და სათნო უფალმა პერგამონის სამეფო ნანგრევებად აქცია მე გავემართე ალექსანდრიაში, სადაც კვლავ შევქმენი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ბიბლიოთეკა, თავისი საცავებითა და სამკითხველო დარბაზებით. იქ თავმოყრილი იყო 400.000 ხელნაწერი. ჩემი ხალხი მთელს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, ასევე, სპარსეთში, ინდოეთში და ჩინეთშიც კი დადიოდნენ, რათა ჩამოეტანათ უნიკალური ხელნაწერები.

შეიძლება არ იცით, ამიტომ გეტყვით, რომ როდესაც 13 წლის იესო იერუსალიმში დაიკარგა და 17 წელიწადი გაუჩინარებული იყო, იგი აღმოსავლეთის ქვეყნებში ცხოვრობდა და მოგზაურობდა და მხოლოდ 30 წლის ასაკში დაბრუნდა სამშობლოში, სადაც სამი წლის შემდეგ ჯვარზე დაასრულა სიცოცხლე. სწორედ ჩემმა ემისრებმა წაიყვანეს სწავლას მოწყურებული იესო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც იგი დიდ სიბრძნეს ეზიარა. მათ შორის დაეუფლა ლევიტაციას, ანუ ზეცაში ასვლასა და ფრენის ხელოვნებას. ამ საგანში იესომ დიდ წარმატებას მიაღწია და კონკურენციას უწევდა ჩემს სხვა

მოწაფეს საიმონ მაგნუსს. სწორედ ჩემმა ქვეშევრდომებმა ასწავლეს იესოს ფრენის ხელოვნება ეს მოხდა ინდოეთის ქალაქ ჯაგერნაუთში, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფონდების შესავსებად მე კიდევ ერთი საშუალება გამოვნახე. ის ხომალდი, რომელიც ალექსანდრიის ნავთსადგურში ღუზის ჩაშვებას და ვაჭრობას აპირებდა, ვალდებული იყო განბაჟების საფასურში ერთი ხელნაწერი ტექსტი გადაეხადა.

საუბედუროდ ბევრ ჩვენს ქრისტიან ძმებს ტვინი გადაუბრუნდათ და განათლების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. მათი აზრით რაც უფრო გაუნათლებელი იყო ადამიანი, იგი მით უფრო იოლად ითვისებდა ქრისტიანულ სიბრძნეს. ამიტომ მათ როდესაც იხელთეს დრო და გადაწვეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რითაც აურაცხელი ზარალი მიაყენეს კაცობრიობას.

ასე რომ მე კვლავ უმუშევარი დავრჩი და წავედი რომში. იმ დროს რომის მფლობელი იყო აქანგელოზი ჰანიელი. მე მასთან გარიგება დავდე და ეს ქალაქი ჩემს დაქვემდებარებაში გადმოვიფორმე და საკმაო ხანს ვატიკანის ბიბლიოთეკაში ვმოღვაწობდი. შემდეგ გადავედი კონსტანტინოპოლში, სადაც იმპერიულ ბიბლიოთეკაში ასისტენად ვმუშობდი. ზოგიერთი კლასიფიკაცია აჩვენებს, რომ კონსტანტინოპოლის ბიბლიოთეკაში თავმოყრილი იყო 100.000 ტომი, პერგამენტისა და პაპირუსის ხელანწერის შეკვრები.

მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის გამო კონსტანტინოპოლში ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი 1453 წლიდან 1924 წლამდე და შემდეგ მის იმპერიულ უმაღლესობას პრინც ერტუგრულ ოსმანს გავყევი ნიუ-იორკში. 12 წლის პრინცი ათათურქის მიერ გაძევებულ იქნა სამშობლოდან. სულთანის ოჯახი მანჰეტენზე დასახლდა, მე კი ბრონქსში ვცხოვრობდი. მოგვიანებით გუგენჰაიმის მუზეუმში ვმოღვაწეობდი.

ახლა ვიმყოფები ჰონგ-კონგში და კარგი კონტაქტები მაქვს ჯაკარტასთან და სინგაპურთან, საიდანაც ახლახან ალფრედი ჩამოვიდა. საერთოდ ვინც სინგაპურთან ახლო კონტაქტს დაამყარებს, მხოლოდ წაადგება თავის ქვეყანას.

ამას გარდა მაქვს რამდენიმე ზამთრის რეზიდენცია ჰიმალაიზე. აგრეთვე ჩემს განკარგულებაში ტიბეტში მდებარე „ყინულის სასახლე“, კავკასიონის „ამირანიუმი“ და

ანტარქტიკის რეზიდენცია „სამხრეთი პოლუსი“. ამ ადგილებში თავმოყრილია დედამიწისა და სამყაროს უმთავრესი სულიერი მემკვიდრეობა და მე ყურადღებით ვდარაჯობ მათ. ამას გარდა ამ რეზიდენციებში იწერება ე. წ. „სატანას ციური ქრონიკები“.

„ეს იყო და იქნება ჩემი საყვარელი ქალაქები და საცხოვრებელი ადგილები მსოფლიოში“, დაასრულა თავისი თხრობა სატანამ.

წარსული

ერთ გრილ საღამოს მოგზაურობიდან ახლადდაბრუნებულ ალფრედ ნავიგატორს თავად მისი უძლეველობა, დედამიწის უცვლელი გუბერნატორი, არქანგელოზი სატანა ესტუმრა. საღამო უკვე ღამით ივსებოდა. ღუმელში მცირე ცეცხლი ღნაოდა. ლუციფერი ბუხრის წინ შეჩვეულ ჯირკზე ჩამოჯდა და გრძელი ფეხები გისოსებზე ჩამოაწყო, მერე ალფრედს ანიშნა გვერდით მომიჯექიო. ალფრედი მაშინვე მასთან გაჩნდა და გრძელი ბალაკლავიანი მოსასხამი ჩამოართვა, მსახურს გადასცა. უკან მრგვალი მაგიდის გარშემო მოციქული-მოწაფეები იჯდნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ.

„ამ ღამით მინდა წარსულზე გელაპარაკოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ შენი წარმოშობა არ იცი, წინ ვერ წახვალ. ამიტომ მე ადამიანების წარმოშობაზე სრულ ჭეშმარიტებას მოგიყვებით. იგი განსხვავდება ბიბლიური ვერსიისაგან, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ემთხვევა მას“, თქვა ლუციფერმა და დარბაზს თვალი მოავლო.

ამის თქმა იყო, ალფრედი ბუხარს მოსცილდა და მოციქულ მოწმეებს მიუბრუნდა:

„ჩვენ ვიცით მხოლოდ ადამიანების წარმოშობის უფლის ვერისა. არავის უთქვამს თუ რას ფიქრობს ამის შესახებ სატანა, ჩვენი მთავარი მატიანის „ციური ქრონიკების“ ავტორი“, უთხრა ალფრედ ნავიგატორმა თავის მეგობრებს, ლუციფერის საძმოს წევრებს.

მოციქულები კავკასიონის ამ ალპურ ზონაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. აქ მდებარე მთის დედაქალაქ ვარსკვლავეთ-სითიში იყო ალფრედ ნავიგატორის საგვარეულო სახლი, რომელიც რატომღაც არჩეული იყო ამ შეხვედრების ადგილად. აქვე მოდიოდა ხოლმე მათი ბოსი ლუციფერი.

„ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა თავად მისი უმაღლესი უძლეველობისაგან პირადად მოვისმინოთ ახსნა-განმარტება და რაც მთავარია გავიგოთ სრული ჭეშმარიტება ამ საკითხთან დაკავშირებით“, დაამატა ალფრედმა და სატანას გვერდით ჯირზე ჩამოჯდა.

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი საღამო, რადგან ამ შეხვედრის თითქმის სიტყვა-სიტყვითი სტენოგრამა, რომელიც იამაიკელმა მოციქულმა ბარინგტონ რიჩარდსმა ჩაიწერა, ძალიან სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში. პირველ რიგში ეს მოხდა BBC-ის რადიოსადგურის მეშვეობით და დიდი აურზაური გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

შეხვედრები ვარსკვლავეთ-სითიში მას შემდეგ გახშირდა, რაც კაცობრიობა თავისი განვითარების ბოლო „შვიდწლიანი უბედურებების“ პერიოდში შევიდა. ახლოვდებოდა განკითხვის ჟამი, რაც წინასწარმეტყველმა დანიელმა 26 საუკუნის წინათ განჭვრიტა. ეს იყო ყველაზე გრძელი წინასწარმეტყველება კაცობრიობის ისტორიაში. თქმასა და შესრულებას შორის სხვაობა 26 საუკუნეს უდრიდა.

ხალხს უკვე დაატყდა თავს „გამოცხადებაში“ წინასწარმეტყველი უბედურებების უმეტესი ნაწილი. ეს არის განადგურებები რომლებიც სიმბოლურად შვიდი ბეჭდის დამსხვრევაში, შვიდი საბედისწერო საყვირის დაყვირებაში და შვიდ კოკაში დაგროვილი საზიზღრობების წარმოდინებაში იყო გამოხატული.

ამ კატაკლიზმების დროს დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილები გაპარტახდა, ვარსკვლავეთ-სითი კი ყველაზე უხიფათო ადგილად ითვლებოდა პლანეტის ზურგზე.

ალფრედმა სატანას მსახურის მიერ მიწოდებული წითელი ღვინით სავსე ყანწი გადასცა. სატანამ ყელის გასასველებლად სასმისი სულმოუთქმელად დასცადა და დაიწყო:

„ჩვენი პლანეტა ერთი არ არის, რომელიც ჩვენი დიდი უფლის ფრთების ქვეშ არის შეფარებული. სამყაროში ბევრი ადგილია, სადაც ჩვენი უმაღლესობა, მისი თავმდაბალი თანაშემწეები და თავად მე მუხლმოუდრეკლად ვშრომობდით, რათა მხარი დაგვეჭირა ცივილიზაციის სხვადასხვა ფორმების არსებობისათვის“, თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„რთულ დროში, ჩვენი ამოცანაა ადამიანებს სწორად და დროულად ავუხსნათ თუ ვინ არიან და რა ადგილი უჭირავთ

მათ სამყაროში. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს წიგნი „სამყაროს ქრონიკები“, რომლის ავტორი მე ვარ. წიგნს ხანდახან „სატანას ციურ ქრონიკებსაც“ უწოდებენ. ხალხმა ამ წიგნის შესახებ არაფერი არ იცის და მხოლოდ დარვინითა და ბიბლიით არიან შემოსაზღვრულები. ეს შეხედულებები მცდარი არ არის, მაგრამ მაინც შემადგენელი ნაწილები არიან მთავარისა, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებ.

თქვენ იცით, რომ მე ვარ არქანგელოზი სატან-მეგატრონ-ლუციფერი, სერაფიმი, საღვთო სათათბიროს მუდმივი და უცვლელი წევრი, უფლის მარჯვენა ხელი, მისი თავმჯდომარე და სფიქერი. მე ბევრი პროფესია მაქვს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მემატიანის პროფესია. ჩემს მიერ შედგენილ „სამყაროს ანუ ზეციურ ქრონიკებში“ ჩაწერილია ყველა კოსმოსური მასშტაბის ინფორმაცია. „ქრონიკებში“ მარტო დედამიწაზე არ არის საუბარი, არამედ ლაპარაკია სამყაროში არსებულ ყველა ცივილიზაციაზე. მე ვარ სამყაროოს ისტორიოგრაფი და მის მოსე მწერალი, მისი კომპიუტერული ცენტრი და დისპეტჩერი.

„ზეციურ ქრონიკებში“ მითითებულია უფლის როლის შესახებ ყველა ცივილიზაციის შექმნის საქმეში და გაანალიზებულია კავშირი მათ შორის.

ის ინდივიდი, რომელსაც საშუალება ექნება გაეცნოს ქრონიკებს, გაიგებს რომ დედამიწის ცივილიზაციები ღრმა კავშირში არიან უცხოპლანეტელებთან, რომლებიც ერთხელ უკვე ცხოვრობდნენ დედამიწაზე. ჩემს წიგნში დოკუმენტურად არის წარმოდგენილი მასალები საიდუმლო პლანეტის ნიბირუს შესახებ, და იმ ასტრონავტების შესახებ, რომლებიც მილიონობით წლის წინათ ესტუმრნენ დედამიწას და ჩემს მეთვალყურეობის ქვეშ შექმნეს კაცობრიობა.

ჩემი „ციური ქრონიკები“ უდიდესი ყურადღებითა და სიზუსტით მოგვითხრობს თავმრუდამხვევ ისტორიას ჩვენს მე-12 პლანეტაზე, რომელიც ახლა გამქრალია.

ბიბლიაში მოხსენიებულია ნეფილიმები, რომლებიც პლანეტა ნიბირუს მაცხოვრებლები იყვნენ. მხოლოდ „სატანას ზეციურ ქრონიკებში“ არის შესაძლებელი გაეცნოთ მართალ ისტორიას ბიბლიურ ნიფილიმების, ედემის ბაღის, ბაბილონის კოშკის, წარღვნის, შუმერების, ქალდეველების, ბაბილონელე-

ბის, ეგვიპტელების, უძველესი ინდუსების, უფლის გეგმის, იესო ქრისტეს დედამიწაზე მისიისა და უკანასკნელი დღეების ურთიერთკავშირის შესახებ“.

ლუციფერი ღუმელის გვერდით ჩვეულებრივ მუხის ჯირკზე იჯდა. კედელზე ფართე ეკრანი ეკიდა, რომელზედაც გუბერნატორი ცეცხლოვანი თითით მიუთითებდა და ხსნიდა კოსმოსისა და დედამიწის ზოგიერთ სტრუქტურას, ადგილს.

ლუციფერის მიმდევრები ეკრანის მოპირდაპირედ კედლის გასწვრივ მდებარე გრძელ ტახტზე გადაჯდნენ. ისინი ნელა მოძრაობდნენ. ზოგიერთი მათგანი მკვდარი იყო. მათ სახეზე ოქროს ძაფებით მოქარგული პირბადე ჰქონდათ ჩამოფარებული.

„რამდენიმე მესოპოტამიური ტექსტი დედამიწიდან სამყაროს ზოგიერთ ადგილში ორმხრივი მოგზაურობების შესახებ მოგვითხრობს. შუმერული ტრადიციით ღმერთი არ იმყოფება შორეულ გალაქტიკაში. მისი ადგილსამყოფელი და მემკვიდრეობა მზის სისტემაშია. ერთი შუმერული ტექსტი მოგვითხრობს:

„როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის
თქვენ ზეცაში ამაღლდებით,
იქ ნახავთ ღამის გასათეველ და მოსასვენებელ ადგილებს,
რომელიც თქვენ ყველას მიგიღებთ.
ზეციური შეხვედრის შემდეგ
თქვენ ყველანი უკან დაეშვებით და ნახავთ
ღამის გასათევ მოსასვენებელ ადგილებს უკვე აქ,
რომელიც თქვენ ყველას მიგიღებთ“.

ეს ტექსტი და ბევრი სხვა პირდაპირ მიუთითებენ, რომ ზოგიერთი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფები, ადამიანები ან ანგელოზები რაღაც მიზნისათვის ზეცაში მიემართებოდნენ, იქ ნახულობდნენ ღამის გასათევ ადგილებს (სასტუმროს ან დასასვენებელ სახლს), შემდეგ უკან დედამიწაზე ეშვებოდნენ და ასეთივე მოსასვენებელ ადგილებს ნახულობდნენ უკვე დედამიწაზე. როგორც სჩანს ასეთი ორმხრივი მოგზაურობები რეგულარულ ხასიათს ატარებდნენ.

ვინ შეიძლება ყოფილიყო ის ზეციური მოგზაური, რომელიც რეგულარულად ახორციელებდა ამ ორმხრივ მოგზაურობებს?

ერთ ადგილას ბიბლია მიუთითებს:

„ნუ დაივიწყებ სტუმართმოყვარეობას უცხოელისადმი,

რადგან შესაძლოა ანგელოზებს უმასპინძლდები და არ იცი ამის შესახებ“ (ებრაელები 13:2).

სხვა ადგილას ბიბლია აღნიშნავს:

„...უცხოელები ზოგჯერ არ ინარჩუნებენ თავიანთ თავდაპირველ მდგომარეობას და ტოვებენ მათთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილებს...“ (იუდა 1:6).

ცხადია რომ „უცხოელები“ დედამიწისეული წარმოშობისანი არ იყვნენ.

როგორც სჩანს დედამიწა – უცხო პლანეტების კომუნიკაციები ადრე უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე დღეს არის.

უძველეს დროში, მესოპოტამიაში ციურ ცოდნას იცავდნენ, სწავლობდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ ასტრონომი მღვდლები. მღვდლების ასეთი ჯგუფი თაობიდან თაობაში ერთმანეთს გადასცემდნენ ცოდნას და ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც განათლებულთა კასტა. არც ისე დიდი ხნის წინათ აღმოჩენილ იქნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1800 წლით დათარიღებული 33 ციური სხეულის სია“.

„რამდენი პლანეტა აქვს მზის სისტემას?“ დასვა კითხვა სატანამ და ამ საკითხის ახსნა-განმარტება დაიწყო:

„ეს არის მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეფტუნი. ერთი ციური სხეული პლუტონიუმი აღმოჩენილ იქნა 1930 წელს და ითვლებოდა პლანეტად, მაგრამ 2006 წელს საერთაშორისო ასტრონომიულმა გაერთიანებამ პლუტონიუმს კლასიფიკაცია შეუცვალა და ჯუჯა პლანეტების ჯგუფში გადაიყვანა. ასე რომ მზის სისტემაში რვა პლანეტა დარჩა, მაგრამ შუმერები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი სისტემა შექმნილია მზისა და 11 პლანეტისაგან, მთვარის ჩათვლით. ეს არის ერთად 11 პლანეტა და მათ რიცხვში უნდა იყოს მე-12 პლანეტა ნიბირუ ანუნაკი-ნეფილიმების სამშობლო.

ნეფილიმები არის რასა ცოცხალი არსებებისა, რომლებიც ნაწილობრივ გადმოსახლდნენ პლანეტა ნიბირუდან დედამიწაზე“, დასძინა სატანამ.

„მესოპოტამიის განათლებულ წრეებში ნიბირუელებს იცნობდნენ როგორც „სამეფო ჩამომავლებს“ ან „რომლებიც ზეციდან მიწაზე დაეშვნენ“. მოსახლეობის ეს ჯგუფი ასევე ცნობილია „ნეფილიმების“ სახელწოდებით, რაც გიგანტებს ნიშნავს.

ბიბლიაში წერია:

„ვნახეთ ნეფილიმები, ანაკი ვაჟები. ნეფილიმთა შთამომავლები. კალიები გვეგონა ჩვენი თავი. მათ თვალშიც ასე ვჩანდით“ (რიცხვები 13:33).

შუმერი ასტრონომები, შემდეგ კი ქალდეველები, რომელთა მიმდევრები ებრაელები და ნაწილობრივ სომხები არიან, ამტკიცებდნენ, რომ პლანეტა ნიბირუ არის მზის სისტემის წევრი, მაგრამ მას აქვს მკაცრად ელიფსური ორბიტა. იგი გაივლის ტრაექტორიას იუპიტერსა და მარსს შორის და დიდი გავლენა აქვს მზის სისტემაზე. ამჯერად ნიბირუ შესაძლოა ძალიან ღრმად არის კოსმოსში შეჭრილი და შეუძლებელია მისი აღმოჩენა, მაგრამ ზოგიერთი პარამეტრები და ტრადიციები გვახსენებენ მის არსებობას.

პლანეტა ნიბირუ უფლისა და ჩემი მეცადინეობის შედეგად შეიქმნა. იქ ცხოვრობს ანაკის ანუ ანუნაკის ვაჟების რასა, ძალიან მაღალი დონის ცივილიზაციით. ანუნაკელები ძალიან დიდხანს ცხოვრობენ, დაახლოებით 50 000 წელს, მაგრამ ისინი უკვდავები არ არიან.

პლანეტა ნიბირუმ თითქმის დაასრულა თავისი გაერთიანება, რაც აუცილებელი ატრიბუტია ყოველი პლენატარული ცივილიზაციისა, მაგრამ გაერთიანების ბოლო სტადიაზე ნეფილიმ-ანუნაკელებს შორის წარმოიშვა ნეგატიური ემოციების სიმპტომები, რაც ასეთი დამახასიათებელია დედამიწაზე მაცხოვრებელი ჰუმანოიდებისათვის.

დაახლოებით 450.000 წლის წინათ ალალუ, ანუნაკელების დამხობილი ხელმძღვანელი კოსმოსური ხომალდით ნიბირუდან გაიქცა. მან პლანეტა დედამიწაზე ჰპოვა ნავთსაყუდარი. იგი დაეშვა თანამედროვე ეგვიპტის ტერიტორიაზე, სადაც ოქროს დიდი მარაგი აღმოაჩინა. ოქრო ნიბირუელებს ძალიან სჭირდებოდათ რათა შეემცირებინათ ატმოსფეროს კლების პროცესი თავიანთ პლანეტაზე.

ალალუს შემდეგ დედამიწაზე მისი ოპონენტი ენკი დაეშვა. მან და მისმა ინჟინერმა ასტრონომებმა სამხრეთ მესოპოტამიაში განთქმული კოსმოსური სადგური ერიდუ დააარსეს, სადაც ასევე იშვიათი სასარგებლო წიაღისეული მოიძიებოდა. შუმერული სამეფო ქრონიკების მიხედვით ერიდუ იყო პირველი ქალაქი რომელმაც ჩვენს პლანეტას ახალი სახელი Earth – დედამიწა მისცა. იგი იყო მზის სისტემის მესამე პლანეტა.

თავდაპირველად ალალუსა და ენკის შორის ძალაუფლებისათვის მძაფრი შეტაკებები ხდებოდა. ბოლოს კი სიტუაცია დაწყნარდა და ანუნაკელებმა დაიწყეს დედამიწის ოქროს მარაგის ათვისება.

დაახლოებით 415.000 წლის წინათ ენკი ხმელეთის სიღრმეში წავიდა და დააარსა დასახლება ლარსა. უფრო მოშორებით კი კოსმოსური კონტროლის ცენტრი ლარაკი.

ლარსა არის თანამედროვე ლარსი. იგი დანმობერთების ქვეყნის საზღვრის მისადგომებთან მდებარეობს და ჩვენგან არც თუ ისე შორს არის. ვარსკვლავეთ-სითი და ლარსი ოქროს საბადოების მსოფლიოს უძველესი დასახლებებია. მაღაროებში შესასვლელი მყინვარებით არის დაფარული და ეს ადგილები ციური დაცვის ქვეშ არიან. ამით აიხსნება ის გარემოება რომ დღეს „უბედურებების შვიდწლიანი პერიოდის“ ბოლოს ვარსკვლავეთ-სითიში და მის ხეობაში კოსმოსური დაბომბვები არ ხდება, ხაზი გაუსვა ლუციფერმა:

„400.000 წლის წინათ დედამიწის პლანეტას ნიბირუს სხვა გამოჩენილი ლიდერი ენლილი ესტუმრა და დააარსა არანაკლებ განთქმული კოსმოსური ბაზა ნიპპური, როგორც პლანეტა დედამიწის მისიის საკონტროლო ცენტრი.

ამავე დროს ენკიმ გაკვალა საზღვაო გზა სამხრეთ აფრიკაში და დაარსა ოქროს მომპოვებელი საბადოები, რომლებიც დღესაც ფუნქციონირებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სახელგანთქმული „დე ბირსის“ ალმასისა და ოქროს მომპოვებელი კომპანიის სადირექტორო საბჭოს ნახევარი ჰიბრიდებით არის დაკომპლექტებული.

360.000 წლის წინათ ანუნაკელებმა-ნეფილიმებმა დაარსეს კიდევ ერთი დასახლება შად-თიბირა, როგორც თავიანთი მეტალურგიული ფილტრაციის ცენტრი და რაკეტების გასაშვები პლატფორმა საპპარი, რომელიც როგორც ჩიტების ქალაქი ისე ითარგმნება. საპპარის შემცვლელი ცენტრი იყო ლიბანში არსებული ბაალბეკის კოსმოსური სადგური რომელიც მართკუთხედა ლოდებისგან აშენდა მისი რამდენიმე ქვა ორ ტონას იწონის.

ნებირუელებმა ასევე ააშენეს შურუპაკი, როგორც მთავარი სამედიცინო ცენტრი და წმინდა ქალაქი ურუკი.

300.000 წლის ან დაახლოებით ასე, კოლონისტებს შორის კიდევ ერთი ამბოხება მოხდა. ამან მინიმუმამდე შეამცირა მინერალური

რესურსების ათვისების მარაგი ქმედების კოეფიციენტი. წარმოიშვა მუშახელის დეფიციტი. ანუნაკელების ლიდერებმა ენკიმ და ნიმბარსაგმა გადაწყვიტეს შეექმნათ მუშების რასა, რომლებიც გენეტიკურად მანიპულირებულ იქნენ დედამიწაზე არსებულ ცხოველებთან. შედეგად შეიქმნა „პრიმიტიული მუშათა“ კლასი – „ჰომო საფიენსი“.

250.000 წლის წინათ „ჰომო საფიენსი“ გამრავლდა. ისინი ნიბურუელ-ნეფილიმებს „ღმერთის შვილებს“ უწოდებდნენ. საბოლოოდ დედამიწის ხელმძღვანელობა გადაეცა ჰუმანოიდებს, ხოლო ანუნაკელები კი დროებით გვერდზე გადგნენ.

200.000 წლის წინათ ახალი გამყინვარების დროს ცხოვრების პირობები ფრიად გაუარესდა.

100.000 წლის წინ კი ბუნება კვლავ დათმა. „ღმერთის შვილებმა“ „ჰომო საფიენსის“ ქალიშვილები, ცოლებად წაიყვანეს და ასე წარმოიშვა ჰიბრიდული ადამიანების ჯიში დედამიწაზე.

ამრიგად, ნეფილიმები ისტორიაში ცნობილნი არიან სხვადასხვა სახელებით: ანუნაკელები ან ანუკაკი, ნიბირუელები, გიგანტები, მეთვალყურეები, ასტრონომები, გრეგორები და მრავალი სხვა. წარმოშობით ისინი პლანეტა ნიბირუდან არიან, ხოლო დედამიწაზე ზოგჯერ მათ ღმერთის სტატუსი ჰქონდათ.

38.000 წლის წინათ უმკაცრესმა კლიმატმა კაცობრიობა გაანადგურა. ნეანდერტალელი, ერთ-ერთი ჰიბრიდული რასა გაქრა. მხოლოდ კრომაგნონელები გადარჩნენ.

13.000 წელი ქრისტეს დაბადებამდე არის ქვაკუთხედი კაცობრიობის ისტორიისა. წარღვნამ გადარეცხა დედამიწა.

ზოგიერთი მკვლევარი, განსაკუთრებით ორთოდოქსალური ეკლესიის მყუდრო საყდრებიდან ფიქრობენ, რომ წარღვნა დედამიწაზე არ იყო დიდი, რომ ე. წ. ნოეს კიდობანი იყო მხოლოდ მდინარე ევფრატზე მოცურავე დიდი კომერციული ბარჟა, რომ ნოე იყო შუმერული ქალაქის შურუპაკის მეფე და წარღვნა მხოლოდ ექვს დღეს გაგრძელდა. ეს ასე არ არის“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა, „წყალდიდობამ ფაქტიურად, გაანადგურა მაშინდელი დედამიწა“, დაასკვნა მან.

„წყალდიდობის“ სიმპტომები ე. წ. „სამხრეთის შტორმიდან“ დაიწყო. შტორმი და წყლის ზვავი ანტარქტიკის კონტინენტზე წამოიშვა, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს მომავალში, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა და „უკანასკნელი დროების“

დროს. ანტარქტიკიდან წამოსდული ტალღები, ინდოეთის ოკეანის გავლით მიაღწევს მესოპოტამიას. „გილგამეშის ეპოსი“ შთამბეჭდავად აღწერს დედამიწის განადგურების სურათს:

...მთვარე გაქრა.
წვიმა მძვინვარებს ღრუბლებში.
ქარი სასტიკი ხდება.
...იწყება წარღვნა.
ერთი პიროვნება ვერ ხედავს მეორეს.
ქარი ყროყინებს როგორც ველური ვირი.
სიბნელე კიდევ უფრო მუქდება;
მზე არსად სჩანს.
...შავი ღრუბლები აღიმართება ჰორიზონტზე;
როდესაც ღრუბლები ერთად შეიყრებიან,
ისინი უსწრაფესად მოძრაობენ
და მათში მთებიც კი იძირება.
ექვსი დღე და ექვსი ღამე უბერავს მძვინვარე ქარი
როდესაც „სამხრეთის შტორმი“ გადარეცხავს დედამიწას.

„გილგამეშის ეპოსი“ ასევევ გვაძლევს ინფორმაციას, რომ ვიდრე ხალხი და მიწა წყალში ჩაიძირება, მანამდე „მშრალი მიწების დამბები“ და მათი ბარიერები დაირღვევა და სანაპირო ზოლები განადგურდება. ამის შემდეგ უზარმაზარი წყლის ზვირთი შეიჭრება მესოპოტამიაში.

ბარიერებისა და დამბების არსებობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანები და მათი ღმერთები უშვებდნენ ვარაუდს, რომ როდისმე შესაძლოა სამხრეთიდან ზვირთცემა მომხდარიყო. ისინი არ შემცდარან, მხოლოდ მათი უბედურების მასშტაბი ვერ განსაზღვრეს.

შუმერული მეფეების სიებში მითითებულია, რომ „წარღვნა მოხდა ერთ ღამეში“. სამხრეთ-აფრიკის ოქროს მაღაროები, მესოპოტამიის ქალაქები, ადმინისტრაციული საკონტროლო ცენტრი ნიპპური, კოსმოდრომი სიპპური ერთ ღამეში განადგურდა. ისინი წყალში და ტალახში ჩაიმარხნენ.

წარღვნა დიდი ტრავმა იყო არა მარტყო ადამიანებისათვის, არამედ მათი „ღმერთის შვილებისათვის“ – ნეფილიმებისათვის. დაფრინავდნენ რა თავიანთი მფრინავი „შატლებით“ განადგურებული დედამიწის თავზე, ისინი მოუთმენლად ეძებდნენ დაელოდნენ წყლის გამეჩხერებას, რათა მყარ მიწაზე დაედგათ ფეხი.

ნიფილიმები ერთიანად გადაირეცხნენ. ისინი კრიტიკულ სიტუაციაში იყვნენ. წარღვნის დროს მათი სამშობლო – პლანეტა ნიბირუ მზის სისტემის შიგნით დრეიფობდა და ჰქმნიდა საფრთხეს რომ დაეზიანებინა მზის სისტემის პლანეტების მიზიდულობის სტრუქტურები ამიტომ ნეფილიმებს საშუალება არ ჰქონდათ უკან დაბრუნებულიყვნენ. ამავე დროს მათ დედამიწაზე არსებული წარღვნის გამო არ ჰქონდათ საშუალება აქ დარჩენილიყვნენ. მართლაც რა შანსი ჰქონდა გადარჩენისა, როდესაც დედამიწაზე დაარსებული ყველა მათი ქალაქი და საწარმო და მათი მთავარი სამუშაო ძალა – კაცობრიობა მთლიანად განადგურდა?

როდესაც შეშინებულებმა, გადაქანცულებმა და მშიერმა ნიფილიმთა ჯგუფებმა დაივაკეს „ხსნის მწვერვალზე“ (არარატზე?) მათ აღმოაჩინეს რომ დედამიწაზე არსებული ყველა ადამიანი და ცხოველი არ დაღუპულა.

სასონარკვეთილი მდებარეობის პირისპირ მდგარმა ნეფილიმებმა დროის დაუკარგავად, დაიკაპიწეს სახელოები და გაუზიარეს თავიანთი ცოდნა ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს.

„...და როდესაც ხსნის სხვა საშუალება არ იყო, გიგანტებმა კვლავ მიმართეს კაცობრიობას და განავითარეს ისინი“ (ენოქი 7:3).

მათ უძველეს შუმერებს მისცეს არქიტექტურის, სოფლის მეურნეობის, ასტრონომიის ცოდნა და კულტურული მემკვიდრეობა, მაღაროებში მუშაობის, საკვებისა და მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ.

ბიბლია მიუთითებდა, რომ სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობა, „თესლებისა და მოსავლის“ დრო დადგა წარღვნის შემდეგ.

„როდესაც მიწა კვლავ გამოჩნდა
თესვისა და მოსავლის დრო დადგა
და სიცივე და სითბო
ზაფხული და ზამთარი
დღე და ღამე
აღარ წყდებოდა“ (დაბადება 8:22)

„თესვისა და მოსავლის“ დრო ბიბლიაში აღწერილია როგორც ღმერთების საჩუქარი ნოესადმი და მისი შთამომავლობისადმი როგორც წარღვნის შემდგომი შეთანხმების ნაწილი.

მალე სიტუაცია ფრიად გაუმჯობესდა და ნეფილიმებმა შექმნეს წარღვნის შემდგომი პროცესების თანმიმდევრობა:

სოფლის მეურნეობა შეიქმნა, დაახლოებით 11.000 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

ნეოლითური კულტურა, შეიქმნა დაახლოებით 7500 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

და მოულოდნელად აღმოცენდა პირველი ცივილიზაცია ეს მოხდა 3800 წელს ძველი წელთაღრიცხვით.

ამრიგად, ფანტასტიკურად მოკლე დროში ადამიანები გახდნენ დღევანდელი ადამიანების მსგავსები. ეს მოხდა 3600 წლის ინტერვალში. ნეფილიმებმა კაცობრიობას ცოდნა გადასცეს მოზომილ დოზებში, შესაძლებელია პირადი შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდეგ.

დრო ჩქარა გაფრინდა. ადამიანები სწრაფად გამრავლდნენ და შესაძლოა ნეფილიმებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი საჭიროებენ შუამავალ ხალხს მათ და ადამიანის მასებს შორის ურთიერთობისათვის. შუამავალში იქნებოდნენ ინდივიდუალები ან ერები, რომლებიც დაისახავდნენ და გაატარებდნენ პლანეტაზე ნეფილიმების ცოდნას. ისინი იქნებოდნენ ნიფილიმების რჩეული, ღვთივდასმული, ანუ მათ მიერ დანიშნული ხალხი.

„ნეფილიმებს ძალიან მოსწონდათ ადამიანთა ქალები, რომ ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ. ისინი ცოლად წაიყვანეს... და დაიბადა ბავშვები, რომლებიც უფლის გადაწყვეტილებით, 120 წელს ცოცხლობდნენ. „ახალი თაობა ძლიერი ხალხი იყო ასაკიანებიც კი და ძალიან დაფასებულები“ (დაბადება 6:2-4).

სამხრეთ მესოპოტამიის ქალაქი ური იყო სამშობლო პირველი რჩეული ხალხის ქალდეელებისა, რომლებიც ნეფილიმებმა შექმნეს. ისინი იყვნენ პირველი ერი რომლებმაც მიიტანეს ადამიანებამდე ნეფილიმების ანუ გიგანტების ცოდნა.

შემდგომში ეს მისია დაეკისრათ ქალდეელების მოწაფე ერს ებრაელებს და ნაწილობრივ სომხებს.

ნეფილიმები ჯერ კიდევ ცხოვრობენ ჩვენს შორის. ისინი მაღლები და ჭკვიანები არიან. მათ განმანათლებლებს უწოდებენ და რაოდენობრივად მეტად ცოტანი არიან. სხვების რაოდენობა კი მეტად იზრდებოდა. ისინი გონებრივად ბნელები არიან. მათ არ შეუძლიათ მიაღწიონ გონებრივი აქტივობის მაღალ ფორმებს, რადგან შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ბნელებს ნათელი ხალხი არ უყვარს. ასე გაიყო კაცობრიობა ორ ნაწილად ნათლებად და ბნელებად.

წარღვნის შემდეგ დაარსებული პირველი ქალაქი იყო ქიში, შემდეგ მას მოყვა ური, აქადი, ბაბილონი და სხვა. ხალხმა დედამიწის სამ რეგიონში დაიწყო ცხოვრება.

ქვემო მესოპოტამიის ცივილიზაცია გახდა სამშობლო სემიტური ხალხისა.

მეორე აყვავებული ცივილიზაცია შეიქმნა ნილოსის ველზე.

მესამე გრანდიოზული ცივილიზაცია დაარსდა ინდუს ველზე, რომელიც ინდო-ევროპული ხალხის სამშობლოდ იქცა.

ნილოსისა და ინდუს ველის ცივილიზაციები არა მარტო ურთიერთკავშირში არიან, არამედ შთამომავლები არიან უფრო ძველი მესოპოტამიური ცივილიზაციისა.

უამრავი გადამკვეთი ნიშნები ამტკიცებს არა მარტო მათს ნათესაობას და ურთიერთკავშირს, არამედ მათს საერთო წარმომავლობას მე-12 პლანეტიდან.

ზოგიერთი შუმერული ტექსტები მოგვითხრობენ ნებირუელ-ნეფილიმების გრძელ საუბრებზე და თათბირზევე თავიანთ ღმერთებთან კაცობრიობის მომავლის შესახებ. ამ გრძელი თათბირების შედეგად შეიქნა ოთხი რეგიონი: მესოპოტამია, ნილოსის ველი, ინდუს ველი და „წმინდა მიწა“. პირველ; სამ ტერიტორიაზე მათ „ჰომო საფიენსები“ ანუ „ადამიანები“ დაასახლეს. მეოთხე ტერიტორიაზე, ანუ „წმინდა მიწაზე“ კი მხოლოდ მათ შეეძლოთ მისვლა.

შუმერულ ტექსტებში ამ მეოთხე ტერიტორიას „ტერ-მუნ“-ი ჰქვია, რაც „რაკეტების განლაგების ადგილს“ ნიშნავს. ეს არის აკრძალული ტერიტორია, სადაც ნეფილიმებმა აღადგინეს თავიანთი კოსმოსური ბაზა. როგორც ცნობილია წინა კოსმოსური ბაზა სიპპარი რომელიც სამხრეთ მესოპოტამიაში მდებარეობდა წარღვნის შედეგად განადგურდა“.

მაგრამ სად არის ეს მიუწვდომელი მიწა, რომელსაც ციური კავშირი აქვს?“ მოულოდნელად იკითხა ლუციფერმა თავისი გრძელი მონოლოგის დასასრულს. და კვლავ გააგრძელა თხრობა:

„მესოპოტამიისა და ნილოსის ველების ცივილიზაციის ხელმძღვანელი კლასი უმთავრესად ნეფილიმები იყვნენ, მაგრამ მოსახლეობა „ჰომო საფიენსი“ იყო.

ამ აზრის ილუსტრაციისათვის ავღნიშნავ რომ უძველეს ეგვიპტეში ნეფილიმების სიმაღლე 5-7 მეტრი იყო. ქალებისა

3-3,7 მეტრი. ფარაონ ეჰნატონის სიმაღლე 4,5 მეტრი იყო. ფარაონ რამიზეზ (რამზეზ) III-ის 3 მეტრი, დედოფალ ნეფერტიტისა კი 3,5 მეტრი და ა. შ. მათ წაგრძელებული თავის ქალები ჰქონდათ. უამრავი უძველესი ფრესკა, და კულტურის სხვა მემკვიდრეობა ამტკიცებს ამას.

ინდუს ველის ცივილიზაციაში ხელმძღვანელი კლასისა და მოსახლეობის უმეტესობა „ჰომო საფიენსი“ იყო. ამავე დროს აქ ბევრი ჰიბრიდი ცხოვრობდა.

მეოთხე აკრძალულ რაიონში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ნეფილიმელი გიგანტები, მაგრამ ბოლო პერიოდში მათ საქმიანობაში გერმანელები ჩაერივნენ, რომლებმაც დაახლოებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს მტკიცება და საქმის ჩვენება რომ ისინი არიან სპეციალური ერი და მედიატორები ნეფილიმებსა და „ჰომო საფიენსებს“ შორის, რომ ისინი იმსახურებენ განსაკუთრებული ერის სტატუსს.

მე-2 მსოფლიო ომის დროს გერმანელები შეეცადნენ ამოეხოცათ კონკურენტი ებრაელი ერი. თურქებმა, რომლებიც ასევე რჩეული ერის ტიტულის კონკურენტი ერია სომხების გენოციდი მოაწყეს. როგორც ცნობილია სომხები ქალდეველებთან და ებრაელებთან ერთად ღვთის რჩეული ერის კანდიდატია. მაგრამ ამ თავგანწირულმა აქციებმა შედეგები ვერ მოიტანა. სომხებიც, თურქებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც რჩეული ერების კანდიდატებად რჩებიან. ვერავინ ვერ შესძლო კონკურენტის თავიდან ჩამოცილება. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა და მას მხოლოდ უფლის ძალისხმევა გადაწყვეტს“, განაცხადა ლუციფერმა და ახლად შევსებული ღვინის თასიდან მოზრდილი ყლუპი შესვა. მას განსაკუთრებით მოსწონდა „სარკინოზული“ და „წარაფის“ ტიპის ღვინოები და ვარსკვლავეთ-სითიში ვიზიტის დროს მათი სმით გულს იჯერებდა ხოლმე.

„აქ კიდევ ერთი კანდიდატია, ქართველი ერი“, თქვა სატანამ და დაცლილი ყანწი ალფრედს გადასცა.

„გეტინბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა იოაჰიმ ფრიდრიჰ ბლუმენბახმა ქართველებს „თეთრი რასის“ შემქმნელები უწოდა, ხოლო კავკასიას კი „თეთრი რასის“ აკვანი. ქართველებს ასევე პრეტენზია აქვთ, რომ ისინი იმსახურებენ

შუამავალი ერის სტატუსს ნეფილიმებსა და „ჰომო საფიენსებს“ შორის, მით უმეტეს ცნობილია, რომ ნიფილიმებმა უამრავი იბერიულ-კოლხური ბიოლოგიური მასალა გამოიყენეს „ჰომო-საფიენსის“ შესაქმნელად. დასავლეთ საქართველოში ახლაც კი ამ უბედურებების ჟამს სუფრაზე ხშირად გაისმის შეძახილები რომ ისინი უმაღლესი ერია.

ქართველების მოხრჩობა სურთ რუსებსა და სომხებს, რათა კონკურენტი ერი თავიდან მოიცილონ. ახლა ჩვენ სწორედ იმ რაიონში ვიმყოფებით, სადაც ეს დაპირისპირება მიმდინარეობს“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„მე არ მაქვს უფლება ყველა მოვლენაზე პირდაპირ ვილაპარაკო. ამის შესახებ ჩემს „ზეციურ ქრონიკებში“ ძალიან დაწვრილებით არის საუბარი, მაგრამ მოდით ფაქტებს მიუკერძოებლად შევხედოთ და მერე დასკვნები თავად გააკეთეთ.

ჩვენ გვაქვს დამტკიცებული ინფორმაცია, რომელიც დამოუკიდებელი წყაროებიდან იქნა მიღებული, რომ გერმანელებმა ანტარქტიკაში დააარსეს მრავალფუნქციური ბაზა №211 და სანაპირ ზოლს უწოდეს „Neuschvabenlend“ („ახალი შვაბიის მიწა“), მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ ამ ბაზიდან მარაგდებოდა ატლანტიკასა და წყნარ ოკეანეში მოქმედი გერმანელი წყალქვეშა ნავები. ამას გარდა გერმანულმა ექსპედიციებმა გამოიკვლიეს ანტარქტიკის შიდა ნაწილები, აღმოაჩინეს მყინვარები და ყინულისაგან თავისუფალი მიწის დიდი ნაკვეთები. აქ მათ ააშენეს ბაზა თავიანთი საიდუმლო პროექტებისათვის.

ამ ამბებთან დაკავშირებით წარმოიშვება სხვა კითხვებიც:

1. სად გაქრნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ათასობით გერმანელი მეცნიერი და სამხედრო პირი?

2. სად გაქრა სწორედ მეორე მსოფლიო ომის შეწყვეტის წინ ასობით გერმანული წყალქვეშა ნავი და იმ დროის დიდი ტექნიკური მიღწევა „მესერშმიტდი-200“ თვითმფრინავი?

3. სად გაქრა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გიგანტური გერმანული წყალქვეშა ნავი, რომელმაც არგენტინის უკიდურესი სამხრეთი პორტიდან კურსი ანტარქტიკისაკენ აიღო?

4. რა არის ამოუცნობი მფრინავი ობიექტის წარმოშობის მიზეზი?

5. რა არის ანტარქტიკის კონტინენტის ყინულის სქელი ფენის ქვეშ?

6. ვინ უბრძანა გერმანელ მეცნიერ ფიქროსნებს ჩაეტარებინათ საიდუმლო ლაბორატორიული გამოკვლევები და რატომ გაჟონა ამ ცნობებმა?

7. შეხვდნენ კი გერმანელები ნეფილიმებს, რომელთა მეოთხე საიდუმლო ზონა ანტარქტიკაში იყო?

8. თუ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ რა მოხდებოდა ნეფილიმებისა და გერმანელების შეხვედრის შემთხვევაში? მოახერხებდნენ ისინი ახალი გარიგების დადებას?

9. თუ ნეფილიმებმა შექმნეს „ჰომო საფიენსი“, თავად ნეფილიმები და მათი მე-12 პლანეტა ნებირუ ვინ შექმნა? ჩვენ კი ვიცით, მაგრამ განა საჭიროა ეს ხალხმა იცოდეს?

ეს არის მცირედი კითხვები, რომელიც გვიჩნდება ჩვენ მეოთხე საიდუმლო ზონასთან დაკავშირებით?“ აღნიშნა ლუციფერმა.

„მაშასადამე, წარღვნის შემდეგ დედამიწამ არ შეწყვიტა არსებობა და დღემდე არსებობს. აქ სახლობენ ჰუმანოიდები. მათი ნაწილი ცხოვრობს ღიად, ნაწილი კი განსაკუთრებით ნეფილიმელ-ჰუმანოიდების ნაჯვარი, დაფარულ ფორმებში. უფრო ფხიზელი ანალიზი აჩვენებს, რომ „დიდი წარღვნა“ იყო გალაქტიკური მასშტაბის სისულელე და არაპრაქტიკული მოქმედება. მან არავითარი პროგრესი არ მოიტანა. მე წარღვნის კატეგორიული მოწინააღმდეგე ვიყავი“, თქვა ლუციფერმა.

„მომდევნო მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ეს ასე იყო და თავად უფალმა აღიარა, რომ მან შეცდომა დაუშვა“, დაამატა შემდეგ.

„ხალხში მეტად პოპულარული ებრაელი ხალხის ზღაპრებისა და არაკების კრებული, რომელიც ბიბლიისა და სახარების სახელწოდებით არის ცნობილი იძლევა ინფორმაციას, რომ ნოემ როდესაც მყარ მიწას მიაღწია, პირველ რიგში საკურთხეველი ააგო და უფალს შესწირა ყველა სუფთა ცხოველი და ფრინველი. როგორც ცნობილია ნოემ წარღვნის დასაწყისში თადარიგი დაიჭირა და რამდენიმე ათასი წყვილი ფრინველი და ცხოველი კიდობანში მოათავსა და წარღვნას გადაარჩინა. ახლა გადარჩენილი ცხოველებისა და ფრინველების ნაწილი საკურთხეველზე დახოცილ იქნენ. ამაზე იტყვის მოაზროვნე ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. თუ დაღუპვას გადაარჩინე, შემდეგ რატომ დახოცე? არ შეგენანა? იმიტომ, რომ უფალს შემწვარი ხორცის სუნი მოსწონდა? დიახ, ეს ასეა და ეს ნოემ კარგად იცოდა. (დაბადება 8:20-21)

მართლაც საკურთხეველზე დახოცილი „სუფთა“ ცხოველების დახოცვითა და დამწვარი სუნით უფალი მეტად კმაყოფილი დარჩა და თქვა:

„მეტად აღარ დავწყევლი დედამიწას ადამიანის გამო, რადგან სიყრმიდანვე ბოროტებისაკენ ისწრაფვის ადამიანის გული. ასე არასოდეს გავანადგურებ ცოცხალ არსებებს“ (დაბადება 8:21).

ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენი ძლიერი და სათნო უფალი შეასრულებს თავის სიტყვას. მაგრამ ფაქტები გვაჩვენებს, რომ წარღვნა არ არის ერთადერთი ბოროტება, რომელიც დედამიწის წინააღმდეგ იქნა ჩადენილი“, თქვა ლუციფერმა.

„საქმეში ჩახედული ექსპერტებისთვის ცნობილია, რომ უფლის ჩარევამ პლანეტა ნიბირუს გეომეტრიული ტრაექტორიების ცვლილებები გამოიწვია. ამავე დროს მტკიცე ზეგავლენა მოახდინა მზის სისტემაზე და მათ შორის პლანეტა დედამიწაზე. საქმე იმაშია, რომ როგორც ადრე ავღნიშნეთ ნიბირუ გიგანტურ ელიფსურ წრეზე მოძრაობს და პერიოდულად შედის და გადის მზის სისტემაში, ტოვებს იქ მნიშვნელოვანი განადგურების კვალს.

პირველად მოხეტიალე და უჩინარი პლანეტა ნიბირუ დედამიწას 4.7 მილიონი ან დაახლოებით ამდენი წლის წინათ შეეჯახა. ამის გამო დიდი კონტინენტი „პანგეა“ რამდენიმე ცალკე კონტინენტად: ევრაზიად, აფრიკად, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკად და შესაძლოა ავსტრალიად დაიშალა.

ზოგიერთი შუმერული ტექსტი მოგვითხრობს, რომ ნიბირუსთან ახალი შეტაკების შემდეგ დედამიწის გარშემო შეიქმნა ასტეროიდების სარტყელი, ხოლო მანამდე მშრალი დედამიწის უზარმაზარი ხეობები და ვარდნილები წყლით შეივსო.

მკვლევარები ეჭვობენ, რომ მზის სისტემაში ნიბირუს შემდგომი გამოჩენის შედეგად დედამიწაზე წარმოიშვა წარღვნის მიზეზები. ცხადია, რომ ჩვენი დიდი უფალი მანიპულირებს კოსმოსურ სივრცეში ყველა ციური სხეულის მოძრაობას. უფალს იოლად შეეძლო თავიდან აეცილებინა ნიბირუ-დედამიწის სახიფათო დაახლოება, რომელმაც დაახლოებით 13.000 წლის წინათ პლანეტების ურთიერთშორისი მიზიდულობების სიძლიერის გადახვევები გამოიწვია. მაგრამ უფალმა ეს დაახლოება თავიდან არ აიცილა, რადგან იგი თავის გეგმას მიყვებოდა, და წარღვნაც მოხდა.

მე როგორც ზეციური თათბირების მუდმივმა მონაწილემ და მისმა თავმჯდომარემ, ვიცი, რომ 2006 წლიდან 2066 წლამდე,

ე. ი. 60 წლის შუალედში მზის სისტემის მე-12 პლანეტა ნიბირუ, რომელსაც ასტრონომი მეცნიერები ხშირად პლანეტა „იქს – ნიბირუს“ უწოდებენ, ერთხელ კიდევ შემოიჭრება მზის სისტემაში“, თქვა ლუციფერმა და თხრობა გააგრძელა:

„როგორც კი ნიბირუ დედამიწის სიახლოვეს გამოჩნდება ჩვენს პლანეტაზე დიდი გრავიტაციული გადახრები მოხდება, რაც კატასტროფულად სწრაფად შეცვლის ბევრ პლანეტარულ პარამეტრებს, მათ შორის წყალდიდობების, მიწისძვრების, ვულკანების ამოფრქვევების, პოლუსების ღერძის შეცვლისა და ბევრი სხვა უბედურებების ჩათვლით“.

ამ დროს მამალმა უკვე მეორედ იყივლა და ზოგიერთი მოციქული შეიშმუშნა. ეს სატანამ შენიშნა და თქვა:

„ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა ასეთი მაგალითი მოგიყვანოთ. წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც მზე ზენიტშია. ფარენგეიტით კი 92^0 სიცხეა. და უეცრად რამდენიმე გრადუსზე ჰორიზონტის ხაზის მიმართულებით მზე სწრაფად ეშვება. ისეთ სიცივეებს დაიჭერს, რომ პალტოს ჩაცმას ვერ მოასწრებ. პლანეტა ნიბირუდან წამოსული გრავიტაციული წნევა, შესაძლოა სამი დღით შეაჩერებს დედამიწის საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვას. პლანეტის ერთ ნახევარზე სამი დღე-ღამით დაბნელდება, მეორე ნახევარში კი ნათელი იქნება. მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ „დაბნელების სამი დღე“ ნაწინასწარმეტყველია „გამოცხადების“ წიგნში. გეოლოგიური ან ღერძის ცვლილებების ეფექტი გამანადგურებლად იმოქმედებს ჩვენს ცივილიზაციაზე.

ასეთია რამდენიმე ფაქტი ჩემს მიერ დაწერილი „ზეციური ქრონიკებიდან“ ჩვენი წარსულისა და სავარაუდო მომავლის შესახებ“, დაასრულა იმ ღამის საუბარი ლუციფერმა თავის მიმდევარ მოწაფე-მოციქულებთან, რომელიც ვარსკვლავეთ-სითიში გაიმართა.

ამ შეხვედრბის ორგანიზებას ცნობილი მოხეტიალე და ლუციფერის საქმეების გამგებელი კავკასიაში, ალფრედ ნავიგა-ტორი აწყობდა და მის საგვარეულო სახლში იმართებოდა.

ამასობაში მამალმა მესამედ იყივლა და ეს შეხვედრაც ასე დასრულდა.

ჩარლესტონი, სამხრეთ კაროლინა
2010.

შეხვედრა

ფრანკფურტის რკინიგზის ვაგზალია, შეიძლება ნიუ-იორკის ფენსთეიშენია ან თუნდაც მოსკოვის „სამი ვაგელი“. აღარ მახსოვს. დიდი დრო გავიდა.

პერონზე წარმოსადეგი კაცი მიახლოვდება. ოცი წლის იქნება. სახეზე ნათელი გადაჰფენია, სადღაც მიუხარია, ურიკას მიაგორებს. მძიმეს.

„კარგი ბიჭი ყოფილხარ!“ ვუთხარი მე როდესაც გავუსწორდი.

კაცი შეჩერდა. ახლადჩამომდგარი მატარებლიდან იყო. მე კი, პერონის მოპირდაპირე მხარეს მდგარი მატარებლისაკენ მივემართებოდი. ჩამოსულ-მიმავლები და დამხვდურები ერთმანეთში ირეოდნენ, ვიდექი და ინტერესით ვუყურებდი. მართლაც კარგი კაცი იყო. არც მაღალი და არც დაბალი, არც მსუქანი და არც გამხდარი, წარმოსადეგი, ძარღვიანი, გამძლე, ძლიერი.

„გზაში ყაჩაღი შეგხვდა, მაგრამ თავი დააღწიე, მძიმედ იმგზავრე. მატარებელში ცხელოდა. ორი საზღვარი გადმოლახე, ერთი არალეგალურად. ბევრი იწვალე, ურიკაზე რამდენიმე ბოთლი მშობლიური ღვინო გაქვს. ბავშვის სანახავად მიდიხარ. მიგიხარია და სიძნელეებს ვერ გრძნობ. გამუდმებით შენს პატარაზე ფიქრობ, რომელიც ჯერ არ გინახია. ჰერმანი ჰქვია. ბუნებრივია, რომ ბავშვის ნახვა ძალიან მაინტერესებს, ეს ბუნების წესია. რამდენი თვის არის?“

„ოთხი თვის არის უკვე. საიდან იცი ყველაფერი ეს?“ იკითხა მან.

„ვიცი. ჰელენე საბავშვი ურიკათი ვაგზალში დაგხვდება. შიგნით, მძინარე ჰერმანია. ფარდას გადაწევ და ცალი თვალით შეიხედავ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ამ მომენტზე დიდხანს ფიქრობდიდა ემზადებოდი. ბიჭი მომეწონება, იგი

გაპრიალებულ-გაქათქათებულია. მერე საბავშვო ურიკას მიაწვები და წახვალთ ერთად: შენ, ჰელენე და ჰერმანი. ცხოვრების მძიმე აღმართს შეუყვებით“, ვუთხარი მე.

კაცმა შემომხედა და კარგად დამაკვირდა.

„საიდან იცი რომ ასე იქნება? წინასწარმეტყველი ხომ არ ხარ?“ იკითხა მერე.

„ვიცი, იმიტომ, რომ ჩვენ ერთი და იგივე პიროვნება ვართ“, მივუგე მე.

კაცი ყურებას აგრძელებდა, ჩანთის საგორავებელი ურიკა ვერიკალურად დააყენა და ერთი ხელით დაეყრდნო. პასუხს ელოდა.

„შენ უკვე თითქმის ოცი წლის გახდი, მე კიდევ ორმოცის. შენ ჰერმანის სანახავად მიდიხარ, რომელიც პირველად უნდა ნახო. მეც იგივე ჰერმანის სანახავად მივდივარ, რომელიც თოთხმეტი წელიწადია არ მინახია. მეც შენნაირად გახარებული ვარ, რადგან ჰერმანის ქორწილში მივდივარ. ჩვენ ერთი და იგივე პიროვნება, ჩვენი შვილი ჰერმანი უნდა ვნახოთ, მაგრამ სხვადასხვა დროში“, ვთქვი მე.

კაცი დაჟინებით მიყურებდა, მერე კი მკითხა:

„გამოდის, რომ ჩემი შვილი ჰერმანი, პატარა ჰერმანი ოცი წლის შემდეგ დაოჯახდება“, იკითხა მან.

„კი ნამდვილად ასე იქნება“, დავეთანხმე მე.

„რა მქვია?“ მკითხა მან.

„რამდენიმე სახელი გექნება, ცხოვრება ასე მოიტანს, ბოლოს კი ალფრედ ნავიგატორი გახდები“, მივუგე მე.

„ახლა როგორი ბიჭია ჰერმანი?“ იკითხა მომავალმა ალფრედმა.

„ამბობენ კარგი ბიჭი არისო, მაღალი, წარმოსადეგი, ჭკვიანი, შეძლებულიც“, მივუგე მე.

„როგორ ხდება ყველაფერი ეს?“ ჩამეკითხა ალფრედი.

„დროში ტელედეპორტაციას ჰგავს, მაგრამ ეს რჩეულების ხვედრია“, მივუგე მე, მის გვერდით დავდექი. ერთი სიმაღლის ვიყავით.

„მე მასში მონაწილეობას ვიღებ?“ მკითხა მან.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ერთი და იგივე პიროვნება ვართ“.

„ძალიან აირია ქვეყანა“, თქვა ალფრედმა და დამაშტერდა.

„გაურკვევლობა კიდევ უფრო მოიმატებს“, მივუგე მე.

„შეგიძლია მითხრა მერე რა მოხდება?“ იკითხა ისევ ალფრედმა.

„კი! რატომაც არა. დღეს ბევრი რამე შეიძლება. შენ იქ დარჩები სადაც მიდიხარ. სამშობლოში აღარ დაბრუნდები. ასე მოისურვებ. მასწავლებელი გახდები. მერე ტყის მჭრელი, ოთხ წელიწადში $30 ათასს დააგროვებ რაც იმ დროს მშვენიერი თანხა იქნება. სამჯერ სერიოზულ ტრავმას მიიღებ. ერთი შემთხვევაში ხე კისრის მალებს დაგიზიანებს, შვიდჯერ წელი მოგწყდება, მაგრამ გაუძლებ. ერთი კაცი შეგხვდება. ამ ამბავს თავიდან ვერ აიცილებ. ეს უეცრად მოხდება. ცხოვრების არევის დაგიპირებს, სისხლს გაგიშრობს, საცურაოდ შესულს ტბაშიც კი შემოგყვება, მაგრამ ველარ გამოვა. იქ დარჩება. ერთი კუდიანი კაცი მატარებლიდან გადავარდება, უკან არაფერზე დაიხევ. სამჯერ მძარცველები დაგესხმებიან თავზე, მაგრამ თავს დააღწევ. ცხრა წელი დედას არ ინახულებ, მერე დედა თავად მოგძებნის და ჩამოვა შენს სანახავად. ერთი კვირა დარჩება შენთან. ჰერმანს გვერიდან არ მოსცილდება, რამდენიმე მშობლიურ სიტყვას ასწავლის, მერე წავა დედა და დიდ სევდას დაგიტოვებს. შემდეგ ერთხელ კიდევ ნახავ დედას და მის წინაშე ვალი დაგრჩება. ძმასაც დაკარგავ და დასაც, მაგრამ ამასაც გაუძლებ. როგორც ყოველთვის წყალს, ცეცხლს და ქარს მოერიდები, რადგან კარგად გახსოვს რაც ალბანელმა მკითხავმა გითხრა და რამდენიმე სხვა მკითხავმაც დაგიდასტურა, რომ თუ მათგან გამომდინარე საფრთხეს გვერდს აუვლი შენი საქმე წინ წავა. ასეთია ცხოვრება, რომელიც წინ გელის.

მერე ამერიკაში წახვალ. ჯერ ოჰაიოს ტყეებში იმუშავებ, მერე მექსიკის საზღვარზე არალეგალურ ემიგრანტებთან. ის კაცი, რომელმაც მექსიკა-ამერიკის საზღვარზე შენი მეგობარი მოჰკლა, განადგურდება. ეს ისე, რომ იცოდე და აღარ იფიქრო ამაზე. საერთოდ ყველა ისინი რომლებიც ხელს შეგიშლიან, განადგურდებიან.

რამდენიმე რელიგიურ სკოლაში ისწავლი, ქადაგებებს დაიწყებ. გამოცდილებასა და რეპუტაციას შეიძენ. უფალთან დაახლოვდები. მერე ტოტალიზატორში მოსინჯავ ბედს. უოლ-სთრითზე ლიცენზიის აღებას მოახერხებ და მალევე ალიასკოს თევზის კომპანიისგან მილიონი დოლარის აქციებს შეიძენ.

როგორც პოლიტოლოგი და ჯორჯ ფრიდმანის სტრატეგიული კვლევის ცენტრის შტატგარეშე კორესპონდენტი გახდები. დაუახლოვდები ელიტარულ „არმაგედონის ტაძრის“ სან-ფრანცისკოს ფილიალს, სადაც ჩააბარებ ცნობილ „კულმინაციის ტესტს“. 7,5 საათის განმავლობაში 1000 კითხვიდან 830 კითხვას სწორ პასუხს გასცემ და ალფრედ ნავიგატორი გახდები.

მალე ბიზონის ტყავის სქელლანჩიან ფეხსაცმელებს ჩაიცვამ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იქნება, რად-გან შენ გაიგებ, თუ ვინ ხარ. პოლკოვნიკი ჰარლანდ სანდერსი ძალიან დაგეხმარება. უკან ჰერმანის ქორწილისთვის დაბრუნ-დები და აი აქ, ამ ადგილას 22 წლით ახალგაზრდა შენს ორეულს შეხვდები“, ვთქვი მე და ალფრედს დავაცქერდი, მის სახეზე თითქოს ჩემი მონაყოლი იწერებოდა. გარინდული იდგა.

„დაახლოებით მილიონ დოლარს ჰერმანს გადასცემ და მერე კი ჯიბეთხელი ტიბეტში წახვალ, საიდანაც აღარ დაბრუნდები. ჰერმანი კი ძალიან მდიდარი კაცი გახდება. ახლა შენ ყველაფერი იცი“, დავსძინე მე.

„არა ყველაფერი არ ვიცი. ტიბეტიდან რატომ არ დავბრუნდები?“ იკითხა მან.

„ეგ შენი გადასაწყვეტი საქმე არ იქნება, მაგრამ მასზე ფიქრის უფლება გაქვს, მე ხშირად ვფიქრობ მასზე“, მივუგე მე.

„გამოდის, რომ მძიმე ცხოვრება მელის, შემდეგ კი უფრო გაიოლდება“, თქვა ალფრედმა.

„გაიოლდება ჩემო ალფრედ, გაიოლდება. ძალიან განათ-ლებული კაცი გახდები. ევანგელისტი, პასტორი, ამერიკის ოთხ რელიგიურ სკოლაში ისწავლი, ალბათ ერთ დუჟინ წიგნებს დაწერ, მერე კი შენ იცი თუ როგორ წავა ცხოვრება, ორჯერ გაგიხარდება და ერთხელაც ძალიან გეწყინება“.

„ახლა სად მიდიხარ?“ იკითხა ალფრედმა.

„სანკტ-პეტერბურგში, რამდენიმე დღეში ჰერმანის ქორწილი იქნება, თოთხმეტი წელიწადია არ მინახია ჩემი ლომი“, ვთქვი მე.

„მე კი ჰერმანი საერთოდ არ მინახია ჯერ“, თქვა მან.

„მეც თითქმის ისეთივე მდგომარეობაში ვარ, მინდა ჩუმად ვნახო ჩემი ბიჭი. ჯერ შორიდან შევხედო, როგორ მოძრაობს, როგორი მანერები აქვს, მინდა შევეჩვიო. მერე მივალ და ვეტყვი: „გამარჯობა, ჰერმან! ეს მე ვარ!“ ხელს ჩამოვართმევ, მოვეხვევი. ამბობენ დიდი კაციაო. ღირდა ამდენი წელი არ

მენახა ამ დიდებული მომენტისათვის“, ვთქვი მე.

„წამოვიდოდი შენთან ერთად. ვნახავდით ჰერმანს, მაგრამ ეს ხომ არ შეიძლება. იგი ჯერ პატარაც კი არ მინახია. ყველაფერს თავისი დრო აქვს“, თქვა ალფრედმა.

„არ შეიძლება ჩემო ძვირფასო. არ შეიძლება. მაგის დროც მოვა. ჩემამდე ცხოვრების თითქმის ერთი მესამედია გასავლელი“.

„ეს კარგიც არის და ცუდიც, როდესაც წინასწარ იცი რომ ასე მოხდება“, თქვა ალფრედმა და თვალებში შემომხედა, თავ-ის თვალებში.

„ვინ იცის, ვინ იცის“, მივუგე მე.

„ახლა წავედი. შენი მატარებელი უკვე კარგა ხანია დგას. გნახავ კიდევ ოდესმე?“ იკითხა ბოლოს და ფეხსაცმელებზე დამაცქერდა.

„არა, ალფრედ, მეტჯერ ველარ მნახავ, რაც მოხდა, უკვე დიდი საჩუქარია. შენ უკვე ყველაფერი იცი, შეეცადე მის გამოყენებას. ბედს ვერ შესცვლი, მაგრამ კორექტირება შესაძლებელია, იმიტომ რომ შენ უკვე განსაკუთრებული ხარ. აბა ყოჩაღად იყავი“.

გადავეხვიეთ და ალფრედი თავის გზას გაუყვა.

„იქნებ მოახერხო და დედას მეტი ყურადღება დაუთმო. ბოლო გზაზე გააცილე, მამის გვერდით დაკრძალე, სიცოცხლეში კი მეტი ყურადღება დაუთმე, მე ვერ მოვახერხე“, მივაძახე ალფრედს.

ალფრედმა მოიხედა, მაგრამ ველარ დამინახა, აღარ ვჩანდი.

ჩარლსტონი. 2008

ფრთხილად ვიქნები დედი!

სან ფრანცისკოს ძველი პორტის გვერდით, ტურისტების ბოღაზის წინ გრძელ სკამზე ვზივარ და ვფიქრობ ცნობილი ციხე-მუზეუმი ალკა-თრასა დღეს მოვინახულო თუ ხვალ-მეთქი. უკვე თხელი ბინდი ემოსა დიდ ქალაქს. საღამოვდებოდა. ყურეს გადავყურებ. მარცხნივ ნაპირიდან კარგა მოცილებით კუნძულზე მოტივტივე ალკა-თრასაა, მარჯვნივ კი არანაკლებ განთქმული ოქროს ხიდის დასაწყისი კლდოვან ნაპირზეა ჩამოდებული. ხიდის დანარჩენ ნაწილს პორტის შენობა ფარავს. გრილი ნიავი ხეთა ფოთლებს აშრიალებს. ჩემს წინ კარგი ხალხი მიდი-მოდის. ამერიკაა.

უეცრად ზურგსუკან მჭახე ჯახის ხმა მომესმა. კიდევ ერთი, მერე კიდევ ერთი. სკამზე შევხტი და შევტრიალდი. ვხედავ, უზარმაზარი ცისფერი, ორსართულიანი „მეგა-ბასი“ გზის საპირისპირო მოძრაობაზე გადმოვიდა და სწრაფად მოინევს ჩემი მიმართულებით. სამი მანქანა გვერდით მოისროლა, შემდეგ სიჩქარის შეუნელებლად შარა-გზის გასწვრივ მდგარი ელექტროგაყვანილობების შემაკავებელი ხის ბოძი გადაამტვრია, ჩემს წინ ხალხის სასეირნო მოედანი გადაივაკა და პორტის წინ ავტოსადგომზე შეიჭრა, შავ „ფორდ-ექსპედიშენს“ დაარტყა და გაჩერდა. ეს იმდენად სწარფად მოხდა რომ ხალხმა განძრევაც კი ვერ მოასწრო, სადაც იდგნენ იქვე გაშეშდნენ. საბედნიეროდ „მეგა-ბასს“ არავინ უმსხვერპლია.

„მძღოლს ალბათ გულმა უღალატა“, გავიფიქრე შეწუხებულმა და ჩემი მანქანისკენ გავემართე. იგი გვერდებდალეწილი „ფორდ-ექსპედიშენის“ გვერდით იდგა. დაფერდებულ „მეგა-ბასს“ შემოვუარე, ჩემი მანქანის კარი გამოვაღე, ჩავჯექი და გავირინდე. დიდ ხიფათს ავცდი. უკვე მერამდენედ. „მეგა-ბასს“ შეეძლო ჩემთვისაც დაერტყა სკამზე რომ ვიჯექი და ათი ფუტის წინ რომ ჩამიქროლა წინ და ჩემი მანქანისათვისაც,

რომელშიც 40 გალონი დიზელის საწვავი მქონდა, იახტისათვის ემერივილის ვერფებზე რომ რემონტდებოდა. ცეცხლი რომ გაჩენილიყო ყველაფერს მოსპობდა, საბუთებსაც, რომელთა გაქრობის შემდეგ მეც დიდი ხნით გავქრებოდი ლეგალური ცხოვრებიდან. მაქანის საჭეს თავი დავადე, თვალები დავხუჭე და ჩემს ცხოვრებას გავხედე.

ბავშვობიდან ვოცნებობდი მანქანის ტარებას. კარგი რეაქცია, გათვლა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი მქონდა. შესაძლებელია შესანიშნავი ავტომრბოლელი გამოვსულიყავი. მაგრამ ჩემი ოჯახი ადრე დაობლდა, მამამ ადრე დაგვტოვა, და ამიტომ ოჯახს მანქანა არ ჰყავდა, თანაც თავმოყვარე ქალაქელი ვიყავი. ეს გარემოება კი ხელს მიშლიდა მანქანა მეტარებინა.

სოფლელი რომ ვყოფილიყავი მანქანის ტარებას ალბათ ადრიანად ვისწავლიდი. სოფლის ორღობეები მეტწილად თავისუფალია ხოლმე და დაინტერესებული სოფლელი ყმაწვილი მანქანისა და ტრაქტორის ტარებას, ასევე სოფლის კლუბში კინოფილმების გაშვებას ადრიანად სწავლობს.

გადიოდა წლები, მანქანას კი ვერ ვატარებდი, ოცნება ოცნებად რჩებოდა. ის რაც სხვებისთვის იოლი საქმე იყო, ჩემთვის აუღებელ ციხედ იქცა. არ გამოჩნდა კაცი, ვინც ჩემს ცხოვრებაში უანგაროდ შემოვიდოდა და მეტყოდა:

„აბა ჩემო კარგო, დრო არის შეწყვიტო შენი წიგნების კითხვა და ფეხბურთის თამაში. მოდი დავამთავროთ შენი ოცნება. ვაქციოთ იგი რეალობად. წავიდეთ ლისის ტბაზე. დაჯექი ჩემს მანქანაზე და თვალი და ხელი გაავარჯიშე“.

ასეთი ადამიანი არ გამოჩნდა, ხუთჭიდელი გავხდი, ცხენს ვაჭენებდი, პისტოლეტიდან ვისროდი, ვვარჯიშობდი, როგორც ალპინისტმა რამდენიმე მწვერვალი ავიღე, თხილამურებზე და გორგოლაჭებზე დავდექი, მაგრამ მანქანის საქმე კი ვერ გადავწყვიტე. არავინ იყო, ვინც ამ საქმეს გადამიწყვეტდა. ყველა უარზე იყო, კნაოდნენ აქაოდა მანქანას გამიფუჭებო. ჩემი ამხანაგებისა და ნათესავების წრეს თითქმის ყველას მანქანები ყავდათ, მე კი არა. ეს დიდი კომპლექსი იყო.

ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ზურა სიხარულიძემ მანქანით გამომიარა, ღვინოები იყიდა და მთაწმინდის პანთეონის დაკლაკნილ გზებს აუყვა.

„ზემოთ, პანთეონის შესასვლელთან ერთი კარგი ადგილი ვიცი და იქ დავლიოთ“, თქვა ზურამ.

იგი მაღალი, კოხტა, დახვეწილი მანერების მქონე სამედიცინო ინსტიტუტის მუდმივი სტუდენტი იყო. პატარა მანქანა ყავდა, რომელშიც ძლივს იმართებოდა.

მახსოვს, ვარსკვლავებით გაჩაღჩაღებული ღამეა. ლამაზია მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან დანახული ღამის თბილისი, მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, შორიდან, თორემ ახლოს რომ მიუახლოვდები მოსკოვის ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ტუალეტია.

ღვინოს ბოთლებიდან ვსვამდით. ასე უფრო პრაქტიკული იყო, თანაც უკეთესად ათრობდა. ზურა შეზარხოშდა. გატაცებით ალაპარაკდა ამაღლებულ თემებზე: გალაკტიონ ტაბიძეზე, იაკობ გოგებაშვილზე, საქართველოს გმირებზე, რუდოლფ შტაინერზე, ალფრედ როზენბერგზე, თავის მამაზე, ანუ ჩემს ბიძაზე, განუმეორებელ ვასო სიხარულიძეზე, სოციალისტური შრომის გმირზე და ოთხგზის ლენინის ორდენოსანზე. ოზურგეთის რაიონის ყოფილი რაიკომის მდივანზე რომელიც იმ დროს დააპატიმრეს როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად გასახდომად ემზადებოდა. ეს მოხდა 39 წლის ასაკში. ერთხელ ხმა გავარდა, რომ ვასოს ოთხი ლენინის ორდენი მოპარესო და ამ საქმეში მისი ერთ-ერთი უახლოესი ნათესავი იყო გარეულიო, მაგრამ მე ეს არ მჯეროდა.

ზურა აღფრთოვანებით საუბრობდა თავის ძმაზე მწერალ ვოვა სიხარულიძეზე ანუ ჩემს ბიძაშვილზე, საერთოდ სიხარულიძეების ფენომენზე, ვოვას თანაკლასელებზე, თავის ნათლიაზე ზვიად გამსახურდიაზე, საქართველოს მომავალ ეროვნულ გმირზე მერაბ კოსტავაზე, გურამ დოჩანაშვილზე, ჯონდო მეტრეველზე, გურამ სხირტლაძეზე, ჯემალ შუბითიძეზე, საზღვარგარეთ დროულად თავდაღწეულ ნუგზარ შარიაზე და მრავალ სხვა მომავალში გამოჩენილ და მერე გარდაცვლილ ადამიანებზე.

მე სტუდენტი ვიყავი, ბევრი წიგნი მქონდა წაკითხული, მაგრამ მანქანის ტარების დარდი მკლავდა. ზურას შევბედე და ვკითხე:

„შეიძლება მანქანას აი იქ მოსახვევამდე მივიყვან?“

ზურამ ამაყად მომიგო:

„ცოლს და მანქანას ვერავის ვათხოვებ“.

ეს განაჩენი იყო. თავმდაბლად დავდუმდი. ასე გადაიდო ჩემი მანქანის ტარების საქმე მრავალი წლით.

ბოლოს საქართველოს მთავარი ტოქსიკოლოგის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის მიხეილ ვაშაკიძის შვილმა კაკო ვაშაკიძემ ივაჟკაცა და გარისკა: რუსთავში იმ სახლის გარშემო სადაც ჩვენი კლასელი და მეგობარი როსტომ კობახიძე ცხოვრობდა ორი წრე დავარტყი. მადლობა კაკოს! მაგრამ ეს ორი წრე საქმეს არ შველოდა.

მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ რუსეთის ჩრდილოეთში, თითქმის ფინეთის საზღვართან მდებარე ქალაქ სორტავალაში, 33 წლის ასაკში ერთი შებერტყილი სომეხი მოყმისგან არტურ ეგიზარიანისაგან, „volksvagen LT-28“ ვიყიდე. ოთხი ტონის ტარება შეეძლო. არტურმა მანქანა დათქმულ ადგილას მოიყვანა, გადავაფორმეთ, ფული ჯიბეში ჩაიდო და შემდეგ ადრე მიღწეული შეთანხმების საწინააღმდეგოდ განაცხადა, სეგეჟაში სადაც ვცხოვრობდი მანქანას ვერ ჩამოგიყვანო. ცოლი სამწუხაროდ ორსულად არისო. რა თქმა უნდა, არტური ტყუოდა. მას ცოლი არ ჰყავდა. ეზარებოდა. ასე რომ სორტავალადან სეგეჟამდე 340 კილომეტრი გზა ღამით მარტომ გამოვიარე. შეიძლება ითქვას, რომ მანქანის ტარება იმ ღამით ვისწავლე.

გავა დრო და მანქანის კარგი მძღოლი გავხდები. ყინვაში თუ სიცხეში, თოვლში, მოლიპულ მზეზე თუ მუხლებამდე ტალახში, ტყე-ღრეში თუ ავტობანებზე, მსუბუქ მანქანებს, ავტობუსებს თუ თრაქებს თავისუფლად ვატარებდი. ათი ათასობით მილი გავიარე რუსეთის, ფინეთის, ბელორუსიის, უკრაინის, პოლონეთის, მექსიკის, შეერთებული შტატების, კანადის, სამხრეთ კორეისა თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გზებზე.

რატომ გამახსენდა ეს ამბები აქ, სანფრანცისკოში სადაც ჩემს გვერდით ავტოინციდენტი მოხდა? ყველა მოვლენა ცხოვრებაში ღრმა და ორგანულ ურთიერთკავშირშია.

მახსენდება ის დღე როდესაც დაბა კონჩოზეროში ვიყავი. ჩემი ვაჟიშვილი ჰერმანიც თან მახლდა. იგი ემიგრაციაში დაიბადა და ახლა სკოლაში არდადეგები ჰქონდა თან ფეხსაცმელებით ვაჭრობაში მეხმარებოდა.

როდესაც ვაჭრობას მოვრჩით ფული დავთვალე, ჰერმანს როგორც დამხმარეს თავისი წილი მივეცი და ვუთხარი:

„დაჯექი საჭესთან და სეგეჟაში წავედით-მეთქი“.

ჯერ უარზე იყო 10 წლის ბიჭი, მერე კი ვუბრძანე და ჰერმანმაც ბერიოზოვსკამდე მხნედ ჩამოიყვანა მანქანა. აქედან მოძრაობა რთულდებოდა, წინ რკინიგზის გზა-ჯვარედინი, ინსპექცია და ქალაქში შესასვლელი იყო, ამიტომ საჭესთან მე გადავჯექი.

ასე რომ წყალში თუ არ გადახტები ცურვას ვერ ისწავლი. ასე დაემართა ჰერმანს. მან პირდაპირ ნულიდან დაიწყო მსუბუქი სატვირთო ავტოთრაქის „Volkswagen LT-28“-ის მართვა.

დედაჩემი თამარი ისე წავიდა, ამ ქვეყნიდან რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილე. როდესაც ეს უბედურება მოხდა, კორეაში ვიყავი. ამავე დროს დედა ჩემი ბიჭის დავაჟკაცებას ვერ მოესწრო. ასეთია ემიგრანტის ბედი. ისღა დამრჩენოდა მშობლებსა და ახლობლებს გონებაში გავსაუბრებოდი. ახლაც როდესაც ვუყურებდი ჩემს ბიჭს დედა მახსენდებოდა.

„ჩემო საყვარელო დედიკო! რომ გენახა თუ რა საქმიანად და ლამაზად ატარებდა ჰერმანი მანქანას, გესიამოვნებდა. მე თუ ყველა მეკნავებოდა მანქანის თხოვება-ტარების შესახებ, ჰერმანს ეს არ დაემართება. ვფიქრობ იგი საუკეთესო მანქანების პატრონი იქნება. ასეა ეს ჩემო დედიკო! ჰერმანი უკვე დიდი ბიჭია, 10 წლის არის და მანქანასაც დააქროლებს აქეთ-იქით“.

მართლაც წლები გავა და ჰერმანი შესანიშნავი მძღოლი გახდება, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მოივლის და ბოლოს კანარის კუნძულზევე დასახლდება.

ფრაგმენტი წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

1993 წელი. 24 ივლისი. კონჩოზეროდან ჰერმანმა კიდევ ერთხელ ჩამოიყვანა მანქანა. ჰერმანი კარგ ხასიათზე იყო. ბევრი ფული იშოვა და თავს მდიდრად გრძნობდა. ყოველ წაკითხულ წიგნში პრემიას ვაძლევდი. ასე რომ დღეს „გრაფი

მონტე-კრისტოს“ ორი ტომის წაკითხვაში და გაყიდული ფეხ-საცმელების ჰონორარის ჩათვლით თითქმის ასი დოლარი გამოუვიდა. ცხელოდა. გზად სანდალის ტბაზე საბანაოდ გადავუხვიეთ. მთავარი გზიდან გადახვევისთანავე კინაღამ შუქის ბოძს შევეჯახეთ. ჰერმანმა მანქანის გაჩერება მოასწრო. გადავრჩით. უკან დახევის შემდეგ მიწის ბორცვს დავეჯახეთ. ჰერმანს ავუხსენი რომ სავალდებულოა სანამ მანქანას უკან დახევ სარკეში სამივე მხრიდან უკან გაიხედო და მერე დაიწყო მოძრაობა, ხოლო გზაზე ყოფნის დროს უკან საერთოდ არ დახიო მანქანა-მეთქი. როგორც იქნა ტბის ნაპირს მივაღწიეთ. ჰერმანი კარგი მოცურავეა. ცურვის მე-2 ღირსება აქვს. მეც ყოფილი ხუთჭიდელი ვარ, კარგად გავგრილდით. ბერიოვოზკის გზა-ჯვარედინამდე მანქანა კვლავ ჰერმანმა ატარა, შემდეგ კი მე შევცვალე.

ის დღე ასე დამთავრდა.

შემდეგ დღეს სავაჭროდ გირვასში წავედით. უკან დაბრუ-ნებისას ჰერმანმა ბერიოზოვსკაის გზა-ჯვარედინი, რკინიგზის გადასასვლელი და ავტო ინსპექციის პოსტი დამაჯერებლად გაიარა და ქალაქში შევედით. მომეწონა ჩემი ბიჭი და ხელის გასავარჯიშებლად ავტოპოლიგონზე წავედით. პლაცაზე შევედით თუ არა ჰერმანმა იყოჩაღა მილიმეტრებით აუარა გვერდი წინ მიმავალ მოსახვევიდან ახლად შემოხვეულ სატვირთო მანქანას, რომელიც მოულოდნელად შუა გზაზე გაჩერდა. ეს სამი შემთხვევა.

იმავე დღეს პოლიგონზე შუქის სვეტს ისევ კინაღამ შევეჯა-ხეთ. გადავრჩით. ეს ოთხი. მიუხედავად ამისა, მანქანიდან გადმოვედი და ჰერმანმა დამოუკიდებლად პოლიგონს თხუთ-მეტჯერ დაარტყა წრე. ყოველი წრე ისე იყო მოწყობილი, რომ გზა სამ სხვადასხვა ხასიათის წინაღობაზე და ხელოვნურ 100 ფუტიან გვირაბში გადიოდა, სადაც შუქის ჩართვა იყო საჭი-რო, ერთგან კი უკანა სვლითა და სარკეების გამოყენებით ხელოვნურ ავტოფარეხში შესვლა. ჰერმანმა ყველა მოთხოვნა ფრიადზე შეასრულა.

1993 წელი. 26 ივლისი. კვლავ ცხელა. მე და ჰერმანი კედროზეროში წავედით. ვიცოდი, რომ იქ ხალხმა ხელფასი აიღო და კარგი ვაჭრობა იქნებოდა. სულ აქეთ-იქით, მოხრე-შილ გზაზე ჰერმანმა 50 მილი გაიარა.

უკან დაბრუნების დროს ცარიელი ტყისმზიდი „სისუ“ შემოგვხვდა. მანქანა მისაბმელით იყო და თამაშ-თამაშ დიდი სისწრაფით მოდიოდა თან შარა გზას ამტვრიანებდა. იმ ადგილას ირიბმოსახვევიანი ვიწრო გზა იყო და „სისუს“ ძლივს ავუარეთ გვერდი. გადავრჩით. ურთიერთშეხვედრის დროს „სისუ“ შიდა წრეზე მოდიოდა, ჩვენ კი გარე წრეზე ვმოძრაობდით. ტყის მზიდს მისაბმელი კუდი რომ მოექნია ხელუკულმა გაგვარტყამდა და გზიდან მოგვისვრიდა. დარტყმას კი მძღოლის მხარე ანუ ჰერმანი მიიღებდა.

ეს ხუთი შემთხვევა. ყველაზე საშიში პირველი, მესამე და განსაკუთრებით კი მეხუთე შემთხვევა იყო. ჰერმანს მანქანა გავაჩერებინე. იქვე გზისპირას რუსთან ჩავივაკე და მუხლებზე დავეშვი.

„რას ვაკეთებ!“ გავკიცხე ჩემი თავი.

„ხომ არ გავგიჟდი? რატომ ვრისკავ ბავშვის სიცოცხლეს? იმიტომ ხომ არა, რომ პატივმოყვარეობა დავიკმაყოფილო და ვიტრაბახო, რომ ჩემმა პატარა ბიჭმა მანქანის ტარება იცის-მეთქი? მართალია, რომ რაც მე უარყოფითი შემემთხვა ბავშვობაში და დამაკლდა, ის ჰერმანს არ უნდა გადახდეს, მაგრამ ხომ შეიძლება რომ უხიფათოდ შევასწავლო მანქანის ტარება? რატომ ვაჩქარებ მოვლენებს? საით მიმაქროლებს ბედისწერა?

ასე არ ვარგა. უნდა მოვთოკო თავი. ყველაფერი უფლის ხელშია, მაგრამ ჩვენზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. უფალს ფანატიკოსი და ამჩატებული არ უყვარს. ამ ხუთ შემთხვევაში შემოქმედმა დამინდო, მაგრამ დიდი გაფრთხილება მომცა. უნდა გავუფრთხილდე ჩემს თვალის ჩინს, ჩემს ჰერმანს, არ უნდა დავაყენო იგი დარტყმის ქვეშ. თვალები ზეცას მივაპყარი:

„უფალო დამიცავი ამ გამწარებულ წუთისოფელში. მომისპე ამპარტავნობა და ქედმაღლობა, მაგრამ მომეცი ის, რასაც ვიმსახურებ და დაამშვიდე ჩემი აფორიაქებული სული.

ნუ ინერვიულებ დედი! რადგან გადავრჩით, ე. ი. უფალი ჩვენს მიმართ მოწყალეა. მოგვეცა საშუალება რომ გზა გავაგრძელოთ, მაგრამ მეტ სისულელეებს აღარ ჩავიდენ. ნუღარ ინერვიულებ ჩემი დედი ჰერმანზე, ფრთხილად ვიქნები“.

მახსოვს ჩემი პატარა ბიჭი შემაღლებაზე, მზისპირას

მდგარი მანქანის წინ დოინჯშემოყრილი ხელებით იდგა და ჩამომყურებდა, მამაჩემი რას აკეთებსო.

სან ფრანცისკოს საღამოს სიბნელე ავსებდა. ჩქარა ყველაფერი აელვარდა. სან ფრანცისკოში ღამეც კი დღე არის. „მეგა-ბასის“ მძღოლი უკვე წაეყვანათ. ქალი იყო. გარდაცვლილიყო. მგზავრები კაფეს ტერასაზე შექუჩებულიყვნენ და უყურებდნენ უზარმაზარ ევაკუატორს, რომელიც „მეგა-ბასს“ ერკინებოდა და პლატფორმაზე აჰყავდა.

მანქანა უკან დავწიე და ემერივილის ვერფებისაკენ გავემართე. ახლა იქ ვცხოვრობდი მარტო.

2008. სან ფრანცისკო. კალიფორნია.

როგორ გახდი ალფრედი?

„შეგიძლია მოგვიყვე თუ როგორ გახდი ალფრედ ნავიგატორი?“ იკითხა ერთხელ სატანამ და ალფრედს ანიშნა წინ გამოსულიყო.

ყველანი, სხვადასხვა ეროვნებისა და რასის მოციქულები და ოქროსფერთმიანი ახოვანი სატანა ვარსკვკავეთ-სითიში, ალფრედ ნავიგატორის სახლში მორიგ შეხვედრებზე იყვნენ.

„დიდი უბედურებების“ შვიდწლიანი პერიოდი ჯერ არ იყო დაწყებული და არც „ზეაღტაცება-რეფჩა“ იყო მომხდარი. ვარსკვლავეთ-სითის ხალხი ჯერთ არ ეტანებოდა. სიმშვიდე იყო ირგვლივ. ძაღლები ყეფდნენ, საქონელი ღმუოდა, მამლები ყიოდნენ და ჭინჭარი იზრდებოდა.

მოციქულები ჩვეულებრივ ღამ-ღამობით იკრიბებოდნენ და მამლების ყივილის შემდეგ იშლებოდნენ. ხანდახან ბეთლემის გამოქვაბულში მიდიოდნენ ან ნარზანზე. ზოგ-ჯერ სამების ეკლესიაზე ადიოდნენ, მერე კი ყინულეთისაკენ მიემართებოდნენ. მოციქულების ერთი ჯგუფი „ირაყლიონის“ ობსერვატორიაში დიდი ტელესკოპის მონახულების შემდეგ დევდორაკის მყინვარის გადავლით სატანას რეზიდენციიკენ იღებდნენ გეზს. საღამოს კი კვლავ ალფრედ ნავიგატორის სახლში იკრიბებოდნენ.

ახლა შუაღამე იყო და მოციქულები ვახშმობდნენ. ტრადიციულად მაგიდაზე წითელი ღვინო, წითელი ვაშლები, შოთი პურები და თევზები ელაგა. ეს ვარსკვლავეთს მდინარის, ჩქერულას კალმახები იყო. ყველანი მრგვალი მუხის მაგიდის ირგვლივ იჯდნენ. ეს ის მრგვალი მაგიდა იყო, რომლის გავლენითაც პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ჩამოყალიბდა. კედელზე კი იმ კაცის სურათიც ეკიდა, ვინც ეს გაერთიანება შექმნა.

ალფრედის ნათესავთა უახლოესი წრე სამშობლოს განთავისუფლების საქმეში აქტიურად იყო ჩართული. მაშინ მას სხვა სახელი ერქვა და მოლოქს ემსახურებოდა. ახლა კი მისი ახალი უფროსი ლუციფერი – სატანა ეკითხებოდა, თუ როგორ გახდა იგი ალფრედი.

სახლის პატრონი მრგვალი მაგიდის მოპირდაპირედ, უფრო ბუხრის მახლობლად, კედელზე დაკიდებულ ჯიხვის რქების ქვეშ მდებარე ხის სავარძელში მოკალათდა. სატანა და რამდენიმე მოციქული ანთებული ბუხრის წინ ჯირკვებზე ისხდნენ. სხვები კედლის გასწვრივ მდებარე გრძელ ტახტზე ჩამოსხდნენ. სატანას ჩათვლით სულ ცამეტნი იყვნენ. არ ციოდა.

ასეთი საუბრები მოციქულებს შორის ტრადიცია იყო. ხშირად სატანაც ყვებოდა თავის ისტორიებს. ეს თავისებური თვითანგარიში და ამბების ანალიზი იყო, რათა სხვა შემთხვევაში უფრო სწორი გადაწყვეტილებები ყოფილიყო მიღებული.

„მაშინ შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდი. არალეგალი ემიგრანტი ვიყავი. ჩემი მოყმე ჰერმანი სანკტ-პეტერბურგის პრეზიდენტისა და ტექნოლოგიური უნივერსიტეტების სტუდენტი გახდა. სწავლის დასამთავრებლად სულ ცოტა 150 ათასი დოლარი იყო საჭირო. იმის გამო, რომ ფული ძალიან მჭირდებოდა ყველანაირ სამუშაოზე ვთანხმდებოდით. ვცდილობდი ყოველ დღე მემუშავა. დღე არ გამიცდენია. არა თუ გამეცდინა ორ, ზოგჯერ სამ ადგილას ვმუშაობდი. მახსოვს ერთ დიდ სასტუმროში ჭურჭლის მრეცხავად, ანუ როგორც ამერიკელები იტყვიან დიშვოშერად დავიწყე მუშაობა. უმეტესად 18 საათს ვმუშაობდი. უფლება მქონდა ორ საათში ერთხელ 15 წუთის განმავლობაში შხაპი მიმეღო, ხოლო ყოველ 4 საათში ერთხელ ნახევარი საათი შემესვენა. 7 საათში ერთხელ კი ერთი საათი დამესვენა. ვუძლებდი“, ხაზი გაუსვა ალფრედმა.

„შეერთებული შტატები თანამედროვეობის თითქმის სანიმუშო ქვეყანაა. იგი რომის იმპერიის დღევანდელი გამეორებაა. როგორც რომის იმპერიის მოქალაქედ გახდომა იყო ძნელი, ისე შეერთებული შტატების მოქალაქედ გახდომა არის რთული ამოცანა, მაგრამ არა შეუძლებელი. იგი უნდა დაიმსახურო. ამიტომ ბედ-იღბლის მაძებრები ხშირად არალეგალურად ცხოვრობენ“, განმარტა სატანამ.

„დიახ, ბოოს!“ შესძახა ალფრედმა აღელვებით და გააგრძელა:

„ძნელია არალეგალად ყოფნა. თუ ხაფანგში მოხვდი დეპორტაცია არ აგცდება, მაგრამ თუ კანონს არ არღვევს და წესიერად მუშაობ, ათეულობით წლები ისე გავა, რომ პოლიცია ან ემიგრაციის ოფიცერი ხმას არ გაგცემს“.

არალეგალური ემიგრანტის ცხოვრება ამერიკის პარალელური ცხოვრებაა, მაგრამ იგი ათასჯერ უკეთესია ვიდრე სხვა ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრება. არალეგალებისათვის არსებობს პარალელური, ალტერნატიული კანონმდებლობა, მძღოლის მოწმობები, საბანკო ანგარიშები, აიფონები, დაზღვევები, სამედიცინო მომსახურეობა, ID და ა. შ. ჩემს დროს შეერთებულ შტატებში 13 მილიონი არალეგალი ემიგრანტი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა პატიოსანი, მშრომელი და საქმიანი ხალხი იყო. ბევრი მათგანი შემდეგ ლეგალი ხდება. ამისათვის მრავალი მექანიზმი არსებობს, მთავარია მოინდომო. მაგრამ ვაგრძელებ ჩემს მოთხრობას, იმის შესახებ, თუ როგორ გავხდი ალფრედი.

მძიმე ხასიათი მაქვს, მაგრამ მომთმენი და ამაყი. წითელ ხაზზე იშვიათად, მაგრამ იოლად გადავდივარ ხოლმე. შემიძლია ადამიანიც ვიმსხვერპლო. თუმცა კარგად ვმუშაობდი, მენეჯერები ზოგჯერ სამუშაოდან გაგდებდნენ, მაშინვე სხვა სამუშაოზე გადავდიოდი, რასაც ვნახავდი, თუნდაც დაბალ ანაზღაურებიან სამუშაოზე. ფული მჭირდებოდა. წელიწადში 25 ათასი დოლარი მქონდა გადასახდელი 6 წლის განმავლობაში. ამას გარდა იყო სხვა ხარჯები, ასე რომ დღეში 70 დოლარი გადასახადი მქონდა, დასვენების დღეების ჩათვლით. იყო შემთხვევა, როდესაც სამსახურიდან გაგდების შემდეგ ახალ სამუშაოს უცბად ვერ ვშოულობდი. მაშინ უფასოდ ვიწყებდი მუშაობას, რათა ფიზიკური ფორმა არ დამეკარგა. მერე ფულს ყოველთვის მიხდიდნენ. ამერიკა ფულს ყოველთვის იხდის.

ერთხელ ამერიკის სამხრეთში, ფლორიდის შტატში ფორთოხლის პლანტაციაში ვმუშაობდი. გარშემო მეტწილად სოფლებიდან ჩამოსული მექსიკელები იყვნენ, მშრომელი პატიოსანი ხალხი. მუშაობდნენ და ოჯახსაც კარგად არჩენდნენ. მათ შორის იყო ალფრედ კარლოს მოია, მეტსახელად „ალფრედ ნავიგატორი“. ჯერ ყურადღებას არ ვაქცევდი, ჩემთვის ვიყავი, შვილად მეკუთვნოდა. სულ მიღიმოდა, ცდილობდა ესიამოვნებინა ჩემთვის.

ერთავად ვაშლს და ფორთოხალს ვკრიფავდით დღეში 8-10-14 საათი. საათში შვიდ დოლარს იხდიდნენ. ოთახში ათ კაცს გვეძინა იატაკზე. ზოგჯერ გველები და სხვა ქვეწარმავლები გვესტუმრებოდნენ ხოლმე. იყო შემთხვევა ძილში გველი შეგეხებოდა ხოლმე სახეზე და თითქოს არაფერი, ძილს ვაგრძელებდი. ქვეწარმავლებთან ჰარმონიულად ვცხოვრობდით. ვცდილობდი ყოველდღე მემუშავა რომ თვეში სამი ათასი დოლარი გამომსვლოდა. ალფრედ კარლოსიც ჩემსავით მუშაობდა.

„საიდან ხარ?“ მკითხა ერთხელ ალფრედ კარლოსმა.

„ხორხია“ მივუგე მე.

„ვიცი თქვენი ქვეყანა. სტალინი, გურჯიევი, სააკაშვილი, მაქედან იყვნენ“, თქვა ალფრედ კარლოსმა.

ყურები ვცქვიტე. თუმცა ამერიკაში საქართველო რუსეთთან 2008 წლის ომის გამო პოპულარული იყო, ესპანურენოვან ამერიკაში მას მაინც ნაკლებად იცნობდნენ.

„მეხიკო-სითის უნივერსიტეტში ორი წელი გეოპოლიტიკას ვსწავლობდი, მერე სან-დიეგოს უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა, მაგრამ გამუდმებული ლოთობის გამო უნივერსიტეტიდან გამაგდეს“.

„რამდენი წლის ხარ?“ ვკითხე ალფრედს.

„ოცდა ორის“.

„გალოთება სად მოასწარი?“

„ერთმა გოგომ მიმაჩვია. თოთხმეტი წლიდან „კობრას“ ვსვამ. ერთი ქვართ ნახევარი 1 დოლარი ღირს. დღეში სამი ქვართი მჭირდება. ვმუშაობ და მერე ვსვამ. კვირაში 14 დოლარი მჭირდება. თვეში 56 დოლარი. ახლა თვეში სამი ათას დოლარამდე ვიღებ და ეს ხარჯი სრულიადაც არ არის“ განმარტა ალფრედმა.

ალფრედი ერთთავად ცდილობდა ჩემს გვერდით ყოფნას. შენთან თავს მყუდროდ ვგრძნობო, ამბობდა იგი. შევეჩვიეთ ერთმანეთს და რამდენიმე საემიგრაციო წელიც ერთად გავატარეთ.

ალფრედი მშვენივრად ერკვეოდა რელიგიაში, პოლიტიკაში, გეოგრაფიაში, ქალებში და სასმელში. მეგობრობაც იცოდა. ნათელი გონება ჰქონდა. მე მანქანა არ მყავდა, და რამდენჯერმე ჩემი გულისთვის შორი მოგზაურობა ჩაატარა. ორჯერ ჯორჯიის შტატში ჩამიყვანა, რამდენჯერმე ტენესისში ვიყავით. ერთხელ „არმაგედონ ჩერჩის“ კონფერენციას როგორც

დელეგატები სან-ფრანცისკოს ვესტუმრეთ. ალფრედს ეკონომიკური ჯიპის ტიპის „გეო“ ჰყავდა და იმით დავდიოდით. ერთად ვცხოვრობდით და ბევსაც ვსაუბრობდით. ამ საუბრების შინაარსი შემდეგ წიგნებში აღვწერე, მაგრამ ვატყობდი, რომ ბანქოს ბოლომდე არ ხსნიდა. ვეჭვობ, რომ შესაძლებელია მექსიკის აგენტი იყო ამერიკაში ან ამერიკის სპეცსამსახურების ინფორმატორი ამერიკის ესპანურენოვან მოსახლეობაში.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად ალფრედი ძალიან გამოცდილი და მარჯვე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მისი ინიციატივით დეტროიტიდან კანადაში არალეგალურად გადავედით. მერე იგივე მექსიკაში გავაკეთეთ. ჯგუფი ჩავარდა. მე და კარლოსმა კი რიო გრანდე ცურვით გადმოვლახეთ. კალოსი თევზივით ცურავდა, მე კი კინაღამ დავიხრჩვი. თავი დავანებეთ ჯ არალეგალების საზღვარზე გადაყვანას და ჩარსტონში დავსახლდით. მე, ალფრედ-კარლოსი, ორი პოლონელი ებრაელი ებენეზერი და ბარნაბი ხუთოთახიან აპარტამენტში ერთად დავბინავდით.

მე სამ ადგილას ვნახე სამუშაო. საღამოს 11 საათიდან დილის 7 საათამდე სასტუმრო „Hempton inn“-ში მორიგე ინჟინრად, და ღამის დაცვად ვმუშაობდი. აქ რომ მუშაობას ვამთავრებდი იქვე მახლობლად მდებარე სენტ ენდრიუს ლუთერანულ ეკლესიაში. პროპვიზორად და ინჟინრად ვმუშაობდი. დილის 7 საათიდან 11 საათამდე, აქ ვყიდულობდა პროდუქტებს, ვახარისხებდი მათ უსახლკაროებისათვის და მერე პაკეტებით ვურიგებდი. სულ 22 უსახლკარო მყავდა. ყველას სახელებით და გვარებით ვიცნობდი. ამას გარდა საღამოს შეხვედრებისათვის ვალაგებდი მაგიდებს, ვარეგულირებდი გათბობას, თუ გაზაფხული ან ზაფხული იყო სიგრილეს. საჭიროების შემთხვევაში ეკლესიის ავტობუსით აეროვაგზალში მივდიოდი მლოცველები მომყავდა და ეკლესიის სასტუმროში ვაბინავებდი. დღის 11 საათიდან შუადღის 4 საათამდე ფრენსის მერიონს სკვერის გადაღმა ბრიგადის წევრებთან ერთად სახლების სახურავებზე ფირფიტებს ვცვლიდი. იმის გამო, რომ სიმაღლის შიში არ მქონდა, ზოგჯერ დამატებით მაღალ სახლებზე ფანჯრებს ვწმინდავდი ან იქვე პორტში გემებს ვღებავდი.

ყველა სამუშაო ჩარლსტონის დაუნთაუნში იყო და საცხოვრებელიც არც თუ ისე შორს ეშლი ჰოლ როუდზე იყო.

ამ სამ სამუშაოს რომ ვრჩებოდი 4-დან 5 საათამდე ვწერდი. შემდეგ კი ვიძინებდი. ღამის 10 საათზე და 45 წუთზე ვდგებოდი და სამუშაოზე მივეშურებოდი. თუ წვიმა იყო ან ძალიან ციოდა მანქანით მივდიოდი, თუ არა და ველოსიპედით. ზუსტად ღამის 11 საათზე და 10 წუთზე სასტუმრო „Hempton inn“ ვიყავი და აღრიცხვის ღილაკს თითს ვაჭერდი. ვაფიქსირებდი ჩემს მისვლას. ღილაკისთვის 11 საათზე და 15 წუთზე რომ დამეჭირა 15 წუთი დაგვიანება გამომდიოდა. 11 საათზე და 10 წუთზე კი 11 საათს ვაფიქსირებდი. ასეთია ამერიკული წესები. ღამით კიდევ 2-3 საათს წიგნებთან და კომპიუტერთან ვმუშაობდი, ან „ჯიმ რუმში“ ვვარჯიშობდი. ასე გადიოდა დღეები, თვეები, წლები.

ალფრედ კარლოსმა სმას მოუმატა. ერთ დღეს სახურავიდან მოწყდა და ძალიან ვიმარჯვე. შევძელი მისი შეკავება და გადარჩენა, მაგრამ მენეჯერმა ყველაფერი დაინახა და ალფრედი სამსახურიდან გააგდო. ამის შემდეგ მან ჩემთან ეკლესიაში სიარულს მოუხშირა. იძულებული გავხდი, რომ უსახლკაროთა და ღარიბთა სიაში ჩამეწერა. პროდუქტებსა და ტანსაცმელს უფასოდ ვაძლევდი. ასე გადიოდა დრო, რომელიც კარლოსს კატასტროფისკენ მიაქანებდა.

ჩვენს აპარტამენტში რომ პოლონელი ებრაელები ცხოვრობდნენ ალფრედის გამუდმებული სიმთვრალის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ორივე მაგარი მომუშავე იყო და მომავალზეც სერიოზულად ფიქრობდნენ. ალფრედმა მუქარა დაიწყო, აგრესიული გახდა. იგი ლეგალურად ცხოვრობდა ამერიკაში და საბუთები წესრიგში ჰქონდა. ჩვენ სამი კი არალეგალები ვიყავით. კარლოსმა ანუ ალფრედმა შანტაჟი დაიწყო. ქურდად დაჯდა. თუ არ მომისმენთ და არ დამემორჩილებით პოლიციაში დაგასმენთ რომ არალეგალები ხართო. არც მეტი და არც ნაკლები, ასე ამბობდა.

ალფრედს თანდათან თეთრი ცხელების ნიშნები დაეტყო. ზოგჯერ დადგებოდა შუა ოთახში და ამბობდა: „ბაკ, ბუკ, ბაკ, ბუკ... ჩემს წასაყვანად მოდიან, მაგრამ არ დაგნებდებით... ყველას თან წაგიყოლებთ...“ და ა. შ.

პატარა ტანის ბიჭი იყო და ალკოჰოლი მალე ერეოდა. უკვე ველარ მუშაობდა. გულს ველარ უდებდა. ორჯერ მშენებლობაზე სამუშაო ვუშოვე, ერთხელ კი ძალიან კარგ სასტუმროში „ჩარლსტონ ფლეისში“ ჰაუსმენად დავაწყებინე

მუშაობა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა. ლოთობის გამო ყველა სამუშაოდან აგდებდნენ.

ერთ საღამოს როდესაც მეძინა, პოლიციელები დაგვადგნენ თავზე, ალფრედიმ დაგვაბოზა. პოლიციამ ორივე ებრაელის საბუთები შეამოწმეს. მერე ერთ-ერთი მათგანი, ბარნაბი თან წაიყვანეს. იგი უკენ აღარ დაბრუნდა. მერე გავიგეთ, რომ ბარნაბი ატლანტაში გადაიყვანეს, სადაც სხვა არალეგალებთან ერთად სამი თვე სადეპორტაციო ციხეში იჯდა. ამერიკის სადეპორტაციო პოლიცია ჯგუფს აგროვებს, მერე საკონსულოებისაგან ერთჯერად პასრპორტებს უკვეთავს, ჯგუფს თვითმფრინავში სვამს და სამშობლოში აბრუნებს. კარლოსი გაფხორილი დადიოდა. ახლა უკვე ნამდვილად ბარონად გრძნობდა თავს. გავიდა თვე ორი. ალფრედომ მეორე, გადარჩენილი ებრაელისაგან, ებენეზერისაგან ფულის სისტემატური გამოძალვა დაიყწო. ჩემთან ეკლესიაში თითქმის ყოველდღე დადიოდა. ტანსაცმელი და საჭმელი უფასოდ მოჰქონდა. სმით კი ებენეზერის ფულით სვამდა.

რამდენჯერმე ალფრედს შენიშვნა მივეცი. ვუთხარი:

„ჩემო ალფრედ! არ არის ლამაზი როდესაც სუსტ ადამიანს ატერორებ და ფულს ძალავ. იქნებ სჯობდეს სმას თავი დაანებო და ოჯახი შექმნა? ან სწავლის გაგრძელებაზე იფიქრო? შეხედე, თუნდაც ჩემს ეკლესიაში რამდენი კარგი გოგო დადის. მერე რა რომ კათოლიკეები არიან. ეგენი უფრო გამოდგებიან ცხოვრებაში. აი კარლა, აი ის მაღალი, ქერათმიანი, კარლა ბრუნი. ყბა ჩამოგივარდება ისეთი ლამაზია. სულ შენზე მეკითხება. რა უშავს რომ პროსტიტუტია. ფული აქვს და ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. ხომ გახსოვს თავად იესო ქრისტესაც კი რა კარგი ურთიერთობა ჰქონდა პროსტიტუტებთან. ამბობენ თავად იესოს ცოლი მარიამ მაგდალინელიც პროსტიტუტი იყო, მერე იესოს ცოლად გაყვა და მისი გამოჩენილი მოციქული გახდა. ასე რომ კარლაზე იფიქრე ძალიან ლამაზი და კოხტა გოგოა. შთამომავლობაც კარგი გეყოლებათ. უკვე დრო არის ეგ საკითხი გადაწყვიტო. ამასთან რამდენადაც ვიცი დედაშენი გამუდმებით ავადმყოფობს, სულ გეძახის ჩამოდიო. მამაშენი სადღაც გვატემალაშია გადაკარგული. შენს დას თავის ოჯახი ყავს. შენ ხარ დედის იმედი. ხომ იცი ამ ცხოვრებში დედა არის მთავარი. რამე რომ მოუვიდეს სულ დარდში იქნები. ვერ

მოინელებ. გაწამდები. აი მე უკვე რამდენი წელია დედაჩემი გარდაიცვალა, მე კი სულ ვდარდობ, რომ ყურადღება ვერ მივაქციე. მამის გვერდით ვერ დავკრძალე, რადგან ბოლო გზაზე ვერ გავაცილე, იმის გამო, რომ სამხრეთ კორეის საპყრობილეში ვიჯექი. სისულეების კეთებას თავი დაანებე. შანტაჟი არ არის კარგი საქმე. საშიშია. ხომ იცი შენი მეთოდები ყველასთან ვერ გაჭრის. ერთიც იქნება და ყველაფერი ცუდად დატრიალდება. გაანებე პოლიციის გამოძახებას თავი. ეგეთი საქციელი კარგს არაფერს შეგყრის. ხომ ნახე ტიტველი როგორ გადავხტი მეორე სართულიდან. კინაღამ ფეხი მოვიტეხე. კიდევ კარგი, რომ ფულისა და საბუთების წაღება მოვახერხე. ჩემმა იამაიკელმა გოგომ ნიკიტამ მიშველა. შორტები და მანქანა მომცა რომ სასტუმროში მივსულიყავი. იქ კი ჩემი „ინჟინერ-მეინთენენსის“ ფორმა ჩავიცვი. რას აკეთებ? მინდა, რომ დეპორტაცია გამიკეთონ?“ შთაგონებით ვარწმუნებდი ალფრედს.

ალფრედომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ეგ ებრაელები მთელ მსოფლიოს სისხლს წოვდნენ. დიდი ამბავი თუ მე ცოტათი მოვწველი. გაიხსენე მათი პროგრამა „სიონის უფროსების პროტოკოლი“, რომელიც ებრაელებმა ბაზელის სიონისტთა კონგრესზე მიიღეს. ისინი ჩვენს ექსპლოატაციას აგრძელებენ და „გოიმებად“ გვთვლიან. მოვიდა დრო, რომ მაგათ ერთი კარგად მოვუხაზოთ“.

„არ მეგონა, რომ ანტისემიტი იყავი“, ვთქვი მე.

„ვარ და მერე როგორი. პატარად აღარ მოგეჩვენები“, ნიშნის მოგებით მომიგო ალფრედიმ და „კობრა“ გახსნა.

„ეს ყველაფერი შეიძლება კარგად არ დასრულდეს, გული მიგრძნობს“, ვთქვი მე.

„რაც არ უნდა მოხდეს, მე ჩემი აზრი მაქვს“, მიპასუხა კარლოსმა, რომელიც იმისდა მიხედვით თუ როგორ ხასიათზე ვიყავი, სან კარლოს ვეძახდი და ხან ალფრედს.

„კარლოს! კარგი პასუხია, მაგრამ უადგილოა. შენი აზრი მაშინ უნდა გქონდეს როდესაც ამას ვითარება მოითხოვს. შენ კი უბრალოდ ჯიუტობ და საღ აზრს არ უსმენ“, მივუგე შეწუხებულმა.

ებენეზერიც ძალიან დაღონდა. კინაღამ იტირა, როდესაც კარლოსთან საუბარი მოვუყევი.

„ეს ვის გადავეყარეთ, რა წყალში გადავვარდე?“ მოთქვამდა იგი.

ებენეზერმა ერთი პირობა სხვა ბინაში გადასვლა ან ვინმესთან შეკედლება მოინდომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არავის იცნობდა. აქ ჩარლსტონში კარგად მოეწყო, ორ რესტორანში ბარტენდერად მუშაობდა და ცვლაში ტიპების სახით 40-60 დოლარი რჩებოდა. ხელფასიც არალეგალის კვალობაზე კარგი ჰქონდა. საათში 12 დოლარი. თუ მოახერხებდა და აპარტამენტს ცალეკ დაიქირავებდა, მაშინ 800-850 დოლარი მარტოს უნდა ეხადა. ამავე დროს შუქისა და წყლის კამპანიებში, რადგან არალეგალი ემიგრანტი იყო დეპოზიტის სახით შუქში 300 დოლარი და წყალში 100 დოლარი უნდა გადაეხადა. კარლოსის იდიოტობის გამო უცბათ 1200 დოლარი წყალში უნდა გადაეყარა, მერე კი ყოველთვიურად მინიმუმ 1000 დოლარი აპარტამენტში და ბინებში ეხადა.

ადრე როდესაც ოთხი კაცი ერთად ვცხოვრობდით, ბარნაბის დეპორტაციამდე თვითოეული ჩვენგანი ბინაში 200 დოლარს ვიხდიდით. წყალთან და შუქთან ერთად ხარჯები 250 დოლარზე ადიოდა. ახლა როდესაც სამი დავრჩით ხარჯები 330 დოლარამდე ავიდა. თუ ებენეზერი აპარტამენტიდან გავიდოდა გამოდიოდა, რომ მე და ალფრედს თითოეულს 450 დოლარი უნდა გადაგვეხადა. რადგან ბოლო ხანებში კარლოსი აპარტამენტში, წყალში და ელექტროენერგიაში ფულს არ იხდიდა, ყველაფერი ჩემს კისერზე გადავიდოდა.

ალფრედს ცხელებამ მოუმატა. მე ფაქტიურად გამუდმებით ვმუშაობდი და კარლოს მარტო ეკლესიაში ვხედავდი. საჭმელისათვის მოდიოდა. ებენეზერი კი მუდამ ტერორის ქვეშ იყო. აპარტამენტი კარლოსზე იყო გაფორმებული და ამით სარგებლობდა.

ერთ დილით ეკელსიაში არ წავედი და სასტუმროდან დილის შვიდ საათზე პირდაპირ აპარტამენტში წავედი. გზად „მანი გრამის“ ოფისში შევიარე, რომელიც დილის 8 საათზე იღებოდა, ჰერმანს ფული გავუგზავნე და აპარტამენტში შევედი. ვიფიქრე სახურავზე გასვლამდე, რომელიც 11 საათზე იწყებოდა კარგი დრო იყო და მოდი ერთს კარგად გამოვიძინებ-მეთქი.

„ლივინგში“ რომ შევედი ებენეზეტრი დამხვდა. მაგიდასთან იჯდა და ყავას სვამდა. იქვე კონიაკის სირჩა ედგა და პერიოდულად წრუპავდა.

„როგორ ხარ ამ დილით“, ვკითხე გაკვირვებულმა.

„არა მიშავს, გმადლობთ“, მომიგო ებენეზერმა.

ოთახის კუთხეში შავი ცელოფანის გაბერილი სანაგვე ტომარა იდო. იქვე გვერდით კარლოსის ფეხსაცმელები ელაგა, სამუშაოზე რომ იყენებდა ხოლმე.

„გადადიხარ?“ ვიკითხე ისევ.

„ალფრედო გადადის“, თქვა ებენეზერმა და სირჩა მოსვა.

გულმა რეჩხი მიყო. გონების კუთხეში კაეშანი შემომეჭრა, თან ვგრძნობდი, ვითარებას ვეღარ შევცვლიდი.

„თვითონ სად არის“, ვიკითხე იმედმიწურულმა.

„აი იქ“, და ებენეზერმა შავ ტომარაზე მიმანიშნა.

„რათ გინდოდა მაგის გაკეთება, ეგ ხომ პრობლემებს მოგვიტანს“, ვთქვი ხელჩაქნეულმა.

„სხვა გზა არ მქონდა. არავინ დამეხმარა, რომ სადმე გადავსულიყავი ან ვინმეს შევკედლებოდი. ებრაულ თემში ებრაელად არ მთვლიან. წესებს არ ვიცავ. შაბათობით ვმუშაობ. ვჭამ რაც მინდა, ვიყავი ორ წყალს შუა. ისედაც არალეგალი ვარ. ახლა სახელს გამოვიცვლი და საქმე უკეთ წავა“, იმედიანად თქვა ებენეზერმა.

„ამას რა ვუყოთ“, ვიკითხე მე და მაგიდას მივუახლოვდი. კონიაკი ჩაის ჭიქაში ბოლომდე ჩავცალე და სულმოუთქმელად ერთიანად გადავკარი.

„ჩარლსტონ ბეიში გადავუძახოთ“, დაასკვნა ებენეზერმა.

მაგიდას ყურადღებით ვაკვირდებოდი. მაკკარტნის ინგლისური ენის გრამატიკა, „ჯენერალ ედიუქეიშნ დიფლომას“ სავარჯიშო ტექსტ-წიგნი და ფურლცები მხატვრული უწესრიგობით იყო გაფანტული.

„მეცადინეობა როდის გეწყერბა“, ვკითხე ებენეზერს.

„თერთმეტ საათზე“.

„ახლა რას სწავლობთ“.

„პირდაპირ და არაპირდაპირ წინადადებებს“, თქვა ებენეზერმა.

„საბოლოოდ ვინ უნდა გამოხვიდე?“

„მინდა საადვოკატო კანტორა გავხსნა“.

„კარგი ებრაული პროფესიაა“.

„ნამდვილად ასეა“, დამეთანხმა ებენეზერი.

„კარგი, საღამოს ჩემი მანქანით წავიღოთ“, ვთქვი მე და დასაძინებლად ჩემს ოთახში შევედი.

ალფრედი მსუბუქი, პატარა ბიჭი იყო. გოლფის გრძელ ჩანთაში იოლად მოთავსდა. მხარზე გადავიკიდე და მანქანის

საბარგულში ჩავდე. ზედ 45 ფუთიანი გირებიც დავამატე. კუპერ რივერ ბრიჯზე ერთი მიყრუებული ადგილი ვიცოდი. იქ რამდენჯერმე ვითევზავე. უცებ მივაჭერი. მანქანა მიტოვებულ ნაძვნარში შევაგორე. უკვე ბნელოდა. ხიდის ქვეშ შევედით და შამბნარით დაფარულ წყლის ნაპირს მივუახლოვდით. ებისთან ერთად ჩანთა გავაქან-გამოვაქანეთ და ალფრედო რაც შეიძლება შორ წყალში მოვისროლეთ. წყალი აქ ღრმა იყო. საოკეანო გემები მიდი-მოდიოდნენ. სწრაფად დაბრუნებულებს ერთი უსახლკარო შემოგვეხმიანა.

„რა გადააგდეთ? ჩემთვის მოგეცათ“, თქვა მან.

ვერ მიცნო. ჩემი ეკლესიის მრევლიდან იყო. ბარი რიჩარდსი. ტანსაცმელსა და პროდუქტებს ვაძლევდი ხოლმე.

„ახლა ბარი აქ ზის ჩვენთან ერთად და ჩვენი შეხვედრების სტენოგრამას აკეთებს“, ვთქვი მე.

ბარინგტონ რიჩარდსი მაშინვე ფეხზე წამოდგა და ყველა მოციქულს თავი დაუკრა, მთხრობელმა კი გააგრძელა:

„ყელზე დაგადგებოდა“, მიუგო ებენერზერმა.

„რა, კაცი იყო?“ იკითხა ბარიმ.

„ჩუმათ თუ არ იქნები შენც იქით წახვალ“, ვუთხარი მე და დაჭმუჭნული ოცდოლარიანი ჩავუდე ხელში.

„გმადლობთ ბოოს!“ თქვა ბარიმ და შამბნარში გაუჩინარდა.

სასტუმროში წავედი. ებენეზერი კი ფეხით გაუყვა გზას სახლამდე, რომელიც ფაქტიურად ხიდის გადაღმა იყო. ბეთერი ავენიუზე და ეშლი ჰოული როუდის გადაკვეთაზე.

დღეები ერთმანეთს გაყვნენ. ახლა მე და ებენეზერი თვითოეული 450 დოლარს ვიხდიდით, წყლისა და ელექტრო-ენერგიის ხარჯის ჩათვლით, რაც საშუალოდ ორ კაცზე 100 დოლარს შეადგენდა. თუ ადრე თვითოეული ჩვენგანი საშუალოდ 220 დოლარს ვიხდიდით, ახლა ეს თანხა ორჯერ გაიზარდა და 450 დოლარი გახდა. ალფრედის სისულელეების გამო ბარნაბს დეპორტაცია გაუკეთეს, მე ხარჯები მომემატა და რაც მთავარია ერთგული მეგობრისა და თანამოაზრის გარეშე დავრჩი, რაც ასე მნიშვნელოვანია ემიგრაციაში ცხოვრების დროს.

კარლოსი წარმოშობით მექსიკის გუანა ხვატოს შტატიდან იყო. იქ მას დედა, და და ძმა ჰყავდა. კარლოსის სახელით მის დას ალბინას წერილი გავუგზავნე, სადაც ვუთხარი, რომ ლოთობის გამო თქვენს ნახვას ვერ ვახერხებ-მეთქი. ამავე

დროს ავუხსენო, რომ სამუშაოს ვეძებ და ღამეს სხვადასხვა ადგილებში ვათევ, ამის გამო კი ზედმეტ ნივთებს გიგზავნით-მეთქი.

მართლაც ალფრედოს თითქმის ყველა ნივთი, ტანსაცმელი და წიგნი გავაგზავნე, მანქანაც კი. მხოლოდ საბუთები დავიტოვე. ამავე დროს კარგად ვითვალისწინებდი იმ აზრს, რომ კარლოს ალფრედ მოია, მეტსახელად „ალფრედ ნავიგატორი“ შეერთებული შტატების რეზიდენტი იყო და მისი ძებნა რომ დაეწყოთ, კარგი დღე არ დამადგებოდა.

ერთი პირობა ვიფიქრე, მოდი აპარტამენტს გამოვიცვლი, ახალ ბინას ჩემს სახელზე გავაფორმებ და ცხოვრებას ახლებურად დავიწყებ-მეთქი. თუმცა არალეგალური ემიგრანტი ვიყავი, ბინის დაქირავება შემეძლო, მაგრამ მერე გადავიფიქრე. აპარტამენტი ძველებურად კარლოსის სახელზე დავტოვე და არსადაც არ გადავედი. მის ოთახსაც ალფრედის ოთახი დავარქვი.

თითქმის ყოველდღე რამდენიმე წუთით შევდიოდი მის ოთახში და ვუხსნიდი ალფრედს რომ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. თვითონ დაიღუპა თავი და ასეთი კარგი თავი გაახმო. მაგრამ კვლავ შენი ერთგული მეგობარი ვარ-მეთქი. თუ წიგნს გამოვცემ შენც აუცილებლად თანაავტორად დაგასახელებ-მეთქი. ალფრედო თითქოს კმაყოფილი იყო. სიზმარში არ მეცხადებოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ კარგ ადგილას გაემგზავრა. მისი საბუთები კი მათ შორის შეერთებული შტატების პასპორტი და „სოულ სექურითი“ ჯიბეში მქონდა.

ალფრედო კარლოსის მოია ოცი წლით იყო ჩემზე უმცროსი. მე 1961 წელს დავიბადე, ის კი 1981 წელს. იყო ერთი ფანტასტიკური დამთხვევა, 12 ივნისი. ორივე ამ დღეს დავიბადეთ. ეს იყო გარემოება, რომელმაც ერთმანეთთან დაგვაახლოვა. დაბადების დღეს ერთად ავღნიშნავდით ხოლმე. ამას გარდა ალფრედოს მამა 13 ივნისს დაიბადა, მამაჩემი კი 11 ივნისს. მამაჩემი 49 წლის ასაკში გარდაეცვალა როდესაც მე 10 წლის ვიყავი. ალფრედო 11 წლის იყო როდესაც 50 წლის მამა გარდაიცვალა, თუ უგზო-უკვალოდ გადაიკარგა არავინ იცოდა. ორივე დედებმა გაგვზარდეს, ორივეს და-ძმა გვყავდა, რომლებმაც თხასავით გაგვყიდეს. ალფრედოს მისი და სისტემატიურად სცემდა, ჭკუას ასწავლიდა, ბავშვობიდანვე

თრგუნავდა მის გონებას. ძმამ კი მისი სახლი მთლიანად მიისაკუთრა, თან ალფრედოს შეუთვალა, აქ აღარ ჩამოხვიდე, სახლში არავითარი წილი არ გაქვსო.

რაც შემეხება მე ჩემმა ძმამც იგივე გამიკეთა. ანდერძი გააყალბა და საგვარეულო სახლის ნახევარი მიისაკუთრა. მარცხენა ხელი, მხარი და კისერი სასტიკად დამიზიანა. ხოლო ჩემმა დამ კი ისარგებლა რა ჩემი ემიგრაციაში ყოფნით, ჩემი კუთვნილი აპარტამენტი თაღლითური გზით გაყიდა და ფული მიისაკუთრა.

ეს გარემოებებიც მე და ალფრედოს ერთმანეთთან გვაახლოვებდა და შურისძიებაზე ვფიქრობდით. თუ ალფრედო სმას შეეშვებოდა ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვეძლო, თვით მოღალატე და-ძმის ლიკვიდაციაც კი. მაგრამ ეს ამბავი არ გვახარებდა. შურისძიების პირველი კანონი ამბობს, რომ თუ შურისძიების შედეგი არ გახარებს, მაშინ იგი დროებით უნდა შეაჩერო, ფიქრი გააგრძელო და მონახო ფორმა რომ შურისძიების შედეგმა სიხარული მოგანიჭოს. ამიტომ მე და ალფრედო შევთანხმდით, რომ შურისძიების აქტი დროებით შეგვეჩერებინა და ანალიზი გაგვეგრძელებინა, მაგრამ დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩენილიყო. ამავე დროს შურისძიების მეორე კანონიც დაცული უნდა ყოფილიყო რომელიც ითვალისწინებდა რომ შურისმაძიებელი დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო. ჩვენ ფიქრს ვაგრძელებდით ამ თემაზე და საათობით ვსაუბრობდით, როდესაც ათასობით მილს ვფარავდით შეერთებული შტატების გზატკეცილებზე და შარაგზებზე. ვხედავდით, რომ ჩვენი ბედი ერთმანეთისას ჰგავდა და ეს გვაახლოვებდა.

ალფრედომ ყოველგვარი გავლენის გარეშე უკუაგდო თავის ქვეყანაში გაბატონებული კათოლიკური ეკლესია და „არმაგედონ ჩერჩის“ მიმდევარი გახდა. ეს რომ გავიგე ალფრედოს მოვახსენე, რომ ჩემს ქვეყანაში გაბატონებული მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ახლოსაც არ ვეკარები მეთქი. ალფრედოს რეკომენდაციით მეც „არმაგედონ ჩერჩის“ წევრობის კანდიდატი გავხდი.

ისე მოხდა, რომ მე და ალფრედი სან-ფრანცისკოში მდებარე „არმაგედონ ჩერჩის“ ერთ-ერთ ოფიციალურ შეკრებას დავესწარით. ალფრედოს მონდომებითა და პოლკოვნიკ სანდერსისა და ვალტერ ნიიგატის რეკომენდაციით „არმაგედონ ჩერჩის“

კანდიდატი გავხდი. „ზევს-ლუციფერ-პრომეთეოს-ამირანის“ ურთიერთ კავშირისა და „იესო ქრისტე-სატანას“ ცნობილი და უცნობი შეხვედრების შესახებ ოთხი ლექცია წავიკითხე სიეტლში, პორტ-ლენდში, სან ხოსეში და რივერსაიდზე.

შეგახსენებთ, რომ დედამიწის მოსახლეობის პროცენტი ელიტარული კლასია. „არმაგედონ ჩერჩში“ მოხვედრა და მისი დაკომპლექტება ამ კლასიდან ხდება. „ელიტ-კლასის“ წევრობისათვის მარტო სურვილი საკმარისი არ არის. საჭირო 7,5 საათის განმავლობაში 1000 კითხვიდან 750 კითხვას სწორი პასუხი გასცე. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში „ჩერჩის“ თემატიკის შესაბამისად ასამდე სტატია უნდა გამოაქვეყნო. აქედან შეერთებულ შტატებში ოცამდე სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი. უნდა იყო მინიმუმ ათი წიგნის ავტორი, რომელთაგან ორი მაინც შეერთებულ შტატებში უნდა იყოს დაბეჭდილი.

უნდა ფლობდე სულ ცოტა ერთი მილიონი დოლარის ქონებას, რომელთაგან მინიმუმ ორასი ათასი დოლარი შეერთებული შტატების საბანკო ანგარიშზე უნდა იდოს. ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა იყო. ჩოგბურთის, გოლფის, კრიკეტის, ბილიარდის ან ბანქოს თამაში უნდა იცოდე, ან იახტსმენი, ხუთჭიდელი, რაგბისტი, მოცურავე, მონადირე, ალპინისტი, პილოტი უნდა იყო. უნდა მართავდე „სესნას“ ტიპის თვითმფრინავს და პარაშუტით ერთხელ მაინც უნდა გადმოხტე. ასე რომ „არმაგედონ ჩერჩის“ წევრობა, რომელსაც ხშირად „არმაგედონის ტაძარს“ უწოდებენ იოლი არ იყო.

მე არალეგალი ემიგრანტი ვიყავი და ამის თქმა უხერხული იყო, ამიტომ ტესტი ალფრედის მესახელით „ალფრედ ნავიგატორის“ სახელით გავიარე. 7,5 საათში 830 კითხვას სწორი პასუხი გავეცი. პოლკოვნიკმა ჰარლანდ სანდერსმა, რომელიც შემდეგ ჩემი მეგობარი გახდა თქვა, რომ ჩვენი ეკლესიის ისტორიაში ასეთი შემთხვევა ბევრი არ მომხდარაო. ფინანსურმა ანალიტიკოსმა და რეელტორმა რობერტ კუოსაკმა კი მითხრა, რომ ცოტა რომ გაივარჯიშო 900 ქულიან ზღვარს გადააბიჯებო.

მოვლენებს წინ რომ გავასწროთ ვიტყვი, რომ ტექსტის გავლის შემდეგ გამოვეცი ათი წიგნი. შევაქუჩე ნახევარი მილიონი დოლარის ქონება, ვარ ხუთჭიდელი, ალპინისტი და მოცურავე. გავხდი „არმაგედონ ჩერჩის“ ოფიციალური კანდიდატი, შემდეგ

კი წევრიც. ბოლოს თავად ჩვენი უძლეველობის დახმარებით მისი მოკრძალებული წარმომადგენელი შევიქმენი დედამიწის რამდენიმე რაიონში, მათ შორის კავკასიაში.

სამწუხარო იყო, რომ ალფრედი ასე ნაადრევად გამომაკლდა, მის ოთახში ჯდომა ჩვეულებად მექცა. საათობით ვუმზერდი მის სახეს ე. წ. „ფერმანენტ რეზიდენტის ბარათიდან“. როდესაც თვალები ამებლანდებოდა მეჩვენებოდა, რომ სურათიდან ალფრედო კი არა ჩემი თავი მიყურებდა. მისი სურათის ყურება ჩვეულებრივ რიტუალად მექცა. ალფრედოს სურათი გავადიდებინე და ოთახის შუაში, მისი საწოლის თავზე დავკიდე. ლოგინზე ყოველთვის ვარდი იყო. ბოლოს ალფრედოს ოთახში დავიწყე ძილი. დღე მეძინა, ღამით კი ვმუშაობდი. დილით ეკლესიაში ვიყავი. დღე სახურავზე. ასე მიდიოდა დრო.

ჩემი აპარტამენტის მეგობარი ებენეზერიც დაწყნარდა. ალფრედი თითქოს გაქრა. აღარ არსებობდა. აღარ ვიხსენებდით. ერთხელ ებენერზერმა მითხრა ძალიან შეიცვალეო. სარკეში ჩავიხედე და შევამჩნიე, რომ მელოტ თავზე თმები ამომდიოდა, ყურებში ამოსული თმები კი ქრებოდა. სახის ნაოჭები სწორდებოდნენ, ვახალგაზრდებოდი. ამავე დროს შევატყვე, რომ ჩემი და ალფრედის სახის სიმბიოზი ხდებოდა. ბოლოს დოკუმენტებიდან და კედლიდან ხან ალფრედის სახე მიმზერდა, ხან ჩემი.

ებენეზერი დავიბარე და ვუთხარი:

„ალფრედის აიდიზე და მის შეერთებული შტატების პასპორტზე ვის სახეს ხედავ-მეთქი?“

ებენეზერი საგულდაგულოდ დააკვირდა სურათებს და აკანკალებული ხმით განაცხადა:

„კედელზე დაკიდულ სურათზე, ალფრედის აიდზე და მის შეერთებული შტატების პასპორტის ფოტოსურათზე შენს სახეს ვხედავ“.

გულის პულსმა მომიმატა.

„ეს ძალიან უცნაურია, როგორ მოახერხე?“ მკითხა ებენეზერმა.

„ენას კბილი დააჭირე“, ვუბრძანე ებენეზერს.

„ალფრედის გვერდით ყოფნა არ მინდა“, მომიგო ებენეზერმა.

„თუ ასეა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ხდება ეს“, ვთქვი მე.

„დორიან გრეის პორტრეტის ამბავია“, თქვა ებენეზერმა.

„ან ლუციფერი ჩაერია საქმეში“, გამოვთქვი ვარაუდი.

„არა! მე არ ჩავრეულვარ მაგ საქმეში“, განაცხადა ლუციფერმა და ჩიბუხი დატენა. ბუხრისკენ დაიხარა და ანთებული მუგუზალით ჩიბუხს მოუკიდა. ყველანი სდუმდნენ. ლუციფერმა რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა, ჭერისკენ მიმავალი ცისფერ ბოლს თვალი გააყოლა და გააგრძელა:

„ჩვენს შემთხვევაში ორი სხვადასხვა ასაკის და ეროვნების ადამიანის სულის ფოკუზირება ერთ წერტილში მოხდა. ერთმა მეორე შეავსო. ალფრედ კარლოს მოიას ბოლომდე გაუხსნელი პოტენციალი შენში გადავიდა. იზაბელ როდრიგესმა ალფრედს სმა შეაყვარა და მან სმას თავი არ მიანება, ამის გამო მან განვითარება შეწყვიტა. ალფრედის ასაკში შენც მაგრად სვამდი. აღარ დავასახელებ შენს სამ მეგობარს, ვისთანაც დღე და ღამე ლოთობდი, მაგრამ შენ ფიზიკურად უფრო ძლიერი იყავი და ალკოჰოლი ვერ მოგერია, ამიტომ შენ გააგრძელე განვითარება და დღესაც აგრძელებ. ალფრედის მთელი პოტენციალი შენში გადმოვიდა, შენ უფრო ძლიერი გახდი. მოგვიანებით პოლკოვნიკი სანდერსისა და კენ ჯელესპაის პოტენციალიც შენში დაფოკუსირდა. ასეთი ამბები იშვიათად, მაგრამ ხდება ხოლმე მომავალი განვითარებისათვის“, განმარტა ლუციფერმა, ჩიბუხი ღუმელში დაბერტყა და მოციქულებს თვალი გადაავლო, ალფრედს კი ანიშნა საუბარი გაეგრძელებინა.

„ასეთია ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილის ამბები“, თქვა ალფრედმა და შეიძლება სულის გასამხნევებლად თავისი ერთ-ერთი წინაპრის, თეთრიგვარდიელი გენერლის სურათს ახედა, შემდეგ მეორე სურათს, ბაბუის ძმას გემის კაპიტანს გადაავლო თვალი და გააგრძელა:

„დავიწყე ალფრედო კარლოს მოიას დოკუმენტების გამოყენება. ჯერ ფული გავაგზავნე მექსიკაში, მერე ალფრედის ვადაგასული მძღოლის ლაისენსი გავაგრძელე. გავხსენი ახალი საბანკო ანგარიშები „ბენქ ოვ ამერიკაში“, „ფერსთ ფედერალში“ და „კაროლინა კრედიტში“. ერთ მომენტში ერთ-ერთ ბანკში დიდი კრედიტი ავიღე და მეორე ბანკის კრედიტი მთლიანად დავფარე, ისე რომ შესამჩნევი ფული დამრჩა ჩემს განკარგულებაში. მერე ასეთი რამ რამდენჯერმე გავიმეორე და არავის უთქვამს უკანონო არისო. პირიქით გამამხნევეს, მითხრეს ბანკირის ნიჭი გაქვსო.

ალფრედ კარლოს მოიას სახელზე ავიღე სახელმწიფო გრანტი და სწავლა დავიწყე სან-დიეგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე, ძალიან იოლად ჩავერთე ამერიკულ სტუდენტურ ცხოვრებაში, მივიღე ალფრედის სტუდენტობის დროინდელი ფსევდონიმი „ალფრედ ნავიგატორი“ და განვაახლე მისი „ალფრედ ნავიგატორის ბლოგი“, რომელმაც მალე ხუთი ათასი მკითხველი გაიჩინა. გავხდი ჯორჯ ფრიდმანის სტრატეგიული კვლევის ცენტრის „სტრატ-ფორკასტის“ ფასიანი ექსპერტი და გამოვუშვი ჩემი პირველი წიგნი „ევრაზია-2050“.

ალფრედო კარლოს მოიასა და მისი ფსევდონიმის, „ალფრედო ნავიგატე“-ს ან „ნავიგატორის“ როგორც თავად აღნიშნავდა, ტრანსფორმაციაში დიდი როლი ითამაშა ჩემმა ვიზიტმა მექსიკაში, გუანა ხვატოში, ჩემს დასთან, სესილია პერესთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ამის შემდეგ ვგეგმავდი მენახა ალფრედოსა და სესილიას დედა, იგივე ჩემი დედა, დონა გუტიერესი რომელიც ჩემზე ექვსი წლით უმცროსი გამოდიოდა.

„როგორ გაიზარდე“, მითხრა სესილიამ როდესაც მოულოდნელად სახლში გამოვეცხადე. სარეცხს რეცხავდა. ღონიერი, მწიფე ატამივით გადატკეცილი კანის, მშრომელი სექსბომბი გოგო იყო. გადმოცემით ვიცოდი, რომ ბავშვობაში და მერეც ალფრედოს სისტემატურად სცემდა.

„რცხილას ქერქის სპირტზე დაყენებულ ნაყენს, სტაფილოს წვენთან და ე. წ. „ოქსიდენტალ პეროქსაიდის“ 3% ხსნართან ერთად დღეში ორჯერ შუადღეს და შუაღამეს ვსვამ. როგორც ხედავ ზრდას ხელს უწყობს“, ვუთხარი სესილიას და გულში ჩავიხუტე, ყელზე ნაზად ვეამბორე.

„მეც უნდა მივიღო, რომ წამოვიზარდო. ხმა როგორ შეგცვლია, უფრო შავგვრემანი გახდი, შენ ხომ წითურა ბიჭი იყავი“, თქვა სესილიამ.

„ყველაფერზე მოქმედებს. ზრდის ჰორმონები ბრალია“, მივუგე მე.

მოვინახულე რამდენიმე ნათესავი. ყველა გაკვირვებული იყო, რომ არ ვსვამდი. საუცხოო ტეკილასა და ლუდს მთავარობდნენ. ბოლოს სესილიასთან ერთად დედაც მოვინახულეთ. მან უკვე იცოდა ჩემი ჩამოსვლისა და ფანტასტიური სახეცვლილების შესახებ. დედამ როდესაც დამინახა წამოიძახ:

„ეს ჩემი შვილი არ არის“ და გული წაუვიდა.

მივვარდით, მოსულიერება დავუწყეთ, მაგრამ ამაოდ. „ემერჯენსის“ გამოძახება დაგვჭირდა. ლამაზი ქალი იყო, ეშხიანი, მაგრამ დედად მეკუთვნოდა.

„სულ შენს ხსენებაში იყო. ძალიან დარდობდა შენს უნახავობას და განიცდიდა, რომ სვამდი“, თქვა სესილიამ.

დონა გუტიერესი ძლივს მოვასულიერეთ. კინაღამ ხელიდან გამოგვეცალა, მაგრამ ჩემთან საუბარი არ უნდოდა.

„მომაცილეთ ეს თვითმარქვია“, გაიძახოდა იგი.

როგორც შეგვეძლო ვაწყნარებდით, მაგრამ ამაოდ. კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდებოდი. საძილე და დამაწყნარებელი საშუალებების მოვუმატეთ და ისიც ძილად იქცა.

სესილია თუ ადრე მცემდა, ახლა სულ ჩემს გვერდით იყო. ერთად ვსეირნობდით და ნათესავ-მეგობრებში დავდიოდით. სესილიას ქმარი მემანქანე იყო და ერთავად გზაზე აღამებათენებედა. ოჯახის საქმე მიატოვა.

„აი, რას ნიშნავს გამუდმებული დარდი. ჯერ მამაჩვენის გადაკარგვას განიცდიდა, მაგრამ როდესაც ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა და ცოლი მოიკითხა, სახლიან გააგდო. შენ ჩემი ქმარი არ ხარო, ამბობდა დედა. მერე სულ შენს ჩამოსვლას ჩიოდა. ახლა შენ ჩამოხვედი და არ გიღებს. საწყალი“, მოთქვამდა სესილია.

მეც ვეთანხმები.

ჩემს სანახავად მოვიდა ჩემი სიყრმის მეგობარი მეხიკო-სითის დასავლეთის უნივერსიტეტის ყოფილი ჩემი თანაკურსელი ხუან ერნანდესი. იგი აცკეტების ერთ-ერთი ტომის ჩამომავალი, პატარა ტანის კაცი იყო.

„რა საინტერესო კაცი გახდი, ჩემს სიმაღლე იყავი. ახლა კი რა მაღალი და ღონიერი გახდი. გათეთრებულხარ. რა კარგი აქცენტი გაქვს“, ამბობდა ხუანი და გარშემო მივლიდა. მერე ჩანთიდან ტეკილა და „კორონა“ ამოალაგა და ჭიქებში ჩამოასხა. გაუკვირდა, რომ დალევაზე უარი განვაცხადე.

„ადრე შენ დამაწყებინე სმა და ახლა კი აღარ სვამ. როგორია ამერიკაში ცხოვრება?“ კითხულობდა ხუანი და სტუდენტობის დროინდელი ფოტოსურათები მაჩვენა. შემახსენა თანაკურსელთა სახელები, მითხრა ვინ სად მუშაობდა.

თავად ხუანი ჯორჯ ფრიდმანის სტრატეგიული კვლევისა და

პროგნოზირების მექსიკური ფილიალის გამგე იყო და, ცენტრალური ამერიკის პოლიტიკურ პროგნოზირებებს აკეთებდა. ხუანმა მალევე ჩამრთო ამ საქმეში.

„საერთოდ ჩემი მექსიკაში ვიზიტი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. ვინახულე ნათესავ-მეგობრები, ვნახე ახალი სამუშაო ჯორჯ ფრიდმანის ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიონის ბიუროში და უკან ამერიკაში ნამდვილ ალფრედ ნავიგატორად დავბრუნდი“, თქვა ალფრედმა.

„კარგია!“ შესძახა ლუციფერმა და დასძინა.

„ასე გახდა ჩვენი მასპინძელი ალფრედო ნავიგატორე“, დაამატა მერე

ალფრედი სავარძლიდან წამოიმართა. ოფლად იყო გაწურული. ძალიან საპასუსიხმგებლოა ლუციფერის კითხვებზე პასუხის გაცემა. ერთი შეხედვით, ლუციფერის კითხვები უბრალოა, მაგრამ მათზე აბსოლუტურად ჭეშმარიტი პასუხი უნდა გაეცეს. აი ახლაც ალფრედმა როდესაც გაიფიქრა ყველაფერი დამთავრდაო ლუციფერმა კვლავ ანიშნა სავარძელში უკან დაბრუნდიო.

„ახლა ესეც გვითხარი შენს ნამდვილ ძმას როგორ შეხვდი? რატომ არ არის ჩვენთან ერთად?“ იკითხა ლუციფერმა.

„იგი ჩემი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ხეტიალის დროს ვარსკვლავეთ-სითის ცნობილი ობსერვატორია „ჰერაყლიონის“ დირექტორი გახდა“, თქვა ალფრედმა და მცირე ხნით დადუმდა.

„შემდეგ რა მოხდა?“ ჩაეძია ლუციფერი.

„თუმც ბავშვობიდან ვარსკვლავების ყურება უყვარდა, დიდი გადაცდომები ჰქონდა“, გააგრძელა ალფრედმა.

„კერძოდ როგორი?“ დაინტერესდა ლუციფერი.

„მოხუცებისადმი ლტოლვა, ასევე ნეკროფილური მიდრეკილება“. ახალდასაფლავებული ხანდაზმული ქალების საფლავებს ნახულობდა. საათობით იდგა ხოლმე მათ საფლავებზე. ამავე დროს მტრედების დახოცვა უყვარდა“, თქვა შეწუხებული ხმით ალფრედმა.

„რამდენი წლის იყო პირველი მტრედი რომ მოკლა?“

„სამი წლის“.

„მაგ ამბებს არაფერი ეშველება“, თქვა დამწუხრებულმა ლუციფერმა.

„მეც ასე ვფიქრობ“, დაეთანხმა ალფრედი.

„მერე რა მოხდა?“ ისევ ჩაეძია ლუციფერი.

„როგორი ყ--ც იყო ისეთად დარჩა“, ხაზი გაუსვა ალფრედმა.

„რატომ? რამე ხომ არ გავნო?“ იკითხა ისევ ლუციფერმა და მოციქულებს თვალი გადაავლო. ყველანი კედლის გასწვრივ ტახტზე ან მრგვალი მაგიდის გარშემო იჯდნენ. თასებიდან წითელ ღვინოს წრუპავდნენ.

„რეპუტაცია შემილახა. ჩემი ქონება რომელიც დანმობერთეების დედაქალაქში იყო და, რომელიც ჩემმა ნეტარმა დედამ ანდერძით მე დამიტოვა, უკანონოდ მიითვისა. ისარგებლა ჩემი არყოფნით, დაუკავშირდა რამდენიმე გაიძვერა დანმობერთელს, მათ შორის 80 წლის ცნობილ ბოზს, გააკეთეს ყალბი საბუთები და დედის ანდერძი წაბილწეს. ხოლო როდესაც აქ ვარსკვლავეთსითიში მდებარე საგვარეულო სახლში ჩამოვდივარ, სადაც მოციქულების ყოველწლიური შეხვედრები იმართება, მაშინვე სადღაც იკარგება. ობსერვატორიასაც არ ეკარება. იცის რომ ძალიან დიდი ძღ---ი აქვს ნაჭამი, მაგრამ გამჩენი არ ასვენებს. ახლა მან სახელი შეიცვალა და ირაყლიონ ირაყლიძედ იქცა“. თქვა ალფრედმა და სავარძელში შეიშმუნა.

„ჩქარა მას კარგი დღე არ დაადგება. არავინ მის დასჯას არ აპირებს. ეგეთი ხალხით არის სავსე ქვეყანა, მაგრამ დიდ გამწმენდ წნეხში კი მოყვება. ძალიან მალე დანმობერთების დედაქალაქს და მის მაცხოვრებლებს დიდი განსაცდელი მოევლინებათ. დიდი თეთრი სიკვდილი, მყინვარი „დევდორაკი“ დაასკდებათ თავზე, მათ შორის შენს ყოფილ ძმას, თავის 80 წლის დანმობერთელ ბოზ ცოლთან ერთად“, საზეიმოდ განაცხადა ლუციფერმა.

„არ მახარებს მისი და-----ა“ მოკრძალებულად შენიშნა ალფრედმა.

„ჩემს ხელშია გაზრდილი“, ხელის ჩაქნევით დაამატა მერე.

„კარგი! როგორც გინდოდეს ისე მოიქეცი. თავისუფალი არჩევანი გაქვს. როგორც შენ ამბობდი, შურისძიება უნდა გახარებდეს. თუ სიხარული არ მოაქვს შური არ უნდა იძიო. შურისძიება სამართლიანობის ზეიმია და არა სინდისის ქენჯნა და დარდი. მაგრამ თუ შურისძიების რომელიმე აქტი არ მოგწონს, ეს არ ნიშნავს, რომ შურისძიებაზე ხელი აიღო. შურისძიება წმინდა აქტია და იგი უნდა შესრულდეს. იფიქრე და მოძებნე ფორმა რომ მან გაგახაროს. ვფიქრობ, რომ შენ

ამას შესძლებ, მაგრამ „დევდორაკს“ ვერსად გაექცევი. იგი უფლის გეგმებში შედის, თუმცა რაიმეს მოვიფიქრებთ“, თქვა ლუფიცერმა და ფეხზე წამოდგა.

ყველა მოციქული უმალ ფეხზე წამოიწია, მკვდრებიც კი.

„კარგი ღამე იყო. ყოჩაღ ალფრედ! შეცდომა თითქმის არ დაგიშვია. ტესტი კარგად გაიარე. ახლა უკვე გათენდა. ჩვენმა მამალმაც უკვე სამჯერ იყივლა და დროა გარეთ გავიდეთ, ცოტა გავისეირნოთ, ვარსკვლავეთ-სითის ქუჩებს გადავხედოთ. დილის ნარზანი დავლიოთ, მერე კი ბეთლემის გამოაქვაბულში ავიდეთ, ხევის მცველი ანგელოზები და ხატები მოვინახულოთ და ბოლოს კი „კავკასიონის თვალში“ ვისაუზმოთ“, თქვა ლუციფერმა და ყველანი კიბეებზე დაეშვნენ.

ჩარლსტონი, სამხრეთ კაროლინი
2012.

გამარჯობა სამშობლო!

ჯერთ კიდევ წითელი იმპერიის დაშლამდე და შემდეგაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომიწია ცხოვრება. წლები და სულის ოპტიმიზმი სწრაფად გაფრინდნენ. დავბერდი. ჯანმრთელობაც საგრძნობლად შემერყა. აღმა-დაღმა ხეტიალის დროს ბევრი პროფესია გამოვიცვალე. ბევრი რამ ვნახე. ბევრი ხალხი გავიცანი. ამავე დროს თავისუფალი ევანჯელისტი გავხდი. დუჟინი წიგნი და ასზე მეტი სტატია დავბეჭდე. უამრავი ქადაგება და ლექცია წავიკითხე. ორჯერ მექსიკას ვესტუმრე, ერთხელ კანადას, გვატემალას და რამდენჯერმე პანამას. საარსებო საშუალებებიც საკმარისი მქონდა. ერთი პერიოდი მექსიკის შტატ გუანა ხვატოში პატარა ფერმა შევიძინე, იქვე დავსახლდი და დავოჯახდი, მაგრამ გულმა იქ დიდხანს არ გამაჩერა, ცოლს მოველაპარაკე თან ვიფიქრე, ახლა ის დროა, რომ სამშობლოში დავბრუნდე, მშობლიურ მიწას ვეამბორო, მამისა და დედის საფლავების ზღუდეები შევღებო, სამარის ქვა მოვამზადო და მშობლების გვერდით მოვისვენო-მეთქი.

ამ აზრებით აზავთებულმა 34 წლის შესვენების შემდეგ ადრეული გაზაფხულის ცივ და ნისლიან დილას სამშობლოს კარიბჭეს მივადექი. თუმცა საზღვარზე რვა ტერმინალი იყო, ორი ზანტი მესაზღვრე მუშაობდა მხოლოდ. დიდხანს ვიდექი რიგში. დღის მოახლოებასთან ერთად ზოზინი და სიბნელე თანდათან გაქრნენ. ერთ-ერთმა მესაზღვრემ საბუთები შემი-მოწმა და მკითხა:

„ჩანთებში რა გაქვთ?“

„სამუშაო წიგნებია. ზოგი ჩემს მიერ არის დაწერილი და ზოგიც სხვების მიერ“, მოკრძალებულად მივუგე მებაჟეს.

„რა პროფესიის ხართ?“

„ევანჯელისტი“.

„ეგ როგორი პროფესიაა?“ ეჭვით იკითხა მებაჟემ.

„ბიბლიის კომენტატორი ვარ“, მივუგე მე.

„ბიბლიის კომენტატორი?“ ყურები ცქვიტა მებაჟემ და კაფანდარა კოლეგას დაუძახა. იდგნენ და მცირე ხნით საუბრობდნენ, თან ყურადღებით მაკვირდებოდნენ.

„სექტანტი ხართ?“ იკითხა კაფანდარამ.

„სექტა არის ერთი ჭკუის მორწმუნეების განსაკუთრებული ჯგუფი, კრებული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სექტანტი ვარ“, მივუგე მე.

„რამდენი წიგნი გაქვთ?“ იკითხა პირველმა მებაჟემ.

„ოცდაათამდე იქნება“, მივუგე მე.

„რაზე არის?“ ჩამეკითხა კაფანდარა.

„სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის რა თქმა უნდა, რელიგიაზე“, ვთქვი მე.

„აბა მაჩვენეთ“, თქვა კაფანდარამ.

ჩანთები გავხსენი და გადმოვალაგე საიმონ და შუსტერის „მსოფლიო ისტორიის შედევრები“, ბედფორდისა და წმინდა მარტინის „დასავლეთის შექმნა“, გაეროს კრებული „სანაპიროები და ოკეანეები“, ფრენსის ფუკუიამას „ცივილიზაციების შეტაკება“, ჩემი წიგნები: „ევრაზია-2066“, „სომხეთის დიდი ბურჯი“ და სხვა, ისააკ აზიმოვის „მოთხრობების სრული კრებული“, რიდერს დაიჯესტის რამდენიმე ალმანახი, მათ შორის „შეუცნობელი“, ჰუსტავ მილერის „10 000 სიზმრის ახსნა“, ჰალფორდ მაკინდერის „მრგვალი მსოფლიო და ბრძოლა მშვიდობისათვის“, ნეშნლ ჯეოგრაფის „რენესანსი და თანამედროვე ადამიანის შექმნა“, დევიდ ჩანდლერის „სახმელეთო ბრძოლების ხელოვნება“, „იერუსალიმის ბიბლიის“ საიუბილეო გამოცდა და ბიბლიის სხვა გამოცემები.

„რა ენებზეა?“ იკითხა პირველმა მებაჟემ.

„მეტწილად ინგლისური წიგნებია, ზოგი კი ესპანურ ენაზეა გამოცემული“, ვთქვი მე.

მცირე ყოყმანის შემდეგ კაფანდარა მებაჟე დაგვცილდა და იმ გაკვერილ საცალფეხო ბილიკს გაუყვა, რომელიც მონასტრისაკენ მიემართებოდა. მონასტერი, თავისი დამხმარე ნაგებობებით და საბაჟოს შენობები ხეობაში მოჭენავე მდინარის ერთ მხარეს იყვნენ. ბერების საცხოვრებელი საუფლო შემაღლებაზე იდგა და მისი კოშკები მაღლა-მაღლა მთებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ნისლი სადღაც გაქრა და უკვე მზიანი, მაგრამ ჩრდილში ჯერ კიდევ გრილი დღე იყო. მალე პროსტატამ შემაწუხა, რადგან კარგა ხანია ხეობის ორპირ ქარში თხელი ჯვალოს მოკლე შარვლით ვიდექი. კაფანდარა ნახევარი საათის შემდეგ ზორბა ანაფორიან კაცთან ერთად დაბრუნდა. კაცს გაწეწილი წვერი და სუტ-წმინდანის იერი ჰქონდა. ანაფორიდან გამოჩრილი წაღები არანაკლებ 15-16 ზომისა იყო.

„ეს თქვენი წიგნებია“, იკითხა ანაფორიანმა, როდესაც მომიახლოვდა და მომესალმა. ეს იყო ნარევი ეგვიპტის ფარაონის თავაზიანობასა და, სუფრის თანამეინახის თავის დაკვრას შორის.

„დიახ!“ მივუგე მე და კაცს ქვემოდან ავხედე.

„რაზე არის?“

„ცხოვრებაზემ გეოგრაფიაზე, ისტორიაზე, რელიგიაზე“, მივუგე მე.

„თქვენ ქრისტიანი ხართ?“ შემცბარი ხმით მკითხა ანაფორიანმა.

„არათავაზიანობაში თუ არ ჩამომართმევთ გეტყვით, რომ ქრისტეს გულშემატკივარი ვარ“, მივუგე მე.

მებაჟეები თავმდაბლად განზე იდგნენ და ყურადღებით მაკვირდებოდნენ. ანაფორიანი სდუმდა, ხელში ოქროს საათს ათამაშებდა, რომლის გრძელი, წვრილი რგოლებისაგან შემდგარი ძეწკვი ანაფორის მარჯვენა ჯიბიდან იღებდა სათავეს.

„თავისუფალი ევანგელისტი ვარ, ქრისტიანებსაც პატივს ვცემ“ დავაზუსტე მე და ამოვიოხრე.

„საით მიდიხართ?“ იკითხა ანაფორიანმა შეწუხებული ხმით.

„ჯერთ თბილისისკენ“.

„მერე საით?“

„ოზურგეთში ალბათ“.

„იქიდან საით?“ „რატომ არ გვეტყვით?“ ჩაეძია ანაფორიანი.

„იმიტომ, რომ თავად არ ვიცი ხეირიანად ჩემო მეგობარო“, მივუგე მე და მხარზე ხელი დავადე.

ანაფორიანი შეიშმუშნა, მაგრამ ხელი არ მოიცილა.

„ხომ იცით, რომ ეს ქვეყანა მართლმადიდებლურია და ხალხიც ეჭვის თვალით უყურებს ყველა დანარჩენს. ბევრი ჭრელი ხალხი მიდი-მოდის ამ საზღვარზე“, ამიხსნა ანაფორიანმა.

„კი როგორ არა, ვხედავ“, დავეთანხმე მე და მისი მხრიდან ხელი ავიღე.

ანაფორიანმა მანქანის საბარგულში დაწყობილ წიგნებს და გახსნილ ჩანთებს ახედ-დახედა, მერე „დორიან გრეის პორტრეტის“ საიუბილეო გამოცემას ხელი აუსვ-დაუსვა და ყოყმანით მკითხა:

„ჰომოსექსუალურ ქორწინებაზე რას ფიქრობთ?“

„როგორც იესო ამბობდა დე ყველამ თავის მკვდარს მიხედოს“, სწრაფად მივუგე მე.

„იესო ასე არ იტყოდა“, ეჭვი გამოთქვა ახმახმა ბერმა თუ მღვდელმა და კვლავ საათს დააცქერდა.

„კი, როგორ არა ნახეთ მათე 8:22“, ცქაფად მივუგე მე.

„აბა მაჩვენეთ“, ჩაეძია იგი.

„ინებეთ“, და ჩანთიდან ამოღებული ახალი ამერიკული სტანდარტული ბიბლიის შესაბამისი გვერდი გადავშალე.

„ჩვენს ენაზე სად არის თქმული?“

„არ ვიცი“, მივუგე მე.

„რუსულად?“

მხრები ავიჩეჩე. ამასობაში საბაჟოში რიგი დაგრძელდა. ხალხი მოგროვდა. გვიყურებენ. მესმის ხმები: „წიგნებს უმოწმებენ“, „იეღოველია“, „თურმე ყველა წიგნი ინგლისურია“, „ამერიკის ჯაშუშია“, „ვიგვიანებთ“ და ა. შ.

„რას ეძებთ? წიგნების წაღება არ შეიძლება?“ ვკითხე მღვდელს თუ ბერს და მერე მებაჟეებს მივუბრუნდი:

„ვატიკანში შევდივართ თუ ჰომეინის სასახლეში?“

მებაჟეები დუმდნენ. პოლიციელები მოგვიახლოვდნენ. ბოლოს მღვდელმა თუ ბერმა განაცხადა:

„წიგნების წაღება რა თქმა უნდა, შეიძლება, ჩვენ თავისუფალი ქვეყანა ვართ!“

„თუ თავისუფალი ქვეყანა ხართ მაშინ რატომ მაფერხებთ?“

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ შედის და ვინ გადის, ყველას ვამოწმებთ“, თქვა ახოვანმა მღვდელმა თუ ბერმა და წვერიანი სახე მოიფხანა.

„კარგი ამოწმეთ, რა გაეწყობა“, დავეთანხმე მე.

ახოვანმა მღვდელმა თუ ბერმა კაფანდარა მებაჟეს რაღაც გადაულაპარაკა და უკან მონასტრისაკენ მიმავალ ბილიკს მოზომილი ნაბიჯით, დინჯად შეუყვა. აბრუ მიდიოდა.

„ჩასხედით“, თქვა კაფანდარა მებაჟემ და ბეჭდდასმული პასპორტი გამომიწოდა.

„გისურგვებთ დიდი ხნის სიცოცხლესა და ნეტარ სიკვდილს“, ვთქვი მე და პასპორტი გამოვართვი, მანქანის საბარგული დავკეტე და პირველ მებაჟეს მივუბრუნდი:

„მანანას აი იქ გადავაყენებ, ცოტათი გვერდზე გავალ და მალევე დავბრუნდები“, ვთქვი მე.

მალე მდინარისაკენ მიმავალი ბექობისაკენ გავემართე. ბილიკის კიდეებზე ამოსული ჭინჭარი და ეკალ-ბარდი ფეხებზე მკბენდნენ და თითქოს უკან მექაჩებოდნენ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ისინი სამშობლოს ჭინჭრები და ეკალ-ბარდები იყვნენ, თითქოს მესალმებოდნენ. წინ მივდიოდი, შესაფერის ადგილს ვეძებდი, მინდოდა წყნარად მიმედო საცო 34 წლის უნახავი მიწისთვის.

„ტუალეტი შენობაშია“, შორიდან მომესმა კაფანდარას ხმა.

„ერთი შენი დედაც...“ დიდი ხანი იყო გასული რაც მშობლიურ ენაზე არ შემეკურთხა. გულზე შვება ვიგრძენი, მხრებიდან თითქოს რამდენიმე ფუთიანი სიმძიმე მომეხსნა. ბექობს შემოვუარე და მდინარის ნაპირისაკენ დავეშვი. გარშემო მხოლოდ კავკასიონის ლურჯი ზეცა, ცად აწვდილი ჭიუხები, მზის სხივების ელვარება და ლაღად მოთამაშე მთის მდინარე, ჩემი ბავშვობის ძველი მეგობარი იყო მხოლოდ.

მუხლებზე დავეშვი. შუბლი ცივ სიპს დავადე და მოგუდული ხმით ვთქვი:

„უფალო! ძმაც დეგენერატი გამომიგზავნე და დაც. უამრავი თანამემამულე გამომიშტერე. მშვიდობით მომატარე ეს განგოზილი ჩემი ქვეყანა და მშვიდათ დამასაფლავე მამაჩემის გვერდით“.

უკან დავბრუნდი და მანქანაში ჩავჯექი. ერთი პატიოსანი სახის თანამემამულე მომიახლოვდა და ნდობით აღსავსე ხმით მითხრა:

„თქვენი წასვლის შემდეგ მებაჟემ პოლიციელებს გამოუძახა და უთხრა, ეგ მგზავრი ბექობს მიღმა მოსაფსმელად გავიდა, გავაფრთხილე, მაგრამ არ დამემორჩილაო, პოლიციელებმა თქვენი მანქანის ნომერი ჩაიწერეს და თქვეს ახლავე მოვალთო“.

თანამემამულეს თანადგომისთვის მადლობა გადავუხადე და ლოდინი დავიწყე. მალე ორი შავტუხა პოლიციელი მოვიდა და

საბუთები მომთხოვეს. მივეცი. ათდოლარიანი ქვითარი გამომიწერეს და მითხრეს:

„საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე წესრიგის დარღვევისათვის გაჯარიმებთ. თუ გაიმეორებთ ჯარიმას გავაორკეცებთ. ორი კვირის განმავლობაში თუ არ გადაიხდით საქმეს სასამართლოში გადავცემთ და უფრო მეტ ზარალს ნახავთ“.

ქვითარი გამოვართვი და დამწუხრებული გზას გავუყევი. შევატყე, ჩემი არ იყოს და ეს ქვეყანაც სიკვდილის პირას იყო მისული.

დილემა

ძალიან საინტერესოა 34 წლის უნახავი თბილისის ნახვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თბილისელი ხარ. ჩავედი და ადრე შედგენილი სიით მეგობარ-ნათესავების მონახულება დავიწყე. პარალელურად სასაფლაოებზე დავდიოპდი. ბევრი გარდაიცვალა, ბევრიც მალე აპირებდა გარდაცვალებას.

კაცები ძალიან შეცვლილებები მომეჩვენნენ. ადრე მახსოვდა, რომ ყველანი მხიარულნი იყვნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ახლა თითქმის ყველა ჩურჩულზე იყო გადასული, კაეშნით გულდახურულები და ფიქრებით დამძიმებულები დადიოდნენ. სამაგიეროდ, დედაკაცების ქოთქოთი ისმოდა ყველგან. გაკვირვებული ვიყავი. არ მეგონა რომ ადგილობრივი ქალები ასეთი ხმაურიანები იყვნენ.

რამდენიმეს გამოკლებით ყველანი მართლმადიდებლობის ბურუსში იყვნენ გახვეულები. ხალხზე ასეთი ძლიერი გავლენა კომუნისტებსაც კი არ ჰქონდათ. ვუყურებდი თუ რა მონდომებით იწერდა ყველა პირჯვარს და ყველაფერზე უფალს შენდობას სთხოვდა. მეც ვიფიქრე საეჭვოდ არ გამოვიყურებოდე მეთქი და რომელიმე ეკლესიას გვერდს რომ ჩავუვლიდი პირჯვარს სამჯერ გადავიწერდი და მუხლებამდე უფალს თავს დავუკრავდი. შენდობას ვთხოვდი. მომეჩვენა, რომ ხალხი თითქოს საჭირო ოთახში გასვლის ნებართვასაც უფლისაგან იღებდნენ. ასეთი მონდომებული მორწმუნეები ყველაზე უფრო კათოლიკურ გვატემალაშიც კი არ მენახა. დაბეჩავდა ხალხი, აზროვნების უნარი დაკარგა.

ერთ საღამოს, შებინდებისას ჩემს სიყრმის მეგობარსა და ნათესავს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს გურამ ბერაძეს ვესტუმრე. იგი ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე მრავალი წელია უმუშევარი იყო. რატომღაც მომეჩვენა, რომ

ქვეყნის ხელისუფლებას განათლებული ხალხის განადგურების პროგრამა ჰქონდა.

მისი არსი ფრიად უბრალოა, განათლებული ადამიანების რაოდენობის შემცირება, შიმშილის საშუალებით პენსიონერთა რიცხვის შეკვეცა, და ბიუჯეტის შევსება, ზომბირებული მოსახლეობის რიცხვის ზრდა და ქვეყნის ეფექტური მართვა, თუმცა შეიძლება ვცდებოდე.

გურამ ბერაძესთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მისთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდი. იგი მაკავშირებდა დედაჩემის მხარის მრავალრიცხოვან წარჩინებულ და მაღალი წოდების კეთილშობილ ხალხთან.

დოქტორი ახალი დაოჯახებული იყო. მისი მეუღლე ქალბატონი ესთერი „BP“-ში თუ „LG“-ში მუშაობდა, კარგი ხელფასი ჰქონდა, ამერიკას ვერ იტანდა, ამავე დროს ღრმა ორთოდოქსალურ გავლენას განიცდიდა. სასტუმრო ოთახის ერთი კუთხე-კედელი ორთოდოქსალურ-სლავურ-წარმართულ ტრადიციისამებრ ხატებითა და ჯვრებით იყო სავსე. კედლის წინ მოთავსებულ მოგრძო მაგიდაზე მხატვრული უწესრიგობით მიმოფანტული იყო რამდენიმე ლოცვანი, ოქროს ყდაში ჩასმული ებრაელი ხალხის არაკებისა და ზღაპრების კრებული, რომელიც ბიბლიის სახელწოდებით არის ცნობილი, „ქრისტეს მასწავლებლის ცნობარი“, სანთელ-საკმეველებით სავსე დეკორატიული თასები, შანდლები და სხვა.

ჩემს საყვარელ გურამს ჩემი ემიგრაციული შემოქმედების ნაყოფი, ოთხი წიგნი: „ევრაზია-2050“, „ვცხოვრობთ კი უკანასკნელ პერიოდში?“ „სომხეთის ოდისეა“ და „დრაკონმა გაიღვიძა“ ვაჩუქე. ყველა წიგნს სამახსოვრო წარწერა გავუკეთე და მასპინძელს მოკრძალებულად გადავეცი, თან გვარის გამგრძელებელი პირმშოს დაბადება ვუსურვე.

დოქტორი და მისი ცოლი პიტნაკის ჩაითა და დიეტური ორცხობილათი გამიმასპინძლდნენ. ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ვფიქრობდი, ნეტავი ცხონებული დედაჩემის სულმა გადმომხედოს, ვიცოდი ძალიან ესიამოვნებოდა თუ გურამს ჩემს წიგნებს გადავცემდი და თბილად ვისაუბრებდი-მეთქი.

საუბრის დროს გამოირკვა, რომ ჩემს მიერ დოქტორისადმი ამერიკიდან გამოგზავნილი ხანჯალი არ იყო კარგი საჩუქარი.

„სააკაშვილის დაცვიოს ხალხი სახლში შემოგვიცვივდა და

ხანჯალი წაგვართვეს, თან ჯარიმა გადაგვახდევინეს“, შეწუხებული ხმით განაცხადა ქალბატონმა ესთერმა, დოქტორიც უხმოდ დაემოწმა.

„სხვა რამის გამოგზავნა არ შეგეძლოთ? რა სავალდებული იყო ხანჯლის გამოგზავნა?“ დაამატა საყვედური ქალბატონმა ესთერმა.

თითქოს ცხელ ღუმელზე შემომსვესო ისე უხერხულად ვიგრძენი თავი. მე რომ ამერიკული წყალქვეშა ფლოტის ოფიცრის ხანჯალი გამოვაგზავნე ვფიქრობდი, რომ იგი კარგი საჩუქარი იყო, რადგან გამძლეა, ბოლოს და ბოლოს ხორცს დაჭრი ან ლაშქრობაში გამოიყენებ. საერთოდ, კავკასიელისათვის და ვაჟკაცი კაცისთვის ხანჯალი პირველი საჩუქარია და ახლა აღმოჩნდა, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიმიღია. შევწუხდი, თავი დავხარე და მალევე წამოვედი.

ასე თანდათან მოვინახულე სხვა ნათესავ-მეგობრები, ახლობლებისა და მეგობრების საფლავები. შევღებე მამაჩემის სამარის გისოსები, მოვახერხე კიდევ ერთი წიგნის გამოცემა და ნათესავებში მოგზაურობის მეორე წრე დავიწყე.

ერთი თვის შემდეგ პროფესორ გურამ ბერაძეს ისევ შევუარე. ამჯერად დღის პირველ ნახევარში. გურამი მარტო იყო. მინდოდა ჩემი ახლადგამოცემული წიგნი მეჩუქებინა. ცნობილია, რომ ბოლოს გამოცემული წიგნები ხარისხითა და შინაარსით სჯობია ხოლმე ადრე გამოცენულს წიგნებს, რადგან კვალიფიკაციის მომატება და გამოცდილება თავისას აკეთებს.

ჩემს ახალ წიგნს ერქვა „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“. იგი იყო მომავალი მესამე მსოფლიო ომის გეოგრაფიულ-პოლიტოლოგიურ-რელიგიური სცენარი და ძალიან მომწონდა. ვგეგმავდი მის კომიქსად გამოცემას. დარწმუნებული ვიყავი, რომ საუკეთესო კომიქსი იქნებოდა და შეერთებული შტატების წიგნის ბაზარზე თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებდა.

ჩემი სიყრმის ნათესავი და მეგობარი გურამ ბერაძე ოდნავ შეზარხოშებული იყო. ერთი კი გავიფიქრე ამ დილაადრიანად რამ შეაწუხა, რომ დალია-მეთქი. იგი უზრუნველად ცხოვრობდა. მართალია კარგა ხანია არ მუშაობდა, მაგრამ სამაგიეროდ სახელი ჰქონდა, დოქტორი იყო, ცოლი მუშაობდა და ქალაქის ცენტრში შესანიშნავი ბინა ჰქონდა.

საერთოდ, შევატყე, რომ ამ ქვეყნის მამაკაცები თითქმის უმუშევრები იყვნენ. ისინი მეტწილად ცოლების და საზღვარგარეთ წასული ნათესავების ფულით ცხოვრობდნენ. ეს ამ ქვეყნის წესად ჩამოყალიბდა, რაც არ მომწონდა.

გურამს ჩემი ახალგამოცემული წიგნი გადავეცი საჩუქრად და გავიფიქრე, რა კარგია, რომ ასეთი შესანიშნავი ნათესავი მყავს, რომელსაც უხარია ჩემი წინსვლა ევანჯელიზმის მიმართულებით-მეთქი, მაგრამ გურამმა მოულოდნელად ყინულივით ცივი წყალი დამასხა თავზე, როდესაც თქვა:

„მოძღვარმა მითხრა, რომ შენი წიგნები სახლში არ გავაჩერო და ამიტომ მას მივუტანე“.

ყურებს არ დავუჯერე. ამას ჩემი სიყრმის მეგობარი და ნათესავი, უაღრესად განათლებული ოჯახის დედისერთა შვილი ამბობდა.

„გურამ!“ შევძახე გაოგნებულმა, „რას ამბობ, ჩემი დაწერილი წიგნები მოძღვარს რატომ მიეცი. ისინი ხომ ჩვენი ბავშვობის სამახსოვროდ და დედაჩვენების ნათელი ხსოვნის აღსანიშნავად შენ გაჩუქე“.

„მე წავიკითხე შენი წიგნები. ზოგიერთმა აზრმა დამაინტერესა, მოძღვარს რჩევა ვკითხე, მან კი მიპასუხა, რომ შენი, როგორც ევანჯელისტის წიგნები სახლში არ გამეჩერებინა“, თქვა გურამმა და მიამიტური მზერა მომაპყრო.

ერთი პირობა გავიფიქრე, მოდი ავდგები და წავალ, ეშმაკსაც წაუღია ეგ მოძღვარი და გურამიც ზედ, მაგრამ წარსულს რა ვუყო? ხელის ერთი მოსმით გადავხაზო? გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი, მოთმინებით უფრო მოიგებო. აღელვებულმა საჩუქრად გამზადებული ახალი წიგნი კვლავ ჩანთაში ჩააბრუნე, ძალა მოვიკრიბე და აკანკალებული ხმით გურამს შევკადრე:

„გურამ ეს რა ჰქენი. რა იყო ამ წიგნებში ისეთი, რომელიც სამღვდელოების ცენზურაში გაატარე. იქ ხომ ჩვენი რეგიონისა და ევრაზიის კონტინენტის ზოგიერთი გეოგრაფიულ-პოლიტიკურ-რელიგიური ანალიზი იყო“.

„მოძღვარმა წიგნები დაიწუნა და მითხრა, რომ თუ მათ სახლში შევინახავდი, დაწყევლილი ვიქნებოდი“, თქვა გურამმა ჭკვიანური სახით.

„კარგი, რაც იყო, იყო. ყველაფერს მოევლება, მაგრამ თუ მათი სახლში გაჩერება არ შეიძლებოდა ჩემთვის დაგებრუნე-

ბინა, სხვებს ვაჩუქებდი. მღვდლებს რომ ჩააბარე, ეს ჩემთვის არა მარტო დამამცირებელია, არამედ სახიფათოც არის. მღვდლები ჩემს წიგნებს დაწვავენ, მე კიდევ დევნას დამიწყებენ. შეიძლება შენ ვერ ხედავ, მაგრამ აქ ორთოდოქსალური ქრისტიანიზმის ტოტალური დიქტატურაა, რომელიც ჩემი სუბიექტური შეფასებით სიძლიერით კომუნისტურ დიქტატურას ბევრად აღემატება. სამღვდელოება კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგის ნომრით ჩემს მისამართს მიაგნებს, მომძებნიან და ყოფას მიტირებენ“, ვთქვი აღელვებულმა.

„არა, არ დაწვავენ. ჩემთან სახლში იქნებოდა მხოლოდ. ისინი კი წიგნებს ბიბლიოთეკაში შეინახავენ და მათ ხალხი წაიკითხავს, შენ კი დევნას არ დაგიწყებენ, პირობა მომცეს“, თქვა ამ კეთილშობილმა მიამიტმა კაცმა.

„კი, მაგრამ მე ხომ შენთან მიმართებაში სხვა გეგმები მქონდა. შენთვის გადმოცემული ოთხი წიგნიდან ერთი დედაჩემს მივუძღვენი, ერთიც ჩემს მეუღლეს. თავში აზრი მქონდა, რომ შენთან ერთად ჩვენი შესანიშნავი ნათესავების წარსულის შესახებ ერთობლივი წიგნი დაგვეწერა და ნინა ბაბოსთვის მიგვეძღვნა. შენ კი ყველაფერს ამას ხაზი გადაუსვი, წიგნები მღვდლებს ჩააბარე, ანუ წყალს გაატანე“, ვთქვი რეტდასხმულმა.

„ასე სჯობია!“ შენიშნა გურამმა.

„რაც მოხდა იმას უკან ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ სხვა წიგნები, რომლებიც ნათესავებისთვის გადმოსაცემად დაგიტოვე, ისინიც მღვდლებს მიეცი?“ ვიკითხე ისევ შეშფოთებულმა.

„არა. ისინი ნათესავებს გადავეცი“, თქვა გურამმა.

„მადლობა ღმერთს, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებს რა ვუყოთ, ჩვენი წარსული სად წავიღოთ? ნუთი ყველაფერი ასე ცუდად არის?“

„ცუდად რატომ არის, ძალიანაც კარგად არის“, თქვა გურამმა ამაყად.

„არ არის ჩემო გურამ საქმე კარგად. პირიქით, ძალიანაც ცუდად არის. მარტო შენ არ ხარ ამ დღეში. ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. ახალი იდეები და ფიქრები ახალ გარემოში წარმოიშობა. ახალი აზრები გულს უკავშირდება და წინ მიდიხარ. ემიგრაციაში რომ ხარ გამუდმებით სამშობლოზე და ახლობლებზე ფიქრობ. აანალიზებ წარსულს. იგონებ სად რა

შეცდომა დაუშვი. ვინ გამომიწოდა დახმარების ხელი. ფიქრობ ახალი გამოცდილებითა და შესაძლებლობებით რას გააკეთებდი წარსულში. ეს არის წარსულის ანალიზი მომავლისათვის. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ როგორც ადრე გეძახდი „პატარა გურამი“, ჩემი ერთგული და სულიერი თანამგზავრი იყო. მახსოვს თუ როგორ მიმოწმებდა გაკვეთილებს მამაშენი გიორგი ალექსის ძე და დედაშენი თამარ სვიმონის ასული უმზადებდა სადილს ჩვენს ოჯახს, რომელიც ადრე დაობლდა. ვიგონებდი თუ როგორ ვთამაშობდით ბავშვობაში ღილების ფეხბურთს, რომელშიც მუდამ შენ იმარჯვებდი და ვოცნებობდი კეთილი რევანში ამელო. ვფიქრობდი თუ რა უნდა გამეკეთებინა რომ ნაწილობრივ მაინც ამენაზღაურებინა ის ყურადღება, რომელიც თქვენმა ოჯახმა ჩემი ოჯახის მიმართ გამოიჩინა. შენ კი ხელის ერთი მოსმით ყველაფერი „მოძღვარს“ ჩააბარე. შენ ხომ გაქვს შენი აზრი. პროფესორი ხარ. თავად ხარ სტუდენტების მოძღვარი. „მოძღვარმა“ რომ გითხრას წყალში გადახტიო, გადახტები?“ ვკითხე დოქტორს.

„მოძღვარი ასეთ რამეს არ მეტყვის“.

„რა თქმა უნდა, პირდაპირ არ გეტყვის. მაგრამ გვერდულად კი გეტყვის. ის, რომ ორთოდოქსი მღვდელი ევანჯელისტის მოწინააღმდეგე იქნება არ იცოდი? ეს ხომ მისი მოვალეობაა. ორთოდოქსმა უნდა იბრძოლოს კათოლიციზმის, პროტესტანტიზმისა და სხვა რელიგიების წინააღმდეგ, შამანებად გამოაცხადოს ისინი. მე მისი კონკურენტი ვარ, მაგრამ ძალა და გავლენა მათ მხარეზეა. მე არაფერი არ შემიძლია. ქვეყანა ორთოდორიზმის ბურუსშია ჩაძირული და ამას არაფერი ეშველება. მე ამ ბურისის შუქი ვარ. ამავე დროს ვარ შენი ახლო ნათესავი. შენ ჩემი წიგნები მღვდლებისთვის არ უნდა მიგეცა. მე შენთვის ევანგელისტი კი არა, შენი ბავშვობის ყველაზე უფრო ნათელი ნაწილის, ბავშვობის ნაწილი ვარ“, ვთქვი მე.

„ჩვენ უკვე სხვადასხვა აზრები გვაქვს“, მომიგო დოქტორმა.

„ძალიან კარგი. ღმერთმა დაგვიფაროს რომ ერთნაირი აზრები გვქონდეს. ქვეყანა მრავალფეროვნებით არის ლამაზი, მაგრამ როდესაც სიბნელე ბრუნდება სამწუხაროა. ისევე როგორც ადრე პარტორგანიზაციის მდივანი იჭრებოდა ცოლქმრის ურთიერთობაში, ახლა მოძღვარი, ბერი და მღვდელი იჭრება ჩვენს ურთიერთობაში. ეს დიდი მოულოდნელობაა.

ვფიქრობდი, ვიყოთ სხვადასხვა აზრებზე, მაგრამ მესამე პირი, თუნდაც მოძღვარი ან ექსტრასენსი ჩვენ არ გვჭირდება. რამდენი წლის არის შენი „მოძღვარი?“ ღიმილით მივმართე დამოძღვრილ გურამს.

„34 წლის არის“.

„როგორ მიმართავ ხოლმე?“

„თუმცა ბევრად ახალგაზრდაა ჩემზე, მე მას „მამაოს“ ვუწოდებ“.

„რა გაეწყობა. დაუძახე მამაო, მიიღე მისგან რჩევები, მაგრამ გაითვალისწინე, რომ შენ უკვე 60 წელს გადაცდი, ე. წ. „მამაო“ უკვე ბავშვად გეკუთვნის, შენ კიდევ მისთვის მამა ხარ. თაობების აღრევა უფალს არ მოსწონს. მამას მამა უნდა ერქვას და შვილს შვილი. ამავე დროს შენ თავად პროფესორი ხარ და სტუდენტებს რა რჩევები უნდა მისცე, როდესაც თავად დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებ. ასე არაფერი გამოვა. გამოჩენილი ქართველი „თაქუნი“ ივანიშვილი მამაოებისაგან რჩევებს რომ იღებდეს საქართველოს უფროსი ვერ გახდებოდა. სამწუხაროდ, ჩემო გური, შენ შუა საუკუნეების ობსკურანტიზმში ჩაიძირე. ძმა და მოძღვარი ვერ გაგირჩევია. ვწუხვარ მაგრამ უნდა გითხრა, რომ შენ შავი ფერი აირჩიე. შავ ენაზე დაიწყე ლაპარაკი. ბუნებაც და გაგებაც შავი გაგიხდა. მე უკვე ვეღარ გიშველი, რადგან გარემო უკვე ძალიან გაშავებულია. ხომ გაგიგია, არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“, ან „ხარი ხართან რომ დააბა ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ეს შენზე ითქმის ჩემო გური და შენ ერთი არ ხარ, შენი სახელი ლეგიონია.

მე იმას ვწუხვარ, რომ ჩემი ბავშვობის ნაწილი იკარგება, ჩემი ბიოგრაფიის ერთი მონაკვეთი გაქრა,. ეს დიდი ტრაგედიაა ჩემთვის, მაგრამ იგი ჩემი ხვედრია და ამას უნდა გავუძლო. უნდა შევეგუო ამ გამაოგნებელ სიბრიყვესა და უგუნურებას.

გური! ნუ იქნები გონებაჩლუნგი და ბატისტვინა. თვალი გაახილე, სინათლეს გაყევი, ნუ აძლევ შენი ბავშვობის მეგობრების წიგნებს შავ ანაფორიანებს გასაჯიჯგნად.

ეჰ, გური! გური! არ უნდა მოგსვლოდა ეს შენ, არ უნდა გაშავებულიყავი.

30 ოქტომბერი, 2015.
თბილისი, ნაძალადევი.

დაკეტილი ნავთსადგური

ეძღვნება დიმიტრი გედევანიშვილს,
რომელიც ავსტრალიაში გაუჩინარდა

ვაგზლის პერონზე ფეხი დადგა თუ არა იგი მოიცვა გრძნობამ, რომლისთვისაც თავისუფლად შეგვეძლო გვეწოდა „განსაწმენდელიდან თავის დაღწევა“. ხუთი დღე-ღამის უძინარი იგი ბედნიერი იყო, რომ თავი დააღწია ჯოჯოხეთის მატარებელს, რომელმაც ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში ხვნეშა-კვნესით ჩააჩოჩიალა. ბედნიერი იყო, რომ აღარ ისუნთქავდა საერთო ვაგონის მრავალი წლის დაგროვილ გულისამრევ სიმყრალეს, ლაყე კვერცხებისა და გაფუჭებული ყველის სუნს. უკან დარჩა ჭრელი და ბრიყვი საზოგადოების ოფლნარევი ოხშივარი და მგზავრული აყალმაყალი.

მოსული ხალვათად იყო ჩაცმული და ხელთ მხოლოდ მომცრო საკვოიაჟი ეპყრა. იგი მოზომილი, ფრთხილი ნაბიჯებით ვაგზლის ორომტრიალს გასცდა და ფართო, მოუკირწყლავ მოედანზე გავიდა, სადაც რამდენიმე წამში დაასკვნა, რომ ოთხთვალებისა და ცხენების სიმრავლის მიუხედავად, მოკლე მანძილზე გადაადგილების ყველაზე კარგი საშუალება საკუთარი ფეხები იყო.

სარანსკი, შუა რუსეთის ძველი პროვინციული ქალაქი იყო და თუ რაიმეთი გამოირჩეოდა ქვეყნის გუბერნიების სხვა, მსგავსი ქალაქებისაგან, პირველ რიგში, ეს ეხებოდა მის მოუკირწყლავ ფართო ქუჩებს და ერთსართულიან მორის სახლებს, რომელთა ფასადებს სხვადასხვა ფერის აუცილებელი ლამაზი არა-ბესკები ამშვენებდათ. თითქმის ყველა სახლს საგულდაგულოდ მოვლილი მწვანე გაზონი და დაბალზე გაკრეჭილი ბუჩქნარი გასდევდა. ეს ქალაქის ძველი ტრადიცია იყო. ითვლებოდა, რომ თუ სახლის წინ ლამაზად გაკრეჭილი გაზონი და ბუჩქნარის

სხვადასხვა სიგანის ზოლი არ არის, მაშინ ეს სახლი გულცივი და მიუკარებელია და პირიქით, კარგი ფართე მწვანე ზოლი რესპექტაბელურობის ნიშანი იყო.

ვაგზლის მოედნის მოპირდაპირე მხარეს ჩამომხმარი შესახედაობის ორსართულიანი ხის სასტუმროს გვერდით ახალი დროების სიკეთე – აბანო, საქმიანად ბოლავდა. იგი კვირის ყოველ დღე ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე, ხშირად კი მთელი ღამეც სრული დატვირთვით შრომობდა, დაუღლელად აბანავებდა და აპრიალებდა მოქალაქეებს. დროდადრო აბანოს შეჭვარტლული კარები ხმაურით იღებოდა და იკეტებოდა, ხოლო სახეშეწითლებული სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეები, სავაჭრო გილდიის წევრები და უბრალო ტყაპუჭმოსხმული „მუჟიკები“ ყელის გასასველებლად აბანოს გვერდით მდებარე ტრაქტირში მიეშურებოდნენ. აბანო და ტრაქტირი ერთ მთლიანობაში აღიქმებოდა და რომელიმე ერთში შესული კლიენტი ბოლოს და ბოლოს მეორე დაწესებულებებიც აღმოჩნდებოდა ხოლმე.

მოსულმა ვაგზლის მოედანი სწრაფად გადაჭრა. ცხენებსა და ფორნებს ჩაუყარა, სასტუმროც გვერდზე მოიტოვა და ტრაქტირში რამდენიმე წუთით შეიხედა. მოზრდილი სირჩა არაყი გადაჰკრა, მჟავე კიტრი დააყოლა და მალევე უკან გამოვიდა, მოედნის კუთხეში მყუდრო ჩიხში ჩაუხვია და პატარა ხის სახლთან ზონარს ჩამოჰკრა. დიდხანს არავინ ეხმიანებოდა, მხოლოდ მეექვსე დარეკვაზე შეინძრა კარი და პარმაღზე საშუალო სიმაღლის თეთრწვერა სიმპათიური ბერიკაცი გამოჩნდა, რომელსაც ეტყობა მაინცდამაინც არ ეპიტნავა ადრიანი სტუმარი. მასპინძელი ერთხანს გულგრილად შეჰყურებდა სტუმრის შეთხელებულ ქოჩორს, მაღალ შუბლს, გაუპარსავ ლოყებს, მუხლებთან გამობერილ შარვალს და მონგრეულ, გაუწმენდავ წაღებს. შემდეგ კი მზერა უცნობის თვალებზე გადაიტანა, რომლებიც მის კარმიდამოს საფუძვლიანად ათვალიერებდნენ. უცებ სახლის პატრონს სახე გაუნათდა, მეყსეულად გარდაიქმნა და ხელები გაშალა.

„დიმიტრი მიხაილოვიჩ! ძვირფასო, თვალებს ვერ ვუჯერებ, ნუთუ თქვენ ხართ?“

„მართალი ბრძანდებით ფიოდორ ნილოვიჩ, მე გახლავართ, საკუთარი პერსონით გეახელით“.

მოსული იღიმებოდა. სწორედ ასეთნაირად წარმოედგინა ბერიკაცთან შეხვედრა. გულზე მოეშვა, რომ მასპინძელი სახლში დაუხვდა, რომელთანაც მრავალი წლის საქმიანი ურთიერთობის გარდა გულითადი მეგობრობაც აკავშირებდა.

„როგორ შეცვლილხართ, ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილ-ხართ დიმიტრი მიხაილოვიჩ! რა ამბებია თქვენს თავს? მაინც მიხარია, რომ საღსალამათს გიყურებთ“, გონსმოსულმა სამიოდ კიბე ცქაფად ჩამოიარა, ქვანაგზე თავისი ასაკისათვის საკმაოდ მხნედ გამოიარა და სტუმარს სახლში შეუძღვა.

მოხუცის ბინა ორი ოთახისაგან, სამზარეულოსაგან და საკუჭნაოსაგან შესდგებოდა. ყველაფერი გაქათქათებული იყო: კედლებიც, ლოგინებიც, ფარდებიც, ასე გასინჯეთ სამზარეუ-ლოც, რომლის ნაწილი შემოსასვლელიდან კარგად მოსჩანდა. თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ... ეს რა სურათია კედელზე?

„შვილი სად არის?“ ფრთხილად იკითხა დიმიტრიმ.

ბერიკაცი მოიღუშა, მხრებში მოიხარა, დაპატარავდა. ერთხანს შეიცადა, თითქოს კითხვას არ ელოდაო, მერე კი ტკივილით ამოღერღა:

„შარშან დაიხრჩო მდინარეში, ძველ ნავსადგურში. ცხელი დღეები იყო და ამხანაგებთან ერთად ბანაობდა. მითხრეს, რომ მოპირდაპირე კუნძულზე გადასვლა მოუნდომებია. სამგზავრო გემმა ჩაიარა და მერე აღარ დაუნახავთ“, მოხუცი ჯერ ჭერს მიაშტერდა და მერე იატაკს, ნერწყვი გადაყლაპა და გააგრძელა:

„ბევრი ვეძებეთ, ველარ ვიპოვეთ. დინება იქ ჩქარია, მერე თანდათან ჭორომები იწყება. ჭაობიან ტყესთან ძებნა მოუხერ-ხებელია. ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ამაოდ, ვერ ვიპოვეთ“, განუსაზღვრელი სევდით დაასრულა მოხუცმა.

დიმიტრის ტკივილამდე მომუჭული მუშტები მაგიდაზე თავისით დაეწყო. ძნელი წარმოსადგენი იყო ანნას, ანცი და ცქრიალა გოგონას არყოფნა. ეხლაღა შეიგრძნო რომ მთელი ეს დუხჭირი დრო მასთან შეხვედრის მოლოდინით სულდგმუ-ლობდა. თავდაყირა დღეების კალეიდოსკოპში თავს არ უტყდებოდა, რომ იდუმლად ძალიან ხშირად ფიქრობდა მასზე. მომავალი შეხვედრის გაურკვევლობით აღტაცებულმა გადმოჭრა ნახევარი კონტინენტი და ჩამოვიდა აქ. თუმცა რა გაურკვევლობა, შეხვედრა თითქმის კონკრეტულად ჰქონდა

წარმოდგენილი, ყველა შესაძლო ვარაუდით. ეხლა კი აღარც გაურკვევლობაა და აღარც კონკრეტულობა, აღარც ილუზია და იმედი.

„ვწუხვარ ფიოდორ ნილოვიჩ! განუზომლად ვწუხვარ. დარწმუნებული იყავით, რომ ეს უბედურება არა თუ ვიცოდი, არამედ ვერც კი წარმოვიდგენდი ბედის ასეთ სისასტიკეს, განსაკუთრებით კი თქვენს მიმართ“, დიმიტრი ოთხკუთხა, თეთრსუფრაგადაფარებულ ფეხებმოჩუქურთმებულ მაგიდასთან ჩამოჯდა, ცერად შექანდა და ამ მდგომარეობაში გაირინდა.

„ვიცი, რომ არ იცოდით“, მოხუცი ისევ იატაკს ჩააშტერდა.

„მაშინვე დეპეშით შეგატყობინეთ, შემდეგ კი თქვენს ყოფილ მისამართზე წერილიც გამოვაგზავნე. არავინ მიპასუხა. არეული დროა და არც გამკვირვებია.“

„მიხეილმა მიგვატოვა, არქანგელოზმა, დატოვა დედა რუსეთი და სხვაგან წავიდა. რატომ? რა დააშავა ამ ქვეყანამ? ქვეყანა აირია. ვეღარასოდეს დალაგდება. ყველანი გავუბედურდებით. დავეხეტებით აქეთ-იქით და სიმშვიდეს ვერსად ვპოულობთ. სახალინზე ვიყავი. მოგვიანებით კი დასავლეთ ციმბირში გავუტიე. სადაც მიღამდება, იქ მითენდება. რა სიმდიდრეა ქვეყნად და რა სიბეჩავე და განუკითხაობაა ირგვლივ“.

სტუმარ-მასპინძელი მცირე ხნით უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

სკამზე ცერად შემომჯდარი დიმიტრი თითებს ნერვიულად უკაკუნებდა მაგიდაზე. ყოველგვარი სიტყვა ზედმეტი იყო. ბოლოს მასპინძელი დაფაცურდა. ბადიით ხმიადა, ლორი და დამარილებული კიტრები მოიტანა, საწოლის ქვეშიდან ერთი შტოფი არაყი გამოაძვრინა და სუფრას მიუჯდა. არაყი ჩამოასხა.

„ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! გამაგრდით ფიოდორ ნილოვიჩ, ანნას ხსოვნისა იყოს“, დიმიტრიმ სულმოუთქმელად გადაჰკრა მოზრდილი სირჩა.

„საწყალი დედამისი ცოცალი რომ ყოფილიყო ეს საშინელება არ დაგვემართებოდა. ძალიან განმარტოვდა ბოლოს, არავის ელაპარაკებოდა“. მოხუცმა ხელი ჩაიქნია.

„რაც მოხდა, მოხდა. უბედურს ვეღარაფრით დავეხმარებით, ცოცხლებმა კი უნდა ვიცოცხლოთ მის მოსაგონრად, თქვენს

ჩამოსვლას გაუმარჯოს დიმიტრი მიხაილოვიჩ, ძალიან მომეშვა გულზე“, მოხუცმა სირჩა ბოლომდე დასცალა.

დიმიტრის სადღაც გაუცურდა გონება, გაახსენდა ანნასთან შეხვედრები. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულის მოგონებას რომ ყოველთვის განსაკუთრებული ელფერი აქვს. თითქოს გუშინ იყოო. სინამდვილეში კი თითქმსი ხუთი წელიწადი გასულიყო.

რევოლუციამ დიმიტრი გედევანოვს სარანსკში მოუსწრო. მაშინ ურალიდან საკომერციო საკითხების მოსაგვარებლად მოსკოვში მიემგზავრებოდა, სადაც ხელშეკრულების დასადებად ორი ამერიკელი ელოდა. ოკეანის გაღმელები თავისებური ხალხია. რუსეთთან საქმის დაჭერაზე ყოყმანობდნენ, მასთან კი საერთო ენა გამონახეს, ენდნენ და შეხვედრაც დათქვეს. მაგრამ იმ ორომტრიალის გამო სარანსკიდან გასვლა გაჭირდა. ამაოდ ეცადა პენზისაკენ არ ტამბოვისაკენ გაჭრილიყო, რიაზანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რკინიგზა მოსკოვიდან და პეტროგრადიდან გამოქცეულებმა აავსეს. ხალხი თავისი ბარგ-ბარხანით ვაგონების სახურავებზეც შემომჯდარიყო. ცივ ქარს არაფრად დაგიდევდათ, ოღონდ კი საშიში ადგილებიდან შორს გადახვეწილიყვნენ. საოცრად განერვიულებულები უბრალო შეკამათებაზეც კი ილანძღებოდნენ და ხშირად მუშტი-კრივზეც გადადიოდნენ. ნამდვილი გლეჯა-ფლეთის ველი იყო. ამაოდ დაძვრებოდა გედევანოვი მატარებლებს შორის, ემუდარებოდა მემანქანეებს, სადგურის უფროსს, საშველი არსაიდან სჩანდა. ვაგონის სახურავზე ფეხის მიკროსკოპული დასადგმელიც კი დიდი ხნის წინ იყო დაკავებული და ცოცხალი თავით ადგილს არავინ დაგითმობდა. მოსკოვში მხოლოდ სპეციალურ საშვებიან შეიარაღებულ რაზმებს უშვებდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ყველა საეჭვოს ან მონარქისტს სახელდახელო ტრიბუნალზე აგზავნიდნენ, რაც უმთავრესად დახვრეტით მთავრდებოდა. მოკლედ გაიჭედა გედევანოვი, იმედი დაჰკარგა. რა მოემოქმედა აღარ იცოდა.

როგორც ხდება ხოლმე უბედურება ეულად არ დადის. ერთს მეორე ემატება, ვიდრე წარუმატებლობათა შრეს მთლიანად არ ამოავსებს. ახლაც ასე მოხდა. გაბოროტებულმა დიმიტრიმ რესტორნებში და ტრაქტირებში დაიწყო ხეტიალი, სადაც ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. ერთგან ჩია თეთრგვარდიელმა

ოფიცერმა სიმთვრალეში რევოლვერი დაახალა, რადგან გედევანოვი ბოლშევიკად მოეჩვენა. აქაოდა ყველა პატიოსანი კაცი მოსკოვიდან გამორბის, შენ კი იქით რას მიიჩქარიო. იწვა ამის მერე უდღეური კომერსანტი ბინძური სამიკიტნოს მეორე სართულზე და წუთისოფლის ორომტრიალზე ფიქრობდა. ბედად ტყვიამ მუხლსზემოთ რბილში გაუარა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ტკივილის გასაყუჩებლად არაყს მიეძალა. მოსკოვიდან კი ამასობაში საოცარიო ცნობები მოდიოდა: მეფე გადადგაო, შეიქმნა დროებითი მთავრობაო, კერენსკი გერმანიასთან ომის წინააღმდეგიაო, ცოტა ხნის შემდეგ კი ამბობდნენ მომხრეაო. მილიუკოვი კონსანტინოპოლის ალყაში მოქცევას აპირებსო.

ადგილობრივი პრესა, ტრაქტორის მოლაყბენი და გზა-ჯვარედინის უსაქმურები პურიშკევიჩის შოვინისტურ ლოზუნგებს გაიძახოდნენ. სხვანი რუსეთის იმპერიის დაშლას ვარაუდობდნენ, ფინეთი და პოლონეთი უკვე გამოეყოო, ჯერი ახლა ბალტიისპირეთზე, უკრაინაზე და კავკასიაზე არისო. ძნელი იყო ტყუილ-ჭეშმარიტებაში გარკვევა.

სამი დღის შემდეგ გედევანოვს ჭრილობა დაუიჩირქდა და სიცხემაც აუწია. აუცილებლად მომვლელი იყო საჭირო. ნაცნობ ებრაელს მოსამსახურის ხელით წერილი გაუგზავნა, შველა სთხოვა, თორემ შიმშილიც შემოეპარა ოთახში.

ფიოდორ ორიენბლაუმი, მისი ძველი კომპანიონი ებრაელის კვალობაზე საკმაოდ ხელგაშლილი კაცი იყო და შეიძლება ამიტომაც დიდი ვერაფერი ქონება დააგროვა, სამაგიეროდ, კეთილი გული და კაცური კაცის სახელი ჰქონდა. გედევანოვი სასწრაფოდ თავისთან გადაიყვანა და კარგადაც მოუარა. ავად-მყოფი საკუთარ ლოგინში დააწვინა და შვილივით უვლიდა.

რამდენიმე წლის წინ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი იეგუდა ესერულ შეთქმულებაში ამხილეს. ჯგუფი კიევის ჟანდარმერიის უფროსის მოკვლას აპირებდა. პატიმარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ისე დახვრიტეს, რომ საცოდავ მამას შვილის უკანასკნელი ნივთებიც კი არ გადასცეს. ეს ამბავი ოჯახისათვის უდიდესი დარტყმა იყო, რომლის შემდეგაც იგი მორალურად წელში ვეღარ გაიმართა. დედამ, ღვთისნიერმა და სათნო ადამიანმა შვილის სიკვდილი ვერ გადაიტანა და მალევე მას მიჰყვა. გუნებით რბილი და კეთილი ქალი, ნამდვილი

დარბაისელი მანდილოსანი, მხოლოდ თავისი ორი შვილით არსებობდა. მათი კეთილდღეობა საკუთარი სიცოცხლის ერთადერთი აზრი იყო. დედა ყოველთვის ოცნებობდა, რომ მისი საყვარელი ბავშვები მეცნიერებისა და კეთილზნეობის უმაღლეს საფეხურებს მიაღწევდნენ, ხოლო თვითონ მათი დიდებით შუქმოსილი გაატარებდა მოხუცებულობის წლებს.

მარტოდდარჩენილი ანნა ძმის ტრაგედიას გაცილებით მტკიცედ შეხვდა. საერთოდ იგი არასოდეს თანაუგრძნობდა ძმის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, თუმცა პატივს სცემდა მის დიდ ერუდიციას. ისინი თავთავიანთ მერცხლებს ახარებდნენ.

ფიოდორ ორიენბლაუმი ადრეც, მეფის ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ დევნა-შევიწროვებას განიცდიდა. მისი საკომერციო საქმიანობა არასოდეს ყოფილა მტკიცე კაპიტალებზე დაყრდნობილი, ამიტომ მისმა ოჯახმა წარმატების და განსაკუთრებით მშვიდი ცხოვრების ძებნაში რუსეთის ბევრი ქალაქი შემოიარა, ვიდრე სარანსკში გარდაცვლილი მამის პატარა სახლში დამკვიდრდებოდა. მართალია, აქ იგი გარკვეულად შეზღუდული და დიდი სამრეწველო ცენტრების ფართო ჰორიზონტს მოკლებული იყო, სამაგიეროდ, ყველაზე მთავარი, შედარებითი სიმყუდროვე მოიპოვა. ამასთანავე, სარანსკში ფართლეულის დამამზადებელი რამოდენიმე კუსტარული საამქრო შეისყიდა, საიდანაც ზომიერ მოგებას ნახულობდა. ზოგჯერ ბედი გაუღიმებდა და უფრო დიდ საქმესაც წაეპორინებოდა, მაგრამ უფრო მცირედით და ნაკლებ სარისკო ოპერაციებით იფარგლებოდა. აქვე გაიცნო მან გედევანოვი, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა მათ ქალაქში. იგი ნიჟნი ტაგილის რამდენიმე სამთამადნო ქარხნის პატრონი და საკმაოდ შეძლებული კაპიტალისტი იყო.

დიმიტრი გედევანოვი თავადი იყო. მისი ბევრი წინაპარი გამოჩენილი პიროვნებები და იმპერიაში ფრიად დაფასებული ხალხი იყო, განსაკუთრებით ეს კომპოზიტორ ბოროდინზე და აკადემიკოს პანტელეიმონ გედევანიშვილზე ითქმის, რომელმაც მსოფლიოში პირველმა სიმიდნის გიგანტური ჯიში შექმნა, რომელიც ერთი მეტრის სიგრძეს აღწევდა. ორენბლაუმების ოჯახთან მას უფრო მეგობრული, ვიდრე კომერციული ურთიერთობა აკავშირებდა.

ფიოდორ ნილოვიჩის შევიწროება შვილის დაღუპვის შემდეგ განსაკუთრებით აუტანელი შეიქმნა. ადგილობრივი

შავრაზმელები ყოველნაირ საბაბს იყენებდნენ, რათა მისი ოჯახი აეწიოკებინათ. იგი, როგორც სახელმწიფო დამნაშავის მამა, იმპერიისათვის განსაკუთრებით არასაიმედო პირად ითვლებოდა. ამას მოხუცი არაფრად აგდებდა და ყოველთვის თავისი პიროვული მაღალზნეობის, ფესვისეული რწმენის ერთგული და მხნე მიმდევარი იყო.

აი ახლაც, გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს მეგობრული ხელი გაუწოდა და რითაც შეეძლო ცდილობდა მის უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოყვანას. დაჭრილი კი ამ დროს იწვა თბილ ლოგინში, გახვრეტილი ფეხით და სიმწრით თმებს იგლეჯდა:

„რა ხდება? ვის გაუგონია ხელის ერთი მოსმით ასეთი აწყობილი ქვეყნის გაპარტახება?“ მოთქვამდა გედევანოვი.

მართლაც ირგვლივ ისეთი ანარქია იყო, რომ არავინ უწყოდა მომავალში რა მოხდებოდა.

მომდევნო დღეებში ფეხის ტკივილმა კიდევ უფრო მოუმატა. ექიმი შიშობდა ავადმყოფს განგრენა არ დაეწყოსო, სარანსკის ერთადერთი იმპერიული ჰოსპიტალი კი ფაქტიურად მოშლილი იყო. ექიმები და პერსონალი აქეთ-იქით დაიფანტნენ.

„რას იზამ! „მწარეა რეალური სინამდვილე და როგორმე უნდა შევეგუო, ყოველთვის ასე ხომ არ იქნება“. ფიქრობდა ბალიშებზე მისვენებული გედევანოვი.

ბუნებით მოძრავსა და საკმაოდ ენერგიულს ძალიან უჭირდა გაუძნრევლად ყოფნა, წელი ასტკივდა, წამოზრდილი წვერიც სუნთქვას უშლიდა. თანდათან აპათია შემოეპარა. სიკვდილზეც იოლად ფიქრობდა:

„დაიწყება განგრენა და დაიწყოს, ფეხს არავითარ შემთხვევაში არ მოვიჭრი. ეს წარმოუდგენელია. ამას ნაღდად ვერ გადავიტან, ხელოვნური ფეხით შორს ვერ წავალ“.

ასეთ დროს უფრო არაყს ეძალებოდა, შვებასაც გრძნობდა. არაყი მისი კეთილი მეგობარი იყო. გამოთრობის შემდეგ შედარებით მშვიდათ იღვიძებდა, მერე კი კვლავ ფორიაქი ფიქრები ეძალებოდა:

„ახია მასზე რაც თავს დაატყდა. ყოფილიყო თავისთვის ნიჟნი ტაგილაში და ქარხნებისათვის მიეხედა. ახლა ყველაფერი უპატრონოდაა მიტოვებული, სულ აუწეწავენ ასე მონდომებით აწყობილ საქმეებს. ჯერ უნდა განმეჭვრიტა პოლიტიკური სიტუაცია მოსკოვში და მერე წავსულიყავი იქ. ამერიკელ

პარტნიორებს პრობლემა არ აქვთ. ფული საიმედო ბანკებში აქვთ შენახული. როდესაც უნდათ წავლენ რიგაში და მოცილდებიან ამ ქაოსს. ეს როგორ შეცდა. ცუდია რომ პოლიტიკით არ დაინტერესებულა, ჰაიჰარად საქმე არ კეთდება. კომერცია ხომ პოლიტიკაში სისხლხორცეულადაა გადახლართული. ტყუილად მიაჩნდა თავი საქმის კაცად. არ უნდა გააკეთო ბიზნესი თუ არ იცი სად შეინახავ ფულს. თუ ზურგი არ გაქვს, წარმატებას ვერ მოიპოვებ. როდესაც გერმანია გეომება და გერმანიის ბანკის მოსკოვის განყოფილებაში უზარმაზარი თანხა გაქვს, განა ძნელია განსაზღვრო რომ თანხა ევროპის რომელიმე ფილიალში უნდა გადაიტანო? მით უმეტეს პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის საშიშროება არსებობდა. ახლა კი მოსკოვში ჩასვლას ვერ ახერხებს. ამერიკელებთან ბიზნესი ჩაიშალა, ფული მოსკოვშია გაჩხერილი და დეპეშებით საქმეს ვერ გააკეთებ. დაფიქრებული კომერსანტი ერთი თვით ადრე გაყიდდა უძრავ-მოძრავ ქონებას და საზღვარგარეთ დაელოდებოდა მოსკოვში პოლიტიკური შტორმის დაწყნარებას. ახლა კი ზის ამ წყეულ ქალაქში ფეხგახვრეტილი და ვერც წინ მიდის და ვერც უკან.

დიმიტრი გედევანოვი თავის დარდთან მარტო არ იყო. ორიენბლაუგის ქალიშვილი ანნა ფხიზლად ადევნებდა თვალს მის ჯანმრთელობას, უცვლიდა საფენებს, ოხრავდა ჭრილობის დანახვაზე.

„დიმიტრი მიხაილოვიჩ! ეს რა დღეში ჩავარდით. იმ წუწკმა როგორ გაბედა თქვენთვის ესროლა. ვერ გაიგეთ მაინც ვინ იყო?“

დაჭრილს ამ კითხვაზე ნერვიული ცახცახი ეწყებოდა.

„რა გითხრათ ანნა ფიოდოროვნა, არც კი ვიცი. წყეულ რესტორანში იმდენი ხალხი იყო, ისე დარბოდნენ აქეთ-იქით, რომ წესიერად ვერც კი შევხედე“.

გედევანოვს სიბრაზე ახრჩობდა. თვითონაც სიამოვნებით დაახლიდა იმ სულძაღლს ნაგანს, მაგრამ ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, რომ ჯიბეში ხელიც კი ვერ ჩაიყო, მაშინვე იატაკზე გაიშხლართა.

ანნა უკმაყოფილოდ აქნევდა თავს. იგი დედამისის ნამდვილი შვილი იყო და განასახიერებდა გრძნობიერ სიკეთეს, რომელიც ხშირად არის დამახასიათებელი ოცი-ოცდაორი წლის თავის კეთილშობილებაში ღრმად დარწმუნებული ქალიშვილისთვის.

მისთვის ზრუნვა და ავადმყოფისათვის მორალური მხარდაჭერა მტკიცე შინაგან მოთხოვნილებად იქცა. მით უმეტეს დაჭრილს ადრეც იცნობდა და არაერთხელ უმღერია მისი თანდასწრებით ვიწრო, ოჯახურ წრეში. სიმღერის დროს ხშირად გაუპარებია მისკენ თვალი, აბა მისმენს თუ არაო. რამდენჯერმე სიამოვნებით შენიშნა, რომ გედევანოვი ყურადღებით უსმენდა და რამდენჯერმე კი ძალიან შეუქო ხმა.

ავადმყოფისათვის თითქოს უხერხული უნდა ყოფილიყო არც ისე ახლობელი ადამიანის ესოდენ თბილი მზრუნველობა, მაგრამ ეს ყველაფერი რაღაც თავისით, მისდადამოუკიდებლად ხდებოდა.

ავადმყოფობის დღეებში დიმიტრი ძალიან დაუახლოვდა ანნას, ხშირად საუბრობდნენ. ზოგჯერ კაცი ისეთ რამეებზე ყვებოდა, რაც ძალიან უცხო იყო რუსული ყურისათვის, მაგრამ არც ერთი იყო რუსი და არც მეორე. ისინი უბრალოდ შეჩვეულ ტერიტორიაზე იყვნენ. ზოგჯერ პატარა სახლს დიმიტრის გულიანი სიცილი არყევდა. გედევანოვის სიცილი ნამდვილად გადამდები იყო. ეს მისი ბუნების შემადგენელი ნაწილი იყო.

საღამოობით ანნა და დიმიტრი ბანქოთი ერთობოდნენ. დიმიტრი დახელოვნებული ბანქოს მოთამაშე იყო. მრავალმა ათასმა მოგებულმა და წაგებულმა მანეთმა გაიარა მის თითებში. მას შულერობაც შეეძლო, მაგრამ იცოდა ამ საქმეში ზომა, თუმცა ანნასთან სული წასძლევდა და გასართობად ბანქოს გადაურევდა ხოლმე. მაშინ კი ანნას თვალები შუბლზე უცოცდებოდა. ვერაფრით ვერ ხვდებოდა თუ რატომ აგებდა თითქმის მოგებულ ხელს და პატარა ბავშვივით ცხარობდა. ყურადღებით ადევნებდა თვალს დიმიტრის თითებს, მაგრამ სიყალბე ვერც ერთხელ შეამჩნია.

თანდათან ანნას მზრუნველობა უფრო სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდა. ასე ხანგრძლივად მამაკაცთან ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. მათ უკვე რამდენჯერმე ქალაქის გარეთაც გაისეირნეს. რაც უფრო უმჯობესდებოდა ავადმყოფის ჯანმრთელობა, მით უფრო აშკარა ხდებოდა გოგონას სიყვარული, იგი თვალდათვალ ხდებოდა. წამდაუწუმ წითლდებოდა და უმიზზოდ უვარდებოდა ყველაფერი ხელიდან. ანნას წამალი და საშველი ერთადერთი იყო. იგი გედევანოვის ხელთ იყო, მაგრამ მისი ტვინი მაშინ სხვა საკითხებს წყვეტდა. ახლოვდებოდა

კიდევ უფრო დიდი ქარტეხილების ზოლი, სიკვდილის შავი რაში ჯირითს იწყებდა რუსეთში. ახლოვდებოდა არნახული რევოლუ-ცია და მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის გრანდიოზული მანქანის მონტაჟი. საჭირო იყო მისთვის თავის არიდება, იდენტიფიკაციის შეცვლა და საკუთრების გადარჩენა.

უკვე დადგა გამგზავრების დროც. გედევანოვს კარგად ახსოვს ანნასთან უკანასკნელი შეხვედრა. იგი წასასვლელად ემზადებოდა.

როდესაც ანნა შემოვიდა, სადღაც გამქრალიყო მისი ანცი და სხივნათელი სიცელქე, მზრუნველი სითამამე. სახეზე ჩრდილი გადაჰფენოდა, ტანზეც ცოტა მოუწესრიგებლად ეცვა. იდგა, ხელები უხერხულად ჩამოეშვა და არც კი იცოდა რა ეთქვა. გედევანოვმა იცოდა, რომ ახლა გოგონა იტყოდა ისეთ რამეს, რაზედაც პასუხის გაცემა არ შეეძლო. აბა ის რა სიყვარუ-ლია თუ ორივე მხრიდან არ არის შემაგრებული. ცალმხრივი სიყვარული კი მხოლოდ ტრავმაა, უბედურების საწყისი. მაგრამ რა ექნა დიმიტრის, იდგა და შესცქეროდა ლამაზ, ჯანმრთელ, შურთხისთვალება ქალს, რომლის სულიც უკვე სიყვარულის მოლიპულ ბილიკზე შემდგარიყო და არ იცოდა რა მოემოქმედა.

„ანნა ფიოდოროვნა, რაიმე ხომ არ გნებავთ?“ კითხვა უადგილოდ და ყალბად ჟღერდა.

„არა, არაფერი, თუმცა მისმინეთ, ბევრი, ძალიან ბევრი მინდა...“

იგი სკამზე მოწყვეტით ჩამოჯდა და ხელები თვალებზე აიფარა.

არის ხოლმე ურთიერთობა, რომელიც გარკვეულ პერიოდში თანაგრძნობას იწვევს, შემდეგ კი საწინააღმდეგოდ განეწყობი. გულთან ვეღარ მიგაქვს. შეიძლება ეს ყველაზე ძვირფასი არსების წინაშეც წარმოიშვას. ასეთ მდგომარეობაში იყო დიმიტრი. აშკარად მოსწონდა ანნა, თან ოთახიდან გაქცევაც უნდოდა. გრძნობდა, რომ სადღაც ექაჩებოდნენ, აიძულებდნენ დამორჩილებოდა სხვის ნება-სურვილს, ამას კი ბავშვობიდანვე ორგანულად ეწინააღმდეგებოდა.

„არ წახვიდეთ დიმიტრი მიხაილოვიჩ! დარჩით“, თითოს გონს მოეგოო და ანნა მისკენ გაეშურა.

„ერთად ვიქნებით, უთქვენოდ არ მინდა ცხოვრება. დღე და ღამე ვიმუშავებ, საჭმელს არ მოგაკლებთ. ჩვენს დროში

ხომ საჭმელი ყველაფერია. ცალკე ოთახში იცხოვრებთ, მამას მოველაპარაკები, ის აუცილებლად დამეთანხმება... დიმიტრი მიხაილოვიჩ! საყვარელო, მარტო არ დამტოვოთ...“

საცოდავს არაფერი ესმოდა. ვერასოდეს გაუგებდა ხეტიალის გზაზე შემდგარი კომერსანტის ავანტიურისტულ ბუნებას. მაშინ დიმიტრის არ შეეძლო ღუზის ჩაშვება. უკვე სქელლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა და ბედის იალქანი სადღაც სხვაგან მიაქანებდა.

„ანნა ფიოდოროვნა, თქვენ ავად ხართ, ახლავე ლოგინში უნდა ჩაგაწვინოთ, გინდათ ერთ ჭიქა კრუშონს მოგიმზადებთ?“ დიმიტრიმ ოთახიდან გაყვანა დაუპირა, მან კი ხელი გამოსტაცა და დაუმშვიდობებლად კარში გაიჭრა.

ამით მათი საუბარი დასრულდა. გედევანოვი წავიდა და ქვეყნიერებაზე აღმა-დაღმა სიარულის შემდეგ კვლავ დაბრუნდა. ახლა კი იგი აღარ იყო. დარჩა მხოლოდ ფიოდორ ნილოვიჩი, რომელმაც მათი ურთიერთობისა არაფერი იცოდა და მოგონებები: მზე და მთვარე, სახიფათო ქალაქგარე სეირნობები და შუაღამემდე საუბრები.

საკვირველი იყო, რომ დიმიტრი გედევანოვი სინდისის ქენჯნას არ გრძნობდა. არაყს-არაყზე სცლიდა და კედელზე დაკიდულ ქალიშვილის სურათს ისე დაჟინებით შესცქეროდა, თითქოს ნავთსადგურიაო, საითკენაც შორეული ნაოსნობიდან ასე გამალებით მოისწრაფოდა, მაგრამ ახლა ნავთსადგური გემებს აღარ იღებდა, და რეიდზე დგომასაც აზრი არ ჰქონდა.

გამოფხიზლება

ერთხელ შებინდებისას ჩემი აპარტამენტის აივანზე ვიდექი და მოფუსფუსე მოედანს გადავყურებდი. ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან მომავალი ავტოები აქ იყრებოდნენ, წრეებს არტყამდნენ და თავიანთი ესტაკადებით საჭირო მიმართულებით მიეშურებოდნენ. სატრანსპორტო ჰაბი იყო ეს ადგილი, რომლის კუთხეში წამოლაყებულ მაღალ მართკუთხედი შენობის ბოლოსწინა სართულზე ვცხოვრობდი.

გადაღმა, ბინდში გახვეული მოძველებული სახლები მოედნის შორეულ კიდეზე ჩამწკრივებულიყვნენ და ციცინათელასავით ხან ერთ, ხან მეორე ადგილს გამოსტყორცნიდნენ შუქს, შემდეგ კი მოედანი კვლავ რუხ ბურუსში იძირებოდა. ზოგჯერ მძიმე ტრანსპორტის გარიხინების ხმაც აღწევდა ჩემამდე.

ყინავდა. ზამთრის სუსხი თანდათან უჯდებოდა გარემოს. რუხი, ცივი კედლები, ტროლებუსებისათვის გაბმული მავთულები, მინები, სვეტები და ათასი სხვა რამ რაც ქვევით, მოედანზე იყო თავმოყრილი, უდრდინველად იღებდა ზამთარს. მხოლოდ ნეონის ნათურები, განსაკუთრებით კი მოპირდაპირე სახლის თავზე შემომჯდარი ჩაის რეკლამა ამჟღავნებდა რომ ცივი მილების მიღმა სიცოცხლე სჩქეფდა. სხვადასხვადფერად ინთებოდა და ქრებოდა მოღუნული ასოები, თითქოს გაყინული სივრცის გალღობას ლამობსო, მაგრამ ეს ფუჭი გაფართხალება იყო მხოლოდ.

საქმე არ მქონდა, ამიტომ მოედნის მოპირდაპირე მხარეს აყუდებულ უჟმურ სახლს ჭოგრიტით ვათვალიერებდი. ზოგან ფანჯრებზე ფარდები ჩამოფარებული არ იყო და ოჯახური მყუდროება მსგავსად ღრუბელს ასხლეტილი მზის სხივისა სხვადასხვა მიმართულებით ჰაერში იფანტებოდა.

ერთი შუახნის დარბაისელი კაცი ახალგაზრდა გოგოს სუფრის გაწყობას შველოდა, ალბათ მამა იყო, ხოლო შვილიკოს

კი მეგობრები დაეპატიჟებინა, საღამოს ერთად გასატარებლად. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ მეზობელ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში მხიარული კამპანია შეკრებილიყო. ცეკვავდნენ წყვილები, მუსიკის შვილები. ეჭვი არ იყო, ამ ოჯახში თაობებს შორის სრული ჰარმონია სუფევდა.

პირდაპირ ფანჯარაში ტახტზე წამოწოლილი ქალიშვილი ჟურნალს კითხულობდა, მისგან ზურგშექცევით სავარძელში ჩაფლული ქმარი კი ტელევიზორს უყურებდა. მათ გვერდით, ნახევრად ფარდაჩამოფარებულ სამზარეულოში მოხუცი ქალი მეოჯახეობდა. ორი თაობის ოჯახი იყო.

ამ შენობას სხვა ღირსებაც ჰქონდა. ქვემოთ მოთავსებული ლუდის დარბაზის კარი ხშირად იღებოდა და ფეხარეული თანამეინახენი გამვლელ-გამომვლელში ითქვიფეზოდნენ. ტროტუარი ერთ ადგილას თლილი ფილებით შემოეზღუდათ, გაეფართოებინათ და ტაქსის სადგომი მოეწყოთ. ქვაფენილი ზოგან აყრილიყო და თუ ფრთხილად არ გაივლიდი, შეიძლება ქუსლი შიგ ჩაგეტოვებინა.

მოშორებით ხევში პატარა მდინარესთან ფაბრიკა გაემართათ. მოედნის დაბალი ფენებიდან მას ვერ დაინახავდი, რადგან მიჯრით მოწყობილი ერთსართულიანი სახლები ეფარებოდა. ზევიდან კი გარკვევით მოსჩანდა დრო-ჟამისგან გამოფიტული კედლები, ოდნავ შებრეცილი მილები, საიდანაც ზამთარ-ზაფხულს ორთქლის ბღუჯა-ბღუჯა ნაგლეჯები გამოსრიალდებოდნენ ხოლმე და ხანდახან თუ ქარი ტრიალებდა ქაფქაფა ნისლში ახვევდა ფაბრიკის შენობას.

შემცივდა. ოთახში შევბრუნდი და საათს დავხედე, შვიდი სრულდებოდა. ხელმოკლედ ვცხოვრობდი. საწოლი, მაგიდა, ორი მორყეული სკამი და კარადა შეადგენდა მთელ ჩემს ავლადიდებას. მაგიდის ქვეშ ღვინის ბოთლები საკმაოდ დაგროვილიყო. საჭირო იყო მათი გადაყრა. კედლები შემსკდარიყო, გამოუხვეტ ოთახში სიღარიბის სუნი სუფევდა. ლოგინზე წამოვწექი, დომენტის ველოდი.

არ მიყვარდა ეს კაცი, უფრო მძულდა, ვიდრე მიყვარდა. მაგრამ თითქოს უხილავი ძაფებით ვიყავი მასთან დაკავშირებული. წლების განმავლობაში ვებრძოდი მას, ისე თვალშეუვლებლად, შინაგანად, მაგრამ ამაოდ. ვგრძნობდი, რომ იგი ვერაფერს მმატებდა, არც მისი პატივისცემა მქონდა, ყოველთვის

ირონიულად ვუყურებდი, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, მე უფრო ვიტანჯებოდი მისი მეგობრობით, ვიდრე იგი. დომენტის საერთოდ ფეხებზე ეკიდა ყველაფერი სერიოზული. ძალიან მოძრავი იყო. უფრო ცერცეტა, ვიდრე მიზანდასახული. ყველასთან იოლად ნახულობდა საერთო ენას, ადვილად ეგუებოდა ცხოვრების ორომტრიალს, მეგობრების წრეში ოხუნჯობას და ყველაფრის თვითმაქრვიაობას. დომენტის შეეძლო ვინმეთი თავით-ფეხებამდე გატაცებულიყო, ასევე იოლად დათმობდა მოპოვებულ წარმატებას და სიცილ-მანჭვაში გააგრძელებდა ცხოვრებას. ავტორიტეტს დომენტისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მის წინაშე, არ ფრთხებოდა. ყველას უშინაურდებოდა და დარწმუნებული იყო რომ იგი ყველას სჭირდებოდა.

ჩემი ურთიერთობა მასთან შემთხვევით დაიწყო. ისე ოსტატუტრად გამხლართა თავის კითხვებში, რომ მოკლე დროში ხუთი თითივით იცოდა ჩემი ასავალ-დასავალი, ვინ ვიყავი, რას წარმოვადგენდი და რისკენ ვისწრაფვოდი. ყოველთვის ჭკუას მარიგებდა, მაღალ-მაღალი, ტრივიალური ფრაზებით თავბრუს მასხამდა. ბევრჯერ ვცადე ურთიერთობის გაწყვეტა, არაფერი გამომდიოდა, ყოველთვის უსაქმობისა და მოცლილობის დროს ჩემს გვერდით იყო.

პირველად ვაკვირდებოდი, ვცდილობდი გამომეცნო მისი ზრახვები. უნდა აღინიშნოს რომ ბუნებით საერთოდ დამკვირვებელი ვარ, ყოველთვის ვცდილობ ხოლმე არაფრიდან სილამაზე დავინახო. საათობით ვხეტიალობ პარკებსა და გარეუბნის ტყე-ღრეში, წვიმაშიც, სიცივეშიც და სიცხეშიც, ყურს ვუგდებ ოდნავ შესამჩნევ ხმებს. თითქოს ვგრძნობდი ხოლმე გარემოს სუნთქვას. ვისაც ბუნება უყვარს არ შეიძლება მისგან შორს იყოს, არ სცადოს ხანდახან შეერწყას მას და ცოტა ხნით მაინც მოსცილდეს კიბერნეტიკულ გარემოს, მაგრამ ბუნებამაც და ცივილიზაციამაც მობეზრება იცის, თუ ზომაზე მეტად დავეწაფებით. დადგა ისეთი დრო, როდესაც დომენტის გვერდით ყოფნას უკვე ველარ ვიტანდი, გული მემღვრეოდა და მზად ვიყავი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიც მეკადრებინა, მსურდა თავიდან მომეცილებინა და ამ დროს ყველაზე უცნაური და შემაშფოთებელი აზრები გამკრავდა ხოლმე თავში. ცხადი იყო რომ ჩვენ სხვადასხვა ყაიდის ხალხი ვიყავით. მე, ბუნების მოყვარული, მოხეტიალე მარტოსული,

დომენტი კი სოციალური ურბანისტი იყო. ჩვენ სხვადასხვა პოლუსები ვიყავით და დიდხანს ერთად ვერ ვიქნებოდით. მე დროის ფუჭად დაკარგვა უკვე აღარ მინდოდა. ვცდილობდი ახალი ცხოვრების დაწყებას და ჩემი დანიშნულების მიგნებას, დომენტი კი თავისი ბუნებიდან გამომდინარე ამ საქმეში ხელს ძალიან მიშლიდა.

ერთხელ ხუთი თვით სადღაც ვიყავი გადაკარგული. ხანგრძლივი მოგზაურობების დაწყების წინ მოთელვას გავდიოდი. ხეტიალს ვეჩვეოდი. უკან დაბრუნების დროს გამახსენდა ეხლა ხომ დომენტი უნდა ვნახო მეთქი. მეშინოდა ჩამოსვლა, მართლაც შეხვედრის დროს, რომელსაც ცხადია, ვერ ავიცდენდიო, ერთი სიცოცხლე გავათავე, ჯერ იყო კინაღამ ხელი გავარტყი, შემდეგ კი მოღუშულმა რაღაც ჩავიდუდღუნე. იმ ოჯახაშენებულმა ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა და მინდოდა თუ არ მინდოდა მეც დავფქვი რაც ვიცოდი. შემდეგ ისევ ძველებურად გაგრძელდა ყველაფერი. რომაელები ამბობდნენ უყვარს მეგობრობას ზრუნვაო. თუ ამას მეგობრობა ერქვა ძალაუნებურად მათ სიბრძნეს გავყევი.

ფეხები ლოგინზე შემოვაწყვე და სიგარეტს დავწვდი, ღრმად მოვქაჩე, ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. დომენტისთან ერთად ლოთობა და კაფეტერიებში გატარებული დრო გამახსენდა, მხოლოდ და მხოლოდ ლოთობა და უკბილო, ჩემთვის უკვე გაცვეთილ ფრაზათა კორიანტელი. გამეღიმა და საათს შევხედე ისევ. რვა იყო დაწყებული. ვიფიქრე კარებს დავკეტავ და სახლში არ შემოვუშვებ-მეთქი. მაშინ საღამოს მარტო გავატარებდი და ხმის გამცემიც არავინ მეყოლებოდა. იძულებული ვიყავი ბედს შევრიგებოდი, ეს კი ძალიან მიჭირდა. ზოგჯერ გავიფიქრებდი, დომენტისადმი ზიზღი ჩემივე მოგონილი იყო, რომ იგი სრულადაც არ მეზიზღებოდა და ყველაფრის თავი და თავი ისევ ჩემივე სისუსტე იყო. ვაგლახ, დიდხანს რომ ვფიქრობდფი, სწორედ ასეთად მეჩვენებოდა ჩემი თავი, ამაოდ ვბრაზობდი, საშველი არ ადგებოდა ჩემს ორჭოფულ ყოფას. თავი ასე თუ ისე რაღაც მეგონა და ჩემი ყოყმანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია-მეთქი. დიდ ჭიდილში ვიყავი ყოფისა და ემოციების გამო.

სიმართლე რომ ვთქვა, ხშირად მართლაც უცნაურობებს ვაკეთებ, რაღაც დაუძლეველი სურვილი მიბიძგებს უსუსური

ორიგინალობისაკენ. იმ წუთს კმაყოფილებას ვგრძნობ, თითქოს ფრთები მეშლება, ტვირთი მეცლება მხრებიდან, შემდეგ კი თავს ვკიცხავ სისულელის ჩადენისთვის, რადგან, ალბათ მთელი კაცობრიობისთვისაც კი საშინელია უბადრუკი რეალობისათვის თვალებში შეხედვა. რაც მართალია, მართალია, ძალიან ხშირად ვნაწყენდები, გამოვდივარ მწყობრიდან, ზოგჯერ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფს დომენტის ქცევა გულზე მალამოსავით მეცხობა, თუმცა როგორც ავღნიშნეთ უფრო ხშირად კი ნერვებს მიშლის.

გაორებულმა წინააღმდეგობამ ძალიან დამქანცა და მტკიცედ გადავწყვიტე დომენტი უკანასკნელად მენახა. მაგრამ კაცი ბჭობდაო და ღმერთი იცინოდაო. ჩემი მეგობარი შემოვიდა და ისე ლამაზად ვიჭუკჭუკეთ, თითქმის ერთი საათის განმავლობაში, რომ არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. საოცარია კაცის ბუნება, ფიქრობ ერთს და აკეთებ მეორეს.

დომენტი საუბარში გამომიტყდა, ცოლს ვირთავო, სახელიც მითხრა. ლოგინზე გადავწექი და ფიქრით დავიმძიმე თავი. შუბლზე ხელს ვისვამდი, ის რაღაც კი ტვინის უჯრედებს არ გაცილებია. ქალს შორიდან ვიცნობდი, დიდი ვერაფერი რამ იყო, ვერასოდეს ვიფიქრებდი თუ ოდესმე დომენტის ცოლი გახდებოდა.

„როდის აპირებთ ქორწილს?“

„ერთ კვირაში“.

ვხედავდი თავს უხერხულად გრძნობდა. ჩვენ ხომ უამრავჯერ ვისაუბრეთ წრფელ და ამაღლებულ სიყვარულზე, ეხლა კი ცოლად ირთავდა ქალს, რომელიც ადრე ბევრჯერ გავკიცხეთ.

„მინდა მეჯვარე იყო“, მომიბრუნდა დომენტი.

ფანჯრიდან შემოსული ჩაის რეკლამის შუქი მის სახეზე მწვანედ ფერადდებოდა. თვალები ხან ჭოტის გაუხდებოდა, ხანაც საერთოდ გაქრებოდა. გულმა რეჩხი მიყო, მინდოდა წამომდგარიყავი და მიმეხრჩო, ეს ამპარტავანი ფრანტი. ის ქალი ხომ მეზიზღებოდა, მაგრამ ზრდილობის წესები მაკავებდნენ.

„არ შემიძლია დომენტი, ძალიან ვწუხვარ. მაგრამ ხომ იცი, რა მდგომარეობაში ვარ“, უფულობასზე გადავუკარი.

„ვერ გასიამოვნებ როგორც შენ გსურს“, ვგრძნობდი ხმა მიუხეშდებოდა, გული ამიჩქარდა, კატასტროფა ახლოვდებოდა.

„ფული არ გაქვს?“ მზრუნველად მკითხა.

„ფული რა შუაშია, რაღაცას მოვიფიქრებ. ყველაზე ცუდი ის არის, თითქოს ვერ ვარ კარგად“, ხმაში რაღაც შემეტყო, რატომღაც მომეჩვენა შუბლი გამებზარა. დომენტის ვეღარ ვიტანდი. წამოვდექი და ოთახში გავიარე, აივანთან სიგარეტს მოვუკიდე. თავბედს ვიწყევლიდი, რომ გზას ვერ ვპოულობდი. დომენტი ნამდვილად ჩემს სატანჯველად იყო გაჩენილი. რუბიკონი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადამელახა. დიდხანს ხომ ვერ ვიქნებოდი მასთან.

„წადი დომენტი სახლში“, ოდნავ ქეშად გავხედე.

„დღეს ვერ ვარ კარგად, მარტო დამტოვე“, ისევ ლოგინზე ჩამოვჯექი და კედელს შევხედე. შევეცადე კეისრის იერი მიმეღო, მარცხენა ხელი შუბლზე მოვისვი და თითებით თვალები დავიხუჭე. გავირინდე. თვალები რომ დამეღლება ხოლმე ცერა და საჩვენებელი თითებით ვეფერები, ოდნავ მოვსრისავ და მაშინათვე მხედველობა მეწმინდება. ეხლაც ასე მოვიქეცი, არა იმიტომ თვალები მომექანცა, დომენტის მზერას რომ ავცდენოდი იმიტომ გავიტრუნე.

„ადრე ასე არ მელაპარაკებოდი. რა მოგივიდა?“ დომენტიმ შთაგონებული სახე მიიღო. აღარ შემეძლო მეტის ატანა.

„წადი დომენტი სახლში, დაისვენე და მეც დამასვენე, ვერ ვარ კარგად“, სხვას ვერაფერს ვამბობდი, ამიტომ ხმაში ნაძალადეობა და სიყალბე ჟღერდა.

„ახალი ფეხსაცმელები გიყიდია, ალპენ შტოვიც. რათ გინდა? ხმაში დაინტერესება დაეტყო.

„კი ვიყიდე დომენტი. კარგა ხანია ვიყიდე. მოლოდინში ვარ.“

„ვის ელოდები?“ ჩაეძია დომენტი.

ერთი წამიც და ყველაფერი უკან დაბრუნდებოდა. აღარაფერი აღარ შეიცვლებოდა. ლომი ნახტომს ვეღარ გააკეთებდა, გისოსებიანი საკნიდან ვერ განთავისუფლდებოდა.

„გოდოს მოლოდინში ვარ“, მტკიცედ განვაცხადე.

„გოდოს?..“ დომენტიმ ვეღარ დაასრულა სათქმელი.

„გოდოს მოლოდინში“ მისი საყვარელი მოთხრობა იყო.

კარგახანს ჩუმად ვისხედით. კარგად მესმოდა ქუჩიდან შემოსული ზუზუნი. თავი ცივ კედელს მივადე და ყურადღებით ვათვალიერებდი ჭერის აბლაბუდამოდებულ ჩაბნელებულ კუთხეებს. რადიატორის ქვეშ დადგმულ ჯამში წვეთები გროვდებოდა, ჯერ ადრე იყო მისი გადაღვრა. დომენტი წამოდგა,

შებრუნდა და მაგიდაზე დაგდებულ გაცვეთილ ჟურნალს დიდის ყურადღებით დააცქერდა. აშკარად დროს ჭიმავდა, ეძებდა საბაბს, რათა შექმნილი სიტუაციიდან ოსტატურად გამოსულიყო. ალბათ ფიქრობდა თუ როგორ წასულიყო ისე, რომ პატივმოყვარე თავმოყვარეობა არ შელახვოდა. ვგრძნობდი ამას და ენის წვერზე მიტრიალებდა შესარბილებელი სიტყვები, ადრე ხშირად ლიბერალური ფრაზებით მიგვიფუჩეჩებია საწყენი საუბრები, ეხლა კი ჯიუტად ვდუმდი და ისედაც დაძაბულ მდგომარეობას უფრო ვძაბავდი. არაფრით არ მინდოდა წარსულს დავბრუნებოდი.

ნოხი

ჩემი სახლის ბოლოს, რომლის შემდეგ მშვენიერი პარკი იშლებოდა ყოფილი თანაკურსელი ნოდარი შემხვდა. მართალია სხვადასხვა მიზეზების გამო ორი წელია ერთმანეთი არ გვენახა, მაგრამ თითქოს გუშინ დავცილდითო ერთმანეთს ისე ვსაუბრობდით.

„სად ხარ ნოდარ ამდენი ხანი დაკარგული, სად შეიძლება ზოგჯერ კაცმა გიპოვოს?“ თითქოს საყვედური გამოვთქვი და ძველ მეგობარს მხარზე ხელი გადავხვიე.

„მწერალთა კავშირის სამდივნოში ვმუშაობ“, თითქოს თავიდან იცილებსო კითხვასო, მომიგო მან.

იგი მეტად კარგი ბუნების, პატარა ტანის, ფეხებმოგრეხილი, მელოტი კაცი იყო. თუმცა ზუსტად ვიცოდი, რომ ოცდაათის ეხლახან გახდა, მაინც უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.

ნოდარს ძალიან მახვილი, არაორდინალური ჭკუა ჰქონდა და თუ შესძლებდა მისი სწორი მიმრთულებით განვითარების დიდ სიმაღლეებს მიაღწევდა. ამისთვის კი საჭირო იყო ე. წ. „ბლატი“ და მეტი არაფერი. ნოდარს ჰქონდა პატარა „ბლატი“, მაგრამ მე უფრო „დიდი ბლატი“ მაქვს მხედველობაში.

ნოდარს თვალები ძველებურად აქეთ-იქით გაურბოდა და სახეზე მოუსვენრობა ეწერა. თავის დროზე ჩვენ დიდ მეგობრებად ვითვლებოდით, ბოლო დროს კი რატომღაც იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.

ძალიან გამიხარდა მისი დანახვა და რესტორანში მივიპატიჟე. ვუთხარი:

„ჩემო ნოდარ! მოდი თითო ბოთლი შამპანიური დავლიოთ და ცოტა ხანი ერთად ვიჭიკჭიკოთ!“

სიამოვნებით დამეთანხმა.

იქვე გზის პირას რესტორან „გრემში“ ჩავეშვით. ასფალტზე დაგუბებული სიცხის შემდეგ გრილი სარდაფი ძალიან გვეამა.

ხის სქელ მაგიდებს შემოვუჯექით და ორი შამპანიური და მწვადი დავუკვეთე.

სანამ ღვინოს მოგვიტანდნენ ათას რამეზე ვისაუბრეთ, თუმცა ზოგჯერ ნოდარს სევდასაც ვამჩნევდი.

„რაღაც ვერ ხარ ხასიათზე, რაიმე ხომ არ გაწუხებს?“ გულისხმიერად ჩავეკითხე.

იგი დიდხანს არ მპასუხობდა, მაგრამ ბოლოს გამომიტყდა:

„ვიცი შინაური კაცი ხარ და არავის ეტყვი. ოჯახიდან ნოხი გავიტანე და 25 მანეთად დავაგირავე. დედაჩემმა რომ გაიგოს არ ვიცი რას მიზამს“.

ჯიბეში სწორედ 25 მანეთი მქონდა და სასწრაფოდ ვუთხარი:

„ეგ არაფერი ჩემო ნოდარ! ახლავე შეკვეთას გავაუქმებ. აგერ წაიღე 25 მანეთი. წადი და გამოისყიდე ნოხი, დალევას კი სხვა დროსაც მოვასწრებთ. დედას კი ძალიან გაახარებ. ვინ იცის უკვე როგორ დარდობს.“ ხელი ჯიბისკენ წავიღე, მაგრამ ნოდარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

„როგორ გეკადრება, მაგას როგორ ვიზამ“.

დიდხანს ვუმტკიცებდი ჩემსას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დავეთანხმე და კვლავ სუფრას მივუბრუნდი.

„არაფერია ძმაო რამეს მოვახერხებთ, მოდი საქართველოს და მის კარგ ბიჭებს გაუმარჯოს!“ დავამშვიდე ნოდარი.

ახალგახსნილი შამპანიურით სასმისები გავაპიპინე და ბოლომდე დავცალეთ. სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა და ლაპარაკის საღერღელი ამიშალა.

„იპოდრომზე რატომ აღარ დადიხარ?“ ვკითხე ნოდარს.

„დედა არ მიშვებს, თან ტოტალიზატორში გადასაყრელი ფულიც არ მაქვს“.

„ეს ორი თვეა იპოდრომზე დავდივარ და მიკვირდა, რომ ვერ გხედავდი“, ვთქვი მე.

„მართალია“, დამიდასტურა მან.

„მას შემდეგ რაც „პურმარილმა“ მიმტყუნა მანდ სიარულს თავი დავანებე,“ დააზუსტა შემდეგ.

„რა ცხენი იყო, არა? კარგად მახსოვს ორი დუჟინი წაგებული ბილეთები როგორ გადააყარე ხალხს თავზე“, გავიხსენე მე და სასმისები ისევ შევავსე.

„დედა როგორ არის ნოდარ, იმედი მაქვს, რომ ქალბატონი ეთერი ძველებურად ისევ ჯანზეა“, წამოვიწყე ისევ.

„ეთერს რა უშავს, მე ვიკითხეო თორემ მას რა. მისმა ჭრიჭინმა გული გამიწყალა“.

„ასეა ძმაო. დედის კალთას დროზე უნდა მოსცილდე, თორემ სულ მალე მოხუცი ბავშვი, ანუ ინფანტილისტი გახდები“.

„ვიცი, მაგრამ რა ვქნა. ეს ოხერი ნოხიც...“ არ დაასრულა ნოდარმა.

ყური წავიყრუე.

„გავიგე ცოლი მოგიყვანია“.

„მართალია. ახლა ერთი ქალის მაგივრად ორი ქალს ვუყურებ ხოლმე სახლში“.

„ბავშვი?“

„ჩქარა იქნება, მეშვიდე თვეშია“.

ეს ამბავიც სასმისებით ავღნიშნეთ.

დარბაზში საშინელი ზურნა დაუკრეს. აი ისეთი სული რომ ფრჩხილებიდან გაგეპარება. გადავწყვიტეთ სხვა მაგიდასთან გადავმჯდარიყავით. კარებთან უფრო ახლოს. აქ ხმაური ნაკლებად გვაწუხებდა.

ოფიციანტი მოვიხმე. ორმეტრიანი სარგადაყლაპული ახმახი იყო.

„მეგობარო“, დავიწყე მე, თან სიგარეტს მოვუკიდე.

„თუ არ დაგეზარება ჩვენი დანახარჯის ანგარიში მოგვიტანე. ვიცოდე მაინც რამდენი უნდა მოგცეთ. მერე იმისდამიხედვით ვიმოქმედებთ“.

ოფიციანტი თავის დაკვრით გამომეთხოვა და დარბაზის კუთხეში საბუღალტრო სალაროს საქმიანად მიუჯდა. ნოდარმაც თვალი გააყოლა. ამ დროს მას შევხედე. ტუჩები უცახცახებდა და თმებიც აფშეკოდა თავზე.

ახლა მისი ჯანმრთელობის სადღეგრძელო შევსვი.

სასმისები გულიანად მივაჭახუნეთ.

მალე მიმტანიც მოგვიახლოვდა.

„თხუთმეტი მანეთი და 17 კაპიკი“, რიხით განაცხადა მან. თან წინ გაშვერილი ორი უზარმაზარი თითით საცოდავი ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯი ეჭირა.

„ძალიან კარგი“, დავეთანხმე მე.

„ახლა კიდევ ერთი ბოთლი შამპანიური მოგვიტანე და კარგად დავმრგვალდებით. თან ორი ყუთი სიგარეტიც წამოიყოლე“, დავადევნე უკან.

უხეში მიხვრა-მოხვრა რომ არა, მშვენიერი ჯეელი იყო.

„იცი რა გითხრა?“ წამოიწყო ნოდარმა. „შენ რომ გხვდები, თითქოს შთაგონება მემატება, ახლა რასაც გეტყვი, თითქოს ჩემს თავს ვეუბნები. ერთი აზრი მომივიდა, ვიცი არ გაგიკვირდება, სამაგიეროდ, კარგად ვისიამოვნებთ“.

„რა აზრი გაქვს?“ ვკითხე.

„აქ არ არის მყუდრო სიტუაცია. დაჰკრეს ამ ზურნას და ტვინი გამიხვრიტეს. ანგარიშშიც ხედავ როგორ გვატყუებენ. ეს ხომ უსინდისობაა. რით ვართ მაგათზე ნაკლები. მოდი აქედან გავიპაროთ და ფუნიკულიორზე წავიდეთ. გუშინ იქ გადასარევი შამპანიური მიიტანეს“.

მართლაც ზურნამ ყურები გამიხვრიტა, მაგრამ ასეთ წინადადებაზე ვყოყმანობდი. ბოლოს ვუთხარი:

„რაკი ასე გსურს, მაშინ მე ადრე გავალ და შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი“.

„რა თქმა უნდა“, ხელად წამოიძახა ნოდარმა.

„ჯერ შენ გადი, რუსთაველის კუთხეში დამელოდე, მე კი ამათ ნახავ, ისე გავაცურებ, შენი მოწონებული. თან შეეცადე ტაქსი გააჩერე, მოვირბენ, ჩავხტები და ჰერი ბიჭო, გავუტიოთ ფუნიკულიორზე“. დამაკვალიანა ნოდარმა.

ასეც მოვიქეცი. ქუჩაში გამოვედი, მხოლოდ რუსთაველის კუთხეში კი არა რესტორნის პირდაპირ ქაშვეთის ეკლესიის შესასვლელის გვერდით მდგარ ტელეფონის ჯიხურში შევედი. სახლში მინდოდა დარეკვა. ამის მერე ვაპირებდი დათქმულ ადგილზე მისვლას. ის-ის იყო ლაპარაკი დავასრულე, რომ რესტორნის კარებში ნოდარი გამოჩნდა. კი არ გამოჩნდა, მოფრინავდა. უკან ორი ახმახი რესტორნის თანამშრომელი მოსდევდა, მაგრამ გაქცეულ ქურციკს სპილო დაეწევა? გატყორცნილ ისარს განა დაიჭერს ვინმე?

ნოდარი თვალისდახამხამებაში კოლმეურნეთა მოედნის მიმართულებით გაქრა და კუდამოძუებული მდევრები ლანძღვა-გინებით უკან დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ დიდხანს ველოდი ნოდარს დათქმულ ადგილზე, მაგრამ ამაოდ. ორი დღეც რომ მელოდა ტყუილად გავირჯებოდი.

გავიდა ხანი. თანდათან ეს ისტორია დავიწყებას მიეცე-მოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აკადემიის სამეცნიერო

ბიბლიოთეკაში ნოდარს შევხვდი. ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ დაედო წინ და საფუძვლიანად ჩაჰკირკიტებდა. ვიცოდი ნაპოლეონზე იყო შეყვარებული და ხუმრობით ვკითხე:

„რაიმე სიახლეს ხომ არ მიაკვლიე ბონაპარტეს შესახებ?“

ნოდარმა თავი ასწია, ქაღალდები მისწი-მოსწია და დაბნეული მომაშტერდა. კარგა ხანს ხმას არ იღებდა.

„იგი ალექსანდრე მაკედონელთან და ჩინგიზ-ხანთან ერთად ყოველთვის მსოფლიოს უდიდესი მთავარსარდალი იქნება,“ თქვა ბოლოს ნოდარმა.

„აი ასეთი კაცი თავს დაესხა რუსეთს, რომელმაც 12 წლით ადრე საქართველო დაიპყრო. რატომ არ ისარგებლა მომენტით ქართველმა ხალხმა და რუსეთის უღელი არ გადაიგდო? თან ვინ იცის ნაპოლეონს გადამწყვეტ დახმარებას გაუწევდნენ. ეს ხომ ძალიან იოლი საქმე იყო. სულ 300 ლოთი რუსის ჯარის-კაცი იმყოფებოდა იმ დროს საქართველოში და ისინი დღე და ღამე ღვინოს სვამდნენ?“ ვკითხე ნოდარს.

„ვერ გადაიგდეს რადგან არ უნდოდათ. იყო რამდენიმე აჯანყება, მაგრამ თავადაზნაურობა მთლიანად რუსეთს მიეყიდა, ალექსანდრე ბატონიშვილის და რამდენიმე კაცის გამოკლებით,“ დამწუხრებულმა მომიგო ნოდარმა.

„რაიმე საბუთი არის რომ ჩვენი თავადაზნაურობა მოღალატე იყო? ვიცი რომ პოლონეთი თავისი თავადაზნაურობით და 200 ათასი ჯარით ნაპოლეონს შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად„“ ვთქვი ისევ მე.

„მთელი იმ პერიოდის საქართველოს ისტორია არის ქართველ თავადაზნაურთა ღალატის საბუთი. ამის თაობაზე არის უამრა-ვი ფაქტი. ნუგზარ ერისთავი მთიელებს ებრძოდა რომლებიც რუსების წინააღმდეგ აჯანყდნენ. პეტრე ბაგრატიონი რუსეთს იცავდა. პავლე ციციანოვმა ქართული სამეფო სახლი ციმბირში გაასახლა და ქართველებისგან შექმნა 4500 კაციანი იმ დროისა-თვის მოწინავე სამხედრო ესკადრონი რომელმაც ფაქტი-ურად მთელი კავკასია რუსეთისათვის დაიპყრო. ესკადრონს თავისუფლად შეეძლო საქართველოს განთავისუფლება და საქართველოს ძველ საზღვრებში ე. ი. თამარ მეფის იმპერიის საზღვრებში აღდგენა. რუსეთი ნაპოლეონით ძალიან დაკავე-ბული იყო, მაგრამ რუსების მონად ყოფნა ირჩიეს თვეში ერთი რუსული მანეთის საფასურად“.

„სამწუხაროა რომ ერთი რუსული მანეთის საფასურად ქართველმა ხალხმა რუსეთის მონად ყოფნა ირჩია, რაც დღემდე გრძელდება, მაგრამ მოდი ნოდარ ჩვენს რეალობას დავუბრუნ-დეთ“ ვთქვი მე.

„დავუბრუნდეთ,“ დამეთანხმა ნოდარი.

„მაშინ სად გაქრი?“ შევეკითხე.

„თვითონ შენ სად იყავი“, კითხვაზე კითხვითვე მომიგო.

„გამოვედი თუ არა რესტორნიდან, მაშინვე რუსთაველის პროსპექტის კუთხეში დავდექი და ერთი საათი გელოდე, მერე სახლში წავედი. აბა უფულოდ ისევ რესტორანში ხომ არ ჩამო-ვიდოდი“, მივუგე მე.

„მაშ არაფერი დაგინახავს?“ ნოდარის ჭროღა თვალები მაგიდის ნათურის შუქზე ცისფრად აკიაფდა.

თითქოს ძალიან მშვიდი მზერა ჰქონდა.

„აბა რა უნდა დამენახა, ვიდექი ჩემთვის ხესავით“, მოსაუბრეს პირდაპირ ვუყურებდი და ვცდილობდი სახის მიმიკის ოდნავი ცვლილებაც კი არ გამომპარვოდა.

ნოდარს თავი შესანიშნავად ეჭირა.

„გეტყვი რა მოხდა“, დამაჯერებლად დაიწყო ნოდარმა, „გამოსვლას რომ ვაპირებდი, მოულოდნელად კიბეებზე წავი-ბორძიკე, გულის ჯიბიდან მზის სათვალეები გადმომივარდა. კიდევ კარგი ნოხზე დაეცა და არ გატყდა. პარმენის ნაჩუქარი იყო. ხომ იცი პარმენს როგორ პატივს ვცემ“.

„როგორ არ ვიცი, თავადაც კარგად ვიცნობ“, დავუდასტურე, სოხუმში როგორი შეხვედრა მოგვიწყო. მაგას რა დამავიწყებს“.

„ჰოდა, გახალისდა ნოდარი“, სწორედ პარმენის ნაჩუქარი იტალიური სათვალეები დამივარდა კიბეზე. ასაღებად დავიხარე თუ არა უკნიდან ხელი მტაცეს. ბევრი ვუმტკიცე არსადაც არ მივდიოდი, მაგრამ არ დამიჯერეს. კინაღამ ვირის აბანოში ამომაყოფინეს თავი. კიდევ კარგი შენი მოცემული ოცდახუთი მანეთი მქონდა. მივეცი და როგორც იქნა ღამით გამომიშვეს. დედაჩემს აქტის გაუქმება ორასი მანეთი დაუჯდა“.

„ნოხი თუ გამოისყიდე ჩემო ნოდარ. ქალბატონი ეთერი როგორ არის?“

აქ კი ნოდარი უცებ წახდა.

„კი არა, ჯერ ვერ გამოვისყიდე. დედამ ჯერ ვერ მიაგნო“.

ვხედავდი ნოდარი აშკარად ტყუოდა, მაგრამ ეს კეთილი

ტყუილი იყო. მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ იგი არ დაუჭერიათ. მაგრამ რა მექნა, იძულებული ვიყავი მისი ტყუილი გადამეყლაპა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ოჯახური პასუხისმგებლობის გრძნობამ ჩაადენინა ეს.

იმ საღამოს ნოდარი კიდევ ერთხელ დავპატიჟე რესტორანში. კარგადაც ვისიამოვნეთ. მერე მეორე რესტორანში გადავინაცვლეთ, ბოლოს კი ორმა მეგობარმა ფუნიკულიორის რესტორანში ამოვყავით თავი.

ამჯერად დარბაზიდან დათქმული ადგილისაკენ პირველი ნოდარი მიდიოდა და რესტორნის თანამშრომლების გაცურება მე მიხდებოდა. სირბილი მეც კარგად ვიცოდი.

ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან

„ჩვენ გვინდა ისეთი შესაძლებლობის კაცი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას იმ ეკონომიკური წუმპიდან ამოიყვანს, რომელშიც ასე საფუძვლიანად ჩავიძირეთ. გამოგვიგ ზავნეთ ასეთი კაცი და არ აქვს მნიშვნელობა ღმერთი იქნება იგი თუ ეშმაკი, ჩვენ მივიღებთ მას“.

პაულ ჰენრი სპაქი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი პრეზიდენტი და 1957 წელს ევროპის პირველი ეკონომიკური კავშირის დამაარსებელი

„მსოფლიოს თავდავიწყებით სურს, რომ ანტიქრისტეს ხელმძღვანელობის ქვეშ იყოს“

მამაო ვინსატ მიქელი
ანტიქრისტე (1981)

ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის ისტორიის დამამთავრებელ, ეგრეთ წოდებული „ბოლო დროების“ მონაკვეთში. შეშფოთებული ხალხი მონდომებულები ეძებს თუ ვინ იქნება მათი „ბოლო დღეების“ ლიდერი. არ არის გამორიცხული, რომ ეს როლი შეასრულოს ეგრეთ წოდებული „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა

კავკასიიდან“. ზოგი საგულისხმო წინასწარმეტყველებით იგი მინიმუმ სამნახევრი წლის განმავლობაში პოლიტიკურად, ეკონომიკურად და რელიგიურად უხელმძღვანელებს კაცობრიობას.

თავდაპირველად, თავისი კარიერის დაწყების ადრეულ ხანაში ამ ძლიერ და ოქროს ენის პატრონ კაცს არ ეცოდინება თავისი მოწოდებისა და მისი ამ ქვეყანაზე მოვლენის მნიშვნელობა, მაგრამ მალე მონდომებული მეცადინეობით გიგანტური ენციკლოპედიური ცოდნის აკუმულაციას მოახდენს. ძალიან სწრაფად იგი გახდება მსოფლიოს ყველაზე გამოცდილი და განათლებული პოლიტიკოსი. „ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ უნარი იმეცადინოს დღე და ღამე ლეგენდარულია. მისი დევიზია „არასოდეს შევაჩერებ კვლევას და ყოველთვის ვიქნები პირველი“. მალე მისი უდიდესი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება გარდაისახება პოლიტიკურ და პრაქტიკულ სფეროში და 35 წლის ასაკში გახდება სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი პატარა ქვეყნის პრეზიდენტი.

ახალგაზრდა პრეზიდენტი არის შემართული, თეთრი კანის და არა შავი, როგორიც არის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაქ ობამა. იგი ხდება კავკასიური რასის ყველაზე გამოჩენილ პიროვნებად. მალე იგი ყველასთვის ცნობილი გახდება, როგორც „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ და მრავალი წლის განმავლობაში ეს იქნება მისი ტიტული და სავიზიტო ბარათი.

თავისი ცხოვრების ადრიან წლებში „რეფორმატორი“, შეერთებული შტატების პრეზიდენტ ობამას მსგავსად ცდილობს სრულად არ გამოავლინოს თავისი გონებრივი სიძლიერე და მრავალმხრივი განათლება. პერიოდულად იგი შეგნებულად უშვებს ტაქტიკურ შეცდომებს, თითქოს უკან იხევსო, რაც მოგვიანებით მისი შემდგომი წარმატებების საწინდარი ხდება. შეცვალოს დამარცხება გამარჯვებად არის „რეფორმატორის“ ერთ-ერთი თვისება და პროფესიაც კი. მოწოდებითა და სულიერი შემართებით უაღრესად მდიდარი კაცი, აკეთებს ყველაფერს შემოქმედების ყველა სფეროში და არის ყოველთვის პირველი და თითქმის არასოდეს მეორე. იგი, როგორც კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე. ამას ბაბილონის მეფე ნიმროდის მსგავსად, დაიწყებს მსოფლიოს უმაღლესი კოშკის „კავკასიონის ბურჯის“ მშენებლობას, მაგრამ ბუნებით ზარმაცი და თითქმის

დეგრადიდებულ-დეგენერატიზირებული კავკასიურის ეს ერი ვერ უძლებს „რეფორმატორის“ აქტიურ ტემპს. იგი უშედეგოდ ცდილობს თიხისაგან გაკეთებული მისი ქვეყანა მიაწეპოს ევროპის რკინისებურ ქვეყნებს, მაგრამ ამაოდ. ყველა მისი მცდელობა მარცხით თავდება ამ კავკასიური ერის ჭეშმარიტად „ღვთიური სიშტერის“ გამო.

„რეფორმატორი კავკასიიდან“ უკმაყოფილო ტოვებს ამ ქვეყანას და სამოღვაწეოდ გადადის სხვა ქვეყანაში. იგი სამშობლოს დატოვებს წინ თავის მეგობართან, მსოფლიო მთავრობის მომავალი „პროპაგანდის მინისტრთან“, სთივენ უოქერთან ერთად აისეირნებს კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე და განაცხადებს:

„ჭეშმარიტებას ვიტყვი მე. წინასწარმეტყველი ნამდვილად არ უყვართ საკუთარ სამშობლოში“ (ლუკა 4:24)

მალე „ჰალსტუხიანი კაცი კავკასიიდან“ ხდება მის ყოფილ სამშობლოზე არანაკლებ დეგრადირებული აღმოსავლეთ ევროპის მეორე ქვეყნის ლიდერი. აღმოსავლეთ ევროპის ეს ქვეყანა იქცევა ე. წ. „დანისპირ ქვეყნად“ რომელსაც გოგ-მაგოგის აგრესია ემუქრება.

გეოგრაფიული და ისტორიული შედეგებით ეს სახელმწიფო არის გოგისა და მისი ქვეყნის მამოგლენდის ბედისწერა. ყველა, სხვა შედეგი გარდა ევროპის ამ განაპირა ქვეყანაზე სრული გამარჯვებისა იქნება გოგისა და მაგოგლენდისთვის ჭაობში სრული ჩაძირვა და კატასტროფა. ან უნდა მოისპოს ეს ქვეყანა, ან თავად მოისპოს. მესამე არჩევანი არ არის. ასეთია მოგ-მაგოგის წინაშე მდგარი დილემა. ამიტომ როდესაც „რეფორმატორი კავკასიიდან“ ხდება აღმოსავლეთ ევროპის ამ ქვეყნის ლიდერი, იგი ავტომატურად ხდება მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად. მის ხელში აღმოჩნდება პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჯისცემა.

მაგოგლენდი (რუსეთი) შეუდარებელი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. იგი არის პირველი და ალბათ უკანასკნელი ქვეყანა დედამიწაზე, რომელმაც ათეიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ცნობილია, რომ ადამიანები უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ რომელიმე ღვთაებას ან ღვთაებათა ჯგუფს, რომლებიც უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ადამიანები. რუსეთი შეპყრობილი იყო იდეით, რომ იგი უფრო უმაღლესია, ვიდრე

ღვთაება. მალე ეს იდეა ამპარტავნობაში გადაიზარდა და რეალიებს მოწყდა. რუსეთი და მისი ხელმძღვანელები არ გაყვნენ პრომეთესა და ნიმროდის გზას, რომლებსაც სურდათ რომ უფალთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დაემყარებინათ. რუსეთი წავიდა უფრო შორს და უფალს გამოწვევა კი არ გაუგზავნა, არამედ მთლიანად გადააყენა ტახტიდან, მისი ადგილი ვლადიმერ ლენინმამ, ლეონ ტროცკიმ, იოსებ სტალიონმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, ლეონიდ ბრეჟნევმა, ბორის ელცინმა და ბოლოს კი, ვლადიმერ პუტინმა დაიკავეს.

დღეს დროება შეიცვალა და რუსეთის ბოლო ლიდერმა გოგ-მაგოგმა (პუტინმა) აღიარა უფლის უზენაესობა, მაგრამ უკვე გვიან არის. მაგოლენდის (რუსეთის) მოსახლეობის დიდი ნაწილი ათეიზმით გაიხრწნა, ხოლო მეორე ნაწილი ორთო-დოქსი ფანატიკოსი გახდა. ერთიც და მეორეც მიუღებელია უფლისათვის. მაგოგლენდს არა აქვს საშუალება შეცვალოს ვითარება. მისი დღეები დათვლილია და საბედისწერო დასასრული ხელის გაწვდენაზეა. რუსეთი ძალიან ნერვიულობს უფალთან მოსალოდნელი შეხვედრის გამო, რომლის დროსაც მან უზენაეს ანაგრიში უნდა ჩააბაროს. იგი გრძნობს მოსალოდნელ შედეგს და ისტორიის ბოლო პერიოდში სუპერ აგრესიულ ქვეყნად იქცა.

საუკუნეების განმავლობაში მაგოგლენდი (რუსეთი) უფლის შთაგონებით სისტემატურად მიისწრაფოდა წინ და ყველა მიმართულებით აფართოებდა თავისი სახელმწიფოს ტერი-ტორიებს. მან თითქმის შეუძლებელი შესძლო და მიუწვდომელი ზღუდეები დასძლია. შექმნა პლანეტის ყველაზე ფართე იმპერია, მაგრამ ერთი სურვილი დღემდე ვერ შეისრულა. რუსეთის გულის სიღრმეში სურდა გამხდარიყო „თბილი წყლების საზღვაო სახელმწიფო“. სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთმა იცოდა, რომ ვინც აკონტროლებს ახლო აღმოსავლეთს „თბილ წყლებს“ პერსპექტივაში გააკონტროლებს ევროპას, აზიას და აფრიკას, რაც მაქსიმალურად მიუახლოვებს მას მსოფლიოს ბატონობასთან. ამ მისწრაფების შესრულება იქნება მაგოგ-ლენდის ბოლო ნახტომი. იგი მრავალი საუკუნის წინ განსჭვრიტა მოშე ნოსტრადამუსმა:

„1999 წელს... ტერორის დიდი მეფე უკან დააბრუნებს მონგოლების „დიად მეფეს (ჩინგიზ ხანს). მარსი ტრიუმფალურად მზეობს ადრე და შემდეგ“ (ნოსტრადამუსი 10-72).

ამ ევრაზიელი „ტერორის დიდი მეფის“ ბიბლიური სახელი არის „გოგი“. იგი ნამდვილად „უკანასკნელი დროების“ დიდი დრამის მოწინავე მსახიობი იქნება. მისი სახელი „გოგი“ ნიშნავს „მაღალს, უმაღლესს, უსაზღვრო მთიანეთს“.

გოგი იქნება საიდუმლოებით მოცული პიროვნება, რომელიც „უკანასკნელი დროების“ წინა პერიოდში გამოჩნდება მაგოგლენდის უძველეს მიწაზე. სწორედ იმ მიწაზე, სადაც სხვადასხვა დროს იარსებებენ მონღოლეთის იმპერიის შთამომავლები, რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი და რუსეთის ფედერაცია.

ამავე დროს „გოგი“ შესაძლოა არ იყოს პიროვნების სახელი, არამედ აღნიშნავდეს ტიტულს, მსგავსად მეფისა, ფარაონისა, კეისრისა, ცარისა ან პრეზიდენტისა. ტერმინი „პრინცი“ ასევე გამოიყენება გოგის მიმართებაში.

არის საკმაოდ სერიოზული და მზარდი რწმენა რომ „გოგი“ არის რუსეთის ბოლო ლიდერის პუტინის ტიტული ან სახელი. იგი მართავდა რუსეთ-მაგოგლენდის მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე.

შეგახსენებთ, რომ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი გახდა 1999 წლის ბოლო დღეს, რაც ემთხვევა ნოსტრადამუსის ზემოთ მოხსენებულ წინასწარმეტყველებას. პუტინმა შესაძლებელია რუსეთი 2026 წლამდე მართოს, ხოლო მისმა საიდუმლო ორეულმა კი 2066 წლამდე. ეს ის წელია როდესაც უნდა მოხდეს იესო ქრისტეს მე-2 მოსვლა და ე. წ. „თეთრი ტახტის სასამართლო“, რაც განკითხვის ჟამსა და კაცობრიობის ისტორიის დასასრულია.

ასევე ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომ სწორედ 2066 წელი არის ბოლო ვადა რომლის დროსაც უნდა მოხდეს მზის სისტემის საიდუმლო, ე.წ. მე-12 პლანეტის ნიბირუს დედამიწასთან საბედისწერო დაახლოება, რაც მის გარდაუვალ დაღუპვას გამოიწვევს.

პრინცმა პუტინმა ალთაის მთიან რეგიონში, მონღოლეთის ტრამალებთან არც თუ ისე შორს თავისი ახალი რეზიდენცია დაარსა. ამით მან ყველას არაორაზროვნად მიანიშნა, რომ იგი უძლეველი ჩინგიზ ხანის მემკვიდრეა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინის ეს მრავალმილიარდიანი რეზიდენცია საკამათო ადგილს აღიმართა, რომელზედაც პრეტენზიცას რუსეთთან

ერთად ჩინეთი და ყაზახეთი აცხადებენ, პუტინს ეს ძალიან არ ადარდებს. დავა, კამათი და მეზობელი ქვეყნებისაგან ტერიტორიების წაგლეჯა მაგოგლენდის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი ცხადი პოლიტიკური სურათი ის უდავო გარემოებაა, რომ რომის იმპერიის მემკვიდრე, ლიბერალურ-დემოკრატიული ევროპის სათვისტომო, პოლიტიკურად თითქმის „კასტრირებულია“. მას არ აქვს უნარი და შესაძლებლობა ნახოს ისეთი ადამიანი, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს თავდაცვით ოპერაციებს, დინამიურ და ენერგიული გოგის (პუტინოქრისტეს) წინააღმდეგ. პუტინი გრძნობს თავის უპირატესობას და გონემახვილურად ხლართავს მახეებს ევროპის სათვისტომოს წინააღმდეგ.

ასეთ რთულ, ევროპისათვის საგანგაშო ვითარებაში „კავკასიელი რეფორმატორი“ იქნება ის ერთადერთი ინდივიდუმი, რომელიც მტკიცედ ჩაუდგება სათავეში ევროპის თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობას.

ეს ენერგიული კაცი პირველ რიგში უკანონოდ წარმოშობილ ე. წ. „დნესტრისპირეთს“, რომელიც მაგოგლენდის მომხრე პოლიტიკური გაერთიანება იყო, გააერთიანებს მოლდოვეთის სახელმწიფოსთან. ამის შემდეგ იგი დიდად შეუწყობს ხელს მოლდოვეთისა და რუმინეთის გაერთიანებას. ერთად ეს ორი სახელმწიფო ჩამოაყალიბებს ე. წ. „გაერთიანებული კარპატების შტატებს“, რომელიც სწრაფად იქცევა რეგიონალური მნიშვნელობის ლიდერ ქვეყნად.

მალე „რეფორმატორი“ განამტკიცებს თავის პოზიციებს თურქეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ფინეთში, კავკასიის გაერთიანებულ ემირატებში და გააფორმებს ე. წ. „შვიდ წლიან სამშვიდობო ხელშეკრულებებს“ ისრაელთან. იგი გახდება უამრავი საერთაშორისო კონფერენციებისა და სამშვიდობო შეხვედრების მგზნებარე მონაწილე და მალე აღმოსავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერი და სამხედრო მთავარსარდალი გახდება. იგი ცდილობს დაშინებული ევროპის ქვეყნების გამხნევებას და ახსენებს მათ თუ რამდენი სასახელო გამარჯვება აქვთ მათ მოპოვებული ჰუნების, მონგოლების, თურქებისა და რუსების წინააღმდეგ. „რეფორმატორი კავკასიიდან“ განსაკუთრებულ იმედს

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ამყარებს. ერთ მშვენიერ დღეს იგი განაცხადებს:

„მე დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი იმედი არ მაქვს, მათ უამრავჯერ უღალატეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით პოლონეთს, ფინეთს, ბალტიისპირეთსა და საქართველოს. ამჟამად ევროპა ეკონომიკურად, კულტურულად და მენტალურად გაყოფილია. ევროპა და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები თუ დაქსაქსულები დარჩებიან, ისინი ვერ იქნებიან მაგოგლენდის ფარდა ქვეყნები და დაიღუპებიან. ამის საშიშროება რეალურზე მეტია. ამის გამო ჯერ უნდა გაერთიანდეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, შემდეგ კი მის მაგალითზე მთელი ევროპა“.

პრინცმა გოგ-მაგოგმა შესანიშნავად იცის თუ ვინ არის „ჰალსტუხიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ და ცდილობს მისი მოღვაწეობის აღკვეთას თუ არა შეზღუდვას მაინც. იგი ხელს უშლის მის გადაადგილებას პლანეტის სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით იქ სადაც მისი გავლენა დიდია. ზოგ ქვეყანაში იგი „რეფორმატორის“ დაპატიმრებითაც ემუქრება, ადანაშაულებს რა მას არარსებული ხალხის გენოციდში, ეკონომიკურ დარღვევებში, სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს კოსტუმებისა და პალტოების უკანონო შეძენაში, კოსმეტოლოგების დაქირავებაში და სხვა. მალე მაგოგლენდის საიდუმლო სამსახურის აგენტები „რეფორმატორს“ ყოფილი სამშობლოს აგენტებთან აქტიურ თანამშრომლობაში შესძლებენ შავი ზღვის ზეცაში იმ თვითმფრინავის დარაკეტებას, რომელშიც „ჰალსტუკიანი რეფორმატორი“ იქნება.

მსოფლიო შეძრწუნდება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გაავრცელებენ ცნობებს თვითმფრინავის დაღუპვის შესახებ. „ბოინგ დრიმ ლაინერი“ ჰაერშივე ნაწილებად დაიშლება. სამაშველო სამსახურები მაშინვე დაიწყებენ ჩამოვარდნილი თვითმფრინავის „შავი ყუთის“ ძებნას, მაგრამ ძიების პირველი დღეების შედეგები უიმედოა. თვითმფრინავის კორპუსის ნაწილები ათასობით კილომეტრზეა გაფანტული. ერთი შეხედვით არავითარი შანსი არ არის, რომ ვინმე ცოცხალი გადარჩა, მაგრამ უეცრად მოხდა საოცრება. მალე ცნობილი გახდება, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი „რეფორმატორი“ სასწაულებრივად გადარჩება. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავს დააღწევს შავი

ზღვის ტალღებს და ფეხს შესდგამს შეერთებული შტატების რაკეტმზიდზე, რომელიც კატასტროფის დროს შავი ზღვის პატრულირებას ახორციელებდა.

თავში სასიკვდილოდ დაჭრილი „კავკასიელი რეფორმატორი“ ნამდვილად დაიღუპა, მაგრამ შემდეგ სასწაულებრივად გაცოცხლდა. იგი ჭეშმარიტად მკვდრეთიდან აღსდგება და მოკლე დროში გახდება მთელი ევროპის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ეს გამაოგნებელი ამბავი მოხდება ე. წ. ბოლო დროების „დიდი უბედურებების“ ანუ განკითხვის ჟამის შუა პერიოდში.

„აქვათიკურ სამკუთხედში დაიბადება კაცი, რომელიც თავის ერთ-ერთ დღეს წმინდა დღეთ აქცევს. მისი ძალაუფლება გავრცელდება ხმელეთზე და ზღვაზე, განსაკუთრები აღმოსავლეთით, სადაც შტორმი დაიწყებს მძვინვარებას“ (ნოსტრადამუსი 12-20).

„აქვათიკური სამკუთხედი“ არის ტერიტორია აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიას შორის. უფრო ზუსტად იგი მოქცეულია სამ წყალს შორის. შავ ზღვას, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის. ტერიტორია არც აღმოსავლეთ ევროპაა, და არც დასავლეთ აზია. მისი პოტენციალი და მნიშვნელობა ჯერ არ გახსნილა, მაგრამ განკითხვის ჟამს იგი ნათელი გახდება.

პრინცი გოგი-პუტინი, მაგოგლენდ-რუსეთის მრავლის მცოდნე, საიდუმლოებით მოცული ბრძენი პოლიტიკურ-მისტიკური მოღვაწეა. იგი დღე და ღამე მეცადინეობს, შესანიშნავი მოჭიდავე და მოთხილამურეა. მალე იგი ჰოკეის თამაშსაც დაიწყებს. გოგი არაჩვეულებრივი ფიზიკურ-მენტალური მონაცემების არსებაა. არის ძალიან სერიოზული მოსაზრება, რომ მან კიბოს ავადმყოფობის საიდუმლო ამოხსნა და მარადიული ახალგაზრდობის წყაროს მიაგნო.

პუტინი ღრმად იცნობდა გამოჩენილი ბრიტანელი გეოგრაფის ჰალფორ მაკინდერის ბრილიანტ გამონათქვამს:

„ვინც ხელმძღვანელობს აღმოსავლეთ ევროპას, ხელმძღვანელობს ჰართლანდს. ვინც ხელმძღვანელობს ჰართლანდს, ხელმძღვანელობს მსოფლიო კუნძულს, ხოლო ვინც ხელმძღვანელობს მსოფლიო კუნძულს ფლობს მსოფლიოს“.

მაკინდერის აზრით გზა მსოფლიოს ბატონობისაკენ ფრიად გასაგები და რეალურია, მაგრამ განსახორციელებლად მეტის-

მეტად ძნელია. მაკინდერი მიუთითებდა, რომ „ფრთოსან გამონათქვამში“ ნახსენები „მსოფლიო კუნძული“ არის ევრაზიის კონტინენტი აფრიკის კონტინენტთან ერთად, ხოლო განთქმული „ჰართლანდი“, ანუ „გულიმიწა“, იგივე „ცენტრი“ არის 2500 მილის სიგრძისა და 2000 მილის სიგანის ევრაზიის ცენტრალური ნაწილი.

ჰალფორდ მაკინდერის თანახმად ჰართლანდში შედის: შვედეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი, უნგრეთი, ბალკანეთის ნაწილი, უკრაინა, თურქეთი, კავკასია, ცენტრალური აზია ავღანეთის ჩათვლით, ტიბეტი, ყაზახეთი, მონღოლეთი და რუსეთის ტერიტორია არქტიკიდან და წყნარ ოკეანემდე.

ჰართლანდის ტერიტორიის ზუსტი შემოზღუდვა შეუძლებელია და მიახლოებით მიმოიხილება, როგორც რუსეთ-მაგოგლენდის საკუთრება. ამავე დროს ჰართლენდში მდებარეობს პატარა ჰართლენდი, ე. წ. „ლენალენდი“. ეს არის „სუპერ ჰართლანდი“. პატარა ჰართლანდი არის გიგანტური ტერიტორია და მოიცავს სივრცეს მდინარე ენისეიდან წყნარ ოკეანემდე.

პრინცი გოგ-პუტინის რუსეთ-მაგოგლენდი „ჰართლანდის“ მფლობელია. ცოტა ხნის წინ იგი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ტერიტორიებსაც ფლობდა. მას ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა მსოფლიო დაეპყრო, მაგრამ გამარჯვებისაკენ მიმავალი საბოლოო ნაბიჯის გადადგმა ვერ შესძლო. იგი იდეოლოგიურ და აქედან გამომდინარე, სამხედრო დაპირისპირებაში დამარცხდა. ამჟამად რუსეთ-მაგოგლენდის იმპერია დასავლეთის ცივილიზაციასთან და მის სამხედრო მანქანასთან ნატოსთან შედარებით სუსტია. მაგრამ პუტინს აქვს „გასაღები“ თუ როგორ დაიპყროს მსოფლიო. იგი ისევე როგორც მისი წინაპრები, ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი და ბრეჟნევი კარგად იცნობდა „მაკინდერის თეორიას“ და მის ფრთოსან გამოთქმას მსოფლიოს დაპყრობის შესახებ.

როგორც იტყვიან „მამაცობაში სუსტი, ეშმაკობაში ძლიერია“ და გოგი-პუტინიც ასე მოქმედებს. იგი მიყვება გერმანელი სამხედრო ინტელექტუალის კლაუზევიცის მითითებებს, რომელიც აცხადებდა რომ: „ყოველ ეპოქას აქვს თავისი სახის ომი, მისი შეზღუდული შესაძლებლობები და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შეგრძნებები“.

მაკინდერისა და კლაუზევიცის შეხედულებების სისწორეს რომ ითვალისწინებდა გოგი დასავლეთის ცივილიზაციის კოალიციის მიმართებაში თავის შედარებით სისუსტეს ანაზღაურებს ომისადმი ახალი მიდგომით. რამდენიმე ათწლეულის წინ მაგოგლენდ-რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვალერიუს გერასიმოვმა შეიმუშავა ახალი საომარი დოქტრინა, რომელიც „ჰიბრიდული ომის“ სახელით არის ცნობილი. თავისი უკიდურესი უზნეობით იგი აბსოლუტურად ახალი მიდგომაა ომისადმი და „განკითხვის ჟამისათვის“ არის დამახასიათებელი.

„გერასიმოვის დოქტრინის“ მიხედვით ერთ-ერთი კონფლიქტური მხარე მეორეს, ომს არაოფიციალურად, გამოუცხადებლად და საყოველთაო მობილიზაციის გარეშე იწყებს. გამოუცხადებელი სამხედრო აქტივობა მტრის ტერიტორიაზე რეალურად მიმდინარეობს დიდი ხნით ადრე, ვიდრე ამას გარეშე თვალი შეამჩნევს. ამ დროს მხარეები ერთმანეთს სუსტ წერტილებში უპირისპირდებიან და ერიდებიან პირდაპირ და აშკარა სამხედრო კონფრონტაციას. ეს არის „ჰიბრიდული ომის“ არსი და საერთაშორისო მეთვალყურეები ვერ ნახულობენ ხელშესახებ მიზეზს, რომ ომი მიმდინარეობს.

„გერასიმოვის დოქტრინა“ ეფუძნება და ბევრ შემთხვევაში იმეორებს ჩინურ დოქტრინას, რომელსაც „შეუზღუდავი ომი“ ეწოდება. იგი გამოიცა 1999 წელს, ე. ი. იმ წელს, როდესაც გოგი-პუტინმა მაგოგლენდ-რუსეთის მართვა დაიწყო. ჩინური დოქტრინის შესახებ ჩვენ ვრცლად ვსაუბრობდით წიგნში „დრაკონმა გაიღვიძა“. იგი ჩინელი კომუნისტების სახელმძღვანელო პროგრამაა.

ჩინელი ამხანაგების შეხედულებებით როდესაც ერთი ქვეყანა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეთოდურად, განუწყვეტლივ და მტკიცედ აწვება მეორე ქვეყნის სტრატეგიულ რეგიონს, ეს გარემოება საბოლოოდ იწვევს მეორე ქვეყნის სასაზღვრო ზოლის ცვლილებას. ამ პროცესის დროს მუშაობს სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი, მისი ცენტრის ხელმძღვანელობით. ეს ცენტრი უნდა იყოს შეუზღუდავი, ძალიან ძლიერი, ფაქტიურად ქვეყანაში უნდა იყოს სახელმწიფო ცენტრის დიქტატურა, რომელიც სრულად აკონტროლებს ქვეყნის საზღვარს.

თუ მოცემული ქვეყნის ცენტრი შესუსტდება, იგი ავტომატურად შეასუსტებს საზღვრების კონტროლს და, ქვეყანა სამხედრო დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება, რაც საბოლოოდ მისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკარგვას გამოიწვევს და საპირისპიროდ თუ ქვეყნის ცენტრის მნიშვნელობა გაიზრდება იგი განამტკიცებს თავისი საზღვრების კონტროლს და ცენტრის ინტერესები გაცდება საკუთარი საზღვრების ფარგლებს. იგი გადავა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს არის აგრესიის პირველი სტადია. ამ რეგიონში ცენტრი ამტკიცებს ეკონომიკურ, ეკოლოგიკურ და ეთნიკურ კავშირებს. ჩინელი კომუნისტების აზრით ძლიერი ცენტრის მქონე ქვეყანა პერმანენტული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო პრესის პირობებში, რომელიც მიმართული იქნება სხვა ქვეყნის სტრატეგიულ წერტილში, შესძლებს საბოლოოდ აიღოს იგი.

ჩინელი სამხედრო სპეციალისტების ეს დოქტრინა, რომელიც „შეუზღუდავი ომის“ სახელით არის ცნობილი, საფუძველია „გერასიმოვის დოქტრინისა“, რომელიც ასევე იმუშავებს მხოლოდ „დიქტატორული ცენტრის“ არსებობის პირობებში.

ვალერიუს გერასიმოვის შეხედულებით თანამედროვე პერიოდში ე. წ. „სამხედრო კონფლიქტის წარმოების მეთოდი“ შეიცვალა. იგი უშუალო სამხედრო შეტაკებების გარდა მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საინფორმაციო, დიპლომატიურ, ჰუმანიტარულ, კომპიუტერული ყაჩაღობისა და სხვა არასამხედრო ზომებს. ყველა ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებების ერთი კონფლიქტური მხარის მიერ თავის სასარგებლოდ გამოყენება და ჩანერგილია მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის „მეხუთე კოლონაში“. ამ ღონისძიებების მიზანია მოქიშპე ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნას პერმანენტული საოპერაციო ფრონტი.

ახლა „გერასიმოვის დოქტრინით“ შეიარაღებულ მაგოგლენდს შეუძლია აშკარა და მტკიცე სამხედრო ინტერვენციის გარეშე, დიდი ფინანსური სახსრების დაუხარჯველად ძირი გამოუთხაროს და დაანგრიოს მოწინააღმდეგე ქვეყანა, აიძულოს იგი ქედი მოიდრიკოს და დათანხმდეს მაგოგლენდის ყველა წინადადებას. გენერალი ვალერიუს გერასიმოვი წერდა, რომ „ჰიბრიდული ომის“ მიზანია ყველას დაანახოს, რომ მშვენივრად

აყვავებული ქვეყანა ერთ თვეში, შეიძლება რამდენიმე დღეშიც კი გარდაიქმნას სასტიკი შეტაკებების არენად“.

მოგვიანებით გერასიმოვის დოქტრინამ ხორცი შეისხა საქართველოსა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ უკრაინის კრიზისის დროს. მიზნის მისაღწევად რუსეთ-მაგოგლენდმა გამოიყენა სპეციალური დანიშნულების ჯარები – თავაზიანი „პატარა მწვანე კაცუნები“ და შინაგანი ოპოზიცია.

თანამედროვე „ჰიბრიდული ომი“ პრაქტიკაში ერთდროულად ნერგავს და იყენებს ყველანაირ ცხოვრებისეულ ჩვევებსა და არარეგულარულ საშუალებებს, არაოფიციალურ სამხედრო შენაერთებს, ტერორისტულ და შენიღბულ ძალადობრივ აქტებს. ასევე მიზნის მისაღწევად ეფექტურად იყენებს მასობრივი და კერძო ჰიპნოზის ფორმებს, კრიმინალური სამყაროს აქტივისტების საქმიანობას, რელიგიურ-სექტანტური ჯგუფების, მათ შორის ყველაზე რადიკალურების მსოფლმხედველობებს.

გოგის მითითებით მაგოგლენდის პოლიტიკური და ჟურნალისტური წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო კომპანიები, სამეცნიერო ინსტიტუტები, სამხედრო, სასამართლო და სახელმწიფო სააგენტოები, მაგოგლენდის დუმა-პარლამენტი და სხვა მრავალი დაწესებულება ერთი ინსტრუქტაჟითა და ერთი და იგივე მიზნით მუშაობენ.

პოლიტიკურ-ეკონომიკური და ყველა სახის ჰუმანიტარული რესურსების ერთ ფოკუსში თავმოყრა იწვევს ტოტალიტარული სახელმწიფოს ტაქტიკური ეფექტურობის მობილიზაციას, რაც ნაწილობრივ კომპენსირებას ახდენს მაგოგლენდის შედარებით სისუსტეს დასავლეთის ცივილიზაციას სამხედრო სიძლიერის მიმართებით. სწორედ ამის გამო მოხდება, რომ პრინცი გოგი მომავალ მსოფლიო ომის დასაწყისში გარკვეულ უპირატესობას მოიპოვებს.

მომავალი მსოფლიო ომი ნაწინასწარმეტყველია დიდი დანიელის, იერემიას, ისაიას, ნოსტრადამუსისა და სხვა რამდენიმე „მძიმე“ და „მსუბუქი“ წინასწარმეტყველის მიერ. განსაკუთრებით რელიეფურად მომავალი ომის სცენარი წარმოდგენილია ეზეკიელის წინასწარმეტყველების 38-39 თავებში, სადაც პირდაპირ არის მითითებული მაგოგლენდისა და „ისრაელის სახლის“ სამხედრო შეტაკების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ „ისრაელის სახლის“ გაგებაში დასავლეთის

ცივილიზაცია იგულისხმება. გოგს არ შეუძლია ომის თავიდან აცილება. ეზეკიელი და ისაია პირდაპირ მიუთითებენ, რომ მომავალი მსოფლიო ომი უფლის ნებით ხდება. იგი წინ უსწრებს არმაგედონის ომს, რომელიც წერტილს დაუსვამს კაცობრიობის ისტორიას.

მსოფლიო კრიზისი 23 თებერვლის ცივ ნაშუადღევს დაიწყება ნელა, თითქმის შეუმჩნევლად და თანდათან გადაიზრდება დიდ ინციდენტად, რომელიც მოხდება ესტონეთის სასაზღვრო ქალაქ ნარვაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მაგოგელი რუსები არიან.

მაშასადამე ნარვა ესტონეთს ეკუთვნის, ესტონეთი კი ნატოს სამხედრი ალიანსის წევრია. ნარვის მოსახლეობა კი რუსულია. აქ ხდება რუსების ეთნიკური პროტესტი.

ნატომ სიმშვიდე მოისურვა და სურვილი გამოთქვა, რომ ნარველი რუსების ეთნიკური პროტესტის ინციდენტი სამხედრო ჩარევაში არ გადაიზარდოს. მალე რუსების საპროტესტო მოძრაობა ჩიხში მოექცა, მაგრამ პრინცმა გოგმა თავისი ციტადელიდან მოსქოუ-სითიდან გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა ესტონელების მიერ დაგეგმილი რუსების მომავალი გენოციდის შესახებ.

ნარველი რუსების საპროტესტო აქტიურობა კვლავ გაიზარდა. მათ ჩახშობის შემდეგ მოხდება გარკვეული ძალადობრივი აქტები. დამტვრეული იქნება რამდენიმე მაღაზიის ვიტრინა. მაგოგლენდის საკონსულოს ალაყაფის კარებზე შეურაცხმყოფელი წარწერა გამოჩნდება. ერთ ადგილას კი ჩაქუჩითა და საკვეთელით ამოწეულ წარწერაში მაგოგლენდი ოთხასოიან კომბინაციაში მოიხსენიეს, რამაც პრინცი გოგი ძალიან გაანაწყენა. მან ტელევიზორით მხნედ განაცხადა, რომ თუ ჩვენ „mother fucker“-ები ვართ, მალე ყველას თქვენს „დედას fuck up.“.

ყველასთვის გასაოცრად ნარვაში რუსეთიდან სწრაფად გამოჩნდნენ მემარჯვდენე რადიკალები და „თავაზიანი მწვანე პატარა კაცუნები“. მალე მათ ესტონეთის კუთვნილ ქალაქ ნარვაში ძალაუფლება ხელში აიღეს. იგივე სცენარით განვითარდა მოვლენები აღმოსავლეთ უკრაინაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ საქართველოში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. „გერასიმოვის დოქტრინა“ შესანიშნავად მუშაობდა.

ნარვაზე კონტროლის დასაბრუნებლად ნატო სუსტად

რეაგირებს, თუმცა არალეტალურ შეიარაღებას უხვად აგზავნის სხვა ცხელ წერტილებში. გერმანიას დიდი შიში აქვს ომისა და ამიტომ წინააღმდეგია ნატოს ყოველგვარი აქტიურობისა. მას მხარს უჭერს ჰოლანდიის, საფრანგეთისა და იტალიის ზოგიერთი პოლიტიკური წრეები.

ნატოს წევრები, სერბეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და მონტენეგრო თანხმდებიან რუსეთთან თანამშრომლობაზე და ხელს აწერენ ერთობლივ კომუნიკეს. ხდება ნატოს ფაქტიური გათიშვა.

რუსეთი ოს და სომეხ მოხალისე რაზმებთან ერთად რამდენიმე საათში იპყრობს საქართველოს. მორალური სიმტკიცის სიმცირის გამო ქართველები ვერ ახერხებენ რაიმე არსებით ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას. საქართველოს ორთოდოქსალური ეკლესია, რუსეთის ორთოდოქსალურ ეკლესიასთან ერთად ერთობლივ კომუნიკეს გამოაქვეყნებს, რომელშიც მიესალმება ორი მოძმე ხალხის უფრო ახლო პოლიტიკურ-სულიერ კავშირს.

საქართველო ხდება რუსეთის მარიონეტული სახელმწიფო და უერთდება მაგოგლენდის ჩრდილოეთ კოალიციას. საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ბრიგადა რუსეთის სამსახურში დაიწყებს მუშაობას, დანარჩენი 30 ათასი კი სახლებში დაბრუნდება.

აზერბაიჯანის ბრძოლა საქართველოს გარეშე უაზრო ხდება და იგი ნებდება. ბრძოლაზე უარის სანაცვლოდ გოგი-პუტინი აზერბაიჯანს, მარნეულის, გარდაბნისა და კახეთის რაიონების ნაწილს გადასცემს. თურქეთი კი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს.

ნარვა იქცევა გაყინული კონფლიქტის ადგილად, ადგილობრივი მაგოგელები ქალაქის ახალ თვითმართველობას აირჩევენ, რომელიც ახლო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირს დამყარებს რუსეთთან. დაახლოებით იგივე სიტუაციაა სხვა „ცხელ წერტილებში“.

გერმანია კვლავ სასტიკი წინააღმდეგია ნატოს ნებისმიერი აქციისა, რათა უკან დაიბრუნონ ნარვა.

რუსეთი გოგი-პუტინის ხელმძღვანელობით ნათლად ხედავს ნატოს მერყეობას და გერმანიის პოზიციას. იგი იღებს მეტად გონივრულ გადაწყვეტილებას და სწრაფად ილაშაქრებს და იპყრობს მთელ ესტონეთს. ეს ხდება მანამდე, სანამ შეერთებული

შტატების ჯარები შესძლებენ ესტონელებისათვის დახმარების გაწევას. ფინეთის არმია უარს აცხადებს კაპიტულაციაზე და ცდილობს კარელეთის უკან დაბრუნებას.

ირანი, სირია, კაპისტანი, ინდოეთი და ჩრდილოეთ კორეა ეხმარებიან მაგოგლენდერ სამხედროებს. უკრაინაში და საქართველოში აჯანყებები იწყება. თურქეთი იკავებს ბათუმის ოლქს. საქართველოს პარლამენტი გამოსცემს ერთობლივ განცხადებას, რომ „ჩვენთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“ და დახმარებას სთხოვს რუსებს ქართველი ამბოხებულების წინააღმდეგ.

მალე სომხეთი მოულოდნელი დარტყმით იღებს აზერბაიჯანის ქალაქ განჯას და სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონს, დააწესებს კონტროლს ბაქო-თბილისი-ახალქალაქის რკინიგზაზე და სხვა მნიშვნელოვან კომუნიკაციებზე.

კუბა და ნიკარაგუა იკავებენ რუსეთ-მაგოგლენდის მხარეს. ჰონდურასი შეიჭრება ელ სალვადორში. ბრაზილია იკავებს ვენესუელას და გაიანას. სურინამი და ტრინიდად და თობაგო კი ბრაზილიის პროტექტორატში შედიან. კოსტარიკა და კოლუმბია პანამის არხზე კონტროლის დაწესებას ცდილობენ.

პუერტო-რიკო დომინიკანურ რესპუბლიკას დაიკავებს. ჰაიტი კი იამაიკას შეუტევს, მაგრამ სასტიკად დამარცხდება და დასუსტებული კუბის აგრესიის მსხვერპლი შეიქმნება.

გოგი-პუტინის იმედი განხეთქილება და გაყოფა შეიტანოს ნატოში მართლდება.

რუსეთ-მაგოგლენდი განსაცვიფრებელი სისწრაფით, ფაქტიურად ერთ ღამეში განალაგებს „ტაქტიკურ“ ბირთვულ იარაღს ესტონეთის ტერიტორიაზე. გერმანიის დაწოლისა და ევროპელთა შიშის გამო გამანადგურებელი ბირთვული ომის თაობის გამო ნატო უკან იხევს. ახლა ნარვას მსგავსად მთელი ესტონეთი ხდება გაყინულ კონფლიქტად.

პრინცი გოგი სხვადასხვა მიმართულებით თავგანწირულ შეტევებს ახორციელებს. იგი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მხარეს ერიდება. ეკონომიკური თვალსაზრისით რუსეთს ძალიან სჭირდება თბილი ზღვის პორტები. მას ასევე ძალიან სჭირდება ახლო აღმოსავლეთის ნავთობი და სასარგებლო წიაღისეული. სასარგებლო წიაღისეული და პორტები გოგს მრავლად აქვს, თუმცა ისინი ყველა ჩრდილოეთში არიან თავ-

მოყრილნი და მძიმე კლიმატური პირობების გამო იგი მათ ვერ იყენებს.

ესტონეთის ოკუპაცია და ევრო სათვისტომოს დაღმასვლა გახდა მთავარი მიზეზი ნატოს სამხედრო ორგანიზაციის კასტრაციისა. გერმანიისა და მისი ზოგიერთი მიმდევრების უხერხემლო პოზიციამ შელახა ნატოს ცნობილი კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების მე-5 პარაგრაფი. იგი ითვალისწინებდა ბრძოლას „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის". იგი ნიშნავს, რომ თუ ნატოს წევრ ქვეყანას რომელიმე მე-3 ძალა თავს დაესხმის, ნატოს ყველა წევრი ერთობლივად იცავს თავს.

ნატომ არ გააკეთა შესაბამისი რეაგირება ესტონეთის ოკუპაციაზე. მე-5 პარაგრაფი არ ამუშავდა და ამის გამო ნატოს რამდენიმე წევრი ქვეყანა ორგანიზაციიდან გაიქცა. ნატო იქცა ქაღალდის ვეფხვად და რამდენიმე ადგილას გაიხა. ევრო პარლამენტი, ჰააგის სასამართლო და ტრიბუნალი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მრავალი სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციები პარალიზებულია.

რუსეთ-მაგოგლენდის განთავსება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ეტაპია მსოფლიო ბატონობის გზაზე. იგი დიდი აგრესიის საწყისი ეტაპია. უკრაინაში და პოლონეთში ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა. საქართველოს ამბოხება სწრაფად ჩაეხშო და ქვეყანა პროსტრაციულ ქაოსში ჩაეშვა. მოსახლეობის ნაწილი ღვინის სმითა და ტრაბახით იქარვებდნენ დარდს. შემთვრალი მოქალაქეები მთელი ღამის განმავლობაში გაჰყვიროდნენ „ვინც კარგია ქართველია და რაც კარგია ქართულია", ან „საქართველოს „კატოკმა" რომ გადაუაროს დიდ რუსეთზე დიდი იქნება" და სხვა ამდაგვარი, შემდეგ კი დასაძინებლად მიდიოდნენ.

გოგმა განაცხადება, რომ მას საკონსტიტუციო უფლება აქვს ბირთვული იარაღი განათავსოს ყირიმში, კუბაზე, კალინინგრადის ოლქში და იქ სადაც ამას საჭიროდ ჩათვლის. ამის თაობაზე მან მოიშველია მაგოგლენდის დუმის (პარლამენტის) დადგენილება.

გოგს პირველ რიგში სურს განალაგოს „ტაქტიკური" ბირთვული იარაღი, შემდგომ კი გამოიყენოს ქალაქების დამანგრეველი „სტრატეგიული ბირთვული იარაღი. პირველი იქნება

გამაფრთხილებელი, მეორე კი დამაშინებელი. ეს იყო ნოუ ჰაუ ბირთვულ „ჰიბრიდულ ომში“.

ამ ამბის იდეა ის არის, რომ „ტაქტიკური“ ბირთვული დარტყმა, რომელიც ძლიერ დამანგრეველი არ არის, იქნებოდა რუსეთის მზადყოფნის სიგნალით, რომ თუ მისი პოლიტიკრი მოთხოვნები არ დაკმაყოფოლდება, იგი მზად იქნება გამოიყენოს სრულმასშტაბიანი „სტრატეგიული“ ბირთვული იარაღი და აიძულოს ბირთვული კატასტროფის წინაშე მდგარი მოწინააღმდეგე შეწყვიტოს წინააღმდეგობა.

„ტაქტიკური“ და „სტრატეგიული“ ბირთვული იარაღის ურთიერთშენაცვლება და სხვადასხვა კომბინაციები ჰგავს ბირთვულ იარაღს, რომელიც მიდებულია მსოფლიოს საზოგადოების საფეთქელზე.

ასეთი იქნება პრინც გოგის ბირთვული პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის ცივილიზაცია დასაწყისში ალღოს ვერ აუღებს. მოგს დაქვემდებარებული ინფორმაციის საშუალებები ფაქტიურად მოიგებენ საინფორმაციო ომს. გოგის მიერ მოსყიდული დასავლეთ ევროპელი „თუთიყუშები“ დაუღლელად აცხადებენ და აქებენ მაგოგლენდის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას. ერთხელ გოგი გაერთიანებული ერების ექსტერნულ სესიაზე განაცხადებს:

„თქვენ სჯობს ნუ გვირევთ საქმეებს ჩვენ (მაგოგელებს) თორემ ვინ იცის რას მოვიმოქმედებთ“.

პრინცი პუტინი თავისთავს ხედავს „სამშობლოს დამცველისა“ და მაგოგლენთა ისტორიული მიწების შემკრების როლში. ამ გზაზე მისი იარაღია აქტიური ქმედებები და შანტაჟი, რომელშიც იგი დიდი ოსტატია. გოგი-პუტინი თავის შედარებით სისუსტეს ანაზღურებს მზადყოფნით მიაწვეს საქმეს ბოლომდე და საჭიროების შემთხვევაში გადასახტომი თამასა უფრო მაღლა აწიოს, ვიდრე ის ძლიერ დასავლეთ ევროპულ ქვეყნებს შეუძლიათ. იგი მიისწრაფვის უკიდურესად დაძაბული საერთაშორისო ვითარების, მისი სახელმწიფოს სამხედრო პიოტენციალიდან გამომდინარე, კიდევ უფრო დაძაბვას.

სანამ ბრძოლები და პოლიტიკური მოვლენები ნელა ვითარდებოდა გოგის შანტაჟს კარგი შედეგები ჰქონდა. მისმა პოპულარობამ მსოფლიოში ძალიან მოიმატა, ხოლო მის სამშობლოში ასტრონომიულ დონეს მიაღწია. მაგოგლენდის (რუსე-

თის) მოსახლეობას 99,99 პროცენტს მხარს უჭერს გოგი-პუტინისა და მაგოგლენდის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

გოგი მხნედ განაგრძობს თავის კურსს. იგი ხედავს, რომ ევროპას უჭირს კარგ ცხოვრებაზე უარის თქმა და სამხედრო მობილიზაციაზე გადასვლა. იგი ყოყმანობს, პუტინი კი მოქმედებს. იგი თანდათან უმატებს ტემპს.

ხორვატეთის ოკუპაციის შემდეგ გოგის ე. წ. „წითელმა არმიამ“ ყურადღება თურქეთს მიაქცია. მაგოგლენდის შავი ზღვის ფლოტმა დათრგუნა თურქეთის „ყარადენიზიის“ საზღვაო ძალები და თურქეთის სამხრეთში დესანტი გახდა. ეს ოპერაცია მაგოგლენდმა სომხებთან, სირიელ ალავითებთან და ქურთებთან ერთად მოიმოქმედეს, რაც წარმატებით დამთავრდა. სომხებმა თითქმის დაიბრუნეს ისტორიული სომხეთი და დაიწყეს „დიდი სომხეთის“ ორგანიზებაზე ფიქრი. ქურთებმა კი სწრაფად შექმნეს „დიდი ქურთისტანის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, რომელმაც მაგოგლენდის შემადგენლობაში შესვლა მოისურვა, რაზედაც სწრაფი თანხმობა მიიღეს. მალე სტამბოლი ალყაში მოექცა.

ამრიგად, თურქეთს არ გამოადგა ნეიტრალური პოზიცია. ისევე როგორც არ გამოადგა იგი გერმანიას, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა რომ ჩაშლილიყო მაგოგლენდის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი კონფრონტაცია. გამართლდა, აზრი რომ მტაცებელი ქვეყნებისათვის ნეიტრალურ პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს იგი მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს.

მართლაც მალე გერმანიისაგან პოლიტიკური რევერანსების მიუხედავად პრინცმა გოგმა შლეზვინგ-ჰოლსშტაინში განლაგებულ გერმანიის არმიას დაარტყა. მაგოგლენდის მე-17 არმიამ ბრწყინვალედ განახორციელა უაღრესად შენიღბული ოპერაცია „ბაგრატიონი“ (ზოგიერთი ცნობით ოპერაციას „კირილე და ილია II ეწოდებოდა“) და დაიკავა გერმანიის დედაქალაქი ბერლინი. გოგის შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გერმანიამ მხოლოდ რაიხსტაგის რაიონში დაიწყო ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. გოგმა აიღო რაიხსტაგი, აღმართა მასზე მაგოგლენდის წითელი დროშა, ეს მაგოგელმა სერჟანტმა ეგოროვმა და ყოფილმა საქართველოს არმისი ოფიცერმა ქანთარიამ შესძლეს. გოგმა გადაჭრა დასავლეთისაკენ მიმავა-

ლი გზები და დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში თარეში.

ამსტერდამის ბრძოლა ნატოს ორგანიზაციისთვის გამანადგურებელი და სამარცხვინო აღმოჩნდა. ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით მილიონამდე სამხედრო და სამოქალაქო პირი დაიღუპა. ბრძოლების დროს მაგოგლენდის სამმა არმიამ ბელგია დაიკავა. ორი ფრანგული არმია აღიგავა მიწისაგან პირისა. დანიამ და შვედეთმა უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადეს. ამ ამბების შემდეგ ევროპის ყოველგვარი იმედი არა თუ გამარჯვებისა, არამედ გადარჩენისაც კი თითქოს გაქრა.

ინგლისის და საფრანგეთის ბირთვული პოტენციალი დაახლოებით ხუთი დღის განმავლობაში შეერთებულ შტატებში იქნა გადაზიდული და ევროპა მხოლოდ ამერიკული ბირთვული ქოლგის იმედზე დარჩა, რომელიც თითქოსდა დაკეცილი იყო.

„მაჟინოს ხაზი“ ბოლოს და ბოლოს გარღვეული იქნა და გოგის „წითელი არმია“ იწყებს ევროპის კონტინენტის სრულმასშტაბიან ოკუპაციას. საფრანგეთში და ნორვეგიაში რევოლუციები ხდება. ამ ქვეყნების ახალი ხელისუფლებები პოლიტიკურ ორიენტაციას იცვლიან და მაგოგლენდს ერთგულებას ეფიცებიან. ევროპა დათრგუნული და გასუსულია და მოწყალების თვალები მორჩილად შეჰყურებს ძლევამოსილ გოგ-პუტინს. მხოლოდ ფინელი და ესტონელი პარტიზანები აქტიურობენ, სხვაგან წინააღმდეგობის ყველა კერა ჩაქრა.

ფინელების შესახებ განსაკუთრებით უნდა ითქვას. მათი სნაიპერები შიშის ზარს სცემდნენ მაგოგლენდის ჯარისკაცებს. ერთმა ფინელმა სნაიპერმა, მეტსახელად „თეთრმა სიკვდილმა“ 93 დღის განმავლობაში 705 მაგოგლენდერი იმსხვერპლა. სიმო ჰაია ერთნახევარი მილის მანძილიდან კლავდა მოწინააღმდეგეს. ბრძოლის 93-ე დღეს მოწინააღმდეგის ტყვია სიმოს ყბაში მოხვდა და ნახევარი თავი წააცალა, მაგრამ 13 დღის განმავლობაში კომაში ყოფნის შემდეგ სიმო გადარჩა და ბრძოლა გააგრძელა. მან კიდევ ათასამდე მაგოგლენდერი იმსხვერპლა. სიმოს ბევრი მიმდევარი ჰყავდა და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ გოგმა ფინეთზე სრული კონტროლი ვერ დააწესა. უფრო მეტიც, ფინელმა პარტიზანებმა და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულმა მოხალისეებმა რეგულარულად დაიწყეს დივერიის განხორციელება მაგოგლენდის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სანკტ-პეტერბურგში, კარელეთში და პლისეცკის

კოსმოდრომის მიმდებარე ტერიტორიებზე. ერთი დივერსია მურმანსკის პორტშიც მოხდა, როდესაც ფინელმა კამიკაძემ ბომბებით დატვირთული მსუბუქი ბომბდამშენი მაგოგლენდის უდიდეს ტანკერს „ჯოზეფ სტალინს“ დააჯახა, რომლის აფეთქების შედეგებით ნახევარი ქალაქი განადგურდა.

ფინელების ლეგენდარული ბრძოლების მიუხედავად გოგის არმიები იპყრობენ ისლანდიას და საბერძნეთიდან შეიჭრებიან სამხრეთ იტალიაში. მალე ესპანეთი და შვეიცარია დათრგუნულები იქნებიან.

გოგი-პუტინი გამოაცხადებს, რომ ევროპაში გამარჯვება მოპოვებულიაო და დიდ ბრიტანეთს საპატიო ზავს შესთავაზებს. ბრიტანეთი ზავზე უარს იტყვის და გოგი ბრიტანეთის ოკუპაციისათვის დაიწყებს მზადებას.

გოგი-პუტინი ძალიან დამაჯერებლად გრძნობს თავს, რადგან მისი ერთადერთი სერიოზული მოწინააღმდეგე შეერთებულ შტატებში მერყეობს და გამუდმებით თათბირებს მართავს კონგრესში და სენატში. მხოლოდ ერთი ადამიანი, ვიეტნამის ომის ვეტერანი, ძველი ლომი, არიზონას შტატის სენატორი მაქქეინი დაუღლელად მოითხოვს განხორციელდეს რადიკალური ზომები გოგის აგრესიის ასალაგმავად და როგორც საწყისი ზომა მოითხოვს რომ სასტიკად დაიბომბოს კრემლი და მაგოგლენდის სხვა ადმინისტრაციული ნაგებობები, მათ შორის 30-მდე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ეკონომიკური ნაგებობები: ჰიდროელექტროსადგურები, ფაბრიკები და ნავთობგამანადგურებელი ქარხნები, მაგრამ ძველი ვეტერანის განცხადებები დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

შეერთბული შტატების ადმინისტრაციამ რუსეთ-მაგოგლენდის ბომბდარდირება ვერ გაბედა, სამაგიეროდ, ჯერ რბილი, მერე ზომიერი, ბოლოს კი მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა. ამერიკელმა პრეზიდენტმა ამაყად განაცხადა, რომ ევროპის წინააღმდეგ წარმოებული აგრესია რუსეთს „ძვირი დაუჯდებაო“.

პრინცმა გოგმა შესანიშნავად გამოიყენა ამერიკის ხელისუფლების მერყეობა და მალე „ნორადის“ თავდაცვითმა სისტემამ რუსეთიდან მომავალი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები დააფიქსირა.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პუტინს დაურეკა და ჰკითხა:

„ნორადი“ მართალია თუ არა?“

„ნორადის“ განგაში ტყუილია, ჩვენი ცა სუფთაა“, განაცხადა პუტინმა.

პუტინი ტყუოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაგოგლენდ-რუსეთის ბირთვული რაკეტების პირველმა სასიკვდილო ტალღამ თითქმის მთლიანად გაანადგურა შეერთებული შტატე-ბი. მილიონობით ადამიანი დაიღუპა. შეერთებულმა შტატებმა დროებით მიიღო „უიმედოდ დეზორგანიზებული ქვეყნის“ სტა-ტუსი, რადგან ცოცხალი აღარ დარჩა არც ერთი მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო ოფიციალური პირი. შეერთებული შტატები დროებით ლიდერის გარეშე დარჩა.

ამ ამბების პარალელურად პუტინმა ბირთვული დარტყმები მიაყენა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, კავკასიას და ისრაელს. მსოფლიო ომი ახალ ფაზაში შევიდა. ბალტიისპირეთში დიდი ხოცვა-ჟლეტა მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობა ცოცხალი აღარ დარჩა. დაიწყო ტერიტორიის სლავიზაცია.

გოგი-პუტინმა ევროპის და ნაწილობრივ კი ახლო აღმოსავ-ლეთის ინტერვენცია დაიწყო. გოგი სიამაყით არის აღვსილი. ყველაფერი მისი გეგმის მიხედვით ხორციელდება.

როგორც ავღნიშნეთ ომის დასაწყისში გოგს დიდი უპირა-ტესობა ჰქობნდა. მისი შეტევები განხორციელდება მიწაზე და ზღვაზე (დანიელი 11:40). ეს მოხდება ე. წ. „ბოლო დრო-ების“ შუა პერიოდში, რომლის დროსაც დიდი გეოგრაფიული კატაკლიზმები მოხდება (ეზეკიელი 58:19,20). ამ დროს მაგოგ-ლენდის სატანკო დივიზიები კავკასიიდან ისრაელში თურქეთის გავლით შეიჭრებიან.

ეგვიპტეში დაარსდება გოგის სამხედრო შტაბი, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს ე. წ. „სამხრეთ კოალიციის“ ჩამოყ-ალიბებას ეგვიპტის, ლიბიის, სირიის, და რამდენიმე სხვა არაბული ქვეყნის შემადგენლობით. გოგი-პუტინი „სამხრეთ კოალიციას“ რკინის გარანტიას მისცემს რომ იგი მათ მხრებზე იბრძოლებს ისრაელის წინააღმდეგ და ერთხელ და სამუდა-მოდ გადაჭრის ებრაულ საკითხს. რუსეთი ისრაელის ძარცვას დაიწყებს. გოგის მოკავშირე არაბები კი ევროპისა.

არანაკლებ დაძაბული ვითარება იქმნება აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. აქ ძალიან მნიშვნელოვანი

როლის თამაშს იწყებს ჩრდილოეთ კორეა, რომელიც გოგის აქტიური მხარდაჭერით იპყრობს სამხრეთ კორეას. ეს ბრძოლები მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს წაიღებს.

ინდონეზია და ტაილანდი მალაიზიას გადაუვლიან, რომლის მუსლიმანი მოსახლეობა ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ფილიპინები არმიას ბორანზე გადასხამს და მხარს დაუჭერს ადგილობრივ მეამბოხეებს.

მესამე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი იქნება ინდონეზიისა და ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ბრძოლა ბორნსოსთან. ავსტრალია გაიმარჯვებს და მსოფლიოს იმედი ჩაესახებათ, რომ სიბნელე მალე განათდება.

გოგის მიერ დაკოდილი შეერთებული შტატები იაპონიას უფლებამოსილებას აძლევს რომ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შეიარაღდეს. მართლაც თითქმის რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში იაპონიის არმია რამდენჯერმე გაიზრდება და გავლენიან ძალად ჩამოყალიბდება. სულ მალე, იაპონია გახდება ქვეყანა, რომელიც გოგ-მაგოგლენდის აქამდე წარმატებულ აგრესიას შეანელებს.

მაგოგლენდი ჩრდილოეთ ჰოკაიდოზე შეიჭრება, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობას წააწყდება, რომ ბრძოლის კამპანიას მიატოვებს და სახალინზე გამაგრდება. იაპონია კონტრშეტევაზე გადავა და მისი ფლოტი ჰოკაიდოსთან მომხდარ საზღვაო ბრძოლას მოიგებს. ბრძოლის ამ ეტაპზე მაგოგლენდი დეზორგანიზებულია და იაპონია თავის ყოფილ სამფლობელოში, სახალინზე შეიჭრება. სახალინზე მომხდარი სახმელეთო ბრძოლები იაპონიის გამარჯვებით დასრულდება და იგი მალე კურილიის ყველა კუნძულს დაიბრუნებს.

ვიეტნამი მაგოგის მხარეს დაიჭერს და გაანადგურებს კამბოჯას სამეფოს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯუნგლებში მილიონობით ადამიანი გაქრება.

მაგოგლენდი იხტიბარს არ იტეხს და ალიასკაზე შეიჭრება, რომელიც ერთ დროს მაგოგლენდის კოლონია იყო. ამ დროს მოხდება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა. გოგმა „ტაქტიკური“ ბირთვული დარტყმა მიაყენა პერლ-ჰარბორს, სადაც შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის ნაწილი იყო განლაგებული. ამის საპასუხოდ იაპონია-შეერთებული შტატების ფლოტმა კოდიაკის ბრძოლაში გაანადგურა მაგოგ-

ლენდის წყნარი ოკეანის ფლოტი. მალე ამერიკელებმა საზღვაო ფეხოსნები გადასხეს მაგოგლენდის ფრონტის ზურგში.

გოგის საყოველთაო თარეშის დროს „ჰალსტუხიანი კაცი“ აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგება სათავეში. იგი ძალიან შესამჩნევი ფიგურა ხდება მსოფლიოს დემორალიზებულ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის და ამ კრიტიკულ მომენტში „ჰალსტუკიანი კაცი“ კავკასიიდან ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. უეცრად ყველა მიხვდება, თუ ვინ არის იგი: დიდი ორატორი, დიდი რეფორმატორი, დიდი სამხედრო სარდალი, დიდი ფინანსისტი. იგი არის „უშიშარი ვითარცა უხორცო“.

გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე მისი ახალი გენერალური მდივანი, რომელიც როგორც ავღნიშნეთ ასევე ცნობილია, როგორც „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ განაცხადებს:

„წარმოშობით მე პრომეთეოსის ქვეყნიდან ვარ, ადგილობრივი ხალხი პრომეთეოსს ამირანს უწოდებს. ამ გმირმა კაცობრიობას ცეცხლი მოუპოვა, რომელმაც ცხოვრება იოლი გახადა. ამ აქტმა ძალიან გაანაწყენა იაჰვე-უფალი, რომელიც ადრე ზევსის სახელით იყო ცნობილი. მან კავკასიონზე მიაჯაჭვა პრომეთეოსი. ამიტომ „პრომეთეოს-ამირანი“ განასახიერებს განმანათლებლობას და წინააღმდეგობის გაწევის უნარს უფლის დესპოტიზმის წინააღმდეგ.

დღევანდელ ბნელ ხანაში ჩვენ უნდა გავიხსენოთ ლუციფერის ახლოს მდგომი თანამშრომელი, „შუქისმატარებელი“ პრომეთეოს-ამირანი. იგი განასახიერებდა ბალტიის, შავი და კასპიის ზღვების არეალის თავისუფლებას.

ბნელეთის პრინცმა მაგოგლენდის ლიდერმა გოგი-პუტინმა თავისი თათი დაადო ამ რეგიონს. აქ მან მონათმფლობელური წყობილება დააარსა. ეს სისტემა კარგი იყო კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, მაგრამ დღეს იგი ანაჰრონიზმია. მისგან საბოლოოდ უნდა გავთაისუფლდეთ. ამიტომ დღეს მე მინდა გავიხსენო დიდი კაცი, დიდი მამულიშვილი იოსებ პილსუდსკი, რომელმაც თქვა, რომ „თავისუფალი უკრაინის გარეშე არ იქნება თავისუფალი პოლონეთი“. მართლაც. ვერასოდეს ვერ იქნები თავისუფალი თუ შენი მეზობელი ერი დამონებულია. აბა როგორ იქნება თავისუფალი ქართველი თუ მისი

მეზობლები ოსები, ჩეჩნები და ავარელები დამოუკიდებლები არ იქნებიან? ან როგორ იქნება ესტონელი თავისუფალი თუ მის მეზობელი ფინეთს დაიმონებენ? მარშალმა პილსუდსკიმ შექმნა და სული შთაბერა „პრომეთეიზმის“ იდეას. იგი ნიშნავს იბრძოლო არა მარტო შენი სამშობლოს, არამედ ყველა სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხების სამშობლოს გასანთავისუფლებლად.

1904 წელს იაპონიას მთავრობისადმი მირთმეულ მემორანდუმში მარშალი პილსუდსკი მიუთითებდა, რომ ბალტიის, შავი და კასპიის ზღვების აუზში მცხოვრები უამრავი არარუსი ეროვნების ხალხები დამონებულები არიან. იგი ხაზს უსვამდა, რომ პოლონელი ერი თავისი კრედოთი უკიდურესად თავისუფლების მოყვარულია. იგი ამ საკითხში უკომპრომისოა და შეუძლია ლიდერი ერის როლი ითამაშოს რუსეთის მიერ დამონებული ხალხების გასანთავისუფლებლად.

ცნობილია, რომ 1917-1921 წლებში ბალტიის, შავი და კასპიის ზღვის აუზის ხალხებმა შესძლეს დროებით თავი დაეღწიათ რუსეთის უღლისათვის.

ამავე დროს ბალტიის ზღვის აუზის ხალხებმა – პოლონელებმა, ფინელებმა, ესტონელებმა, ლატვიელებმა და ლიტველებმა მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები ესტონეთი, ლიტვა და ლატვია კვლავ დაპყრობილ იქნენ და ისინი საბჭოთა კავშირში შეათრიეს.

შემდგომ პერიოდში მხოლოდ ფინეთმა და პოლონეთამ შესძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. თუმცა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლება ამ ქვეყანაში კოლაბორაციონისტული იყო, ხოლო პოლონეთში კი ომის შემდეგ კომუნისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

შავი და კასპიის ზღვის აუზის ხალხებმა – უკრაინელებმა, დონის კაზაკებმა, ყუბანელებმა, ყირიმელმა თათრებმა, ქართველებმა, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა და ჩრდილოეთ კავკასიელებმა თავისუფლება მხოლოდ 1919-1921 წლებში შეინარჩუნეს და შემდეგ კი იგი დაკარგეს და ისინი საბჭოთა მაგოგლენდში გაასაბჭოვეს.

პოლონეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც აქტიურად

თანამშრომლობდა ამ ქვეყნებიდან გამოქცეულ მრავალრიცხოვან ემიგრაციასთან, შეიფარა და დააპურა ისინი. ამის გამო ზოგიერთი ევროპული ქვეყანა პოლონეთს ოპოზიციაში ჩაუდგა. ჩვენ მოწმე ვართ ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის ორჭოფული, რომ არ ვთქვათ გამყიდველი პოლიტიკისა პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის მიმართ. ეს არის მიზეზი, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევროპის ყველაზე ჯანმრთელი და პოლიტიკურად სწორედ მოტივირებული ხალხი ცხოვრობს აღმოსავლეთ ევროპაში. მათ მშვენივრად იციან, რომელი მხრიდან უბერავს თავისუფლების ქარი.

პრინც გოგი-პუტინის წინააღმდეგ მიმდინარე მძიმე ბრძოლაში მე პირველ რიგში დავეყრდნობი აღმოსავლეთ ევროპის ერებს და მათ ლიდერს მომავალ ზეძლიერსახელმწიფოს პოლონეთს, შეერთებულ შტატებს, იაპონიას და შემდეგ კი მთელ ევროპას. ჩვენ ნამდვილად მოვიგებთ ბრძოლას მაგოგლენდის წინააღმდეგ. „ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ“, დაასრულა თავისი მგზნებარე სიტყვა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დელეგატთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა თავის ახალ გენერალურ მდივანს. წინააღმდეგ წავიდნენ მხოლოდ 17 ქვეყნის დელეგატები მათ შორის იყვნენ, ჩრდილოეთ კორეა, სომხეთი, ბელორუსია, ვენესუელა, ნიკარაგუა, კუბა, იემენი, სირია, მაგოგლენდი და კიდევ რამდენიმე კუნძულელი მოსყიდული სახელმწიფო.

ძალიან მალე მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა გაეროს ახალი მდივნის სუპერ პროდუქტიული საქმიანობა.

იგი აღმოჩნდება ინტელექტუალური გენიოსი (დანიელი 8:23).

„ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ თავისი სუპერ-ჰუმანური შემეცნებითი სიძლიერეით გადაწონის და მოხიბლავს მსოფლიოს. იგი აღარ კეტავს თავისთავში უზარმაზარ ცოდნას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და მრავალრიცხოვანი საჯარო ლექციებით უზიარებს ყველას თავის განათლებას. ბევრი ადამიანი ახლებურად დაინახავს დედამიწისა და სამყაროს ურთიერთკავშირსა და მათ მნიშვნელობას.

იგი აღმოჩნდება გენიოსი ორატორი (დანიელი 17:8, გამოცხადება 13:5).

მთელი მსოფლიო მონუსხული იქნება მისი სიტყვის ჰიპნოტური ძალით. ბევრი ზრდადასრულებული მწერალი შეაჩერებს თავის საქმიანობას, რადგან დაინახავს საკუთარი სიტყვის სისუსტეს და აზრის სიღრმის ნაკლებობას და პირიქით, დამწყები მწერლები და ჟურნალისტები ცდილობენ მიბაძონ გაეროს ახალ მდივანს სიტყვის მჭევრმეტყველებაში. ბევრი ექსპერტის აზრით ეს კაცი თავისი სიტყვის ძალით გადააჭარბებს ყველა ძველი და ახალი დროის ორატორს. ისინი ერთხმად განაცხადებენ რომ მსოფლიოს ახალ ლიდერს აქვს „ლომის პირი“ (გამოცხადება 13:2).

იგი აღმოჩნდება გენიალური პოლიტიკოსი (დანიელი 19:27; გამოცხადება 17:11-12).

„ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ აღმოსავლეთ ევროპის დაბნელებულ პოლიტიკურ სცენაზე ქარიშხალივით შემოიჭრება და წარმოჩინდება როგორც თათბირების დიდი ოსტატი და ვირტუოზი დიპლომატი. იმის გამო, რომ „რეფორმატორი“ მრავალ ენაზე სრულყოფილად საუბრობს მისი შეხედულებები პლანეტის ყველა კუთხეში უაღრესად გასაგები ხდება. მისი მთავარი პოლიტიკური პლატფორმაა მშვიდობა და საყოველთაო წარმატება. მისი ხელმძღვანელობის დროს გაეროს თითქმის ყველა ოცნება შესრულდება.

„რეფორმატორი კაცი კავკასიიდან“ პირველ რიგში დროებით გადაჭრის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურად გაჭედილ პრობლემებს და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდება. „თაიმ მეგაზინის“ ვერსიით იგი დასახელდება წლის საუკეთესო კაცად და საგრძნობლად გაუსწრებს მეორე ადგილზე გასულ მაგოგლენდის ლიდერს პრინც გოგი-პუტინს.

მსოფლიოს ახალი ლიდერი ახლო აღმოსავლეთში ისეთ მშვიდობას დაამყარებს, რომ იერუსალიმის ტაძრის რაიონი კვლავ ებრაელთა სუვერენულ უფლებებში გადავა, მაგრამ გეოპოლიტიკური და რელიგიური მოსაზრებით გაეროს გენერალური მდივანი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“, არ აძლევს ებრაელებს უფლებას რომ ტაძარი ძველ ადგილას, ძველი დიდებით აღადგინონ. იგი მონახავს ერთი შეხედვით უცნაურ, მაგრამ შემდეგში ყველასათვის გასაგებ გადაწყვეტილებას. იგი გასცემს განკარგულებას რომ სოლომონის ტაძრის ყველაზე

მდიდრული, მეფე ჰეროდ დიდის დროინდელი ვერსიის ასლი აშენდეს თბილისში, მთაწმინდის პლატოზე. ტაძრის ასლი გადავიდეს ისრაელის მფლობელობაში, ხოლო პლატოს ტერიტორია კი გაეროს კონტროლის ქვეშ. ამ აქტით „ჰალასტუკიანმა რეფორმატორმა“ გარკვეულად შეასუსტა დაძაბულობის კერა იერუსალიმში და ძალიანაც არ გაზარდა იგი კავკასიაში, რომელიც ისედაც გოგი-მაგოგის პერმანენტული დარტყმების ქვეშ იმყოფებოდა.

იგი იქნება გენიალური ფინანსისტი. (დანიელი 11:43; გამოცხადება 13:16-17).

გოგის სამხედრო აქტიურობის გამო მსოფლიო არნახულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ყველაზე გამოცდილი ფინანსისტებიც კი დაიბნენ. ბანკებს შორისი კავშირი გართულდა. „სვიფტი“ შეჩერდა, ეკონომიკური ქაოსის გამო ხალხი თანახმა იქნება ყველა ეკონომიკური ბერკეტები ერთ ადამიანს გადასცეს. ხალხს სურვილი აქვს პასუხი მიიღოს ყველა ეკონომიკური ხასიათის პრობლემებზე, ისინი ეძებენ ექსპერტს, რომელიც აუხსნის მათ თუ რა ხდება მსოფლიო ბირჟებზე და ასეთი ადამიანი იქნება „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“, რომელიც თავად დაიწყებს შანჰაის, როტერდამისა და ნიუ-იორკის ბირჟებზე საპროცენტო განაკვეთების, სხვადასხვა საქონლის ფასების, საბირჟო წილების დაწესებას. იგი გახდება მსოფლიო ბანკების მთავარი რეგულატორი.

ახალი ხელისუფალი რთული ეკონომიკური ვითარების გამო მრავალ საჯარო და ტელე ლექციას წაიკითხავს. იგი პოპულარობაში ბევრად აჯობებს ცნობილ ტელეევანგელისტებს ბილი გრეჰემსა და ჯეკ ვან იმპეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სავსე იქნება მისი კომენტარებით. მისი უბრალო და გასაგები ენით ნათქვამი ახსნა-განმარტებები შესაძლებლობას შექმნის რომ ხანდაზმულმა ადამიანებმაც კი ძნელ პირობებში შესძლონ ბიზნესის წარმოება.

„ჰალსტუკიანი რეფორმატორის მიბაძვით პრინცი გოგი-პუტინიც აქტიურად ჩაერთვება თავისი და დაპყრობილი ქვეყნების საფინანსო საქმიანობაში და დაიწყებს მოსკოვის კომერციულ ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთების დაწესებას, მაგრამ მისი შედეგები ქვეყნისათვის კატასტროფული აღმოჩნდება. მაგოგლენდი დიდ ეკონომიკურ გასაჭირში ჩავადება

იგი ეკონომიკურად ხეიბარ ქვეყნად იქცევა რაც დააჩქარებს მაგოგლენდ-რუსეთის დაღმა სვლას, რადგან ცნობილია რომ ფინანსურ ქაოსში მყოფი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროც ქაოსით არის მოცული.

მსოფლიოს ახალი ლიდერი ძალიან ბევრს მუშაობს ხალხებს შორის ნდობის განსამტკიცებლად. მის ხელმძღვანელობის დროს სიტყვიერი საკონტრაქტო შეთანხმებების რაოდენობა მსოფლიოში 7 პროცენტიდან 21 პროცენტამდე გაიზარდა. მისი ხელმძღვანელობის დროს დედამიწის მოსახლეობის ერთ ნაწილში ერთმანეთს შორის ნდობის კოეფიციენტი მოიმატებს. მისი ლიდერობით და პერსონალური კონტროლით ყველა-ფრის ნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია მოხდება და დროის გარკვეული მონაკვეთის დროს იდეალურ წესრიგს დაამყარებს დედამიწაზე. ამ დროს არავის არ ექნება უფლება იყიდოს ან გაყიდოს მნიშვნელოვანი რაოდენობის რაიმე საქონელი, მისი პირადი მითითებების გარეშე.

ამავე დროს „რეფორმატორი“ პლანეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს სწრაფად დანომრავს. ხალხი ვალდებული იქნება სხვადასხვა ვარიაციებით მიიღონ მისი ნიშანი 666. ყველა მოქა-ლაქე მიიღებს პერსონალურ ID ნომერს, რომელიც ჩანიშნული იქნება გაეროს კონტროლის ქვეშ მყოფ გლობალურ კომპიუ-ტერში. ჰაერით, ზღვით და ხმელეთით ხალხის გადაადგილება ავტომატურად ფიქსირდება გლობალურ კომპიუტერში და არა-ვის ექნება საშუალება დაემალოს მის მახვილ თვალს.

პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრის გარეშე მყოფი ხალხი კანონგარეშე ხდებიან. მათ არსებობის საშუალება არ აქვთ. მათ არ შეეძლებათ საჭმლის შეძენა და იძულებულები გახდებიან რომ ძარცვა-გლეჯით ირჩინონ თავი. ამის გამო ისინი განადგურდებიან. ამას აკეთებს ე. წ. „დიდი უბედურების“ სპეციალური დანიშნულების რაზმები, რომლებიც სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად მაწანწალა ცხოველებს, ძაღლებს, კატებს და ადამიანებს ანადგურებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჭირის გავრცელება, რომელცი უხვად არის ამ დროს დედამიწაზე.

ბევრი წინასწარმეტყველისა და ბიბლიის პატივცემული კომენტატორის აზრით:

ანტიქრისტეს ნიშანი არის 666

ღვთიური სრულყოფილების ნიშანია 777, ხოლო

ამ სამი ციფრისა და ნომრების კომბინაციები ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს „უკანასკნელი დროების“ ანუ „დიდი უბედურებების“ პერიოდის დრამაში. ზოგიერთი სოლიდური მასწავლებლისა და გაეროს სამსახურში მყოფი პირის აზრით ნომერი ნათელი დადასტურება იქნება მოცემული პიროვნების ერთგულებისა მსოფლიო მთავრობის მიმართ, რომ იგი მსოფლიო საზოგადოების ლოიალური წევრია და არავის არ უქმნის პრობლემებს, რომ იგი მომხრეა და მონაწილეა უფულო საზოგადოებისა, რომელიც ამ დროის ეკონომიკური ცხოვრების ერთადერთი ფორმა იქნება. ამავე დროს ნომერი იქნება პიროვნების ბილეთი ან პასპორტი ბიზნეს საქმიანობისათვის.

მიუხედავად ასეთი რეგლამენტებისა და სხვა სახის ლიმიტირებული შეზღუდვებისა „რეფორმატორი“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, იგი ყველას უყვარს და ხარობენ საყოველთაო მშვიდობის დამყარებით.

იგი იქნება გენიალური სამხედრო სარდალი (გამოცხადება 6:2; 13:2).

როდესაც შესაბამისი დრო მოვა „ჰალსტიკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ ფოლადისებური ხმით დასჭექს და გვერდზე გადადებს თავისი მშვიდობის დაცვის ლეკურიტობის დაფნის გვირგვინს და ხელში აიღებს მახვილს. იგი მთელ მსოფლიოს გაწმინდავს „პოლიტიკური ნაგვისგან“ და გამოიყენებს უნიკალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სამხედრო და დიპლომატიურ მეთოდრებს. ვერავინ ვერ შესძლებს წინ აღუდგეს მის სადამპყრობლო-სადამსჯელო საქმიანობას. იგი გაანადგურებს ყველას, ვინც კი წინ აღუდგება მის აღმშენებლობის პროცესს.

„რეფორმატორი“ შექმნის მსოფლიო სათვისტომოების ერთიან მთავრობას, რომლის ხელშიც აკუმულირებული იქნება მთელი მსოფლიოს სამხედრო, მათ შორის ბირთვული არსენალის კონტროლი.

მოვლენებს წინ რომ გავასწროთ ვიტყვით, რომ ენერგიული და ფიცხი „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ დაამარცხებს მაგოგლენდს და მისი ლიდერი პრინცი გოგი კი გაქრება. „რეფორმატორი“ დადებს ხელშეკრულებებს ჩინეთთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებთან. მის შესახებ ხალხი იტყვის:

„ვინ არის მისი მსგავსი მხეცი? და ვის შეუძლია იომოს მასთან?“ (გამოცხადება 13:4).

იგი იქნება რელიგიურ საქმეთა გენიალური ხელმძღვანელი (გამოცხადება 13:8).

„ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ შესძლებს თითქმის შეუძლებელს, ისეთს რაც ვერ შესძლეს ვერც მუჰამედმა, ზოროასტრმა, ბუდამ და ვერც იესო ქრისტემ, ვერც რომელიმე რომის პაპმა ან ორთოდოქსმა ლიდერმა. „რეფორმატორმა“ თითქოს „თვალის დახამხამებაში“ მსოფლიოს ყველა სამღვდელოებები გააერთიანა, როგორც მისმა პროპაგანდის მინისტრმა ე. წ. „ყალბმა წინასწარმეტყველმა“, რომელსაც ერისკაცობაში სთივენ უოკერი ერქვა თქვა:

„მან მსოფლიოში არსებული ყველა რელიგიებს თავი ერთად მოუყარა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაქვემდებარებაში გადაიყვანა“.

„კავკასიელმა რეფორმატორმა“ თავისი ყოფილი სამშობლოს ყველაზე წმინდა ადგილას ე. წ. „მთაწმინდაზე“, მსოფლიოს ყველა წმინდა ადგილების ან ობიექტების ტრანსპორტირება ან მათი ასლები გააკეთა.

მან დააარსა რაც კი ოდესმე ადამიანს უნახავს მსოფლიოს ყველაზე დიდი რელიგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ. აქ თავმოყრილი იყო უამრავი რელიგიური და სათაყვანებელი ადგილების ასლები, რაც მნახველებს შესაძლებლობას აძლევდა სწრაფად გადაეთვალიერებინა თავიანთი რელიგიური წარსული.

თბილისში თავმოყრილი იყო ათასობით რელიგიური საკულტო ნაგებობები, რომლებიც ნებისმიერ დროს მზად იყვნენ რელიგიური სამსახურისთვის. მთელი ქალაქი, სავსე იყო სასტუმროებითა და პანსიონატებით, რომელში მცხოვრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მლოცველების რაოდენობა საგრძნობლად აღემატებოდა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას.

ტრანსპორტირებულ ან ახლად აშენებულ რელიგიურ ძეგლებს შორის იყო:

მექსიკაში არსებული პათენქუის საატაძრო კომპლექსის ასლი, რომელიც იყო მაიას ტომის რელიგიური ცენტრი.

იერუსალიმში არსებული სოლომონ დიდის მეორე ტაძრის ასლი, რომელიც რომაელებმა გაანადგურეს.

პარიზის ნოტრ-დამის ტაძრისა და რომში არსებული პეტრე-პავლეს ეკლესიის ასლები.

სომხეთის მარგალიტის, ზვარტნოცის ეკლესიისა და ლონდონში არსებული ვესტმისტერის სააბატოს ასლები.

მედინას ნაბავის მეჩეთიოს ასლი. აქ თავისი საბოლოო განსაკუთრებული ნავთსაყუდელი ჰპოვა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა და მისმა ცხენმა.

სიქჰების შედევრის, ამრიტსარის ოქროს ტაძრისა და სანკტ-პეტერბურგში მდებარე ისააკის ტაძრის ასლები.

რანაკპურის ჯაინისტური ტაძრისა და კონფუცის დრაკონის სახურავიანი მავზოლეუმის ასლები.

ტაჯ მაჰალისა და ბაბილონის იმპერიის მთავარი სალოცავის მარდუქის ზიგურათის ასლები.

სტამბოლში არსებული ჰააგის სოფიისა და დამასკოს დიდი მეჩეთის ასლები.

ბოსტონის წმინდა ქრისტეს ცენტრისა და პოლონეთში მდებარე ჯავორის წმინდა სულების ლუთერანული ეკლესიის ასლები.

ჩეჩენ იტასი, რომელიც იუტაკანის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და ეგვიპტის ფარაონ ჰეფრენის პირამიდის ასლები.

ასლი იესი ქრისტეს დიდებული ძეგლისა, რომელიც რიო დე ჟანეიროში მდებარეობდა და სფინქსის ასლი.

ყველა ეს დიდებული ნაგებობები აშენდა თბილისში, მთაწმინდის პლატოზე, იქ სადაც ადრე პარკი იყო და მის გადაღმა ტერიტორიებზე უმოკლეს ვადაში, გაეროს თანხით და იყვნენ ორიგინალების ზომებში.

ამას გარდა თბილისში აშენდა ფრთოსანი ანგელოზის ფრავაშის-ვინგის და ზოროასტრის ქანდაკებები. ასევე აშენდა ლაქშმის, რამას, ქრიშნას, შივას, ვიშნუს, ბრაჰმას, თორის, არმაზის, გაცის და ჩინელი ფილოსოფოსის ლაოძის ქანდაკებები.

კავკასიის ჯვრის უღელტეხილის დასავლეთ ფერდობზე აშენებული იყო პერუს სიამაყის მაჩო-პიჩოს ასლი, ხოლო თბილისის სამხრეთში თრიალეთის რაიონში მოსკოვის კრემლისა და ჩინეთის დიდი კედლის თორმეტი ფრაგმენტი.

თბილისი და საქართველო იმდენად გაივსო მლოცველებით და რელიგიის თაყვანისმცემლებით, რომ გადააჭარბა მექას, იერუსალიმსა და რომს პოპულარობით ერთად აღებულს.

„ჰალსტუკიანმა კაცმა კავკასიიდან“ ფუნდამენტალურად გადააკეთა მსოფლიო. ყველას მისცა შანსი რომ გაერთიანებულიყვნენ, რათა მთელ ქვეყნიერებაზე ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილიყო წინააღმდეგობები.

„ავტორიტეტი ყველა ტომზე, ხალხზე და ენაზე იქნა მიცემული მასზე“ (გამოცხადება 13:7).

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი მლოცველების ხარჯზე არაჩვეულებრივად გამდიდრდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლი სამების ტაძარის ეზოში ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მსოფლიოში არსებული საყოველთაო სიმშვიდის გამო. ისინი მისტიროდნენ თავიანთ დიდებულ მართლმადიდებლურ წარსულს და გატაცებით ესაუბრებოდნენ მაგოგლენდის მართლმადიდებელ ემისრებს, რომლებიც ადგილობრივებს მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მსოფლიო სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოსახლეობის დანომვრაში. ყოველივე ეს აუარესებდა ადგილობრივი მოსახლეობის საერთაშორისო პერსპექტივებს.

ომის დაწყების წინ და მის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ძალიან ოსტატი დიპლომატი და სწრაფად მზარდი ჩინეთი, რომელმაც დაარწმუნა მაგოგლენდი (რუსეთი) ერთად იბრძოლონ შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ჩინეთის ლიდერმა განაცხადა:

„ჩვენ რუსეთი და ჩინეთი ვიქნებით დედამიწის ახალი უფროსები“.

ასეთი იქნება ჩინეთის მთავარი პოლიტიკრი ლოზუნგი იმ დროს. ჩინეთი რუსეთს შესთავაზებს:

მთელი ალიასკა, აღმოსავლეთ კანადა და შეერთებული შტატები არის მაგოგლენდის. ხოლო შორეული აღმოსავლეთის რეგიონი და ციმბირი, ჩინეთის. დამატებით ჩინეთი წინასწარ იხდიდა მრავალი ტრილიონის დოლარის ოქროს.

ასეთი შეთანხმების გამო რუსეთი (მაგოგლენდი) ფრიად დაწყნარდა და დაიწყო ყურება მხოლოდ დასავლეთისკენ, პირველ რიგში უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, კავკასიისა და ისრაელის წინააღმდეგ.

მალე როდესაც ომი დაიწყო რუსეთი, რომელიც უკვე ფლობდა ევრაზიის კონტინენტის უდიდეს ნაწილს სადაც თავმოყრილი იყო მსოფლიო სასარგებლო წიაღისეულის 75

პროცენტი, გახდა კიდევ უფრო მდიდარი. რუსეთმა დააწესა პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი ატლანტიკურ და ცენტრალურ ევროპაზე, კავკასიაზე, ანატოლიის ნახევარკუნძულზე, სპარსეთის ყურეზე, სუეცისა და ნიკარაგუას არხებზე, მსოფლიოს სხვა უმთავრეს საზღვაო, მიწის და საჰაერო კომუნიკაციებზე. მსოფლიოს თითქმის ყველა სასარგებლო წიაღისეული რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა კონცენტრირდება რუსეთის ხელში. მსოფლიოს ბანკების უმრავლესობა მაგოგური წარმოშობის ებრაელი „თაქუნების“ (ოლიგარქების) ხელში ჩავარდება. დიდი დანიელი ამ დროზე წერს:

„მაგრამ იგი (მაგოგლენდი) ფლობს ძალაუფლებას ოქროსა და ვერცხლის განძეულობებზე, ყველა ძვირფასეულობებზე ეგვიპტეში (იგულისხმება შეერთებული შტატები, ევროპის ქომუნითი და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნები) და ლიბანში (აფრიკელი არაბები) და ეთიოპიაში (აფრიკელი ზანგები) ყველანი მის ფეხქვეშ იქნებიან“ (დანიელი 11:43).

მაგოგმა მას მერე, რაც საფუძვლიანად გაძარცვა ევროპა, კავკასია, მცირე აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, დაიწყო ისრაელის ძარცვა რომელიც ამ დროისათვის მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა ხდება.

შეუჩერებელმა ეკონომიკურმა განვითარებამ და ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე უდიდესმა გაზისა და ნავთის საბადოების ათვისებამ ისრაელს საშუალება მისცა მსოფლიოს თითქმის მთელი საფინანსო რესურსებისათვის მოეყარა თავი. წინასწარმეტყველი იუწყება, რომ ისრაელი მესამე მსოფლიო ომის წინ მსოფლიოს ყველაზე აყვავებული, „ედემის ბაღის“ დონის ქვეყანა იქნება, რომელიც საკუთარი სიძლიერის გამო ღობეებს, ანუ თავდაცვითი ზღუდეების გარეშე იცხოვრებს (ეზეკიელი 36:35; 38:11).

ამავე დროს ისრაელი ხდება მსოფლიოს კულტურული, რელიგიური და ეკონომიკური ცენტრები და ეს განსაკუთრებით იერუსალიმზე ითქმის. ისრაელი ხდება მსოფლიოს „ბაჯაღლო ყუთი“ და „ოქროს ხბოს“ სახელმწიფო. იგი აბსოლუტურად შეცვლის გეო-სტრატეგიას რეგიონში და კოსმოსურ სიმაღლემდე ამაღლდება.

რამდენიმე დამოუკიდებელი მეთვალყურე უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს მიიჩნევდა, რომ მკვდარი ზღვის რაიონში თავმოყრილია

ორი ტრილიონი დოლარის საფასურის მინერალური რესურსების საბადოები. სინამდვილეში აქ 20 ტრილიონის საფასური განძი აღმოჩნდება, რაც ისრაელს საშუალებას მისცემს დიდი, ეკონომიკური „ნახტომისებური წინგაჭრა“ განახორციელოს.

ისრაელის საკუთრებაში აღმოჩნდება ხმელთაშუაზღვის უდიდესი გაზის საბადოები: ლევიათანი, თამარი და დალი. ისინი ათჯეტრ უფრო დიდნი არიან ვიდრე დიდი ბრიტანეთის კუთვნილი ჩრდილოეთი ზღვის დეპოზიტორი. ეს სამი საბადო ისრაელს მომავალი 100 წლის განმავლობაში დააკმაყოფილებს და ქვეყანას მსხვილ ენერგორესურსების ექსპორტიორად აქცევს.

როდესაც ამ სიმდიდრეებს აითვისებს ისრაელი ხდება ასპროცენტიანი ელექტროფიქსირებული ქვეყანა, ელექტრონული ავტოპარკით და ფლოტით. სუპერძლიერი არმიით, ამავე დროს ისრაელის განკარგულებაშია იორდანიაში არსებული ურანიუმის მე-11 დეპოზიტორი.

მაგოგლენდის არმია ისრაელს და იერუსალიმს უბრძოლველად დაიკავებს, თუმცა ისრაელის ხელისუფლება შესძლებს თავისი ძლიერი არმიის გადარჩენას და განალაგებს მას ისტორიულ ქალაქ პერტაში და იორდანიის სხვა ადგილებში.

ისრაელმა, რუსეთის აგრესიის შემთხვევაში ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებიდან და შეერთებული შტატებიდან „რკინაში ჩამჯდარი“ გარანტია მიიღო დახმარების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მაგოგლენდმა (რუსეთმა) მოახდინა ევროპის უმეტესი ნაწილის და ისრაელის ოკუპაცია, ისრაელს მაინც აქვს იმედი, რომ ეს განატია ერთ მშვენიერ დღეს ამუშავდება. მაგრამ ისრაელმა ასევე იცის, რომ „მაგალითი“ და „იმედი“ პოლიტიკაში დამამტკიცებელ საბუთად და გარანტიად ვერ გამოდგებიან.

ერთ-ერთ მომენტში რუსეთი და მისი მეგობარი ქვეყნები, რომლებიც ჩრდილოეთის კოალიციაში ჩამოყალიბდებიან იფიქრებენ, რომ ისინი ყველაზე მდიდრები არიან მსოფლიოში:

„მაგრამ დინება რომელიც აღმოსავლეთიდან წამოვა (ორიენტალი ქვეყნების სამხედრო მობილიზაცია) და ტენდენციები ჩრდილოეთიდან (დასავლეთ ევროპელების სამხედრო მობილიზაცია) შეაწუხებს მას“. (დანიელი 11:44).

ვითარების კულმინაცია მოხდება მაშინ, როდესაც მესამე მსოფლიო ომის ერთ-ერთი საღერძო მონაწილე, ჩინეთი

მოულოდნელად უღალატებს მაგოგლენდს. ეს მოხდება ისე როგორც მე-2 მსოფლიო ომის დროს გერმანიამ უღალატა საბჭოთა კავშირს. ე. ი. „ღალატის“ დიდი სპეციალისტი საბჭოთა კავშირი და მისი მემკვიდრე მაგოგლენდი ორჯერ თავად შეიქმნა ღალატის მსხვერპლი. პირველად გერმანიის მხრიდან და მეორე შემთხვევაში კი ჩინეთიდან.

ისტორია გვასწავლის, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნები ერთმანეთს არ ღალატობენ და პირიქით, მხოლოდ მტაცებელი ქვეყნებისათვის არის ღალატი ჩვეულებრივი პერსპექტივა.

კომუნისტურმა ჩინეთმა თავისი დიდი არმიით უმძიმესი ბრძოლა დაიწყო გოგისა და მაგოგლენდის „წითელი არმიისა“ და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ეს იქნება მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე უსაზიზღრესი და უპირობო ომი. მხარეები უსიტყვო ურთიერთშეთანხმებით უარს იტყვიან საბრძოლო ტყვეების აყვანაზე და ადგილზევე ხვრიტავენ მათ.

ჩინეთი არ შეუერთდება ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობას გოგის წინააღმდეგ და მოქმედებს საკუთარი გეგმით. მალე იგი საზღვაო დესანტს გადასხამს საფრანგეთის კუთვნილ ნორმანდიის პროვინციაში, და დაიკავებს ნახევარ ესპანეთს. რუსეთის პოზიციები ამ რაიონებში თანდათან სუსტდება, ხოლო ბასკეთში კი საერთოდ გაქრება. ეს გარემოება აიძულებს გოგს მიიღოს მკაცრი ზომები. გოგისა და არაბების სპეცილაური დანიშნულების რაზმები უდიდესი სისასტიკით ცდილობენ ლოკალური მოხალისეების დაჩმორებას. მაგრამ ამ აქციებს შედეგი არ მოაქვს. იგი ვერ ცვლის გოგისათვის ნეგატიურ ტენდენციას. იგი თანდათან ტოვებს ადრე ოკუპირებულ ტერიტორიებს, თუმცა ჯერ კიდევ კარგად დგას.

მაგოგლენდის ცენტრალური აღმსასრულებელი კომიტეტი და მისი უცვლელი თავმჯდომარე გოგი-პუტინი მერყეობას დაიწყებს. მთელი მსოფლიო მოუწოდებს გოგს დანებებისაკენ. დრო აღარ იყო მის მხარეს. ყოველი მომდევნო დღე აუარესებდა მაგოგლენდის პოზიციებს.

ამ საბედისწერო ჟამს გოგი შესაძლოა საბედისწერო შეცდომას დაუშვებს. იგი დარჩენილი ბირთვული პოტენციალით კონტრშეტევას დაიწყებს და მეორეჯერ დაარტყამს შეერთებულ შტატებს და კანადას. იგი მთლიანად დაანგრევს ფლორიდასა და კალიფორნიის შტატის ყველა მეგაპოლისს,

ასევე კანადის კვებეკის, ონტარიოსა და საჩკეჩევანის პროვინციებს, ხოლო მონრეალი და ნიუ-იორკი კი მთლიანად აღიგავება მიწისაგან პირისა. ეს მოვლენები იქნება ზღურბლმჯენი მესამე მსოფლიო ომში.

ომი გაგრძელდება 1000 დღეს და ჩაჯდება „უბედურებების“ შვიდწლიანი პერიოდის მეორე ნახევარში, რომელიც ცნობილია „დიდი უბედურების“ პერიოდად, რომელიც 3.5 წელს ანუ 1260 დღეს გაგრძელდება. ამ ომში ხალხები ძალიან დაუძლურდებიან. ისინი დაკარგავენ ყოველგვარ დემოკრატიულ უფლებებს და ბევრ შემთხვევაში ჯოგური ინსტინქტის საზოგადოებად იქცევიან.

ამ დროების ჩვეულებრივი ყოველდღიური სურათები იქნება:

გიგანტური სეისმური აქტივობა, გამანადგურებელი კლიმატური რადიოაქტიური შტორმი, უზარმაზარი წყალდიდობები, შემაძრწუნებელი ვულკანური ამოფრქვევები, უაღრესად ფართე ბნელი ღრუბლები, ასეთი მასშტაბის მოვლენები ადრე დედამიწაზე არასოდეს მომხდარა.

ატმოსფეროს დაზიანების გამო გარემოს დაზარალების შედეგები წლების განმავლობაში გასტანს. უზარმაზარი, ზოგ შემთხვევაში 40-50 სმ-ის დიამეტრის სეტყვის მარცვლები დაბომბავს მთელ დედამიწას. დაზიანდება უამრავი შენობა. ამავე დროს მანამდე არნახული სიძლიერის ჭექა-ქუხილი და ელექტრონული შტორმი ხელს შეუწყობს შუქის გათიშვას. ხელოვნური შუქი თანდათან ადგილს დაუთმობს ბუნებრივ შუქს, რომელიც დიდხანს გაბატონდება დედამიწაზე.

ბევრ ადგილას მიწა პირს გახსნის და სოფლებსა და პატარა ქალაქებსაც კი თან ჩაიტანს. გამუდმებული ხანძრების ბოლი დაბლოკვას მზის შუქს, გაახურებს ატმოსფეროს და მრავალი წლის განმავლობაში ამოაშთობს ოზონს. უწვიმობა, წყლის დეფიციტი, გლობალურ მოუსავლიანობას გამოიწვევს, რომლის შედეგადაც მთელს მსოფლიოში ერთი მილიონი ადამიანი დაიღუპება. მკვლევარებს ამ საშინელ პერიოდს „უზაფხულო დეკადა“ უწოდეს.

ჩინეთის მწარე ღალატის გამო რუსეთის (მაგოგლენდის) ლიდერი, პრინცი გოგი ნერვიულობას დაიწყებს, თუმცა გააგრძელებს თავგანწირულ ბრძოლას, რომელიც ზოგ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ფრიად არალოგიკური იქნება, მაგრამ სწორედ

„არალოგიკურობაა“ მისი სიძლიერე. მისი სტიქიაა „შფოთი და რისკი“. ასეთ ვითარებაში იგი უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე კრემლის გრძელი კორიდორის სიწყნარეში ან ჰაიტის დასასვენებელი სახლების სინარნარეში.

ასეთ მაგალითად გოგმა არამარტო შეერთებულ შტატებს, მექსიკასა და კანადას მიაყენა ბირთვული დარტყმები, არამედ შეუტია სკანდინავიის ქვეყნებს, ანტარქტიკისა და არქტიკის ნეიტრალურ ზონებს. პრინცი გოგი ცდილობს თავის სასარგებლოდ შეცვალოს მსოფლიო კლიმატი. ამ მიმართულებით მაგოგლენდის მეცნიერებათა აკადემიამ დიდი მუშაობა და ათეულობით ცდა ჩაატარა. მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს კლიმატის შეცვლის გზაზე. მალე მსოფლიოს ბევრი საინფორმაციო საშუალებები და მათ შორის ბი-ბი-სი გამოაცხადებს, რომ არაჩვეულებრივმა ყინვიანიბამ დაიჭირა კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში.

მაგოგლენდის სტრატეგიულმა ავიაციამ ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში ათამდე ბირთვული ბომბი ჩამოაგდო. ძალიან ჩქარა ჩრდილოეთის ყინულმა დნობა დაიწყო, რამაც მსოფლიო ოკეანის დონის აწევა გამოიწვია. ბევრი ატლანტიკის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ორივე სანაპიროს საპორტო ქალაქები წყლით დაიფარნენ. მაგოგლენდმა კი მხოლოდ ორი ქალაქი სანკტ-პეტერბურგი და არხანგელსკი დაკარგა. მურმანსკი და ვლადივოსტოკი დროულად იყვნენ ჯებირებით გადაკეტილები. მსოფლიოს საზღვაო კომუნიკაციების ნაწილობრივი პარალიზება მოხდა. ათასობით ღრმა წყლების ლაინერები პორტების გარეშე დარჩნენ და ოკეანეების ღრმა წყლებში ჩაუშვეს ღუზა. მათზე მოთავსებული კომერციული ტვირთი კი გადმოუტვირთავი დარჩა.

ორთოდოქსმა (მართლმადიდებელმა) მუსლიმანებმა, ევროპაში ადრე მომხდარი რელიგიურ-ეთნიკური ომების დროს ევროპა თითქმის მთლიანად დატოვეს და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გამაგრდნენ. ამ ბრძოლებზე საუბარია ჩვენს წინა წიგნში: „ვცხოვრობთ კი უკანასკნელ დროებაში?“ ახლა გოგი-პუტინის კოალიციის შეტევების შემდეგ მართლმადიდებელმა მუსლიმანებმა უმკაცრესი რევანში აიღეს, და როგორც მართლმადიდებელი რუსეთის ერთგულმა მოკავშირეებმა მონდომებით შეუტიეს საფრანგეთს, ბელგიას და

განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთს. ისინი ამ ქვეყნების მოსახლეობის განადგურებას ცდილობდნენ.

ისლამის ფანატიკოსმა მართლმადიდებელმა მებრძოლებმა, რუსი მართლმადიდებელი ქრისტიანი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით დაიბრუნებენ ძველ პოზიციებს კონტინენტზე და მგზნებარე ენთუზიაზმით გააგრძელებენ ევროპის ტოტალურ განადგურებას.

მუსლიმანი ფანატიკოსები ზეფანატიკოსები გახდებიან, შედარებით ზომიერი მუსლიმანები კი რადიკალები, ხოლო რადიკალები კი ექსტრემისტებად იქცევიან.

„მონდომებულმა“ მუსლიმანებმა თითქმის ყველა კათოლიკე და პროტესტანტი სასულიერო პირი, მღვდელი, ბერი, მონაზონი, ეპისკოპოსი, კარდინალი მოკლეს. 25 დეკემბრს პარიზში მუსლიმანმა ფაბატიკოსებმა ე. წ. „შობის ღამე“ მოუწყვეს მორწმუნე ქრისტიანებს. ზოგი მონაცემები მათ ერთ ღამეში 35 ათასიდან 105 ათასამდე მორწმუნე ქრისტიანი მოკლეს. ბოლოს მათ ამორალური მკრეხელობა შეასრულეს და მაგოგლენდის წარმოების ვადაგასული „ტაქტიკური“ ბომბი „სთხლიშეს“ ვატიკან-სითის. რომი თითქმის დაინგრა. რაღაც საოცრებით ამფითეატრი და პეტრე-პავლეს ტაძარი გადარჩა, სადაც მილიონობით კათოლიკე და პროტესტანტ მორწმუნეს თავი მოკვეთეს ან კოცონის ნელ ცეცხლზე დაწვეს.

მუსლიმანმა და მაგოგლენდერმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა უამრავი მასწავლებელი, ექიმი, დოქტორის ტიტულის მქონე მეცნიერი, პროფესორი, კომპოზიტორი, დირიჟორი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, ინჟინერი, მენეჯერი, ვაჭარი, ბანკირი და უბრალოდ ყველა ნორმალური ევროპული წარმოშობის განათლების მქონე მოქალაქე დაასამარეს.

ჩვენთვის უცნობი მიზეზით, რომელიც მხოლოდ უფალმა იცის მუსლიმანი და მაგოგლენდელი მართლმადიდებლების განსაკუთრებული სამიზნე გახდნენ ექიმები, ექთნები, ფერშლები, პროვიზორები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა გუშაგები. „მძებნელები“ დაუღლელად ეძებდნენ მათ მთელს მსოფლიოში, იჭერდნენ და აპატიმრებდნენ. ყველა ევროპელი და ამერიკელი ექიმის კონფორმირებული სიკვდილის დასჯის შემთხვევაში „შემსრულებელი“ დიდებულ ძღვენს იღებდა დამასკოში და სანკტ-პეტერბურგის გარეუბან გატჩინოში ბაზირებული

სხვადასხვა მუსლიმანი და ქრისტიანი ორთოდოქსების ორგანიზების ფონდებიდან. განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩეოდა მაგოგლენდის სულიერი მამის, გოგი-პუტინის მარჯვენა ხელის ე. წ. „ორთოდოქს ქირილ თრექ ფანდი“. მისი აურაცხელი წარმომადგენლობა გახსნილი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

უჩვეულოდ მახინჯი ფორმები მიიღო ბავშვების მოტაცებამ. მუსლიმან „მონადირეთა“ სპეციალური ბრიგადები და მაგოგლენდის მართლმადიდებელი ქრისტიანების ახალგაზრდული რაზმები, მონდომებით ეძებდნენ თეთრი კანის ევროპელებს და რუსეთში და ახლო აღმოსავლეზთში მდებარე გიგანტურ ბანაკებში აგზავნიდნენ. ეს ბანაკები სავსე იყო თეთრი კანის თინეიჯერებით. თეთრი რასის ბავშვების საგულდაგულო გადახარისხების შემდეგ მათ ერთადერთი პერსპექტივა რჩებოდათ: ეცხოვრათ მართლმადიდებელი მუსლიმანებისა და ქრისტიანების მონებად ან „თავმოკვეთილები“ ყოფილიყვნენ.

პრინცი გოგი განსაკუთრებული მონდომებით კავკასიას „აუთოებდა“, რადგან ეს ადგილი იყო „თეთრი რასის“ და „ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ სამშობლო.

მიჩნეულია, რომ ცენტრალურ კავკასიაში მდებარე დასახლება ვანათი, რომელიც შესანიშნავი „საგამოჩეკო“ გეოგრაფიული კლიმატითჲ გამოირჩეოდა, არის თეთრი რასის წარმოშობის ადგილი. მართლაც უძველესი დროიდან „სუფთა კავკასიელები“ რომლებიც უმთავრესად კოლხეთში და იმერეთში იყვნენ დასახლებულები კარგი საექსპორტო მასალა იყო და მილიონობით იყიდებოდა ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვის მონათა ბაზრებზე.

ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ყველგან მსოფლიოში: ხმელთა შუა ზღვის რაიონში, მესოპოტამიაში, აფრიკაში, აზიის უმეტეს ნაწილში და ამერიკის კონტინენტებზე ცხოვრობდნენ მხოლოდ წითელი, ყავისფერი და შავი რასის ადამიანები. სწორედ ამიტომ არის, რომ შეერთებულ შტატებში, ევროპაში, ავსტრალიაში როდესაც ემიგრანტი რაიმე განცხადებას ავსებს, რასის აღმნიშვნელი ადგილად თუ იგი თეთრკანიანია, წერს: „კავკასიელი“ (ქოქეიჟნ) რაც „თეთრკანიანს“ ნიშნავს.

პრინცი გოგი დიდი ხნის განმავლობაში ატყობდა, რომ რაღაც საშიშროება, რომელცი მის იმპერიას ემუქრებოდა, მოდიოდა ამ ქვეყნიდან. ეს საშიშროება ერთი და იგივე დროს

იზიდავდა და ზიზღის გრძნობას იწვევდა მასში. გოგის წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ მოეთაფლათ და მერე ამოეძირკვათ ან უკიდურეს შემთხვევაში გაესიმილირებინათ მაინც ეს ერი და ამ გზაზე მათ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

ახლა პრინც გოგი-პუტინს შესანიშნავი საშაულება მიეცა და ძალიანაც დააზიანა კავკასიის ე. წ. „იბერიულ-კავკასიური რასა“. მხოლოდ რამდენიმე სამთო რეგიონი გადაურჩა მის მრისხანე ხელს, სხვა მხარეები კი საყოველთაო ქაოსში ჩაეფლნენ.

პრინცი გოგის მოკავშირეები, მართლმადიდებელი (ორთოდოქსი) მუსლიმანები, აქტიურ მონაწილეობას იღებენ კავკასიის გაწმენდაში. კავკასიელი თინეიჯერები ყოველთვის თეთრი რასის გასამრავლებელი კარგი მასალა იყო. ახლაც მონათა ბაზარი სავსე იყო კავკასიელი, მეტწილად მეგრული და იმერული ჯიშის იბერიელებით. მართლმადიდებლები მათ მაშივნე ამუსლიმანებდნენ, რადგან ეშინოდათ რომ ისინი არ გაშავებულიყვნენ, რადგან „ქურანი“ მიუთითებდა, რომ „აღდგომის დღეს... ყველა არამუსლიმანის სახე გაშავდებოდა“ (სურა 39:60). ანუ ზანგი გახდებოდა. მუსლიმანები „იბერიულ-კავკასიური რასის“ საუკეთესო წარმომადგენლებს საკუთარი, ყავისფერი კანის გასათეთრებლად იყენებდნენ და ამ გზაზე მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს. სხვადასხვა მონაცემებით უძველესი დროიდან მათ და მათმა წინამორბედებმა კავკასიიდან 15-25 მილიონი ახალგაზრდა იბერიელი „გაზიდეს“. ახლაც ასე მოხდა. საუკეთესო იბერიელები „გაზიდულ“ და გაყიდულ იქნენ, სხვები კი თითქმის მთლიანად ამოხოცეს. განსაკუთრებით კავკასიელი მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებშიც ძალიან იყო განვითარებული ისეთი ქვენა გრძნობები, როგორიც არის: „გადაგდება“, „მოლოკვა“, „ღალატი“. იბერო-კავკასიელების ტრაგიკული დასასრული ძალიან სწრაფად მოხდა, თითქმის ერთი ღამის განმავლობაში. მოგვიანებით ამ ღამეს „ძაღლების ყეფის ღამე“ ეწოდა, რადგან უპატრონო ძაღლები სევდიანად მოუხმობდნენ გარდაცვლილ პატრონებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღე-ღამის განმავლობაში იუწყებოდნენ განადგურების, სასოწარკვეთილებისა და ტერორისტული აქტების შესახებ. ლაზერის, ბირთვული, ქიმი-

ური, ბიოლოგიური და მოწინავე გენეტიკური გასანადგურებელი იარაღები მართლმადიდებელ (ორთოდოქსს) მუსლიმანებსა და მაგოგლენდურ ქრისტიანებს ჩაუვარდათ ხელში. იმ დროის მთავარი სახმელეთო და ნაწილობრივ საფრენი იარაღი გახდა კლონის მსგავსი გონიერი მფრინავი რობოტები, რომელსაც შეგნება და სინდისი არ ჰქონდა, თუმცა მსოფლიოს 24 ერის ენაზე ლაპარაკობდნენ, მათ შორის მაგოგლენდურად, არაბულად, ინგლისურად და ჩინურად. რობოტები ოპერირებდნენ მაგოგლენდერი ლეიტანენტ-ოფიცრების მიერ და იქცნენ მკვლელობის სწრაფ და ეფექტურ საშუალებებად.

ბევრი პატარა და დიდი ერი მთლიანად განადგურდა. ისინი ტოტალურ სასოწარკვეთილებას მიეცნენ. ამ ერების ღირსება და თვითმყოფადი კულტურა მიწასთან გასწორდა. მხოლოდ ებრაელები და მისი მოკავშირე ერები, ასევე სომხები და ბოშები ცდილობენ სულის სიმტკიცის შენარჩუნებას.

ბრძენი ხალხი ცდილობს „დიდი უბედურებების“ წლების შესახებ პასუხი ნახოს წმინდა წიგნებში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ერთმა თქვა:

„ვინც მომჭირნედ დათესავს, მწირ მოსავალს მიიღებს, ხოლო ვინც უხვად დათესავს უხვ მოსავალს მიიღებს“ (2 კორინთელებს 9).

შემდეგ მეორე ბრძენმა თქვა:

„მე დავინახე, რომ ანგელოზი ჩამოდიოდა ციდან და ქვესკნელის გასაღები და დიდი ჯაჭვი ეჭირა ხელში“. (გამოცხადება 20:1)

ამის მოსმენის შემდეგ ბევრს იმედი მიეცა, რომ მონდომებისა და ერთიანობის შემთხვევაში ბოროტი ძალები შესაძლოა დამარცხებულიყვნენ.

მაგოგლენდი (რუსეთი), რომელმაც თითქმის გაანადგურა შეერთებული შტატების ორივე სანაპირო ზოლი და ევროპის დიდი ნაწილი, ძალიან გაკვირვებული დარჩა ჩინეთის ღალატით, რომლის მისამართით მან ყველა პირობა შეასრულა.

რუსეთი ასევე გააოგნა ევროპის კავშირმა, რომელიც ახალი მისტიკური კაცის, „ჰალსტუკიანი კავკასიელი რეფორმატორის“ ხელმძღვანელობით დაიწყებს მაგოგლენდის მილიტარისტული საცეცების მეთოდურ კვეთას.

ამავე დროს მაგოგლენდმა იწვნია დარტყმების მიღება

სასიკვდილოთ დაჭრილი შეერთებული შტატებისაგან, რომელმაც ჭრილობების მოშუშება დაიწყო. მეორდება მე-2 მსოფლიო ომის ისტორია, როდესაც იაპონიამ ომის დასაწყისში მორალურად თითქმის გაანადგურა ამერიკელები, მაგრამ ბრძოლის ფინალურ სტადიაზე ამერიკის ეკონომიკურმა გიგანტმა შური იძია და იაპონიას ყველაზე თავზე და-----ა.

უეცრად რუსეთმა დაინახა, რომ ერთი და იმავე დროს მრავალ ფრონტზე იბრძვის. მაგოგლენდს ხუთი ფრონტი გაეხსნა: ევროპის, აფრიკის, ინდოეთის, ჩინეთისა და შეერთებული შტატების.

ევროპის საბრძოლო თეატრზე ბრძოლები თითქმის დამთავრებული იყო. პრინც გოგს მხოლოდ დიდი ბრიტანეთი არ დანებდა. მაგოგლენდი ბრიტანეთს სამი თვის განმავლობაში დაბომბავს, მაგრამ ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს. ამის მიზეზი იქნება ზებუნებრივი კლიმატური ანომალია.

რაღაც გასაოცრად, ძლიერი გამუდმებული ქარი ბრიტანეთის კუნძულებიდან ზიგზაგური გზით, ყველა დიდი ევროპული სახელმწიფოს გვერდის ავლით, უმთავრესად ბალტიის ზღვით, ესტონეთის ქალაქ ნარვაზე გადავლით პირდაპირ მოსკოვზე უბერავს, სადაც ე. წ. „წითელი მოედნის“ თავზე ბრიტანეთის ქარი ზიგზაგურ მოძრაობას შეწყვეტს და წრიულ ტრიალზე გადადის. ამ დროს იგი ზომიერი სიძლიერის ტორნადოდ გარდაიქმნება, რომელიც ზემოდან ქვემოთ უბერავს. ამის გამო პრინცი გოგი ბრიტანეთის წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს, რადგან ამით მისი ციტადელი, მოსკოვი აუცილებლად მიიღებდა სასიკვდილო რადიაციას.

სამაგიეროდ, მაგოგის „სპეცნაზი“ შოტლანდიაში გადაისხა. გოგის არმია ასევე ნორთუმბერლენდში და უელსში შეიჭრა. ლონდონს ალყა დაერტყა. ბრძოლა ლონდონისათვის ძალიან სისხლისმღვრელია. ორივე მხრიდან 1,5 მილიონი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპება. ბრძოლების ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში, როდესაც ლონდონელებმა იმარჯვეს და მდინარე თემზის გავლით ზღვაზე გასასვლელი გაჭრეს, პრინცმა გოგმა მახრჩობელა გაზი „მაგოგლენდიუმი“ გამოიყენა. ბრძოლების ბედი კვლავ გოგის სასარგებლოდ შეტრიალდა. ბრიტანეთის ლორდის პალატამ განაცხადა:

„სლავები ადამიანების ნაბუშრები არიან. ისინი ნამდვილი ღორის „ძ----ი (ფიგშით) არიან“.

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის მოსახლეობის უმეტესობა აზიელები არიან, ისინი გმირულად აღუდგებიან წინ გოგი-მაგოგისა და მისი არაბი მოკავშირეების ურდოებს. ლონდონის დამცველები დღე და ღამე მღერიან:

„მართე ბრიტანია!

მართე ტალღები,

ბრიტანელები არასოდეს,

არასოდეს გახდებიან ტრაკები“.

ბრიტანეთის სამეფოს კავკასიური (თეთრი) რასის მოსახლეობა თავს სოფლის რაიონებში აფარებს. მხოლოდ შოტლანდიის მთიანი ნაწილი, ირლანდია და ისლანდია დროებით უწევს წინააღმდეგობას მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და მათი დამქაში ორთოდოქსი მუსლიმანების ურდოებს. როგორც შედეგი ამ შეტევებისა, ინგლისი და მისი დედაქალაქი ლონდონი გადასროლილ იქნა ცხოვრებისეული სტანდარტების უმდაბლეს დონეზე.

აფრიკის ფრონტზე გაეროს მომხრე სამხრეთ აფრიკის კონფედერაციამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. მათ ოსტატური სამხედრო ოპერაციები განახორციელეს. კერძოდ, სომალის, ეთიოპიისა და კამერუნის ბრძოლებში. აშკარად დაჯაბნეს მაგოგლენდის სამხრეთ დივიზიები მათი მოკავშირეები. ეს ქვეყნები ადრე მაგოგლენდმა თავისი მოკავშირეებით ეგვიპტე, ლიბია და სირიასთან ერთად დაიკავა.

სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის ძალებმა „ჰალსტუკიანი კავკასიელი რეფორმატორის“ ხელმძღვანელობით გამოიყენა თავისი მექანიზებული შენაერთები და განახორციელა ფლანგური მანევრები. ამ მანევრების შემდეგ რამდენიმე ჩრდილოეთის კონფედერაციის დივიზია ხაფანგში მოექცა და განადგურდა. მოგვიანებით ეს ფლანგური მანევრები კაცობრიობისა და სამხედრო ისტორიაში შევა როგორც უდიდესი საფლანგო მანევრები, როგორიც არასოდეს განხორციელებულა ადრე.

ამ ბრძოლების ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო ბანტუს ტომის სპეციალური დანიშნულების რაზმელების საქციელი, რომლებმაც 300 სპარტანელის გმირობა გაიმეორეს.

300 ბანტუ მეომარი თავიანთი მამაცი მეთაურის იდელფინსე ეჩებარიას ხელმძღვანელობით სანადიროდ გავიდნენ, რათა სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის შეთხელებული პროვიზია შეევსოთ. ნადირობის დროს ბანტუს მეომრები მოწმე გახდნენ

გოგის, არაბებისა და მათი მეგზური კოსას ტომის მეომრების ვერაგული მანევრისა სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის სამხედრო შენაერთების ზურგში. ბანტუს მეომრები ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში მაგოგლენდის სამხრეთ დივიზიების წინააღმდეგ. თითქმის ყველა ბანტუს მეომარი გმირი სიკვდილით დაეცა, მაგრამ მტერი შეჩერებული იქნა. მოგვიანებით ამ ადგილებს ეჩებარიას ველი ეწოდა.

ასი ათასობით მაგოგლენდისა და მისი არაბი მოკავშირეების ჯარისკაცები ტყვედ ჩავარდნენ. უმეტესი მათგანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საკონცენტრაციო ბანაკებში შიმშილითა და ავადმყოფობით დაიღუპებიან.

სამხრეთ აფრიკაში გამარჯვების შემდეგ „ჰალსტუკიანმა კაცმა კავკასიიდან“ დასავლეთის ცივილიზაციის არმიაში სერიოზული გადაჯგუფებები განახორციელა და ევროპას მეტი ყურადღება დაუთმო.

მაგოგლენდის ჩრდილოეთ ატლანტიკური ფლოტი ელოდება ახალ D-დღეს. მან ჩრდილოეთ ატლანტიკის სანაპირო ზოლი უამრავი ჯარისკაცითა და გემებით გაამაგრა.

მალე ამერიკელების ხელმძღვანელობით მოქმედი საერთაშორისო ძალები, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, მოკლე რადიუსის თვითმფრინავები და სარაკეტო ტექნიკა მაგოგლენდის თავდაცვითl სისტემის ყველაზე სუსტ წერტილშია ფრანგული რაიონის, ბრეტანის სამხრეთში გადმოსხდება.

ბისკაის ყურის საზღვაო ბრძოლას მოკავშირეები საბოლოოდ მოიგებენ, თუმცა ავიამზიდებს „ნიმიცსა“ და „შარლ დე გოლს“ დაკარგავენ. ამის შემდეგ საფრანგეთში, ბესკეთში, დანიაში და ნორვეგიაში გოგის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებები მოხდება. ამბოხებების წარმატებებს ხელს უწყობს პრინცი გოგის პრიმიტიული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იყო თეზისებზე: „ყევლასგან უნარის მიხედვით და ყველასგან მოთხოვნილებების მიხედვით“, რაც გაუგებარი იყო ევროპის მოსახლეობისათვის.

პრინცი გოგისა და მისი დამქაშების საოკუპაციო ხელისუფლება ეყრდნობოდა ფეოდალიზმსა და ველურ კაპიტალიზმს შორის გარდამავალ ფორმაზე, სადაც ბარტერული სტილის ვაჭრობა და „შავი ქეში“ ანუ „დაუფიქსირებელი ფული“ სჭარბობდა. ეკონომიკის ამ ფორმამ ფეხი ვერ მოიკიდა

დაპყრობილ ქვეყნებში, რადგან მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ თუ რა იყო „შავი ქეში“.

აჯანყებების დროს განსაკუთრებით გამორჩეული როლი ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე უძველესმა მოსახლეობამ, ბასკებმა შეასრულეს. მათ კვლავ ააღორძინეს თავიანთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია ეტა, რომელიც მაგოგლენდის აგენტებისა და ოფიციალური პირების ტერორიზებას მთელ მსოფლიოში ახდენდა.

სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის ფეხოსნები და სამხედრო-საზღვაო ძალები უერთდებიან ევროპა-ამერიკის გარდაქმნილ არმიას და მაგოგლენდს უმნიშვნელოვანეს სახმელეთო და საზღვაო ბრძოლას მოუგებენ კართაგენთან. ამის შემდეგ მოკავშირეები ოპერაცია „ოვერ ლორდ II“-ს განახორციელებენ და იტალიაში შეიჭრებიან. პრინცი გოგი ევროპაში თავისი მყარი პოზიციების სწრაფად დათმობებს დაიწყებს.

მალე დიდი ბრიტანეთი ისლანდიას შეუტევს. დასავლეთის კოალიცია დაამარცხებს გოგ-პუტინის სამხედრო-საზღვაო ძალებს ბერგენის ბრძოლაში და ნორვეგიაში გადასახლდება.

საბოლოო საზღვაო ბრძოლები ბალტიის ზღვაში მოხდება. გოგი დათმობს უმნიშვნელოვანეს კადერაკისა და სკადერაკის სრუტე-გასასვლელებს და ასევე დათმობს ჩრდილოეთის ზღვას და ატლანტიკის ოკეანეს მთლიანად.

მოკავშირეების წარმატებებით წაქეზებული პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ფლოტი სანკტ-პეტერბურგში შეუტევს. გოგი გაიმარჯვებს და გამხნევებული მოკავშირეების პოზიციების მასირებულ დაბომბვას დაიწყებს. მაგოგლენდის შეტევები ჩაიშლება. 400 ათასი ადამიანი დაიღუპება.

მოკავშირეებმა გოგის „წითელი არმიის“ წინააღმდეგ კონტრშეტევის ორგანიზება გადაწყვიტეს და გამოსაყენებლად გაამზადეს დარჩენილი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, მაგრამ პარიზში გამართულ მშვიდობის კონფერენციაზე დაადგინეს, რომ არ დაებომბათ გოგის სამოქალაქო ობიექტები და იქ ბირთვული იარაღი არ გამოეყენებინათ. მსოფლიო გადარჩა მაგოგლენდის ქალაქების ინდუსტრიული ობიექტები რამდენიმე ღამე უბირთვოდ იბომბება.

მოკლე დროში დასავლეთის ცივილიზაციის არმია ესტონეთში

შეიჭრება და 23 თებერვალს მაგოგლენდის დაცვის ხაზს გაანგრევს ნარვასთან, სწორეთ იქ საიდანაც ომი დაიწყო.

თურქეთი ომს დაუბრუნდება კონსტანტინოპოლის ალყას გაარღვევს და მაგოგლენდის სუსტ პოზიციას შეუტევს ბულგარეთში. შემდეგ საბერძნეთში შეიჭრება, დაიბრუნებს ბათუმის სანჯაყს და საქართველოზე გადავლით აზერბაიჯანთან გაერთიანდება. სომხეთი და აზერბაიჯანი დაიკავებენ საქართველოს სამხრეთს და აღმოსავლეთის რაიონებს.

საუდის არაბეთი ირანზე წამოიწყებს შეტევებს. თურქეთი მას მხარს დაუჭერს. მაგოგლენდი დატოვებს თავის პოზიციებს ირანში და კავკასიაში.

პირველი ფრაგმენტი წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

2025 წლის ცხელი ზაფხულის გრილი საღამო იდგა. კავკასიონის მთის დედაქალაქი ვარსკვლავეთი-სითი როგორც ყოველთვის ხალხით იყო სავსე. მიმდინარეობდა მესამე მსოფლიო ომი. ერთმანეთს ორი სამხედრო დაჯგუფება ებრძოდა: დიდი მაგოგლენდი თავისი მეგობარი ქვეყნებით და ისრაელი, თავისი მოკავშირეებით, რომლებიც „ისრაელის სახლის“ სახელწოდებით არიან ცნობილნი.

დედამიწა ირყეოდა. მილიარდობით ადამიანი გაწყდა. ბრძოლა რომელიც ესტონეთის ქალაქ ნარვაში დაიწყო, დედამიწას საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა.

ვარსკვლავეთ-სითიში კი შედარებით სიმშვიდე იყო. მეომარი მხარეები ამ რაიონში რატომღაც იარაღს არ იყენებდნენ. დედამიწაზე თავსდამტყდარი უბედურებები ხეობას გვერდს უვლიდა. მხოლოდ საჰაერო პატრული არეგულირებდა არალეგალი ემიგრანტების მოძრაობას და იცავდა ხალხს. ხეობის გარშემო სიტუაციას გოგი აკონტროლებდა. მაგრამ 15-17 მილზე გაჭიმულ ხეობაში იგი არ შედიოდა. ამ პატარა ტერიტორიაზე უამრავი სასტუმრო და კლდეში ნაკვეთი პანსიონატი იყო. იქ ასი ათასამდე ადამიანს ჰქონდა თავი შეფარებული.

თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს ამ ხეობაში ამდენ ხალხს ერთად არ უცხოვრია. აქ დიდი ფინანსები ტრიალებდა და ყველა კარგად ცხოვრობდა.

მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა ბანკმა და კომპანიამ აქ თავიანთი ფილიალები და ფულის საცავებიც კი შექმნეს. იყო სერიოზული ეჭვი რომ მაგოგლენდის ლიდერმა პრინცმა გოგ-პუტინმა და მისმა ერთგულმა მიმდევრებმა თავიანთი სახსრები ხეობაში მდებარე საიდუმლოებით მოცულ „თრუსო-ბანკში“ მოათავსეს, რომელსაც ცნობილი კავკასიელი მაგნატი გრაფი ბორისი ფლობდა.

ვარსკვლავეთი სითის ცენტრში, მყინვარ „ხევის პატარძლის“ პირდაპირ, ჩქერულას გადასახედზე პოპულარული რესტორანი „ხევის თვალი“ მდებარეობდა. მის განაპირა მაგიდას, რომელიც ვაშლის ხეების ქვეშ იდგა ორი ადამიანი უჯდა. ერთი ტანსრული მელოტი, კოლხური შეხედულების კაცი იყო. მას დიდი ხელები და ფეხები ჰქონდა. მეორე კი მასთან შედარებით გამხდარი, თმაჭაღარა და სხარტი იყო. ერთი შეხედვით ორივე გაურკვეველი ასაკის იყვნენ. მათზე შეიძლებოდა, როგორც ახალგაზრდის, ისე ასაკში შესულის, თუნდაც ხანდაზმულის თქმა.

„კიდევ ორი ბოთლი „სარკინოზული“ მოგვიტანე“, უთხრა მოახლოებულ მიმტანს ამირან მელიამ. იგი მსოფლიო მთავრობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი იყო კავკასიის რეგიონში.

„ზედ ორი ცხვრის მწვადი მოაყოლე და ზედ ხახვიც ბლომად დააყარე“, დაამატა ალფრედ ნავიგატორმა.

ეს ორი ადამიანი სიყრმის მეგობრები იყვნენ. მათ არაერთი საათი ჰქონდათ გატარებული მაგიდასთან საუბრებში და ღვინის სმაში. მათ საერთო მეტი ჰქონდათ, ვიდრე სხვადასხვაობა.

„ე. ი. „დევდორაკის მყინვარი“ ათი წლის წინათ მოწყდა და დაახლოებით ერთი მილიონი კუბომეტრი ზვავი გაუშვა“, გააგრძელა ადრე დაწყებული საუბარი ამირან მელიამ და ღვინო მოსვა.

„კი, ზუსტად ასეა“, დაეთანხმა ალფრედი.

„ახლა რა მდგომარეობაა მყინვარზე?“ იკითხა ამირანმა.

„ჩვენმა მოწმეებმა მყინვარის სათავე შეამოწმეს და უამრავი ბზარი ნახეს, ერთ-ერთი ბზარი ფრიად საგანგაშოა. მისი სიმაღლე თითქმსი ოცსართულიანი სახლის ხელაა და იქიდან

გამუდმებული გუგუნი მოისმის. ცხადია, რომ დევდორაკის მყინვარი ტყდება“.

„რამდენად მოსალოდნელია რომ მოწყვეტილმა დევდორაკმა ხეობაში გამავალი კომუნიკაციები და ინფრასტრუქტურა დაფაროს?“ ისევ იკითხა ამირანმა.

„მოსალოდნელზე მეტია“, დააზუსტა ალფრედმა.

„ამ შემთხვევაში ზვავის მასა რამდენად დიდი იქნება?“ ჩაეძია ამირანი და ჭიქა ისევ ღვინით შეივსო.

„ჩვენის ვარაუდით ჩამოწოლილი მასა 17-25 მილიონი ტონის ექვივალენტი იქნება“, მწუხარე ხმით დასძინა ალფრედ ნავიგატორმა და ახალმოტანილი ცხვრის მწვადი გასინჯა და მერე კი ზედ ღვინოც დააყოლა.

„ვარსკვლავეთ სითის მიწვდება?“

„აბსოლუტურად გამორიცხულია. ქვა აღმართში არ მიგორავს. მოწყვეტილი „დევდორაკი“ დაცერებას გაყვება და ჩრდილოეთში დანმობერთების მიწასა და მათ დედაქალაქს დაასკდება თავზე“.

„როდის ელოდებით დევდოაკის მყინვარის მორიგ მოწყვეტას? დაინტერესდა ისევ ამირანი.

„ნებისმიერ წამს“, იყო პასუხი.

„ეს იქნება დიდი კატასტროფა. ბევრი ადამიანი ვერც კი მიხვდება თუ რისთვის კვდება“. თქვა ამირანმა.

„ეს მართალია, დიდი ტრაგედია დატრიალდება. სივრცე მოსიარულე მკვდრებით აივსება“.

„რატომ?“ შეეკითხა ამირანი.

„იმიტომ, რომ სიკვდილის ბოლო მომენტში თუ თვალები ღია არის შენს მფარველ ანგელოზს საშუალება აქვს რომ კონტაქტი დაამყაროს შენთან და მითხრას თუ რომელ განყოფილებაში წახვალ, მაგრამ თუ თვალები დახუჭული გექნება ან შიშით დახუჭავთ მაშინ გარდაცვლილი უცნობ ადგილას წავა. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი რომ სიკვდილის მომენტში თვალები ღია მქონდეს და შიშით არ დახუჭო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხეტიალე მკვდრებად გადაიქცევით და შვებას ვერ ნახავ“, თქვა ალფრედმა.

„საშინელი ამბავია! რატომ არ აფრთხილებთ დანმობერ-თელებს?“ ჩაეძია ამირანი.

„ისინი საქმის კურსში არიან და მეთვალყურეც ჰყავთ დევდორაკზე!“

„თუ ასეა ვილოცოთ, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს და „დევდორაკის მყინვარი“ ადგილს არ მოწყდეს“, თქვა მსოფლიო მთვარობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიაში ამირან მელიამ, პირჯვარი გადაიწერა და ზეცას ახედა.

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ ხეობა რიხტეტის შკალით რვაბალიანმა მიწისძვრამ შესძრა. ვარსკვლავეთ-სითიმაც და ხეობის ყველა ძველმა თუ ახალმა შენობამ მიწის რყევას გაუძლო. ხევის სიამაყე ობსერვატორია „ჰერაყლიონიც“, რომელიც ქალაქს დევდორაკის სამხრეთის მისადგომებთან გადმოჰყურებდა, შეუდრეკლად იდგა. მხოლოდ მისი დირექტორი, ყოფილი კრიმინალი და უსაქმური, ახლა კი ასტრონომი ირაყლიონ ირაყლიძე გაუჩინარდა.

ბევრისდასაუბედუროდ „დევდორაკის მყინვარი“ დაიძრა. დაიძრა კი არა თითქოს ადგილს მოწყდაო, საათში 80 მილის სისწრაფით ვარსკვლავეთ-სითის სასაზღვრო ტერმინალს, ჰიდრო ელექტროსადგურსა და იქვე მდებარე „თავშეკავებულ მამათა მონასტერს“ დაასკდა. ექვსას ფუტამდე სიმაღლის მღვრიე მასით აავსო ვარსკვლავეთის ხეობა და მდინარე ჩქერულა გადაკეტა, რომელმაც საბედისწერო დაგუბება დაიწყო. რამდენიმე წუთში დევდორაკი ვარსკვლავეთის ხეობას გაცდა და ველზე გავარდა. პირველ რიგში იგი კავკასიონის გადაღმა მდებარე დანმობერთლენდის ორი მესამედი დაფარა. დაახლოებით 300 ათასი დანმობერთელი ცოცხლად დამარხა. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი გადარჩა, რომლებსაც კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობის მაღალ ადგილებს შეეხიზნენ.

როკის გვირაბის გავლით „დევდორაკის მყინვარის“ ერთი ძლიერი ნაკადი მაგოგლენდის მიერ კავაკასიონის სამხრეთში მდებარე ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიჭრა, გორი გადაიარა და მცხეთას მიადგა.

ორი თვის შემდეგ ხეობაში დაგუბებულმა ჩქერულამ აიწყვიტა და აურაცხელი ზარალი მიაყენა ჩრდილოეთ კავკასიას.

ამ ამბების შემდეგ მაგოგლენდის ლიდერმა გოგი-პუტინმა შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა კავკასიაში და მოსკოვის თავ-დაცვაზე გადავიდა.

მესამე მსოფლიო ომი თავის დამამთავრებელ ფაზაში შევიდა.

* * *

ამასობაში ავღანეთი ცენტრალურ აზიაში შეიჭრა. უზბეკეთი კი ყაზახეთს კასპიის ზღვის სანაპირო ზოლს ჩამოაჭრის და ავღანეთთან ერთად ზედა განედებისაკენ გაეშურება. მალე ისინი ციმბირში შეიჭრებიან, რათა როგორც „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“ ბრძანა „ხელი შეეშალათ გოგიპუტინისათვის დასავლეთიდან აღმოსავლეთში მაგოგლენდის სამხედრო პოტენციალის გადაადგილებისათვის და თავიდან აეცილებინათ“ ადრე მომხდარი ფაქტის ანალოგი, როდესაც სტალინმა მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის სამხედრო პოტენციალი დასავლეთიდან ციმბირში გადაზიდა და ქვეყანა დამარცხებას გადაარჩინა.

მაგოგლენდის განთქმული დედაქალაქი მოსკოვი და მისი ციტადელი „კრემლინი“ საშინლად დაიბომბება. პრინცი გოგიპუტინის დარჩენილი ძალები აქ იქნება თავმოყრილი. ქვეყნის უბრალო მოქალაქეები შეიარაღდნენ ვინც როგორ შესძლო, უმთავრესად ნამგლებითა და ურიებით.

პრინცმა მოგმა გამოსცა დეკრეტი: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“, მან განაცხადა:

„მტერს უნდა კომუნისტური მაგოგლენდის (რუსეთის) გულის, მისი ძვირფასი დედაქალაქის მოსკოვის ხელში ჩაგდება. ყველანი აღსდექით მოსკოვის დასაცავად. გაანადგურეთ მტერი. წინ ამხანაგებო!“

დასავლეთ ცივილიზაციის ზოგიერთ ქვეყანაში გოგს სიმპათაიზერები ყავდა. ეს პირველ რიგში ითქმის მაგოგური წარმოშობის დასავლეთის მოქალაქეებზე. მათ მსოფლიოს მრავალ ქალაქში მაგოგლენდის სოლიდარობის მიტინგები მოაწყეს. მათი ლოზუნგები იყო:

„ხელები შორს კომუნისტური მაგოგლენდიდან!..“ „მთელი მსოფლიოს მაგოგლენდის (რუსეთის) მეგობრები, გაერთიანდით!“

მაგრამ ეს იყო წვეთი ოკეანეში. მთელი მსოფლიო აღშფოთებულია გოგისა და მაგოგლენდის აღვირახსნილობით.

მაგოგლენდის მუშებმა და გლეხებმა სწრაფად ჩამოაყალიბეს წითელ პარტიზანთა რაზმები. შექმნეს იატაკქვეშა კომუნისტური პატრიული ორგანიზაციები.

მაგოგლენდის მეამბოხეები წარმატებით იბრძვიან ურალის, სელიქჰარდის, ალთაისა და სანკტ-პეტერბურგთან მდებარე

საიდუმლო ბუნკერებში. ეს ბრძოლები რამდენიმე თვეს გაგრძელდება.

სრულიად მაგოგლენდის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და, სახალხო კომისართა საბჭო გამოსცემს ბრძანებას „წითელი ტერორის“ შესახებ. იგი აცხადებს:

„ყველა პიროვნება, რომელიც ჩათრეულ იქნება დასავლეთელი ბანდიტების ორგანიზაციების საქმიანობაში, შეთქმულებებში და ძირგამოთხრელ საქმიანობაში დახვრეტილი იქნებიან“.

სასწრაფოდ შეიქმნა სრულიად მაგოგლენდის საგანგებო კომისია. უამრავი სასჯელაღსრულება და დანაშაული ჩაიდინა ამ მეტად აქტიურმა კომისიამ, რომელმაც მარტო მარტში სიკვდილით დასაჯა 5,5 მილიონი „პოლიტიკური კრიმინალი“.

მაგოგლენდის ხელისუფლება მთლიანად სისხლიან ანგარიშსწორებაზე გადავიდა ყველა კატეგორიის მოქალაქეების მიმართ, მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკით საკუთარი თანამოაზრენი დახოცა. ამ საშინელ თვითგვემას პრინცი გოგი მტრული ელემენტებისგან მაგოგლენდის დიადი კომუნისტური პარტიის „თვითგანწმენდას“ უდოდებდა.

დასავლეთის კონფედერაციის ძალები, იაპონია, ჩინეთი და ნაწილობრივ უკვე გაერთიანებული კორეა, სამხრეთ-აღმოსავლეთ, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ აფრიკის კონფედერაციის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და ოკეანის ქვეყნებთან ერთად იბრძოდნენ სინქრონულად, გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით და არ აძლევდნენ მაგოგლენდის იმპერიას შესვენებისა და სულის მოთქმის საშუალებას.

მესამე მსოფლო ომის ფინალური სტადიის უნიკალური დამახასიათებელი თვისება იქნება საბრძოლო მოქმედებების მასშტაბურობა და გრანდიოზულობა. როდესაც დასავლეთის კოალიციამ ნარვა უკან დაიბრუნა ბრძოლების საბრძოლო თეატრი მაგოგლენდის წინააღმდეგ 7000 მილზე გაიჭიმება, მარტო დასავლეთის ფრონტის სიგრძე აღწევდა 1300 მილს. იგი იწყებოდა ურალის მთიანეთის ჩრდილოეთის ტყეებიდან მდინარე ვოლგის გადაღმა სტეპებამდე სამხრეთში.

მთავარი ფრონტის გარდა ცენტრალურ მაგოგლენდს შემოერტყა ბევრი ლოკალური ფრონტები ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. განსაკუ-

თრებით ეს ითქმის ცენტრალურ აზიაზე, ყაზახეთზე, ციმბირზე და შორეულ აღმოსავლეთზე. ასე მაგალითად, ნარვის აღების შემდეგ ტრანს-კასპიის, დასავლეთის ტრანს-ბაიკალის და აღმოსავლეთის ტრანს-ამურის ფრონტები წარმოიშვა.

ეს ბრძოლები მიმდინარეობდნენ სხვადასხვა კლიმატურ და გეოგრაფიულ გარემოში. იგი ხდებოდა კავკასიის მთის ხეობებში და ცენტრალურ აზიაში, თურქესტანის უდაბნოებში, უკრაინის სტეპებში, ვოლგისა და ჩრდილოეთ კავკასიონის რეგიონებში, ციმბირის ტაიგებში, ბელორუსიის ტყეებში, არხანგელსკისა და მურმანსკის რაიონებში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის პლატოზე. მძვინვარე ბრძოლები მიმდინარეობდა იაკუტიის რეკორდული სიძლიერის ყინვებში და ყარა-ყუმის უდაბნოს სიცხეში.

მესამე მსოფლიო ომი რომ დაიწყო მაგოგლენდის ერთიანი ეროვნული პროდუქცია მსოფლიოს ერთიანი ეროვნული პროდუქციის ორ პროცენტის შეადგენდა. ძალთა და ეკონმიკური რესურსების ასეთი განსხვავების მიუხედავად გოგმა მსოფლიო ომის დაწყება გაბედა, რადგან იცოდა, რომ უფალი მამაცების მხარეს არის.

მის წინააღმდეგ მებრძოლი მარტო დასავლეთის ცივილიზაციის ძალები კი მსოფლიოს ერთიანი ეროვნული პროდუქციის 50 პროცენტზე მეტს აკონტროლებდნენ. მას შემდეგ რაც მაგოგლენდის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ ჩაუდგება მაგოგლენდის წინააღმდეგ მობილიზებულ იქნა ქვეყნები, რომლებიც ფლობდნენ მსოფლიო ერთიანი ეროვნული შემოსავლის 88 პროცენტს. მაშასადამე, ჩამოყალიბდა ბალანსი 12 პროცენტი 88 პროცენტის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით გოგის მდგომარეობა უიმედო იყო, მაგრამ მას ამხნევებდა ის გარემოება, რომ მაგოგლენდის ლიდერი უძლეველი ჩინგის ხანის შთამომავალი იყო.

გოგი-პუტინი ვაჟკაცი მეომარი იყო, მან არ იცოდა რა იყო დანებება ან ნებაყოფლობით უკან დახევა. მისი ლოზუნგი იყო: „გამარჯვება ან სიკვდილი“.

მაგოგლენდის ძალებმა ორგანიზება გაუკეთეს რამდენიმე გრძელ და ჯიუტ თავდაცვით ოპერაციებს და პერიოდულად მამაც კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მათ 17-ჯერ ესროლეს ბირთვული იარაღი იაპონიის არქიპელაგს და მათგან მხოლოდ ერთმა მიაღწია ტოკიოს. დანარჩენი 16 ჰაერშივე

იყვნენ დაჭერილები და გაუვნებელყოფილები კოალიციური ძალების მიერ. იგივე მოხდა ჩინეთის წინააღმდეგ, 419 ბირთვული შეტევიდან მიზანს მხოლოდ 11-მა მიაღწია, თუმცა მათ მნიშვნელოვნად დაანგრიეს პეკინი, ვუჰანი, თოანკინი, შიჯიაზუანგი და ჰარბინი.

ჩვენ შეგახსენებთ, რომ პარიზის შეთანხმებით გადაწყდა, რომ კოალიციური ძალები არ დაბომბავდნენ მაგოგლენდის სამოქალაქო სექტორს და არ გამოიყენებდნენ ბირთვულ იარაღს, რასაც ბოლომდე ასრულებდნენ.

ომის ეფექტური დასრულების უფრო ჰუმანური გზებიც არსებობდა და იგი გაეროს ახალმა გენერალურმა მდივანმა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“ შეიმუშავა. იგი ამავე დროს დასავლეთის ცივილიზაციისა და კოალიციური ძალების მთავარსარდალი იყო. მისი გეგმით თავიდან მოფრინდებოდნენ უჩინარი ბომბდამშენები B-2 STEALTH და დაბომბავდნენ სამხედრო ქარხნებს და ნავთობგადამამუშავებელ ინფრასტრუქტურას. მერე კი მოფრინდებოდნენ უპილოტო ელექტრო-მაგნიტური დრონები CHAMP, რომლებსაც მძლავრი მიკროტალღური იმპულსური გამოსხივების მქონე იარაღით იყვნენ აღჭურვილები. მათ უნარი ჰქონდათ სამუდამოდ გამოეთიშათ დიდი ქალაქების მთელი ელექტრომოწყობილობები და დიდი ხნით, თუ საჭირო იქნებოდა, სამუდამოდ დაებრმავებინათ მოწინააღმდეგე. სულ ეს იყო მისი გეგმის ქვაკუთხედი, რაც მოხდა კიდევაც, მაგრამ გოგი იხტიბარს არ იტეხდა.

ყირიმის დაცვა უმთავრესი მომენტი იყო უშუალოდ მაგოგლენდის წინააღმდეგ ბრძოლაში. კოალიციურმა ძალებმა იოლად აიღეს ეს ნახევარკუნძული, მაგრამ გოგი ცდილობს მის უკან დაბრუნებას. მოსკოვი და სხვა ქალაქების ქუჩები სავსეა პლაკატებით:

„ყირიმი ნებისმიერ ფასად უკან უნდა იქნეს დაბრუნებული“.

სამხრეთის ფრონტის ძალებით პრინცმა გოგმა გმირული შეტევა განახორციელა ყირიმში. მისი მოწინავე ელიტური ძალები გამაგრდნენ პერეკოპის უკან, მაგრამ მათ სიმაგრეები კოალიციური ძალების მიერ დანგრეულ იქნენ.

მოგმა ბრძანება გასცა, რომ „პერიმეტრის სისტემა“ („მკვდარი ხელი“) ამოქმედებულიყო. ეს არის რუსეთის ე. წ.

„განსჯის დღის“ სწორუპოვარი იარაღი, რომელსაც შეუძლია ავტომატურად აამოქმედფოს ბირთვულმუხტიანი საკონტინენტ-თაშორისო ბალისტიკური რაკეტები. ისინი თავისით მოდიან მოქმედებაში სეისმური, სინათლის, რადიაქტიული და პრე-სული სენსორების გააქტიურების შემთხვევაში. რუსეთში ამ სისტემის შურისმაძიებელ „მკვდარ ხელს“ უწოდებდნენ და იყო მაგოგლენდური ხალხის სიამაყე. იგი იყო გარანტია იმისა, რომ მაგოგლენდის დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულთან ერთად დედამიწაც დაიღუპებოდა. ეს იყო ცნობილი მაგოგური გაგების, „არც მე და არც შენ“ სამხედრო ინტერპრეტაცია.

პრინცი გოგის საწყენად მაგოგლენდის „მკვდარი ხელი“ არ ამუშავდა, რადგან დროულად იქნა გამოთიშული მისი ყველა ავტონომიური ელექტრო-ენერგიის წყარო და სენსორები „ჰალ-სტუკიანი კაცის“ მიერ გამოგზავნილი უპილოტო ელექტრო-მაგნიტური დრონების მიერ. ეს ფრიად გაუთვალისწინებელი მომენტი იყო პრინცი გოგის ადმინისტრაციისათვის. ზოგიერთ-მა მათგანმა მერყეობა დაიწყო, რაც ჩვეულებრივი მომენტია, როდესაც გემის კორპუსს ბზარი გაუჩნდება.

იმის გამო, რომ ელექტროენერგიის უკმარისობის გამო მაგოგლენდის ტელევიზიამ მუშაობა შეაჩერა მისი თანამშრო-მლები უმუშევრად დარჩნენ. პირველად პუტინის პირადი ჟურნალისტი „სოლოვი“ გაიქცა, მას „ბაბაი“, „კისელი“ და „შევჩე“ მიყვნენ. ბოლოს პრინცი პუტინის ხროვის უდიდესი უმრავლესობა ვენესუელაში, ჩრდილოეთ კორეაში, ირანში, სირიაში და იემენის სამხრეთში გაიქცნენ. პარლამენტის ორი დეპუტატი „ჟირი“ და „მარგელი“ ასევე პოლიტოლოგი „სატანი“ მადაგასკარზე გაიქცნენ, მაგრამ არ გაუმართლათ. ადგილობრივმა მოსახლეობამ ისინი ყვ-----თ დაკიდეს.

„ჰალსტუკიანმა კაცმა კავკასიიდან“ განაცხადა:

„ჩვენ კარგი პერსპექტივები გვაქვს მაგოგლენდის მოსახლე-ობის მისამართით. მოხდება მათი სრული დეზომბირება, რაც ორ წელიწადს გასტანს. ხალხის ყველა ძველი მსახური სასა-მართლოში წარსდგება. აღმოვფხვრით მაგოგლენდის კიბოს – კორუპციას. დავეხმარები მათ (უკვე მერამდენედ) საკვებით, მედიცინით, ინფრასტრუქტურით და ტექნოლოგიებით. ხელს შევუწყობთ პატიოსანი არჩევნების ჩატარებაში. არჩევნების შემდეგ დავტოვებთ ათასამდე ჩინოვნიკს, რათა არ დავუშ-

ვათ ახალი გოგისა და სტალინის გამოჩენა. მაგოგლენდში ჩემი სპეციალური წარმომადგენელი დევიდ ჯიუბერგი დაგეხმარებათ რომ გზას არ აცდეთ და ვიყოთ მოკავშირეები“.

რუსეთის სირთულეები ნაწინასწარმეტყველია დანიელის მიერ 26 საუკუნის წინათ:

„მაგრამ ხმები და მოსაზრებები, რომლებიც მოდიან აღმოსავლეთიდან (ჩინეთიდან) და ჩრდილოეთიდან (შეერთებული შტატები და კანადა) აწუხებს მას (მაგოგლენდს) და იგი გამეტებული მრისხანებით ანგრევს და ანადგურებს ბევრს“. იგი მოათავსებს თავის კარვებს (სამხედრო მთავარსარდლობას) და სამეფო პავილიონებს ლამაზ და წმინდა მთაზე (იერუსალიმზე), იგი თავის დასასრულს მიუახლოვებს და არავინ დაეხმარება მას“ (დანიელი 11:44-45).

ჩინეთი თავის ძალებს ნორმანდიიდან და ესპანეთიდან მდინარე ამურის რაიონში გადაისვრის და იაპონიასთან, ავსტრალიასთან და კორეასთან ერთად აქედან შეუტევს მაგოგლენდს. ეს სამხედრო ოკუპაცია ისტორიაში „ოქროს დრაკონის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ბრძოლების დროს გოგის მძიმე-მოტორიზებული დივიზიები სამუდამოდ ჩარჩებიან ამურის ჭაობებში, რადგან ყველა ჯავშან-ტრანსპორტიორს აკუმულატორ-გენერატორი მწყობრიდან გამოვა.

შესაძლოა ჩინეთმა (აღმოსავლეთის კოალიციამ) ევროკავშირიდან და გაერთიანებული ერების გენერალურ მდივნისგან ფოლადში ჩაჭედილი გარანტია მიიღო ციმბირისა და ლენა ლენდის უზარმაზარი ტერიტორიების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. ჩინეთისაგან გაეროსადმი ლოიალური დამოკიდებულების საპასუხოდ.

მეორე ფრაგმენტი წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

შეხვედრის შემდეგ ლუციფერი და იესო ბეთლემის გამოქვაბულისაკენ გაემართნენ. მოწმეები კი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, ზოგი თავიანთ ქვეყნებში და ზოგიც საფლავებში.

ალფრედი და თავადი გვარამ ჩოფიკა ვარსკვლავერთი სითის დაუნთაუნის ორღობეში მიდიოდნენ. ალფრედს სასტუმრო

„კავკასიის თვალისკენ“ ეჭირა გეზი, გვარამი კი საფლავის გზით თავის ახალ ქვეყანაში აპირებდა წასვლას. გამოსამშვიდობებლად გზა-ჯვარედინზე შეჩერდნენ:

„ნახე შენი ხალხი? რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვს?“ იკითხა ალფრედმა.

„კი ვნახე, მაგრამ საქართველოდან არავინ არ არის“ მიუგო გვარამმა.

„არ არის გასაკვირი, მზამზარეულზე ცხოვრებას მიეჩვივნენ“.

„მეტწილად ებრაელები და სომხები არიან“. შენიშნა გვარამმა.

„მთავარია, რომ ერთმანეთის გესმით. შემდგომი ამოსვლის დროს მომიყევი თუ რომელ ქვეჯგუფში გაერთიანდები და როგორ წავა შენი საქმე“ თქვა ალფრედ ნავიგატორმა.

„აუცილებლად გეტყვი თუ გამჩენი გვაცლის“, თქვა გვარამმა.

„აუცილებლად გვაცლის, გული მიგრძნობს ყველაფერი კარგად დასრულდება. ტყუილად ხომ არ ლაპარაკობენ ამდენ ხანს“, იმედი გამოთქვა ალფრედმა და სასტუმროსაკენ გაემართა, გვარამი კი ვარსკვლავეთ სითის სასაფლაოსკენ მიმავალ ძნელ აღმართს შეუყვა.

მშვენიერი დარი იდგა. ვარსკვლავეთ^სითის პლაცა მზის სხივების შარავანდედში იყო გახვეული. კაფეებიდან მაგიდები გარეთ გამოეტანათ და ადგილობრივები და უცხოელები ლუდს და ყავას მიირთმევდნენ. მაგიდებს შორის ძაღლები და მტრედები მიდი-მოდიოდნენ. გაზონებზე და სკვერების შემაღლობებზე კი ძერები და არწივები იჯდნენ. ყველანი ჰარმონიულად ცხოვრობდნენ.

ალფრედი სასტუმროში შევიდა და თავისი ძველი მეგობარი ამირან მელია იკითხა, რომელიც მსოფლიო მთავრობის ეკონომიკური დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი იყო რეგიონში. ამირანი სასტუმროს რესტორანში საუზმობდა. ალფრედი მიესალმა და მაგიდას მიუჯდა.

„ბეთლემის გზას გაუყვნენ“, თქვა ალფრედ ნავიგატორმა.

„რაც მეტს ილაპარაკებენ, მით უკეთესი, იქნებ საერთო ენა გამონახოთ“, მიუგო ამირანმა და მიმტანი მოიხმო.

„მეც მაგის იმედი მაქვს“, თქვა ალფრედმა და მიმტანს მოხეური ნაზუქი და „ჯიმლა“ დაუკვეთა.

„გამოჩნდა?“ შეცვალა თემა ამირანმა.

„არ ჩანს და არც არავინ არაფერი არ იცის“, უპასუხა ალფრედმა. „მანქანაც თავის ჩვეულებრივ ადგილას დგას“, დაამატა მერე.

„გასაკვირია სწორედ. კაცი ობსერვატორიის დირექტორი იყოს და უგზო-უკვლოდ დაიკარგოს“, ვარაუდის გამოთქმა დაიწყო ამირანმა.

„როგორც სჩანს დანმობერთების დედაქალაქში წავიდა და ზვავის დროს იქ ჩარჩა“, შენიშნა ალფრედმა.

„ნამდვილად ეგრეა, ისე კი დიდი სიგიჟე იყო იქ წასვლა, მას მერე რაც ცნობილი გახდა, რომ „დევდორაკის მყინვარი“ ბეწვზე ეკიდა“, თქვა ამირანმა.

„მართლაც, მაგრამ მას მერე რაც სახელი შეიცვალა და „ირაყლიონ ირაყლიძე“ გახდა ბევრი მისი მოქმედება გაუგებარი შეიქმნა“, უპასუხა ალფრედმა.

„ჩაის ხომ არ დალევ?“ მიიპატიჟა ამირანმა.

„არა, მადლობთ, ახლა ნარზანის დალევას ვაპირებ. ხომ არ შემომიერთდები?“

„რატომაც არა, სწორედ რომ კარგი სასეირნო ამინდია. დანგრეულ საბაჟოს, „თავშეკავებულ მამათა მართლმადიდებლურ მონასტერსა“ და ელექტრო სადგურს უკვე ვერაფრით ვუშველით, თუმცა თანხები და სპეციალისტები უკვე გამოყოფილია“, თქვა ამირანმა.

„შეიძლება აღდგენა უკვე ვეღარც კი მოესწროს“ გამოთქვა ვარაუდი ალფრედმა.

„ეს ცუდი ამბავია“, განაცხადა ამირანმა.

„მსხვერპლი დიდია?“ იკითხა ალფრედმა.

„წარმოიდგინე, რომ მოხდა ფრიად უჩვეულო ამბავი. ასეთი ნგრევის მიუხედავად შენი ძმის გარდა არც ერთი კაცი არ დაკარგულა. მესაზღვრეებმა მოასწრეს კლდეებზე აჭრილ ავარიულ კიბეებზე არბენა და ბერების საცხოვრებელ სენაკებში მიღწევა. „თავშეკავებულ მამათა“ მონასტერი კი „დევდორაკის მყინვარმა დაფარა. დანმობერთების დედაქალაქიდან ყველა ჩვენიანი მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ასე რომ მხოლოდ „ირაყლიონ ირაყლიძე“ არის დაკარგული, მაგრამ იგი შეიძლება იმალება“, ისევ გამოთქვა ვარაუდი ამირანამ და „ჯიმლა“-პიცას მოზრდილი ნაჭერი გადაიღო.

„რა აქვს დასამალი?“ ეჭვი გამოთქვა ალფრედმა.

„თავად განსაჯე ალფრედ! როგორც მე ვიცი, მას შემდეგ რაც მან დანმობერთების დედაქალაქში შენი ქონება მიითვისა, იგი ძალიან ნერვიულობდა, სახელიც კი შეიცვალა და ობსერვატორია „ირაყლიონში“ ჩაიკეტა. ასტრონომები ამბობდნენ, რომ იგი სულ ორიონის თანავარსკვლავედს უყურებდა და არ აძლევდა სხვებს საშუალებას „გამოცხადებაში“ მოხსენიებული დედამიწაზე გამოგზავნილი 21 უბედურებისათვის მონიტორინგი გაეწიათ. ახლა როდესაც მისი უძლიერესობა და თავად იესო ჩვენთან ჩამოვიდნენ, მას მამისეულ სახლში ვეღარ მიესვლება. შენ რომ ერთი უკმაყოფილება გამოთქვა მემკვიდრეობის თაობაზე, იგი იმ წამსვე სამუდამო „შავი სიკვდილით“ გაქრება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ შენი ძმა იმალება“, დამაჯერებლად განაცხადა ამირანმა.

„ვინ იცის! ირაყლიონ ირაყლისძის ამბავი“, აგრძელებდა ორჭოფობას ალფრედი.

„ამავე დროს დაუფიქრდი ერთ გარემოებას. ვარსკვლავეთის კანიონის არც ერთი მოსახლე და სტუმარი არ დაკარგულა. მიწისძვრას ყველაფერმა გაუძლო, თვით ობსერვატორიამაც კი რომელიც თითქმის „დევდორაკის მყინვარის“ მოწყვეტის მახლობლად, სამხრეთის ფერდობზე მდებარეობს. ახლა კანიონში ასი ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და სიკვდილს რეიტინგი თითქმის ნულის ტოლია. ეს არის ხანდაზმულ ადამიანთა იდეალური საცხოვრებელი ადგილი. აქ 6666 ას წელზე მეტი ხნის ადამიანი ცხოვრობს. კრიმინალი კი აქ არ არსებობს. როდის მოკლეს აქ ადამიანი უკანასკნელად?“ იკითხა ამირანმა.

„სამი წლის წინ მაგოგლენდის ჯაშუშმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია, არ დაგვნებდა და დაიღუპა“, გაიხსენა ალფრედმა.

„და ასევე თავადი გვარამ ჩოფიკა, რომელიც დანმობერთების დედაქალაქში ჩაწყობილმა ელექტროშოკმა იმსხვერპლა“, გააგრძელა ამირანმა.

„ასე რომ...“, აღარ დაასრულა ალფრედმა.

„ასე რომ“, აიტაცა მისი სიტყვა ამირან მელიამ და გააგრძელა:

„უფლის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც სჩანს კანიონის მოსახლეობა ხელშეუხებელია“.

„გამოდის, რომ ჩემი ყოფილი ძმა „ირაყლიონ ირაყლიძე“

ცოცხალია, მართლაც იმალება და გრძნობს, რომ „დევდორაკის მყინვარი“ ტყუილად არ მოწყვეტილა. განკითხვის ჟამი ახლოვდება და ძ----ს ჭამაზე პასუხისგება მოუწევს“, თქვა ალფრედმა.

„დიახ, ზუსტად ასეა“, დაასკვნა ამირანმა და „აბერკომი და ფიტჩის“ სპორტული სვიტერი ტანსრულ სხეულზე მარდად გადაიცვა.

მალე ორმა მეგობარმა ჩქერულის მიტოვებული, ნახევრად დანგრეული ხიდი ფრთხილად გადაიარეს და ალბათ მსოფლიოში ყველაზე უფრო მარგებელ „ვარსკვლავეთ-სითის“ უკვდავების წყლის „ნარზანის“ დასალევად გრძელ ხეობას გაუყვნენ.

* * *

ამ დროს ბევრი არაჩვეულებრივი მოვლენა მოხდება დედამიწაზე. მაგალითად, საუდის არაბეთის სამეფოს ერთ-ერთ ქალაქში ჭექა-ქუხილი მოხდება, რაც უკვე უჩვეულო მოვლენა იყო ამ ადგილებისათვის. ჭექა-ქუხილი ვიდეოზე იქნა გადაღებული, რომელზეც ცხადად მოსჩანდა მფრინავი შავი ცხენი. ელვის განათების დროს შავი ცხენი წყვეტილად, მაგრამ საკმაოდ ცხადად გამოისახებოდა ცის ფონზე. იმის გამო, რომ ეს ვიდეო ძალიან პოპულარული გახდა, არა მარტო იუთუბზე, არამედ ფეისბუქზე და ტვითერზეც, ზოგიერთმა მოქალაქემ აზრი გამოთქვა, რომ ვიდეო ნამდვილია და ცაზე ნამდვილად მოჭენავე შავი ცხენია, როგორც უკანასკნელი დროებისა და აპიკალიფსის ერთ-ერთი სერიოზული ნიშანი.

კომენტატორები აღნიშნავდნენ, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფრენა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების თავზე ისე მომრავლდა, რომ ხალხმა მათთვის სურათების გადაღებას თავი დაანება, რადგან ე. წ. „უფოს“ გამოჩენა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, როგორც შვეულმფრენების ფრენა.

ისეთი ძლიერი ტელეევანგელისტები როგორც ჯეკ ვან იმპე, ბილი მრეჰემი და ჰერბერტ ამსტრინგი იყვნენ განუწყვეტლივ იმეორებდნენ თავიანთ საკვირაო ქადაგების დროს:

„ეძებეთ იესო დღეს, რადგან ხვალ არავინ შეგპირდებათ მის ნახვას!“

მართლაც, ხალხმა იესოს გამალებული ძებნა დაიწყო. ამ მიმართულებით „მონდომებული მორწმუნეების“ ფანტაზია ისე განვითარდა, რომ იესოს ნახულობდნენ ღრუბლებსა და ტორნადოს ტიპის ქარიშხლების მოხაზულობებში, ცეცხლის ბოლში და ქათმის ბულიონშიც კი.

ერთხელ იუთუბმა ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც მთვარემ იესო ქრისტეს სახე მიიღო, ხოლო უხილავმა ხელმა კი ინდიკატორის ცეცხლოვანი ასოებით ცის თაღზე ინგლისურად და როგორც შემდეგ გაირკვა სუახილის ენებზე შემდეგი წინადადება გამოსახა:

„ნუ იფიქრებთ, რომ დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებლად მოვედი; მე არ მოვსულვარ მშვიდობისათვის, არამედ ხმლით მოვედი ომისათვის“.

მე შვილს მამის წინააღმდეგ ავამხედრებ, ხოლო ქალიშვილს დედის წინააღმდეგ, რძალს დედამთილის წინააღმდეგ.

ადამიანების მტრები თავად მის სახლში იქნება“. (დაბადება 10:34-36)

ბევრმა ადამიანმა იფიქრა, რომ იუთუბის ვიდეო ნამდვილია. რამდენიმე ბიბლიურმა მკვლევარმა, მაგალითად ქენ ჯელესფაიმ კი განაცხადა, რომ „იესო უკვე გზაშიაო“.

მსოფლიოს ახალმა ლიდერმა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“, ვითარებისაგან გამომდინარე მინიშნებები დაიწყო, რომ მთვარის მაგვარი იესოს სიტყვები შეიძლება არ არის სწორი, რადგან „უკანასკნელი დროების“ დროს:

„...ბევრი მოვა და იტყვის „მე ქრისტე ვარ და შეაცდენს ბევრს“ (მათე 24:5)

„რეფორმატორმა“ ხალხს განუცხადა „სწრაფად შეითვისონ ყველა მოვლენის არსი“ და მიანიშნა რომ შესაძლებელია იგი თავად არის იესო ქრისტე. მან განაცხადა, რომ იესო არ არის ინდივიდი, რომ იგი არის პასუხისმგებლობა და შემეცნებითი ოპერაცია!

მან თქვა, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი, რომლის დროსაც ჩრდილოეთის კოალიცია და მისი ლიდერი გოგი აუცილებლად დამარცხდება და გაიხსენა პაპი იოანე პავლე მეორის სიტყვები:

„ჩვენ ახლა ვდგევართ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული ყველაზე დიდი კონფრონტაციის წინაშე. ეს არის ფინალური კონფრონტაცია ეკლესიისა და ანტიქრისტეს შორის.

ეს კონფრონტაცია გადის ღვთიურ ხედვაში და ამიტომ უფლის გეგმაში ზის“. თქვა „ჰალსტუკიანმა კაცმა კავკასიიდან“.

მან ასევე გაიხსენა იოელის უკვდავი სიტყვები:

„გადაადნეთ თქვენი გუთნები ხმლებად, ნამგლები კი შუბებად, მოდით სუსტმა თქვას, მე ძლიერი ვარ“. (იოელი 3:10)

„ყველა მშვიდობის მოყვარულმა უნდა უთხრას თავის თავს. მსოფლიოს ბედი ჩემს ხელშია. ახლა არ არის უსაქმოდ ჯდომისა და ბალახების მოწევის დრო. ეს არის გადაწყვეტილებების მიმღები ხალხის დრო“, თქვა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“.

მსოფლიო ისტორიის ეს ახალი კაცი პირადი მამაცობისა და ორგანიზებული შემოქმედების გასაოცარ დემონსტრირებას ახდენდა. მისი ლეგენდარული ფიზიკური გამძლეობა (საჭიროების შემთხვევაში მას ოცდაოთხი საათი არ ეძინა) საშუალებას აძლევდა მას ყოველდღე მიეღო მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ამ ბევრ შემთხვევაში მისტიკურმა კაცმა ყოველი ზომა მიიღო, რათა უმოკლეს ვადაში აღედგინა პრინცი გოგის მიერ განადგურებული ექიმების კლასი და მთელი მსოფლიოსათვის მოწინავე ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დაარსა, რომელსაც „მაიკლქეარ+1“ ეწოდა.

„ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“ მარტო მსოფლიოს ახალი ლიდერი არ არის. იგი მსოფლიოს გადარჩენისა და განვითარების გარანტიაა. მან ერთხელ განაცხადა:

„ჩემი მისია, არა მარტო ვიხსნა კაცობრიობა პრინცი გოგის ძალმომრეობისაგან, არამედ კაცობრიობა სამოთხის ჰარმონიულობამდე ავიყვანო“.

იგი თავის ბრილიანტ-ქირურგ მეუღლესთან ერთად ერთ დროს მრავალფუნქციური სამედიცინო დარგის მუშაკები იყვნენ. ახალგაზრდობის ადრიან წლებში, ეს ჯერ კიდევ, ახალგაზრდა წყვილი ლონდონში ბაზირებული ე. წ. სიცოცხლის გახანგრძლივების ჰოსპიტალ-ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც დიდ წარმატებებსა და ოსტატობას მიაღწიეს. მათი ერთობლივი წიგნი „ქირურგიას საზღვრები არ აქვს“ მაშინვე ბესტსელერად იქცა. ახლა ეს ინტელიგენტი, გმირი და ყველასგან პატივცემული წყვილი დაუღლელად დაფრინავდა მსოფლიოს თერთმეტ მოწინავე ჯანმრთელობის დაცვის ცენტრებს შორის და სტუდფენტებს ჰიპოკრატეს პროფესიას ასწავლიდა.

ცოლ-ქმარი ახალგაზრდა სტუდენტ-ექიმებთან ერთად ოპერაციას უკეთებენ ათასობით სასიკვდილოდ დაჭრილ ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფებს და აუმჯობესებენ მათ ჯანმრთელობას. მათ საჯარო ლექციებს, ასი ათასობით მაყურებელი უყურებდა. საკითხის სიტყვიერი ახსნა-განმარტება და სამედიცინო ქირურგიული ოსტატობის ვიზუალური დემონსტრირება ერთის მხრივ ფრიად გასაოცარი იყო და მეორეს მხრივ მაყურებლისათვის აბსოლუტურად გასაგები.

„ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ და მისი მეუღლის ყველა ოპერაცია ტელევიზორით გადაიცემოდა. მათი რეკომენდაციები ჯანმრთელობის გაუმჯობესების თაობაზე მილიარდობით აუდიტორიას იზიდავდა. ორივე კი კომენტირებას მსოფლიოს მრავალ ენაზე აკეთებდნენ:

„კავკასიელმა რეფორმატორმა“ დააარსა მოძრაობა „დახმარება ადგილზე“, რომელიც ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ საბაზისო ქირურგიული უნარი ყველა ნომერმიცემული ადამიანის სავალდებულო უნარი იყო. „თუ გაქვს ნომერი, უნდა იყო ქირურგი“.

„ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომლის დროსაც მილიარდობით ადამიანი დაგვეღუპა. პრინცმა გოგმა და მისმა მოკავშირეებმა ექიმთა მთელი კლასი გაგვინადგურა. ამიტომ თვითოეული ჩვენთაგანი ქირურგი უნდა გახდეს და, ჰქონდეს მთავარი ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენების უნარი“, თქვა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“ ერთ-ერთი დიდებული ოპერაციის დასრულების შემდეგ.

სხვა დროს მან განაცხადა:

„ვინ იყო პირველი ქირურგი? რა თქნა უნდა, ჩვენი დიდი მამა, უფალი, და შემდეგ კი მისი მარჯვენა ხელი ლუციფერი, რომელიც დედამიწის გუბერნატორად დაინიშნა“.

„ჰალსტუკიანმა“ ისიც გაიხსენა, რომ მცირე აზიის ქალაქ პერგამონში ცხოვრების დროს ლუციფერმა პირველი დიდი ჰოსპიტალი და მისთვის სიმბოლო „დახვეული გველი“ შექმნა, რომელიც დღემდე ჯანმრთელობის სიმბოლოდ ითვლება.

მალე გავრცელდა აზრი და იგი მოგვიანებით მრავალჯერ დამტკიცდა, რომ ოჯახის ამ კავშირმა მკვდარი პაციენტები გააცოცხლეს და მათ გამოიყენეს მხოლოდ მათთვის ცნობილი შუმერულ-აქადური ქირურგიული მეთოდი. „რეფორმატორის“

პერსონალური ხელმძღვანელობითꙋსიკვდილიანობის პროცენტი დედამიწაზე 33-დან 10 პროცენტამდე შემცირდა.

„რეფორმატორი“ ყოველ წამს ელის იესო ქრისტეს „დიდებულ წარმოჩინებას“, რომელიც „გამოცხადებაში“ და სხვა ბიბლიურ ტექსტებში მიჩნეულია, როგორც „ბოლო დროების“ საბოლოო აკორდი. ამიტომ გაეროს ახალი ლიდერი ახალ ნაბიჯს გადადგამს. იგი ყოველი შემთხვევისათვის, როგორც ყველა რელიგიების ერთიანობის სიმბოლო პრიორიტეტს ქრისტიანობას მიანიჭებს. ამავე დროს იგი ხაზს გაუსვამს, რომ იესო ქრისტეს მუსლიმანებიც „მონდომებით“ ელოდებიან, რომ „ქრისტე“ და „მაჰდი“ ერთი და იგივე მცნებაა და ნიშნავს „მესიას“, რომელსაც ებრაელებიც საგულდაგულოდ ელიან.

„კავკასიელმა რეფორმატორმა“ ქრისტიანობის დროშა ააფრიალა, როგორც სამი რელიგიის ერთიანობის სიმბოლო, ხოლო ბუდისტებს, ინდუისტებს, კრიშნაისტებს, ჯაინისტებს, კონფუცის მიმდევრებს სთხოვა დროებით პროტესტისაგან თავი შეეკავებინათ, რადგან კაცობრიობა დიდი გამოცდის წინაშე იყო.

„რეფორმატორმა“ უაღრესად თბილი ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან. მისცა მათ მთელი რიგი პრივილეგიები, რათა ჩაეხშო გარკვეული წინააღმდეგობები, რაც ქრისტიანობის პრიორიტეტად გამოცხადების შემდეგ წარმოიშვა.

სანამ „კავკასიელი ჰალსტუკიანი რეფორმატორი“ გამოჩნდებოდა, მსოფლიოს ბედი ოთხ ქალაქში: მოსკოვში, ბრიუსელში, ვაშინგტონში და პეკინში წყდებოდა. ახალმა კაცმა დაარღვია ეს წესი და იერუსალიმი გამოაცხადა მსოფლიოს ახალ დედაქალაქად და გაეროს შტაბ-ბინის ადგილას. ეს აქტი მსოფლიოს უდიდეს გეოპოლიტიკურ ცვლილებად იქნა მიჩნეული. „რეფორმატორმა“ თქვა:

„სადაც არის იესო დედამიწაზე ასე ვთქვათ: „მეორედ უნდა მოვიდეს“ . მან როგორც ნაწინასწარმეტყველია ებრაელები და იესურალიმი ურჯულოებისაგან უნდა გაანთავისუფლოს. ჩვენ ეს უკვე გავაკეთეთ. გავათავისუფლეთ იგი მაგოგისა და მისი მოკავშირეებისაგან. იერუსალიმი თავისუფალზე მეტია. იგი მსოფლიოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. იერუსალიმი უკვე მსოფლიოს დედაქალაქია. ასე რომ იესოს შეუძლია აღარ შეწუხდეს. „მეორედ მოსვლა“ საჭირო აღარ არის.

აბა შეხედეთ მსოფლიო რუკას და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ აფრიკა, ევროპა და აზია ფაქტიურად ერთი დიდი კონტინენტია, მსოფლიო კუნძულია და მისი გეოგრაფიული ცენტრი იერუსალიმია. ამიტომ გახდა ეს ქალაქი ჩვენი დედაქალაქი". ხაზი გაუსვა „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა".

მესამე მსოფლიო ომში გადამწყვეტი და საბოლოო ცვლილება დედამიწის საყოველთაო დაბნელების შემდეგ მოხდა. ეს იქნება მაგოგლენდ-რუსეთის განადგურების დასაწყისი. წინასწარმეტყველი იოელი აღნიშნავდა:

„მზე და მთვარე დაბნელდება, ვარსკვლავები ციმციმს შეწყვეტენ" (იოელი 3:15)

აღსანიშნავია, რომ ბრძოლების გადამწყვეტ მომენტში „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან" გამოაცხადებს რომ იგი ე. წ. „ლილიპუტ" გოგის კოალიციის წინააღმდეგ მანამდე არნახული საიდუმლო იარაღის გამოყენებას აპირებს, რომელიც მთლიან პარალიზებას მოახდენს მოწინააღმდეგე მხარის კომპიუტერული სისტემისა და დააბნელებს სამხედრო შტატების ოფიცრების მეხსიერებას. მან განაცხადა, რომ იმედი აქვს უფლის დახმარებით დაამარცხებს მაგოგლენდის „ბოროტ ჩრდილოეთს კოალიციით".

მალე საიდუმლოებით მოცული მანათობელი ბურთი აფეთქდება მაგოგლენდის ღამის ცაზე და „ჩრდილოეთის კოალიზმის" ლიდერი პრინცი გოგი-პუტინი კვალის გარეშე გაქრება. ამავე დროს მაგოგლენდის და მისი მოკავშირეების სამხედრო თანამშრომლებისა და მაცხოვრებლების გონება დაიხშობა. ისინი დროებით გონს დაკარგავენ, რაც საკმარისი იქნება „ჩრდილოეთის კოალიციის" საბოლოო კაპიტულაციისათვის, მაგრამ კაპიტულაციაზე ხელის მომწერის მონახვა გართულდება.

ერთი წყალქვეშა ნავი, მაგოგლენდის სიამაყე, 12.000 ფუტის წყალწყვის „ვლადიმერ მონომახი", მისი მამაცი ადმირალის ემანუელ ვიტორგანის მეთაურობით კაპიტულაციის ბრძანებას არ დაემორჩილება, რადგან მას იგი ყალბად ჩათვლის. ნავი მექსიკის ყურეში შეიპარება, სადაც ორი კვირა დაიმალება და როდესაც აღმოაჩენენ, უკანასკნელ მომენტში 48 ბირთვული მუხტი სტყორცნის შეერთებული შტატების სამხრეთ სანაპიროს. მათგან 38 მუხტი ჰაერში იქნა გადაჭერილი, მაგრამ ათმა „სტრატეგიულმა" მუხტმა

მიზანს მიაღწია. ამერიკის რამდენიმე ქალაქი, მათ შორის მაიამი, ტამპა, ახალი ორლეანი და ჰიუსტონი განადგურებული იქნენ. გამართლდა ამერიკელთა და „ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ შიში, რომ ბრძოლების ბოლო სტადიაზე გოგის დამარცხება უფრო ადვილი იყო, ვიდრე კაპიტულაციაზე ხელის მომწერის ნახვა.

მსოფლიო შევიდა თავისი განვითარების ბოლო სტადიაში. გამარჯვება მოპოვებული იქნა, მაგრამ მარტო ბრძოლებში 230 მილიონი ადამიანი დაიღუპა. მსოფლიო ნანგრევებშია. სამი წლის „ბირთვულმა ზამთარმა“ მსოფლიოს მთელი მოსავალი გაანადგურა. გამუდმებულმა შიმშილმა კიდევ 500 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. რამდენიმე მილიარდი ადამიანი ტექტონური კატასტროფების დროს დაიღუპა.

ამ ბრძოლის დროს უფალმა მაგოგლენდს უზურგა და დროებით დასავლეთ ცივილიზაციისა და ისრაელის მხარე დაიჭირა. უფლის სასჯელი სწრაფი და ცხადია. რუსეთი გაძევებული იქნა აღმოსავლეთ ევროპიდან ჩრდილოეთ ციმბირის მწირ, მაგრამ სასარგებლო წიაღიოსეულით მდიდარ მიწებზე, სადაც მძიმე ბრძოლები ექნება ჩინეთის, იაპონიისა და კორეის კოლონისტების წინააღმდეგ.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა კიდევ ერთხელ გადაკეთდა:

ინგლისმა შოტლანდიას და უელსს უპირობო დამოუკიდებლობა მისცა, მაგრამ ამ ერებმა ინგლისთან ერთად კონფედერაციული ცხოვრება ირჩიეს.

ჩრდილოეთ ირლანდია ირლანდიასთან გაერთიანდა და შეიქმნა ერთიანი ირლანდია.

რეფერენდუმის ძალით ვალონია საფრანგეთს შეუერთდა.

ჩრდილოეთ ბელგიამ და სამხრეთ ჰოლანდიამ ახალი ეროვნული სახელმწიფო ფლანდრია შექმნეს.

შეიქმნა ბასკებისა და კატალონელების სახელმწიფოები.

იტალიამ ნიცაზე და კორსიკაზე კონტროლი დააწესა.

რეფერენდუმის ძალით ავსტრია როგორც ფედერალური ერთეული გერმანიას შეუერთდა.

დიდად განევრცო ლიტვა, რომელიც პატარა სახელმწიფოდან საშუალო სახელმწიფოდ იქცა. მან შეიერთა მაგოგლენდის ყოფილი კალინინგრადის ოლქი და უკრაინის ჩრდილოეთი ნაწილი.

პოლონეთმა დიდი ყოყმანის შემდეგ გერმანიას დასავლე-

თის ტერიტორიები დაუბრუნა, სამაგიეროდ, პოლონური ტერიტორიები მიიღო აღმოსავლეთში.

ფინეთმა კონტროლი დააწესა კარელეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე და კონფედერაციული უნია დადო ესტონეთთან, რომელმაც ამ პერიოდისათვის სანკტ-პეტერბურგი აიღო.

ნორვეგიამ მურმანსკი აიღო.

ყაზახეთის ნაწილზე ჩინეთის მოკავშირე ზუნგარეთის დიდებული სახელმწიფო შეიქმნა.

შეიქმნა ბელუჯისტანი.

დაარსდა „დიდი აზერბაიჯანი“ და უძლიერესი „დიდი ქურთისტანი“.

შეიქმნება კაზაკ-ჩერქეზების უნია „დიდი კაბარდა“.

საქართველომ შეწყვიტა არსებობა.

უნგრეთმა დაიბრუნა კარპატეთი.

სომხები როგორც მოშე ნოსტრადამუსი აღნიშნავს თავიანთი ბრწყინვალე „სომხეთის დიდი პრინცისა“ და „მარსის ქურუმის“ ხელმძღვანელობით ყოფილ დასავლეთ საქართველოში ააშენებენ სამი მილის სიმაღლის კოშკს „დიდი სომხეთის ბურჯი“.

მაგოგლენდი (რუსეთი) სამ ნაწილად გაიყოფა: მოსკოვი, ნორლანდია და ქოზაკია.

მალე ქოზაკია თავისი დედაქალაქით ზაპოროჟოე მაგოგლენდის მემკვიდრე გახდება და ნორლანდიასა და მოსკოვის მნიშვნელოვან ტერიტორიებს შეიერთებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სახეს შეიცვლის. მას მერე რაც იგი იერუსალიმში გადავა სამუშაოდ იგი მთელს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და დინამიური დაწესებულება გახდება. გადაწყვეტილებებს აქ რამდენიმე წამში იღებენ. ახალ გაეროში მუშაობას დაიწყებს ორი ათასი თანამშრომელი, რომელთაგან 1700 ადამიანი ადგილობრივი ებრაელი იქნება. თანამშრომლების ვარგისიანობის საგამოცდო ტექსტს თავად გაეროს ახალი მდივანი ჩაატარებს.

გაერთიანებულ ერებს ეყოლება საკუთარი არმია, საჰაერო და საზღვაო ძალები. იგი წვევამდელებს მთელი მსოფლიოდან აგროვებს. გაეროს მთავარი შენაძენია ის გარემოება, რომ მისი გენერალური მდივნის განკარგულებაში გადავა მსოფლიოში არსებული ბირთვული პოტენციალი. ეს მშვიდობის დაცვის რეალური ძალა იქნება და გაეროს ახალი მდივანი ყოველ

ღონეს იხმარს, რომ თავიდან იქნეს აცილებული მომავალი ომები. იგი დააარსებს მსოფლიოს ერთიან კოსმოსურ ძალებს თავისი უამრავი ქვეგანაყოფებით.

გაეროს ახალი მდივანი, იგივე „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ დააარსებს „კოსმოსურ პატრულს“. ეს მოხდება დიდი ფინანსური გაჭირვების დროს. მიუხედავად ამისა, „რეფორმატორი“ უხვად აფინანსებს ე. წ. „დედამიწის პატრულს“. ახალგაზრდა და ამბიციური ასტრონავტი-პოლიციელები მინდომებით ეძებენ და ანადგურებენ ყველა საეჭვო საფრენ ობიექტებს, რომლებიც დედამიწის ორბიტაზე შემოდიოდნენ. მალე „დედამიწის კოსმოსურმა პატრულმა“ განავრცო საპატრულო არეალი და თავისი საბაზო სადგურები დაანახა მარსზე და მთვარეზე.

მესამე მსოფლიო ომის განმავლობაში მაგოგლენდის ლიდერმა პრინცმა გოგი-პუტინმა მრავალჯერ სცადა „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ მკვლელობა ან უკიდურეს შემთხვევაში მისი მწყობრიდან გამოყვანა. ამ ამოცანის შესრულებას აიოლებდა „რეფორმატორის“ საქციელი. იგი ფაქტიურად პირადი დაცვის გარეშე სეირნობდა და მთელს მსოფლიოში დაფრინავდა. ისეთი პირი უჩანდა თითქოს „ჰალსტუკიანს“ უფალი მფარველობდა. მის წინააღმდეგ მიმართული მრავალი შეთქმულება ჩაიშალა, მაგრამ ერთხელ უკვე ბრძოლების დასრულებისა და პრინც გოგი-პუტინის გაუჩინარების შემდეგ ერთმმა მაგოგლენდური წარმოშობის სუპერ-ქილერმა ურთულესი ოპერაციის შემდეგ მეორეჯერ წარმატებით სასიკვდილოდ დაჭრა გაერთიანებული ერების ტრიუმფალური გენერალური მდივანი.

გაეროს მდივანზე თავდასხმა ნაწინასწარმეტყველი იყო, რომ მას ექნებოდა სასიკვდილო ჭრილობა თავში, მაგრამ თავდასხმის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

ეს საბედისწერო რეიდი მოხდა რომში, ვატიკან-სითიში, საზეიმო ცერემონიალის დროს, როდესაც მან თითქმის ორიგინალური სიზუსტით აღადგინა ვატიკან-სითი და პეტრე-პავლეს ტაძარი, რომელიც ომის დროს პრინცი გოგი-პუტინის ბრძანებით „ტაქტიკური ბირთვული მუხტით“ გაანადგურეს.

გაეროს გენერალი მდივანს, იგივე „ჰალსტუკიან რეფორმატორს კავკასიიდან“, როდესაც იგი ახლად არჩეულ რომის ახალ კათოლიკე პაპს იოანე-პავლე III ესაუბრებოდა, „სტინგერი“ და

შემდეგ კი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა „ჯეევლინი“ სტყორცნეს. თავდასხმის შედეგად „რეფორმატორმა“ თავის ერთი მეექვსედი და სხეულის ერთი მერვედი ნაწილები დაკარგა.

ეს ამბავი მსოფლიოს მთავარი სიახლე იქნება დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. რამდენიმე დღის განმავლობაში „რეფორმატორის“ სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. მისი ბრილიანტი ქირურგი მეუღლე, მსოფლიოს გამოჩენილი მკურნალების დახმარებით დღეში რამდენიმე ოპერაციას აკეთებს, მაგრამ იმედი არ სჩანს. კომა სალი კლდესავით დგას.

მემატიანეები იუწყებიან, რომ ერთ საღამოს კავკასიონის ცაზე გრანდიოზული და აუხსნელი ელექტროგანმუხტვა მოხდა. რეგიონის ყველა ელექტროსისტემა მწყობრიდან გამოვიდა. ამ დროს „რეფორმატორს“ კავკასიონის მთებში მდებარე საიდუმლო ლაბორატორია-ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. ოთახის ღია ფანჯარაში, რომელიც უზარმაზარ ხეობას გადაჰყურებდა სოკერის ბურთის ხელა მანათობელი ელექტრო მუხტი შეფრინდა, რომელმაც იმ სამედიცინო აპარატების სადენებში გაიარა, რომლებიც „რეფორმატორის“ სხეულს იყვნენ მიერთებულები. მანათობელი მუხტი, როგორც ამ შემთხვევაში ხდება ხოლმე არ აფეთქდა და სადენებში გაქრა. და ბოლოს მოხდება მორიგი სასწაული, „კავკასიელი ჰალსტუკიანი კაცი“ კიდევ ერთხელ დაძლევს სიკვდილს და გაიმარჯვებს. იგი გადარჩება და პლანეტა დედამიწაზე ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგს გამოაცხადებს.

მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ ბიბლიის ექსპერტები გამოითვლიან, რომ მსოფლიოს ახალი ლიდერი და ბიბლიაში თერთმეტჯერ ნახსენები ანტიქრისტე ერთი და იგივე პიროვნებები არიან.

გაეროს გამოჯანმრთელებულმა გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა, რომ მისი ხელმძღვანელობის დრო ადრიდანვე არის ნაწინასწარმეტყველი და გასტანს სამნახევარ წელიწადს ან 42 თვეს, რაც შეადგენს 1260 დღეს.

„ეს დრო მოგვცა უფალმა და იგი მაქსიმალურად სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. ეს იქნება კაცობრიობის ისტორიაში პირველი ტოტალური დემოკრატიის არსებობის პერიოდი“, განაცხადა მან.

გაეროს უშიშროების საბჭო, როგორც უსუსური და უმაქნისი ორგანო, რომელშიც მაგოგლენდის წარმომადგენელი ჩურკინი

თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში დათხოვნილ იქნა. ეს მოხდა მესამე მსოფლიო ომის შუა პერიოდში და მის მაგივრად შეიქმნა ე. წ. „თრიბულეიშენის კორტი“, რაც დაახლოებით „დიდი უბედურებების“ პერიოდის სასამართლოს ფუნქციებს ასრულებდა.

მსოფლიო პოლიტიკური რუკა გადასხვაფერდა. უკვე არსებული და ახლად წარმოშობილი სახელმწიფოები მონათესავე ბლოკებსა და უნიებში გაერთიანდნენ. მათ თავიანთი წარმომადგენლობა ჰყავდათ მსოფლიო მთავრობაში, რომელიც გაეროს ექვემდებარებოდფა. ახლად წარმოშობილ პოლიტიკურ კავშირებს შორის გამოირჩეოდა:

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის შეერთებული შტატები;

ცენტრალური ამერიკისა და კუნძულების შეერთებული შტატები;

სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა პაქტი;

ევროპის შეერთებული შტატები;

ატლანტიკური კონფედერაცია;

ევროპის აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთ კონფედერაციები;

კავკასიის გაერთიანებული ემირატები;

კარპატიის სახელმწიფოთა უნია;

კოზაკეთის შეერებული შტატები;

აფრიკის შეერთებული შტატები;

მაღრიბის სახალიფო;

ჩინეთის გათენებული ცის იმპერია და სხვა.

ამავე დროს მსოფლიო მთავრობა მორჩილი და მოქნილი ორგანო იყო. ერების თუნდაც მცირე ჯგუფს ან ეთნიკურ უმცირეობას უფლება ჰქობნდა ვეტო დაედო მსოფლიო მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, მხოლოდ გაეროს გენერალურ მდივანს ჰქონდა ულიმიტო ძალაუფლება.

პლანეტამ მე-3 მსოფლიო ომის ჭრილობების მოშუშება დაიწყო. დედამიწა სავსე იყო გვამებით. მათი უტილიზაცია და პანდემიის შეჩერება უდიდესი პრობლემა იყო. უკრაინაში, ყოფილი საქართველოს ტერიტორიაზე და ლატვიაში მაგოგლენდის (რუსეთის) გამანადგურებერლი საკონცენტრაციო ბანაკები იქნა ნახული.

მესამე მსოფლიო ომი დედამიწის მოსახლეობის დიდი

გამოცდა იყო. გარემოს დაბინძურებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. პარიზის კლიმატის კონფერენციაზე შეშფოთებით აღინიშნა, რომ უწვიმობამ და მოუსავლიანობამ, ასევე წყალში მარილის ზრდამ მსოფლიო შიმშილი გამოიწვია, რამაც დამატებით კიდევ ერთი მილიარდი ადამიანი იმსხვერპლა.

„მე მივცემ გოგს სამარის ადგილს ისრაელში... და შვიდი წლის განმავლობაში ისრაელის სახლი დაწვავს მათ იარაღს, რათა მიწა გაწმინდოს“. (ეზეკიელი 39:11,12).

მართლაც, გამარჯვებულები შვიდი თვის განმავლობაში წვავდნენ მაგოგლენდის ტროფეულ იარაღს, ამ დროს ბოლი ზეცას დაფარავს.

„ისინი (ისრაელი და მისი მოკავშირეები) შვიდი წლის განმავლობაში შეშას ტყიდან არ მოიტანენ. ისინი რუსეთის იარაღს სრულად დაწვავენ“ (ეზეკიელი 39:10)

დიდი ძებნის მიუხედავად პრინცი გოგის სამარე ვერც ისრაელში და ვერც მაგოგლენდში ვერ იქნა ნახული, თუმცა ძებნას ზოგიერთი ენთუზიასტი დღესაც აგრძელებს, რადგან არის ლეგენდა, რომ გოგი ჩინგის ხანის გვირგვინთან ერთად გაქრა.

კიდევ ერთი ვერსიით გამოცდილ პოლიტიკოსს პრინც გოგ-პუტინს „უკვდავის სტატუსი ჰქონდა და ამიტომ საშვის გარეშე პირდაპირ მამაზეციერთან გაეშურა, რომელსაც უამრავი თავისუფალი სივრცე აქვს“.

კაცობრიობა ამ ომში მთლიანად დაკარგავს თავისი მოსახლეობის ერთ მესამედს. ბიბლია აღნიშნავს:

„ცეცხლის, ბოლისა და აფეთქებების გამო, რომელიც მისი პირიდან ამოვა, ხალხის ერთი მესამედი დაიღუპება“. (გამოცხადება 9:18)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ქვეყნების ერთიანი ტერიტორია შეადგენს 56.886.581 კვადრატულ მილს. მათი ერთი მესამედი იქნება 18.963.194 კვადრატული მილი. დაახლოებით ეს ის ტერიტორიაა რომელიც მთლიანად, მოსახლეობასთან ერთად განადგურდება და ეს მოხდება მესამე მსოფლიო ომის შედეგად.

ქვეყნები რომლებმაც პრინცი გოგისა და მისი ქვეყნის მაგოგლენდის მხარეს იბრძოლებენ დაკარგავენ თავიანთი მოსახლეობის 5/6 ნაწილს. ასეთი დიდი დანაკარგები ნიშნავს

მხოლოდ ერთს. თავდამსხმელი ერები დაკარგავენ არა მარტო თავიანთ სამხედრო შენაერთებს, არამედ მოსახლეობის დიდ ნაწილსაც.

მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობა კი დაკარგავს დაახლოებით თავიანთი მოსახლეობის ერთ მესამედს.

დასავლეთ ცივილიზაციისა და ისრაელის გამარჯვება ჩრდილოეთელი აგრესორის წინააღმდეგ ლოგიკურია. „ჩრდილოეთელები“ თავიანთი მოწოდებით გამანადგურებლები, პროფესიონალი მძარცველები და წამგლეჯები არიან. ამის შესახებ მიუთითებს შება, დედანისა და ტარშიშის ვაჭრების პასუხი გოგ-მაგოგის კოალიციის მიწვევაზე, რათა შეუერთდნენ და მონაწილეობა მიიღონ ისრაელისა და „ისრაელის სახლის“ წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო-მძარცველურ ექსპედიციაში. „შება, დედანისა და ტარშიშის ვაჭრებმა (ზოგიერთი არაბული ქვეყნის, ინდოეთის, კორეისა და იაპონელი ვაჭრები) უარი თქვეს მძარცველურ ექსპედიციაში მონაწილეობაზე. (ეზეკიელი 38:13)

მაშასადამე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის (ეგვიპტე, სირია და ლიბია) კოალიციები არის დამანგრეველი ერების კოალიცია.

საპირისპირო ხასიათისაა დასავლეთის ცივილიზაციის ანუ ისრაელისა და „ისრაელის სახლის“ კოალიცია. ისინი შემოქმედებითი ერების დაჯგუფება არიან და უფლის სიმპატია მათს მხარეს არის.

ამავე დროს ჩვენ ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. რადგან როდესაც ვამბობთ, თუ ვის მხარეს არის უფლის სიმპატიები, ეს გამოთქმა პირობითია, იგი მხოლოდ ჩვენი პოზიციის დაფიქსირებაა. ჩვენ ვამბობთ იმას, რისი თქმაც გვსურს და ზუსტად არ ვიცით თუ რა სურს უფალს, როგორი გეგმები აქვს მას. ჩვენ ვიცით მხოლოდ მისი გეგმების კონტურები, რომელიც მან თავისი წინასწარმეტყველების საშუალებებით გააჟღერა ჩვენთვის.

პლანეტა დედამიწის სიმდიდრე ეკუთვნის ღმერთს, თუ რომელიმე ერი დედამიწის რომელიმე სპეციალურ ტერიტორიისა და სიმდიდრის მფლობელია, ეს ხდება უფლის დასტურით. ამ ერის ვალდებულებაა ღმერთის მიერ მიცემული სასარგებლო წიაღისეული და მინერალური რესურსები თავისი ტერიტორიებით შეინახოს, მოუაროს და პატიოსნად გაუნაწილოს მსოფლიოს დანარჩენ ერებს. სწორედ ამ

ამოცანის შესასრულებლად დაინიშნა ეს ერი და მიენიჭა მას „მოთვალთვალე ერის“ სტატუსი.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, რომელიც ნაცნობი მხოლოდ უფლისათვის არის, ჩვენმა დიდმა და მოსიყვარულე მამამ, პრინცი გოგი-პუტინი და მისი წინაპრები, თავიანთ მოქალაქეებთან ერთად დანიშნა მაგოგლენდის ტერიტორიაზე განლაგებული უამრავი სიმდიდრის მეთვალყურედ. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა ვერ გაართეს თავი ამ ამოცანის შესრულებას. „მეთვალყურე, მოთვალთვალე“ ერის სტატუსი ვერ მიიღო ვერც ყივჩაღებმა და ვერც ხაზარებმა, ვერც ჰუნებმა და ბულგარელებმა. გარკვეული დროით ეს სტატუსი მიიღეს მონღოლებმა და შემდეგ კი იგი მემკვიდრეობით გადაეცათ მაგოგლენდელებს. მიუხედავად იმისა, რომ გოგი და მისი წინაპრები სისტემატიურად ძარცვავდნენ თავიანთ მეზობლებს უფალი მაინც აგრძელებდა მათდამი მხარდაჭერას, მაგრამ ვითარება შეიცვალა შემდეგი გარემოების გამო. გოგმა დაიწყო იმ ენერგორესურსებით შანტაჟი, რომელიც უფლის გადაწყვეტილებით მის კონტროლში იყო. გოგმა საფუძველი ჩაუყარა ენერგოტერორიზმის ხელოვნებას, რაც უფლის გეგმაში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ უფალმა შეწყვიტა გოგისა და მაგოგლენდის მხარდაჭერა, რადგან ყველაფერს აქვს თავისი დრო და საზღვარი.

თუ რომელიმე ერი არ შეასრულებს „მეთვალყურის“ უფლებამოვალეობას, ასეთი „მეთვალყურე“ ერს უფალი გვერდზე გადადებს. უფრო მძიმე სასჯელი ელოდება იმ „მეთვალყურე ერს“, რომელიც ისე გადეგრადირდება, რომ უფლის მიერ დროებით მფლობელობაში გადაცემულ ენერგორესურსებზე „ჯდომას“ დაიწყებს და არც თავისთვის გამოიყენებს და არც სხვისთვის.

ყოველი ერი რომელიც უყურებს და იცავს პლანეტის სიმდიდრეს არიან განსაკუთრებული, სპეციალური ერები, მაგრამ არიან მათზე უფრო მაღლა მდგომი ერებიც. „მეთვალყურე ერები“ ათეულობით არიან. „ზემეთვალყურე ერები“ კი ერთი ან ორი. მათი მოვალეობა „მეთვალყურე ერების“ კონტროლია.

ბევრ „მეთვალყურე ერს“ არ მოსწონდა „ზემეთვალყურე ერის“ მოღვაწეობა, მათთვის ის მტერია. საუკუნეების გან-

მავლობაში ბევრმა „მეთვალყურემ“ თავისი ტერიტორიიდან განდევნა „ზემეთვალყურე ერი“, მაგრამ ამაოდ. „ზემეთვალ-ყურე ერი“ ყოველთვის ბრუნდება და მონდომებით აგრძელებს თავის საქმიანობას. ისინი ასრულებენ უფლის დავალებას და გეგმას. ისინი როგორც ღვთის რჩეული ხალხი დიდ გა-საჭირს და გამოცდას გამოივლიან და დარჩებიან უფლის ერთგულ მსახურებად. მათი მოვალეობაა უხელმძღვანელონ „მეთვალყურე ერების“ საქმიანობას და დროგამოშვებით უფალს მოახსენონ თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის ერთგული „მეთვალყურე ერი“ უფლის დავალებას.

არ არის მსოფლიოში ერი, რომელმაც დაღვარა ისეთი რაოდენობის სისხლი, რათა შეესრულებინა უფლის დავალება, „ზემეთვალყურის“ სტატუსში როგორიც არის ებრაელი ერი. ეს მათ მონახეს ჩვენი საყვარელი უფალი და დამხმარე ანგელოზები. ეს მათ მონახეს სატანა და ანტიქრისტე და ბო-ლოს მათ ნახეს სხვა მესიებთან ერთად იესო მესია (ქრისტე) თუმცა, დღემდე აზუსტებენ მის ნამდვილობას. ისინი იესოს შესახებ ასე ვთქვათ „ყურადღებით მომლოდინე“ და „აქტიური მეთვალყურეობის“ რეჟიმში არიან.

პრინცმა გოგმა და მისმა ქვეყანა მაგოგლენდმა არ გაამარ-თლეს „მეთვალყურე ერის“ სტატუსი. მათ უფლის ნება არ გაითვალისწინეს და თავიანთი საზოგადოებიდან ამოძირკვეს ებრაელი ხალხი, რომლებსაც „ზემეთვალყურის სტატუსი“ ჰქონდათ და აქვთ. მათ დაარღვიეს უფლის მიერ დაწესებული წესრიგი და სუბორდინაცია, და ეს გააკეთეს ყველაზე უხეში ფორმით. მაგოგლენდს მიბაძეს მისმა მოკავშირეებმა და მიმყ-ოლმა ქვეყნებმა. ამის გამო მათ უფლის რისხვა დაიმსახურეს და სამუდამოდ დაინგრნენ. უფლის ეს აქტი „ჰალსტუკიანი კა-ცის“ ხელმძღვანელობით განხორციელდა.

მაშასადამე, „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ არის უფლის ნების შემსრულებელი მამაცი, ჭკვიანი, ზებუნე-ბრივი შესაძლებლობის მქონე ინდივიდუალი. შესაძლებელია იგი თავად ანტიქრისტეა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე მესამე მსოფლიო ომის დასაწყისში გამოჩნდა, რო-გორც გოგი-პუტინის პოლიტიკური საპირწონე და ფანტასტი-კური გამარჯვება მოიპოვა გოგი-მაგოგლენდის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კოალიციების წინააღმდეგ.

„რეფორმატორმა კავკასიიდან“ პოლიტიკური კარიერა კავკასიის პატარა რესპუბლიკაში დაიწყო, სადაც იგი პრეზიდენტი იყო. შემდეგ იგი ჯერ აღმოსავლეთ ევროპის, შემდეგ კი მთელი ევროპის ლიდერი გახდა. ბოლოს „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო მთავრობას ჩაუდგა სათავეში. ომის დასრულების შემდეგ მან მშვიდობისა და დემოკრატიის დიქტატურა დაამყარა მთელს მსოფლიოში.

მსოფლიოს მეორე ძლიერი აკუმულაციის წერტილია ჩინეთის კომუნისტური ციური იმპერია. ჩინეთის ლიდერი კონფუცივით ჭკვიანი, ჩინგის ხანივით მეომარი და, მაო ძედუნის წონის ორგანიზატორი ინდივიდუალია.

ჩინეთი რომ ზეძლიერ სახელმწიფოდ აღზევდა მეტწილად „ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ დამსახურებაა. საქმე იმაშია, რომ „რეფორმატორი“ როგორც გაეროს გენერალური მდივანი დაეთანხმა გაეროს გენერალური ასამბლეის წინადადებას ჩინეთის ციური იმპერიისთვის გადაეცათ ადრე რუსეთის (მაგოგლენდის) კუთვნილი აღმოსავლეთ ციმბირი, „ლენა ლენდის“ ტერიტორია და შორეული აღმოსავლეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი.

ამრიგად, გაეროს ახალმა გენერალურმა მდივანმა, იგივე „ჰალსტუკიანმა რეფორმატორმა კავკასიიდან“ საერთო ენა გამონახა მეორე ზეძლიერ ერთან.

მალე მთელმა მსოფლიომ დაიწყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ციმბირის, „ლენა ლენდისა“ და შორეული აღმოსავლეთის ტოტალური მშენებლობა. მთელი რაიონები სწრაფად მზარდი ქალაქებითა და კომუნიკაციებით დაიფარა. ჩინეთისა და შეერთებული შტატების სამშენებლო კომპანიებმა ერთ წელიწადში დასავლეთ ციმბირის ველზე, ბაიკალის ტბის ჩრდილოეთში და ბირობიჯანში, სამი მეგა ქალაქი ააშენა. თვითოეული ამ ქალაქში ნახევარი მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, სადაც დედამიწის ახალი გაერთიანებული ერი დაიწყებს ჩამოყალიბებას. ეს რაიონები იქცევიან პლანეტის მთავარ ეკონომიკურ ცენტრებად და ცხოვრება დედამიწაზე საგრძნობლად გაიოლდება.

ყველა სამხედრო კრიმინალი ე. წ. ნიუნბერგის მეორე პროცესზე გასამართლდება და მათი დიდი რაოდენობა უტილიზირებული იქნება. ზოგს სასჯელის იოლი ფორმა მეხსიერების

დაკარგვა მიესაჯება და ისინი დედამიწის გამწმენდ სამუშაოებზე იქნებიან გამოყენებულები.

ჩინეთის ხელისუფლება გამოაცხადებს, რომ მისი მიზანია ააშენოს ე. წ. „ჩინური ოცნების“ ქვეყანა, რომელიც პლანეტის პროგრესული მოსახლეობისათვის მისაბაძი მაგალითი იქნება. „ჩინური ოცნება“ ე. წ. „ამერიკული ოცნების“ დარი მისწრაფება იქნება, მხოლოდ ერთი განსხვავებით. თუ „ამერიკული ოცნება“ უფრო ინდივიდუალურია, რომ ერთ ადამიანს ძალუძს შეუძლებელი შესძლოს და სუპერმენად იქცეს, „ჩინურ ოცნებაში“ მეტი ეროვნულ-პოლიტიკური კოლექტიურ-ჯოგური იდეაა ჩადებული. ფაქტიურად ეს არის ჩინური სპეციფიკის სოციალიზმის გზა, როგორც სამართლიანი საზოგადოების განხორციელება.

პლანეტა დედამიწის ფაქტიური ლიდერი „ჰალსტუკიანი რეფორმატორი კავკასიიდან“ ჩინეთის ყველა მისწრაფებას მიესალმება, მხარს უჭერს და ცდილობს რომ ეს გიგანტური ქვეყანა სწორი მიმართულებით მოძრაობდეს. მისი გათვლებით დასავლეთის ცივილიზაციისა და ჩინეთის კავშირი იქნება ის საშვი, რაც კაცობრიობას საშუალებას მისცემს შევიდეს და იცხოვროს ახალ თემური წყობილების სამეფოში. ერების ეს ახალი კავშირი იცხოვრებს რეალურ, ფიზიკურ სამეფოში, ბიბლიაში ნახსენები უფლის ილუზიური ზეციური სამეფოს მაგივრად.

„ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ ლოიალური ურთიერთობა ჩინეთთან ეწინააღმდეგება დანიელის წინასწარმეტყველებას. იგი აგრეთვე ეწინააღმდეგება იოანეს „გამოცხადებას“, სადაც ჩინეთი ისტორიის გადამწყვეტ მომენტში ისრაელისა და დასავლეთის ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართული მთავარი აგრესორი უნდა იყოს.

ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველება არის ადრე დაწერილი ისტორია, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს. მისი ავტორი უფალია. ბევრმა ბიბლიურმა წინასწარმეტყველებამ ტესტი გაიარა და სიმართლედ იქცა. ჩვენ ძალიან ბევრი ფაქტი გვაქვს ამის შესახებ.

უფლის გეგმა კაცობრიობის მიმართ ჩამოყალიბებულია ბევრ წინასწარმეტყველებაში, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავად იგი დანიელის ნაშრომებში არის წარმოდგენილი. დანიელის წინასწარმეტყველებები მსოფლიოს ყველაზე გრძელი წინასწარმეტყველებებია. იგი თითქმის 26 საუკუნეა გრძელ-

დება და მწყობრად არის ჩამოყალიბებული „დანიელის წიგნის“ მე-7 და სხვა თვეებში.

უფლის გეგმით პლანეტა დედამიწის ადგილი უნდა დაეთმოს ახალ სამყაროს, სადაც მხოლოდ მისი ღირსეული მიმდევრები იცხოვრებენ: „ადგილის დათმობა“ სხვა არა არის თუ არა „დანგრევა“, „კატასტროფა“.

მსოფლიოს ახალმა, ძლევამოსილმა ლიდერმა იცის უფლის ამ გეგმის შესახებ, მაგრამ სჯერა, რომ შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული მსოფლიო კატასტროფა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა და ცდილობს, რათა თავიდან იქნეს ტრაგედია აცილებული; იგი პოლიტიკური პროცესების კოორდინაციას ახდენს, აღწევს წარმატებებს ჩინეთთან და მის მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთობებში.

„რეფორმატორის“ შესანიშნავი ხელმძღვანელობისა და საჭიროების შემთხვევაში დიდებული პოლიტიკური მანევრების მიუხედავად სოციალური ვითარება მსოფლიოში სულ უფრო და უფრო უარესდება და ბოლოს აღწევს უარეს დონეს. გამართლდა გამოცხადებაში ნაწინასწარმეტყველი ციდან გამოგზავნილი უბედურებებისა და ბოროტი მკვლელობის შესახებ.

იესო ქრისტე, როგორც მამაზეციერის ერთადერთი შვილი და მისი ნების უსიტყვო შემსრულებელი, უფლის სხვა შვიდ მაღალი რანგის ანგელოზებთან ერთად, ერთიმეორის მიყოლებით ამსხვრევენ უფლის მიერ დაბეჭდილ ბეჭდებს (ზოგი ექსპერტის აზრით, ეს არის დანიელის მრავალი საუკუნის წინ „დაბეჭდილი“ წიგნი – წინასწარმეტყველების „გახსნა“) რომლებიც წარმოუდგენელი უბედურებებით არის აღსავსე. ანგელოზები და იესო დამანგრეველ საყვირებს აყვირებენ, დოქებიდან და თასებიდან დედამიწაზე ღვრიან საზიზღრობებს, ამტვრევენ ბეჭდებს. ეს პროცესი თანამიმდევრულად და დეტალურად არის აღწერილი იოანეს გამოცხადების მე-10 თავში.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოცხადებაში მოხსენიებული თეთრი, წითელი, რუხი და შავი ცხენების მახვილით შეიარაღებული ციური მხედარი არის ერთი და იგივე არსება, იესო ქრისტე და სხვა არავინ.

ამრიგად, გამოცხადების მიხედვით ბოლო დროების მთავარი მოქმედი პირები, რომლებიც დედამიწის წინააღმდეგ გამოდიან, არიან იესო ქრისტე და მისი მხლებელი შვიდი ანგელოზი

(ზოგიერთი ვერსიით თორმეტი), რომლებიც იბრძვიან დედამიწაზე არსებული სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ და დედამიწას გამუდმებით ბომბავენ ენით აუწერელი საზიზღრობებით.

დედამიწა კიდევ ერთხელ აივსება მიცვალებულთა გვამებით. ბევრის და გასაოცრად „დიდი უბედურების“ პერიოდში სიკვდილიანობის კოეფიციენტი ებრაელებს შორის სხვა ერებთან შედარებით ყველაზე დაბალი, ხოლო დაბადების კოეფიციენტი კი ყველაზე მაღალი იყო. საქმე იმაშია, რომ ისრაელს იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ექნება. მსოფლიოს ყოველი მეორე ექიმი ებრაული წარმოშობის იქნება და ამ საქმეში „ჰალსტუკიანი კაცის“ დამსახურება უდაოა. იგი და მისი ბრილიანტი მეუღლე სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ებრაელ ექიმებსა და სტუდენტებს.

ევროპის კონფედერაცია, ისრაელთან და შეერთებულ შტატებთან ერთად მრავალი ჭირისა და უბედურებებისაგან მონდომებით წმენდენ პლანეტას.

მაინც რა მიზეზი იყო, რომ ზეციდან ამდენი უბედურებები წამოვიდა?

ბევრი ევანგელისტი ფიქრობდა, ამის შესახებ და ცდილობდა ხალხისთვის გაეზიარებინათ თავიანთი ცოდნა. მაგალითად, პასტორი დევიდ ჯერემიანის აზრით ამის მიზეზია დედამიწაზე მომხდარი პოლიტიკური ცვლილება, რომ აქ ძალაუფლება ხელში აიღო ე. წ. „სატანას მაფიამ“, ხალხი მას გაყვა და აღარ ემორჩილება უფლის ნებას. ამიტომ უფალმა გადაწყვიტა მისი საყვარელი შვილი იესო ქრისტე გამოაგზავნოს და სამუდამო წესრიგი დაამყაროს დედამიწაზე. მისი მოწინააღმდეგეები კი დასაჯოს და ღვთიურ სასამართლოზე განსაჯოს. ბატონი ჯერემიანისა და სხვა უამრავი ბიბლიის ექსპერტის აზრით, უფლის მიერ მოწონებულ ციურ სტრუქტურას „უფალი – შვილი – სულიწმინდა“ დაუპირისპირდა ბოროტი სტრუქტურა:

„სატანა – ანტიქრისტე – ყალბი წინასწარმეტყველი“.

ბრძოლა ამ ორ სტრუქტურას შორის ძალიან გამძაფრდება მე-3 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. იგი გამოიხატება უძლიერეს ჭექა-ქუხილებში, ელვებში, საშინელ მიწისძვრებში, სეტყვებში. ზოგიერთი სეტყვის მარცვლის წონა 100 ფუნტს

მიაღწევს. სწორედ სეტყვის მარცვლის წონა არის კრიტერიუმი და ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, რომ იესო ქრისტე დედამიწაზე შემოსაჭრელად ემზადება. ხალხი დასტა-დასტა იხოცება. როგორც „გამოცხადება“ აღნიშნავს ზოგან დაღვრილი სისხლის დონე ცხენის უზანგებამდე მიაღწევს. ამის გამო პლანეტის გამწმენდ ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩინეთიც იგივეს აკეთებს. ამ ქვეყანას მსოფლიოში მოსახლეობის სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი და დაბადების ყველაზე დაბალი პროცენტი აქვს. ვითარება თანდათან უმართავი ხდება. დასაწყისში და ცოტა ხნის შემდეგაც მარცხი რომელიც ზეციდან მოვლენილი ჭირისგან ხდებოდა და მის წინააღმდეგ მიმართული მაშველი სამუშაოების ეფექტურობა ერთმანეთს აბალანსებდა და ავსებდა, შემდეგ კი ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. ნაბიჯ-ნაბიჯ უბედურებების რაოდენობამ იმატა და გადააჭარბა მაშველი სამუშაოების ეფექტურობას. ამ გარემოებამ დეზორგანიზაცია და სასოწარკვეთილობის განცდაც კი შეიტანა მრავალმილიონიანი მაშველი რაზმების საქმიანობაში, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ ციდან მოვლენილ ჭირს.

საუბედუროდ უფლის გეგმა კაცობრიობისა და დედამიწის მიმართ არ იყო ყველასთვის იოლი გასაგები. დედამიწის მრავალი მოსახლე კარგად ვერ ხვდებოდა, თუ რატომ აგზავნიდა უფალი ამდენ უბედურებებს ზეციდან. ძალიან ბევრი გახარებულებიც კი იყვნენ ამ ამბის გამო. მათ სიამოვნებას გვრიდა ყოველი ახალი ტრაგედიის გაგება და აღტაცებულები გაჰყვიროდნენ კიდეც:

„მოდის ჩვენი საყვარელი იესო! სიყვარულის ღმერთი მოდის... შიში არა... გიხაროდენ!“

მაგრამ ადამიანების უმეტესობა გატანჯულია. ისინი მოწყალედ შესთხოვენ უფალს, რათა მან ხელის ერთი მოსმით დაამთავროს ყველაფერი, რათა თავიდან აიცილონ ე. წ. „ზნედაცემული სენი“, რომელსაც დიდი ღმერთი შეპირდა ადამიანებს!“

„უფალი დამართებს შენს მუხლებსა და ფეხებს საშინელ ტკივილებს, რომლებსაც ვერავინ განკურნავს“ (მეორე სჯული 28:27,55).

„ზნედაცემული სენი“ იქნება ერთ-ერთი ფორმა უფლის სასჯელისა ურწმუნოების მიმართ. მართლაც დედამიწა აივსო ხალხით, რომლებსაც სიარული აღარ შეეძლებათ და მხო-

ლოდ დაფორთხავენ. მათი მდგომარეობა სავალალოა, რადგან ბუნებრივ საჭიროებასაც კი ფორთხვის დროს ასრულებენ.

დედამიწაზე ძნელად შესაცნობი სიტუაცია შეიქმნა. ჩინეთის ლიდერი და ანტიქრისტე, იგივე „ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“ დედამიწაზე ჩატარებული წმენდის არასწორი ოპერაციებისთვის ერთმანეთს ჰკიცხავენ.

„ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“ დაბეჯითებით მოითხოვს მსოფლიოს მთავრობისაგან, რომლის უფროსიც თვითონ არის, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ერთიანი საკომანდო ცენტრის შესახებ, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ციდან მომავალ მუდმივ უბედურებებს და კატასტროფებს. საკომანდო ცენტრის უფროსი კი გაეროს გენერალურმა მდივანმა უნდა დანიშნოს.

ჩინეთის ლიდერი არ დაემორჩილა მსოფლიო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელიც საგრძნობლად ამცირებდა მის სუვერენიტეტს. ჩინეთის ლიდერისათვის მიუღებელი იყო ორი მილიონი ჩინური ეროვნების მაშველ ჯარისკაცებზე კონტროლის დაკარგვა და მათი გაეროს ხელში გადაცემა.

ზეციდან კი გრძელდებოდა მანამდე არნახული უბედურებებითა და ჭირით დედამიწის დაბომბვა პლანეტაზე მიმდინარე ნეგატიური კატასტროფული შედეგები სწრაფად გაიზარდა და პანდემიად იქცა. განსაკუთრებით ეს აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ რაიონზე ითქმის.

ვითარება დაბალ განედებზე უნდა უარესია, ვიდრე მაღალ განედებზე. ეკვატორის ორივე მხარე, ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებს შორის დაახლოებით ნახევარი დაფარული იყო მილიონობით დაღუპული ადამიანების გვამებით.

რჩეულ სანიტარულ შენაერთებს უბრალოდ დრო არ ჰქონდათ დაემარხათ ან უტილიზაცია გაეკეთებინათ ან ქლორინით დაეშალათ გარდაცვლილი ადამიანები. კრემაციული სადგურები დღე და ღამე ბოლავდნენ, მაგრამ დედამიწა კვლავ სავსე იყო მიცვალებულებით. ინტენსიურმა სიცხემ თავზარი დასცა მოსახლეობას. სანიტარული ჯგუფები ქაოსმა მოიცვა.

ხალხი შედარებით უკეთ გრძნობდა თავს და დაცულები იყვნენ მაღალ განედებზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსების რაიონებში. იქ მეჩხერი რაოდენობის ხალხი ცხოვრობდა. ამ რაიონებში ელიტარული კლასის

ადამიანები დაბინავდნენ. მათ თადარიგიანად ადრევე ააშენეს მიწისქვეშა ბუნკერ-სასტუმროები. ისინი ყველაფრით უზრუნველყოფილები იყვნენ. მათთან ერთად იყო დედამიწის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი საგანძური.

„ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“ მიწისქვეშეთის ხშირი სტუმარი იყო. იგი ყველაფერს ასწრებდა.

ძალიან ღრმად ანტარქტიკის ყინულების ქვეშ მოწყობილ საიდუმლო სუპერ ენერგიული რესურსების სადგურში მოთავსებული იყო ე.წ. „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“ (უფო)-ს საფრენი აპარატები. არავინ იცოდა ვინ იყო მათი ბოსი და რა როლს ასრულებდნენ ისინი „უკანასკნელი დროების“ კატასტროფებში. უფო ანუ „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“ პერიოდულად დაფრინავდა პლანეტის გარშემო და ზომავდა განადგურების დონეს. მათ განსაკუთრებით ხშირად ნახულობდნენ ტიბეტის, ჰიმალაის, კავკასიის, ჰინდი კუშის, ალპების, ანდების, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსების რაიონებში.

სხვადასხვა ანგელოზური წყაროები იუწყებოდნენ, რომ იესო ქრისტე სერიოზულ სამზადისში იყო დედამიწაზე საბოლოო შემოჭრისათვის. წინასწარმეტყველების მიხედვით საბოლოო ბრძოლები უნდა მოხდეს ისრაელში, ქალაქ არმაგედონის ისტორიულ ველზე.

თავის საბოლოო, შესაძლებელია მე-14 ჩამოსვლას დედამიწაზე იესო განახორციელებს იერუსალიმის ზეითუნის ხეების მთაზე, საიდანაც ერთხელ ზეცაში ამაღლდა. იესოს ჩამოსვლა არ იქნება მისი რეგულარული ჩამოსვლა, არამედ ეს იქნება „დიდებული წარმოჩინება“, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა“. იესო ქრისტეს დედამიწაზე სავარაუდო ვიზიტების რაოდენობა და ვიზიტის მიზნები გაანალიზებულია ალფრედ ნავიგატორის წიგნში „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“.

ასეთი მნიშვნელოვანი ოპერაციისათვის რომელიც წერტილს უსვამს კაცობრიობის ისტორიას საჭიროა რაღაც გამამართლებელი, რაციონალური მოტივი. ამავე დროს საჭიროა რომ წინასწარმეტყველებებში გამოცხადებული მოვლენების თანამიმდევრობა დაცული იყოს.

როგორც ადრე ავღნიშნეთ ანტიქრისტეს, რომელიც ლუციფე-

რის შვილია, როლს „უკანასკნელი დროების“ დროს ასრულებს „ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“. წინასწარმეტყველების მიხედვით ანტიქრისტემ იესოს „დიდებული წარმოჩინების“ წინ იერუსალიმში უნდა ააშენოს სოლომონის ტაძარი, დაამყაროს გლობალური მშვიდობა დედამიწაზე, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში, იყოს განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობაში ისრაელთან და ბევრ შემთხვევაში იყოს მისი უსაფრთხოების გარანტი.

ამის შემდეგ მხოლოდ უფლისათვის გასაგები მიზეზით „რეფორმატორი“, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“, გაეროს გენერალური მდივანი, მსოფლიო მთავრობის უფროსი, ანტიქრისტე, „უბედურებების პერიოდის“ შუა პერიოდში, განსაკუთრებით მისი განთქმული გამარჯვებების შემდეგ მე-3 მსოფლიო ომში, შეიცვლის თავის მოსაზრებებს ისრაელის მისამართით. იგი როგორც წინასწარმეტყველებებშია აღნიშნული დაიწყებს სოლომონის ტაძრის წაბილწვას, რომელიც მისი ბრძანებით იქნება აშენებული. იგი ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილას, „წმინდათაწმინდა“ საკურთხეველზე შეიყვანს მსოფლიოს უდიდეს ღორს, რომელიც იწონის სულ ცოტა სამ ტონას. ეს აქცია აღაშფოთებს ებრაელებს და სხვა ერებს. ამის შემდეგ ლუციფერის შვილი ანტიქრისტე, როგორც ახალ აღქმაშია მითითებული (2 თესალონიკელებს 2:4) თავის თავს ღმერთად გამოაცხადებს. იგი თავის თავს უფრო მაღლა მდგომად გამოაცხადებს, ვიდრე მამა ანუ იეჰოვა ღმერთი და თავის ქანდაკებას დადგამს იერუსალიმში.

ანტიქრისტეს ანუ „ჰალსტუკიანი კავკასიელი კაცის“ ქანდაკებებს ლაპარაკის, მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი ექნება. ეს გარემოება ჩაითვლება ბოროტი ძალების მიერ განხორციელებულ საოცრებად და ერთ-ერთ ნიშნად და მიზეზად, რომ იესო მესია დედამიწაზე ჩამოვიდეს და წესრიგი დაამყაროს, ანუ მოაწყოს ერების სამსჯავრო, დედამიწა გაანადგუროს, სატანა და მისი დამქაშები დააპატიმროს და „ახალი იერუსალიმი“ შექმნას. ამ ამბების შემდეგ ე. წ. „დიდი უბედურებების“ პერიოდი გადამწვერ ფაზაში შევა.

იესოს გლობალური გეგმაა გაანადგუროს და დაშალოს როგორც თავად უწოდებს „სატანას ქვეყნიერება“ და დაიც-

ვას ისრაელი და მისი ინტერესები, დაიჭიროს მისი მხარე და დაეხმაროს მას არმაგედონის ომის დროს, გაანადგუროს მისი მოწინააღმდეგეები.

არმაგედონის საბოლოო ომის მონაწილე მხარეები იქნებიან ორი სამხედრო ბლოკი: ისრაელი და „ისრაელის სახლის“ წარმომადგენლები და ჩინეთი.

წინასწარმეტყველებების მიხედვით ჩინეთის ციური იმპერია თავის 200 მილიონიანი არმიის ტრანსპორტირებას მდინარების ევფრატისა და ტიმროსის გავლით ისრაელში მდებარე მაგიდის ველზე (არმაგედონი) მოახდენს. ნოსტრადამუსის მიხედვით ჩინეთი თავისი არმიის ერთ ნაწილს კავკასიონის გავლით გაგზავნის ისრაელში.

ამრიგად, „დიდი უბედურებების“ პერიოდში ყველა მოვლენა-არმაგედონის ომის გარშემო ფოკუსირდება, რომლის ყველაზე მთავარი გარემოება იესოს ჩარევაა ისრაელის სასარგებლოდ, ანტიქრისტეს ანუ გაეროს გენერალური მდივნის, იგივე „ჰალსტუკიანი კაცის კავკასიიდან“ წინააღმდეგ.

დედამიწაზე დაბადებულმა, ჰუმანური საზოგადოების წევრმა ერთ-ერთმა ყველაზე უფრო ერუდირებულმა, მოტივირებულმა, ყოვლადძლიერმა და ყველაფრის მცოდნე, ბრძენმა ანტიქრისტემ ძალიან კარგად იცის ბიბლია და მისი წინასწარმეტყველებები, მისი მოსალოდნელი შედეგები. იგი ფლობს ყველა საიდუმლო ინფორმაციას და იცის რომ როგორც კი იგი დაარღვევს ისრაელთან დადებულ შეთანხმებას, მისი უსაფრთხოების შესახებ და დაიწყებს იერუსალიმში ან თბილისის მთაწმინდის პლატოზე მდებარე სოლომონ დიდის ტაძრის წაბილწვას, იესო ქრისტეს სამართლიან საბაბს მისცემს, მაშინვე შეუტიოს მას და დაიცვას ისრაელი. ღვთის რჯულში ფრიად გასაგებად წერია, რომ უფალმა აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი რჩეული და ნაკურთხი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აღიარეს იესო, როგორც თავიანთი მხსნელი და მაცხოვარი.

ეს გარემოება „რეფორმატორმა“ ძალიან კარგად იცოდა, ამავე დროს იგი ისედაც დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული გმირი და მშრომელი ებრაელი ხალხის მიმართ. მას ისედაც არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მტრულად შესულიყო იერუ-სალიმში, აეშენებინა იქ სოლომონის დიდი ტაძარი და შემდეგ კი წაებილწა.

„რატომ უნდა აღვადგინოთ ტაძარი და მერე წავბილწოთ იგი? არ არის ტაძარი, არ არის წაბილწვა და არ იქნება იესოს აგრესიის მიზეზი. არ იქნება საბაბი, რათა იგი „მეორედ“ მოვიდეს“, ფიქრობდა ანტიქრისტე და მისი შტაბის წევრები.

ამავე დროს ბიბლიაში ნაწინასწარმეტყველია ფაქტი რომ „იერუსალიმის დიდი ტაძარი უნდა აშენებულიყო“. სწორედ ეს იყო ნიშანი იესოს მეორედ მოსვლისა. ბიბლიური წინასწარმეტყველებები კი უნდა აუცილებლად შესრულდეს.

გამოსავალი უნდა ნახულიყო და მცირე ხნის შემდეგ ანტიქრისტე-რეფორმატორი კავკასიის შეერთებულ შტატების დედაქალაქში იგივე „კავკასიის გაერთიანებული ემირატები“ განახორციელებს უჩვეულო დიპლომატიურ ვიზიტს. ეს ქალაქი, თავისი მდებარეობის გამო დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს.

თუ იერუსალიმი ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტების სტრატეგიულ ცენტრში მდებარეობს, კავკასიის შეერთებული შტატების დედაქალაქი კი აზიისა და ევროპის გამყოფ ხაზზე „იჯდა“. ამის გამო იგი იერუსალიმის შემდეგ მეორე მნიშვნელობის ქალაქად შეიქმნა, სწორედ აქ იყო „რეფორმატორი“ თავისი კარიერის დასაწყისში პრეზიდენტი.

ვიზიტი ძალიან წარმატებული გამოდგა. „ჰალსტუკიანმა კავკასიელმა კაცმა“, კავკასიის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ხელისუფლებისაგან დასტური მიიღო და ფანტასტიკურად მოკლე დროში თბილისის მთაწმინდის პლატოზე სოლომონ დიდის ტაძრის ასლს ააშენებს. სოლომონ დიდის ტაძრის ასლის მშენებლობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდება, რომ როგორც ეს ჩვენს წიგნში არის აღნიშნული მისი მიბაძვით თბილისის „მთაწმინდის პლატოზე მსოფლიო ხალხების მრავალი სხვა მატერიალურ-კულტურული ძეგლების ასლები აშენდება, რაც ძალიან გაამდირდებს თბილისს. ამ მშენებლობებს განახორციელებს ერთ-ერთი ჩინური კომპანია, რომელიც უფრო ადრე ერთ მილიონიან საპორტო ქალაქ ლაზიკას ააშენებს.

ასე შესრულდება ბიბლიური წინასწარმეტყველება ტაძრის აშენების შესახებ, რომელიც ე. წ. „დიდი უბედურებების“ ანუ „უკანასკნელი დროების“ დროს უნდა მოხდეს. ამავე დროს ეს ფაქტი იესო ქრისტეს არ აძლევს პირდაპირ მოტივაციას დედამიწას შეუტიოს, რომელიც უნდა მოხდეს ტაძრის წაბილ-

წვის შემთხვევაში და ეს მხოლოდ იერუსალიმში უნდა მოხდეს. ახლა ტაძარი აღსდგა ისრაელის გარეთ და არ იქნა წაბილწული. პირიქით, იგი დიდი მზრუნველობის ქვეშ იქნება.

ამ დროს ქართველები, რომელთა დედაქალაქი ადრე თბილისი იყო, როგორც ერი თითქმის ამოწყდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ მესამე მსოფლიო ომის დროს ქართველებმა, როგორც მართლმადიდებელმა, ანუ ორთოდოქსმა, „პირდაპირმაფიქრებელმა“ ქრისტიანებმა მხარი დაუჭირეს „პირდაპირმაფიქრებელ“ მაგოგლენდერებს და მართლმადიდებელ, ორთოდოქს-პირდაპირმაფიქრებელ მუსლიმანებს. ამ გარემოების გამო, ქართველები როგორც გოგი-პუტინის კოალიციის წევრები, დასავლეთის ცივილიზაციის მიერ სასტიკად იქნენ დამარცხებულები. გადარჩა მხოლოდ მოსახლეობის კათოლიკურ-პროტესტანტული და ლოიალი ქართველი მუსლიმანები, რომლებიც ქართველ „მორმონებთან“ და „იეჰოვას მოწმეებთან“ ერთად ფანტასტიკურად მოკლე დროში აღადგენენ ქართველთა ომამდელ რაოდენობას და შემდეგ კი მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ მას.

ახლა ორთოდოქსი ქართველების მაგივრად ამ ტერიტორიაზე კომბინირებული ერი ჩამოყალიბდება. განსაკუთრებით ეს ჩეჩნებზე, ინგუშებზე, ყაბარდოელებზე და ავარელებზე ითქმის. ისინი ქართულად მოლაპარაკე სომხებთან ერთად გააგრძელებენ ქართველთა და კავკასიელთა კულტურულ ტრადიციებს. მათთან ერთად აქ ასევე იცხოვრებენ ებრაელები, თურქები და ირანელი ტომები. ისინი ფრიად ტოლერანტულ გარემოს შექმნიან და მსოფლიოს ერთიანი მთავრობისადმი და ერთი მსოფლიო რელიგიისადმი დიდ ერთგულებას გამოამჟღავნებენ.

„კავკასიელ ჰალსტუკიან რეფორმატორს“ ორი მამა ჰყავდა, ზეციური და მიწიერი. იგი იესოსგან განსხვავებით თავის მიწიერ მამას და ასევე დედას დიდ პატივს სცემდა, ითვალისწინებდა მათ შენიშვნებს და ემორჩილებოდა მათ. თავის ახალგაზრდულ წლებში „რეფორმატორს“ თავის ზეციურ მამასთან არ ჰქონდა კონტაქტი, მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ სისტემატურად იღებდა მისგან მხარდაჭერას.

ეს მოხდა სოხუმში, სადაც მაგოგლენდის აგენტებმა ადგილობრივი მოსახლეობისა და განსაკუთრებით კი ოც

წლამდე ასაკის ახალგაზრდების ხოცვა დაიწყეს. ათი წლის მომავალი „რეფორმატორი“ დედასთან ერთად მტარვალების ხელში მოხვდა და ყელის გამოჭრას ელოდებოდა. შეწუხებულმა დედამ თქვა:

„ახლა ნამდვილად დავიღუპეთ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ შენმა ზეციურმა მამამ უნდა გვიხსნას“.

„რეფორმატორის“ დედის იმედი გამართლდა. უცნობმა ხალხმა ისინი გადაარჩინა და კოდორის ხეობაში გაიყვანა.

ახლა, მიმდინარე კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც იგი ელოდებოდა ერთდროულ შემოტევას იესოსაგან და ჩინეთისაგან, მან გადაწყვიტა თავისი ზეციური მამისაგან, ლუციფერისაგან კონსულტაცია აეღო და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა ამ მიმართულებით.

ერთ მშვენიერ საღამოს იგი კავკასიის, ბეთლემის მღვიმის რაიონს ესტუმრა და თავის ზეციურ მამასთან, მის ყინულის სასახლეში რამდენიმე დღიანი საუბარი გამართა. ამ საუბრების შინაარსი უცნობია, მაგრამ ამის შემდეგ „ჰალსტუკიანი კაცი“ კიდევ უფრო ენერგიული გახდა და გააგრძელა ადრე დაწყებული თავდაცვითი სამუშაოები მოსალოდნელი საშიშრობების წინააღმდეგ.

რაც შეეხება ჩინეთს, ეს ქვეყანა იესო ქრისტეს ახლოს არ იცნობდა. ჩინეთი ასევე საქმის კურსში არ იყო თუ ვინ იყო ანტიქრისტე და რას ნიშნავდა ბიბლიურ მოძღვრებებში აღწერილი მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით 400 მილიონი ქრისტიანი, უფრო მეტი ვიდრე ყველაზე დიდ ქრისტიანულ ქვეყნებში, ჩინეთის მოსახლეობის სიდიდის გამო ქრისტიანების გავლენა ქვეყნის საზოგადოების ცხოვრებაზე თითქმის ნულის ტოლფასი იყო.

ჩინეთს არ ჰქონდა სულიერი კონტაქტი იესო ქრისტესთან. ამ ქვეყანას ჰქონდა ცხოვრების საკუთარი სტილი, ყავდა უამრავი ბრძენი მასწავლებელი. მისი სახელმწიფოს სიმბოლო ოქროს დრაკონი იყო, როგორც მოძრაობისა და პროგრესის სიმბოლო. ამის გამო იესოს არ ჰქონდა შესაბამისი ადგილი მათ შორის.

სულ მალე სიტუაცია დრამატულად შეიცვალა. მემატიანეების ცნობები ჩინეთის ლიდერის სხეულში ათილას, თემურ ლენგის,

ჩინგის ხანის, მაო ძე დუნისა და წინასწარმეტყველ დანიელის სულები შევიდნენ. თუ რატომ მოხდა ეს მხოლოდ უფალმა უწყის. ამის შემდეგ ჩინეთის ლიდერი ფრიად ეგოცენტრული და მეტად თავდაჯერებული შეიქმნა. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩინეთის ლიდერმა ისრაელში მდებარე მაგოგის ველის რაიონში ორი მილიონი ჩინელი ჯარისკაცის გადასროლა დაიწყო.

ჩინეთმა სახელმწიფოებრივ დონეზე არ განმარტა თუ რატომ დაიწყო მან ამის გაკეთება. არავინ იცოდა ამას ჩინეთი ისრაელისა და მისი მეგობარი ქვეყნების დასაცავად აკეთებდა თუ მათს საწინააღმდეგოდ.

წინასწარმეტყველებებით „გამოცხადების“ მიხედვით, ჩინეთი ისრაელში 200 მილიონ ჯარისკაცს გადაისვრის, მაგრამ რეალობაში აღმოჩნდება, რომ ამ ოპერაციისათვის 200 ათასი ჯარისკაციც კი სრულიად საკმარისია.

ჩინეთი და ისრაელი მსოფლიო ისტორიის განსაკუთრებული ფენომენები, მისი საოცრებები არიან. შეიძლება სიმბოლურიც იყოს, რომ ფინალურ, არმაგედონის ბრძოლაში ერთმანეთს ღვთის რჩეული ხალხი ებრაელები და არანაკლებ რჩეული, მაგრამ ღვთისაგან არ ნაკურთხი ჩინელები შეხვდებიან ერთმანეთს.

ეს ორი ქვეყანა გახდება ამ პერიოდის მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნომერ პირველი საგანი. ყველა ჩინეთზე და ისრაელზე საუბრობს და იმ უბედურებებზე რაც დედამიწას ზეციდან ატყდება თავს. მართლაც ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს ჩვენი პლანეტის ბედს. მაგრამ ბნრძოლა არც ერთ მხარეს არ უნდა. უკვე ხანდაზმული, მაგრამ როგორც ყოველთვის მხნე ჯეკ ვან იმპე ერთ-ერთ თავის ტელემიმართვაში განაცხადებს:

„დიახ! არმაგედონის ბრძოლა იწყება! მხარეები ბრძოლის ველზე გროვდებიან, მაგრამ მათ ბრძოლა არ სურთ. ისინი ინსტინქტურად მიდიან წინ, თან უკან იყურებიან. მეჩვენება, რომ თითქოს ციდან წამოსული უბედურებები ურევს მათ გონებას“.

ისრაელისა და „ისრაელის სახლის“ ლიდერი, იგივე „ჰალსტუკიანი კაცი კავკასიიდან“ და გაეროს გენერალური მდივანი უკვე კარგა ხანია იერუსალიმში მდებარე გაეროს შტაბ-

ბინაში იმყოფება და შეშფოთებით უყურებს ჩინური ძალების თავშეყრას არმაგედონის ველის მიდამოებში. იგი ჯერჯერობით თავდაცვისათვის არ ემზადება, ცდილობს ბრძოლის თავიდან აცილებას, რადგან იცის რომ ჩინეთის შემოჭრა არმაგედონის ველზე გამოიწვევს „იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას“ და ყველაფერი დასრულდება.

ჩინეთმა ბრძოლა იცის, მაგრამ ასევე ცდილობს თავიდან აიცილოს იგი. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ინსტინქტურად თითქმის ციდან წამოსულ ბრძანებას ასრულებსო.

ჩინეთი ყოველთვის მიყვება დევიზს:

„ყოველი ბრძოლა მოიგება ან წაიგება ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყების წინ“.

მართლაც რა საჭიროა ომი, ნანგრევები, სისხლისღვრა არმაგედონის ველზე თუ იგივე ეფექტი მიიღწევა ომის გარეშე? რატომ უნდა ვიბრძოლოთ ისრაელისა და „ისრაელის სახლის“ წინააღმდეგ თუკი გეოპოლიტიკური ამოცანა ბრძოლების გარეშე შესრულდება? რატომ ვიბრძოლო მათ წინააღმდეგ თუკი მათ ტერიტორიას უბრძოლველად ავიღებ? ჩემი საბოლოო მიზნის ანუ დედა მიწაზე გასაბატონებლად ხომ საკმარისია მხოლოდ ინგლისური ენის ზოგადად ცოდნა, მუდმივი ეკონომიკური ზრდა და კულტურული ექსპანსია.

მართლაც ძალიან სწრაფად, დაახლოებით 2050-2066 წლების მონაკვეთში, ე. ი. დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც ზემოთ აღწერილი ამბები ხდება ჩინეთი ტერიტორიით, ეკონომიკითა და მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა გახდება და ყველაფერი ეს კულტურულ რბილ ექსპანსიასთან ერთად ფაქტიურად ბრძოლების გარეშე მოხდება.

ბიბლიური წინასწარმეტყველებებით არმაგედონის ბრძოლაში გამარჯვება ისრაელისა და ე. წ. „ისრაელის სახლის“ მხარეს იქნება, მაგრამ გამარჯვებულები ვერ დატკბებიან გამარჯვების ნაყოფით. მთელი პლანეტა განადგურდება იესო ქრისტეს „მეორედ მოსვლის დროს“, როგორც გამარჯვებულები, ისე დამარცხებულები, ე. ი. როგორც ისრაელი, ისე ჩინეთი.

ამ გარემოებების გამო არმაგედონის ომი აბსოლუტურად არ შედიოდა და არ შედის ჩინეთის ინტერესებში. ამიტომ ჩინეთის მიერ არმაგედონის ველზე ჯარების მობილიზაცია აუხსნელი მოვლენა იყო „ჰალსტუკიანი კაცისთვის“ ანუ ანტიქრის-

ტესათვის. ამავე დროს ჩინეთიდან მომავალი ჯარების ერთმა ნაწილმა ტიგროსისა და ევფრატის მდინარეები გადაიარეს, რაც ასევე ნაწინასწარმეტყველი იყო იოანეს „გამოცხადებაში“ არის მოხსენიებული. ეს გარემოება კი ბევრს აბნევდა.

უნდა ითქვას რომ იესო ქრისტეს დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე ისრაელის გამარჯვება ანტიქრისტეს გამარჯვების ტოლფასი იქნება, რაც ასევე არ ეთანხმება ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს.

საპირისპიროდ ამისა ისრაელისა და მისი მეგობარი ქვეყნების მიერ იესო ქრისტეს დახმარებით მოპოვებული გამარჯვება საბოლოოდ დაანგრევს პლანეტა დედამიწას. ასე რომ იესოს ჩარევა დედამიწის საქმეებში არც ისრაელისა და არც ჩინეთის ინტერესებში არ შედის.

მხოლოდ ერთ მხარეს სჭირდება არმაგედონის ომი და პლანეტა დედამიწის მთლიანი „გადადნობა“. ეს არის იესო ქრისტე, მამა ღმერთის ერთადერთი და საყვარელი შვილი, ჩვენი მხსნელი მესია, რადგან თუ არ მოხდება დედამიწის განადგურება და გაქრობა, არ იქნება „ზეციური იერუსალიმი“, არ იქნება „ახალი მიწა და ახალი ზეცა“, არ იქნება „ოცნება“ დალოცვილი მომავლის, სამოთხისა და უკვდავების შესახებ და საერთოდ ბევრი ბიბლიური წინასწარმეტყველება აზრს დაკარგავს.

ისტორიის ამ კულმინაციურ მომენტში არენაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდება „ჰალსტუკიანი კავკასიელი რეფორმატორის“ ზეციური მამა, ლუცისფერი და ჩინეთის ლიდერის მისამართით სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. ეს მოხდება გაეროს სპეციალურ გენერალურ ასამბლეაზე, როდესაც მანამდე ჩრდილში მდგომი ლუციფერი, იგივე სატანა ანუ უფლის მოწინააღმდეგე და დედამიწის გუბერნატორი სიტყვით გამოვა და ჩინეთის ლიდერს პლანეტის მომავალთან დაკავშირებულ საკითხებზე შეხვედრას შესთავაზებს.

ლუციფერი მანჰეტენზე ახლად რესტავრირებულ „პეტროსიანის რესტორანში„ ელოდება სიგნალს ჩინეთის ლიდერისაგან შეხვედრის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ჩინეთი დუმს.

მესამე ფრაგმენტი წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

მცირე ხნის შემდეგ ლუციფერი, რომელიც თავად მამამაცხოვრის მიერ არის დედამიწის გუბერნატორად დანიშნული, უმნიშვნელოვანეს ვიზიტს განახორციელებს ჩინეთში, და ტიბეტის დედაქალაქ ლჰასას რეზიდენციაში შეხვდება ჩინეთის ლიდერს, რომელიც იმ დროისათვის სახელს შეიცვლის და გოდორი ხანი გახდება.

ლუციფერის ვიზიტი იქნება მოულოდნელი, არაფორმალური, ზარდამცემი და გამაოგნებელი.

„ვინ ხარ შენ?“ მექანიკურად შესძახებს გოდორი ხანი, როდესაც დაინახავს „ჰოლანდ ჰოლანდიის“ ქურთუკში გამოწყობილ წარმოსადეგ ვაჟკაცს რომელიც მის საძილე ოთახში გამოჩნდება. ეს მოხდება იმ დროს, როდესაც იგი დასაძინებლად ემზადებოდა.

„მე ვარ ის ვინც მე ვარ“, იყო მოკლე პასუხი და ჩინეთის ლიდერი მაშინვე მიხვდება თუ ვინ იდგა მის წინაშე.

„ნუ ღელავ! ახსნა განმარტებები და თავის გამართლებები საჭირო არ არის, არ იღელვო ხვალინდელი დღის სავარაუდო სასჯელზე, შენს მაგივრად მე ვიფიქრებ მათზე. მე არ მოვსულვარ შენთან, რომ გავნო, არამედ დაგეხმარო“, თქვა ლუციფერმა.

„გმადლობთ ჩვენო უძლეველობავ! ნება მიბოძეთ სათათბირო დარბაზში მიგიწვიოთ“, თქვა გოდორი ხანმა და მოსასხამში გაეხვია.

„ვცდილობ ჯეროვან დონეზე გავერკვე თუ რა ხდება დღეს და რა პერსპექტივები გვაქვს“, თქვა გოდორი ხანმა გზად და დერეფნის ბოლოს საგულდაგულოდ დალაგებულ წიგნებისა და ხელნაწერების ზვინზე მიუთითა.

„ვხედავ, რომ დროს უქმად არ ხარჯავ“, მიუგო ლუციფერმა და გოდორი ხანს გამამხნევებლად გადახედა. მალე მათ მოლაპარაკევბები დაიწყეს.

მოლაპარაკებები რამდენიმე დღეს გასტანს. კაცობრიობის ისტორიისთვის „პლანეტის სახურავზე“ მომხდარი ეს შეხვედრა ერთ-ერთი კულმინაცია იქნება. მათ ტიბეტის რამდენიმე მისტიკური ადგილი მოინახულეს, ბოლოს კი ჰუნანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამი პარალელური ხეობის რაიონში მდებარე შანგრილას მწვერვალი აიღეს. მწვერვალზე ფეხი შედგა თუ არა ლუციფერმა განაცხადა:

„ჩვენს ქვევით არის დაკარგული ტიბეტის ველი, სადაც შენახულია მსოფლიოს მთელი სიბრძნე და მატერიალური ფასეულობები. მისი გრანდიოზული მიწისქვეშა ლაბირინთები ყველასთვის დაფარულია, ჩვენთვის კი ჩემო მეგობარო გოდორი ხარ, მისი კარიბჭეები ღიაა. ეს ადგილი შამბალას სახელით არის ცნობილი. მისი ბოლო 32-ე მეფე რუდრა ლაკრინი დედამიწაზე შემოჭრილ ბარბაროსებს გაანადგურებს, ეს უნდა მოხდეს 2029, 2066 ან 2424 წლებში. ახლა ჩვენ 2066 წელში ვართ და ყველა ნიშანი არსებობს რომ ეს ბრძოლა ახლა მოხდება“, დასძინა ლუციფერმა და გოდორი ხანთან ერთად შამბალას დედაქალაქ „ოქროს სითისკენ“, მისი მეფის რუდრა ლაკრინთან შესახვედრად გაემართა.

შესანიშნავად განათლებული და მამაცი გოდორი ხანი სამწუხაროდ ღრმად ვერ ერკვეოდა ბიბლიური წინასწარმეტყველებების ფარისევლურ ნიუანსებში და წინააღმდეგობებში. იგი კარგად ვერ განასხვავებდა ე. წ. ბიბლიურ „ხორბალს“, ბიბლიური „ჩენჩოსგან“. ლუციფერმა მოთმინებით აუხსნა გოდორი ხანს, რომ ბრძოლას მისი შვილის წინააღმდეგ, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „კავკასიელი ჰალსტუკიანი რეფორმატორი“, და არის ისრაელის, „ისრაელის სახელის“, გაეროს გენერალური მდივნისა და დასავლეთ ცივილიზაციის ლიდერი, შედეგად მოყვება პლანეტა დედამიწის კაპიტულაცია და ეს მოხდება ზეციდან გამოგზავნილი საფრთხის წინაშე, არმაგედონის ომისა და შემდგომ პერიოდში.

„შვიდი წლის წინათ ნახევარი მილიარდი ადამიანი თუ მეტი არა ზეცაში აღზევდა. დარჩენილი მოსახლეობის ნახევარი ე. წ. „ბეჭდების მტვრევის“ და „საყვირების განჩინების“ დროს მოკლულ იქნება. ძალიან ბევრი ადამიანი „თასების“ დაღვრის დროს განადგურდება. დაახლოებით მეოთხედი ხალხისა, რომლებიც დედამიწაზე აღზევების შემდეგ დარჩებიან, შეიყრებიან არმაგედონის ველზე, რათა ერთმანეთს ეომონ საბედისწერო ბრძოლაში. თუ დედამიწის მმართველებს სურთ სამშობლო შეინარჩუნონ მათ არ უნდა იომონ ერთმანეთის წინააღმდეგ, გაერთიანებულები ჩვენ ვიდგებით, დაყოფილები კი დავეცემით“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

შემდეგ დედამიწის გუბერნატორმა, არქანგელოზმა ლუციფერმა – სატანამ საუბარი და ანალიზი დაიწყო. მან გაიხსენა დაბადების

მე-11 თავში მოხსენიებული ამბავი ბაბილონის კოშკის მშენებლობის შესახებ.

„ჩემო ყოჩაღო, კარგო და რწმენით აღსავსე მეგობარო, რასაც ახლა გეტყვი შენი გამოცდა არ არის “, თქვა ლუციფერმა.

„ბოსს! თქვენს განკარგულებაში ვარ. როგორია თქვენი გეგმა?“ თავმდაბლად, მაგრამ მგზნებარედ იკითხა გოდორი ხანმა.

„წარღვნის შემდეგ დედამიწაზე ერთი სალაპარაკო ენა იყო. ყველა ერის ადამიანი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და მათ ერთმანეთის კარგად ესმოდათ. ამის გამო ხალხი კონსოლიდირებული იყო. ნათესაობა და სტუმრიანობა ჩვეულებად ქცეული ამბავი იყო. ხალხი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ თან ცდილობდნენ წარღვნის შემდეგ დაზიანებული დედამიწის მოწესრიგებას.

ერთხელ როდესაც ისინი „შინაარის მიწაზე“ მივიდნენ ერთმანეთს უთხრეს: „გვეყოფა აქეთ-იქით სიარული, მოდი ავაშენოთ ქალაქი და კოშკი, რომლის წვერი ზეცას მიაღწევს. ამით სახელს გავითქვამთ და უფალს დავანახვებთ, რომ მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, რომ ღირსები ვართ ადამიანები გვერქვას“.

ხალხმა მართლაც ააშენა ქალაქი და კოშკი, რომელმაც ზეცას მიაღწია, უფალმა დაინახა ადამიანების ერთობლივი შრომითი მიღწევა, გამოვიდა აივანზე და თანმხლებ ანგელოზებს უთხრა:

„შეხედეთ! ხალხი არის ერთი. მათ აქვთ საერთო ენა; მათ შესძლეს ამის გაკეთება. თუ ისინი რაიმეს დაგეგმავენ შეუძლებელი მათთვის არფერია. მოდით ჩავიდეთ დაბლა. აურიოთ მათი ენა, რათა მათ ვერ გაუგონ ერთმანეთს. ამრიგად, უფალმა ერთი ენის მაგივრად რამდენიმე ენა შექმნა. ხალხმა ერთმანეთს ვეღარ გაუგო და სხვადასხვა მიმართულებით ხეტიალობდნენ დედამიწაზე, რადგან ერთმანეთის აღარ ესმოდათ. მტრობდნენ ერთმანეთს. მათ მიატოვეს ქალაქიცა და კოშკის მშენებლობა, რომლებიც წაიქცა“ (დაბადება 11:6-8).

„ეს იყო უფლის აქტი ადამიანებისა და საერთოდ პროგრესის წინააღმდეგ“, თქვა ლუციფერმა.

„მართალია, მეც ასე მესმის“, დაემოწმა გოდორი ხანი.

„უფალს არ სურს ადამიანების რასის კონსოლიდაცია. რატომ აწუხებს მას ეს? იმიტომ ხომ არა, რომ თუ ისინი გააგრძელებენ გაერთიანებას, შესაბამის დროს „შეუძლებელი მათთვის არაფერი იქნება“, მათ შორის ბოლოკიდან სისხლის გამოწურვასაც შესძლებენ“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„დიახ, სწორედ ასეა“, დაეთანხმა გოდორი ხანი.

„ადამისა და ევას ედემის ბაღიდან განდევნის ერთ-ერთი ახსნა არის ცოდნის ხის ნაყოფის, ვაშლის ჭამა, სწორედ ამიტომ არის ვაშლი ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული ხილის სახეობა. შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა მეორე აკრძალული ხილის, სიცოცხლის ხის ნაყოფის, ბრონეულის მირთმევა. დღესაც ბრონეული და ვაშლი ყველაზე გამორჩეული ხილია. ამბობენ რომ აკრძალული ხილი ტკბილია. ეს ადამიანური თვისებაა. მაშასადამე, თეორიულად, ღმერთის ბრძანების დარღვევისა და აკრძალული ხილის მიღების შემდეგ ადამი და ევა უკვდავები უნდა გამხდარიყვნენ.

აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. საქმე იმაშია, რომ ჩვენს სამყაროში, რომელიც ჩვენი დიდი უფლის მიერ განუყოფელი ინტერესითა და სიყვარულით არის შექმნილი, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და დაწესებული კანონების ქვეშ მოქმედებენ, არა აქვს მნიშვნელობა სულიერია იგი თუ უსულო. თუ ვინმე მოიპოვებს უკვდავების სტატუსს, ეს ნიშნავს რომ იგი უკვდავია. ჩვენ სხვა დროს ვისაუბრებთ სხეულისა და სულის უკვდავების შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, არავის შეუძლია უკვდავის მოკვლა, თვით უფალსაც კი. თუ უფალი ვინმეს უფლებას მისცემს თუნდაც ერთხელ მაინც დაარღვიოს ეს წესი, ეს გარემოება მთელი სამყაროს წესრიგის დარღვევას გამოიწვევს. მოკვდავისა და უკვდავის სუბორდინაცია სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ბაზისი და უფლის ბრძანებაა. მის უსაფრთხოებას მე ვაქცევ ყურადღებას.

ადამისა და ევას დროს ედემის ბაღში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც პირველ წყვილს საშუალება ჰქონდათ ეჭამათ ბრონეული ანუ მეორე აკრძალული ხილი, რომელიც სიცოცხ-ლის ხეზე იზრდებოდა. ცოდნის ხიდან მათ უკვე მიირთვეს აკრძალული ვაშლი და ყველაფრის მცოდნენი გახდნენ. ახლა მათ საშუალება ჰქონდათ სიცოცხლის ხიდან ბრონეული ეჭამათ და უკვდავები გამხდარიყვნენ. ეს ნიშნავდა რომ ისინი იქნებოდნენ ყველაფრისმცოდნენი, უკვდავები და ღვთიური ოჯახის წევრები. ე. ი. მათ შეეძლოთ გამხდარიყვნენ „ერთ-ერთი მათგანი“, რაც არ შედიოდა უფლის გეგმაში, და შემოქმედმა ისინი სასწრაფოდ გააძევა ედემის ბაღიდან.

ახლა, მეფე ნიმროდის ეპოქაში, უკვე წარღვნის შემდგომ დაბადებული ხალხის ერთ ჯგუფში ღმერთმა შეამჩნია, რომ ადამიანებმა შეინარჩუნეს ძველი, ედემის ბაღის დროინდელი ინსტინქტები და მიუხედავად იმისა, რომ მოკვდავები იყვნენ, გაერთიანებისა და შესაბამისი ხელმძღვანელობის პირობებში წარმოეშობოდათ განდიდების მანია. მათი სურვილია რომ მიაღწიონ უფლის დონეს, რადგან „არაფერი შეუძლებელი მათთვის არ არის“, და ამიტომ უფალმა ენები აღრია, რათა დეზორგანიზაცია გაეკეთებინა ადამიანების რასისათვის“, მოყვა ლუციფერი.

„მიაქციე ყურადღება, რომ ადამიანების კონსოლიდაცია არ არის უფლის სურვილი და პირიქით, ადამიანების მოწადინებაა იყვნენ ინტეგრირებულები. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ რადგან კაცობრიობის ისტორიის ბოლო დღეს შესრულდება ყველა წინასწარმეტყველება ადამიანური ცხოვრების ყველა ფორმების გაერთიანების შესახებ“, დაასრულა ლუციფერმა.

„ამრიგად, მეფე ნიმროდის ცდა გააერთიანებინა კაცობრიობა ერთი მთავარი იდეის გარშემო, კერძოდ მიემართა იგი კოსმოსისაკენ მარცხით დასრულდა. უფალმა შეაჩერა ეს მისწრაფება. ეს იყო პირველი აჯანყება ჩვენი საყვარელი უფლის დიქტატორული წესრიგის წინააღმდეგ.

მეორე დიდი აჯანყება უფლის წინააღმდეგ მოხდა არა დედამიწაზე, არამედ ზეცაში, ჩემსა და უფალს შორის. თუ პირველი აჯანყება ადამიანებსა და უფლის ძალაუფლებას შორის მოხდა, მეორე იყო ანგელოზების ნაწილის აჯანყება უფლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

დრო მიდის და ახლა, როდესაც ნიმროდის აჯანყებიდან ანუ კოშკის მშენებლობიდან გავიდა რამდენიმე ათასი წელი, ისევ შეიქმნა პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური კავშირები ადამიანებს შორის. ამჯერად ასეთი სურათია: თუ პირველ აჯანყებას ნიმროდი ხელმძღვანელობდა, მეორეს უფროსი მე, ლუციფერი ვხელმძღვანელობდი. მესამე აჯანყების უფროსი ჩემი შვილი, „ანტიქრისტე იქნება“, კვლავ გაუსვა ხაზი ლუციფერმა.

„რას ნიშნავს გაგება. ახლა შეიქმნა ახალი ვითარება?“ ჰკითხა ლუციფერმა გოდორი ხანს, რომელიც ყურადღებით უსმენდა დედამიწის გუბერნატორს.

„ძალიან ბევრ ცუდს. უფალი ყოველთვის ბორკავდა

ადამიანების მისწრაფებას გაერთიანებისაკენ. ღმერთმა შეწყვიტა ბაბილონის კოშკის მშენებლობა. მანვე წარმატებით აღკვეთა ჩემი აჯანყება და თითქოს დამაქვეითა. უფალი ყოველთვის გაყინავს ყოველგვარ მისწრაფებებს, რაც პირდაპირ ემუქრება მის აბსოლუტურ ძალაუფლებას“, დაასკვნა ლუციფერმა.

„თანამედროვე დროს უფლისა და ადამიანების დაპირისპირებულობამ კულმინაციას მიაღწია. მესამე დიდი აჯანყება მოხდება იმ ადგილზე, რომელსაც არმაგედონი ჰქვია. ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა ვიომოთ.

გოდორი ხან! იცოდე, რომ ბრძოლა ღმერთის გეგმაშია. ამ ბრძოლის შედეგად იქნება ადამიანების რასის პოტენციალის შეკვეცა, რაც წარსულში ბევრჯერ მოხდა. ჩვენ უნდა ადამიანების რასის არმიები არმაგედონთან შევკრიბოთ, რათა უძლეველ ღმერთს ბრძოლა გავუმართოთ. ვაჩვენოთ მას რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ მონური მორჩილებისა და, რომ ჩვენი ფასეულობები სხვა არის“, ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„გამოცხადების წიგნი“ მე და ჩემს შვილს ზოგჯერ „მხეცებს“ გვიწოდებს. ამ ტერმინს რომ იყენებს, ქრისტიანები ფიქრობენ, რომ მორჩილებაში ამყოფონ ადამიანების რასა. აი რას წერს იოანე გამოცხადებაში:

„და მე (მახარობელი იოანე) დავინახე „მხეცი“ (ანტიქრისტე ან მამამისი) და დედამიწის მეფეები თავიანთი არმიებით, რომლებიც გროვდებოდნენ ერთ ადგილას, რათა ეომონ მას (იესო ქრისტეს), რომელიც ცხენზე ზის და თავის არმიას მიუძღვება“ (გამოცხადება 19:19).

„მოკლედ რომ ვთქვა, დედამიწის მეფეები, ანუ მთავარსარდლები შეთქმულებას აკეთებენ იმ ერთის წინააღმდეგ რომელიც „ცხენზე ზის“... რომელია ის ერთი? სხვა არავინ, მაგრამ იესო ქრისტე თავად“, დასძინა ლუციფერმა.

„მხედველობაში იქონიე კიდევ ერთი გარემოება! თუ იესოს შემოჭრა დედამიწაზე ახალ აღქმაში გასაგებად არის ნაწინასწარმეტყველი, ამ შემოჭრის (მოსვლის) საპირისპირო წინასწარმეტყველება ძველ აღქმაშია ნაწინასწარმეტყველი. თავად განსაჯე უთხრა ლუციფერმა გოდორი ხანს.

„დედამიწის მეუფეებმა თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს, და თათბირი გამართეს ერთმანეთში, უფლისა და მისი მირონცხებული ძის წინააღმდეგ. მათ თქვეს: მოდით

დავამსხვრიოთ ბორკილები ნაწილ-ნაწილ და მოვიშოროთ ის თოკები, რომლებიც გვბორკავენ“ (ფსალმ. 2:2,3).

„ვინ მართავს თათბირს ერთმანეთში?“ დასვა კითხვა ლუციფერმა და თავადვე უპასუხა:

„ეს არის ჩემი შვილის ანტიქრისტეს დიპლომატიური საქმიანობა, და ჩემი და შენი საუბარი“.

„დიახ! ჩემო მეგობარო გოდორი ხან. ჩვენი დღევანდელი საუბარი და ჩვენი მომავალი შესაძლო ერთობლივი საუბარი ჩემს შვილთან, როგორც „დედამიწის მეუფეების თათბირი“ უკვე ნაწინასწარმეტყველია ძველ აღქმაში.“ თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„გაითვალისწინეთ კიდევ ერთი გარემოება. ვის წინააღმდეგ არის ეს თათბირები მიმართული? ისინი არ აპირებენ ერთ-მანეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ისინი შეთქმულებას აწყობენ უფლისა და მისი მირონცხებული მოყმის წინააღმდეგ რომელიც მან მეფედ დაგვიყენა სიონის წმინდა მთაზე,“ (ფსალმუნები 2:6) ხაზი გაუსვა ლუციფერმა.

„ვინ არის ეს „მირონცხებული მოყმე? რა თქმა უნდა, იგი უფლის მოყმე იესო ქრისტეა. დედამიწის მეუფეები მის წინააღმდეგ გალაშქრებას გეგმავენ, რათა „უფლის ბორკილები“ დაამტვრიონ“, ახსნა მანათობელმა ლუციფერმა.

„უფალს შეუძლია ის მოიმოქმედოს, რაც მას სურს“, მოკრძალებულად ჩაერთო გოდორი ხანი და ოქროს ნაწნავი მხარს უკან გადაიგდო.

„მართალია, სწორედ ამიტომ არის იგი უფალი. არავინ არის მის უკან“.

„იგი მოკლავს ყველას, ვინც მის საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგება. ეს ასეა?“ იკითხა ჩინეთის ლიდერმა.

„ვშიშობ, რომ ეს ასეა. განსაკუთრებით ეს იმ ხალხს ეხება, ვინც ანტიქრისტეს მხარეზე დადგება, მაგრამ არის ერთი იმედიანი გარემოება. სახარებაში წერია, რომ დედა-მიწის მოსახლეობა არ მოსპობს ან ვერ მოსპობს ანტიქრის-ტეს ანუ „ჰალსტუკიანი კავკასიელი კაცის“ იგივე გაეროს გენერალური მდივნისა და მსოფლიოს ერთიანი მთავრობის ძალაუფლებას. (დანიელი 8:25). მხოლოდ ზეციური არმიების მთავარსარდალს, იესო ნაზარეველს ძალუძს გააკეთოს ეს“, თქვა ლუციფერმა.

„შეგვიძლია იესოს აგრესიას წინ აღვუდგეთ?“ იკითხა გოდორი ხანმა.

„ძნელი კითხვაა, რადგან იესომ ნათლად გამოხატა თავისი პრეტენზიები ციურ იერარქიაში“.

„არის მხოლოდ ერთი ღმერთი და მას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს. ეს მე ვარ. ღმერთსა და ადამიანებს შორის მხოლოდ ერთი შუამავალია. ეს მე ვარ. ჩემს გარეშე ვერავინ ვერ მივა ღმერთთან. მე ვარ უფლის ძე და კაცის ძე, იესო მესია, ალფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი, დასაწყისი და დაბოლოება. უძლეველი. მე ვარ , ვინც იცხოვრა და მოკვდა. შემდეგ აღსდგა და შეხედეთ მე ცოცხალი ვარ კიდევ. ამენ. და მე ვფლობ ჰადესისა და სიკვდილის გასაღებს“.

იესო არის კაცობრიობის მიმართ უფლის გეგმის შემსრულებელი, რომელიც ითვალისწინებს დედამიწის დანგრევას და მის მაგივრად „ახალი იერუსალიმის, ახალი მიწისა და ახალი ზეცის“ შექმნას.

მალე მეგიდოს (არმაგედონის) ცაზე ღრუბლები გაიხსნება და საზეიმოდ წარმოჩინდება თეთრ ცხენზე ამხედრებული, მახვილშემართული, თორმეტი ერთგული ანგელოზითა (ზოგი ვერსიით შვიდი) და უამრავი ლაშქრით გარშემორტყმული იესო ქრისტე. დედამიწაზე მოსახლე ყველა ადამიანი კარგად დაინახავს მას. ზეციური სარკეების საშუალებით იგი დედამიწის ყველა კუთხეში გამოჩნდება, როგორც ზენიტში, ისე ნადირში და პოლუსებზე. მე სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო მას და შევეცადო ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანო. ეს უნდა მოხდეს მანამდე, სანამ იგი დიდ, თეთრ ტახტზე დაჯდება და ერებისა და პიროვნებების განსჯას დაიწყებს. ჩვენ შანსი გვაქვს გავაკეთოთ ეს. მაშასადამე, არმაგედონის უმაღლესი მოწოდებაა ადამიანის რასის განთავისუფლება უფლისა და მისი საყვარელი ძის ტირანული და ავტოკრატული მმართველობისაგან“. მოსაზრება გამოთქვა ლუციფერმა და კვლავ დასძინა.

„ეს სიტუაცია შენთვის დილემაა, ხარ მზად რომ იბრძოლო ჩემი შვილის, „კავკასიელი ჰალსტუკლიანი რეფორმატორის“ წინააღმდეგ, თუ სურვილი გაქვს, რომ მასთან ერთად გაერთიანდე, რათა ერთობალ;ივი ძალისხმევით წინ აღუდგეთ უფლის საყვარელ შვილსა და მთავარსარდალს იესო ქრისტეს?

ჩემი რწმენით აღსავსე მეგობარი, გოდორი ხან, ბოლომდე ათვითცნობიერებ სიტუაციის მნიშვნელობას?“

„დიახ, ჩემო უძლეველო და განუმეორებელი ბოოს! შენ დამარწმუნე, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ, რათა გადავარჩინოთ პლანეტა და მისი დარჩენილი მოსახლეობა“, უპასუხა კეთილშობილმა გოდორი ხანმა.

ეს პირველი შემთხვევა იყო როდესაც ჩინეთის ზეციური იმპერიის მესაჭემ გოდორი ხანმა აღიარა დედამიწის გუბერნატორის უზენაესობა და მისი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში, დაინახა განსხვავება უკვდავისა და მოკვდავის პასუხისმგებლობებს შორის, დაინახა მისი უფროსის ხედვა და დიდბუნებოვნება.

გახარებულმა ლუციფერმა, იგივე სატანამ, ეშმაკმა და არქანგელოზმა, ქერუბმა და მეგატრონმა, მადლობა გადაუხადა გოდორი ხანს და გამოუძახა თავის რეფორმატორ შვილს, დასავლეთის კოალიციის ლიდერს, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის დასასრულს.

მალე ანტიქრისტე ლჰასაში ჩაფრინდა, შეხვდა თავის ზეციურ მამას და გოდორი ხანს. ახლა ეს სამი არსება საგულდაგულოდ ეძებს გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან. გოდორი ხანმა და ანტიქრისტემ მიიღეს რჩევები ლუციფერისგან თუ როგორ ეწარმოებინათ თავდაცვითი ღონისძიებები, რათა ერთობლივი ძალისხმევით გადაერჩინათ პლანეტა დედამიწა, სადაც მიწისძვრებმა და ვულკანების ამოფრქვევებმა ისეთ ინტენსივობას მიაღწიეს, რომ ფაქტიურად ცა და მიწა გააერთიანეს.

ამ კულმინაციის შესახებ ნოსტრადამუსი მიუთითებდა:

„ორი დიდი ლიდერი (ანტიქრისტე და გოდორი ხანი) მოკავშირეები გახდებიან; მათი ძლიერება განუზომლად გაიზრდება. ახლად შექმნილი ერების ერთობა თავისი ძლიერების პიკს მიაღწევს“. (ნოსტრადამუსი 2-89)

მაშასადამე, ერების ახლად შექმნილი კავშირი შეეწინააღმდეგება იესო ქრისტეს გამანადგურებელ მეორედ მოსვლას.

* * *

ამრიგად ლუციფერის ინიციატივით მოხდა უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. დედამიწის გუბერნატორმა ლუციფერმა და ჩინეთის ლიდერმა გოდორი ხანმა საერთო ენა გამონახეს.

ლუციფერმა-სატანამ დაარწმუნა გოდორი ხანი, არ ეომა მისი შვილის „ჰალსტუკიანი რეფორმატორის“ წინააღმდეგ გადაიბირა, თავის მხარეს და გაერთიანდა მასთან.

ამრიგად, ისრაელ-ჩინეთს ომი დღის წესრიგიდან მოიხსენება. მის მაგივრად იესო ქრისტეს კოსმოსური შეტევის საპირისპიროდ დედამიწის ერთიანი კონფედერაციული ძალები ჩამოყალიბდება. როდესაც ეს ამბავი მოხდება გაქრება მიზეზი იესო ქრისტეს დედამიწაზე შემოსაჭრელად. ეს იქნება დედამიწაზე მომხდარი ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური ცვლილება. იგი შემადგენელი ნაწილი იქნება სამყაროს მოსალოდნელი გეოპოლიტიკური ცვლილებისა.

ჩვენ შეგახსენებთ, რომ ბიბლიის ახალი აღქმის რამდენიმე ადგილას მითითებულია, რომ იესო ქრისტეს დედამიწაზე მეორედ მოსვლის ანუ შემოჭრის მთავარი მიზეზია ისრაელის დაცვა ანტიქრისტეს მომავალი შეტევებისგან. ანტიქრისტეს გეგმაა ღვთის რჩეული ხალხის დისკრედიტება და სოლომონ მეფის აღდგენილი ტაძრის წაბილწვაა.

ისრაელი უნდა იყოს იესოს მხარეს. იესო უნდა გახდეს ისრაელის მხსნელი, მესია. ეს არის ახალი აღქმის ქვაკუთხედი. თუ გოდორი ხანი და ანტიქრისტე ისრაელთან ერთადერთ მხარეს დადგებიან და ერთიან კონფედერაციულ ძალებად ჩამოყალიბდებიან, ამ შემთხვევაში იესო, რომელიც უფლის მითითებით მოქმედებს, დაკარგავს დედამიწის განადგურების მიზეზს.

ახლა დედამიწის გუბერნატორი ლუციფერ-მეგატრონი დიდი ამოცანის წინაშე დადგა. მან უნდა შესძლოს სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი ფენომენის, უფლის საყვარელი შვილის იესო ქრისტეს დედამიწის კონფედერაციის მხარეს გადმოყვანა, ომის გარეშე გაერთიანდეს მასთან და ჩამოაყალიბოს ისრაელისა და მისი მეგობარი ქვეყნების უნიის, ჩინეთისა და მისი ლიდერის გოდორი ხანისა და იესოს კოსმოსური ძალების კონფედერაცია ცის ტირანიის წინააღმდეგ.

ლუციფერ-იესოს მოლაპარაკება იქნება პლანეტა დედამიწის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კულმინაცია, მისი კლიმაქსი და კვანძის გახსნა. ეს შეხვედრა მოხდა კავკასიაში, რომელიც ევროპისა და აზიის კონტინენტების შესაყარზე მდებარეობს. აქ მთის ქალაქ ვარსკვლავეთში, ლუციფერის ერთ-

გული მიმდევარის, ალფრედ ნავიგატორის სახლში, თორმეტი ცოცხალი და მკვდარი მოწმის კამპანიაში დასრულდა მრავალსაათიანი მოლაპარაკება ლუციფერსა და იესოს შორის, რომლის შედეგებმაც გადაწყვიტა პლანეტა დედამიწის ბედი.

მეოთხე ფრაგმენტი წიგნიდან „ალფრედ ნავიგატორი იგონებს“

„მსოფლიოში შენი პირველი გამოჩენა და ომის დაწყება ერთი იყო. შენ ჩამოხვედი არა ირლანდიაში ან ჩინეთში, არამედ იმ დროინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყანაში, რომის იმპერიაში. დღევანდელი შეერთებული შტატები არის რომის იმპერიის მემკვიდრე. შენს მოსვლამდე რომის იმპერიაში არაჩვეულებრივი სიმშვიდე იყო. რომის კონტროლის ქვეშ მყოფი მთელი ხმელთაშუა ზღვის რეგიონი ყვაოდა, უზარმაზარი გალერეები სერავდა მის სივრცეს. ყველა საზღვაო პორტში არსებობდა, გემების მიმოსვლის ზუსტი გრაფიკი, იყო რამდენიმე ათეული სახანძრო ხომალდი, არსებობდა მეხანძრე მეზღვაურების პროფესია. იყო ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მოწესრიგებული საგზაო სისტემა, სასტუმროები, ფოსტა, რესტორნები, ბიბლიოთეკები, სრულყოფილი აბანოები და საკანალიზაციო სისტემები, წყალმომარაგება, კრიმინალი საერთოდ არ იყო.

შენს იუდეაში პირველად გამოჩენას ბუნტი მოყვა. ბუნტმა სისხლი შვა, სისხლს კი სისხლი მოყვა. შენამდე რომის იმპერიაში სისხლი მხოლოდ ამფითეატრებში იღვრებოდა, სადაც განსაკუთრებით გამოჩენილ გლადიატორს შანს ჰქონდა თავისუფლება, რომის იმპერიის მოქალაქის სტატუსი და პენსიის უფლება მოეპოვებინა.

შემდეგ შენი მიმდევრები აწამეს. მალე, როგორც შენ იწინასწამეტყველე იერუსალიმი დაანგრიეს, ხოლო მამაჩვენის სახლი, სოლომოს ტაძარიც ზედ მიაყოლეს. ქრისტიანული მრწამსისათვის მრავალი ადამიანი დახოცეს. განვითარდა მოწამებრივი სიკვდილის კულტი.

იესო! მართლაც რომ ძლიერ მოძრაობას ჩაუყარე საფუძველი. შენმა მიმდევრებმა სულის დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს და არ შეუშინდნენ ტანჯვა-წვალებას. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ კი სხვებიც ბევრი დატანჯეს. ქრისტიანემდელი კულტურა და რელიგიები გაანადგურეს. მაგალითად, ინკვიზიციის დროს ზოგიერთი დაანგარიშებით 600.000-დან 9 მილიონამდე ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. უმეტესად ქალები.

„მე ყოველთვის ქალების ემანსიპაციის მომხრე ვიყავი“, იესო ხმაში „იუმორის ნოტები“ გაისმა.

„მართალი ხარ, სამწუხაროდ, მრავალი ფაქტი არსებობს რომ ნეგატიურ მოვლენეთა უმეტესობა შენს მერე, მაგრამ შენი სახელით მოხდება. აბა გავიხსენოთ შესანიშნავი და უაღრესად ინიციატივიანი დომინიკანელი ბერები ჰაინრიხ კრამერი და ჯეიმს სპენგერი. მათ ერთობლივად შექმნეს ალბათ ყველაზე ცნობილი და ამაზრზენი წიგნი, რომელიც ოდესმე დაწერილა. ეს იყო ინკვიციზიის მუშაკების სამაგიდო წიგნი თუ როგორ უნდა ეტანჯათ ეჭვმიტანილი პირი. წიგნს ეწოდება „მილეუმ მალეფიქარუმ“ (ჩაქუჩი ჯადორებისათვის). ეს იყო პროფესიული მკვლელების დიდებული სახელმძღვანელო, რათა მილიონობით ადამიანი სწრაფად და ეფექტურად დაეხოცათ. მაშასადამე, ძალადობამ ძალადობა შვა. თქვენს მიმდევრებს ხოცავდნენ, თქვენ კი სასტიკი რევანში აიღეთ.

იესო! შენ რა თქმა უნდა, ამის მომხრე კატეგორიულად არ იყავი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს უბედურებები შენი სახელით მოხდა, რომელშიც ჩარევა ვერ მოახერხე, რადგან უკვე ზეცაში იყავი წასული.

„მილეუმ მალეფიქარუმ“-ის იდეამ უფრო დიდ სრულყოფილებას და ორგანიზებულობას გერმანელი, რუსი და ჩინელი ჯალათების დროს მიაღწია.

შენი დიდი მიმდევარი, ქრისტეს დიდი მომხრე და ინკვიზიტორი ეგნატე ლოიოლა და მისი მოწაფეები მონდომებით ხოცავდნენ მოხუცებს, სახალხო გინეკოლოგებს, ებრაელებს და ბოშებს, ყველა მათ ვინც არ ჯდებოდა თანამედროვე ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში.

ისინი ყველა ეჭვმიტანილები იყვნენ და ჯადოქრებათ იყვნენ გამოცხადებულები, რადგან იყვნენ ქრისტიანობამდელი რელიგიის შორეული წარმომადგენლები.

კულტურის საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც შენს გამოჩენამდე იყო, განადგურდა. შეწყდა კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციები. ძალაუნებურად შენი მიმდევრები დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში „პროგრესის მუხრუჭებად“ იქცნენ. შეგვიძლია მხოლოდ გალილეო გალილეის დიდებული თეორია გავიხსენოთ პლანეტების მიზიდულობის ქვეყნების შესახებ. იგი და მეცნიერების სხვა დარგები ჰერესად გამოცხადდა.

დაეცა ზნეობა, აღორძინდა და ადამიანებს შორის ურთიერთობებში სახელმწიფოებრივ დონეზე ავიდა დასმენა და სიდამპლე. თუ ვინმეს რომელიმე პიროვნების მიმართ ბოღმა ან ეჭვი ჰქონდა შეეძლო იგი ჯადოქრობაში დაედანაშაულებინა. დაინტერესებულ პირს თუ ვინმეს მამული ან ცოლი უნდოდა, შეეძლო მისი დასმენა და მერე მის ქონებას დაპატრონებოდა. თუ ვინმე მარტო ცხოვრობდა ან გონებრივი და ფიზიკური პრობლემები ჰქონდა, შეიძლება ბოროტი დასმენის ობიექტი გამხდარიყო, რაც ჩვეულებრივ სიკვდილით დასჯის ანუ ცოცხლად დაწვით მთავრდებოდა.

გაქრა ლამაზი ლეგენდები ფერიების, ჯუჯებისა და ელვისების შესახებ. მათ ადგილას მოვიდა შენი მიმდევრები, რომლებმაც შენი მემკვიდრეობა გადააკეთეს და ახლა ჩამოყალიბდნენ სხვა რელიგიურ იდეოლოგიად, რომელშიც შენ ის ადგილი გაქვს, რომელიც მათ მოგიჩინეს და თუ მას წინ აღუდგები მაშინვე შეგზღუდავენ.

„როდესაც ხეს ცეცხლი, ნაფოტები აქეთ-იქით იფანტება, ეს ბუნების წესია“, სიტყვა ჩაურთო იესომ, რომელიც მოთმინებით უსმენდა ლუციფერის გატაცებულ საუბარს.

„კარგი პასუხია, როგორც ყოველთვის იგი სხარტი და ამოუწურავია, მაგრამ ჩვენი შეხვედრა დასასრულს უახლოვდება და ამიტომ მინდა მოვასწრო და გითხრა ჩემი შეხედულება ხალხზე და დროებაზე“, თქვა ლუციფერმა ოდნავ დაღვრემილი ტონით.

„შენ და მე თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობაში ვართ. ჩვენ ვთამაშობთ ერთი და იგივე დეკორაციებით მორთულ სცენაზე. ჩვენ ერთი ერის მსახიობები ვართ. ეს არის ებრაელი ერი. ჩვენ ვართ მათი მთავარი „ზღაპრებისა და არაკების წიგნის, ბიბლიის“ მთავარი გმირები, შენ ხილული, მე კი უხილავი“, თქვა ლუციფერმა და გააგრძელა:

„წმინდა ბიბლია განსაკუთრებული წიგნია. იგი გამორჩეული ერის, ებრაელი ხალხის ისტორიაა. იგი არის მოთხრობა დაბადებიდან გამოცხადებამდე სადაც უმთავრესად ებრაელი ხალხის ვნებათაღელვებია აღწერილი, თუ მოთხრობაში სხვა ერებიც არიან მოხსენიებული ეს ხდება იმდენად თუ როგორი კონტაქტი აქვთ მათ ისრაელთან“, თქვა ლუციფერმა.

„ამბობ იმას, რაც ფრიად ცხადია. ხომ სწერია ახალ აღქმაში „ვინ არის ებრაელები; ისინი ვინც იშვილა, ვისაც დიდება მისცა, ვისთანაც შეთანხმება დადო, ვისაც რჯული უბოძა და ვინც ემსახურება უფალს, იზიარებს მის პირობებს“ (რომაელები 9:4) ჩაურთო სიტყვა იესომ.

„მაშასადამე ყველაფერი, მათ შორის თვით უფალთან შეთანხმებაც კი ერთპიროვნულად ეკუთვნის ებრაელ ხალხს. ხოლო სახარება თავიდან ბოლომდე მისი ყველა ნაწილი ეკუთვნის ებრაელ ხალხს და ებრაელთა ღმერთის იაჰვეს, რომელიც ებრაელებმა აღმოაჩინეს. ბიბლიის ავტორებიც ებრაელები არიან, რომლებიც შთაგონებულები იყვნენ და უფლის სიტყვას წერდნენ. ასეთია ფაქტები რომლებიც ჩვენს განკარგულებაში არიან. ყველა ბიბლიური წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველება მეტ-ნაკლები სიზუსტით სრულდებოდა, მაგრამ ისმის კითხვა:

შესაძლებელია თუ არა წინასწარმეტყველების თავიდან აცილება?“ თქვა ლუციფერმა.

„დიახ, შესაძლებელია, თუ ვიცით მოსალოდნელი შედეგის რეალურობა, მაგრამ ეს არავინ იცის ჩვენი მამის გარდა“, მიუგო იესომ.

„მე ვიცი მისი შედეგის შესახებ. ახლა ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ბოლო ბიბლიური წინასწარმეტყველება იესო ქრისტეს შტორმისმაგვარი დედამიწაზე შემოჭრის შესახებ, რაც იესოს მეორედ მოსვლად არის ცნობილი და საყოველთაო კატასტროფას გამოიწვევს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნუთუ ისრაელისა და დედამიწის ბედი ერთი და იგივეა?

იესო! შენ როგორ ფიქრობ, დედამიწას და ისრაელს ერთი ბედისწერა აქვთ?“ ჩაეძია ლუციფერმა.

„ვინ იცის, ვინ იცის“, თავი აარიდა პასუხს იესომ.

„ახლა ჩვენ უეჭველად ვცხოვრობთ ე. წ. „ბოლო დღეების“ პერიოდში. დედამიწის საბოლოო კატასტროფა

რომ მოხდეს უნდა შესრულდეს მთელი რიგი ებრაეული წინასწარმეტყველებები: იერუსალიმის ტაძრის აღდგენა, მილიონობით ქრისტიანი მორწმუნის ზეცაში აღზევება, რელიგიური და ეთნიკური ომები, მესამე მსოფლიო ომი, ანტიქრისტეს გამოჩენა, მსოფლიო მშვიდობის დამყარება, მსოფლიოს მთავრობისა და მსოფლიო რელიგიის შექმნა, მსოფლიოს ერთიანი კოსმოსური და ჩვეულებრივი ძალების სარდლობის დაარსება, მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება.

ცალკე სათქმელია ერთიანი საიდენტიფიკაციო ბარათის შექმნა. მისი მონაცემები „666“-ზე იქნება ბაზირებული. ამის თაობაზე ბიბლია ასე აღნიშნავს:

„...კაცის ნომერი იქნება 6 ასეული და 66“ (გამოცხადება) სულ „666“.

ეს ნომერი უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ყველა ქალაქელსა და სოფლელს. იგი კისერზე, შუბლზე, საფეთქელზე ან მარჯვენა ხელის ზედა ნაწილზე უნდა იყოს მოთავსებული.

„და ვერც ერთი კაცი ვერ იყიდის ან გაყიდის რაიმეს თუ არ ექნება „მხეცისადმი“ (მსოფლიო მთავრობა) ლოიალობის სპეციალური ნიშანი“ (გამოცხადება 13:17).

ბევრი დავაა ნომერ „666“-ის წარმოშობის შესახებ. არის მრავალი ვერსია, მაგრამ ერთი რამ ცხადია. ნომერი „666“ წარმოადგენს მსოფლიოს სრულყოფილების ნიშანს, მართლაც სამყარო ექვს დღეში შეიქმნა და იქ არის ექვსი მთავარი მიმართულებები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, ზემოთ და ქვემოთ“, დასძინა ლუციფერმა და გააგრძელა:

„კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ ჩვენი უფლისა და მისი ერთადერთი შვილის, იესოს დედამიწაზე შემოჭრის ერთ-ერთი მიზეზია ის გარემოება, რომ ვინც ამ ნომრის ტარებას არ დაიწყებს, მათ ანტიქრისტე და ე. წ. „დიდი უბედურე-ბების“ პერიოდის სპეციალური გამანადგურებელი რაზმები სიკვდილით დასჯის. ხოლო იესო ქრისტე მათი გადარჩენის ოპერაციას ჩაატარებს. ამის შემდგომ გადარჩენილ ხალხს იესო ნომერს შეუცვლის და მათ ახალ ნიშანს „888“-ს მიანიჭებს. ე. ი. გამოდის, რომ:

„666“ არის სატანასა და ანტიქრისტეს ნიშანი.

„777“ არის უფლის ნიშანი.

„888“ არის იესო ქრისტეს ნიშანი“.

„მინდა ხაზგასმით ავღნიშნო“, დააზუსტა ლუციფერმა, და დასძინა:

„ჩვენ გვინდა, რომ ყველამ ნათლად იცოდეს, რომ ლუციფერი მისი ოჯახის წევრები და მომხრეები, მკვლელები არ არიან. ეს არ არის ჩვენი მოვალეობა. ჩვენ არავინ დაგვიხოცავს, არ ვხოცავთ ახლა და არც არავის დახოცვას ვაპირებთ მომავალში. არ არის არც ერთი მაგალითი ბიბლიაში, რომ მე კაცი მომეკლას. თუ იობის ოჯახის ტრაგედიას გავიხსენებთ, რომლის ოჯახის ათამდე წევრი დაიღუპა, ეს ჩემი ბრალი არ არის. მაშინ უფლის დავალებას ვასრულებდი. ეს იყო უფლისადმი ლოიალობის ტესტი, რომლის ჩატარება მე დამეკისრა. ასე რომ იობის ოჯახის წევრთა სიკვდილი ჩემი ბრალი არ არის. უფალმა კი 13 მილიონამდე ადამიანი მოკლა. ასე რომ, არც მე და არც ჩემს შვილს ანტიქრისტეს, რომლის დედაც, ისევე როგორც დედაშენი ქალბატონი მარიამი უბიწო ქალიშვილი იყო, არავინ დაგვიხოცავს.

ჩემი შვილი, ანტიქრისტე ითვალისწინებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებებს და, რა თქმა უნდა, არავის არ დახოცავს, თვით ყველაზე შავბნელ კრიმინალებსაც კი, რათა შენ, უფლის ერთადერთ და საყვარელ შვილს, იესოს დედამიწაზე შემოჭრის საბაბი არ მოგცეს. პირიქით, ანტიქრისტე სრულ დემოკრატიასა და საყოველთაო მშვიდობას ამყარებს გაეროსა და მსოფლიო მთავრობის დიდი ატორიტეტით. ამავე დროს ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვისაც როგორი ნომერი უნდა ისეთს ატარებს, მაგრამ გაეროსა და მსოფლიო ხელისუფლების კომპიუტერული მატრიცის ბაზა „666“ იქნება. ამავე დროს სხვა ნომრის მატარებელ ხალხს არავითარი შეზღუდვა არ ექნებათ.

ხალხი სხვადასხვაა. ზოგს სასახლეში უყვარს ცხოვრება და ზოგიც უბინაოდ ტყეში ცხოვრობს. ამიტომ ზოგს „აიდი“ ექნება, ზოგიც მის გარეშე იცხოვრებს, მაგრამ სოციალური უპირატესობებით, რასაც საერთო ბაზაში ყოფნა იწვევს ვერ ისარგებლებს“, თქვა ლუციფერმა და კვლავ გააგრძელა გულისხმიერი საუბარი იესოსთან.

„ჩემო ძმაო! კარგა ხანია ვსაუბრობთ და ბოლოს დასკვნასავით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენმა თითქმის ორი

ათასწლოვანმა მოღვაწეობამ ბევრი რამ ფრიად ნათელი გახადა. ბოლოსდაბოლოს, გავიგეთ თუ რა სურს ხალხს, რა აქვთ თავში და, როგორი ხასიათის არიან.

„ხალხში ყველა თანასწორები არიან, მათ ერთი მიზანი აქვს ტანჯვით მოიპოვონ თავიანთი სასუფეველი“, თქვა იესომ.

„ეგ ბუდამ თქვა და ამ აზრს შენ ინდოეთში მომსახურების დროს გაეცანი. აზრი სწორი, მაგრამ ჩვენ გვინდა ტანჯვას ავცდეთ და მივაღწიოთ სულიერ სრულყოფილებას უკვე ამ ქვეყენაში და არა საიქიოს“.

„ტანჯას და სასოწარკვეთილებას ნუგეში და თანადგომა სჭირდება. ტანჯვა-ნუგეშზეა აგებული ქვეყნიერება“, თქვა იესომ.

„ჩემი აზრით კი სურათი სხვაგვარია. მსოფლიო მოსახლეობის 1 პროცენტი არის მოწინავე და ჭკვიანი. დანარჩენი 99 პროცენტი კი არის მასა, რომელსაც ხელმძღვანელი სჭირდება. ასეთ ხელმძღვანელად გახდი შენ და უფროსი აღმასრულებელი მენეჯერი, ჩვენი უფალი იეჰოვა. მე დავრჩი მოსახლეობის 1 პროცენტის ხელმძღვანელად. შეიძლება ციფრები შეიცვალოს, მაგრამ ტენდენცია ერთია. ზოგიერთ ერში ჭკვიანთა რაოდენობა მეტია, ზოგშიც ნაკლები. ჩემის აზრით ყველაზე ჭკვიანია ერი, ღვთის რჩეული ებრაელი ერი არის, რომლებმაც მიიღეს ქალდეველების კულტურული მემკვიდრეობა. მერე მოდიან ჩინელები, სომხები და ანგლო-საქსები. საერთოდ, ჭკვიანია ის ერი, რომლეიც ახერხებს მსოფლიოს სხვადასხვა ერების კულტურული მემკვიდრეობის მიღებას ისე, რომ საკუთარი არა თუ დაკარგოს, არამედ უფრო განავითაროს.

ხალხები და ადამიანები არიან ცნობისმოყვარეები, გამომძიებლები, და ჩვეულებრივები, ანუ ასე ვთქვათ მასა, რომლებსაც გამორჩეულად ყოფნა არ შეუძლიათ.

დაკვირვება აჩვენებს, რომ ადამიანთა უმრავლესობას, ანუ მასას ბუნებით არ შეუძლიათ „მოათვინიერონ“ თავისუფლე-ბა, ან იზრუნონ მასზე, მიიღონ მორალური გადაწყვეტილება და დაიცვან მშვიდობა. მშვიდობა სიპია, ხელიდან სხლტება, მას ვერ მიუდგები თუ გონიერი არ ხარ. ეს მძიმე სამუშაოა და შესანიშნავი პასუხისმგებლობაა. როგორც დოსტოევსკი აღნიშნავს, მასის, არც ერთ წევრს აბსოლუტურად არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა.

სხვა სიტუაციაა სოციალური საზოგადოების ერთ პროცენტში,

ეს ელიტ კლასია, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის მატერიალური ფასეულობებსა და კომფორტს ჰქმნის. ისინი ასევე ყველას მაგივრად იღებენ მორალურ გადაწყვეტილებებს. წარუმატებლობის შემთხვევაშიც პასუხსაც თვითონ აგებენ. ეს გარკვეულად მათ ელიტ-კლუბში ყოფნის საფასურია. ისინი აკავშირებენ ხალხებს, მათთვის გასაგები ფასეულობების მიხედვით, რადგან „მასას“ არ შეუძლია განსხვავების დანახვა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან ერთი პროცენტის ჯგუფიდან გამოსული განსაკუთრებით ნიჭიერი პიროვნება, ჰუმანიტარული მოსაზრებებით უნდა აკონტროლებდეს ათობით ათას „მასის კლასის“ ჯგუფებს. „მასის“ კონტროლი არის „ელიტ ჯგუფის“ ერთ-ერთი ამოცანა. „ელიტ-კლასი“ ზოგჯერ იმუქრება და შესაბამის ზომებსაც იღებს, რათა დააშოშმინოს „მასის კლასის“ ასი ათასობით აღელვებული ინდივიდი.

ამრიგად, უმეტესი სიკეთისათვის და „მასის კლასის“ ინტერესების დასაცავად „ელიტ კლასის“ ხელმძღვანელი პიროვნება მეტწილ შემთხვევაში აღვირახსნილი მოძალადე უნდა იყოს, თუ საჭიროება მოითხოვს მან უნდა მოკლას კიდეც „მასის კლასის„ მერყევი ელემენტები. ეს საჭიროა რათა დაცული იქნეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური სისტემა, პილიტიკური იერარქია და „მასის კლასის“ ფასეულობები.

იესო! ჩემო ერთ-ერთო ძმაო! უფლის შესაძლოა ყველაზე რჩეულო შვილო! ხომ იცი რომ ძმებს შორის არსებული მტრობა ყველაზე ძლიერი მტრობაა. ასეთი ცუდი პერსპექტივების მიუხედავად ნება მიბოძე ბანქო ბოლომდე გავხსნა“, თქვა ახოვანმა ლუციფერმა და იესოს არწივისებულ ცხვირს დააცქერდა.

„გახსენი“, მოკლედ გამოსცრა შავგვრემანმა იესომ და ნაწნავებიანი თავი დასტურის ნიშნად დააქნია.

„ჩემის აზრით, ასეთი იყო საზოგადოებრივი სურათი ე. წ. „დიდი უბედურებების“ პერიოდის დაწყების წინ, დაახლოებით შვიდი წლის წინათ. ამ დროს შენ და ჩვენმა მამამ გადაწყვიტეთ ზეცაში წაგეყვანათ „მასის კლასის“ მილიონობით თქვენი მიმდევარი. ამავე დროს, უამრავი ქრისტიანი განადგურდა, შენს მიერ ორგანიზებული მასიური ზეციური დაბომბვების დროს, სხვადასხვა ჭირის დედამიწაზე ჩამოყრისას, რელიგიური და ეთნიკური შეტაკებების დროს. უამრავი ადამიანი დაიღუპა ახლახან დასრულებელი მესამე მსოფლიო ომის შედეგად, რომელმაც რუსეთი

(მაგოგლენდი) გაანადგურა. ახლა მივადექით არმაგედონის ომს.

იესო! ხომ იცი, რომ შენს მიერ ორგანიზებულ ყოველდღიური დაბომბვების დროს მეტწილად „მასის კლასის“ წარმომადგენლებს ხოცავ. იმის გამო, რომ „მასის კლასის“ მილიარდობით ადამიანი დაიღუპა, „ელიტარული კლასის“ პროცენტული რაოდენობა გაიზარდა, „მასის კლასის“ რაოდენობის შემცირების ხარჯზე. „ელიტარული კლასი“ ფაქტიურად უხიფათოდ არის მოთავსებული მიწისქვეშა ქალაქებში და მთის მწვერვალებზე მოთავსებულ თავშესაფრებში. აქ მათ შეზიდეს და შეინახეს მთელი კაცობრიობის კულტურული საგანძური“.

„ის რაც ძველი და დრომოჭმულია უნდა წავიდეს და ახლა კი ახლად აღორძინდეს, ჩვენი დიდი მამისა სადიდებლად და ჩვენს საკეთილდღეოდ“, სიტყვა ჩაურთო იესომ.

„როდესაც პირველად მოხვედი შენმა ხალხმა არ მიგიღო“ (იოანე 1:11), როდესაც მეორედ მოხვალ ასევე ურწმუნოთ მიგიღებენ (ლუკა 18:8).

იესო! მოდი ვიყოთ რეალისტები. დრო თითქმის აღარ გვაქვს. ერთმა ძლიერმა, შენმა მიმდევარმა ანგელოზმა (ალბათ მიხეილმა) უკვე დაიყვირა: „მეტი დაყოვნება აღარ იქნება“-ო (გამოცხადება 10:6). შენ კი კვერი დაუკარი! წადი და უფლის საყდარი გაზომე (გამოცხადება 11:1) რაც ნიშნავს სადამსჯელო ოპერაციები დაიწყეო.

მოდი დავბრუნდეთ დედამიწაზე და იქნებ ზეგავლენა მოვახდინოთ უფლის გეგმებზე, რომლის მთავარი შემსრულებელი შენ ხარ. „მასის კლასის“ ხალხს შენ პირდები „ახლა იერუსალიმში“ ცხოვრებას, სადაც ისინი უზრუნველად და დარდის გარეშე იცხოვრობენ. ეს ხომ „მასის კლასის“ ტოტალური ზომბირებაა“, ისე თქვა ლუციფერმა, თითქოს განმარტებას იძლევაო.

„შენ ხარ დიდი დრაკონი, გველეშეპი, უძველესი დროის მცურავი ეშმაკი და სატანა, რომელიც უხსოვარი დროიდან ცდილობს მსოფლიოს შეცდომაში შეყვანას. შენ გააუბედურე დედამიწა, გაუკაცრიელებული ქალაქებით და უდაბნოებით დაფარე იგი, დაავადე ხალხი, მოწამლე ატმოსფერო. მე ფიცი მაქვს დადებული, რომ დედამიწა ვიხსნა, მისი მტრები გავანადგურო, დატყვევებული ხალხი გავანთავისუფლო, ისევე როგორც ასურელების ლაშქარი გავანადგურე და

ისრაელი ვიხსენი. მე ვთქვი, რომ ჩემი ხალხი აღარასოდეს იქნებიან მონები და ეს მთელ დედამიწას ეხება. მე შევქმნი ახალ მიწას და ახალ ზეცას, სადაც არ იქნება შუღლი, რისხვა, გარყვნილება, სიკვდილი და გლოვა! ეს ცოდვილი მიწა კი სიცხეში დადნება“ (2 პეტრე 3:10,12), მრავალმნიშვნელოვნად განმარტა იესომ და ორიოდ ნაბიჯით დასცილდა ბუხარს, თითქოს სიცხემ შეაწუხაო.

„ისე ღრმად ლაპარაკობს, რომ შეიძლება თვითონვე ვეღარ ახერხებ გაზომვას“, ამოიოხრა ლუციფერმა.

„შიში გიპყრობს, ვაითუ არაფერი გამომივიდეს იმ საქმისგან, რამაც ამ მხარეში გადმომაგდო და ჩემთან ლაპარაკი გაიძულა“, წარმოთქვა იესომ.

„ვშიშობ, რომ რაღაც ღრმა გეგმა გაქვს თავში, მაგრამ ჩემი მოვალეობაა სათქმელი დავასრულო“, განმარტა ლუციფერმა და განაგრძო:

„მე, ისევე როგორც შენ ჩემი კლასის ინტერესებს ვიცავ თუ შენი ხალხი „ახალ იერუსალიმში“ აპირებს ცხოვრებას, ჩემი ხალხი ჩვენს პლანეტაზე აპირებს დარჩენას. ეს ჩვენი პლანეტაა. იგი ალბათ ყველაზე ლამაზია სამყაროში. ასე რომ ახლა შენ ხედავ ვითარებას და სურათს, და მოდი ნულარ დაარტყამ დედამიწას. გვეყო ნგრევა და სისხლისღვრა. შენს მიმდევარ „მასის კლასის“ დარჩენილ მოქალაქეებსაც მივხედავთ. ზოგიერთი მათგანის ბავშვებს აღზრდა-განათლების პერსპექტივას მივცემთ. მათგან საუკეთესოებს „ელიტარულ კლასში“ გადმოვიყვანთ. ჩვენი თხოვნაა თავი დაანებე ხალხის გაბრუებას. ნუ აღელვებ მათ. ნუ პირდები აუხსენელ ილუზიებს, დააბრუნე ისინი ბუნებასთან.

ჩემს ხალხს ბუნება უყვარს. ჩვენ ბუნების შემადგენელი ნაწილი ვართ. მას ვისაც ბუნება უყვარს, არ შეუძლია მისგან შორს იყოს. იყოს ბუნებით აღტაცებული მისთვის ისევე საჭიროა, როგორც ცხოვრება და სუნთქვა. იგი ბუნებაზე ექსპერიმენტსაც არ ატარებს. მას არ ესმის რა საჭიროა მდინარეს დინების მიმართულება შეუცვალო, მთვარე მოსპო და მის მაგივრად ახალი მთვარე შექმნა. ჩემი ხალხი ბუნებას ყოველ ცისმარე დღე აკვირდება. ეს ხდება წვიმაშიც, სიცხეშიც და სიცივეშიც, ტყეებში და სოფლებში, ხმელეთზე და ზღვაში, ჰაერში, ყველგან რაიმე საინტერესოს ნახულობს.

ყოველ წუთს მის გარშემო საოცარი ამბები ხდება. იგი

დაუღლელად დახეტიალობს ქალაქების გარეუბნებში, ყველა-ფერს აკვირდება, ყურს უგდებს ბუნების ოდნავ შესამჩნევ ხმებს, გრძნობს ველებისა და ტყეების სუნთქვასა და არომატს, გრძნობს ტემპერატურის ოდნავ ცვლილებასაც კი. ეფერება ბუჩქებს, რათა იგრძნოს ჩვენი პლანეტის სიახლოვე, ისინი ჩემი ადამიანები არიან, რომლებიც დაჯილდოევებულები არიან ბუნების სისავსეობის შეგრძნებით.

შენს მიმდევრებს შორის კი ძალიან ცოტანი არიან ბუნების ნამდვილი მცოდნენი. ამიტომ მათთვის იოლია ჩვენი პლანე-ტის გადადნობა და ილუზიურ „იერუსალიმში“ გადასახლება. ისინი სიკვდილს დიდი ეჭვით ხვდებიან, შფოთავენ, ღელავენ, არ არიან დარწმუნებულები მომავალში.

ჩემი ხალხი, როდესაც დრო მოდის სიკვდილს ისევე წყნარად ხვდებიან, როგორც ცხოველთა უმრავლესობა ხვდება, ამაყად და ღირსეულად.

შენი ხალხი საფლავში მარტო სიკვდილს ნახავენ. ეს არის არაფრის, არარსებობის კონდიცია. ნუ ეუბნები მათ უფლის ჯილდოს შესახებ. ზეციურ და მარადიულ ცხოვრებაზე, სამოთხეულ ბედნიერებაზე. კმარა ტყუილების ლაპარაკი, ისეთი როგორიც არის ე. წ. „პირველი სიკვდილი“, „მეორე სიკვდილი, „მარადიული ცხოვრება“.

„გლობალური აღდგომა ჩემი მეორედ მოსვლის შემდეგ მოხდება. ბიბლიაში ცხრაჯერ ვხვდებით მკვდრების აღდგომის ან გაცოცხლების შემთხვევებს. მათ შორის არის განსხვავება. აღდგომის გარეშე ქრისტიანობა მხოლოდ ჭკვიანურ მოძღვრე-ბად დარჩება. მხოლოდ აღდგომის საოცრებამ გარდაქმნა ქრისტიანობა რელიგიად. აღდგომამ დაამარცხა სიკვდილი. იგი ქრისტიანობის ქვაკუთხედია. მე ხალხს განვუცხადე, რომ „მე ვცხოვრობ და შენც იცხოვრებ“ (იოანე 14:19). უფრო ადრე ისაიამ იგივე თქვა „შენი მკვდარი ერთ დღეს გაცოცხლდება“ (ისაია 26:19). მას კიდევ ერთი ბრძენი კაცი დანიელიც ეთანხმება (დანიელი 12:2). თავად ებრაელების მამამთავარს ღრმად სჯერა უფლის ყოვლისშემძლეობა, რომ მსხვერპლად შეწირულ ისაკს უფალი კვლავ გააცოცხლებდა (ებრაელებს 11:19). ასე რომ ჩვენ არავის ვაბრუებთ და არც ვატყუებთ“, ღიმილით განმარტა იესო ქრისტემ.

„ასეთ რამეებს ბიბლიაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ არ

დაგავიწყდეს, რომ შენ უკვდავი ხარ, ჩვენ კი – მოკვდავებზე ვსაუბრობთ“, შენიშნა ლუციფერმა.

„სწორი ხარ და ცოდვაც იქნება წინ აღვუდგეთ ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, მაგრამ უნდა შეგვეძლოს არ ვიყოთ რადიკალები, უნდა ვიცოდეთ ბიბლიის სტროფებს შორის კითხვა“, დასტური გამოთქვა იესომ და ისეთი სახე მიიღო თითქოს საუბარი დაასრულაო.

„მაშასადამე ამ უმნიშვნელოვანესი ფენომენის შესახებ ორი შეხედულება არსებობს. ერთია სიკვდილის შემდგომი აღდგომა და სამუდამო სასუფეველი, რომელსაც შენი მიმდევრები აღიარებენ და მიყვებით, და მეორეა დაბნეულობა, რომ სიკვდილის შემდეგ ყველაფერი თავდება. ალბათ ბიბლიის ყველაზე ძველი ნაწილი „იობის წიგნი“ სვამს კითხვას: „სიკვდილის შემდეგ ადამიანი კვლავ იცოცხლებს?“ (იობი 14:14). ძველი აღქმის მიხედვით სიკვდილი მეტწილად დასასრულია. „მტვერი იყავ და კვლავ მტვრად იქეც“ (დაბადება 3:19). „მკვდრებმა არაფერი იციან“ (ფსალ. 115:17). ამავე დროს მკვდარ კაცს არავითარი უპირატესობა არ აქვს მკვდარ ცხოველთან შედარებით. ორივე დავიწყების სტადიაში გადადიან (ექლეზიასი 3:19;20). მათ ენიჭებათ შეუგრძნობლობის დავიწყებისა და არარსებობის სტატუსი. (ფსალმუნი 146:4) აღნიშნავს, რომ სული მიდის სიკვდილიდ დროს და მკვდარი კაცის სულს უფლება არა აქვს ცოცხალი ადამიანის სულთან დაამყაროს კავშირი. ასეთი კავშირი ჯადოქრობით და უფლის ნების წინააღმდეგ წასვლა იქნება (მეორე სჯული 18:10-15).

სულის კონფიგურაციის დადგენაში დაგვეხმარება ფორმულა A + B = C, სადაც A არის მტვერი, B არის სუნთქვა, რომელიც უფალმა ჩაბერა პირველად შექმნილ ადამიანებს ნესტოებში, ხოლო C არის სული. ე. ი. მტვერი + სუნთქვა = სულს. როდესაც ადამიანი კვდება სუნთქვა ანუ სიცოცხლე სტოვებს სხეულს, რომელიც მტვრად იქცევა. სხეული და სუნთქვა სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. სული კი კვდება, ქრება როგორც გადამწვარი ნათურა. აღარ არის შუქი და აღარ არის სიცოცხლე. რაც შეეხება მკვდარ სულს იგი უფალს ეკუთვნის (ეზეკიელი 18:4). ასე რომ არავითარი აღდგომა და გარდახორციელება არ არსებობს. რა თქმა უნდა, მკვდრის გაცოცხლება შეიძლება ზომბირების სახით. მას სული არ ექნება. ეს მოხდება ისე,

როგორც ეს შენ ლაზარეს შემთხვევაში გააკეთე. ლაზარე გაცოცხლდა, როგორც ზომბი. მას გამრავლების უნარი არ ჰქონდა. საერთოდ რეინკარნაცია არალოგიკური იდეაა და ჩვენი პლანეტის თითქმის 10 მილიონიანი მოსახლეობისათვის ვერ გამოდგება. არალოგიკური ჩანს ამდენი ხალხის რეინკარნაცია. უბრალო დაანგარიშებით ეს 50 მილიარდი კაცი იქნება ამისათვის ახალი „სულების მანქანის“ გამოგონება საჭირო.

რეინკარნაციის იდეა შეიძლება პატარა ტომობრივ გაერთიანებაში გამოდგეს, როდესაც ტომის წევრი ერთდროულად ხედავს ბაბუის გარდაცვალებას და შვილიშვილის დაბადებას. შეიძლება მან იფიქროს, რომ ბაბუის სული შვილიშვილში გაინკარნირდა, მთელი დედამიწისთვის ეს იდეა მიუღებელი სჩანს. ხომ ასეა იესო?“ იკითხა იესოს გულისხმიერი მზერით მოხიბლულმა ლუციფერმა.

„ჩვენ არ ვიცით თუ რატომ აუკრძალა პირველ ადამიანებს ჩვენმა მამამ იეჰოვამ ცოდნის ხიდან ხილის მირთმევა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ხალხი მზად არ იყო და უფალი ელოდებოდა მათ განვითარებას. ჩემის აზრით, როგორც კი პირველი ადამიანები საკმარის ცოდნას დააგროვებდნენ უფალი მათ ყველაფერს მცოდნედ და უკვდავებად აქცევდა, ე. ი. ნებას მისცემდა მათ მიერთვათ ხილი ცოდნისა და სიცოცხლის ხეებიდან. მორჩილება, მოთმინება და ცოდნა უნდა ყოფილიყო ის საყრდენი აგურები, რომელიც კაცობრიობას მრავალ უბედურებას ააცილებდა. პირველი ადამიანები დროებით გაუნათლებლები დარჩნენ. თავიანთი ამპარტავნობის გამო ისინი დღესაც ასეთები არიან და ამიტომ მათ არ შეუძლიათ უფლის გეგმის შესრულება. მათ არ გაამართლეს უფლის იმედები და შესაცვლელები არიან. საჭიროა რადიკალური ცვლილებები და ამიტომ ვარ აქ“, თავი აარიდა პირდაპირ პასუხს იესომ.

„დიახ მოხვედი და ჩვენ ძალიან გვიხარია რომ აქ ხარ“, კვერი დაუკრა ლუციფერმა და თავის ოქროსფერ თმებში თითები შეაცურა.

„შენი ჩვენთან სტუმრობა იმედს გვაძლევს, რომ იქნებ ერთმანეთს გავუგოთ. ახლა არის ოცდამეერთე საუკუნის შუა პერიოდი. მრავალი საუკუნეა ხალხი შენს მოსვლას ელოდება. ახლაც დგანან და მონდომებით გელიან. ბევრი მათგანი

პარასკეობით თავიანთ კონგრემაციაში იკრიბება და მღერიან „იესო მოდი, გადაარჩინე ჩვენი სულები“. ვთქვათ ერთ შუა დღეს მათ ღრუბლებიდან დაენახვები ან მეტი შთაბეჭდილებისათვის ცხენზე შემჯდარი გამოჩნდები ან თეთრ ტახტზე დაჯდები ან მათთან მიხვალ და მთავარ, გადარჩენილ ქალაქების ქუჩებში გაივლი. დარწმუნებული ვარ, შენი ახლანდელი კანის ფერის მიუხედავად, ყველა მაშინვე გიცნობს. შენ მათ მიესალმები, ხელს აუწევ, ნაზი, სათნო ღიმილით, სელფს გადაიღებენ შენთან, კალთებს დაგიკოცნის. შეიძლება რომელიმე ბრმა ქრისტიანს თვალი აუხილო, ზოგს ყვერებში ხელი ჩაავლო და პროსტატის ან შარდის შეკავებისაგან განკურნო, ქუჩის შადრევანზე შესდგე, წყალზე გაიარო, მორგში შეხვიდე და რამდენიმე ადამიანი გააცოცხლო სიტყვებით „ქალწულო ადექით!“ ან „მოყმე დრო არის გაიღვიძოთ სამუშაოზე წასვლის დროა“, ხოლო დამსწრე საზოგადოებას ან ექიმებს კი ჰკითხო:

„რატომ გიკვირთ და ქვითინებთ? ამ ხალხს ხომ მხოლოდ ძინავს“.

ტრიუმფი დიდი იქნება. შესაძლებელია რომელიმე გამბედავი რეპორტიორის მიკროფონითა და კამერებით მიგიახლოვდეს და გკითხოს:

„თქვენ იესო ხომ არ ხართ?“ შენ კი სათნო ღიმილით თავმდაბლად მიუგებ:

„ეს ხომ შენ თქვი“.

მაგრამ რა მოხდება შემდეგ? როგორი იქნება მოვლენების შემდგომი განვითარება?

ამჟამად უფლის ბრძანებით მთელი ძალაუფლება დედამიწაზე მე მაქვს გადმოცემული. ასეთი ვითარება გაგრძელდება არმაგედონის ომამდე. ახლა რასაც აკეთებ, მხედველობაში მაქვს დედამიწის ახლანდელი დაბომბვები, არის ჩემი და დედამიწის საქმეებში უხეში ჩარევა და მიმართულია ჩემს წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ უფალმა არ იცის ამის შესახებ.

არმაგედონის ბრძოლის დროს ჩინეთი ისრაელსა და მის მეგობარ ქვეყნებს უნდა დაეჯახოს. ამის მერე ომები აღარ იქნება, მაგრამ იქნება თუ არა დედამიწა ეს ძალიან საკითხავია. მე ჩემი ძალაუფლება ჩემს შვილზე ანტიქრისტეზე და ჩინეთის ლიდერზე, გოდორი ხანზე გადავანაწილე. ისინი აღარ იომებენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ასე რომ, „გამოცხადებაში“

ხაზგასმული შენი დედამიწაზე შემოჭრა საჭირო აღარ არის. რატომ უნდა მოხვიდე? ისრაელს ხომ არავინ ემუქრება, რომ მოხვიდე რა უნდა მისცე დედამიწის მოსახლეობას უკეთესი? თავისუფლებას შეპირდები? ვისგან? დედამიწა უკვე თავისუფალია. არავინ არ ჩაგრავს ვინმეს. ყველანი დედამიწის ერთიანი ხელისუფლების ქვეშ არიან გაერთიანებულები. მათი ხელმძღვანელი ჩემი შვილია გოდორი ხანთან მჭიდრო თანამშრომლობაში. მეტი თავისუფლება შეუძლებელია. იგი ანარქიაში გადაიზრდება.

ხალხის უმრავლესობამ თავიანთი ე. წ. „თავისუფლება“ ჩვენს, შენს და ჩემს ფეხებთან დადეს. გვითხრეს:

„არ გვინდა თავისუფლება, ვიქნებით მონები, ოღონდ გვიხელმძღვანელეთ და გვაჭამეთ!“

ამ ხალხს არ აქვს და არ სურს თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობის მორალური მხარე. მათ არ შეუძლიათ სულიერი აღფრთოვანება, გააკეთონ რაიმე ახალი, სპეციალური, იყვნენ ე. წ. არაჩვეულებრივი „სოციალური ცხოველები“. მე ამ დასკვნამდე მივედი, როდესაც მივიღე მთელი ინფორმაცია და დაკვირვებების მონაცემები, კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდან დღემდე“, მოზომილი ტონით განაცხადა ლუციფერმა.

„კარგი პათეტიკური გამონათქვამებია მხოლოდ. იგი ვერ მოიცავს ისტორიის ყველა კუთხე-კუნჭულს. დრო არის გამოიღვიძო, მაგრამ თუ არ იცი როდის გაიღვიძო, მე გაგაღვიძებ როდესაც ქურდივით მოვალ შენთან, და არ გეცოდინება როდის მოვალ“ (გამოცხადება 3:3). როდესაც მოვალ „ჩემი პირიდან გამოიჭრება ბასრი მახვილი, რომელიც დალახვრავს ერებს. რკინის ბაგირით ვმართავ მათ, როდესაც უფლის რისხვის საწნახელში გავატარებ მათ“ (გამოცხადება 19:15), ნაზი ღიმილით შენიშნა იესომ.

„სანამ ამას გააკეთებ, კიდევ ერთხელ განვაცხადებ, რომ არსებობენ ათობით ათასი ადამიანების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ბუნებით განსხვავებულები არიან. მათ ძალუძთ აიღონ პასუხისმგებლობა და აქვთ შეგნება არა მარტო იცხოვრონ განსხვავებულად, არამედ ასევე შექმნან განსხვავებულობა. ამ გარემოებას კაცობრიობის ისტორია და ადამიანების ზნეობრივი განვითარება აჩვენებს. ეს არის „ელიტ კლასი“ და მათი ლიდერი მე და ჩემი ოჯახის

წევრები არიან. ამავე დროს ადამიანების უმრავლესობას არ აქვთ უნარი მოიპოვონ აუცილებელი რაოდენობის საკვები და ჯეროვან დონეზე შეიმოსონ. საკვების სიმცირე და საერთო სიდუხჭირე ადამიანთა ამ უდიდეს ჯგუფს აიძულებს დამოკიდებულები იყვნენ გარემოების მიმართ. მათ არ ძალუძთ დინების წინააღმდეგ ცურვა, ვითარების შეცვლა. და ასე არის დასაწყისიდან. მე მხედველობაში მაქვს ხალხის ცხოვრება ედემის ბაღის გარეთ, ძველი დროიდან დღემდე.

„დიდი უბედურების“ პერიოდში მილიონობით ადამიანი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მათ ძალიან გაუჭირდათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ისინი უუნარო არიან იბრძოლონ არსებობისათვის. ეს არის „მასის კლასი“ და მათი უფროსი შენ ხარ“, განაცხადა ლუციფერმა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. იესო და ლუციფერი ჯერ ერთმაეთს უყურებდნენ, მერე კი მცირე ხნით წინ და უკან დაიწყეს სიარული. იატაკმა ჭრიალი დაიწყო. ჭაღი ირყეოდა. ლუციფერი ფანჯარასთან შესდგა და განაცხადა:

„მალე გათენდება. კარგი იქნება თუ გადაწყვეტილებას მივიღებთ“, თქვა მან და მძიმე ფარდა გადაწია, ფანჯრის დარაბა გააღო. გამთენიის პირი იყო სახლის წინ მდგარ ხეზე უამრავი ყვავი იჯდა. თათბირი ჰქონდათ.

„გააგრძელე“, მოკლედ გამოსცრა იესომ და ბუხრის წინ ქიმზე ჩამოჯდა. ორი ნაჭერი შეშაც ცეცხლს შეუკეთა. ცეცხლის ალმა ოთახი გაანათა. ლუციფერი ბუხართან შედგა.

„იმის გამო, რომ „მასის კლასი“ ვერ აღწევს მიზანს, რათა გამოკვების თავისი თავი და ახლობლები, იგონებს მიზეზებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევას ხელს უშლის. იგი უამრავ მოვლენას ასახელებს, რომლებიც აფერხებს „მასის“ წინსვლას. ეს არის სხვადასხვა ტრადიციები და ტრანსცენდენტული მოვლენები, აუცილებელობისა და მოვალეობების გრძნობები, მაგია და ოკულტიზმი, სატანისა და დემონების მაგვარი ბოროტი ძალები, ყოფილი მეფეები, ახლა კი პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, ოლიგარხები, მთავარსარდლები, თავდა-მსხმელები, ოკუპანტები, ეკონომიკური კრიზისები, სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმები, შტორმები, გვალვები, ტროპიკული ქარიშხლები, ცუნამები, ავადმყოფობები.

„მასის ხალხი“, „ელიტ კლასს“ უყურებს როგორც მტრებს,

მაგრამ მათ გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. „ელიტ კლასში“ რამდენიმე ათასი ადამიანია. „მასა“ მათ როგორც უფროსებს ისე უყურებს, მათგან მითითებებსა და მხარდაჭერასდ ელის, რადგან თავად არ შეუძლიათ გადაჭრან თავიანთი პერსონალური პრობლემები. ისინი არიან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

თუ „მასის კლასი“ ძალიან დიდი რაოდენობით არის ერთ ქვეყანაში თავმოყრილი, იგი უკვე კონტროლს აღარ ემორჩილება. ასეთი ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სავსეა ინტრიგებით, ჭორაობით, წუწუნით, რომ ყველაფერში დამნაშავეა წინა ხელისუფლება, და აურაცხელი მტერი, მძიმე სამეზობლო, ამერიკული იმპერიალიზმი. ამ ქვეყანას რაც არ უნდა დიდი ბუნებრივი სიმდიდრეები ჰქონდეს, მაინც გაჭირვებული და ველური ინსტინქტებით ცხოვრობს, ძარცვა-გლეჯის იმედი აქვს. მაგალითად, შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა სუდანს, იემენს და საქართველოს. რა უშლიდა ხელს ამ ქვეყნებს რომ ყოფილიყვნენ წარჩინებულები? არაფერი, მაგრამ იმის გამო, რომ თავის დროზე „ელიტ კლასი“ გაანადგურეს, მერე აღარ იცოდნენ როგორ ეცხოვრათ. ისინი როგორც რუსეთი „მასის კლასით“ იყვნენ გაბერილნი და თავს ძარცვა-გლეჯითა და პირატობით ირჩენენ ან შიმშილით კვდებოდნენ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ისინი გაქრნენ დედამიწიდან.

კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად ომების ისტორიაა, რომელიც იწყება მხოლოდ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგე მისი მსგავსი არ არის. ომების უმეტესობა „მასის კლასის“ სულელური ინსტინქტების გამო ხდება და ყოველთვის ამ კლასის წარმომადგენლები იღუპებიან. „ელიტარული ხალხი“ ერთმანეთის მიმართ მეტწილად კეთილად არიან განწყობილნი, აქვთ კოორდინაცია და განხეთქილებები მათ შორის იშვიათია, მაგრამ თუ ხდება მაშინვე ომი იწყება. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე ქვეყანაში „მასის კლასის“ ქვენა გრძნობები დომინირებს. ამ ქვეყანაში „ელიტ კლასი“ ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას და ამის გამო ხდება ომი, რომელიც ერთადერთი საშუალება ხდება დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებლად.

მხარეები ომის მიზეზს იოლად ნახულობენ. მათ შეუძლიათ

თქვან, რომ ოპონენტი მხარე ტყუილ ღმერთს ემსახურება, რომ მათი ცხოვრების წესი არასწორია, შეიძლება ამორალურია და ამიტომ დასასჯელები არიან. „ელიტ კლასს“ კარგად ესმის მასის ფსიქოლოგია და როდესაც შეატყობს რომ რომელიმე ქვეყანა ძალიან „გამასდა“ ხდება ასეთი ქვეყნის ან ქვეყნების განკვეთა, როგორიც ეს მაგოგლენდის და საქართველოს მისამართით ხდება. ამაზე „ელიტა“ სრულ პასუხისმგებლობას იღებს.

„ელიტ კლასის“ უმეტესობას უყვარს ხალხი, ესმის „მასის“ მისწრაფებებს, ტანჯვისა და მღელვარების მიზეზები. მათი სურვილია რომ „მასის კლასის“ საუკეთესო შვილები ორგანულად გადავიდნენ და შეერწყნენ „ელიტ კლასს“, რომელიც წარმოშობით „მასიდან“ არიან. ასეთი პერიოდული გადასვლა და ფილტრაცია დედამიწას უფრო კეთილშობილს გახდის და მოსპობს ომების მიზეზებს. „ელიტ კლასი“ იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ისინი ჩემი მიმდევრები არიან. ისინი ჩემი ხალხია და მე ვარ მათი ხელმძღვანელი. ჩვენ გვიხარია ერთად ყოფნა და გვინდა რომ გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა და მისი ყველა ცოცხალი არსება, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ უფლის გეგმების შესახებ.

იესო! ნუ დაიწყებ შემოჭრას. დადექი ჩვენს მხარეს. დადექი დედამიწის მხარეს და წინ აღვუდგეთ ცის მტარვალის გეგმებს. ერთად ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“, თითქოს ორჭოფულად დაასრულა თავისი მონოლოგი ლუციფერმა.

„მჭევრმეტყველება მოქმედების გარეშე დავიწყების ბურუსში იძირება“, წარმოთქვა იესომ, ჯირკიდან წამოიმართა და ბუხრის კუთხესთან მდგარ ლუციფერს ახედა.

ყურადღებით ვისმენდი ლუციფერის ბრძენი სულის ლაპარაკს, იესოსადმი მის ხან კეთილ, ხან ფრიად მწვავე მიმართვებს და მეტად და მეტად ვრწმუნდებოდი რომ გადამწყვეტი მომენტი ახლოვდებოდა. გულში იმედი და სასოწარკვეთილება ერთმანეთს ცვლიდა. ვუყურებდი ლუციფერის მაღალ, თეთრ შუბლს, კეთულშობილური მოხაზულობის ოდნავ კეხიან ცხვირს, და მხრებამდე ჩამოშლილ ოქროსფერ თმებს, სულში იმედის და მშვიდობიანობის სხივი იჭრებოდა. ეჭვი მიპყრობდა, რომ ასეთი ქმნილება დამარცხებულიყო, მაგრამ როდესაც იესოს ებონისფერ, შავტუხა, ფერადი ძაფებით მოწნული

ნაწნავები ნახევრად დაფარულ ულვაშგადმოფანჩვილ სახეს და მომცრო სხეულს ვუყურებდი სულში სასოწარკვეთილება იბუდებდა. ასევე არარეალური სჩანდა ამ თავდაჯერებული, ოდნავ დამცინავი მზერის მქონე ღვთიური არსების დამარცხება და შიში მიპყრობდა, ვაითუ არაფერი გამოვიდეს იმ საქმისაგან, რამაც ამ მხარეში შეგვყარა.

მე მოწმე ვიყავი სამყაროს კულმუნაციისა, მისი კლიმაქსისა, რადგან როდესაც ორი ასეთი ბუმბერაზი ქმნილება ერთმანეთს ხვდება, ყოველთვის არის შანსი რომ ყველაფერი კეთილად დასრულდეს ან ყველაფერი საბოლოოდ წახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ბიბლიურ წინასწარმეტყველებაში არ სწერია „უკანასკნელი დროების“ დროს იესო და ლუციფერი კონფიდენციალურად ერთმანეთს შეხვდება, მაინც ეს შეხვედრა შესდგა. ეს მოხდა კავკასიაში, ვარსკვლავეთ-სითიში, ჩემს საგვარეულო სახლში და მე მისი მოწმე ვიყავი.

შეგახსენებთ, რომ იესო და ლუციფერი სულ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამი შეხვედრის შესახებ ლუციფერმა უკვე ისაუბრა ჩემს სახლში. მეოთხე შეხვედრა ახლა დასასრულს უახლოვდებოდა. იყო კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც ერთმანეთს დაუსწრებლად, იუდეაში გაკვრით მოხდა ოცდაერთი საუკუნის წინ. მათე ამ ამბავს ასე აღწერს:

„იმ დროიდან იესომ თავის მოწაფეებს, აუხსნა და უჩვენა, თუ როგორ შევიდოდა იერუსალიმში, რა ტანჯვა შეემთხვევოდა, როგორ შეხვდებოდა იერუსალიმის ტაძრის უხუცესებს, უმაღლეს მღვდელს, გადამწერებს და როგორ მოკვდებოდა, შემდეგ კი მესამე დღეს აღსდგებოდა. ამის შემდეგ სიტყვა პეტრემ აიღო და მწუხარება გამოთქვა ასეთი მდგომარეობის გამო, და თქვა, რომ იესო შორს ყოფილიყო იმ ხალხისგან. იესო უეცრად შემოტრიალდა, პეტრეს დააცქერდა და თქვა: განვედ ჩემგან სატანა, შეაჩერე შენი ქმედებები ჩვენი საქმის წინააღმდეგ. ყველაფრის თავი უფლის ნებაა და არა კაცის. შემდეგ იესომ ხაზი გაუსვა. ჩემო მოწაფეებო, თუ რომელიმე კაცი ჩემს შემდეგ იტყვის ქრისტე ვარ, დე მან უარყოს თავისი თავი, გამოართვით მას ჯვარი და მე გამომყევით“ (მათე 16:21-24).

პეტრეში იმ დროს ლუციფერის სული შევიდა და ეს კარგად შეამჩნია იესომ, როდესაც უთხრა „განვედ ჩემგან სატანა“. მეტჯერ ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს.

მოგვიანებით იესომ ჯვარცმის შემდეგ დატოვა დედამიწა, ხოლო ლუციფერი კი როგორც გუბერნატორი დედამიწაზე დარჩა. ამბობენ, რომ ლუციფერი იესოს ჯვარცმას დაესწრო, მაგრამ არავინ იცის ამ დროს იგი იესოს დასცინოდა თუ ამხნევებდა. და ახლა მათი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა. იგი ლუციფერის ინიციატივით მოხდა, როდესაც მან შესძლო ჩინეთის ლიდერის გოდორი ხანის გადაბირება და ისრაელ-ჩინეთის ომის მაგივრად ისინი ერთ ფრონტად გააერთიანა იესოს კოსმოსური შემოტევების წინააღმდეგ. ლუციფერი მონდომებით ცდილობს იესოს დედამიწის მხარეს გადმოყვანას.

უეცრად ზეციდან სუსტი, მაგრამ თანდათანობით გაძლიერებული ზუზუნის ხმა მოისმა. ლუციფერი გაირინდა, დააცქერდა იესოს, რომელიც უკვე ამდგარი ღუმელთან მინელებულ ცეცხლს ჩასცქეროდა. მღელვარებამ შეიპყრო. წელში მოხრილი მოკრძალებული მანერით ნელა წამოვიმართე ტახტიდან და თითის წვერებზე მეზობელ ოთახში გავედი, აივნის კარი შევაღე და კიბეებით ქვევით ეზოში დავეშვი.

იმ დროს ჩემი მთის ქალაქი ვარსკვლავეთი ხალხმრავალი ადგილი იყო. ადრე ჩვენ ავღნიშნეთ, რომ „უბედურებისა“ და განსაკუთრებით კი „დიდი უებდურების“ დროს მსოფლიოს ყველა ადგილი თითქმის განადგურდა. ყინულები პოლუსებზე, მთავარ მყინვარებზე და მთის წვერებზე დადნა, ოკეანეს დონემ კი საგრძნობლად მოიმატა, ბევრი განთქმული სანაპირო ქალაქი წყალში ჩაიძირა, მაგრამ ვარსკვლავეთს ყველა უბედურებამ გვერდი აუარა. აქ არ დაცემულა არცერთიო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, არ მომხდარა ზვავები, ხანძარი, ეპიდემიები, წყალდიდობები, რომლებმაც წალეკეს დედამიწა. ყველა ამ უბედურებამ გვერდი აუარა ამ დასახლებას. ეს იყო საოცრება და ამის გამო მოსახლეობის ნაწილმა, განსაკუთრებით მათ ვინც ვარსკვლავეთის წარმოშობის იყვნენ დაიწყეს უკან, სამშობლოში დაბრუნება. ეს იყო შედარებით უხიფათო ადგილი და ბევრს უნდოდა აქ ცხოვრება, მაგრამ სპეციალურ ალპური სამხედრო შენაერთები, რომლებიც მონიტორინგს უკეთებდნენ ახლომდებარე მთის კომუნიკაციებს და ქედებსა და გზაჯვარედინებზე ზღუდავდნენ ამ აქტიურობებს.

ახლა როდესაც გარეთ გამოვედი და ეზოში დავეშვი დავინახე, რომ ქალაქის ქუჩები და გზაჯვარედინები ხალხით იყო სავსე. ყველანი თავიანთ სახლებიდან და სასტუმროებიდან გარეთ გამოცვენილიყვნენ. მათ ხელში ფოტო-ვიდეო კამერები და სმარტფონები ეჭირათ. ძაღლები ყეფდნენ, საქონელი ღმუოდა. ჩიტები და ბევრი მოშინაურებული ცხოველი გამქრალიყო. იყო ერთი აურზაური.

ჩემგან არც თუ ისე შორს ახოვანი ლუციფერი იდგა. მის გვერდით კი ტანმორჩილი იესო იყო. ყველანი ცას შეჰყურებდნენ. მეც ზევით ავიხედე.

ვარსკვლავეთის ცა ერთ-ერთი ულამაზესი ცა არის მსოფლიოში. იგი დგას ჰიმალაის, ტიანშანის, ჰინდიკუშის, ანდებისა და ალპების რიგში. კრისტალურად სუფთა გამჭვირვალე ჰაერი იდეალური ადგილი იყო შორეული პლანეტებისა და ვარსკვლავების სათვალთვალოდ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვარსკვლავეთის მოპირდაპირედ მდებარე კავკასიონის თოვლიანი მწვერვალის თავთან მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობსერვატორია „ირაყლიონი“ იყო განლაგებული.

ადრიანი დილა იყო, მაგრამ მზე ჯერ კიდევ სრულად ამოსული არ იყო. თითქოს დეკორაციებით სავსე სცენის მიღმა არისო, მხოლოდ კავკასიონის ულამაზესი მთა-მყინვარი „ხევის პატარძალი“ იყო ოქროსფერ სხივებში გახვეული. გრილოდა, ცა ლურჯი, ნათელი ნისლით იყო გადაჭიმული. ციდან ზუზუნით ეშვებოდა ცეცხლოვანი კომეტები, რომლებიც ღრუბელნარევ კვალს ტოვებდნენ. ისინი ათასობით იყვნენ და მანძილი მათ შორის უმნიშვნელო იყო. ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა და გამვლელები იდგნენ და სურათს უღებდნენ ამ დაუვიწყარ მოვლენას, რომელიც კალეიდოსკოპიურად სწრაფად იცვლებოდა, წითელ, ლურჯ, ყვითელ და სხვა ფერებში.

კვლავ ლუციფერის მხარეს გავიხედე. იესო უკვე აღარსად იყო.

„როგორც ქურდივით მოვიდა, ისე წავიდა, თვალი ვერც კი მოვკარი“, თქვა ლუციფერმა თბილად და მანიშნა ახლოს მივსულიყავი.

რამდენიმე თავმდაბალი ნაბიჯი გადავდგი. იქ სადაც ადრე იესო იდგა, მიწაზე ბრილიანტებით მოვარაყებული ტარიანი მათრახი ეგდო. ლუციფერმა აიღო და ჰაერში დაიქნია. მათრახში გალვანურმა მუხტებმა გაჰკვესეს.

„ბედისწერის დღეა“, თქვა ლუციფერმა და მხარზე მათრახიანი ხელი დამადო.

„ძალიან კარგი პლანეტა იყო, მსგავსი არსად არ მინახია“, დააზუსტა შემდეგ.

„ნება მიბოძეთ ჩემი აზრი გამოვთქვა“, ვთქვი მე და მიწას ჩავაცქერდი.

„მიდი“, იყო პასუხი.

„იქნება ახალი იერუსალიმი?“

„სიმართლეს გეტყვი შენ, ალფრედ!“, მითხრა ლუციფერმა, ოდნავ უკან დაიხია, „ხევის პატარძალს“ ახედა და გააგრძელა.

„ახალი იერუსალიმი არ იქნება. ეს ილუზიაა. იესოს მოგონილია და მახარობელმა იოანემ „გამოცხადებაში“ გააჟღერა. იგი კარგი ილუზიაა, ლამაზი ტყუილია. თუ რატომ დასჭირდა და სჭირდება იესოს ეს ტყუილი, არის გრძელი ისტორია და თუ დაგვცალდა, სხვა დროს გეტყვი“.

„ახლა სად არის იესო?“ დავინტერესდი.

„თუ იგი ჩვენს მხარეს გადმოვიდა, ახლა არმაგედონის ველზე იქნება აუცილებლად, მაგრამ თუ მოხუცი მამის მხარეს დარჩა მაშინ ვერავინ იტყვის თუ სად არის“.

„მეჩვენება, რომ ახლა იგი არმაგედონის ველზეა“, რწმენა გამოვთქვი მე.

„მეც ასე ვფიქრობ, იმედი მაქვს“, თქვა ლუციფერმა.

კვლავ ცისკენ ავიხედე, ცეცხლოვანმა ბოლიდებმა თითქმის ნახევარი გზა გამოიარეს. რამდენიმე წუთი და ისინი დედამიწას მიაღწევდნენ.

უეცრად ციური ზუზუნი, ციურ მელოდიად გადაკეთდა, რომელიც ალბათ მთელს დედამიწაზე ისმოდა. უეჭველია ციური სარქველი იხურებოდა. „დიდი უბედურობები“ წერტილს სვამდა.

„მე რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე? რა გზას დავადგე? შეიძლება რომ მეც იმედი ვიქონიო?“ ვიკითხე მე.

„ახლა მე არმაგედონის ველზე მივდივარ. შიში შორს. მე დედამიწის წინააღმდეგობას ჩავუდგები სათავეში. ანტიქრისტე, იესო და გოდორი ხანი იქ უნდა იყვნენ. თუ ეს ასე მოხდება მაშინ ჩვენ როგორც ერთიანი თავყრილობა წინ აღვუდგებით ცის მტარვალის მიმდინარე შეტევებს და ახალ წესრიგს დავამყარებთ. უფლის სათათბიროს ერთი მესამედი და ანგელოზების

უმეტესობა ჩვენს მხარეზე არიან“, თქვა ლუციფერმა და იესოს ბრილიანტებით მოვარაყებულ ტარიანი მათრახი ჩემი ღობის კაუჭზე ჩამოკიდა, რომელიც დღემდე იქ ჰკიდია.

კიდევ ერთხელ ავხედე ზეცას, რომელიც ფაქტიურად თავზე გვემხობოდა და მზერა შევაჩერე. არ მინდოდა, ლუციფერის გაუჩინარებისათვის შემეხედა. ჩათრევა იცის ხოლმე.

2013

ჩარლესტონი. სამხრეთ კაროლინა

შენიშვნები